

# ქართული ოთხთავის ორი ქველი რედაქცია

საგი შავგერული ხელნაწერის მიხედვით

(897, 936 და 973 წწ.)

გ ა მ ლ ხ ც ა

ა კ ა კ ი შ ა ნ ი ქ ე მ

ტექსტზე მუშაობის მონაწილენი  
ილია აბულაძე და ივანე იმნაიშვილი

ჯრუკის ოთხთავის სურათების აღწერილობა  
რენე შმერლინგისა

## წინასიტყვაობა

### I. ქართული ოთხთავის გამოცემის ისტორიიდან. ამ გამოცემის მიზანი

ქართული ოთხთავის ტექსტი პირველად ვახტანგ VI-მ გამოსცა 1709 წელს მის მიერ ახლად დაარსებულ სტამბაში. ეს იყო ეკლესიის საქიროებისათვის დაბეჭდილი ტექსტი გ. მთაწმიდლის რედაქციისა, რომელიც მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საბოლოოდ დადგენილად ითვლებოდა და საყოველთაოდ მიღებული იყო ქართული ეკლესიის პრაქტიკაში ასეთივე საეკლესიო დანიშნულებისა იყო, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სარწმუნოებრივი მიზნებისათვის განკუთვნილი იყო ყველა მერმინდელი გამოცემა ქართული ოთხთავისა, ერთად იქნებოდა ის გამოშვებული, ცალკე თავებად, თუ ახალი აღთქმის სხვა წიგნებთან ერთად, ხუცურად იქნებოდა ის დაბეჭდილი, თუ მხედრულად<sup>1</sup>.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო ცდები ქართული ოთხთავის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, მაგრამ საქმით თითქმის არა ვაკეთებულა რა. მხოლოდ 1908 წელს შეუდგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია დიდი ხნის ნატერის პრაქტიკულ განხორციელებას ორი მე-10 საუკუნის ხელნაწერის მიხედვით: ოპიზისა (913 წ.) და ტბეთისა (995 წ.), და 1909 წელს დაიბეჭდა კიდევ მათეს თავი, ხოლო 1911 წელს—მარკოზისა<sup>2</sup>. მალე მსოფლიო ომი ატყდა და ეს წამოწყება შეწყდა. არ დაბეჭდილა მ. ჯანაშვილის მიერ გამოსაცემად დამზადებული ურბნისის ოთხთავი, რომელიც გადაცემული ჰქონდა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგა-

<sup>1</sup> გამოცემათა წლები: სახარებისა: 1709, 1739 (მოსკოვის), 1791, 1817 (სახჩერეს), 1823 (მოსკოვის), 1864, 1876, 1883 (ცალკე თავებად), 1890, 1898, 1916 (მარკოზის სახ.); ახალი აღთქმისა: 1816 (მოსკ.), 1818 (პეტერბ.), 1874, 1879, 1904, 1912; მთელი ბიბლიისა: 1743 (მოსკ.). თუ გამოცემის ადგილი არ არის აღნიშნული, ასეთად იკვლისხმება თბილისი. [სიის შედგენის დროს გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული ცნობები „ქართული წიგნისა“ (თბილ. 1941), რომელშიაც არ არის შეტანილი 1916 წლის გამოცემა მარკოზის სახარებისა. ამ გამოცემას მე ვიცნობ ფოტომექანიკური გადანაბეჭდის მიხედვით, რომელსაც თავთურთველზე აქვს: „ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. სახარება მარკოზისაგან. ტფილისი. ელექტ.-მბეჭ. „ქართლი“, პუშკ. და ლორ.-მელ. ქ., 1916 წ.“, ხოლო მეორე გვერდზე არქვია: St. Mark's Gospel in Georgian. Photographic reprint, 1924. S. I. (ლონდონს), 70 გვ.].

<sup>2</sup> სახარება ოთხთავი. ორთა ჯელნაწერთაგან შიგ და შეე წელთათა გამოსცა ვლადიმირ ბენეშევიჩმა ნ. ნაკვეთი ა. სახარება მათს თავისა. ს.-პეტერბ. 1909. ნაკვეთი ბ. სახარება მარკოზის თავისა. 1911 (სათაური აგრეთვე რუსულად და ლათინურად). [გამოცემისა გ. ბენეშევიჩის კონსულტაციას უწევდა და ემზადებოდა ნ. მარი, რომლის სახელი პირვანდელი განზრახვის თანახმად, გამოცემაზედაც უნდა აღნიშნულიყო: «Издана В. Н. Бенешевич и Н. Я. Марр» (Известия АН, 1908, 421)].

დოებას<sup>1</sup>. სამაგიეროდ ამ საზოგადოებამ სხვა მხრივ გაუწია დიდი სამსახური ქართ. ოთხთაეების შესწავლის საქმეს: მან 1916 წელს ფოტოტიპურად გამოსცა მთლად უძველესი ქართული თარიღიანი ოთხთაეი—ადისისა (897 წ.)<sup>2</sup> და ამით ხელ-მისაწვდომი გახადა ის მეცნიერთათვის. ამ ფოტოტიპური გამოცემის მიხედვით ჰარავარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი შეუდგა მისი ტექსტის სტამბური წესით გამოცემას და 1928 წელს პარიზს დაბეჭდა მარკოზის თავი, თანაც, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაზე დაყრდნობით, უჩვენა ვარიანტები ოპისისა (A) და ტბეთის (B) ხელნაწერთაგან. ამას გარდა, იმ მიზნით, რომ ქართული ვერსიის დეტალები და საერთო ვითარება გასაგები ყოფილიყო მეცნიერთა ფართო წრეებისათვის, მან გამოცემას დაურთო ლათინური თარგმანი<sup>3</sup>. მარკოზის თავს მოჰყვა მათეს თავი იმავე სახით<sup>4</sup>, ხოლო იოანე<sup>5</sup> თავი, უკვე აწყობილი და გვერდებად შეკრული 1939 წ., შენერდა ომიანობის გამო.

ასეთი ყურადღება ქართული ოთხთაეებისადმი აიხსნება, სხვათა შორის, იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ აქვთ სახარების ტექსტის ისტორიისათვის. დ. ბაქრაძე დან მოყოლებული<sup>6</sup> სპეციალურ ლიტერატურაში სულ იდგასაკითხი, თუ რა მიმართებაშია ქართული ტექსტი ბერძნულთან და სხვა ვერსიებთან: სომხურთან და სირიულთან. ჩვეულებრივ საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა. არა მთელი ტექსტის ყოველმხრივი შესწავლისა და კრიტიკული განხილვის ნიადაგზე, არამედ ამა თუ იმ ადგილის შედარების გზით ბერძნულ ტექსტთან, სომხურთან ან სირიულთან და ამიტომ ამგვარად მიღებულ დასკვნებს აკლდა დამარწმუნებლობის ძალა, მათ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონოდათ მხოლოდ ცალკეული ადგილებისათვის და არა მთელი ქართული ოთხთაეის თარგმნის ისტორიისათვის<sup>7</sup>. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ქართული ტექსტი არ იყო კრიტიკულად დადგენილი და სათანადოდ გამოცემული და, მეორეც, არ იყო გათვალისწინებული თვით ბერძნული ტექსტის ისტორია, არც, მით უმეტეს, სომხურისა და სირიული ვერსიებისა. დამახასიათებელია ამ მხრივ ცნობილი ინგ-

<sup>1</sup> ხელნაწერი დაუბრუნდა ავტორს 1923 წელს და შემდეგ გადაეცა თბ. უნივერსიტეტის ხელნაწერთა განყოფილებას (ამჟამად დაცულია საქართ. მუზეუმში, A 1732). [მ. ჯანაშვილი უბნულ ხელნაწერს იყენებდა შესადარებლად სხვა ოთხთაეების აღწერის დროს (Описании, III, №№ 845, 850, 1051)].

<sup>2</sup> Адшское сваягение. 200 фототипических таблиц и предисловие Е. С. Такайшвили (=Материалы по археологии Кавказа. Выпуск XIV. Под редакцией П. С. Уваровой, А. С. Хаханова и Е. С. Такайшвили). Москва, 1916.

<sup>3</sup> The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysi Gospels with the Variants of the Opiza and Tber' Gospels edited with a Latin Translation by Robert P. Blake (=Patrologia orientalis. Tome XX, fasc. 3, pp. 439—574). Paris 1928.

<sup>4</sup> Gospel of Matthew, ibid. XXIV, fasc. 1. Paris 1933 (პირდაპირ არ მინახავს, დამოწმებულია: Quantulacumque, November, 1937, p. 355).

<sup>5</sup> Д. З. Бакрадзе, Древние варианты грузинского четвероевангелия: Труды V-го археологического съезда в Тифлисе. Москва, 1887, стр. 215—220.

<sup>6</sup> ზოგადი ცნობები და ლიტერატურა ძველისა და ახალი აღთქმის ქართულად თარგმნის ისტორიის შესახებ მოიხილება კ. კეკელიძის წიგნში: „ქართული ლიტერატურის ისტორია“. ძველი მწერლობა. ტ. I. მე-2 გამოცემა, თბ. 1941, გვ. 385—389.

ლისელი არმენისტის განცხადება: „ქართული ახალი აღთქმის დაწვრილებითმა განხილვამ დამარწმუნა, რომ ის თავდაპირველად გადმოთარგმნილია ძველი სირიული ტექსტისაგან, რომელიც თითქმის იმგვარივე ყოფილა, როგორიც უხმა-რიათ პირველ სომეხ მთარგმნელებსაო. ორსავე ვერსიას შემდეგ რევიზია განუ-ცდია და გაუსწორებიათ მთლიანად და (ერთმანეთისაგან) დაპოუჯიდებლად ბერ-ძნული ტექსტის მიხედვით“<sup>1</sup>. ასეთი მნიშვნელოვანი დებულების წამოყენება იმ მცირე მასალის მიხედვით, რომელსაც კონიბერი გვაწვდის<sup>2</sup>, საშუალოდ არ არის საკმარისი ქართ. ახ. აღთქმის თარგმნის ისტორიის გასათვალისწინებ-ლად, ოთხთავის ფარგლებშიც კი. ცხადია, ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისას უპირველეს ყოვლისა საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რას წარმოადგენს თვით ქართული ტექსტი, რა ურთიერთობაშია ძველ ხელნაწერთა ვარიანტები, რადარა რედაქცია მოგვეპოება და სხვა. მხოლოდ ასეთი წინასწარი სამუშაო-ების შესრულების შემდეგ შეიძლება მართებულად დაისვას და სათანადოდ გა-დაიჭრას ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

წინამდებარე გამოცემა ერთი ნაწილია იმ სამუშაოებისა, რომლებიც აუცი-ლებლად უნდა იქნენ შესრულებული ამ მიმართულებით. მართლაც, როცა ყვე-ლა ძველი ხელნაწერი შესწავლილი იქნება და სათანადოდ გამოცემული იქნე-ბა კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, მაშინ ადვილი იქნება მთლიანად გამო-ირკვეს თარგმნის ისტორია და მისი გზები და ის ხვედრითი წონა, რომელიც აქვს ქართულ ვერსიებს ოთხთავის ტექსტის შემუშავებისა, გავრცელებისა და ფილიაციის საქმეში. რომ ეს წონა მცირე არ არის, კარგად ჩანს რ. ბლექის ანალიზიდან, რომელიც მას მარკოზის თავის ტექსტზე მოუხდენია. ეს მეცნიერი ფიქრობს, რომ ქართული ოთხთავები (ადიშისა და ოპიზა-ტბეთისა), სომხურ ვერსიასთან ერთად, მიეკუთვნება იმ ხელნაწერთა ჯგუფს, რომლებიც შეიცავენ ე. წ. „კესარიულ“ ტექსტს. ეს ის ტექსტია, რომელიც კესარიაში მოიპოვებო-და მე-3 საუკუნეში და რომელსაც სარგებლობდნენ და იმოწმებდნენ ორიგენი და ევსები. ამ „კესარიულ“ ტექსტს პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწე-ვია, მაგრამ ის ნაწილობრივ წარმოდგენილია ხელნაწერთა ერთ წყებაში, მათ შორის კორინდეთის ბერძნულ ოთხთავში<sup>3</sup>. ქართული ტექსტები (ადიშისა და ოპიზა-ტბეთისა) წარმოადგენენ უფრო ძველ საფეხურს, ვიდრე არსებული სომხუ-რი ტექსტები, რომელთაც ძალზე განუცდიათ მერმინდელი დროის რევიზიაო<sup>4</sup>. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ სამმა ავტორმა (K. Lake-მა,

<sup>1</sup> Fred. Conybeare, *The Georgian Version of the NT: Zeitschr. f. d. neutest. Wis- senschaft*, XI (1910), 232.

<sup>2</sup> ლუკა, თ. 1—5 (ეტიკანის ხელნაწერის მიხედვით) და ნაწევრები მათედან (22, 12—24; 22, 19—23, 8; 23, 1—8) და მარკოზიდან (15, 41—47; 16, 1—6) ორი თბილისური ხელ-ნაწერის მიხედვით.

<sup>3</sup> ეს ბერძნული სახარება დაცულია საქ. მუზეუმში (A 993) და ნაწილობრივ ფოტოტი-პოურადაც არის გამოცემული, სახელდობრ, მარკოზის სახარება მთლად (*Материалы по архе- ологии Кавказа*, XI).

<sup>4</sup> *Gospel of Mark*, pp. 445—449; Kirsopp Lake, Robert P. Blake and Silva New, *The Caesarean Text of the Gospel of Mark* (*Harvard Theolog. Review*, vol. XXI, № 4 1928, pp. 207—404). 6. განსაკუთრებით გვ. 254—255.

R. Blake-მა და S. New-მ ქართული ვერსიების ჩვენება გამოიყენეს კესარიული ტექსტის აღდგენის დროს მარკოზის სახარების სამი თავისათვის: პირველისა, მეექვსისა და მეთერთმეტისათვის<sup>1</sup>. მათი სპეციალური ნაშრომი კესარიული ტექსტის შესახებ განვებ შემოფარგლულია მარკოზის სახარებით. სხვა სახარებათა ტექსტის ანალიზმა შეიძლება სხვა შედეგი მოგვეცესო<sup>2</sup>.

აქ დაბეჭდილი ტექსტები სამი ხელნაწერისა ერთი და იმავე მონასტრიდან არის გამოსული, მათი გადაწერის დრო დიდად არ არის დაშორებული ერთმანეთისაგან (პირველს მეორისაგან 39 წელი ჰყოფს, მეორეს მესამისაგან კი—37), მაგრამ ისინი ტექსტობრივად დიდ განსხვავებას გვიჩვენებენ. არსებითად აქ გვაქვს ორი რედაქცია: ერთი წარმოდგენილია ადიშის ხელნაწერში (C), მეორე კი—ორს უკანასკნელში: ჯრუჭისა (D) და პარხლისაში (E). რადგანაც აქ საქმე გვაქვს ორს გარკვეულად განსხვავებულ რედაქციასთან როგორც ლექსიკის თვალსაზრისით, ისე ფრაზის აგებულების მხრით, ამიტომ არ იქნებოდა მიზან-შეწონილი, რომ ერთი რომელიმე მთავანი (მაგალითად, ადიშისა) მიგვეჩინა დედა-ტექსტად და მეორის განსხვავებული წაკითხვები ვარიანტებად ჩამოგვეტანა სქოლიოებში, რადგანაც ამ შემთხვევაში მეორე რედაქციას, თითქმის სანახევროდ ვარიანტების სახით სქოლიოებში ჩამოტანილს, სრულიად დაეკარგებოდა დამოუკიდებელი ხასიათი, მისი ტექსტი მიიჩქმალებოდა შენსვენებში, რომლებიც ძალზე გაიზრდებოდა, —თითქმის იმდენსავე ადგილს დაიკვრდა, რასაც პირისპირ ბექლდის შემთხვევაში,—და კრიტიკული აპარატი ძნელად გამოსაყენებელი იქნებოდა. ამ მოსაზრებათა გამო ვამჯობინეთ ტექსტების ცალკე-ცალკე ბექლვა, ერთიმეორის პარალელურად. ამ გარემოებამ მუშაობაც გაგვიადვილა და, რაც მთავარია, ორივე რედაქციის ტექსტის თავისებურებანი მკაფიოდ წარმოაჩინა; ამან საქმის ვითარება საერთოდ უფრო ნათელი გახადა და გამოცემის მნიშვნელობა საგრძნობლად გაზარდა.

ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია პირველ სვეტში, ე. ი. ჯრუჭ-პარხლისა, ეს არის ის ტექსტი, რომელიც საფუძვლად დასდებია მერმინდელ რედაქციებს: ჯერ ექვთიმე მთაწმიდლისას და შემდეგ გიორგი მთაწმიდლისას. ამ უკანასკნელმა რედაქციამ, როგორც ვიცით, საბოლოოდ განდევნა ყველა-დანარჩენი რედაქცია და იქცა ქართულ ვულგატად. ჯრუჭ-პარხლის ტექსტი—ეს არისა ასე ვთქვათ, ქართული პროტოვულგატა, ე. ი. ტექსტი, რომელიც, მცირე-მცირე ცვლილებებით, საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა მე-10 საუკუნეში. მას მხარს უჭერს საერთოდ სხვა ოთხთავები მე-10 საუკუნისა: ოპიზისა (913 წ.), ბერთისა (988 წლამდე)<sup>3</sup>—და ტბეთისა (955 წ.). უფრო მეტიც: ჯრუჭ-პარხლის ტექსტს მხარს უჭერს უფრო აღრინდელი ტექსტებიც: ხანმეტი ლექციო-

<sup>1</sup> The Caesarean Text of the Gospel of Mark, pp. 292—307, 311, 314—320. თვით აღდგენილი კესარიული ტექსტი მარკოზის სამი თავისა (I, VI, XI) ნახე 397—404 გვერდებზე:

<sup>2</sup> Ibid., pp. 277, 328.

<sup>3</sup> R. Blake and S. Der Nersessian, The Gospels of Bert'lay: An Old-Georgian Ms. of the Tenth Century («Byzantion», 16 1944, p. 257).

ნარი (მე-7 ს.-ისა)<sup>1</sup>, ნაწილი ი. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებული ხანშეტი ნაწყვეტებისა<sup>2</sup> და ჰამეტი ლექციონარის ნაწყვეტები<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ბლეიკს თავისი სამუშაოსათვის მოუხმია ი. ჯავახიშვილის მიერ გამოცემული ხანშეტი ტექსტებიც და ამბობს, რომ ეს ტექსტები აღიშის ხელნაწერის წაკითხვებს უჭერს მხარსა<sup>4</sup>. სხვაგან ის შენიშნავს: უნდა დავაკენათ, რომ აღიშის ხელნაწერი და ხანშეტი ნაწყვეტები ეკუთვნიან ხელნაწერთა იმ ჯგუფს, რომელსაც არ შეეხებია რევიზია, რომელმაც თავისი კვალი ოპიზისა და ტბეთის ხელნაწერთა ტექსტებზე დასტოვა; სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ საქმე გვაქვს ტექსტობრივი ტრადიციის ისეთ ფენასთან, რომელიც უსწრებს ელინოფილურ მოძრაობასა<sup>5</sup>. ასეთი მტკიცება მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი: აღიშურს (C-ს) მისდევს, ნამდვილად, მათ. 6. 31—33 და მათ. 7, 1—15 (მეორე ნაწყვეტიც: 7, 4—16), სამაგიეროდ DE-ს უჭერს მხარს<sup>6</sup> მარკ. 9, 43—50, ლუკ. 2, 18—23; 15, 22—28; 19, 43—44. რადგანაც C-ს პირვანდელი ტექსტი ლუკას მე-19 თავის ფარგალში დაკარგულია და შეგებულია DE-ს მსგავსი ტექსტის მიხედვით<sup>7</sup>, ხოლო პალიმფსესტებიდან ამოკითხული ტექსტი აქ განსხვავებულია DE-საგან, შესაძლებელია, რომ სწორედ აქ იყოს შემონახული C-ს პირვანდელი ტექსტი (ლუკ. 19, 44—48 საერთოა CDE-ში<sup>8</sup>).

რაც შეეხება მეორე სვეტის ტექსტს, ე. ი. აღიშის ხელნაწერისას (C), ის წარმოადგენს სრულიად ცალკე მდგომ რედაქციას, როგორც ამას თავიდანვე აღნიშნავდნენ მკვლევრები<sup>9</sup>. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს ის გახლავს, რომ, თუმცა ლუკას ტექსტი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირეოდენ დანაკლისს ახალი ხანისას: 6, 42—49; 19, 10—14; 20, 37—43; 21, 29—38; 22, 1—14) მთლიანად არის წარმო-

<sup>1</sup> ხანშეტი ლექციონარი. ფოროტიპური რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ (=ძველი ქართული ენის ძეგლები. 1). 1944.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ტ. უ. მ. II (1922-23), გვ. 313—391.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტ. უ. მ. III (1922), გვ. 354—388.

<sup>4</sup> The Old Georgian Version of the Gospel of Mark, p. 449; The Caesarean text, pp. 290, 297, 373.

<sup>5</sup> Ibid, p. 373. შდრ. აგრეთვე გვ. 375. მათესა და მარკოზის სახარებათა ხანშეტის ნაწყვეტების აღიშის ტექსტთან შედარებაში ბლეიკს დახმარებია B. A. Streeter-ი (იქვე, გვ. 372, 368. 65).

<sup>6</sup> AB-ს გამოცემული ტექსტი მარტო მათესა და მარკოზის თავებს შეიცავს. სხვა თავებისათვის შეიძლება მივმართოთ LE-ს, რომელიც ტიპობრივად AB-ს ტექსტს შეიცავს.

<sup>7</sup> ნახეთ ქვემოთ გვ. 010.

<sup>8</sup> ხანშეტი ნაწყვეტების სხვადასხვა რედაქციულ შედგენილობას პირველად ს. კაკაბაძემ მიჰქცია ყურადღება («სახარების ქართ. თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუკუნეში ხანშეტი ტექსტებთან დაკავშირებით»: «საისტორიო ძიებანი», 1924, 1—37).

<sup>9</sup> ნახე, მაგ., ა. ხახანაშვილის თეზისები აღიშის ოთხთავის ფოროტიპური გამოცემის წინ წამძღვარებულს ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობაში, გვ. 7.

დგენილი ხელნაწერში, მაგრამ, როგორც ეს ცხად-ყო დოც. ი. იმნაიშვილმა<sup>1</sup>, ნაწილი ამ ტექსტისა რედაქციულად (ტერმინების ხმარების მხრივ, ფრაზის აგებულების მიხედვით) და გრამატიკულადაც სხვა ნიშნებს გვიჩვენებს, ვიდრე მათე-მარკოზ-იოვანეს ტექსტი იმავე ხელნაწერისა და ნაწილობრივ თვით ლუკასიც; სახელდობრ, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებულია შემდეგი ადგილები: ლუკა 3,9—15,7 და 17,25—23,2. როგორც გვიჩვენებს ამ ადგილების განხილვა, ისინი არსებითად DE-ს უკერძო მხარს. მაშასადამე, აღიშის ოთხთავის ტექსტის ერთი ნაწილი (მოცულობით, აქ დაბეჭდილი სვეტების მიხედვით რომ ვიანგარიშით, დაახლოებით 70% ლუკას სახარებისა) სხვა რედაქციისა ყოფილა, ვიდრე დანარჩენი ტექსტი (ე. ი. ლუკ. 1,1—3,8 და 23,3—24,53 და კველა სხვა მახარებელთა ტექსტი). გამოდის, რომ დედანი, საიდანაც გადმოიწერა აღიშის ოთხთავი (ან ერთ-ერთი მისი წინამორბედი), ნაკლულევიანი ხელნაწერი ყოფილა, მას საკმაოდ ჰკლებია ლუკას სახარებაში<sup>2</sup> და ეს დაკლებული ადგილები შეუესიათ DE-ს ტიპის ხელნაწერიდან<sup>3</sup>.

აღნიშნით ეს ორი სხვადასხვა წარმოშობის ტექსტი აღიშის ოთხთავისა, უმეტესი (C<sup>1</sup>) და უმცირესი (C<sup>2</sup>), შემდეგი ტერმინებით შესაბამისად: „ძირითადი“ და „ჩანართი“. ძირითადი (C<sup>1</sup>, გამარტივებით: C) არის საკუთრივ აღიშური რედაქციის ტექსტი, ჩანართი (C<sup>2</sup>) კი—დანაკლისის შესავსებად ჩართული ტექსტი სხვა რედაქციისა, რომელიც საერთოდ პროტოვულგატას მისდევს. თუ ამ ჩანართ ტექსტს არ მივიღებთ მხედველობაში, აღიშის ხელნაწერი, მართლაც, განცალკევებულ ადგილს დაიჭერს ძველ ოთხთავებს შორის. ბლეიკი მის აზრით, ეს არის ის ტექსტი, რომელმაც შემდგომი რევიზიის შედეგად მოგვცა ერთი მხრით A (ობიზური) და მეორე მხრით B (ტბეთური)<sup>4</sup>. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსარკვევი. უეჭველია, მაგ., რომ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პროტოვულგატური ტექსტი ძალიან ადრე გვხვდება, ე. წ. ხანაუტ ნაწყვეტებში და, რაც უფრო საყურადღებოა, ხანმეტი ლექციონარი, რომელიც მე-7 საუკუნის ძველია, თითქმის მთლად პროტოვულგატურია<sup>5</sup>. ასეთივე ვითარებაა ჰამმეტ ტექსტებშიც<sup>6</sup>. ამიტომ საკითხი ძველი რედაქციების უთიერთობის შესახებ არსებითად ჯერ ისევ დასაწყის სტადიაში იმყოფება შესწავლის მხრივ და საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევად უნდა იქნეს მიჩნეული. ერთი კი ცხადია მაინც, რომ ქართული ოთხთავის

<sup>1</sup> აღიშის ოთხთავი რედაქციულად (იბეჭდება უნივერსიტეტის შრომებში). [იმნაიშვილზე ადრე ეს აზრები გაკვრით ს. კაკაბაძემ აღნიშნა (ხსენ. თხზ. გვ. 7, 19)].

<sup>2</sup> ი. იმნაიშვილის თანახმად, აქა-იქ სხვაგანაც არის ამგვარად შევსებული ადგილები, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა.

<sup>3</sup> შდრ. ს. კაკაბაძე, ხსენ. თხზ., 20.

<sup>4</sup> Gospel of Mark p. 446—447.

<sup>5</sup> გამოჩალის წარმოადგენს ზოგიერთი ადგილი, სადაც ლექსიკის თვალსაზრისით ხანმეტი ლექციონარი (X) C-თან არის: ნესტუთა CX, საყვრითა ABDE (მ. 24, 31), ხილვაჲცა CX, გამოჩინებაჲცა DE (ლ. 24, 23) და სხვ.

<sup>6</sup> მოიპოვება იშვიათი შემთხვევები, როცა ჰამმეტი ტექსტი (Z) მხარს უჭერს C-ს: სოსლისა RZ, წიღებებისა ADE (მრ. 5, 29); ვახშითურთ CZ, აღნადგინებითურთ DE (ლ. 19, 33).



ტექსტს ბევრჯერ განუცდია რევიზია. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ, თუმცა ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერები საერთოდ ერთისა და იმავე რედაქციისანი არიან, რომელსაც ჩვენ პროტოვულგატა ვუწოდეთ, მაგრამ აქა-იქ მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებანიც მოიპოვება. საყურადღებო ის არის, რომ ასეთ შემთხვევებში ერთ-ერთი მათგანი C-სთან არის: ხან D და ხან E. მაგრამ მოიპოვება ადგილებიც, სადაც სამივე შატბერდული ხელნაწერი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან; მაგალითისათვის შევეიძლია დავასახელოთ ლუკ. 1, 78: „რომელთა მომხედ და ჩუენ აღმოსავალმან მალლით“ D, „რომელთა გუეჩიუნა ჩუენ მჰმ იგი აღმომავალი მალლით“ E, „რომლითა მოგუძინეს ჩუენ მზემან აღმომავალმან მალლით“ C. ცხადია, აქ სხვადასხვა ნუსხასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სხვადასხვა რედაქციასთან. ეს გარემოება აშკარად მოწმობს, რომ ერთი იმ პუნქტთაგანი, სადაც ოთხთავის ქართ. ტექსტი სწორდებოდა, შატბერდი ყოფილა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ რის მიხედვით ასწორებდნენ ტექსტს, რასთან ამოწმებდნენ მას, რა წყაროებით სარგებლობდნენ და, საზოგადოდ, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ასეთი საპასუხისმგებლო მუშაობის დროს. ძველი დროისათვის არ გვხვდება ისეთი ლაკონიკური შენიშვნაც კი, როგორც იკითხება გიორგისეული რედაქციის ოთხთავის ზოგიერთ ცალში<sup>1</sup> მათ. 24, 36-ის შესახებ: „არცა ძემან,—ესე სიტყუად სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე, მთაწმიდელი იტყუა“. მაგრამ უეჭველია, რომ თანდათანობით ზოგი დეტალი ძველი პეოიოდისთვისაც გაპირკვევა. ამისთვის უპირველეს ყოვლისა საქირთა ყველა მოღწეულ უძველეს ხელნაწერთა ტექსტის კრიტიკული გამოცემა.

როგორც ვხედავთ, ჩვენს გამოცემას უადრესი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გადასაწყვეტად, მით უმეჩეს, რომ ორი რედაქცია პირისპირ უდგას ერთმანეთს და ამით გაადვილებულია როგორც მათი შედარება ურთიერთ შორის, ისე მათთან შედარება სხვა ხელნაწერების ტექსტისა. მაგრამ გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ეს იყო მთავარი მოტივი შატბერდული ოთხთავების ტექსტის გამოცემისათვის, არამედ ის გარემოება, რომ ისინი წარმოადგენენ ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პერიოდის ძეგლებს. მართალია, ისინი ვადაწერილია გვიან, მე-9-სა და მე-10 საუკუნეებში, მაგრამ წარმოშობით ისინი უეჭველად ადრინდელ ხანას განეკუთვნებიან. რა თქმა უნდა, ენა რამდენადმე გაუსწორებიათ მერმინდელი ნორმების მიხედვით, მაგრამ ძირითადად ისინი მაინც მე-4—5 საუკუნეთა ენას ასახავენ. სტილისტური რედაქცია უმთავრესად ხანშეტობასა და ჰემეტობას შეჰხებია<sup>2</sup>. თუმცა ამ მხრივ ბევრი დააკლდა ძველი ენის კოლორიტს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი მარაგი უძველესი მორფოლოგიურ-სინ-

<sup>1</sup> მაგალითად, ართინისა და კალკისისაში: Н. Марр, Дневник поэмки в Шавшетию и Кларджетию, გვ. 190; ვ. თაყაიშვილი, არქეოლ. ეტიჰედ. კოლა-ოლთისში, გვ. 36.

<sup>2</sup> ხანშეტობისა და ჰემეტობისა თითო-ოროლა ნაშთი მაინც არის შემონახული შიგ.: ა. შანიძე, ჰემეტობა ადიშის საბარებაში: ტ. უ. მ. II, 417—420; Переживания ханшотных форм в груз. рукописях IX—X—XI веков (მეცნ. აკად. შობებ, I, 1940, № 3, გვ. 237—240)

ტაქსური ნიშნებისა და არქაული ლექსიკა კარგად არის შიგ დაცული. ძველი ქართული ენის ძეგლებს შორის აქ დაბეჭდილ ოთხთავებს, უეკველია, ერთი უპირველეს ადგილთაგანი უპირავეთ და სწორედ ამან განსაზღვრა მათი გამოცემის გადაუდებელი საჭიროება. ამ გამოცემით რამდენადმე იესება ის დიდი ნაკლი, რომელიც დიდი ხანია იგრძნობოდა სალიტერატურო ქართულის სათავეების შესწავლის დარგში.

## II. ხელნაწერთა აღწერილობა

განთქმული შატბერდის მონასტერი, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა კლარჯეთში მე-9 საუკუნის დასაწყისში, ქართული მწიგნობრობის კერა შეიქმნა მე-9—10 ს.ს.-ებში. აქედან ვრცელდებოდა ქართული წიგნები, ორიგინალური თუ ნათარგმნი, არა მარტო კოროხის ხეობისა და მტკვრის სათავეს ქართულ პროვინციებში, არამედ უფრო შორსაც, საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. აქ გადაწერბო ხელნაწერთაგან ჩვენს დრომდე მოუღწევია რამდენიმეს, მათ შორის სამ ოთხთავს, რომელთაგანაც ორი ცნობილია მათ-მათი უკანასკნელი სამყოფი ადგილის მიხედვით, მესამე კი—შეწირვის ადგილის მიხედვით; ესენია: ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები.

**ადიშის ოთხთავი** (პირველი შატბერდული) გადაწერილია 897 წ. უკანასკნელად ის დაცული იყო ზემო სვანეთში, ს. ადიშში (სვანური გამოთქმით: ჰადიშში), ამიტომ ჩვეულებრივ ადიშის სახელით არის ცნობილი. პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი შატბერდში იყოს გადაწერილი, მაგრამ, ჯერ ერთი, მის მომგებლად მოხსენებულია სოფრონ, რომელიც უთუოდ ის სოფრონია, რომელიც გრ. ხანძთელის ცხორებაში ასეა შესხული: „დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გვრგვნი მისი“<sup>1</sup>; ეხლა მეორე: ნიკოლას ჯუმათლის მინაწერიდან ცხადია, რომ ადიშის ოთხთავი, სხვა ხელნაწერებთან ერთად, შატბერდიდან არის გამოტანილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მისი დაწერის ადგილი შატბერდია.

**ჯრუჭის ოთხთავი** (მეორე შატბერდული). ტექსტი გადაწერილია 936 წ., ხოლო სურათები შესრულებულია 940 წ. უკანასკნელად ის დაცული იყო ჯრუჭის მონასტერში (ზემო იმერეთში) და აქედან წარმოდგა მისი სახელი.

**პარხლის ოთხთავი** (მესამე შატბერდული) გადაწერილია 973 წელს და მისივე შეუწირავთ პარხლის მონასტრისათვის, რომელიც ტაოში მდებარეობდა. ეს ოთხთავი, ტყეობიდან დახსნილი მე-18 ს.-ში, უკანასკნელად ინახებოდა ს. ზემო ქალაში (ხაშურის ახლოს). ამიტომ მასაც რომ უკანასკნელი ადგილის მიხედვით დაპრქმეოდა სახელი, ის იქნებოდა „ზემო ქალისა“, მაგრამ სახელი შეწირვის ადგილის მიხედვით დაერქვა და პარხლის ოთხთავად არის ცნობილი.

შევჩერდეთ თვითეულ მათგანზე უფრო დაწერილებით.

<sup>1</sup> გ. მერჩული. შრომა და მოლუაწებაჲ ღირსად ცხორებისა გრიგოლისი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ (გამოსცა ნ. მარმა: TP, VII, CII 1911. 49, 12—13).

ა დ ი შ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი

ადიშის ოთხთავი (დათქმით C) კარგად ცნობილი ძეგლია. პირველი ბექდ-ვითი ცნობა მის შესახებ ეკუთვნის გრაფინა პ. უ ე ა რ ო ვ ა ს და ა. ხ ა ხ ა ნ ა-შ ვ ი ლ ს<sup>1</sup>. ოლონდ პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ შესანიშნავ ხელ-ნაწერს, იყო სვანი მღ. ბ ე ს ა რ ი ო ნ ნ ი ე ა რ ა ძ ე, რომლის აღწერილობა სვა-ნეთში დაცული ხელნაწერებისა გვიან დაიბეჭდა<sup>2</sup>.

1910 წ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მეთაურობით მოეწყო სვანეთის ექსპედი-ცია (პ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხარჯით). ექსპედიციის დროს ფოტოგრაფმა დ. ე რ-მ ა კ ო ვ მ ა გადაიღო მთელი ხელნაწერი. ამ ფოტოსურათების მიხედვით მოს-კოვის საარქეოლოგიო საზოგადოება შეუდგა ძეგლის ფოტოტიპურ გამოცე-მას, რომელიც ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს მიენდო, მაგრამ, უკანასკნელის ხანგრძლივი ავადმყოფობისა და შემდეგ სიკვდილის გამო (1912 წ.), მთელი მასალა გადაეცა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს, რომელმაც გამოცემას წაუშმძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა რუსულ ენაზე (გვ. 8—20). აქ ადიშის ოთხთავი მოთავსებულია 200 ტაბულაზე (თითო ტაბულაზე საერთოდ ოთხ-ოთხი გვერდი) და მთელი გამოცემა შედის ზეთოთხმეტე ტომად ცნობილ სერიაში: *Материалы по археологии Кавказа*, (вып. XIV, Москва, 1916)<sup>3</sup>. თუ წინათ ადიშის ოთხთავს იცნობდა და იყენებ-და თითო-ორი სპეციალისტი<sup>4</sup>, ფოტოტიპურად გამოცემის შემდეგ ის ხელ-მისასწვდომი გახდა მკვლევართა ფართო წრეებისათვის და რამდენიმე გამოკვ-ლევა მიეძღვნა<sup>5</sup>.

ადიშის სახარების გადაწერის თარიღს არკვევს ქრონიკონი, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის 387 ფურცლის წინა გვერდის მეორე სვეტზე და ასე იკითხება (სურ. 1):

<sup>1</sup> *Материалы по археологии Кавказа*, X, 1901. გრაფინა შეეხო მინიატურებს (გვ. 77, 148—149), ხოლო ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — ტექსტს: *Сванетские рукописные евангелия* (დამატე-ბა იმავე ტომისა), გვ. 1—9.

<sup>2</sup> სვანეთის ხელნაწერები („მოამბე“ 1904, IX, მე-2 განკ., გვ. 1—18; ადიშის ოთხთავის აღწერილობას აქ უქირავს გვ. 3—13 [(ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე სოფლის სახელს ასე წერს: ჰადიშ, სა-დაც ორი „ი“ ხმოვის სივრცეს გადმოგვეცმს (=ჰადიშ)].

<sup>3</sup> ე რ მ ა კ ო ვ ი ს მიერ გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ფოტოტიპურ გამოცემას, ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფოტოტიპე-ბის კოლექცია, № 62.

<sup>4</sup> მაგ., Н. Марр, *Заметки по текстам св. Писания*, §§ 16—24 (XB, II, 1913, 172—174).

<sup>5</sup> კ. კ ე ე ვ ლ ი ძ ე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება (ტ. უ. მ. II, 1922—23, 392—396); ა. შ ა ნ ი ძ ე, ჰემეტობა ადიშის სახარებაში (იქვე, გვ. 417—424); R. Blake, *Notes on the Text of the Georgian and Armenian Gospels* (*Quantulacumque* 1937, pp. 355—363) [ბ ლ ე ი კ ი ს სხვა ნაშრომები ზემოთ არის დასახელებული, გვ. 06—07]; თ. გ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში (ენიმკის მოამბე, IV, 115—162); P. Шмеллер, *Адишское евангелие* („პართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“, გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1940, გვ. 39—40); ს. ყ ა უ ხ ა ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ხელნაწერის ბერძნობე-ბი (ენიმკის მოამბე, XIV, 1944, 93—116).

[„დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა ზე[ა, ქრონიკო]ნსა რიჳ, შობ[ითგან] უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა. ქრისტე მ[ე]უფეო, შეგვწყალენ [ყოველნი?] ერთობით. ამენ<sup>1</sup>.

მწერ(ალი) ამისი მიქაელ ლოცვასა მომაქს[ენ]ეთ და შემინდვეთ სიუცბე ჩემი.

და მშოსელიცა მიქა[ელ] დიაკონი მომიკსენ[ეთ] წმიდასა ლოცვასა თქუენ- [სა]. უფალი მფარველ გუქმენინ<sup>2</sup> ყოველთა ერ[თობით. ამენ“].

ამ სამ თარიღთაგან დაუზიანებლად შემონახულია მარტო ორი: ქართუ- ლი ქრონიკონი და ქრისტესითი, დასაბამითანისა კი მარტო ორი ასოა გა- დარჩენილი. რადგანაც ქართული ქრონიკონის ანგარიში ყველაზე სანდოა, ამი- ტომ ცხადია, რომ გადაწერის თარიღად, ეხლანდელ სათვალავზე გადმოყვანით,  $(780+117=)$  897 წელია ნაგულისხმევი. ამის მიხედვით აღვილია დასაბამითა- ნის დაკარგული ასოს აღდგენაც. ურთიერობა ამ ორ წელთაღრიცხვას შორის, მე-9-10 საუკუნის ხელნაწერთა მოწმობის თანახმად (მათ შორის ჯრუჭისა და პარხლის სახარებათა მიხედვითაც), ასეთია: დასაბამითგანი უნდა უღრიდეს 12 კეიკლოსის წელთა რაოდენობას  $(532 \times 12 = 6384)$  პლუს მე-13 მოქცევის წლე- ბი. რადგანაც  $6384+117=6501$ , ამიტომ ცხადია, რომ დასაბამითგანის რიცხვს (ზე=6500) აკლია ა (1), როგორც ეს უკვე ე. თაყაიშვილმა აღნიშნა<sup>3</sup>: ზე[ა].

რაც შეეხება ქრისტესით ანგარიშს, ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ აქ ალბათ შეცდომიანია, მაგრამ, როგორც კ. ქეკელიძემ გამოარკვია, ქრისტესით ანგარიშის დროს ხელნაწერის გადამწერისათვის გამოსავალია არა ქართული სათვალავი (5604 წლიანი), არამედ ალექსანდრიული, რომელიც ქრის- ტემდე ითვლიდა 5500 წელს და ქართულ სათვალავს 104 წლით ჩამორჩებო- და. ეს განსხვავება რომ გამოვავლოთ ხელნაწერში მოცემულ თარიღს 1001-ს, მივიღებთ იმავე 897 წელს  $(1001-104=897)$ <sup>4</sup>. ამგვარად, სამოვე თარიღი თა- ნაბრად იძლევა 897 წელს და ეჭვი არ არის, რომ თარიღიან ოთხთავებს შო- რის აღიშისა ჯძველესია.

აღიშის საბარების გადაწერის თარიღს დაახლოვებით არკვევს აგრეთვე ანდერძში მოხსენებული პირების ცხოვრების დრო. ორ უკანასკნელ ფურცელზე (სურ. 2 და 3) იკითხება [ქარაგმებს ვხსნით]: **ჯ**<sup>5</sup>

[„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა“<sup>6</sup> წმიდისა[ათა], მეოხებითა [წმიდისა] ღმრთის მშობელ[ლის]ათა და წმიდისა[ი] ონე ნათლის-მცემელ[ის]ათა და წმიდ[ის]ათა მახარებელ[ის]ათათა და [ყოველთა] წმიდათა მისთათა ღირს ვიქ- [მენ] მე, გლახაკი [ს]ოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამ[ას] წიგნსა სახ[არებ]სა ოთხ[თავსა] ფრიადითა შოლ[ელ]უაწებ[ითა] სუ[ლიერთა] ძ[მ]ათა ჩემთათა, სალოცვე- ლად ყოვლისა ამის კრებულისათჳს და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ქორციე- ლად, და სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა ადრნესე კურა-

<sup>1</sup> ან C. \* ვუქ [ ] C (ან ვგებინ: გუქმენს ?).

<sup>2</sup> აღიშის სახარების წინასიტყვაობა, გვ. 14.

<sup>3</sup> კ. ქეკელიძე, როდისაა გადაწერილი აღიშის სახარება (ტ. უ. მ. II, 392—397).

<sup>4</sup> ანდერძის დასაწყისი აღდგენილია ჯრუჭის ანდერძის დასაწყისის მიხედვით.

პალატისა და ღმრთივ ბოძთა ნაშობთა მათთა დავით ერის[თავი]სა და მეულ-  
 ლეთ[ა] და ნაშობთა<sup>1</sup> მ[ა]თათუჲს, [სა] [ს]ალოცველსა<sup>2</sup> სულთა გარდაცვალებულ-  
 თათუჲს: სულისა<sup>3</sup> მამისა გრიგოლისა, სულისა<sup>4</sup> მამისა გაბრიელისისა<sup>5</sup> და ყო-  
 ველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათუჲს და სულთა მეფეთა ჩუენთათუჲს:  
 არსენისა, დავითისა, აშოტისა და ყოველთა თჳსთა გარდაცვ[ალ]ებულთათუჲს.  
 აწ ვინცა ღირს იქმნ[ნეთ] აღმოკითხვად[ღ] და მსახურებ[ა]დ წმიდასა ამას სა-  
 ხარ[ე]ბასა, მოგვკსენ[ნეთ] წმიდათა შინა ლო[ც]ვათა თქუენთა ჩუენ [ღ]ა ყოველ-  
 ნი, რომელნი წერილ [არ]იან, რაათა<sup>6</sup> თქუენცა [მი]განიჲს ღმერთმან კეთილი  
 საუკუნოჲ<sup>7</sup>, და [ჩ]ნ ყ[ლ]ნი[ღ] ერთობით ღირს[მ]ც[ა] ვართ საყოფელსა<sup>8</sup> ცათასა  
 ქრისტე<sup>9</sup> [ღმრთისა] უფლისა ჩუენისა [.....] თ[ ] კ<sup>4</sup>.

აღნიშნულ ისტორიულ პირთა ცხოვრების დროის გამორკვევით ე. თ ა-  
 ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა დაასკვნა, რომ ადიშის ოთხთავი გადაწერილი უნდა იყოს მე-9  
 საუკუნის ბოლოსა<sup>10</sup>, რაც თავის მხრით ადასტურებს ქრონიკონის ცნობას.

სხვა მინაწერთაგან ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი, რომელიც მე-16  
 ს.-ის ნუსხურით არის შესრულებული ქრონიკონიან გვერდზე, მარჯვნიდან ამო-  
 ლეებული საკიხავის შემდეგ, 387 ფურცლის წინა გვერდის პირველ სვეტზე  
 (სურ. 1). მინაწერი მოგვითხრობს ადიშის ოთხთავის გამოტანის ამბავს შატ-  
 ბერდიდან (მოგვეყავს ქარაგმების გახსნით):

„სახელითა არსება-დაუბადებელისა ყოვლად წმიდისა სამებისაჲთა, მეო-  
 ხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, შეწვენითა და წყალობითა წმი-  
 დათა მთავარანგელოსთაჲთა, მეოხებითა და შეწვენითა ყოველთა წმიდათაჲთა  
 მე, ნიკოლაოს (ნკლს), ოდესმე ჯუმათისა მამასახლის ყოფილმან, უღირსმან  
 და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა (აშენენ ღმერთმან კლარჯე-  
 თისა მონასტერსა) შევიარენ და შევიკრიბენ წმიდანი ესე წიგნი: პირველად  
 წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი, და მრავალთავი, და ჯელთ კანონი, მამათა  
 წიგნი, და კითხვა-მიგებაჲ. უმეტესად<sup>11</sup> ალაშენენ ღწ შ[ატ]ბერდი: [ესე] ოთხ-  
 თ[ ] ვი და ჯელთ [კანონი და] მამათა წიგნი [მა]თსა ეკლესიასა...“<sup>4</sup>

აქ მოხსენებულ წიგნთაგან მრავალთავი ის ხელნაწერი უნდა იყოს, რომელ-  
 საც შატბერდის კრებულს ვეძახით (S 1141), ან ის, რომელიც უდაბნოს მრავ-  
 ალთავის სახელით არის ცნობილი და რომელიც უკანასკნელად გურიის იოანე  
 ნათლის-მცემლის მონასტერში ინახებოდა (ჩოხატაურის ახლოს)<sup>12</sup>.

<sup>1</sup> ნაშობთა C. <sup>2</sup> ასეა. <sup>3</sup> სლსა C. <sup>4</sup> სლსა C (ოღონდ ინისა მარტო თავია დაწერილი).

<sup>5</sup> ინს სანებს შორის მარტო თავი აქვს წერტილის სახით (ნახე წინა შენიშვნა). <sup>6</sup> რა C. <sup>7</sup> საუ-  
 კუნოჲ C. <sup>8</sup> უფრო „საყოფელსა“, ვიდრე „სასუფეველსა“, რადგანაც „ყ“-ს თავი ჩანს. <sup>9</sup> ქე C.

<sup>10</sup> ფოტოტიპირის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 16—17.

<sup>11</sup> ამ სიტყვის შემდეგ ფოტოსურათზე ასოები კარგად არ ჩანს და მოგვეყავს თანახმად  
 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა ს ა, რომელსაც ხელნაწერი ჰქონდა ხელთ. მინაწერი ბოლომდის მიწინა არ  
 არის ამოკითხული.

<sup>12</sup> რვა ფურცელი ამ ხელნაწერისა მოიპოვებოდა გ რ ე ნ ს კ ო ლ ე კ ტ ი ა შ ი მ ი, № 6 (პეტერ-  
 ბურგ. საჯარო სამკითხველოში) და დაუბრუნდა საქართველოს 1923 წ., ერთი ფურცელი კი  
 ინახებოდა საკლესიო მუზეუმში (№ 713). ისინი შეუერთდა მთავარ ნაწილს, რომელიც თბილისს  
 ჩამოვიტანე გურიის უდაბნოდან 1920 წ. და ამჟამად დაცულია საქართვე. მუზეუმში (A 1109).  
 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა შ ი მ ი შ ა ტ ბ ე რ დ ი დ ა ნ გამოტანილ მრავალთავად ამ ხელნაწერს ვარაუდობდა  
 დგოტოტიპ. გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 12; არქეოლ. ექსპ. კოლა-ოლთისში, გვ. 309).

აქა-იქ შიგ ტექსტში, ან აშმაზე მოიპოვება საკითხავების ჩვენება სხვადასხვა დღესასწაულათათვის და სხვა შემთხვევათათვის, მიწერილი გვიანდელი ნუსხურით (დაახლ. მე-17 საუკუნისა). მაგალითები: უნებისა(=ვენებისა) კვრიაკესა (ტ. 55 ზ, 2), დიდსა შაბათსა ცისკრად (ტ. 63 ზ, 2), სნეულსა ზედა თუ გინდეს (ტ. 66 ზ, 2), ფერისცვალებისა (82 ქ, 2), წმიდათა მოწამეთა (86 ზ, 1), დიდსა პარასკევსა (87 ზ, 1), ბზობასა ცისკრად (88, -), კე მარტსა (ტ. 102 ქ, 2), სნეულთა ზედა (114 ზ, 2), წმიდისა ბარბარესი (118 ზ. 1), ლაზარესი (139 ქ, 2) და მისთ.

ეს მინაწერები შესრულებულია ვინმე ათანასეს მიერ, რომელიც ერთვან წერს: „ღმერთო, გვედრია სელი (sic) ათანასესი, ფრიად ცოდვილის(ა)ჲ, დღესა მას განითხვისასა და სულსა (ს'ლსა) ბრძოლისა ჩემისასა ნუ მისცემ მავნებელთა ჩემთა, არამედ შემოწყალე სახიერებისათჳს<sup>1</sup> შენისა, წმიდათა ანგელოზთა შენთა ოხითა განმარინე მტერისა საბრვეთავან. ვინ აღმოიკითხოს, მასცა მოწყალე ექმენ“ (ტ. 110 ზ, 2).

როგორც მინაწერების ორთოგრაფია ამკლავნებს, ეს ათანასე უნდა იყოს სვანი, რადგანაც ის რეეს ერთმანეთში ვ-სა და უ-ს: „უნებისა კვრიაკესა“ (=ვენებისა კვრიაკესა), „სელი“ (=სული)?

ორ სხვა ნუსხურ მინაწერში მოხსენებულია აღიში:

ერთში (ტ. 167 ქ, 2) ნათქვამია: „ღ'ნ აღიდლოს აღშისა (sic) სუფელი (sic). ღ'ნ შეუნდოს იოვანეს მუბზეჴანსა, ა'ნ“. „მუბზეჴანი“ სვანური გვარი ჩანს, ქართულად თუ ვთარგმნით, იქნება: ბეჩოელიძე (ბეჩო სოფელია სვანეთში. აქედან „მუბზეჴე“ ბეჩოელი, „ან“ კი (უფრო ზედმიწევნით: ან) სვანური გვარების დაბოლოებია)?

მეორე ნუსხური მინაწერი (სხვა ხელით, მეტად მდარით, (ტ. 178 ზ.) ან-შეტობას გვიჩვენებს და ასეთი შინაარსისაა (მეტეი ანები ფრჩხლებშია ჩასმული):

„ღ'ნ [ა]დღვ(ა)ს<sup>4</sup> აღ'შოშს ს(ა)ფლჲ. ღ'ნ მ(ა)ქ'ლჲ აბრგას(?) ჰაკთხს(=ჰაკურთხოს?) დღ'სა მ'ს(ა) დ'ღ'სა გნ'კ'თხოს'სა, დღ'სა ბრძ(ა)ს მ'ს...“

სოფ. აღიში მოხსენებულია (აქ უკვე ჰადიშად) სამს „ქუეყნის სამაგრობელ დაწერილში“, რომლებიც ქვედა აშიებზეა მიწერილი მკედრულად მე-16-17 საუკუნის ხელით (ტტ. 7, 179, 188). სამივე აქტი გამოსცა პ. ინგოროვიძემ ტაბ. 7 = ინგორ. № 61.

ტაბ. 179 = ინგორ. № 63.

ტაბ. 188 = ინგორ. № 62.

ალარას ვამბობ აღიშის სახარების სხვა მხარეების შესახებ (ზომისა, ფურ-

<sup>1</sup> ხელნაწერში: სხერებისათჳს.

<sup>2</sup> სვანს არ გააჩნია კბილ-ბაგისმიერი „ვ“, სამაგიეროდ აქვს ბგერა, რომელიც დაახლოვებით ისე გამოითქმის, როგორც ინგლისური w. ამ ნიადაგზე გასაგებია ვ და უ-ს აღრევა სვანისა ქართულად წერის დროს.

<sup>3</sup> ამ სახელსა და გვარს ბ. ი. ძარაძე ასე კითხულობდა: „იოვანეს მუმზეჴანსა“ (გვ. 13), ა. ბახანაშვილი კი - „იოვანეს მუმზეჴანსა“ (გვ. 7) და გვარის პირველ ნაწილში ხელდავლ მგერულ „მუმ“-ს (ქართ. „მამა“).

<sup>4</sup> პირველი „ა“ სულ არ იკითხება.

<sup>5</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი II, ტექსტები. თბილისი 1941 (შემოკლებით ინგორ.).

კელთა რაოდენობისა, ხელისა, შემკულობისა, კამარებისა და სხვ.), რადგანაც თვითონ ძველი ფოტოტიპიურად არის გამოცემული მთლად და თანაც ე. თაყაიშვილს ეს საკითხები ვრცლად აქვს განხილული თავის წინასიტყვაობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ადიშის ოთხთავის ტექსტის სტამბური წესით გამოცემას შეუდგა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლექი (R. Blake). უკვე გამოცემულია მარკოზისა და მათეს თავები. ასაწყობად იყო მიცემული იოანეს თავი (1939 წ.), მზადდებოდა ლუკასი და, ომიანობა რომ არა, ეხლა მთელი ოთხთავი გამოცემული იქნებოდა. გამოცემას დართული აქვს ვარიანტები ოპიზისა (913 წ.) და ტბეთის (995 წ.) ოთხთავების მიხედვით და ახლავს ლათინური თარგმანი<sup>1</sup>.

### ჯ რ უ ჯ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი

(H 1660)

ჯ რ უ ჯ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი (დათქმით D) შედგება 297 ფურცლისაგან, ჩასმულია ტყავ-გადაკრულ ხის ყდაში, ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად შავი მელნით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი ინიციალისა, რომლებიც წითურად არის ნაწერი. წითურადვეა შესრულებული მახარებელთა სახელების ინიციალები ქვემო აშიებზე მოყვანილ სიმფონიაში (მ, მრ, ლ, ი).

ზომა ხელნაწერისა: 26×21 cm (ან ოდნავ მეტი), ტექსტის სიმაღლე 20—21,5 cm, სიგანე 15 cm. სვეტში მოთავსებულია 20—23 სტრიქონი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მომდევნო გვერდის დასაწყისი სიტყვის ჩვენებას წინა გვერდის უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ). ამას გარდა ქვემო აშიებზე ამონიოსის „თანხმობას“ უჭირავს საშუალოდ 4 წვრილ-წვრილი სტრიქონი (2-დან 6-ამდე).

ტექსტი ნაწერია ერთი ხელით, გარდა მათეს და მარკოზის სახარებათა დაბოლოებისა, რომლებიც მინიატურებიან ფურცლებზე გადადის და მხატვარს დაუმთავრებია. ესენია: მათეს უკანასკნელი თავის ორი უკანასკნელი სიტყვა: „აღსასრულამდე სოფლისა“ (28, 20), ხოლო მარკოზისა—სამ მუხლ-ნახევარი: „სწეულთა ზედა ჯელი დასდენ“ და შემდგომი (მარკ. 16, 18—20).

თავში მოთავსებულია სურათები (მათ შორის მათეაი) და კანონები, ეს სურათები საგანგებო დაკვეთით არის შესრულებული 940 წ. (ამაზე ქვემოთ, გვ. 025 და შემდგომი). თვით ტექსტი იწყება მე-8 ფურცელზე და მიდის 289 ფურცლამდე, ოღონდ ორ-ორი ფურცელი უჭირავს საილუსტრაციო მასალას მარკოზის, ლუკას და იოვანეს თავების წინ (92—93, 143—144, 228—229).

ეტრატის ფურცლები უმეტესად თხელია და ნაზი, მელანი უფრო მოჰკი და დგება გარეთა (ბეწვის) მხარეს, მოყვითალო ფერისას, ხოლო შიგნითა (ხორცის) მხარეზე, რომელიც თეთრია, მელანი ბევრგან გადალექულა და ნაწერი ძნელად იკითხება. ეს ადგილები ზოგან გაუცხოველებიათ უახლოეს დროში (მე-18

<sup>1</sup> ნახე ზემოთ, გვ. 06.

ს.-ში?) მთლად ან ნაწილობრივ. მთლად განახლებულია შემდეგი გვერდები: 8 რ, 19 ვ, 20 რ, 21 ვ, 23 რ, 24 რ, 25 ვ, 26 რ, 29 ვ, 30 რ, 48 რ, 51 ვ, 59 ვ, 63 ვ, 70 რ, 91 ვ, 113 ვ, 137 ვ, 138 რ, 142 რ, 145 ვ, 146 რ, 147 ვ, 149 ვ, 230 რ, 232 რ. მთლად განახლება (ან გაცხოველება) იმაში მდგომარეობს, რომ მთელი გვერდის ტექსტის სიტყვები ხელახლა დაუწერიათ ძველი ასოების კვალზე, განახლებული ადგილები შავად გამოიყურება, მაშინ როდესაც პირვანდელ ნაწერს მიხაყის ფერი გადაჰკრავს.

ნაწილობრივ გაცხოველებულია ტექსტი შემდეგ გვერდებზე: 22 რ, 27 ვ, 29 რ, 45 ვ, 46 რ, 47 ვ, 49 ვ, 50 რ, 52 რ, 53 ვ, 54 რ, 56 რ, 58 რ, 60 რ, 61 ვ, 62 რ, 64 რ, 65 ვ, 66 რ, 67 ვ, 68 რ, 69 ვ, 71 ვ, 72 რ, 73 ვ, 74 რ, 79 ვ, 80 რ, 82 რ, 85 ვ, 86 რ, 89 ვ, 90 რ, 94 რ, 95 ვ, 96 რ, 100 რ, 107 ვ, 114 რ, 118 რ, 119 ვ, 120 რ, 139 ვ, 140 რ, 141 ვ, 148 რ, 151 ვ, 152 რ, 154 რ, 231 რ (ეს კი ბეწვის მხარეა!), 231 ვ, 239 ვ, 240 რ, 252 რ, 287 ვ, 289 ვ, 290 რ. ნაწილობრივ გაცხოველებილია, რომ ვამბობთ, ეს ნიშნავს, რომ ახლად გაყოლებულია კალამი ძველი ასოების მონახაზზე, მაგრამ არა ერთსა და ორ სიტყვაში, არამედ სვეტის გარკვეულ მონაკვეთზე ან მონაკვეთებზე. წვრილ-წვრილი გაცხოველების შემთხვევებიც მოიპოვება, მაგრამ მათ არ აღენიშნავთ.

გამაცხოველებელს მრავალ შემთხვევაში შეცდომები მოჰსვლია: უკუთურთა (= უკეთურთა, მ. 7, 11), ბინდეს (= გინდეს, მ. 7, 12), განისარონ (= განიზარონ, ლ. 1, 14), ყეთა (= ძეთა, ლ. 1, 16) და სხვ. ზოგი მისი შეცდომა გამოცემაში არც აგვინიშნავს. თუმცა გამაცხოველებელი ცდილა, რომ ასოთა ძველ ნახაზებზე გაეყოლებინა კალმის წვერი და ახალი ასო ძველისათვის დაემსგავსებინა, მაგრამ ეს ზოგ შემთხვევაში ვერ მოუხერხებია და თავისებურად გამოუყვანია ასო. გაცხოველება ახალი დროისაა, თითქო მე-18 საუკუნისა.

გადამწერის ხელის დამახასიათებელია ასოთა ზემო ვერტიკალური ხაზის დაწყება კალამ-გამობილად: ტ, ხ, ლ, შ (სურ. 14). ამას გარდა საყურადღებოა, რომ ზოგან მთავრული ასოები ჩამოგრძელებულია ძირს ქვემო აშიაზე: 12 რ, 17 რ, 34 რ, 44 ვ, 60 რ, 63 რ, 72 ვ, 80 რ, 88 ვ, 119 რ. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ზოგი ინიციალი მრავალ შემთხვევაში დაგრძელებულია ტექსტშივე (ლ, ლ, ზ, ლ, ლ და სხვა); მაგ., დაგრძელებულ ლ-ს უჭირავს 5 სტრიქონის სიმაღლე, ზოგჯერ 6-ისაც კი.

ხელნაწერი აკინძულია და ყდაშია ჩასმული, მაგრამ ზოგი ფურცელი ამოკეციხულია: 1, 2, 6, 7, 8, 14, 92—93, 107, 113, 136, 143—144, 196, 201, 202, 228—229. ამას გარდა, ზოგ ფურცელს ყუა მოჰხვევია და სუსტად არის დაკავშირებული.

სრულიად აკლია ფ. 97 და სათანადო ტექსტი (მარკ. 1, 45—2, 12) აღდგენილია ქალაღზე მე-18 საუკუნის ნუსხური ხელით.

ნუმერაცია წიგნს მოღწეული ფურცლების მიხედვით აქვს გაკეთებული, მაგრამ, რვეულებს თუ მივიღებთ მხედველობაში, წიგნს სხვაგანაც უნდა აკლდეს: წინა რვეულს, საილუსტრაციოდ გამოყენებულს, აკლია ერთი ფურცელი. ერთი ფურცელი აკლია თავში პირველ ტექსტის რვეულსაც.

უკანასკნელი აკინძვის დროს პირველ ტექსტის რვეულში შეცდომა მოჰსვლიათ: ფფ. 9—10 და 11—12 შებრუნებული რიგით მისდევნ ერთმანეთს: 10—9 და 12—11.



ზოგ ფურცელზე დაჰსხმიათ რალაც სითხე (წითელი ღვინო? ზეთი?) და ამ ფურცლების ზემო ნაწილი დასერილია და მეტად გაყვითლებული. სითხეს რამდენადმე გაუტანებია წინ და უკან. ასეთებია: ფფ. 29, 30 (გატანებულია: 27, 28, 31, 32), 223, 224, 225, 226, 236, 237, 238. იგივე ამბავია, მაგრამ ნაკლები ოდენობით, 37—38 ფფ., აგრეთვე 116—117 ფფ.-ზე (აქ შუაზე) და 212 ფ.-ზე. ამ ადგილების ტექსტის წაკითხვა ოდნავ გაძნელებულია.

ხელნაწერის სხვა თავისებურებათაგან აღსანიშნავია, რომ დახაზვისას ხაზების სწორად გასატარებლად გაკეთებული წერტილები (ნაჩვენებები) უმეტესად გარეთა აშის ბოლოს არის გატანილი, მაგრამ ზოგჯერ ნაწერთან ახლოს მოდის (ფფ. 171—210).

მიუხედავად იმისა, რომ D ხელნაწერი E-ზე უფრო ძველია, ის უფრო ახალ ფორმებს გვაძლევს, ვიდრე E, რომელიც 37 წლის შემდეგ არის გადაწერილი. ეს განსაკუთრებით ე-ზე დაბოლოებულ სახელებში იჩენს თავს: სახელობით ბრუნვაში ესენი ჩვეულებრივ ე-ს ვეიჩვენებენ (და არა ო-ს). ამას გარდა, დამახასიათებელია ჰაბუკი (მათ. 19, 20; 19, 22, ნაცვლად ჰაპუკისა). სხვა თავისებურება: ფუძის ნაცვლად აქ ფურძ იხმარება: „დაფურძნებულ“ (მათ. 7, 25, ლუკ. 6, 48), „საფურძველი“ (ლუკ. 6, 48; 14, 29 და სხვაგან). შეიძლება შემთხვევითი არ იყოს „ზუარიკი“<sup>1</sup> (ლუკ. 56, 30), არც ისა, რომ გვხვდება „წუმაჲ“ (მათ. 5, 45) და „აწუმა“ (ლუკ. 17, 29). ხელნაწერში ბევრია ფორმები გარდამავალი საფეხურისა ჰემეტობიდან სან-ნარეობამდე; გარდამავალი საფეხურის ბგერა ორმაგი ნიშნით არის გამოხატული (ჰს): ჰსთხოვდეს, თაყუანის-ჰსცემდა და მისთ. ერთსა და იმავე მუხლში გვხვდება: ჰატიე-ჰსცეს და ჰატიე-სცეს (იოვ. 5, 23). ხშირად გვხვდება ასოებისა და მარცვლების დაკლება („ფარისეველო ორგუნო“ = ფარისეველნო ორგულნო, მათ. 23, 23), მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ნარების დაკლება ხმოვნის შემდეგ, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ „უცბად მჩხრეკალი“ გაბრიელი ასეთ ხმოვნებს ცხვირში გამოთქვამდა (ე. ი. ნაზალური ხმოვნები ჰქონდა): საუჯესა (მათ. 6, 6), საუჯეთა (ლუკ. 12, 3), იუჯებდით (მათ. 6, 20), საუჯე (მარკ. 10, 21), იყილო (= იყილონ, მათ. 6, 26), მუ (= მუნ, ლუკ. 2, 25), მუცა (= მუნცა, ლუკ. 17, 37), შე (= შენ, ლუკ. 5, 24) და სხვა<sup>2</sup>. ერთ შემთხვევაში ახალი სიტყვა გვხვდება: „უკეთესი“ („უმჯობესის“ ნაცვლად, მარკ. 14, 21), მაგრამ ამ შემთხვევაში მას E-ც უკერს მხარს.

ყდა შეძლებისამებრ მხატვრულად არის გაფორმებული. ხეზე გადაკრული ტყავი სულ მოკერეთილია უკანა მხარეს, წინა მხარეს კი—ნაწილობრივ. სამაგიეროდ წინა მხარე შემკული ყოფილა ხუთი ჯვრით, რომელთაგანაც ერთი დიდი და ოთხი პატარ-პატარა ყოფილა (სურ. 4). დიდი მოთავსებულია შუაზე, პატარაები კი—კუთხეებში. პატარა ჯვრებს, რომელთაგანაც მხოლოდ ორია შემონახული ზემო კუთხეებში (ქვედაებისა მარტო ნაკვალევია დარჩენილი), მხრები თანაბარი ჰქონიათ, მათი ზომაა 3×3 cm. ესენი წარმოადგენენ ჯვრად გამო-

<sup>1</sup> შდრ. იმერული ფორმები: აფხანიკი, ლაპარიკი,

<sup>2</sup> ნაჩიანი ფორმებიც გვხვდება: საუნჯესა (მათ. 6, 26), საუნჯეთა (მათ. 6, 20), ნუ დიუნჯებთ (მათ. 6, 19).

ქრილ უბრალო ლითონს, დაკრულს ყდაზე ოთხი ვერცხლის სამსკვლით, რომელთა ოთხივეც ყდის შემკობის მიზანს ემსახურებიან. შუაზე ჯვრებს ძვირფასი ქვა (ლალი?) უნდა ჰქონოდეთ ჩასმული, მაგრამ ამჟამად ქვა აღარ მოიპოვება.

შუა ჯვარი ძველად სიმაღლით 17,5 სმ უნდა ყოფილიყო, ამჟამად კი მას ქვემო ნაწილი დაზიანებული აქვს და სიმაღლე 15 სმ-ია. განი ჯვრისა უნდა ყოფილიყო 12 სმ, მაგრამ ეხლა დაზიანებულია. ამჟამად მთლიანად შენახულია ზემო ფრთა, რომელიც ფორმით ოთხკუთხეულ ჯვარს წარმოადგენს. ეს ნაწილი შეერთებულია ცენტრთან ოთხი ვერცხლის სამსკვლით, თვითონ თავი კი ოთხი სამსკვლით არის დაქედებული. შუაში ჯვარს ლალი აქვს ჩასმული. ასევე უნდა ყოფილიყო ორივე ჰორიზონტალური მხარიც, მარჯვენა და მარცხენა, მაგრამ მარცხენისაგან ერთი სამსკვალა დარჩენილი, მარჯვენისაგან კი — ორი.

ცენტრში ლითონის ჯვარი, რომელზედაც მდარე ხელობის ჯვარცმაა გამოსახული, ოთხი ვერცხლის სამსკვლით არის დაკრებული. ქვემო ფრთა გრძელია და დაქედებული ყოფილა შეიდი სამსკვლით, რომელთაგანაც ერთი (ზემოდან მესამე) დაკარგულია. შემდგომ იწყებოდა გაფართოება, რომელიც ჯვრის ბაზის წარმოადგენდა. ამისგან ორი სამსკვალა დარჩენილი.

მთელი ეს მორთულობა გვიანდელი ხანისაა, ალბათ წიგნის უკანასკნელი შემოსის დროს შესრულებული (მე-18 ს.?).

წინა მხარესვე ნაპირას, შუაზე, მაგრამ მარჯვენა ნაპირისაკენ, ჩასმულია ვერცხლის ჩხირი, რომელიც ღილის სამსახურს ასრულებდა და რომელზედაც მეორე ყდაზე დამაგრებული თასმა (კილა) მაგრდებოდა წიგნის შესაკრებად. მართლაც, უკანა ყდას მარცხენა მხარეს რგოლი აქვს, რომელზედაც თავის დროზე თასმა უნდა ყოფილიყო გამობმული.

ორსავე ყდას შიგნითა მხარეს გადაკრული აქვს ვარდისფერი თხელი აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც კარგი ნიმუშია ძველი ქართ. ქსოვილისა.

წიგნის მეორედ(?) აკინძვისას და ყდაში ჩასმისას ხელნაწერი უთუოდ დაუპატარებიათ აწიების ჩამოკრით, უმთავრესად ზემო მხარეს. ამით იხსნება, რომ ზემო აწიები მცირეა შედარებით.

რვეულებს სათვალავები ქართული ასოებით ჰქონია გაკეთებული თავში და ბოლოში (ე. ი. პირველი გვერდის ზედა აწიებზე და უკანასკნელის ქვედა აწიებზე). ზოგ შემთხვევაში ქვედა სათვალავები შენახულია.

უკანასკნელი რვეული (ფფ. 292—297) უკირავს სახარების საკითხავების საძიებელს, რომელსაც თავში უნდა აკლდეს ორი ფურცელი. საძიებელი დაწერილია ნუსხურად თითქო იმავე გაბრიელის ხელით, რომელსაც მთელი ოთხთავის ტექსტი გადაუწერია ძრგლოვანი ასოებით. ეს ნაწილი ნაწერია შავად და წითურად. მაგალითი (წითურები აქ შავად არის გადმოცემული):

„ბზობასა სამ ეამს ს'ზხბა ი'ვნსი: ხევალისაგ'ნ ერია ვ'ე არა იდიდოს ძქ'კ'ც'სა, ძა“.

ჯრუქის ოთხთავს მოეპოვება მინაწერები, რომელთაგანაც ყველაზე საყურადღებოა:

1. ანდერძი, მოთავსებული 291 ფურცელზე (სურ. 23 და 24). აქ იკითხება (ქარაგმებს ვხსნით):

„სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა, ძლიერებითა პატრიონისა ჯუარისადათა, მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისათა (sic)<sup>1</sup>, და წმიდათა მახარებელთადათა და მოციქულთადათა და წმიდათა წინაწარმეტყუელთადათა (წნტყულთადათა), წმიდათა მღვდელ-მოდღურთა და ყოველთა მამათადათა და ყოველთა<sup>2</sup> წმიდათა ნების მყოფელთა მისთადათა ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდად ესე სახარებად ქელთა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისადათა თავად შეფესა ჩემსა სუმბატს (sic)<sup>3</sup> სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა მირდატისთს, თაგუნადისთს (sic) და ძმათა და დათა ჩემთათს და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა საქსრად და მკუდართა საქსენებელად: ღლარიონისთს (sic) და დაშელისთს.

აწ ვინცა იკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებისა, ნუმცა დავიწყებულ ვართ<sup>4</sup> ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რადათა (რ<sup>ა</sup>) თქუენცა უფალმან მადლი მიგანიჭოს. ამენ<sup>5</sup>.

დაიწერა წმიდად ესე სახარებად შატბერდს<sup>6</sup> ქელითა უცბად მხხრეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწეენითა და მოლუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა, რამეთუ დიდი გულს-მოდგინებდა მაჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა. ქსენებულმცა არიან კეთილსა შინა! ამენ<sup>5</sup>.

დასაბამითგან წელნი იყვნეს **ԷՓԺ**, ქრონიკონი იყო **ԺԻԴ**.

სადიდებულად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისადმდე<sup>7</sup>, ამენ<sup>5</sup>.

ამგვარად, ჯრუჭის ოთხთავის გადაწერის თარიღად ნაჩვენებია 936 წელი ორგვარი სათვალავით: დასაბამითგანით (6540—5604=936) და ქართული ქრონიკონით (780+156=936)<sup>8</sup>.

2. იგივე მომგებელი იხსენიება ლუკას სახარების ბოლოს, ფ. 229v, ქვე-

— <sup>1</sup> დაწვრილი უქარაგმობა. <sup>2</sup> აქ ხედმეტად დ არის შემდეგ. <sup>3</sup> „შეფესა ჩემსა სუმბატს“ — სამივე სიტყვა მიცემითშია დასმული. მუსალოდნელი იყო ნათესაობითი. <sup>4</sup> ხელნაწერშია: ვართა. <sup>5</sup> ხელნაწერში: ან. <sup>6</sup> შატბერდსა? („ა“ მკრთალია). <sup>7</sup> ხელნაწერში: ოქი ოქიე.

<sup>8</sup> მოქცევიდ იგულისხმება მეცამეტე, რომელიც, დღევანდელ წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით, 781 წელს დაიწყო. მაგრამ ვილაც მკითხველს (მე-19 ს.) მე-14 მოქცევაში გადმოუტანია ხელნაწერის გადაწერის დრო და იმავე გვერდზე (291v) ქვემო აშიაზე მიუწერია მხედრულად ფანქართით: „1465 წლისა უნდა იყოს, როგორც სჩანს ამ ქრონიკონით“ (ანგარიში არ არის სწორი, მუსალოდნელი იყო: 1468). სამაგიეროდ 1 ფურცელზე მიწებებულია ერთი ქალაქის ფურცელი, რომელზედაც მოცემულია სწორი ანგარიში:

„1886 წელს აგვისტოს 8-ს გიანგარიში.

ქართლის გამონაგარიშებით ამ სახარების დაწერაზედ იყო დასაბამიდან 6540 წელი, ქრისტეს მოსლვაზედ ქართულივე რიცხვითა 5504 წელი. 6540—5604=936. ქრისტეს აქეთ ცხრაას ოც და თექვსმეტს წელში დაწერილია. მას აქეთ არის 950 წელი. ამას ემ(ო)წმება ქართული ქრონიკონიც: ამის დაწერაზედ ყოფილა მეცამეტე მოქცევის 156 წელი. ავილოთ მეცამეტე მოქცევიდამ დანარჩენი 376, 14 მოქცევის) სრული 532 და 15 მოქცევიდამ 42, სულ 950. დეკანოზი მიხაილ მე უ ნ ა რ ც ი ა“.

და აშიაზე, ნუსხურ მინაწერში, რომელიც გაბრიელ მწერლის ხელით უნდა იყოს შესრულებული:

„ადიდენ ღმერთმან გრიგოლ, მომგებელი ამის წმიდისა ევანგელისა და გაახარენ ღმერთმან ყოველთა სახარულთა მისთაგან! და მშრომელი ამის წმიდისა სახარებისა უფალმან შეიწყალენ!“

ამგვარად, ჯრუჭის ოთხთავის მომგებელია გრიგოლ მირდატის ძე, რომელმაც ეს წიგნი გადააწერინა გაბრიელს. ამ გაბრიელს გადაწერაში დაჰხმარებიან სხვა გაბრიელი და გეორგი. რაში გამოიხატა ეს დახმარება, პირდაპირ არ ჩანს.

ვინ არის ეს გრიგოლ მირდატის ძე, ან რა კავშირი ჰქონდა მას შატბერდის მონასტერთან, ეს ჯერ-ჯერობით არ ჩანს არც ამ მინაწერიდან და არც სხვა წყაროებიდან. სახელები მირდატ და თავუნა გავრცელებული ყოფილა ჩვენში მე-10 საუკუნეში, როგორც ეს ჩანს ბერთის ოთხთავის ანდერძიდან, სადაც ამ წიგნის მომგებელი გაბრიელ ცოცხალ შეილთაგან იხსენიებს მიქაელს, მარიამს, თავუნას და შუმანს, ხოლო მიცვალებულ შეილთაგან — როსტომს, გეორგის და მირდატს<sup>1</sup>.

სხვა მინაწერები:

3. იოანეს სახარების ბოლოს, ანდერძიანი ფურცლის წინა გვერდზე (ფ. 290 v) იკითხება მრგლოვანი ხელით:

„ღ'ბ' შ'ნდა სამებაო წ'ო“.

ეს მინაწერი ოთხთავის გადამწერს ეკუთვნის.

4. მნიშვნელოვანია პირველ ფურცელზე ჯვარში ჩაწერილი 15-სტრიქოზიანი მინაწერი, შესრულებული მე-16—მე-17 საუკუნის გამოუცდელი ხელით ნუსხურად (სურ. 5). მინაწერი ხელნაწერის გამოსყიდვის ამბავს მოგვითხრობს. მელანი აქა-იქ გადალეულია, ნაწერი ძლიეს იკითხება, ამონაკითხიც ზოგან საეკვოა. ჩანაწერს ასე ვკითხულობთ:

„ჩ. ბორსანიდლმნ გ'მოი(ს)ყდა(?) ესე ოთხთავი მს ჟამსა ხანთქარი (sic) ბორსანს ჩავი(დ)ა ქრსალსდალმნ (?) გმოვიდა | მოგჯ'უხსა შევიდა არწაფს. შვლმნ ხუცესმნ იოვ'ნე იყიდა მი(უ)ც(უ)მია (?) თერთმეტი | ფლური ბერძ.... ბისტეფანე ამისიქ დამხლორი არიან მორჩასა შე'ს ღ'ნ | მისა შვლ(ს)ა იეს(?) იოვან(?) შ'ეს ღ'ნ ა'ნ | შბ'აშს შ'ეს ღ'ნ ა'ნ იონიქს | შ'ეს ღ'ნ გოზმ. დას. შ'ეს | ღ'ნ ა'ნ გბრიელს | შ'ეს ღ'ნ მისა შვ'სა | გიორგის შ'ეს | ღ'ნ ა'ნ“.

წარწერის შინაარსი უთუოდ ხელნაწერის ბედზე მიგვითითებს. ამიტომ აუტილებელია, წარწერა ქარაგმების გახსნით წარმოვადგინოთ:

<sup>1</sup> ბერთის ოთხთავი გადაწერილია 988 წლამდე [ანდერძში, რომელსაც ბოლო აკლია დათარიღი არა აქვს, მოხსენებულია ერისთავი ერისთავი სუმბატ არტანუჯელი (გარდაიცვ. 988 წ.) და ძენი მისნი დავით და ბაგრატ].

ოთხთავი გაუტანიათ 1830 წ. ყარსიდან ამერიკელ მისიონერებს სმითს და დუაიტს და ამგვად ინახება Andover-Newton Theological School-ში (ბოსტონის ახლოს, ა. შ. შ.). 1940 წ. ეს ხელნაწერი ნაზა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რ. ბლეიკმა, რომელმაც ს. ტერ-ნერსესიანთან ერთად გამოაქვეყნა მისი აღწერილობა: R. P. Blake and S. Der Nersessian, *The Gospels of Bert'hay: An Old-Georgian Ms. of the Tenth Century*. «Byz anton» 16 (1944), fasc. 1, pp. 226—285, 8 ტაბულით].

„ხორასნიდალმენ გამოისყიდა(?) ესე ოთხთავი, მას ეამსა ხუნთქარი ხორასანს ჩავიდა, ქირსალისდილმენ<sup>1</sup> გამოვიდა, მოვჯუხს(?) შევიდა, არწაქსშვილმან ხუცესმან იოვანე იყიდა, მიუკემია(?) თერთმეტი ფლური, ბერძენა(?), (იაკო)ბი(?), სტეფანე ამისი დამხდური არიან...“

შემდეგ მიდის შენდობის ფორმულები სხვადასხვა პირთათვის: „მორაჩას (=მურაჩას?) შეუნდენეს ღმერთმან, მისსა შვილსა იოვანეს შ. ლ. ან, შაბაშს(?) შ. ლ., ან, იონიქს შ. ლ, გოზმიდის(?) შ. ლ. ან, გაბრიელს შ. ლ., მისსა შვილსა გიორგის შ. ლ., ან“.

წარწერა თითქო ანმეტობას გვიჩვენებს. ზედმეტ ანებად მიგვაჩნია: მოვჯუხს(ა), მორაჩას(ა), გოზმ.დ(ა)ს.

წარწერიდან ცხადია, რომ ხელნაწერი მტრებს ჩაჰვარდნია ხელში და 11 ფურცლად გამოუსყიდა ხუცესს იოვანე არწაქსშვილს ხორასნიდან. ასეთად თითქო ქალ. ხოროსანი უნდა ვიგულისხმოთ; ის მღებარეობს არეზის ზემო მდინარობაზე, არზრუმ-ყარსის გზაზე<sup>2</sup>. მოვჯუხის შესახებ ამჟამად ვერას ვიტყვი.

საიდან ჩაუვარდა ხელნაწერი მტრებს ხელში და სად მივიდა პირველად გამოსყიდვის შემდეგ, ამის შესახებ არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ უკანასკნელად ის ჯრუჭის მონასტერს ეკუთვნოდა და იქედან საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო მუზეუმში შემოვიდა 1920 წელს, სხვა იქაურ ხელნაწერებთან ერთად, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მეცადინეობით. ამჟამად ის ამ საზოგადოების ფონდშია დაცული საქართველოს მუზეუმში (H 1660).

5. ერთი ნუსხური მინაწერი (53 v) მოგვითხრობს ოთმანიანთაგან (ანუ ოსმალთაგან) თბილისისა და შირვანის აღებას:

„ეად მე ცოდვილსა! ოთმანიანთა ქართლისა ტფილის ქალაქი და შირვანი აიღეს“.

ეს მინაწერი ეხება უთუოდ 1723 წლის ამბებს და დაწერილია იმავე მწერლის მიერ, რომელმაც შეავსო დაკლებული 97-ე ფურცლის ტექსტი მარკოზის სახარებიდან. ამ დროს ხელნაწერი, ალბათ, უკვე ჯრუჭში იყო.

ჯრუჭის ხელნაწერი მონასტრული ხელნაწერია. ოღონდ მისი მხატვრობა (სურათები და კანონები) შესრულებულია არა ხელნაწერის გადაწერის პროცესში ან მისი დასრულებისთანავე 936 წელს, არამედ ოთხი წლის შემდეგ, 940 წელს. სურათები თავის დროს ჩატანებული უნდა ყოფილიყო ხელნაწერში თავ-თავის ალაგას, როგორც ამას სათანადო ფურცლების ყუის ნახვერტები (მკედის გასაყრელი) გვიჩვენებს, მაგრამ ამჟამად უმეტესობა ამოცივინულია და უკავშიროდ ძვეს ხელნაწერში (ფფ. 1, 6—7, 92—93, 143—144, 228—229).

ჯრუჭის ოთხთავის მხატვრობა ერთი იმათგანია, რომლის ავტორი ცნობილია. ეს არის თევედორე, რომელსაც დახატვის ქრონიკონიც აღუნიშნავს

<sup>1</sup> წაკითხვა საეჭვოა. შეიძლება იყოს „იერ(უ)სალიმიდალმენ“ ან სხვა რამ.

<sup>2</sup> მოიხილება მთა ხორასუნი, რომელიც იხსენიება გრ. ხანძთელის „ცხოვრებაში“: „ოდეს-მე ზაფხულისა ეამსა მათა მათ ხორასუნთა გარდამოვიდოდა იგი და მის თანა ძმანი“ (ხანძთ. 44). შდრ. ნ. მარის Дневник поездки, 135, 175. ეს ის მთა უნდა იყოს, რომელიც რუკებზე „ხორასან“-ად არის აღნიშნული (ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე, ფანასკერტის ჩრდილოეთით). მაგრამ ჩვენს წარწერაში ეს მთა არ უნდა იგულისხმებოდეს, არც, მით უმეტეს, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი პრავინცია.

(160 + 78U = 940) და თავისი სახელიც ჩაუწერია (ორჯერ!) ჯვრიან გვერდზე (1 v), ჯვრის ზემო ფრთის ორსავე მხარეს (სურ. 5):

მარცხნივ  
ქრონიკონი იყო რა  
ქე შე ამათ კამარათა  
მწერალი თე

მარჯვნივ  
ქე შეიწყალე  
თევდორე

მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მარჯვენა მხრის მინაწერი სარკისებრ შებრუნებული ასოებით არის შესრულებული<sup>1</sup> და კითხვითაც შებრუნებულად იკითხება, ე. ი. მარჯვნიდან მარცხნივ.

თევდორე თავის თავს კამარათა მწერლად აცხადებს. უეჭველია, რომ „კამარად“ მას ესმის ყოველგვარი სურათი, რომელიც ჩასმულია კამარაში, მათ შორის ევსების „თანხმობათა“ საძიებელიც, ე. წ. „კანონები“, რომლებიც მხატვარს თვითონ ჩაუწერია თავის ხელით.

„კანონებს“ მიუძღოდა თევდორე მხატვრის ხელითვე დაწერილი ევსების ეპისტოლე კარპიანესადმი; ის იწყებოდა ჯვრიანი ფურცლის წვეილის ცალზე, რომელიც ამჟამად დაკარგულია, და გადადიოდა ჯვრიანი ფურცლის მეორე გვერდზე, სადაც მოთავსებულია ეპისტოლის ბოლო, შემდგარი 15 სტრიქონისაგან. ნაწერი ნაწილობრივ გადალეულია და ძნელად იკითხება:

...[რლისა]ცა გინდეს სწავლაჲ ვისმე, რლისა გინდეს თავისა, და გლის-  
ქმის-ყოფაჲ, რლთა სწორად თქს, და თუ სად, რნი-იგი თითოეულისა ადგი-  
ლისანი პონანდ, რსა შინა ერთბამად მიიჭინეს, რლ დაგე(გ)ულოს საკითხავი,  
ალიღე მიწყებით რიცხუი და გამოიძიე კანონსა მას შინა, რლ ზანდუკითა გა-  
მონიშნული<sup>2</sup> მოვასწავოს, რლსამე ვიეთ, მუნთქეს(ე)ე კიდეთა წარუწერია, რაე-  
დენტა და ვიეთ, და რლისათუის ეძიებ თქს და იგლს სხუათაცა მახარებელ-  
თა რიცხსა კანონსა შ(ინა), რლი იგულო რიცხუ თანაწარი, გამოიძ(ი)ენ იგინი  
შინაგან თუსთა მათ თითუე[ულ]ისა სახარებისა ადგილთა სწორა(დ) თქმული  
მთი ჰპოთ<sup>3</sup>.

ეგვემ თევდორე ლეთისმშობლიანი ფურცლის უკანა მხარეს (2 v) ათავსებს ოთხ-სტრიქონიან წარწერას შუაზე:

„წო ღთს მშობელო, შე და აცხოვენე გულათა<sup>4</sup> და ახარე გრიგოლისგან და მშობელთა და ძმათაგან“<sup>5</sup>.

ვინ არიან ეს გულათა და მისი გრიგოლი (უთუოდ შვილი), და რა დამოკიდებულება ჰქონდა მათ მხატვართან ან ხელნაწერთან, ეს არ ჩანს.

მხატვარ თევდორეს ეკუთვნის აგრეთვე ყველა წარწერა მინიატურებისა და, როგორც ვთქვით, მათეს და მარკოზის სახარებათა ტექსტის ბოლოები, გადასული საილუსტრაციო ფურცლებზე.

<sup>1</sup> გარდა „რ“-სი, რომელიც ნორმალურად დგას.

<sup>2</sup> მერმინდელ ხელნაწერებში (მაგ., ვანის სახარებაში, A 1335) ამ ადგილას „ზანდუკითა გამონიშნულ“-ის ნაცვლად „წილთითა გამონიშნული“ იკითხება. \* იკითხებ: ჰპოთ. <sup>4</sup> ან: გუჰა-თა(?)<sup>5</sup> თითქო ბოლოს კიდევ სწერია: „ან“, მაგრამ „ა“ კარგად არ ჩანს, „ნ“ საეჭვოა.

მახარებელთა წარწერები:

მათესი მოთავსებულია მხრების გასწვრივ მარცხნივ და მარჯვნივ: „წმ მთე მახარებელი“.

მარკოზისა ჩაწერილია სვეტებს შუა მარცხნივ და მარჯვნივ და იკითხება ზენოდან ქვემოთ: „წმ მარკოზ მახარებელი“.

ლუკასი თავშია კამარის გარეშე: „წმ ლუკა“.

იოანესი, მარკოზის მსგავსად, სვეტებს შუაა ჩაწერილი: „წმ იოვანე მახარებელი“.

განკურნების სცენებს ორ-ორი წარწერა აქვს: ერთი ქრისტესთვის, მეორე სასწაულის შინაარსისთვის. ქრისტეს წარწერა აქვს ქართულად, სომხურად და ბერძნულად: *ԻՎ ԿԻ ՅՄ ԻՄ ԿՐ ԽՐ*, ოღონდ ბრმის განკურნების სურათზე წარწერა შესრულებულია მარტო ქართულად და სომხურად, ბერძნული აკლია (უთუოდ, ადგილის უქონლობის გამო). ეს წარწერები შესრულებულია სურათების დახატვის შემდეგ, ამიტომ მხატვარს ისინი იქ მოუთავსებია ქრისტეს თავთან, სადაც როგორც მოუხერხებოდა: ბრმის განკურნების სურათზე უკან, ეშმაკეულისაზე წინ, განრღვეულისაზე კი წინ და უკან („იესუ“ წინ, „ქრისტე“ უკან).

სასწაულების ახსნა მარტო ქართულადაა მოცემული და განკურნებულის თავზეა მოთავსებული. აქ იკითხება:

პირველზე: „ბრმასა ოდეს თუაღნი<sup>1</sup> აუხილნა“;

მეორეზე: „ეშმაკეული, რლი განკურნა ონ ჩრმან ი'ვ ქნ“;

მესამეზე: „განრღვეული, რლსა უბრძანა<sup>2</sup> ონ: აღდევ და აღიღყ ცხედარი შნი და წარვედ სახედ თუსა<sup>3</sup>“.

უკანასკნელი წარწერა იწყება განრღვეულის თავს ზემოთ, სადაც სამი სტრიქონია მოთავსებული, ხოლო გარეშეა ძირს არის ჩამოტანილი მარცხენა სვეტსა და განრღვეულს შუა თავისუფალ არეზე ათ პატარა-პატარა სტრიქონად, თვითელში 2-დან 5 ასომდე.

ბრმისა, ეშმაკეულისა და განრღვეულის განკურნება რამდენჯერმე აქვს მოთხრობილი ოთხსავე მახარებელს სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ადგილას. მაგრამ აქ დახატული სურათები უნდა გულისხმობდნენ:

ბრმის განკურნებისა მარკ. 8, 22—25 მუხლების სცენას ან იოვ. 9, 4—7-ისას (სურათზე ქრისტე ხელით ეხება ბრმის თვალს);

ეშმაკეულის განკურნებისა მარკ. 5, 2—13-ს ან ლუკ. 8, 27—33-ს;

რაც შეეხება განრღვეულის განკურნების სცენას, აქ უნდა იგულისხმებოდეს მათ. 9, 6 (=მარკ. 2, 11=ლუკ. 5, 24); გამორიცხული უნდა იყოს იოვ. 5, 5—8, რადგანაც, თუმცა აქაც მოიპოვება სიტყვები „აღდევ, აღიღე ცხედარი შენი“, მაგრამ აკლია „და წარვედ სახედ თუსა“. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სახარებაში ყველგან (მათ. 9, 6, მარკ. 2, 11, ლუკ. 5, 24) სწერია: „და წარვედ სახიდ (ან: სახედ) შენდა“, მაშინ როდესაც მხატვრის ციტატაში „შენდა“-ს ნაცვლად „თუსა“ იკითხება.

1 დაწერილია: თაღნი; 2 ობრძანა. 3 ან: თვისა (ადგილი ოდნავ დაზიანებულია).

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: წყვილ-წყვილი სურათები (მახარებელი და ღვთისმშობელი, ან მახარებელი და ერთ-ერთი კურნება) შესრულებულია ორ-ფურცელა ეტრატის შიგნითა (ხორცის) მხარეს, ერთიმეორის პირისპირ, მაშინ როდესაც ეტრატის გარეთა მხარე (ბეწვისა) ცარიელია, ან არა და ზედ მოთავსებულია რაიმე წარწერა ან კიდევ წინა სახარების უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც წინამავალ გვერდზე არ დატეულა.

ჯერუკის ოთხთავს იმდენად თავისებური ადგილი უჭირავს ძველ ქართულ მხატვლულ ხელნაწერთა შორის, რომ საკვიროდ მიგვაჩნია, საგანგებოდ შეიჩვიოდეთ მის მხატვრობაზე და სიტყვა დაუთმომთ რეწე შემერლინგს.

ათეფურცელი შემკულია ჯვრის გამოხატულებით. შემდეგ მოსდევს რვა სურათი „კანონებისა“. თვითმულ სახარებებს მიუძღვის წყვილ-წყვილი მინიატურა, რომელთაგანაც ერთი წარმოადგენს მახარებელს, მეორე კი ან ღვთისმშობელს ყრმითურთ (მათესთან), ან განკურნების სცენას (სხვა მახარებლებთან). ხელნაწერში მინიატურები ასეა განაწილებული:

1. ჯვარი (ფ. 1 r);
2. კანონები (ფფ. 2 r—5 v);
3. მათე მახარებელი და ღვთისმშობელი ყრმითურთ (ფფ. 6 v—7 r);
4. მარკოზ მახარებელი და ბრმის განკურნება (ფფ. 92 v—93 r);
5. ეშმაკელის განკურნება და ლუკა მახარებელი<sup>1</sup> (ფფ. 143 v—144 r);
6. განრღვეულის განკურნება და იოვანე მახარებელი (ფფ. 228 v—229 r).

ოთხთავის შემკულობა საუკეთესო ნიმუშია ხაზოვანი ნახატის მაღალი ხელოვნებისა და ამით ეს ძველი გამოირჩევა როგორც მტირე-რიცხოვან უძველეს ქართულ მხატვლულ ხელნაწერთაგან, ისე საზოგადოდ ყველა ქართულ ხელნაწერთაგან, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ. წერილი, მოქნილი და მრავალმეტყველი ხაზები ნახატისა შესრულებულია კალმით და ისეთივე საკმაოდ ღია სეპიის ფერის მელნით, რომლითაც გადაწერილია მთელი ტექსტი. შეფერილობა ნაწილობრივ ფარავს ნახაზებს.

თვედორე მხატვრის წამლის პალეტა შეზღუდულია. უკვე პირველი ორი მინიატურა,—ჯვარი და კანონი I,—გვამღვეს საკმაოდ ნათელ წარმოდგენას წამალთა იმ გამშის შესახებ, რომელიც გამოყენებულია შემდგომ მინიატურებში.

ჯვარი (სურ. 5). მოყვითალო ეტრატის ფონზე გამოსახულია ჯვარი ორმაგი აშიით, რომლის გარეგანი ნაწილი, ისე როგორც ჩარჩო, რომელშიც ჩაწერილია ჯვარი, დაფარულია საკმაოდ თბილი შვინდისფერი წამლით, ხოლო შიგნითა ნაწილი შეფერილია სეპიის ფრად.

ეს კიდევ არ არის ის ჯვარი, რომელიც დიდებულად ამართულია ხოლმე გვერდის შუაგულში, ხშირად კამარის ქვეშ, მონუმენტალური და ნამდვილად დეკორატიული ჯვარი, როგორც მე-11 ს.-ის ხელნაწერებში გვხვდება, არამედ წმინდა გრაფიკული, უთუოდ სიმბოლურად განკენებული გამოსახულება თანა-

<sup>1</sup> ლუკა მახარებლიანი ფურცლის მეორე გვერდზე (144 v), რომელიც თავიდანვე ცარიელი ყოფილა, გვიანდელ ხანაში ვილაცას მელნით დაუხატავს ისევ ლუკა. მახარებელი ზის და წერს. მხატვრული თვალსაზრისით მას მნიშვნელობა არა აქვს.



სწორ-მხრიანი ჯვრისა კვადრატულ ჩარჩოში, რომელიც ჯვრის შეხების ადგილებში ფართოვდება და შემდეგ წყდება.

**ღვთისმშობელი ყრმითურთ** (სურ. 16). ჩარჩოში მეორდება შვინდისფერი (აქ უკვე ღია ფერისა) და სეპია, ე. ი. ის ორი ფერი, რომლებიც მოხმარებულია ზემოთ აღწერილი ჯვრის შესაფერავად. მინიატურის ფონი მუქი ლურჯი ფერისაა და ოდნავ იისფერი გადაჰკრავს. წამალი სქლად დაუღვიათ, გაუქვირალია. ოქროსფერი ნიშნები ღვთისმშობლისა და ყრმისა შემოხაზულია ფარგლით და შემოვლებული აქვს მიხაკისფერი ქობა. ჯვარი ნიშნში ჩაწერილია მუქი შვინდისფერი წამლით. ოქრო თითქმის მთლად ჩამოცვივებულია და დაუტოვებია მოვარდისფრო ყვითელი კვალი. ღვთისმშობლის სახეს ატყვია, რომ ზედ სხეულისფერი წამალია წასმული. დაწვეები გამოყვანილია წითელი რგოლაკებით. წითლად შეღებილია ბაგეებიც. ნიკაპსა და ზემო ქუთუთობებს უსვია თხელი გამჟვირვალე და ღია კარმინი. აქა-იქ ეს ტონი უფრო ინტენსიურია, ასეთია, მაგ., ფერი ლაწვისა, ნიკისა, ქუთუთოებისა და ხაზისა, რომელიც ცხვირის განათებულ ზღვარს გასდევს.

ყრმის სამოსლად, რომელიც მხატვარს, როგორც ჩანს, თეთრად აქვს წარმოდგენილი, მთლად ეტრატია გამოყენებული, მხოლოდ მოსასხმელი, რომელიც მხართან არის შებნეული, დაფარულია გამჟვირვალე და ღია ყვითლით. შეუფერავია გრაგნილი, რომელიც ყრმას მარცხენა ხელში უქირავს. ღვთისმშობლის სამოსელი, შემოვლებული სეპიით და ბევრგან წვრილ-წვრილად დანაოკებული, გზიბლავთ ჰარმონიით, რომელიც ჩაქსოვილია ამ მოქნილისა და გრძელი ხაზების ქსელში. ის დაფარულია სქელი გაუქვირალი მუქი შვინდისფერი წამლით.

თავსაბურავის ვიწრო ზოლისთვის, რომელიც გამოჩანს თავზედაც წამოხურული მოსასხმელის ქვეშიდან, ეტრატის ფერია გამოყენებული. ვიწრო სახელოები ყვითელია. ეს წამალი გამჟვირვალეა და ვერ ფარავს ქსოვილის ნაოკთა ნახაზებს.

**კანონები** (სურ. 6—13). იგივე ფერები მეორდება კანონებში.

**პირველ კანონს** (სურ. 6) კამარების გარე აშიები დაფარული აქვს მუქი შვინდისფერი წამლით; ორნამენტი შუა ზოლში შესრულებულია სეპიით წმინდა ეტრატზე, შვინდისფერი ნახმარია ორსავე გვერდის სვეტზე და აგრეთვე მათი კვარცხლბეკის ზემო საფეხურზე. წამალი სქლად აძევს და ფარავს სვეტების ნახაზობას. შუა სვეტი გამოირჩევა ყვითელი ტანით და იისფერი ბაზისით. მისი თავი, ისე როგორც თავები და ბაზისები გვერდის სვეტებისა, შეღებილია გამჟვირვალე, მსუბუქი და წმინდა ყვითლით.

**მეორე კანონს** (სურ. 7) სვეტის თავები და ძირები დაფარული აქვს იმავე ყვითელი წამლით, მაგრამ უფრო ძლიერ, და ისინი უფრო მკაფიოდ ჩანან. გვერდის სვეტების ტანი სეპიის ფერისაა, მათი ნახატობა კი შესრულებულია შვინდისფერი წამლით. შუა სვეტის ტანი შვინდისფერია. კამარებს მოვლებული აქვს მუქი შვინდისფერი აშიები (შიგნით და გარეთ), ორნამენტიანი ზოლი შუაში შეღებილია სქელი მტრედისფერი წამლით, რომელიც ვერ არის შეხამებული დანარჩენ ტონებთან.

დანარჩენ კანონებში გამოვრებულია იგივე ფერები, მაგრამ სხვა დასხვა კომბინაციით; მაგ., მე-4—5 კანონს (სურ. 9) მტრედისფრად აქვს შეღებილი ორივე გვერდის სვეტები, სვეტის თავებს, ფართო კარმინის ხაზით შემოვლებულბს, ფარავს ყვითური, რომელზედაც, თითქო, ოქროს ვარაყის იყო დადებული (იგივე ხერხი მეორდება შემდგომ კანონებში).

არ შევიჩრდებით თვითეული კანონის დაწვრილებით აღწერაზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ ოქროს გარდა მათ შესაფერავად შემდეგში ჩნდება კიდევ მწვანე ფერი, რომელიც იმისგან წარმომდგარა, რომ ყვითურში გაურევიათ სხვა წამალი (შეიძლება ის ლურჯი, რომელიც გამოყენებულია მინიატურების შესაფერავად). ეს მწვანე ფერი ჩანს მე-5—6 კანონზე (სურ. 10) კამარების შუა ზოლის შესაფერავად და კვარცხლბეკის ქვემო საფეხურისათვის, აგრეთვე უკანასკნელი ფურცლის (5 რ) კანონში (სურ. 13) კვარცხლბეკის ქვემო საფეხურზე.

წმინდა ლამაზი კარმინი, რომლითაც შესრულებულია კანონთა უჯრების ჩარჩოები, გამოყენებულია დიდი ფოთლებისათვის, რომლებიც კამარის საყრდენთან იწყება გვერდებზე ან შუაზე კამარების შესაყართან. იმავე კარმინით შეფერილია ფოთლებიდან გამოსული „უღვაშები“, ოღონდ ზოგიერთ კანონში ფოთლები დახატულია სეპიით და შეფერილია; მაგ., მე-7—8 კანონის (სურ. 11) შვინდისფერი ფოთლების გადმოხრილი ბოლო მტრედისფერია, მე-10 კანონის (სურ. 13) შუა ფოთოლი მტრედისფერია, მისი გადმოხრილი ბოლო კი—ყვითელი. ამ დეტალებით, ფერების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად, ხერხდება კამარების შეფერვის მრავალ-ფეროვნების გადმოცემა.

კურნებანი. კურნების სცენებში მხატვარს იგივე პალეტა აქვს გამოყენებული, რაც ყველა აღწერილ მინიატურაში. კამარის ჩარჩოები მას შეუსრულებია ღია გამჭვირვალე ყვითურისა და მუქი შვინდისფერის კომბინაციით, რაც მას ეგრე მოსწონს.

კამარები. ბრმის განკურნების სცენაში (სურ. 18) შუა ზოლი დაფარულია სეპიით, გვერდებისა კი—მუქი შვინდისფრით. ეშმაკეულის განკურნებისაში (სურ. 19) შუა სადა (ჟორნამენტო) ზოლი და ორივე გარე ვიწრო აშია დაფარულია მუქი შვინდისფერი წამლით, მათ შუა მოქცეული ზოლები კი—ღია ყვითურით. განრღვეულისაში კი (სურ. 21) ყვითლად შეფერილია გარე აშიები, ხოლო შვინდისფრით—შუა ფართო ზოლი. აქ შვინდისფერი წამალი სქელადა და მუქი, და არ გვადლევს საშუალებას, რომ ადვილად გავარჩიოთ ორნამენტის ნახატობა.

სვეტები. ბრმის განკურნების სცენაში კორინთული სვეტის თავები დახატულია კარმინით და დაფარულია ოქროს ვარაყით, რომელიც თითქმის ჩამოცივებულია; ეშმაკეულისაში სვეტის ტანი სეპიით არის დაფარული, ხოლო მარმარილოსებრი ნახატობა გაკეთებულია მუქი შვინდისფერი წამლით, რომელსაც აქა-იქ ნაზი ვარდისფერი ტონი აქვს; განრღვეულისაში კი სვეტის ტანები ლილისფერნი ყოფილან, სქელი გაუქვირალი წამალი ჩამოცივებულია, მაგრამ იმით შესრულებული მარმარილოს ნახატი ეხლაც კარგად აჩნია.

სვეტის ბაზისებო ყველგან სეპიით არის დაფარული და დამუშავებულია შვინდისფერი წამლით, ხოლო კვარცხლბეკზე ზემო საფეხური ყველგან შვინდისფრად არის გაკეთებული, ქვემო კი—სეპიით.

ფონად კურნებათა სცენებში გამოყენებულია ეტრატი.

ეტრატითვეა გადმოცემული ფიგურების შიშველი ნაწილები: ხელები, ფეხები, პირისახე და სხვა. მათი ნახატი შესრულებულია კონტურის ხაზით და სეპიისფერი მელნით და თანაც ყველგან გასდევს მეორე, ღია ვარდისფერი ხაზი, რომელიც ფორმას გადმოსცემს და აძლევს მას ტონის სხეულებს სიტბოს. იმავე ღია ვარდისფერი წამლის წინწყლებით აღნიშნულია ლაწვები, ნიკაპი, ცხვირი, ქუთუთოები, ოღონდ ლაწვებზე ვარდისფრის ზემოდან წითურია წასმული. იმავე წითურითაა შესრულებული ბაგეები.

თმები შესრულებულია გრაფიკულად, ე. ი. დახატულია ხაზაკებად ან გრძელ პარალელურ ხაზებად მელნით. სურათზე კარგად არის გადმოცემული თმის გაწყობის ხასიათი: შეკრეპილი თმები სარეცელ-მოკიდებული განრღვეულისა ან ბრმისა, გაწწილი თმები ეშმაკულისა, გრძელი და გადაყოფილი თმები ქრისტესი. შეფერილია მარტო ქრისტეს თმები—ყვითლად, სხვებისა კი მარტო ხაზებითაა გადმოცემული.

სამოსელი. ქრისტეს სამოსელთაგან მოსახსმელი ყველგან, გარდა ეშმაკულის განკურნების სცენისა, მოცემულია მუქ შვინდისფრად, ხოლო კვართი—ლილისფრად, მხოლოდ აღნიშნულ სცენაში ორივე სამოსელი შვინდისფერია. განკურნებულთა სამოსელში გამოყენებულია სეპია, ოღონდ აქა-იქ დამატებულია მუქი შვინდისფერი.

ქრისტეს ნიშბი ოქროსფერია, კარმინის ქობით, ჯვარი ჩაწერილია ჰუქი შვინდისფრით.

განრღვეულის განკურნების სცენაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ლილისფრად არის შეფერილი გრაგნილი, რომელიც სხვა შემთხვევაში შეუფერავია, და აგრეთვე დაუსაბუთებელი გამოყოფა ქრისტეს კვართის ქვემო ნაწილისა, რომელიც მტრედისფრად არის შეფერილი, ოდნავი იისფერი ელფერით (ზემო ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ლილისფერია) ეს გარემოება და ამასთან ერთად უხეიროდ მოხმარება იმავე ლილისფერი წამლისა მახარებელთა გამოხატულებაში და კანონებში გვაფიქრებინებს, რომ მინიატურების შეფერვაში მონაწილეობა მიუღია, თითქოს, სხვა პირსაც.

**მახარებლები.** იგივე წამლები და იგივე ხერხია გამოყენებული მახარებელთა გამოხატულებისას. მახარებლები (მათე—სურ. 15, მარკოზ—სურ. 17, ლუკა—სურ. 20, იოვანე—სურ. 22) დგანან კამარის ქვეშ პირით ჩვენკენ. აღარ გავიწეორებთ რაც ზემოთ გვითქვამს საზოგადოდ (და, კერძოდ, თუ როგორ გამოჰყავს მხატვარს პირისახეები), ვიტყვი მხოლოდ ორიოდ სიტყვას იმის შესახებ, თუ როგორ ახამებს მხატვარი წამლებს ამა თუ იმ მახარებლის დასახასიათებლად.

კამარებში გამოყენებულია იგივე კომბინაცია სეპიისა და შვინდისფრისა (მარკოზთან, ლუკასთან და იოვანესთან), ან შვინდისფრისა, მტრედისფრისა და მწვანისა (მათესთან). იგივე ითქმის სვეტებზე და ც, რომელთა თავები ან ოდნავ შეფერილია ყვითლად (მარკოზთან, ლუკასთან და იოვანესთან), ან შეფერილია კარმინით, რომელზედაც ნახატი ოქროთა შესრულებული (მათესთან). ყვითელი ბაზისები დამუშავებულია შვინდისფრად. კვარცხლები-

ქებზე დატულია, როგორც სხვაგანაც, შვინდისფრისა და სეპიის კომბინაცია, გარდა მათეს სურათისა, სადაც ქვედა საფეხური მწვანეა (ეს ის მწვანე ფერია, რომელიც კანონების შესაფერავად იყო მოხმარებული).

მხარებლები (მათეს გარდა) დახატულია ლილისფერ ფონზე, რომელიც თითქო ცენტრისაკენ მიუწევიათ და დანაკლებულაო. ფონის ტლანქად შესრულება (განსაკუთრებით ლუკასთან) როგორაც არ შეეფერება მინიატურების ნახატობის არტიტულ ხელოვნებას, მათ გამომეტყველ ხაზებს. მათესთან კი ფონი ეტრატისაა (აგრევე სადა ფონი იყო მოსალოდნელი დანარჩენ მხარებლებთანაც).

სამოსელი. მათეს მოსასხმელი მუქი შვინდისფერია, კვართი კი—მტრედისფერი; მარკოზისა და ლუკას მოსასხმელი ყვითელია, კვართი სხვადასხვა ვლფერისა: მარკოზისა მუქი შვინდისფერი, ლუკასი კი ვარდისფერი. რაც შეეხება იოვანეს, მისი მოსასხმელი მუქი შვინდისფერია, ხოლო კვართი—ყვითელი. ყვითელი სამოსელი მხარებლებისა დამუშავებულია მუქი შვინდისფერით.

მხარებელთა ნიშნები ოქროსია, შვინდისფრის ქობით. ოქროთივეა გაკეთებული წიგნები, რომლებიც მათ უქირაეთ და რომლებზედაც უდის ნახატობა შვინდისფერით არის შესრულებული (კარგად ჩანს მათესთან).

ხაერთა დახასიათება. ჯრუჭის ოთხთავის სურათების ხელობის ხასიათი ასეთია, რომ აქ მკაფიოდ გამოხატულია ნიშნები, რომლებიც მოეპოვება ძველი პერიოდის ხელნაწერებს როგორც საქართველოსა და სომხეთში, ისე ბიზანტიაში. ასეთი ნიშანია, პირველ ყოვლისა, თავისებური რეალიზმი, რომელიც მხატვარს მიუცია არქიტექტურულ მოტივისათვის, ე. ი. კორინთული და იონიური სვეტებისათვის და მათი ზედგმულობისათვის. ამ მოვლენას უშუალო კავშირი აქვს ელინისტურ ნაკადთან, რომელიც თავს იჩენს ხელნაწერის შემკულობაში. სწორედ აღმოსავლეთის ელინისტურ ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ ის წყარო, საიდანაც მოდის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებული კამარების არქიტექტურული ხასიათი და მათი დამუშავების დეტალები: კორინთული და იონიური სვეტის თავები, სვეტების მარმარილოსებრი ტანი, კამარათა ორნამენტაცია, აკანთის ფოთლები, რომლებიც აღმოცენებულან კამარების საყრდენთან და მათ შესაყართან, და ჩიტები, რომლებიც აქვე მიუხატავს მას (უკანასკნელ კანონზე). ანტიკა უდევს საფუძვლად აგრეთვე იკონოგრაფიულ სპეციფიკას და მინიატურების ხელობის სტილს, ოღონდ ამ საფუძველს სხვა ვლფერი მიუღია აღმოსავლელი მხატვრის ხელში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჯრუჭის ოთხთავის მინიატურებში გვიანდელი ელინისტური ხელოვნების გამონაშუქი უფრო კაშკაშა ფერებშია მოცემული, ვიდრე ეს ჩანს, ვთქვათ, უფრო ადრინდელ მულქეს ხელნაწერში (902 წ.)<sup>1</sup>, ან უფრო გვიანდელში (989 წ.)<sup>2</sup>. ეს გამოსკვივის ისეთი დეტალებიდან, როგორცაა აკანთის ფოთლებისა და სვეტის თავების ნახატობა და განსაკუთრებით იმ ფოთლებისა, რომლებიც ამ-

1 № 1144 მხითარაანთ ბიბლიოთეკისა (San Lazzaro, ვენეციის ახლოს).

2 ენჰიპიანის ბიბლიოთეკისა № 229 (L'évangile arménien. Édition phototypique publiée par Fr. Macler. Paris 1920).

კობს კანონების არკადას: ფოთლები გვიხილავს თავისი ცოცხალი და მოქნილი მოყვანილობით და მისი პლასტიკის რეალური გადმოცემით. იგივე ატყვია კამარების ორნამენტისას. ამაში გვარწმუნებს მცენარეული ყლორტის ორნამენტი, რომელიც გამოყვანილია მარტო ხაზებით და შესრულებულია სეპიით ღია ყვითელ ფონზე, — ორნამენტი, რომელიც სრულიად კლასიკურია თავისი ნახატობის ხასიათით. ამაშივე გვარწმუნებს პალმეტებისაგან შექმნილი ორნამენტი, რომელიც მრავალჯერ მეორდება საბერძნეთის ხელოვნების ძეგლებში.

კორინთულისა და იონიური რიგის სვეტები, არქიტრავის მარაოსებრი შემკულობა (იოვანე მახარებელთან), მსხვილი ფოთლები გადმოხრილი წვერით, ყველა ეს იმეორებს მოტივებს, რომლებიც აღმოსავლეთის ელინისტურ ხელოვნებას ახასიათებს. წერილმანებს რომ თავი დავანებოთ და მთავარ მოვლენებზე შევიჩრდეთ, უნდა აღვნიშნოთ ფიგურების კამარებს ქვეშ დაყენების სისტემა (მოვიგონოთ რავენის სარკოფაგები) და ზემო სამოსელი, რომელიც ფიგურას კვართზე აქვს წამოსხმული. ამას ერთვის იკონოგრაფიული თავისებურება, ნაანდერძევი პირველი საუკუნეების ელინიზმით გაყენების ქრისტიანული ხელოვნების მიერ: კაბუკი ქრისტე და კაბუკი იოვანე. ამას მხარს უჭერს აგრეთვე განკურნების სცენები, რომლებიც არაა მებოროკილი ტრადიციით და რომლებიც გვაოცებს ცოცხალი დაკვირვებულობით და მოძრაობის გადმოცემით უშუალოდ და რეალისტურად.

საზოგადოდ, ძველი ქართული ხელნაწერები, რომელთაც შემთხვევით მოუღწევიათ ჩვენამდე, მეტად ინდივიდუალურია როგორც შემკულობის შედგენილობით, ისე მისი ხასიათით, თუქალა კი ცალკეული თავისებურებანი შემკულობისა რამდენადმე აკავშირებს მათ ერთმანეთთან. ოთხთავები აღიშისა, ჯრუჭისა, „თედორისი“ (A 98, მე-10 ს.), ბერთისა (რომელიც ეხლახან გახდა ცნობილი) და მარტილისა (S 391, ძველი ნაწილი მე-10 ს.)<sup>1</sup> მშვენივრად ადასტურებენ იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ეგრე დამახასიათებელია როგორც მახარებელთა სურათებში, ისე კანონებში. მახარებლები გვხვდება როგორც მდგომარენი წყვილ-წყვილად (თედორეს ოთხთავში), ისე მდგომარენი ცალკე-ცალკე (ჯრუჭისაში), ან კიდევ ნარევი ტიპისა — აღიშის ოთხთავში: მდგომარეთა გვერდით (ლუკა და იოვანე) მდგომარეც (მარკოზ; მათე აკლია). ამათ ერთვის კიდევ მახარებლების გამოხატვა წინ მიმართულ მოძრაობაში და გადაშლილი წიგნით ხელში (მარტილის ოთხთ.). კანონების შესრულების მხრივ ისინი ან მოგვაგონებენ სომხურებს (ბერთისა), ან გადმოგვცემენ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციებს, რომლებიც თავისებურად არის გადაიშვავებული (აღიშისა და სხვები)ა.

ჯრუჭის ოთხთავი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ცნობილი გახდა ბროსეს აღწერილობით. ბროსემ ეს ხელნაწერი უძველესად მიიჩნია

<sup>1</sup> მარტილის სახარება ორი ნაწილისაგან შედგება: ფფ. 1—130 მე-10 საუკუნისაა, ხოლო ფფ. 131—184 გადაწერილია. 1050 წ. მახარებლიანი ფურცლები ეკუთვნის პირველ ნაწილს, მე-10 საუკუნისას (ამ ხელნაწერის გადაწერის დრო მარტო მეორე ნაწილის მიხედვით არის მოყვანილი წიგნში: „ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“. გვ. 59).

ძის დროს ცნობილ ქართ. ოთხთავის ხელნაწერებს შორის<sup>1</sup>. იმავე ძეგლის მოკლე აღწერილობას ვხვდებით კონდაკოვ—ბაქრაძის წიგნში<sup>2</sup>, აგრეთვე დ. ბაქრაძისაში<sup>3</sup>. შემდეგ მასვე ეხებიან, ბროსეზე დაყრდნობით, ე. თაყაიშვილი<sup>4</sup> და თ. ქორდანიანი<sup>5</sup>. ჯრუჭის ოთხთავის ტექსტს გაკვრით ეხება ს. კაკაბაძე<sup>6</sup>, ხოლო მინიატურებს—რ. შმერლინგი<sup>7</sup>. უკანასკნელ უნდა აღინიშნოს, რომ ჯრუჭის ხელნაწერის ანდერძი, ბროსეზე დაყრდნობით, მოყვანილი აქვს რ. ზღეიკს<sup>8</sup>.

N. B. ჯრუჭის ოთხთავის სახელით ორი ხელნაწერია ცნობილი, ორივე მოხატული: ერთი ეს, მე-10 საუკუნისა (H 1660) და მეორე მე-12 ს.-ის მეორე ნახევრისა (H 1667). უკანასკნელი გ. მთაწმიდლის რედაქციისა და მრავალ მინიატურას შეიცავს, ერთურთისაგან მათ ასე არჩევენ: პირველი ჯრუჭისა და მეორე ჯრუჭისა. მეორე ჯრუჭის ოთხთავი აღწერილი აქვთ კონდაკოვსა და ბაქრაძეს (Описк, 51) და რ. შმერლინგს („ქართულ ხელნაწერთა მართულობის ნიმუშები“, 1940, გვ. 49—52). ეს მეორე ჯრუჭისა იგულისხმება „სასიტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილში“, სადაც მოყვანილია ცნობები დ. ბაქრაძის მოგზაურობის ხელნაწერი ანგარიშიდან („ივერია“ 1889 № 224)<sup>9</sup>.

### პარხლის ოთხთავი

(A 1453)

პარხლის ოთხთავი (დათქმით E) ნაწერია მრგლოვანი ხელით მშვენიერად დამუშავებულ ეტრატზე. ზომა ხელნაწერისა: 23×20,5 cm (ნაწერისა, უნიციტალბიად, 18×14 cm).

ხელნაწერის ძველი ნაწილი შედგება 30 რვეულისაგან, რომლებიც აღწესებულია ორ-ორ ადგილას: პირველი ფურცლის თავში და უკანასკნელის ბო-

<sup>1</sup> Voyage archéol., XII, 83—85.

<sup>2</sup> Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб. 1890, стр. 153—154.

<sup>3</sup> ისტორია საქართველოსი, 232—233; ნ. აგრეთვე დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, გვ. 130.

<sup>4</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. LXVII.

<sup>5</sup> ქრონიკები, I, 89.

<sup>6</sup> საბარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუკუნეში ხანმეტ ტექსტთან დაკავშირებით (სასიტორიო ძიებანი, 1924, 1—37).

<sup>7</sup> ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, 1940, გვ. 41—43 (წარმოდგენილია სამი მინიატურა: მთესი, იოვანესი და განრღვეულის განკურნებისა).

<sup>8</sup> R. P. Blake and Sirarpie Der Nersessian, The Gospels of Bert'lay: An Old-Georgian Ms. of the Tenth Century [«Byzantion» 16 (1944), pp. 226—285, 8 ტაბულითურთ).

<sup>9</sup> Baltrusaitis-ი (Études sur l'art médiéval en Géorgie et en Arménie, P. 1929, p. 27) დაბარაკობს მეორე ჯრუჭის ოთხთავის მოხატული ინიციტალბების შესახებ და შეცდომით პირველი ჯრუჭის ოთხთავის ნომერს ასახელებს.

ლოში; სათვალავად გამოყენებულია ქართული და ბერძნული ასოები. თავში აკლია I რეეული, რომელიც მე-18 საუკუნეში (1744 წ.) ეტრატზედვე შეუესია ნიკოლოზ მთავარ-დიაკონს. მასვე დაურთავს ქალაღდის ერთი ფურცელი მე-7 რეეულის დაკარგული ფურცლის ნაცვლად (ეხლანდელი სათვალავით ეს არის 56-ე) და შეუესია სათანადო ტექსტი (მათ. 24, 15—24, 31).

ნაწერია ორ სვეტად (სვეტში 20 სტრიქონი), მეღანი შავია, ინიციალე-ბიც უმეტესად შავად არის ნაწერი, მაგრამ ზოგჯერ წითურადაც. წითურად არის გამოყვანილი ლამაზი ჯერები საკითხავების დასაწყისების აღსანიშნავად აქა-იქ: 9 v (მათ. 5, 25), 11 r (მათ. 6, 1), 12 v (მათ. 6, 25), 13 r (მათ. 6, 34), 15 r (მათ. 7, 29), 15 v (მათ. 8, 5) და სხვაგან.

მეღანი მკრთალია და ნაწერი ისე ადვილად არ იკითხება; როგორც ჯრუ-ქისა, ასოებიც უფრო წვრილია ჯრუქისაზე, თუმცა სიღამაზის მხრივ მათ არ ჩამოუვარდება. აქ ხშირად გვხვდება ქვემო აშიაზე ჩამოგრძელებული ასოები: **†, ყ, წ, ფ** (მაგ., ფფ. 97 r, 104 v, 136 r, 147 r, 169 v).

კიღვე უფრო წვრილია სიმფონიაში მახარებელთა აღსანიშნავი ასოები ქეიღა აშიებზე. აქ სტრიქონები 6-ამღდა, მახარებელთა ასოები დაწერიღია წი-თურად, მუხლების რიცხვები—შავად.

ზოგი ფურცელი გახეული ყოფიღა და ფრთხილად დაუყერავთ წვრილი ძაფით (ფფ. 144, 145).

ორი უკანასკნელი რეეული (31-ე და 32-ე, გვ. 239—260), მე-18 საუკუ-ნეშია დამატებული ქალაღდზე და ზედ საკითხავების საძიებელია მოთა-სებული.

ყღა ხისაა, ზედ მოკერეთიღი ტყავია გაღაკრული. წრნა ყღაზე შუაში ჯვარცმაა გამოყვანიღი მოკერეთის წესით. ეს ყღა მე-18 საუკუნეშია გაკე-თებული.

ფფ. 11—32 გაყვითლებულია (სინესტისგან?) რექტოდან ზემო მარჯვენა მხარეს, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ასეთივე ვითარებაა 41—107 ფფ.-ის ფარ-გლებში. იგივე ითქმის 219—223 ფფ.-ზეღაც, ოღონდ აქ შუა ნაწიღის შესახებ. ზოგი ფურცელი მკირე ნაწიღითღა არის დაკავშირებული თავის წყვიღის ცალთან (17—25).

მე-10 ფ.-ის ზემო მხარე მოხეულია და მის ნაცვლად დაწებებულია ქალაღ-დი და აღღგენიღია ტექსტი (მათ. 17, 24 და შემღდ.). ფ. 41 ირიზად არის გახეული და ნახევე ქალაღდი დაწებებული. ამით დაფარული ტექსტი ნაწი-ღობრივ აღღგენიღია ქალაღდზე წინა მხარეს. 56-ე ფ.-ის შესახებ უკვე ვთქვით, რომ ის არის დაკარგული ეტრატის ნაცვლად ჩაკერებული ქალაღდი, რომელ-ზეღაც ტექსტი (მათ. 24, 15—31) აღღგენიღია მე-18 ს.-ში.

პარხლის ხელნაწერს არ მოეპოება სურათები და კამარები (აღბათ თავის დროზე ჰქონღა თავში და დაელუბა), არც სხვა სამკაული, გარღა საბოღოებლი-სა თვითეული სახარების დასასრულს (სურ. 25 და 26). მაგრამ ბღომად მოე-პოება მინაწერები, რომლებიც ნათღად გვიხატავენ ხელნაწერის ბედს. ამათგან ყვეღაზე მნიშვნეღოვანია

1. ანღერძი (ფ. 237, სურ. 28 და 29), საღაც ნუსხურად ვკითხუღობთ (ქარაგმებს ვხსნით):

„წ. სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისთა. ძალითა ცხოველს-მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისადათა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინაწარმეტყუელისა იოვანე ნათლის-მცემლისადათა, მეოხებითა და შეწვენითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთადათა და წმიდათა წინაწარმეტყუელთადათა<sup>1</sup>, მეოხებითა წმიდათა მახარებელთადათა: მათე<sup>2</sup>, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწამეთადათა და ღირსთა მღვდელთ მოძღუართადათა და ნეტართა მამათადათა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა მოღუაწებითა სულისა წმიდისადათა და შეწვენითა ღმერთ-შემოსილთა კაცთადათა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებელად თავისა ჩემისა და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემთასა (sic) და ყოველთა თქსთა ჩუენთათჳს, სულიერთა და ჯორციელთა, და სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს ღმრთივ<sup>3</sup> დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთვისა და ღმრთივ<sup>4</sup> მონიჭებულთა ძეთა მათთათჳს. ქრისტემან ყოველნი აღიღენინ მოწყალეებითა მისითა ჟამთა უკუნი-სადმდე<sup>5</sup>!

აწ ვინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოიქცენეთ | სული ჩემი ცოდვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა. და ყოველთა ერთობით მოგუანიქენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი და ყოველნი ღირსმცა ვართ სასუფეველსა ცათა (sic) და სანატრელისა მის ჳმისა სმენად ქრისტე<sup>6</sup> იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა! მისა დიდებად ეკლესიასა შინა მამისა თანა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა, ამენ.

დაიწერა დასაბამითგანთა წელთა **✠ : ✠ : Ω** :

ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქეულთა **Ⲡ** **Ϩ** **Ϡ**.

ანდერძიდან ცხადია, რომ ხელნაწერი გადაუწერია იოანე-ბერას დასაბამითგან 6577 წელს, ხოლო ქართული ქრონიკონის მიხედვით 193 წელს. ორივე წელთაღრიცხვით ჩვენებურად გამოდის 973 წელი:  $6577 - 5604 = 780 + 193 = 973$ .

2 იოანე-ბერა თავის თავს მომღვენო ბერძნულ მინაწერშიც (სურ. 29) აცხადებს გადამწერლად.

3. იოანეს, რომელსაც ნართაულად ბერა ჰრქმევია, სახარების ტექსტი მრგლოვანი ხელით დაუწერია, მაგრამ მინაწერებში სხვაგანაც ნუსხურს ხმარობს. ერთი ასეთია მათეს სახარების ბოლოს (70 v, სურ. 25), სამ სტრიქონად, წერილად:

„ქრისტე მეუფეო ყოვლისა მპყრობელო, შეიწყალე გლახაკი იოვანე, მწერალი ამის წიგნისაჲ, მეოხებითა წმიდათა მახარებელთა შენთადათა, ა-ნ“.

4. მარკოზის სახარების ბოლოს (112 v, სურ. 25):

„ქე, შეიწყალე ბერაი მწერალი. ა-ნ“.

<sup>1</sup> წმწ-ულთადათა E. <sup>2</sup> მათშ E. <sup>3</sup> ლთვ E. <sup>4</sup> ლთივ E. <sup>5</sup> ოკე E. <sup>6</sup> ქშ E.



5. იოვანეს სახარების ბოლოს (236 რ, სურ. 27), წითურად, მრგლოვანი ხელით:

„დიდება შენდა, სამებაო წმიდაო“.

6. ამას მოსდევს ლოცვა „დიდება მამასა და ძესა“ უწიგნური ბერძნულით, რომელიც ამავე ბერას ეკუთვნის (სურ. 27). შემდეგ იქვე ნუსხურად:

7. „უფალო იესუ ქრისტე, ცხოველთა და მკუდართა მეუფეო, შეიწყალე იოვანე ბერაი, მწერალი ამისი, გლახაკი სულითა, მეოხებითა წმიდათა მახარებელთა შენთათა. წმიდანო ღმრთისანო, ვინ იკი...“ (შემდეგ მინაწერი წყდება. რადგანაც ჩამოჭრილია ამ ფურცლის გარეთა და ქვემო აწია).

ბერა თავის მინაწერებში არსად არ ასახელებს წიგნის მომგებელს. სამაგიეროდ ბერას ანდერძის შემდეგ, იმავე გვერდზე (ფ. 238 რ) იწყება

8. სხვა ანდერძი, ისიც ნუსხურად, თითქო სხვა პირის მიერ დაწერილი:

„შევწირე წმიდასა ეკლესიასა პარხლისასა... (აქ წაშლილია 3 თუ 4 სიტყვა. შემდეგ 238 რ-ზე გაგრძელება, სურ. 30).

„წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებალად ღმრთივ<sup>1</sup> გვრგვონისსა მეფეთა მეფისა (ადიღენინ ღმერთმან!) ღმრთივ<sup>1</sup> დამყარებულისა დავით მაგისტროსისა, მამობასა სარწმუნოვასა მწყემსისა და კეთილად მ[ოლ]უაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა. ქრისტემან შეაწიენ (sic) ესე წმიდანი მახარებელნი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა ეამთა უკუნისადმდე<sup>2</sup>, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხოვრებასა მას საუკუნესა! ან.

აწ ვინცა ვინ რათათა<sup>3</sup> მიზეზითა გამოაგუას წმიდასა ნათლის-მცემელსა, ანუ გაძლუანოს გინა გაყიდოს და ჩუენი სასყიდელი და გულს-მოდგინება დაამკუას, გა-მცა-ურისხდების თვადი ღმერთი და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს ისკარიოტელსა და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემლისა მკლველთამცა თანა დაიშვების და ესე წმიდანი მახარებელი არიან მოსაჯულნი მისნი დღესა მას დადგომისასა საშინელსა, ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხვად წინაშე საყდართა დაუსაბამოვასა ძისა ღმრთისათა, თუალ-უხუაუად მსაჯულისათა, რომლისადა არს დიდებად უკუნითი-უკუნისადმდე<sup>4</sup>, ან.

და ამასვე პირსა ზედა მეფეთა სიმტკიცე დაწერონ (ადიღენინ ღმერთმან!)

მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დაეწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან!“

ამ მინაწერის მიხედვით ისე გამოდის, თითქო ისიც იოვანე-ბერას დაეწეროს, მაგრამ ამ ანდერძის ხელი განსხვავებული ჩანს ბერას ნუსხური ნაწერებისაგან, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ. მელანიც სხვაა.

ამგვარად ირკვევა, რომ ოთხთავი შეუწირავთ პარხლის ეკლესიისათვის, რომელიც მაშინ (973 წ.) ახლად აშენებული ყოფილა ი. ნათლისმცემლის სახელზე.

9. ორი უკანასკნელი რვეული, ქალაღისა (31 და 32, გვ. 293—260), მე-18 საუკუნეშია დამატებული. აქ 239 ფ.-ზე იკითხება მხედრული მინაწერი, რომელიც ოთხთავის დატყვევებისა და გამოხსნის ამბავს მოგვითხრობს:

<sup>1</sup> ღთივ E. <sup>2</sup> ოკვ E. <sup>3</sup> რაცა. <sup>4</sup> ოკი-ოკვ E.

„ქ. მას ეამთა, ოდეს საათაბაგონი წმინდისა სარწმუნოებისაგან განსრულ-  
იყენენ და სარკინოზნი შექმნილიყენენ, ეს წმინდა სახარება იქაური ყოფილიყო  
და უსჯულოთაგან დატყვევებულყო. და დიდად სახელოვნებით გამოჩენილს  
ჰეფეთ<sup>1</sup> სიძობით მყოფს და თვით მეფის ვახტანგის სიძეს აბაშიძეს ვახუშტის  
ეს წმინდა სახარება თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებანიანს გულთ-  
დაეხსნა.

კვალად ქინახული და ხელმეორეთ განახლება მნახავთა<sup>2</sup> იუწყეთ: ჩვენ,  
სურვილითა და სიყვარულით შეტკობილმა ბატონის მამის ჩვენის უმცროსმა-  
შვილმა და მეფეთ მეფის ვახტანგის ასულის ბატონიშვილი ანუკას ძემან,  
ოკით აბაშიძემ ნიკოლაოზ, ვიგულსმოდგინე და შენ, დედასა ღთისასა წმინ-  
დასა მლთის-მშობელსა ხახულისასა, ციხესა შინა, წმინდასა შენსა საღვურსა ეკ-  
ლესიასა, ბულბულის ციხის პატარას საყდარში დავდევეთ<sup>3</sup> და შამოგწირეთ  
წმინდა ესე ოთხთავი. თვესა სეკედებერსა ო, ქკს უკზ“.

ქრონიკონი უდრის 1739 წელს. სიტყვების შემდეგ თითო წერტილია  
დასმული.

აქ მოხსენებული ბულბულის ციხე მდებარეობს, ე. თაყაიშვილის  
ცნობით<sup>4</sup>, ხაშურის ზემოთ, ს. ქვიშხეთიდან ორიოდე კილომეტრის მანძილზე.

10. მომდევნო ფურცელზე (240 r) იწყება საძიებელი წმიდისა სახარებისა.  
(ეს სიტყვები გამოცვანილია მთავრული ასოებით ხვეულად). საძიებელი დაწე-  
რილია ნუსხა ხუცურით 259 v-მდე, სადაც იმავე ნუსხური ხელით ნიკოლაოზ  
მთავარ-ღიაკონის ანდერძია მოთავსებული. სიტყვები უმთავრესად დაქარაგნებუ-  
ლია. აქ იკითხება<sup>5</sup>:

„უფალმან განაძღვიროს და ადიდოს<sup>6</sup> ორსავე ცხოვრებასა<sup>7</sup> ბატონი<sup>8</sup> აბა-  
შიძე ვახუშტი, რომლისა ბძანებითა<sup>9</sup> ძველად ნაწერი მგრგლოვანი ესე წმ  
სახარებმა კვალად<sup>10</sup> გავეტყლე სათვალავით და საძიებლითურთ. გვედრები<sup>11</sup>  
შკითხველთა, რათა მიკირედცა ხსენებასა<sup>12</sup> ჰყოფდეთ ჩემ უბადრუკისა მთავარ-  
ღიაკონის<sup>13</sup> ნიკოლაოზისათა<sup>14</sup>. დასაბამითგან კსნზ (7252), ქრისტეს აქეთ ჩლმდ  
(1744), ქკს ულბ“ (432).

ცხადია, დასაბამითგანი აქ ნაანგარიშეგია ბიზანტიურად, რადგანაც ქრის-  
ტემდე ნაწარაუდევია 5508 წელი (7252—5508 = 1744), და არა 5604, როგორც  
წარაუდობდნენ ჩვენში ძველად, მაგ., თვით პარხლის ოთხთავის დაწერის დროს.

11. მათეს სახარების ბოლოს (70 v.): „ადიდოს<sup>15</sup> უფალმან ბატონი<sup>8</sup> ეა-  
ხუშტი აბაშიძე, რომლისა ბრძანებითა ვმართავ სათვალავსა წრისა ამის სახა-  
რებისასა მე, ეწინა სახელისა (sic) მთავარ-ღიაკონი ნიკ. მრავალ-ეამეურ ყოს.  
უფალმან ორსავე შინა კეთილ-ცხოვრებასა! გვედრები: ყოველთა უფალთა ჩემ-  
თა, რათა ჩემ უბადრუკისათვის მკირედცა ხსენება<sup>16</sup> ყოთ. ჩემთა შეწყალება-  
თათვის თქვენცა უფალმან წყალობა<sup>17</sup> გცეს დღესა მას განკითხვისასა!“

ნიკოლაოზ მთავარ-ღიაკონს შეუესია ოთხთავის ნაკლულევანი ადგილები.

<sup>1</sup> ხელნაწერი: მეფეთ. <sup>2</sup> ხელნაწ.: მნახავითა. <sup>3</sup> ხელნაწერი: დავიდევით. <sup>4</sup> Mat. no apx.  
Kaxkaza, XII, გვ. 139. <sup>5</sup> ქარაგმებს ვხსნით. ხელნაწერის ორთოგრაფიას სქოლიოში ვუჩვენებთ:  
<sup>6</sup> ადიდოს. <sup>7</sup> ცხრბა. <sup>8</sup> ბატონი. <sup>9</sup> ბძანებითა. <sup>10</sup> კდ. <sup>11</sup> გზი. <sup>12</sup> ხსნებასა. <sup>13</sup> მთვრ დიკონის.  
<sup>14</sup> ნიკონისთა. <sup>15</sup> ადიდოს. <sup>16</sup> ხსენებმა. <sup>17</sup> წყალობმა.

თავში და შუაში (ფ. 97) და გაუმუხლავს, ე. ი. თავებად და მუხლებად დაუყვია მთელი ტექსტი. გამუხლვა მას ასე მოუხდენია: თავ-თავის ადგილას ჩაუწერია თავების დასაწყისი, ხოლო აშიებზე—მუხლების სათვალავი (მრგლოვანი ხელით). გამუხლვა უმეტეს შემთხვევებში ამჟამად მიღებულს ემთხვევა. ამას გარდა, მუხლების დასასრულს ნიკოლაოზს სამ-სამი წერტილი დაუსხამს, თანაც საკითხავების დასაწყისსა ან დასასრულს წითელ-წითელი ჯვრები დაუსხამს, რომლებიც აშკარად განსხვავდებიან იოანე-ბერას ჯვრებისაგან არა მარტო სიდიდით (ნიკოლაოზის ჯვრები მომცროებია), არამედ ფერითაც: ძველები მკრთალი წითელი ფერისაა, ახალი კი—მოჭირებული წითელი ფერისა.

როგორც ამ მინაწერებიდან ირკვევა, პარზლის ოთხთავი ტყვეობიდან დაუხსნია ვახტანგ მეექვსის სიძეს ვახუშტი აბაშიძეს და დაუდვია ბულბულის ციხის პატარა ეკლესიაში. ეს მომხდარა 1739 წ., ხოლო ხუთი წლის შემდეგ (1744 წ.) ვახუშტის უმცროს შვილს მთავარ-დიაკონს ნიკოლაოზს ოთხთავის დაკლებული ადგილები შეუესია, ტექსტი თავებად და მუხლებად დაუყვია და საკითხავთა საძიებელი დაურთავს<sup>1</sup>.

12. ზემოთ მოყვანილ წარწერაში (№ 9) დასახელებული ანუკა ბატონი შვილი ერთგან წერს (9 r, ქვემო აშიაზე):

„ქ. ღთო, ცოდვილს ანუკას მო(ხ)ედე მოწყალებით შენით“.

სიტყვებს სამ-სამი წერტილი უსხედს.

13. იმავე ანუკა ბატონი შვილს შაირი მიუწერია 238 v-ზე. ლექსში ნახმარია მეტი ანები, რომლებიც აქ შენიშვნებშია ჩატანილი, სამაგიეროდ დაკლებული ასოები შავად არის აწყობილი. სიტყვების შემდეგ აქაც სამ-სამი წერტილი სხედს:

ფრიად<sup>2</sup> ცოდვილმან ანუკამ დაეწერე<sup>3</sup> ესე ლექსია<sup>4</sup>.

ჩემთვის<sup>5</sup> შენდობას ბძ(ა)ნებდეთ<sup>6</sup>, ვისც გწამსო ქრისტე მესია.

მცოდნენო<sup>7</sup>, თავსა არ გისწრობთ<sup>8</sup>, ხართ ჩემგან უკეთესია,

და დაეწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დან(ა)წესია<sup>9</sup>.

14. ამავე ანუკას უნდა ეხებოდეს მე-18 საუკუნის ხელით დაწერილი სიტყვები იმავე გვერდზე (238 v) თავში. მელანი გადალეულა და ზოგან არ იკითხება.

„ქრისტევ მეუფეო, შექირებულთ მეყუსეულათ მ... ნელო(?) შენ... მოწყლებს... აი დ იოე თავს ანუკაზე“.

15. აღრინდელი (მე-13—14 ს.) მხედრულით შესრულებულია თითქმის სულ გადალეული 5-სტრიქონიანი წარწერა 236 v-ზე. ეს-ლა ირჩევა თავში:

ქ. დლსა.

16. 237 v-ს მეორე სვეტზე, მხედრულად, ლამაზი ხელით 8 სიტყვისაგან შემდგარი წინადადება. სიტყვების შემდეგ ორ-ორი წერტილი:

<sup>1</sup> ჩვენ მადლობელი ვართ ნიკოლაოზ აბაშიძის, რომ მან პარზლის ოთხთავზე გაწეული მუშაობა ზედმიწევნით აღნიშნა, მაგრამ კიდევ უფრო დაეუზადლებდით, რომ მას ძველი ტექსტისათვის სრულიად არ ეხლო ხელი. <sup>2</sup> ფაჩიად. <sup>3</sup> დაეწერე. <sup>4</sup> ლექსია. <sup>5</sup> ჩემთვის. <sup>6</sup> პაძნებდეთ. <sup>7</sup> მაცოდნენო. <sup>8</sup> გისწრობათ. <sup>9</sup> დანწესია.

„ნეტავი იმ კაცთა, ვინც ამის წერის დროს ყოფილან!“

17. უახლოესი დროის (მე-19 ს.) მინაწერი ნარევი მრგლოვან-ნუსხური ხელით (70 v): „მოიხსენე, უფალო, კანდელაკი მღრღელი იოვანე. ან“.

18. იგივე იოვანე სხვაგან (237 v) ნუსხურად: „მოიხსენ(ე), უფალო, მონაშენი კ(ა)ნდელაკი მღრღელი იოვანე ამინ, ან, ან“. აქ ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილია. ეს მინაწერი მოსდევს სხვა მხედრულ მინაწერს (№ 16-ს).

ცნობა პარხლის ოთხთავის შესახებ პირველად ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1890 წ. თავის ცნობილ გამოკვლევაში („სამი ისტ. ქრონიკა“, გვ. XLV—LVII). ხელნაწერი მას უპოვია მღვდლის მ. სუხიაშვილის (სუხიევის) სახლში ს. ზემო-ქალაში 1889 წელს<sup>1</sup>, ოციოდე წლის შემდეგ მან უფრო ვრცლად დაბეჭდა ამ ძეგლის აღწერილობა რუსულად (МАК, XII, 1909, 139—151). უკანასკნელი ნაშრომი იმით არის საყურადღებო, რომ აქ მოცემულია პალეოგრაფიული ნიმუშები ძეგლისა, მოყვანილია ოთხივე თავის დასაწყისი და დასასრული (მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოვანესი), აგრეთვე მინაწერები იოანე-ბერასი და სხვებისა, რომლებიც გადმოულია კალიგრაფ გ. ტატიშვილს დენიდან 1894 წ.

პარხლის ოთხთავის აღმოჩენით შესაძლებელი გახდა უფრო ზუსტად დათარიღებულიყო განთქმული შატბერდის კრებული, რომელიც უთარიღოა, მაგრამ რომელიც, მინაწერების თანახმად, იმავე იოანე-ბერას გადაუწერია, რომელმაც ჩვენი ოთხთავი გადაწერა და პარხალს შესწირა. ე. თაყაიშვილის „სამი ისტ. ქრონიკაში“ დაბეჭდილ ცნობებზე დაყრდნობით, პარხლის ოთხთავს რამდენადღე შეეხო თ. ჟორდანიას (ქრონიკები I, 1892, გვ. 94—99). თაყაიშვილის წანაკითხის შესამოწმებლად ის ზემო-ქალას გამგზავრებულა, მაგრამ მღვდლის სუხიაშვილის სახლში ვერ უპოვია აღნიშნული ოთხთავი, რომელიც მღვდელს თითქო კერძო პირთათვის ეთხოვებინა (გვ. 95). 1894 წ. ე. თაყაიშვილი კვლავ ჰსტუმრებია ზემო-ქალას ფოტოგრაფ დ. ერმაკოვისა და კალიგრაფ გ. ტატიშვილის თანხლებით და გადმოუღებინებია ზოგიერთი ადგილი, რომლებიც მან შემდეგ გამოაქვეყნა (МАК, XII).

გავიდა ხანი. მოიკითხეს ხელნაწერი, რომელიც თავის დროს ქალის ეკლესიას ეკუთვნოდა<sup>2</sup>, მაგრამ მღვდლის სიკვდილის შემდეგ მისი კვალი გაქრა. შეიძლება პარხლის ოთხთავი, ბერთის ოთხთავის მსგავსად, საზღვარგარეთ გაეტანათ, რომ გერმანიის კონსულს თბილისში Dr. O. G. von Wesendonk-ს, რომლისთვისაც შესაძენად შეეძლიათ ეს ხელნაწერი 1922 წელს, ირ მოეტანა

<sup>1</sup> გასულ ზაფხულსო, —წერდა ე. თაყაიშვილი 1890 წელს ივლისში, —მე მომიხდა ყოფნა სურამში და თავისუფალ დროს ვნახულობდი ეკლესიებს, ვაგროვებდი გუჯრებს და ვკრებდი ცნობებს ხელნაწერი წიგნების შესახებ“-ო („სამი ისტ. ქრონიკა“, გვ. XX). ამასვე იმეორებს ის შემდეგ რუსულად გამოქვეყნებულ აღწერილობაში (МАК XII, 151).

<sup>2</sup> მღვდლის მ. სუხიაშვილის სიტყვით, პარხლის ხელნაწერი, სხვა საეკლესიო ნივთებთან ერთად, მას გორიდან ქალას აუტანია 1871 წ. ისინი ეკუთვნოდა ივანე აბაშიძის კერძოს, რომლის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეებმა ყველაფერი გაიყვეს, გარდა საეკლესიო ნივთებისა, რადგანაც ეწინოდათ, რომ, თუ ვინმე დასძრავდა მათ ადგილიდან, უუკველად მოჰკლავდაო. სუხიაშვილს მაინც დაუძრავს და გადაუტანია ქალაში (ე. თაყაიშვილი, MAK XII, 132).

ის უნივერსიტეტის მუზეუმში (რომელიც მაშინ მოთავსებული იყო უნივერსიტეტის შენობის ზემო სართულში, ჩრდილოეთის მხარეს) იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენდა ხელნაწერი და ღირდა თუ არა მისი შექმნა. ამ დროს იქ შევესწარით კ. კეკელიძე და მე. ჩვენ აუხსენით კონსულს, რომ კარგა ხანია, რაც ჩვენ თვითონ ვეძებთ მაგ ხელნაწერს, რომელიც კარგად ცნობილი ძეგლია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამის შემდეგ კონსულმა უხერხულად მიიჩნია მისი შექმნა, და პირი, რომელსაც განთქმული ოთხთავი თავისად მიაჩნდა, იძულებული გახდა, რომ ხელნაწერი უნივერსიტეტისთვის დაეთმო.

უნივერსიტეტის ხელნაწერთა ფონდი შემდეგ შეუერთდა საეკლესიო მუზეუმისას, უნივერსიტეტის ხელნაწერთა ნომრები წათვლილ იქნა საეკლესიო მუზეუმის უკანასკნელი ხელნაწერისაზე (1090-ზე) და ჩვენს ოთხთავს ჰხვდა ნომერი 1453. შემდეგ ეს შეერთებული ფონდი (საეკლ. მუზეუმისა და უნივერსიტეტისა) გადატანილ იქნა საქართველოს მუზეუმში და აღინიშნება A ლიტერით.

### III. და ბ ე ჯ დ ი ლ ი ტ ე მ ს ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

აქ წარმოდგენილი ორი ძველი რედაქცია ქართული ოთხთავისა უთუოდ მოითხოვს ზოგიერთი საკითხის განმარტებას, ურომლისოდაც მკითხველს არ ექნება საშუალება გაითვალისწინოს, თუ როგორი პრინციპებით ეხელმძღვანელობდით ამა თუ იმ ადგილის დადგენის დროს და, საზოგადოდ, როგორია ჩვენი დამოკიდებულება ტექსტისადმი.

#### 1. დაკლავულისა და გადასმული ადგილებისათვის<sup>1</sup>

სამსავე ხელნაწერს აკლია, ზოგს სად და ზოგს სად. კლება ზოგი შემთხვევითია: გამოწვეულია ან ხელნაწერის დაზიანებით, ან კიდევ გადამწერის უყურადღებობით, ზოგიც რედაქციული ხასიათისაა. რედაქციული ამბავია აგრეთვე მუხლების გადასმაც. დაკლება უმეტეს შემთხვევაში გარეგნულადაც ადვილი შესატყობია, რადგანაც ამ გამოცემაში სათანადო ადგილას ცარიელი არეა დაგდებული. C-ს დაზიანებისაგან წარმომდგარი ხარვეზები გამოცემაშივეა აღნიშნული თავ-თავის ალაგას, სხვა ხელნაწერებისა და სხვა ხასიათის კლებას მიეჭყვეთ რიგ-რიგად<sup>2</sup>:

მათ. 1, 1—17. ეს მუხლები აკლია როგორც D-ს, ისე E-ს. E-ში, მართალია, ნაკლი შევსებულია მე-18 საუკუნეში, მაგრამ ეს შევსებული ტექსტი ამ გამოცემაში უყურადღებოდაა დატოვებული (როგორც აქ, ისე სხვაგანაც).

<sup>1</sup> ამ ნაწილისათვის ვსარგებლობდი შემდეგი წყაროებით: ბერძნული ახალი აღთქმა, მე-7 გამ. ტიშენდორფისა (1887) და მე-3 გამ. ნესტლესი (1901), სომხური ოთხთავები 887 და 989 წლებისა ფოტოტიპური გამოცემების მიხედვით [ლაზარაანთ ინსტიტუტის გამოცემა, მოსკოვი 1899 (=K) და L' évangile arménien. Paris 1920 (=F)], ახალი აღთქმა (ზოპრანის გამოცემა, 1805 (=A) და ლოპუხინის რედაქციით გამოსული Трѣхъ свѣдѣнѣхъ (т. т. LX и X, 1914). გიორგისეული რედაქციისათვის ხელთ მქონდა ახალი აღთქმა, გამოცემ. თბილისს 1912 წ.

<sup>2</sup> აქ მხოლოდ მთავარი საკითხებია განხილული და ისიც მოკლედ.

მათ. 1, 17—5, 18 ვიდრე „შჯულისაგანი და“. ეს ადგილი აკლია E-ს ძველ ნაწილს და მარტო D-ს მიხედვით არის მოყვანილი.

მათ. 5, 21. DE-ს შემთხვევით უნდა აკლდეს ერთი წინადადება.

მათ. 6, 5—6. ეს ორი მუხლი აკლია პარხლის ხელნაწერს (E-ს), როგორც ჩანს, სრულიად შემთხვევით: ალბათ გადამწერმა, მე-4 მუხლის უკანასკნელი სიტყვების დაწერის შემდეგ, თვალი მოჰკრა მე-6 მუხლის დაბოლოებას, რომელიც ისეთივეა, რაც მეოთხისა („მოგაგოს შენ ცხადად“), იფიქრა, რომ მუხლები 5 და 6 უკვე დაწერილიაო და პირდაპირ მე-7-ზე გადავიდა.

მათ. 17, 21. ეს მუხლი აკლია ორსავე რედაქციას. სხვა ქართულ ხელნაწერთაგან, რომელთაც მე ვიცნობ, ის არ არის ოპიზურში, მაგრამ მოიპოვება ორსავე ძველ სომხურ ხელნაწერში (U<sup>1</sup>). ტიშენდორფსა და ნესტლეს ის სკოლიოში აქვთ ჩატანილი.

მათ. 18, 11. ეს მუხლი, სახარების ტექსტის კომენტატორთა აზრით, მერმინდელი ჩანამატებია და გადმოსულია ლუკას 19, 10-იდან. საყურადღებოა, რომ ქართულ ხელნაწერთაგან ის მოიპოვება BC-ში აგრეთვე გიორგისეულ რედაქციაში, მაგრამ აკლია ADE-ს; მოიპოვება U<sup>1</sup>-ში.

მათ. 20, 26. უთუოდ შემთხვევითია, რომ მუხლს აკლია მეორე ნახევარი, რომელიც მოიპოვება AB-ში.

მათ. 21, 28—31. ივაგი ურჩისა და მორჩილი შვილის შესახებ ორსავე რედაქციაში ისეა მოთხრობილი, რომ მამის ნებას ასრულებს უკანასკნელი. გიორგისეულ რედაქციაში კი მორჩილია პირველი შვილი და არა უკანასკნელი: CDE-ს ამ შემთხვევაში მხარს უჭერს AB, ქსნური და ურბნული ხელნაწერები<sup>1</sup>; აგრეთვე UR<sup>4</sup>.

მათ. 23, 13—14. C-ში სრულიად გამოტოვებულია ქვრივთა სახლების შექმნის მუხლი, რომელსაც გადმოსულად თვლიან მარკოზიდან (12, 40) და ლუკადან (20, 47). ის არ მოიპოვება მრავალ ძველ ბერძნულ ხელნაწერში, აგრეთვე, ზოპრაბინის შენიშვნის თანახმად, ძველ სომხურ ხელნაწერებშიც (მათ შორის, დავსძენთ ჩვენ, U<sup>1</sup>-შიც). სხვა ქართულ ხელნაწერთაგან AB და DE აღნიშნულ მუხლს სასუფეველის დახშვის მუხლის წინ ათავსებენ. გიორგისეულ რედაქციაში კი რიგი შებრუნებულია.

მათ. 25, 26. მუხლის ბოლო მოიპოვება ADE-ში; აკლია BC-ს, გიორგისეულს, ბერძნულს, სომხურს.

მათ. 28, 18. მუხლის ბოლო გადმოსული ჩანს იოვანედან (20, 21). მოიპოვება C-ში და UR<sup>4</sup>-ში, მაგრამ აკლია ABDEX-ს, გიორგისეულს, ბერძნულს.

მარკ. 1, 45—2, 12 „ველ-წიფა“... ვიდრე „იტყოდეს“ ეს ადგილი აკლია D-ს და მოყვანილია მარტო E-ს მიხედვით.

მარკ. 2, 19. ეს მუხლი შემოკლებულად არის წარმოდგენილი პროტოვულგატურ ხელნაწერებში: ABDE. ჰემეტცი (Z) ამოკლებს, მაგრამ „მარხვად“ წინ არის გადმოსული: „ვერ ველ-ჰეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად“.

<sup>1</sup> დ. ბაქრაძე, Древние варианты груз. четвероевангелия: Труды..., стр. 219—

მარკ. 3, 2. DE-სთან ერთად AB-საც აკლია ბოლო, რომელიც ჰაემეტში (Z) ასე იკითხება: „რადთა შეასმინონ იგი“.

მარკ. 6, 23. გადამწერს აშკარად გამოპრჩენია სიტყვები: „და ეფუცა მას, ვითარმედ: რადცა მთხოო, მიგცე შენ“ („მიგცე შენ“ სიტყვების გამეორების გამო). საყურადღებოა, რომ ასევე გამორჩენილია ეს სიტყვები AB-ში.

მარკ. 6, 37. ეს მუხლი აკლია DE-ს, ალბათ სრულიად შემთხვევით (36-ე და 37-ე მუხლების მსგავს დაბოლოებათა გამო?). ხელნაწერები აქ დაზიანებული არ არის.

მარკ. 7, 16. ეს მუხლი აკლია C-ს. ის ზოგ ბერძნულ ხელნაწერსაც ჰკლებია (ტიშენდორფს და ნესტლეს სქოლიოებში აქეთ ჩატანილი). არის *U. 179*-ში.

მარკ. 9, 44 და 9, 46. ეს ორი ერთნაირი მუხლი, რომელიც გეჰენის დახასიათებაა, მესამედ იკითხება ამავე თავის 48-ე მუხლად. გეჰენია სამჯერ არის მოხსენებული (მმ. 43, 45, 47) ხელის, ფეხის და თვალის დამაბრკოლებელ საგნებად ჩამოთვლის გამო და სამჯერვე მას დახასიათება მოსდევს გიორგისეულ რედაქციაში (44, 46, 48). აქ კი ორსავე რედაქციაში გეჰენის დახასიათება („სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების და ცეცხლი არა დაშრტების“) მხოლოდ უკანასკნელად არის მოთავსებული (48). ასე არის AB-შიც და ი. ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ ხანზეტ ნაწყვეტშიც (Y).

მარკ. 10, 11—12. ეს მუხლები ABDE-სა და გიორგისეულ რედაქციაში ასეა წარმოდგენილი: ჯერ მამაკაცზე საუბარი (11) და შემდეგ დედაკაცზე (12) C-ში კი შებრუნებულია რიგი: ჯერ დედაკაცზე ნათქვამი (11) და შემდეგ მამაკაცზე (12). ასეთი გადასმა შემთხვევითი ამბავი უნდა იყოს.

მარკ. 10, 43—44. DE-ში ეს ორი მუხლი (43 და 44) შეერთებული ჩანს. „დიდ ყოფად-ს“ შემდეგ გამოტოვებულია: „იყოს თქუენდა მსახურ (44) და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფად“, (შემდგომი არის:) „იყავნ იგი შონა ყოველთა“. გამოტოვება „დიდ ყოფად“-ს და „პირველ ყოფად“-ს მსგავსების ბრალია.

მარკ. 11, 26. ეს მუხლი ორსავე რედაქციას აკლია; აკლია AB-საც, *179*-საც (*U*. ამ ადგილას დაზიანებულია). ტიშენდორფსა და ნესტლეს ის სქოლიოებში აქეთ ჩატანილი. არ არის შეტანილი არც ალდგენის კესარიულ ტექსტში<sup>1</sup>.

მარკ. 13, 34—34, 11. „(მეკარე)სა ამცნო“ ვიღარე „მიჰსცა იგი მით“ ტექსტი მოყვანილია მარტო D-ს მიხედვით, რადგანაც E-ს აკლია ერთი ფურცელი.

მარკ. 14, 42. DE-ს აკლია „მარჯუენით“: „მარჯუენით ძლიერებათა“.

მარკ. 15, 46. C-ს გადამწერს უთუოდ გამოპრჩენია 6—7 სიტყვა „არდაგის“ გამეორების გამო.

მარკ. 16, 9—20. ეგრეთ წოდებული «გრძელი ბოლო» არ მოიპოვება C-ში. სხვა ქართულ ხელნაწერთაგან ის არ არის შეტანილი ოპიზურში (A-ში) და ქსნურში. აკლია *U*-ს, მაგრამ მოიპოვება *F*-ში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> K. Lake, R. Blake and S. New, The Caesarean Text of the Gospel of Mark: The Harvard Theological Review, Vol. XXI, № 4, 1928, p. 404.

<sup>2</sup> დამატებული მუხლები (9—20), *F*-ს მინაწერის თანახმად, ეკუთვნის არისტ(ი)ონ ხუცესს.

ლუკ. 12, 2. DE-ს შემთხვევით აკლია „დაფარულის“ ამხსნელი წინადადება: „რომელი არა გამოცხადნეს“.

ლუკ. 17, 36. ორსავე რედაქციას აკლია ეს მუხლი, რომელიც, მკვლევართა აზრით, მათედან არის გადმოსული (24, 40).

იოვ. 5, 4. ეს მუხლი მერმინდელ ჩანართად ითვლება. აკლია ორსავე რედაქციას.

იოვ. 7, 53—8, 1—11. მეძვე ქალის შესმენის ამბავი აკლია ორსავე რედაქციას. მკვლევართა აზრით, ის მერმინდელი ჩანართია. ძველი კომენტატორები (ორიგენი, ი. ოქროპირი, თეოდორიტი) ამ ნაწყვეტს არ იცნობენ.

იოვ. 9, 13—14. ეს მუხლები გადასმულია DE-ში, C-ში კი ისეა, როგორც ბერძნულში და სომხურში. გ. მთაწმიდლის რედაქცია DE-ს უჭერს მხარს.

იოვ. 11, 41—42. DE-ში გამორჩენილია რამდენიმე სიტყვა.

იოვ. 12, 45. E-ს გადამწერს გამოპრჩენია წინა მუხლთან მსგავსების გამო.

იოვ. 14, 14. ეს მუხლი აკლია ორსავე რედაქციას და *U.F.9*-ს.

იოვ. 16, 25. DE-ში გამორჩენილია რამდენიმე სიტყვა.

იოვ. 17, 7—8. C-ს გადამწერს გამოპრჩენია რამდენიმე სიტყვა.

## 2. ცალკეული ადგილების წაკითხვისათვის

საქიროდ მიგვანნია შეეჩერდეთ ზოგიერთ ცალკეულ ადგილზე, რომელთა წაკითხვა ამა თუ იმ მხრივ კითხვას იწვევს.

მათ. 11, 7—9. თუ მარტო ქართული ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ფრაზების აგებულება ისეთია, რომ შეიძლება „რახსა“ „რატომ“-ად გავიგოთ და ორი კითხვის ნაცვლად ერთი ვიგულისხმოთ: „რახსა გამოხუედით უდაბნოსა ხილვად ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა“? „რახსა გამოხუედით ხილვად კაცისა ჩჩლვითა სამოსლითა შემოსილისა“? „რახსა გამოხუედით ხილვად წინაწარმეტყუელისა“? იგივეა ლუკასთანაც (7, 25—26).

მათ. 18, 6. „ფქვილი ვირით საფქველი“ (μύλος βυζός). შდრ. მარკ. 9, 42 და ლუკ. 17, 2.

მათ. 22, 2. „ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა“ (მეფესა C). როგორც Forcellini-ს მიუქცევეია ყურადღება ამ ადგილის ლათინური ვერსიისათვის<sup>1</sup>, აქ „კაცსა მეუფესა“ უნდა გავიგოთ როგორც „ვიწმე მეუფესა“.

მათ. 24, 46. „რომლისაჲ მოვიდეს უფალი თჳსი“. ქართული ენის ნორმების მიხედვით აქ უდაგილოა „თჳსი“, მაგრამ, როგორც შედარება გვიჩვენებს, ის უდრის ἀὐτῆς-ს, ოღონდ ბერძნულში ფრაზა სხვაგვარად არის აგებული.

მათ. 25, 11. „შემდგომად ამისა მერმე მოვიდეს“. პლეონასტური გამოთქმა (ან „შემდგომად ამისა“, ან „მერმე“).

მათ. 25, 14. „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი გზას და მოუწოდა მონათა თჳსთა და მისცა მათ მონაგები თჳსი“. ბერძნ. მიმღეობა

<sup>1</sup> დამოწმებულია Acta Jutlandica-ში, IX, 266.



პირიანი ზმნის ფორმით გადმოჟლიათ („წარვალნ“) და აქედან წარმომდგარა შეუთანხმებლობა მომდევნო ზმნებთან მწკრივში.

მათ. 25, 24 „განგიბნევიედ“ და მათ. 25, 26 „განმიბნევიედ“. მოსალოდნელი იყო: განგიბნევიეს, განმიბნევიეს.

მათ. 25, 40. „რაოდენი (რადენი) ჰყავთ ერთსა ამას ძმათა ჩემთასა, იგი შე მიყავთ“. „მიყავთ“ ფორმა გულისხმობს, რომ მე-3 ობიექტურ პირში „უყავთ“ გეჰონდეს. ხელნაწერებში კი (DE) „ჰყავთ“ იკითხება. შეიძლება აქ ჰაემეტრობის ნაშთთან გეჰონდეს საქმე: ჰყავთ = ჰუყავთ.

მარკ. 4, 19 შეერიინან (C) = შეერიინან?

მარკ. 4, 28. „ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე თავი და მაშინ-ლა სავს იქელი“. დარღვეულია სინტაქსი. ცხადია, უნდა: წუელსა, თავსა, იქელსა. რედაქტორს ზმნის ფორმა გადმოუტანია I სერიაში, მაგრამ მომდევნო ობიექტების ბრუნვის ფორმა სათანადოდ არ გადაუყეთებია.

მარკ. 9, 11. „და ეტყოდეს: ვითარ-მე იტყვან მწიგნობარნი“ DE, „და ჰრქუეს: ვითარ-მე თქვან მწიგნობართა“ C. ორსავე რედაქციაში „ვითარმედ“ (ვ'დ) იკითხება. აშკარა შეცდომა ჩანს და გავასწორეთ.

მარკ. 11, 17. „ყოველთა ნათესავთა“ C. აჯობებლა: ყოველთაგან ნათესავთა.

მარკ. 12, 33. ხელნაწერშია: „უფროს არს მრგულიად ყოელთა დასაწუყელთა“ და მსხუერპლთა“ (C). „მრგულიად დასაწუყელის“ გათიშვა არ იქნება, რადგანაც ის ერთ ცნებას წარმოადგენს (μακρῶτατα, ἰσχυρότερον), და გადაესვით.

მარკ. 14, 36. „გარე-წარმოცოდ მე სასუმელი ესე“. ზემოთ (მრ. 14, 35) ნათქვამია: „რამათმცა გარე-წარმოცდა მას ჟამი იგი“ და ამის მიხედვით შევასწორეთ.

„გარე-წარმოცოდ“ ფორმას მხოლოდ მაშინ გავამართლებდით,

a) თუ დაეუსვებდით, რომ ცოდ ფუძეს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ცეთ-ს, ოღონდ აქტიური გაგებით (ქართ. ცეთ ფუძეს სვანურში ქად შეეტყვება: ათქად—ასცდა, შეცდა); ამას რამდენადმე მხარს დაუჭერდა კაუზატიურად ნაწარმოები, მაგრამ მნიშვნელობით იმედიანი ფორმა ცეთ-ისა, რომელიც იმავე ადგილას ლექციონარის ნაწყვეტში იკითხება: „წარმოცოდ მე სასუმელი ესე ჩემგან“, მაგრამ ეს საეჭვოა; ან კიდევ

b) თუ ვითიქრებდით, რომ აქ გვაქვს თხოვნითი კილოს ფორმა ფშაურის მსგავსად ნაწარმოები „გარე-წარცემა“ ზმნისაგან: ბრძან. გარე-წარმეც, თხოვნ. გარე-წარმოცოდ. ეს კი უფრო საეჭვოა, რადგანაც დაბრკოლება ორგვარია: ფორმისა და ფუნქციის მხრით.

ამიტომ ვამჯობინეთ აქტიური ფორმა „გარე-წარვდომა“ ზმნისა და გავასწორეთ. სხვათა შორის, აქტიურად ნახმარია იგივე ზმნა „თანა“-თი გრ. ხანძთელის ცხორებაში“: „რამათს თანა-წარმეცდი სულიერთა სიტყუთა შენთა“ (34, 6), ხოლო თვით C-ში გვაქვს: „ვიდრემდის წარმეცდი სულთა ჩუნთა“ (ი. 10, 24).

მარკ. 15, 23. „და მისცეს მას სუმუროვანი ღვინო“ (C). ნაწარმოები „სუმუროვანი“ ძირეულად „სუმურ“-ს გულისხმობს, მაგრამ ასეთი არ გვაქვს. გა-

მოსავალია ან *μάρτις* [საიდანაც (უშუალოდ თუ შუალობით) მიღებულია მურ-ი (მ. 2, 11; ი. 19, 39)] ან *εμάρτι*; აქედან: *ἐμαρτιμαχον οἶνον* („დასმირნული ღვინო“). ოვან სუფიქსით პირველი მოგვეცემდა მუროვანს, მეორე კი სმირნოვანს, ან სმურნოვანს (ან კიდევ: ზმურნოვანს). ნ-ს თუ არ მივაქცევდით ყურადღებას, გვეჩვენებოდა სმურნოვანი ან ზმურნოვანი (სა=ზმ)<sup>1</sup>. მაინც ეს არ არის, რაც ქართულშია. არას გეშველის არც სომხურთან დაპირისპირება: *ԲԳ*-ს თანხმად *գիւսիակ* ან (როგორც *Ա*-ში იკითხება) *գիւսակ*.

მეორე მხრით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „სუმუროვანი“ წარმოდგა ორი სიტყვის შეერთებისაგანაო: „და მისცეს მას სუმ(ად) მუროვანი ღვინო“, მაგრამ, როგორც ტიშენდორფის გამოცემიდან ჩანს, ზოგ ბერძნულ ხელნაწერში არც ყოფილა „სუმად“ (*πινειν*).

ლუკ. 1, 3 ორსავე რედაქციაში საკუთარი სახელი *Θεόφιλος* ეპითეტად არის გაგებული და ნათარგმნია „ღმრთის მოყუარედ“; გიორგისეულ რედაქციაში ესეც შენახულია და საკუთარი სახელიც: „მწენო ღმრთის-მოყუარეო თეოფილე“.

ლუკ. 1, 15. „და ღვინო და სათრობელი და იყი არა სუას“ (C). სამი ობიექტია დასახელებული, რომელთაგანაც მეორე („სათრობელი“) გლოსა უნდა იყოს მესამისა („იყისა“). ნაკლებ სავარაუდებელია ასეთი წაყითხვა: „ღვინო და-სათრობელი და იყი“.

ლუკ. 7, 36. შევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი“. ასეთი წყობა ბერძნული ტექსტის გავლენით არის გამოწვეული (მოსალოდნელი იყო: ევიდრებოდა მას ვინმე ფარისეველთაგანი). მსგავსი მოვლენა სხვაგანაც არის (ლუკ. 11, 1), თუმცა იქ ბერძნულ ტექსტში ამის საფუძველი არ მოიპოვება.

იოვ. 2, 9. „და ვითარცა გემოა იხილა მთავარმან მან წყალი იგი ღვინოდ ვარდაქცეული“. აქ „გემოა იხილა“ რთულ ზმნად არის ნახმარი, ხოლო ობიექტია „წყალი იგი“ (აჯობებდა ასეთი ორთოგრაფიით: გემო-იხილა).

იოვ. 2, 31 „ზეგარდამომავალი ყოველთა ექეთა არს“ (C). „ექეთა“ მიღებულია „ზეშთა“-საგან ჯერ რეგრესული ასიმილაციისა და შემდეგ პროგრესული ასიმილაციის ნიადაგზე: ზეშთა — ექეთა — ექეთა. „ზეშთა“ კი პარალელური ფორმაა „ზესთა“-სი<sup>2</sup>. გვხვდება ეესთა-ც (აქედან: უქესთაეს)<sup>3</sup>.

### 3. პარაზმინ სიტყვათა გახსნილობის

დაქარაგმებული სიტყვები საზოგადოდ ყველგან გაცხსენით<sup>4</sup>. გახსნის დროს ყურადღებას ვაქცევდით იმ ადგილებს, სადაც იგივე სიტყვა გახსნილად იყო

<sup>1</sup> შდრ. ზიორინი (= *Συμαρτι*: გამოცხად. 1, 11; 2, 8).

<sup>2</sup> პირველი ეპის ეფთიმშობლისადმი მიმართული ლოცვის დასაწყისში ზოგ გამოცემაში „ზეშთა“ იკითხება, ზოგში კი — ზესთა: „ზეშთა მბრძოლისა ჩემისათჳს“ (ეპინი, დაბეჭდ. 1768 წ., გვ. 130), „ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს“ (სასწავლო ეპინი, ქუთ. 1893. გვ. 168).

<sup>3</sup> აბოს საგალობლებში (ა. შანიძე, ძვ. ქართულის კრესტომათია. 1935, გვ. 42, 11).

<sup>4</sup> გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სავარაუდებელი იყო, რომ ქარაგმინი ხ წარმოშობით მომდევნო სიტყვის პრეფიქსია (მაგ., ხ<sup>2</sup> ეკრძალენით, მ. 6, 1 C).

ამას გარდა თითო-ორი შემთხვევაში, გარკვეულ სტრიქონებზე ტექსტის დატევის შინნით, იძულებული ვიყავით სიტყვათა შემოკლებისთვისაც მიგვემართა: თქნ მ. 6, 5 C, ვდ, რლსა (ი. 4, 52). 6. კიდევ ი. 4, 53; 5, 5; 6, 69 DE და სხვ.

წარმოდგენილი. ზოგიერთი სიტყვის გახსნა არავითარ იქვს არ იწვევს, ზოგიერთისა კი განმარტებას მოითხოვს.

**აშენ.** ეს სიტყვა ჩვეულებრივ ქარაგმის ქვეშ გვხვდება (ან), მაგრამ აქა-იქ გახსნილადც სწერია: მ. 13, 17; 19, 9; მრ. 10, 29 (E), ლ. 4, 24; 7, 9; 12, 37; 18, 17. ამიტომ ეჭვი არ არის, თუ როგორ უნდა გაიხსნას.

**იერუსალამ.** ეს სიტყვა გაშლილად ყოველთვის ასე გვაქვს წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერებში თითქმის ყოველთვის ი"შმ ან ი"შლმ იკითხება. ეს ფორმა გულისხმობს 'Ierusalām-ს (და არა 'Ierusalām-ს).

**იესუ.** ეს სიტყვა ყოველთვის შემოკლებულად არის დაწერილი, ქარაგმის ქვეშ (ი'ჯ). ცხადია, უნდა ვიკითხოთ იესუ. ნათ. ბრუნვაში ხან არის ა. ხან არა (ი'ჯს-ნი, ი'ჯს-ნი). ამის მიხედვით გახსნილად გვაქვს ან იესუს, ან კიდევ იესუს, მაგ., იესუსთვს (მრ. 14, 55 D). D-ში ა იშვიათად გვხვდება.

**კულად.** გახსნილი სახით ეს სიტყვა ხან კულად არის (მ. 13, 47 C), ხან კი კულად (მრ. 13, 44 C). შემოკლებულად კ'ლდ იწერება, რომელსაც ყველგან უკუმწველად ვხსნიდით: კულად.

**რამეთუ.** ეს კავშირი ყოველთვის შემოკლებულად გვხვდება: რ'. საექვოა, რომ იგი ოდესმე სხვაგვარად ეკითხათ (ვთქვათ ასე: რამეთუ).

**რამათა.** ეს კავშირი გახსნილი სახით იშვიათად გვხვდება: რამათა (ი. 16, 4 C), რამათამცა (მ. 26, 4); ჩვეულებრივ კი ქარაგმის ქვეშ დგას (რ'ა). საყურადღებოა, რომ, როცა რა სახელთნაცვალის მოქმ. ბრუნვაში დგას, ისიც ამგვარადვეა შემოკლებული (რ'ა): „ძენნი თქუნენი რამათა განასხმენ“ (ლ. 11, 19: შდრ. ი. 9, 26). გახსნილობის საბუთს, ასე თუ ისე, „რამათა“-ც გვაძლევდა (მ. 11, 7; 11, 8; ლ. 7, 25).

**რაჟამს.** ეს სიტყვა ხშირად გვხვდება გახსნილად C-ში, მაგრამ ასეთი სახით: რამათამს (მ. 5, 2; 5, 3; 5, 5; 5, 6; 5, 7 და სხვაგან), მაგრამ საექვოა, რომ ა ოდესმე წაკითხულიყო. რადგანაც „ჟამს“ მიც. ბრუნვის ფორმაა, „რა“-ც ამავე ბრუნვაში უნდა იდგეს და დგას კიდევ: რასჟამს (მრ. 15, 20 C). ამგვარადვე სრულად იკითხვის ეს კავშირი ხანმეტ ლექციონარშიც (მ. 24, 31; მ. 24, 32, გვ. 50). ეს „რასჟამს“, ცხადია, „რამათამს“ ფორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემდა, თუ სწორი იქნებოდა ვარაუდი, რომ ს-მ მომდევნო ჟ-ს წინ რედუქციის გზით ა მოგვცაო. მაგრამ ასეთი რამ უფრო ნაკლებ არის მოსალოდნელი, ვიდრე მისი ჟ-სთან დამსგავსება და შემდეგ სრული დაკარგვა. „ჟ“-ს წერა კი გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი, ა-ზე დაბოლოებულ სახელთა ანალოგიით. ამიტომ როგორც უნდა ყოფილიყო დაწერილობა ხელნაწერებში,—ქარაგმინი (რ'ეს, რ'ემს), თუ უქარაგმო (რამათამს),—მინც ასე უნდა წაგვეკითხათ: რამათამს, და ასეც ვებქვადავით.

**უკუნისადმდე.** ქარაგმიან ო'კეს ზმგვარად ვხსნიდით, მიუხედავად იმისა, რომ ის გახსნილადც გვხვდება, თანაც უღონოდ: უკუნისამდე (ი. 6, 51; 6, 58 C). რაც შეეხება ო'კი“-ს, ის სხვაგვარად არ გაიხსნება, თუ არ ასე: უკუნითი.

**ღმერთი, ღმრთისა.** ეს სიტყვა არსად გახსნილი არ გვხვდება, არამედ ყოველთვის ქარაგმის ქვეშ. გახსნის თვალსაზრისით მხოლოდ შეკუმშული ფორ-

მა საყურადღებო. საერთო თეორიულ მოსაზრებათა საფუძველზე „ღისა“ ფორმას ასე ვხსნიდით: ღმრთისა.

**ყოველი.** ეს სიტყვა უმეტესად ქარაგმიანი გვხვდება, გახსნილად კი ორი სახით გვხვდება: „ყოველი“ და „ყოელი“ (მაგ., ყოელთა მ. 4, 23 C, მაგრამ იქვე: ყოელსა მ. 4, 24 C). როცა ქარაგმიანი იყო და ვხსნიდით, შეუკუმშავ ფორმებში გ-ს ვწერდით (ყოველი, ყოველსა, ყოველნი, ყოველთა), „ყოელ“-ს კი მაშინ ვტოვებდით, თუ სიტყვა გახსნილი იყო და უფინო.

**წინაწარმეტყუელი.** ეს სიტყვა შეუმოკლებლად სამი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: წინარმეტყუელი, წინაწარმეტყუელი, წინაასწარმეტყუელი<sup>1</sup>. ამათგან პირველი მეტად იშვიათია, ორ სხვა ფორმათაგან სქარბობს უსანო: წინაწარმეტყუელი. საზოგადოდ, სადაც რა ფორმა გვხვდებოდა გახსნილად, მას ვტოვებდით გამოცემაში, ოღონდ, თუ სიტყვა შემოკლებულად იყო დაწერილი, ქარაგმის ქვეშ, „წინაწარმეტყუელ“-ად ვხსნიდით, გარდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებისა, სადაც ხ-ც ერია (მაგ., წწწწარმეტყუელი, ლ. 4, 27 C). ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო ფორმა „წინაასწარმეტყუელი“. ეს სიტყვა ბევრგან გახსნილად უსანოდ არის დაწერილი (მაგ., ლ. 2, 36; 3, 4; 4, 16; 24, 3 C), მაგრამ გახსნილადვე სანიანი ფორმებიც გვხვდება (მაგ., იქვე, ლ. 24, 25 C). D-ში ეს სიტყვა ჩვეულებრივ ასეა შემოკლებული: წწწყელი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რთული სიტყვის პირველი ნაწილი, როგორც ზმნიზება, სანით გვხვდება: წინაასწარ (ი. 7, 50; 11, 55; 13, 1).

**ხოლო.** ეს სიტყვა ყოველთვის ქარაგმის ქვეშ გვხვდება (ხ). სხვანიარად ის არ გაიხსნება. ოღონდ აქა-იქ ის ქარაგმით დაეტოვებოდა, როგორც ისეთი ხ, რომელიც შეიძლება მომდევნო სიტყვის ნაწილი იყოს წარმოშობით და ხანმეტობაზე მიგვივითებდეს<sup>2</sup>.

**პრქუა, პრქუეს.** ეს ზნა გახსნილადაც გვხვდება: პრქუა (ი. 8, 21; 8, 25), პრქუეს (ი. 8, 25 და სხვაგან), მაგრამ უმეტესად დაქარაგმებულია: პქა, პქს და სხვ. შემოკლებულ ფორმებს ყოველთვის ასე ვხსნიდით: პრქუა, პრქუეს. უნდა შევნიშნოთ მაინც, რომ უქარაგმოდ ასეთი ფორმებიც გვხვდება: რქუა (ი. 6, 5; 6, 7 C), რქუეს (ლ. 22, 38 C), პქუეს (ი. 6, 25 C). ასეთებს უცვლელად ვტოვებდით.

<sup>1</sup> ამ მხრივ საყურადღებოა მ. 10, 41 C, სადაც სამივე ფორმა იკითხება.

<sup>2</sup> რომ ზოგიერთი ქარაგმიანი ხ წარმოშობით შეიძლება მომდევნო სიტყვის ნაწილი იყოს (პირიანი ზმნის პრეფიქსი, ან უფრობითი ხარისხის ინდექსი), ეს პირველად მე აღვნიშნე („ხანმეტო მრავალთავი“, ტ. უ. მ. VII, 1927, გვ. 158). შემდეგ აღიშნის ოთხთავის ერთ აღვიღს R. Blakely-მაც მიაქცია ყურადღება (ბ. იყო, მარკ. 1, 4 C): *Patrologia orientalis*, t. XX, fasc. 3 (1928), p. 446. შემდეგ ამ საკითხს საგანგებოდ შევეხე ერთ წერილში, რომელიც გვიან და შემოკლებულად დაიბეჭდა: *Переживания ханмэтных форм в груз. рукописях IX—X—XI веков* (Сообщения Груз. филиала АН СССР, I, p. 237 და შემდ.). აღიშნის ოთხთავში რომ ჰამეტობის ნიშნები გვხვდება, ამაზე მე ჯერ კიდევ 1923 წელს ვწერდი (ჰამეტობა აღიშნის სახარებაში: ტ. უ. მ. II, 417—424). ამ საკითხებს ეხებოდა თ. გონი აშვილიც (ენიქის მოაბზე, IV, 148).

## 4. შ ა რ ი ა ნ ტ თ ა თ შ ი ს

სერია, რომელშიაც ეს წიგნი გამოდის, მიზნად ისახავს, როგორც აღნიშნულია<sup>1</sup>, ქართ. ენის ისტორიის საკითხების გაშუქებას. ამიტომ ტექსტის დადგენის დროს ჩვენ არ შეგვეძლო ერთი ლაღა გადაგვეცვა ყველგან და ნაირ-ნაირი ფორმები (ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ხასიათისა) ძველი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გავვესწორებინა. ამით აიხსნება, რომ გამოცემაში ხშირია პარალელური ფორმები: ახლო (მრ. 13, 28 C) და ახლოს (მრ. 6, 20), გარყუნის (მ. 6, 19) და განრყუნის (მრ. 6, 20), ვასკულაი (მ. 2, 7 C) და ვარსკულაი (მ. 2, 9 C), ვრწმენე და ეპრწმენე (ი. 12, 44 C), თაყყანის-ცემა (მრ. 6, 46) და თაყყანის-ცემა (ი. 4, 21 და სხვაგან), ლანკნასა ზედა (მ. 6, 23) და ლანკლასა ზედა (მრ. 6, 28), მპოვოთ (ი. 7, 34) და მპოოთ (ი. 7, 36), მსხურაბლი (მ. 12, 7) და მსხუეპლი (მ. 5, 24), სახიდ (ლ. 5, 24; 8, 39) და სახედ (ლ. 5, 25; 8, 41; 15, 6 C), სისქე (მრ. 4, 5 C) და სიზრქე (იქვე), სიცრუისა (ლ. 16, 8) და სიცრუვისა (ლ. 16, 9 C), შესულაჲ (მ. 10, 23 C) და შესლვაჲ (მ. 10, 24), წარწყმედილ (ლ. 15, 32) და წარწყმედულ (ლ. 15, 24 C; ლ. 15, 6 C) და სხვანი მათთანანი.

ენის ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენთვის თანაბარი ღირებულებისა იყო როგორც კარიანი ფორმა „გულისქმის-ყოფაში“, ისე ხანიანი. თუ D ამ ზმნას პირვანდელი სახით (კარებით) წერს და E—მერმინდელით (ხანებით, ასიმილაციით), სამავიეროდ C ხან კარს ხმარობს (უმეტესად), ხანაც ხანს (იშვიათად, მაგ., ი. 7, 17; 7, 51). ასეთი ვარიანტული სხვაობანი ყველა წარმოდგენილია გამოცემაში და, თუ რამეს ვასწორებდით, აუცილებლად ჩამოგვექონდა დაბლა სქოლიოებში.

იმავე თვალსაზრისით თანაბარი ღირებულებისა იყო აგრეთვე სინტაქსური დუბლეტები: „იგი შერისხნა“ და „მან შერისხნა“ (თავადი შერისხნა, ლ. 9, 21; მაგრამ: ერმან მან შერისხნა, მ. 23, 31 C).

სხვა ვითარება გვაქვს აქ: შეპკრბებოდა მას (მრ. 9, 25; ლ. 11, 29) და შეკრბებოდა მისა (ლ. 8, 42; 14, 25), რადგანაც აქ ჰ-ს ხმარება სინტაქსურ კონსტრუქციასზეა დამოკიდებული, მაგრამ მაინც გვაქვს ფონეტიკური ვარიანტი უპაეოდ: შეკრბებოდა მას (ლ. 8, 42).

თუ ქართულ სიტყვებსა და გამოთქმებში არ ვერიდებოდით ნაირ-ნაირი ფორმების დატოვებას, მით უფრო მართებული იყო. მოვირიდებოდით ერთფეროვნების ვატარებას უცხო წარმოშობის საკუთარ სახელებში. ამიტომ არ ვასწორებდით ისეთ ვარიანტებს, როგორიცაა: ბარაქისა DE თუ ბარუქისა C (ლ. 11, 51), ესრომ თუ ეზრომ (მ. 1, 3 C), იოვანე თუ იოჰანე, იაკობ და იოსებ (მ. 13, 55) თუ იაკობ და იოსე (მრ. 6, 3 C), იოსებ (D) თუ იოსეფ (C) (ლ. 3, 26) [მოსალოდნელი იყო იოსექ=Ἰωσήφ], მატითისა თუ მატათისა (ლ. 3, 26), ნაიმ DE თუ ნაიდ C (ლ. 7, 11), ნიკოდემოზ (ი. 3, 1) თუ ნიკოდემოს (ი. 3, 9), ტებერია (ი. 6, 1), თუ ტუბერია (ი. 6, 23), ჰეროდია (CD) თუ

<sup>1</sup> ქართული ენის ძეგლები, 1, გვ. 06.

ჰეროდიადა D (მრ, 6, 17) და სხვა. ასეთ ვარიანტებს ხელ-უხლებლად ვტოვებდით და ვებეჭადვით ისე, როგორც ხელნაწერები გვიჩვენებდა<sup>1</sup>.

საზოგადოდ ვცდილობდით, რომ ხელნაწერთა ტექსტის ვითარება ნათლად წარმოგვედგინა, რომ მკითხველს ხელთ ჰქონოდა სანდო მასალა. ამიტომ იმ შემთხვევებში, როცა შეიძლება სადმე დაეკედეს ვინმე, აქ კორექტურული შეცდომა ხომ არ არისო, შენიშვნა ჩამოგვეკონდა სქოლიოში: ა ს ე ა (= sic).

DE-ს ტექსტის დადგენისას, როცა ერთი ხელნაწერი ძველ ფორმას გვაძლევდა, მეორე კი ახალს, უპირატესობას ძველ ფორმას ვაძლევდით და ახალი სქოლიოში ჩამოგვეკონდა. ამიტომ მე-2 პირის სუბ. პრეფიქსისა და მე-3 ობ. პრეფიქსის ხმარების საკითხში ჯრუჭის (D-ს) წაკითხვას დაეუჭირეთ მხარი წინაენისმიერი ბგერებით დაწყებულ ზმნებში, რადგანაც D უფრო აღრინდელ ფორმას გვაძლევს—გარდამავალს ჰ-სა და ხ-ს შორის, რაც ხელნაწერში ჰს ჯგუფით არის გამოხატული, პარხლის ხანიანი ფორმები კი სქოლიოებში ჩამოვიტანეთ (E-ში ასეთი შემთხვევები გამონაკლისია, მაგ., ჰსთხოვდეს, ლ. 11, 11).

თუ C ხელნაწერის „აქუნს“ ფორმებში E ამოვიღეთ ყველგან, არა იმიტომ რომ უმეტესად უნარო ფორმები გვხვდება, არამედ უფრო იმიტომ, რომ ერთხელ თვით გადამწერს წაუშლია ეს E (მ. 21, 26).

იგივე ითქმის „შემხუდა“ და „(ჰ)ხუდა“ ფორმების შესახებაც, რომლებიც ამ ძეგლებისთვის არქაიზმია (მ. 27, 19 C, მრ. 15, 24 C; ლ. 1, 9 C). საყურადღებოა, რომ DE-ც ამ ფორმას იძლევა უკანასკნელ ადგილას: ჰხუდა (ლ. 1, 9).

გასწორდა სიტყვათა მსგავსების გამო წარმომდგარი შეცდომები: მხლი-სასა (და არა: მტილისასა, ლ. 11. 42 DE), მნშ (და არა: მონაჲ, ლ. 16, 8), მონაჲ მწველი გინა მწყემსი (და არა: მონაჲ, მწვეალი გინა მწყემსი, ლ. 17, 7 DE), ზმნით (და არა: სმენით, ლ. 17, 20 C).

გასწორდა, რა თქმა უნდა, კალმის შეცდომები, მაგრამ ხელნაწერის წაკითხვა ყველა ჩამოტანილია ძირს.

საზოგადოდ, გასწორდა შეუფერებელი ან შეუძლებელი ფორმები, ე. ი. ისეთი ფორმები, რომელთა დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ან რომელთაც შეუძლიათ გაუგებრობა გამოიწვიონ. ამიტომ დაებეჭდეთ: იყვნეს, იშვნეს (და არა: იყუვნეს მ. 14, 6, იშუვნეს, ი. 1, 11 C), რაჲმს და არა რაჲჲმს. (ნ. ზემოთ, გვ. 0,45) და სხვა.

საგანგებოდ უნდა შეგვიხრდეთ ოთხი ასოს მართლწერის შესახებ; ესენია მ, ჰ, ვ, ჰ.

ეს ასო მხოლოდ იქ არის დატოვებული, სადაც ის მოსალოდნელია ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით. უმართებულო ფორმები ყველა გასწორებულია: ესმა მეფესა ჰეროდეს (და არა: მეფესა, მრ. 6, 14 C), გეჰენიასა (და არა გეჰენიასა, მ. 5, 29 CD) და მისთ.

შეიძლებოდა მ დაგვეტოვებინა სახელებში: ჰშროდე, მლია, მსაია, მაგრამ უმეტესობა ფორმებისა ე-თია წარმოდგენილი და, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვამჯობინეთ ე: ჰეროდე, ელია, ესაია.

<sup>1</sup> ოლონდ აჯობებდა რომ „ჰეროდე“ (მრ. 6, 19 C) „ჰეროდია“-დ გაგვესწორებინა და ხელნაწერის წაკითხვა ძირს ჩამოგვეტანა.

ე-ზე ფუძე-გათავებულ სახელთა ბოლოს ეწ დაბოლოება ნორმების მიხედვით გასწორდა.

ისტორიულ დაწერილობას სიტყვებში ერთად-ერთ შემთხვევაში გავუწიეთ ანგარიში: ი'შმ ან ი'სლმის გახსნისას (ყველგან „იერუსალშმ“ დავეტოვეთ; ნ. ზემოთ, გვ. 045).

ჟ. ეს ასო ჩვენს ხელნაწერებში საზოგადოდ სიტყვის ბოლოს აღბათ აღარ იკითხებოდა ა-ს შემდეგ. ეს იქიდან ჩანს, რომ გვხვდება ასეთი ფორმები: „რაჲ-ესე იხილეთ და გესმაჲ“ (ლ. 7, 22 D), „რომელი თანა-გუედეჲა, ვყავთ“ (ლ. 17, 10 D). მაგრამ უტყე ჟ-ს სიტყვის შიგნითაც ვხვდებით: „კანაჲს (sc. კანას) გალილეაჲსისა“ (ი. 2, 11 C), მართაჲს (sc. მართას) ეჲ ესმა (ი. 11, 20). რომ ჟ ხსება ხმოვნების შემდეგაც არ იკითხებოდა სახელთა ბოლოს ჩვენი ხელნაწერების გადაწერის მომენტში, ამას ე-ზე გათავებულ სახელთა მართლწერა გვიჩვენებს<sup>1</sup>, აგრეთვე ი-ზე გათავებულებისაც (მაგალითად, ცხორებაჲ საუკუნო, ი. 3, 36).

საზოგადო წესის თანახმად უნართებულო ფორმები გასწორებულია, შესაძლებელი კი—დატოვებული.

სიტყვის შიგნით ჟ (და თავშიც) ზოგჯერ ი-ს ენაცვლება: ესაჲა (ი. 12, 38 C) და ესაია (ი. 12, 39 C), კაჲაჲა (მ. 26, 3 CD) და კაიაჲა (იქვე, E)<sup>2</sup>.

ჟ ეს ასო შატბერდულ ოთხთავებში საზოგადოდ მარცვლიან ხმოვანს გაღმოსცემს და უდრის უმარცვლო უ-სა და მარცვლიანი ი-ს შეერთებისაგან წარმომდგარ მონოფთონგს (დავიწროებულ უ-ს). მაგრამ ზოგჯერ (C-ში ხშირად) ის უმარცვლო უ-ს ადვილას არის ნახმარი: მუნქვესე, მოძღარ, თვალი, ცოლისა სჲმაჲ და მისთ. ასეთ შემთხვევებში ტექსტში ყველგან უ არის გატარებული, ხოლო ხელნაწერის წაკითხვა ძირს არის ჩამოტანილი.

სამაგიეროდ იმავე ჟ-ს C-ში ხშირად ენაცვლება უ. აი რამდენიმე მაგალითი მათედან: განგულე (25, 12), გიძლუს (28, 7), გურგუნი (27, 28), გტქმს (26, 65), დაუკურდებოდა (27, 14), ეტყუედ (27, 29), თქუან (22, 23), თუსი (16, 26), ლელუ (21, 20), მახული (26, 52; 26, 55), მკუდრი (21, 38), მლუძარე (26, 38), ლუნოჲ (27, 34), შეემთხუა (28, 9), შეხულეთ (26, 41), ნუ შეგუყვანებ (6, 13), შუდ გზის (18, 23), ძური (27, 3), უძურეს (27, 4), ჰრქუინ (27, 18) და სხვ. ეს შენაცვლება უთუოდ რომელიღაც კილოს გავლენის ბრალია. მართლაც, გვხვდება როგორც ლუნოჲ, ისე ლუნოჲ (მ. 9, 17; მრ. 2, 22; ლ. 5, 37), მაგრამ ამათგან სჲარზობს ლუნოჲ (ნ. კიდევ ლ. 5, 39; 10, 34). ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთი ხშირი შენაცვლება შემთხვევითი მოვლენა იყოს და გადაწერის კალმის შეცდომად ჩაითვალოს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეთი რამ D-შიც ვხვდებოდა კანტი-კუნტად (წუმაჲ მ. 5, 45, აწუმა ლ. 17, 10) და გავიხსენებთ, რომ „წვიმა“ გურიაში დღესაც „წუმა“-დ გამოითქმის, შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ ჟ-სა და უ-ს შენაცვლება კილოური მოვლენაა. ასეთი ჩვენება ხელნაწერებისა ძვირფასი მასალაა ენის ისტორი-

<sup>1</sup> ერთად-ერთი შემთხვევა ეჲ ჯგუფის ხმარებისა: მარჯუეჲ (მრ. 6, 21 C).

<sup>2</sup> მათ. 8, 11, ძველი დაყოფის თანახმად, არის 65-ე მუხლი, რომელიც C-ს გადაწერას ასე გამოუყვანია: იე(=ჲე).

ისათვის, მაგრამ ტექსტის დადგენისას ნორმალური ფორმები გავატარეთ, კილოური კი სქოლიოებში აღვნიშნეთ.

ერთადერთი გამონაკლისი დაეუშვით „გეტყუ“ და „გეტყვ“, ფორმებში, რომლებიც ხშირად გვხვდება ორივე სახით და ყველგან ხელნაწერის ჩვენება დაეცოდა: გეტყვ (ლ. 13, 5), გეტყუ (ლ. 13, 35) და მისთ<sup>1</sup>.

შევასწორეთ ვი-საგან წარმომდგარი ვ ორ შემთხვევაში: შვლო (ლ. 16, 25 C) და ჳნანი (ლ. 17, 4 C), მაგრამ დაეცოდა შესამე შემთხვევაში, სადაც ჰამეტობის ნაშთთან უნდა გვექონდეს საქმე: ჰქქმ (მრ. 21, 27 C; შდრ. ვიქმ. ლ. 20, 8 C).

ჰ. ეს ასო წარმოშობით არის ოდიდი ანუ ომეგა (მაშასადამე, ხმოვანია) და გვხვდება იქ, სადაც ბერძნულში ა იწერება: ჰსანა (მრ. 11, 9 D) ენჭნს (ი. 3, 23 C), კლუჰა (ლ. 24, 18 ხანმ. ლექც.) და სხვა. მაგრამ იქვს იწვევს მის ხმოვნობაში ეს ფორმები: იოჰანა (ლ. 24, 10 C) და იოჰანი (ი. 1, 26 C), სადაც ჰ არა ბერძნული ომეგის ქართული შესატყვისი უნდა იყოს: (Ἰάσννα, Ἰάσννα), არამედ უფრო თანხმოვანი, და ამ შემთხვევაში ალბათ იკითხებოდა როგორც ჰ. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ამ ასოს სახელი „ოჰ“, რომელიც „უფლის სიყრმეში“<sup>2</sup> და ერთს მე-15 საუკუნის სომხურ სახელმძღვანელოში შეტანილ ქართულ ანბანში გვხვდება<sup>3</sup>.

## 5. ბანაკვეთილოზის ნიშანთათვის

განკვეთილობის ნიშნები დღევანდელი ნორმების მიხედვით არის გატარებული, ოღონდ პირდაპირი მეტყველების შემთხვევებში ბრკალები ნახმარი არ არის.

ძველი ძეგლების გამოცემის დროს ძველი პუნქტუაციის წესების დაცვა დიდ სიმძნელს წარმოადგენს, რადგანაც ძველად ამ საკითხში გარკვეული სისტემა არ იყო, ყოველ შემთხვევაში ჩვენს შატბერდულ ხელნაწერებში გარკვევით ის არ ჩანს. ამას გარდა ის, რაც, ასე თუ ისე, ხმარებაში იყო, გაუგებარია დღევანდელი მკითხველისათვის, რომელსაც ძველ ტექსტებს მხედრული ასოებით დაბეჭდილს ვაწვდით. ამიტომ ძველი ტექსტების ბეჭედის დროს ახალ პუნქტუაციაზე გადასვლა უყოყმანოდ შეიძლება, რადგანაც ამგვარად გამოცემული ტექსტი ნათლად ამკლავნებს, თუ როგორ ესმის გამომცემელს ამა თუ იმ ფრაზის დანაწევრება.

პირდაპირი მეტყველების სიტყვების წინ ორწერტილებს ვსხამდით იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ „ვითარმელ“ უძლოდა: „ჰკითხა მას მანცა, ვითარმელ: რომელი არს პირველი მცნებაჲ“? (მრ. 12, 28). რა თქმა უნდა, აჯობებდა, რომ ასეთი შემთხვევებისათვის გვექონოდა სხვა ნიშანი, ვთქვათ ბუთის

<sup>1</sup> მაგრამ გასწორდა: გეტყოდე (და არა: გეტყუდე, ი. 6, 63).

<sup>2</sup> ა. შანიძე, თოვას საზაუბის აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწევრები და მისი გუგუბარი ადგილები (ტბალანის სახელობის თბ. სახ. უნივ. შრომები, XVIII, 33).

<sup>3</sup> ა. შანიძე, Новооткрытый алфавит кавказских албанцев: Изв. ИЯИМК, т. IV (1938), стр. 21.



მსგავსი რამ, და ის გვეხმარა, და არა ორწერტილი: „ჰკითხა მას მანცა, ვითარ-მედ<sup>1</sup> რაჲ არს პირველი მცნებაჲ“?

„და“ კავშირის წინ მიიმეს ვსვამდით, როცა ის აერთებდა სხვადასხვა ქვე-მდებარიან წინადადებებს, აგრეთვე მაშინაც, როცა ეს „და“ მიზნის კავშირი იყო: „რაჲ გნებავს, და გიყო შენ“ (ლ. 18, 41).

ერთ-მარცვლიანი თანდებულები (წინა თუ უკანა) სახელთან ერთად და-ეწერეთ: მიმკამდის (მ. 13, 30), მოადგილსა მას (ი. 5, 13), ჩემოჯს, სენთაგან და სხე., ორ-მარცვლიანები კი ცალკე: ზედა, თანა, შინა.

ერთ-მარცვლიანი ნაწილაკები წინამაჲალ სიტყვას შეუერთეთ: ცა, მცა, ვე, მე (კითხვითი „მე“-ს გარდა), მაგრამ დეფისით გამოუყავით „ლა“ (მაშინ-ლა, მრ. 4, 28; არს-ლა ლ. 14, 22), და კითხვითი „მე“: პრქუს-მე (ლ. 17, 7), რაჲ-მე (მრ. 23, 31), ვითარ-მე (ი. 5, 47 D), რაოდენ-მე (მ. 6, 23 C). ამის მიხედ-ვით „ვინ-მე“ კითხვითი სახელთნაცვალია, „ვინმე“ კი—განუსაზღვრელობითი.

დეფისითვე გამოუყავით „ესე“, „ეგე“ და „იგი“, როცა ესენი ნაწილაკის როლში გამოდიან და კითხვით სიტყვებს მიმართებითად აქცევენ: რაჲ-ესე (მრ. 4, 24, ლ. 7, 2?), რასა-ესე (მრ. 14, 60), რასა-ეგე (ლ. 5, 22), რომელნი-იგი (მრ. 3, 22 D), რომელთა-ეგე (მრ. 4, 24), რომლისა თანა-იგი (მრ. 5, 25), ვი-თარ-იგი (მრ. 4, 27), სადა-იგი და მისთ.

დეფისებსვე ვხმარობდით ტმესის შემთხვევებში (სახელზმნებშიც კი!): გან-რაჲ-აგებდეს (მ. 4, 21), აღმო-ლა-ილე (მ. 7, 5), მო-ნუ-ისტულიან (მ. 7, 16), მო-ვინმე-უჯდა (მ. 19, 16), მო-ვე-ელოს (მ. 13, 12), და-ლა-ილუმეს (ლ. 23, 56), დამო-თუმცა-ება ...და შთა-მცა-ვარდა (მრ. 9, 42), შე-ვე-ცთომილ (ი. 7, 47), შე-რე-დგინებდალ (ლ. 5, 3). თუ ორი სიტყვა იყო გამყოფი, ასე ვაშორებდით: შე- ხოლო თუ -ვახო (მ. 9, 21), მი- თუ ვისმე -უტევენთ (ი. 20, 23).

დეფისითვე წარმოვადგინეთ კომპოზიტი სახელები: ტვრთ-მძიმე (მ. 11, 28), გულ-ძვრ (მ. 5, 23) და მისთ. და ზმნები: გულისგმა-ყო, თავ-უყავ (მ. 19, 19 C), შეურაცხ-ყო, წამს-უყოფდეს, ჯუარს-აცუეს, ნათელ-სცა, ნათელ-ილო, ინაჯ-იდგა, თანა-მაც, ჯელ-მეწიფების, ძალ-მიც, ჯერ-არს და მისთ. ეს წესი გატარებულია სახელზმნებშიც: ნათლის-ცემა, ნათლის-მცემელი, თანა-მდები, თანა-ნადები, ჯუარს-ცემა და მისთ.

დეფისითვეა დაწერილი გაორკეცებული სიტყვები: ადგიდ-ადგიდ, აღრე-აღრე, კაცად-კაცადი, პირად-პირადი, ძვრ-ძვრად და მისთ.

ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს „ლათუ“ კავშირის ორთოგრაფია. სახარების ენაში ჯერ კიდევ არ არის ის დაბრკოლი „და“-ზე, რასაც ნათლად აჩენს ტმესი: „და შე-ლა თუ-წუხნა“ (მ. 14, 9) და ზოგიერთი სხვა შემთხვევა: „და უნდა ლათუ მისი მოკლეაჲ“ (მ. 14, 5). ამიტომ, როცა ის უშუალოდ მოსდევდა „და“ კავშირს, ვყოფდით მისგან: „და ლათუ მკუდრეთით ვინმე აღდგეს“ (ლ. 16, 31), „და ლათუ ღმრთისა არა მეშინის“ (ლ. 18, 4), „და ლათუ ესენი ღუხნენ“ (ლ. 19, 40). მერმინდელ ძეგლებში „ლათუ“ უკვე შერ-წყმულია „და“-სთან: დალათუ.

ზოგ შემთხვევაში, მოკლე სტრიქონების გამო, იძულებული ვიყავით შევ-რეიგებოდით უჩვეულო გაყოფას სიტყვისას სტრიქონიდან სტრიქონზე გადატა-ნისას: პრქუს-ეს (მრ. 11, 83).

## 6. მუხლებად დაყოფისათვის

ამ გამოცემაში თავებად და მუხლებად დაყოფა ახალი წესით არის გატარებული (როგორცაა, მაგ., თბილისს 1912 წ. გამოცემულს ახალ აღთქმაში). რაც შეეხება ძველ სტიქომეტრიულ სისტემას, მას ამ გამოცემაში მოვერიდეთ, რადგანაც საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის ქართ. ხელნაწერების მიმართ; ამიტომ აქ არ მოიპოვება არც გვერდობლივი სიმფონია ამონიოს-ეესებისა ქვემო აშიეზზე, და არც შემაჯუჭმლებელი კანონები ოთხთავის წინ. ყველა ეს განზრახულია „ძველი ქართ. ენის ძეგლების“ ერთ-ერთ წიგნში, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართ. ოთხთავების უკანასკნელი რედაქცია, გ. მთაწმიდელის შექმნილი ქართულისა და ბერძნული ტექსტების შეჯერების შედეგად. გიორგისეულ ტექსტებთან ერთად, მის პარალელურად, მოცემული იქნება გარდამავალი საფეხურის რედაქცია.

## 7. ამ წიგნის გამომცემისათვის

ამ წიგნის გამოცემა ასე წარმოდგა: აღრიდნევი განზრახული მქონდა გამომეცა ქართული ოთხთავის უძველესი ტექსტი, როგორც ისეთი ძეგლი, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის საწყისებს კარგად წარმოგვიდგენს. ამ მიზნით ჯერ კიდევ ამ ოცდახუთიოდე წლის წინად გადმოვაწერინე სტუდენტს ბ. ჩიქობავას მთელი აღიშის ოთხთავი. შემდეგ დაწინაურებულ სტუდენტებს და ასპირანტებს ვაძლევდი გარკვეულ დავალებებს ოთხთავთა ენის შესახებ; მაგ., ა. კიხიჩიამ საკანდიდატო თემად აიღო „მართვა-შეთანხმების საკითხები ძველ ქართულში ჯრუჰის ოთხთავის მიხედვით“ (1940 წ.) და საამისოდ გადმოწერა მთელი ხელნაწერი; ი. იმნაიშვილს მივეც დასამუშავებლად „ძველი ქართული ოთხთავები რედაქციულად“. საამისოდ მან გადმოწერა პარხლის ოთხთავი და შეუდარა ის სხვა ძველ ოთხთავებს, მათ შორის ჯრუჰისას, საიდანაც მან ვარიანტები გადმოწერა. ამ წიგნის გამოცემისას DE-ს ნაწილში ეს იმნაიშვილის გადმონაწერი იქნა გამოყენებული, ხოლო აღიშის ოთხთავი (C) საგანგებოდ გადმოვაწერინე ჩემს ყოფ. მასწავლებელს მ. ფხალაძეს (1938 წ.).

ორივე გადმონაწერი ვაგმართე სასტამბოდ (პირველ წყაროებთან შედარებაში მშველოდა ორივე თანამშრომელი: ქართ. ენის კათედრის დოცენტები ილია აბულაძე და ივანე იმნაიშვილი) და გადავეცი წარმოებას 1944 წლის დასაწყისში. შემდეგ თვით წყობის პროცესში (ჩვეულებრივ მეორე კორექტურაში) ანაწყობ ტექსტს კვლავ ვუდარებდით ხელნაწერებს (აღიშის ოთხთავისთვის ფოტოტიპებს)<sup>1</sup>, მაგრამ ისე, რომ აღიშის ოთხთავს უმთავრესად მე ვუდარებდი, ჯრუჰ-პარხლისას კი — აბულაძე და იმნაიშვილი. პირველ კორექტურებს უმთავრესად იმნაიშვილი კითხულობდა, მეორესა და მე-

<sup>1</sup> იმედი მქონდა, რომ საბოლოო შედარებისათვის სვანეთიდან თბილისში მივიღებდი თვით ხელნაწერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. ამიტომ C-ს ტექსტი მართო ფოტოტიპიური გამოცემის მიხედვით არის დაშუშავებული.

ნამეს—ყველანი, ხოლო მეოთხეს—უმთავრესად ამ სტრიქონების დამწერი. თუ სადმე რაიმე იქვი გაჩნდებოდა ცალკეული საკითხის შესახებ, კვლავ პირველ წყაროებს მივჭმართავდით ხოლმე. მიუხედავად ამისა, თუ სადმე კორექტურული შეცდომა გაიპარა გამოცემაში, რომელსაც ესდენ ყურადღებით ვეპყრობოდით სამნივე, ან ტექსტი არა იმგვარად არის დადგენილი, როგორც საჭიროა, ამისი პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ ამ წიგნის გამოცემის ხელმძღვანელს ეკისრება.

ა. შანიძე.

4.12.1944

თბილისს.

### დათქმული ნიშნები

A ოპიზის ოთხთავი (913 წ.).

B ტბეთის ოთხთავი (995 წ.).

C ადიშის ოთხთავი (897 წ.).

D ჯრუჭის ოთხთავი (936 წ., სურათები 940 წ.).

D\* (შენიშვნებში) ჯრუჭის ოთხთავის გაცხოველებული ადგილები.

E პარხლის ოთხთავი (973 წ.).

X ხანმეტი ლექციონარი (=ქართ. ენის ძეგლები, 1).

Y ხანმეტი ნაწყვეტები, გამოცემული ი. ჯაფარიძის მიერ (ტ. უ. მ., II).

Z ჰემეტი ტექსტები, გამოცემული ა. შანიძის მიერ (ტ. უ. მ., III).

მ. (მათ.) მათეს სახარება.

მრ. (მარკ.) მარკოზის სახარება.

ლ. (ლუკ.) ლუკას სახარება.

ი. (იოვ.) იოვანეს სახარება.

[ ] კავებში ჩასმულია ფურცლის ჩამონაკერ ან ჩამონახვე ნაწილს გაყოფილი და ჩვენ მიერ აღდგენილი ასოები ან სიტყვები, რომლებიც არ მოიპოვება ხელნაწერის დაზიანების გამო.

( ) ფრჩხილებში ჩასმულია ჩვენ მიერ დამატებული ასოები ან სიტყვები, რომლებიც არ ჩანს, ან არ დაუწერიათ.

+ (ჯვარი) ნიშნავს: უმატებს (ან: მეტია).

— (მინუსი) ნიშნავს: აკლებს (ან: აკლია).

|| ფურცლის პირველი გვერდის დასაწყისი D-ში (recto) [ნახე ფურცლების საძიებელი, გვ. 381—382].

| a) ტექსტში: ფურცლის მეორე გვერდი (verso).

b) შენიშვნებში: სიტყვა გადატანილია სტრიქონიდან სტრიქონზე (შეცდომა ზოგჯერ სიტყვის გადატანისაგან არის წარმომდგარი: ეძიე/ძიებენ მ. 6, 32).

## ПРЕДИСЛОВИЕ

Первое издание грузинской версии четвероглава было напечатано в 1709 г. в Тбилиси, в типографии, основанной Вахтангом VI. Издание предназначалось для нужд церкви и заключало в себе отредактированный Георгием Святогорцем († 1065) текст, который считался окончательно установленным и был принят грузинской церковью повсеместно. Последующие издания (числом около 17-ти); преследовавшие исключительно религиозные цели, повторяли первое.

В конце 19-го и в начале 20-го в. были попытки дать научное издание груз. четвероглава, но практически ничего не было сделано. Только в 1908 г. Академия Наук, по инициативе В. Н. Бенешевича и Н. Я. Марра, приступила к практическому осуществлению давно лелеянной мечты и в 1909 г. появилось евангелие Матфея по двум рукописям 10-го в. — опизской (913 г.) и тбетской (995 г.), а в 1911 г. — евангелие Марка<sup>1</sup>. Вскоре вспыхнула война и это начинание прекратилось. Не вышло и Урбнисское евангелие (10-го в.), подготовленное к печати М. Г. Джанашивили в 1908 г. и переданное для издания Московскому археологическому обществу. Зато названное общество иначе оказало большую услугу делу изучения древнегрузинских четвероглавов: в 1916 г. оно издало фототипически древнейший из датированных грузинских четвероглавов — адишский (897 г.), сделав его доступным для широкого круга исследователей<sup>2</sup>. Пользуясь этим изданием, проф. Гарвардского университета R. P. Blake приступил к печатанию адишского текста типографским способом и в 1928 г. издал в Париже, в серии *Patrologia orientalis*, текст евангелия Марка, причем, базируясь на академическое издание текста опизского и тбетского списков, указал разночтения по ним; а для того, чтобы детали и общая картина грузинской версии были понятны для широкого круга ученых, свое издание он снабдил латинским переводом<sup>3</sup>. За Марком последовал Матфей в 1933 г. в таком же виде и в той же серии, а евангелие Иоанна, уже набранное и сверстанное в 1939 г., приостановилось вследствие разразившейся войны.

<sup>1</sup> Четвероевангелие в древнем грузинском переводе. По двум рукописям (913 и 995 гг.) издал В. Н. Бенешевич. Вып. I. Евангелие от Матфея. СПб. 1909. Вып. II. Евангелие от Марка. СПб. 1911 (Заглавие также по-грузински и по-латыни).

<sup>2</sup> Адишское евангелие (= Материалы по археологии Кавказа. Вып. XIV). Москва 1916.

<sup>3</sup> *The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysh Gospels with the Variants of the Optza and Tbet' Gospels Edited with a Latin Translation by Robert P. Blake* (= *Patrologia orientalis*. Tome XX, fasc. 3, pp. 438—574), Paris 1928.

Такое внимание к груз. версии четвероглава объясняется, между прочим, тем значением, которое выпадает на ее долю для истории текста евангельских книг. Со времен Д. З. Бахрадзе<sup>1</sup> в специальной литературе все время стоял вопрос: в каком отношении находится груз. текст евангелия к греческому и другим версиям—армянской и сирийской? Этот важный вопрос обычно решался не на основании критического анализа и всестороннего изучения всего текста, а путем сличения отдельных мест с греческим, армянским и сирийским текстами. Поэтому выводы, полученные таким образом, не отличаясь особенной убедительностью, могли иметь значение лишь для отдельных мест, а не для проблемы перевода евангельских книг на груз. язык в целом, поскольку, во-первых, грузинский текст не был критически установлен и должным образом издан, во-вторых, мало учитывалась история самого греч. текста, тем более армянской и сирийской версий. Характерно в этом отношении заявление известного английского армениста: «детальный просмотр текста груз. Нового завета меня убедил в том, что он первоначально был переведен с древнего сирийского текста, идентичного с тем, который был в употреблении у первых армянских переводчиков. Впоследствии обе версии подверглись ревизии и исправлены полностью и независимо (друг от друга) по греч. текстам<sup>2</sup>». Для выдвижения таких положений совершенно недостаточно материалов, приводимых Сопубеаге<sup>3</sup>ом, даже в рамках четвероглава. Исследуя подобные вопросы, прежде всего надо знать, каков грузинский текст, в каком отношении находятся разночтения, даваемые древними списками, какие существуют редакции и т. п. Только располагая исчерпывающими ответами на эти вопросы, требующие предварительного освещения, можно правильно поставить и умело разрешить историко-литературные проблемы.

Настоящее издание является частью работ, которые предстоят в этом направлении. И когда будут изучены все дошедшие до нас древние списки и опубликованы критически установленные тексты, нетрудно будет уяснить истинную историю перевода евангельских книг на грузинский язык, равно как учесть тот удельный вес, который имеется у грузинской версии для истории развития, распространения и филиации евангельских текстов. Что этот вес не мал, явствует из анализа, данного проф. R. Blake<sup>4</sup>ом на основании изучения текста евангелия Марка. R. Blake полагает, что грузинские списки четвероглавов (адишского, опизского и тбетского), вместе с армянской версией, относятся к группе рукописей, заключающих в себе т. н. кесарийский текст. Это тот текст, который имелся в Кесарии

<sup>1</sup> Д. З. Бахрадзе, Древние варианты грузинского четвероевангелия. Труды V-го археолог. съезда в Тифлисе. Москва 1887, стр. 215—220.

<sup>2</sup> Fred Conybeare, The Georgian Version of the NT: Zetschr. f. d. neuest-Wissenschaft XI (1910), p. 232.

в 3-м в. и которым пользовались для своих цитат Ориген и Евсевий. Текст не дошел до нас в первоначальном виде, но частично он представлен в группе рукописей, в том числе коридетской. Грузинские тексты (адишский и опизо-тбетский) представляют более древнюю ступень, чем существующие армянские тексты, которые впоследствии подверглись коренной переработке<sup>1</sup>. Нельзя не отметить, что три автора (K. Lake, R. Blake и S. New) для реконструкции кесарийской редакции евангелия Марка (в пределах трех глав: 1-ой, 3-ей и 11-ой) привлекли показания и груз. текстов. Ограничивая свой труд евангелием Марка, они оговариваются, что другие евангелия, возможно, дадут иную картину<sup>2</sup>.

Три рукописи, тексты которых напечатаны здесь, вышли из одного и того же монастыря, даты их переписки не особенно отстоят друг от друга (897—936—973), но текстуально значительно разнятся между собой. В сущности, здесь налицо две совершенно разных редакции, что наблюдается как со стороны лексики, так и со стороны строя предложений. Говорим «две редакции» (а не «два перевода» или «две версии»), ибо ни одна из них не является первоначальным переводом, а обе представляют собой продукт неоднократной переработки. Поэтому было бы неправильно принять какую-либо из них (напр., адишскую) за основной текст, а различия другой снести в примечания, ибо в таком случае вторая редакция, почти наполовину снесенная вниз и расплывшаяся в примечаниях, потеряла бы характер независимого текста; примечания сильно разрослись бы, потребовав почти столько же места, сколько в случае параллельного печатания текстов, и критический аппарат, отличаясь громоздкостью, был бы трудным для пользования. Поэтому мы сочли более целесообразным печатать каждую редакцию особо, рядом друг с другом. Это значительно облегчило работу, а главное, резко выделило особенности каждой из редакций, вследствие чего общая картина древнегрузинских переводов грузинского четвероевангелия стала более ясной, и издание значительно выиграло в техническом отношении.

Текст, даемый в первом столбце (DE), это тот текст, который лежит в основе последующих редакционных переработок: Евфимия, а затем Георгия Святогорца. Георгиевская редакция, сверенная по греческим оригиналам, окончательно вытеснила все предыдущие и стала грузинской вульгатой. Текст джручской и пархальской рукописей является, таким образом, протовульгатным, т. е. текстом, который был распространен в 10-м в.: его повторяют, с незначительными вариациями, опизский (913 г.),

<sup>1</sup> Gospel of Mark, pp. 445—449; The Caesarean Text of the Gospel of Mark, pp. 254—256.

<sup>2</sup> Kirsopp Lake, Robert Blake and Silva New, The Caesarean Text of the Gospel of Mark (The Harvard Theolog. Review, v. XXI, № 4, 1928), pp. 277, 328.

Бертский (до 988 г.)<sup>1</sup> и тбетский (995 г.) списки. Более того, его поддерживают и значительно ранние тексты: часть ханмэтных отрывков, опубликованных И. А. Джавахишвили, ханмэтный лекционарий (7-го в.) и отрывки из т. н. хаемэтного лекционария (8-ой в.).

Что же касается текста второго столбца, т. е. текста адишской рукописи (С), то он представляет собой совершенно особую редакцию, как отмечали это исследователи с самого начала. Однако, надо иметь в виду одно обстоятельство: часть евангелия от Луки (именно: 3, 9—15, 7 и 17, 25—23, 2), судя по языковым данным (терминология, конструкция фраз), представляет собой текст, явно отличающийся от остальной части той же рукописи С, но сходный с текстом DE<sup>2</sup>. Ясно, что оригинал, с которого списывали адишский текст (или один из его прототипов), был дефектным и недостающие места были восполнены по протовульгатной рукописи. Если не принимать во внимание этих вставок, текст адишского четвероглава займет, несомненно, особое место среди дошедших до нас древнегрузинских списков четвроевангелия. По мнению R. Blake'a, это тот текст, который, в результате дальнейших переработок, дал с одной стороны А (описскую редакцию), а с другой—В (тбетскую редакцию)<sup>3</sup>. Едва ли можно согласиться с этим утверждением без оговорок. Пока еще многое остается невыясненным в истории перевода евангельских текстов на груз. язык. Как отмечено выше, протовульгатный текст встречается очень рано, в так называемых ханмэтных отрывках; но более показательно, что ханмэтный лекционарий (7-го в.) почти полностью стоит на стороне DE. Таково же положение и в хаемэтных текстах (8 в.). Поэтому вопрос об отношении друг к другу древнегрузинских евангельских текстов, по существу, и сейчас находится в начальной стадии изучения. Ясно лишь одно: текст груз. четвероглава, как отмечали и другие, часто подвергался переработке под редакторским пером.

Кстати, нельзя не отметить, что, хотя джручская (D) и пархальская (E) рукописи дают в общем идентичный текст, который мы назвали протовульгатным, но кое-где между ними замечается и существенная разница. Характерно, что в этих случаях одна из них (то D, то E) идет рука-об-руку с С. Но есть и такие места, где все три рукописи коренным образом отличаются друг от друга. Для примера можно указать на Лук. 1, 78, где мы имеем не отдельные списки, а разные редакции. Это показывает, что одним из пунктов, где исправлялся евангельский текст, был Шатбердский монастырь, основанный Григорием Хандзтийским в начале 9-го века.

<sup>1</sup> R. Blake and S. Der-Nersesian, The Gospels of Bert'hay: An Old-Georgian Ms. of Tenth Century [«Byzantion», 16, (1944), p. 257].

<sup>2</sup> На это обстоятельство впервые было обращено внимание С. Какабадзе, но обосновано оно И. Имшайшвили.

<sup>3</sup> Gospel of Mark, pp. 446—447.

К сожалению, у нас нет достоверных сведений о том, на основании чего исправляли текст, с чем его сличали, какими источниками пользовались и, вообще, каковы были руководящие принципы для такой ответственной работы. Для древнего периода мы пока не находим и такого лаконического замечания, которое читается, напр., в некоторых копиях Георгиевской редакции относительно Мф. 24, 36: „*აქცო ჟღაბ (აძღე ბ უბე)*—этих слов не было в трех греческих евангелиях, я тоже не написал, говорит (Георгий) Святоторси“. Но нет сомнения, что некоторые детали выяснятся и в отношении древнего периода. Для этого нужно, прежде всего, критическое издание текста всех дошедших до нас древних списков.

Как видно из сказанного, наше издание имеет большое значение для решения некоторых историко-литературных вопросов, тем более, что обе редакции напечатаны параллельно, и этим облегчается труд сличения их между собой, равно как и текстов других рукописей с ними. Тем не менее, мы должны подчеркнуть, что не это служило главным мотивом для издания текстов шатбердских четвероголов, а то обстоятельство, что они представляют собой памятники древнейшего грузинского литературного языка. Правда, переписаны они сравнительно поздно, в 9—10-ом веках, но по происхождению они безусловно относятся к более древней эпохе. Хотя язык древних переводов значительно исправлен по позднейшим нормам, но в основном они выявляют черты языка 4—5-го вв. Стилистическая редакция коснулась, главным образом, замечных форм. Благодаря этому, древнегрузинский колорит, правда, заметно убавился, но можно смело сказать, что в них хорошо представлен основной запас древнейших морфологических и синтаксических явлений, равно как и архаической лексики. Нет сомнения, что напечатанные здесь тексты занимают одно из первых мест среди памятников древнегруз. языка, и это определило неотложную необходимость их публикации. Настоящим изданием частично восполняется пробел, который давно чувствуется в области изучения начального периода древнелитературного грузинского языка.

В предисловии на груз. языке дано подробное описание шатбердских рукописей<sup>1</sup>, а также разъяснения некоторых вопросов, касающихся настоящего издания: о недостающих и переставленных стихах, о способе раскрытия тител, о знаках препинания и др.

А. Шанидзе

4.12.1944  
Тбилиси

<sup>1</sup> В описании включен очерк Р. Шмерлянг о миниатюрах джручской рукописи (стр. 026—031).



## P R E F A C E

The Georgian text of the four Gospels was first published by King Vakh-tang VI in the year 1709 in Tbilissi (Tiflis) in the printing press newly set up by him. This was the text of George the Hagiorite's recension which, since the second half of the eleventh century, had been regarded as finally settled and adopted for general use in the Georgian church. All the later editions of the four Gospels (about 17) reproducing the first edition were intended the same as the first one for religious purposes, whether printed together or as separate books or with other books of the NT., either in Khutsuri or in Mkhedruli.

At the end of the nineteenth century and at the beginning of the twentieth century, attempts were made to publish a critical edition of the Georgian text of the four Gospels for scientific purposes, but practically nothing was done. Only in the year 1908 the Academy of Sciences of St. Petersburg set about realizing a long felt wish and in the year 1909 the book of Matthew appeared according to two mss. of the tenth century: that of Opiza (913) and that of Tbet (995) and in 1911 the book of Mark followed<sup>1</sup>. Soon the world war broke out and this undertaking was discontinued. The Urbnis codex of the Gospels (10th c.), prepared for publication by M. Janashvili and given to the Moscow Archaeological Society, was also not printed. On the other hand, the Society rendered a great service to the study of the Georgian text of the Gospels in another way: in the year 1916 it published completely, in phototype, the Adish Codex (897), the oldest dated text of the Georgian Gospels<sup>2</sup>, thus making it accessible to a wide circle of scholars. In accordance with this phototype edition, Professor R. Blake, of Harvard University, began to print its text typographically and in the year 1928 he printed the book of Mark in Paris; at the same time, basing himself on the edition of the Academy of Sciences of St. Petersburg, he indicated the variants of the Opiza (A) and Tbet (B) mss.; besides this, in order to make it possible for a wide circle of scientists to understand the details and general character of the Georgian

---

<sup>1</sup> Quattuor Evangeliorum versio Georgiana vetus. E duodus codicibus (sa. p. Ch. n. 913 et 995) edidit Vladimir Benešević. Fasc. I. Evangelium secundum Matthaëum. St. Petersburg 1909. Fasc. II. Evangelium secundum Marcum. Ibid. 1911 (Title also in Georgian and Russian).

<sup>2</sup> Адышское евангелие (=Материалы по археологии Кавказа. Вып. XIV). Москва 1916.

version, he provided it with a Latin translation<sup>1</sup>. The book of Mark was followed by the book of Matthew (1933)<sup>2</sup> in the same form, but the printing of the book of John, already set up in type, was discontinued owing to the war.

The fact that such attention was paid to the Georgian Gospels can be explained, by the way, by the significance which they have for the history of the Gospels. Ever since the time of D. Bakradze<sup>3</sup> there has always been in special literature the question of the relationship between the Georgian Gospels and the Greek text and other versions: Armenian and Syriac. The question was usually settled, not on the basis of a critical analysis and a close examination of the whole text, but by comparing certain passages of the Georgian text with the Greek, Armenian or Syriac. Therefore, the conclusions arrived at could have significance only for separate passages, and not for the whole Georgian version of the four Gospels. This is because, in the first place, the Georgian version had not been settled critically and published in a suitable way and, in the second place, little account had been taken of the history of the Greek text itself, and even less of that of the Armenian and Syriac versions. In connection with this, the remark made by the eminent English scholar is characteristic: «A detailed examination of the Georgian NT. has convinced me that it was originally made from an old Syriac text almost identical with that which the first Armenian translators used. Both versions were subsequently revised and corrected throughout and independently from Greek texts»<sup>4</sup>. It is clear that, when studying such questions, it is necessary, first of all, to take into account the nature of the Georgian text, the relations between the old mss. and the different recensions which exist, and so on. Only by giving exhaustive answers to these questions which demand preliminary enlightenment, is it possible to set the historic and literary questions correctly and to arrive at their solution.

The present edition is only one part of the work which must, without fail, be carried out in this direction. Indeed, when every old ms. has been studied and when the critically established text has been suitably published, then it will be easy to determine the history of the translation of the Gospels in the Georgian language, and the specific gravity the Georgian version has for the formation, spreading and filiation of the Gospel texts. The fact that this specific gravity is not small can be seen from the analysis of the Gospel of Mark made by R. Blake whose opinion is, that the Georgian Gospels

<sup>1</sup> The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysh Gospels with the Variants of the Opiza and Tbet' Gospels Edited with a Latin Translation by Robert P. Blake (= *Patrologia orientalis*, Tome XX, fasc. 3, pp. 439—574).

<sup>2</sup> Gospel of Matthew, *ibid.* 1933.

<sup>3</sup> Д. З. Бахрадзе, Древние варианты грузинского четвероевангелия: Труды V-го археологического съезда в Тифлисе. Москва 1887, pp. 215—220.

<sup>4</sup> Fred. C. Conybeare, The Georgian Version of the NT.: *Zeitschr. f. d. neutest. Wissenschaft*, XI (1910), p. 232.

(Adish, Opiza and Tbet) belong to that group of mss. which contain the so-called «Caesarean» text. This is the text which was in Caesarea in the third century and which was used and quoted by Origen and Eusebius. This Caesarean text has not come down to us in its original form, but is partly represented in one group of mss. amongst which are the Greek four Gospels of the Koridet Codex. The Georgian texts (Adish and Opiza-Tbet) represent an older stage than the extant Armenian Gospels which have been thoroughly revised at a later time<sup>1</sup>. It must be noted, by the way, that three authors (K. Lake, R. Blake and S. New) used the evidence of the Georgian texts when reconstructing the Caesarean text of three chapters of the Gospel of Mark (the 1st, 3rd and 11th). Their special work in connection with the Caesarean texts being restricted to the book of Mark, they say that an analysis of the texts of the other Gospels might give other results<sup>2</sup>.

19. ნუ იუნჯებთ<sup>5</sup> თქუენ საფასეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა, სადა-იგი მლილმან და მჰამელმან განრყუნეს, და სადა მპარაეთა დათხარონ და განიპარონ იგი.

20. ხოლო თქუენ იუნჯებდით<sup>6</sup> საუნჯეთა თქუენთა ცათა შინა, სადა არცა მლილმან, არცა მჰამელმან განრყუნეს<sup>7</sup>, და სადა არცა მპარაეთა<sup>8</sup> || დათხარონ და განიპარონ იგი.

21. რამეთუ -სადაცა არს საფასეც<sup>9</sup> თქუენი, მუნცა იყენენ გულნი თქუენნი.

22. სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს.

23. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რავდენ-ლა-მე?

24. ვერ ჰელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და სხუაჲ იგი შეურაცხ-ყოს, ვერ ჰელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა<sup>10</sup>.

16. [და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით ვითარცა ორგულნი მწუხარე, რამეთუ განირყუნნიან პირნი მათნი, რადთამცა უჩნდეს იგინი კაცთა მმარხველად. მართლიად გეტყუ თქუენ, რამეთუ იგი არს სასყიდელი მათი.

17. ხოლო რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და პირი შენი დაიბანე,

18. რადთა არა უჩნდე კაცთა მმარხველ, არამედ მამასა შენსა, რომელ არს დაფარულსა შინა, მან მოგაგოს შენ ცხადად.

19. ნუ დაიდებთ საფასეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა, სადა მლილმან და მჰამელმან გარყუნის, და სადა მპარაეთა დათხარონ და განიპარონ.

20. არამედ დაიდებდით თქუენ საფასეთა ცათა შინა, სადა არცა მლილმან, არცა მჰამელმან განრყუნის, და სადა მპარაეთა ვერ დათხარონ და ვერცა განიპარონ.

21. რამეთუ სადა არიან საფასენი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი.

22. სანთელი ჯორცთაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი ნათელ იყოს, ყოველი ჯორცი შენი ნათელ იყენენ.

23. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი ჯორცი შენი დაბნელებულ იყენენ. უკუეთუ ნათელი, რომელ არს შენ თანა, ბნელ არს, ხოლო ბნელი იგი რაოდენ-მე?

24. ვერ ჰელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთსა ერჩინ და ერთი შეურაცხ-ყვის. ვერ შეძლებელ ხართ მონებად ღმრთისა და მამონაჲსა.

1 ვითარცა-იგი] ვითაცა D. 2 განირყუნნიან D. 3 დაიბანი I)\*. 4 ხედავს D. 5 ნუ დაიუნჯებთ D. 6 იუნჯებდით D. 7 განრყუნნეს E. 8 მპარათა J. 9 საფასე D. 10 მამონაჲსი D.

DE

C

25. ამისთვის გეტყვ თქვენ: ნუ ჰზრუნავთ<sup>1</sup> სულთა თქუენთათვის, | რაჲ შკამოთ ანუ რაჲ სუათ<sup>2</sup>; ნუცა ჯორცთა თქუენთათვის, რაჲ შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და ჯორცნი სამოსლისა<sup>3</sup>?

26. მიხედნით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან<sup>4</sup>, არცა შეიკრებენ საუნჯესა მათსა, და მამა თქუენი ზეცათაჲ ზრდის მათ. არამე თქუენ უფროჲს უმჯობეს<sup>5</sup> ხართა მფრინველთა?

27. ვინმე თქუენგანი ზრუნვიდეს<sup>6</sup> და შემძღებელ არს იგი შეძინებად ჰასაკისა თვისსა<sup>7</sup> წყრთა ერთ?

28. და სამოსლისათვის რაჲსა ჰზრუნავთ<sup>1</sup>? განიცადენით შრომანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არცა<sup>8</sup> შურების, არცა სთავს<sup>9</sup>.

29. ხოლო გეტყვ თქუენ: არცალა || სოლომონმან ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.

30. უკუეთუ თიგაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არნ და ხვალე თორნესა შთაეზნის<sup>10</sup>, ღმერთმან ესრეთ<sup>11</sup> შემოსის, არა-მე უფროჲს თქუენ, მცირედ მორწმუნენო?

31. ნუ ჰზრუნავთ<sup>1</sup> და იტყვთ: რაჲ ვკამოთ, ანუ რაჲ<sup>12</sup> ესუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ?

32. რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ<sup>13</sup>, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რომელი გივმს ამათ ყოველთაგანი.

33. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართ-

25. ამისთვის<sup>1</sup> გეტყუ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ თავთა თქუენთათვის<sup>2</sup>, რაჲ სკამოთ ანუ რაჲ სუათ; ნუცა ჯორცთა თქუენთათვის, რაჲ შეიმოსოთ. არა სული უფროჲს არს საზრდელისა და ჯორცნი სამოსლისა?

26. მიხედვით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაჲ იგი თქუენი, რომელი არს ცათა შინა, ზრდის მათ. არა-მე თქუენ უმჯობეს ხარო მფრინველთა?

27. ვინ თქუენგანი ზრუნვიდეს და შემძღლოს შეძინებად ჰასაკისა თვისსა<sup>3</sup> წყრთა ერთ?

28. და სამოსელისათვის<sup>4</sup> რაჲსა ზრუნავთ? მიხედვით შრომანთა ველისათა, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებიჲ, არცა სთავნ<sup>5</sup>.

29. ხოლო გეტყვ თქუენ: არცალა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა თვისსა შეიმოსა, ვითარ ერთი ამათგანი.

30. უკუეთუ თიგაჲ ველისაჲ, რომელი დღეს არს და ხვალისაგან თორნესა შთაეზნინ, ღმერთმან ესრეთ შეამკვის, არა-მე უფროს-ლა თქუენ, მცირედ მორწმუნენო?

31. ნუუკუე ზრუნავთ და იტყვთ: რაჲ ვკამოთ, ანუ რაჲ ესუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ?

32. რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ, რამეთუ უწყის მამამა(ნ) თქუენმან ზეცათამან, რამეთუ გივმს თქუენ ესე ყოველი.

33. არამედ ითხოვდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართ-

1 ზრუნავთ D. 2 რაჲ ვკამოთ ანუ რაჲ ესუათ D. 3 და ჯორნი ს'მოსლსა D (გადამწერს ეს სამი სიტყვა გამოჩაჩენია და შემდეგ წერილად მიუწერია). 4 არცა მკიან—D. 5 უფროჲს და უმჯობეს D. 6 ზრუნვიდეს D. 7 ჰასაკისა თვისსა E. 8 არც D. 9 სთავს სთესავს D. 10 არს და... შთაეზნის D, არნ და... შთაეზნეს E. 11 ესრეთ E. 12 რა D. 13 ეძიებდენ D.

1 ამისთვის C. 2 თქუენთათვის C. 3 თვისსა 4 სამოსელისათვის C. 5 სთავნ] სთესვენ C.

DE

C

ლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს  
თქუნენ.

34. ნუ ჰზრუნავთ<sup>1</sup> ხვალისა, რამეთუ  
ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისაჲ<sup>2</sup>.  
კმა არს დღისაჲ მის სიბოროტს<sup>3</sup> თვისი.

ლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს  
თქუნენ.

34. ნუ ზრუნავთ ხვალისათჳს<sup>1</sup>, რამე-  
თუ ხვალე იგი ზრუნვიდეს თავისა თვის-  
სათჳს<sup>2</sup>. კმა არს დღესა ამაჲს კირი  
თვისი<sup>3</sup>.

7 ✓

1. ნუ შჯით, რაჲთა არა დაისაჯნეთ,

2. რამეთუ რომლითა საშჯელითა  
შჯიდეთ, მითცა დაისაჯნეთ, და რომლი-  
თა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს  
თქუნენ<sup>1</sup>.

3. ანუ რაჲსა ჰხედავ<sup>5</sup> წუელსა თუალ-  
სა შინა<sup>6</sup> ძმისა შენისასა და დირესა  
თუალსა შინა შენსა არა განიცდი?

4. ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა: მა-  
ცადე, აღმოგიღო წუელი თუალისაგან  
შენისა, და აჰა დირს<sup>7</sup> თუალსა შინა  
შენსა!

5. ორგულო, აღმოიღე პირველად  
დირს<sup>7</sup> თუალისაგან შენისა და მაშინ  
იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან  
ძმისა შენისა.

6. ნუ მისცემთ სიწმიდესა ჩემსა  
ძაღლთა, ნუცა დაუღებთ მარგალიტსა  
თქუნენსა<sup>8</sup> წინაშე ღოროთა, ნუუკუე<sup>9</sup> და-  
თრგუნონ იგი || ფერჯითა მათითა და  
მოგექცენ და განგხეთქნენ თქუნენ.

7. ითხოვდით, და მოგეცეს თქუნენ;  
ეძიებდით, და ჰპოვოთ<sup>10</sup>; ირეკდით, და  
განგეღოს თქუნენ.

8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვ-  
დეს—მოიღოს, და რომელი ეძიებდეს—  
პოვოს<sup>11</sup>, და რომელი ირეკდეს—განე-  
ღლოს მას.

9. ანუ ვინ არს თქუნენგანი კაცი, რო-

1. ნუ დასჯით, რაჲთა არა დაისაჯ-  
ნეთ,

2. და რომლითა სასჯელითა შჯიდეთ,  
მითცა ისაჯნეთ, და რომლითა საწყაუ-  
ლითა მიუწყოთ, მითცა მოგეწყოს თქუნენ.

3. რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა ში-  
და ძმისა შენისასა და თუალსა შიდა  
შენსა დღრესა<sup>4</sup> არა იხედავ?

4. ანუ ვითარ ეტყუა ძმასა შენსა: მა-  
ცადე და აღმოგიღო წუელი ეგე თუა-  
ლით შენით, და აჰა ეგერა დირე გიც  
თუალსა შენსა.

5. ორგულო, აღმოღა-იღე პირველად  
დირე იგი თუალისაგან შენისა, და მა-  
შინ იხილო აღმოღებად წუელი<sup>5</sup> თუა-  
ლისაგან ძმისა შენისა.

6. ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა,  
ნუცა დაუღებთ მარგალიტსა თქუნენსა  
წინაშე ღოროთა, რაჲთა არა დათრგუნონ  
იგი ფერჯითა მათითა და მოგექცენ და  
განგხეთქლენ თქუნენ.

7. ხ-ითხოვდით, და მოგეცეს თქუნენ;  
ეძიებდით, და ჰპოოთ; ირეკდით, და  
განგეღოს თქუნენ.

8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვნ-  
—მოიღოს<sup>6</sup>, და რომელი ეძიებენ—პოის,  
და რომელი ირეკენ—განეღოს.

9. ხ იყოს-მე ვინ თქუნენთაგანი კა-

1 ზრუნავთ D. 2 თვისსა D. 3 სიბოროტე D. 4 თქუნენ|—D. 5 ხედავ D. 6 შინა|—D  
7 დირე D. 8 თქუნენსა D. 9 ნუუკუე D. 10 ჰპოოთ D. 11 პოოთ D.

1 ხვალისათჳს C. 2 თვისსათჳს C. 3 თვისი C. 4 დღრესა C. 5 წუელი C. 6 მოიღოს C-



DE

C

გელსა სთხოვდეს ძმ თვის პურსა, ქვაბ-  
ნუ მისცეს მას?

10. გინა თევზსა სთხოვდეს, გუელი  
ნუ მისცეს მას?

11. უკუეთუ თქვენ უკეთურთა იცით  
მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა  
თქვენთა, რაოდენ უფროს<sup>1</sup> მამამან  
თქვენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი  
რომელნი სთხოვდენ მას!

12. ყოველი რომელი გინდეს თქვენ<sup>2</sup>,  
რადთა გიყონ თქვენ კაცთა, ეგრეთცა<sup>3</sup>  
თქვენ ჰყოფდით მათა<sup>4</sup> | მიმართ, რა-  
ბრთუ ესრეთ<sup>5</sup> არს შჯული და წინა-  
წარმეტყუელნი.

13. შევედით<sup>6</sup> იწროსაგან ბქისა, რა-  
მეთუ ვრცელ არს ბქმ<sup>7</sup> და ფართო არს  
გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედე-  
ლად, და მრავალნი არიან, რომელნი  
შველენან მას.

14. ვითარ-იგი იწრო არს ბქმ<sup>7</sup> და  
საკირველ<sup>8</sup> გზაჲ, რომელი მიიყვანებს  
ცხოვრებასა, და მცირედნი არიან, რა-  
მელნი ჰპოებენ მას.

15. ეკრძალებით ცრუ წინაწარმე-  
ტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდიან  
თქვენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხო-  
ლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

16. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგი-  
ნი. ნუუკუე შეკრიბიან<sup>9</sup> ეკალთაგან ყუ-  
რძენი ანუ კუროსთაეთაგან ლელჳ?

17. ეგრეთცა ყოველმან ხემან კეთილ-  
მან || ნაყოფი კეთილი გამოიღოს<sup>10</sup>, ხო-  
ლო ხემან<sup>11</sup> ხენემან ნაყოფი ხენემი გა-  
მოიღოს.

18. ვერ ველ-ეწიფებინ ხესა<sup>12</sup> კე-  
თილსა ნაყოფისა ხენემისა გამოლებად,

ცი, რომელსა სთხოვდეს ძმ თვის<sup>1</sup> პურ-  
სა, ქვაბ ნუ მისცეს მას?

10. ანუ თუ თევზსა სთხოვდეს, გუე-  
ლი ნუ მისცეს მას?

11. უკუეთუ თქვენ უკეთურთა იცით  
ნიქისა კეთილისა<sup>2</sup> მიცემად შვილთა თქუ-  
ენთა<sup>3</sup>, რადენ არა უფროს მამამან  
თქვენმან ზეცათამან მოსცეს მათ კეთი-  
ლი, რომელნი სთხოვდენ მას!

12. ყოველივე<sup>4</sup>, რადცა გნებაეს, რა-  
მცა გიყვეს თქვენ კაცთა, ეგრეთცა თქვენ  
ჰყოფდით მათდა მიმართ, რამეთუ ეგრე  
არს შჯული და წინაწარმეტყუელნი.

13. შევიდოდეთ იწროსა მას ბქესა,  
რამეთუ ფართო არს<sup>5</sup> ბქმ და ვრცელ  
არს გზაჲ, რომელმან მიიყვანის წარსა-  
წყმედელად; მრავალ არიან, რომელნი  
ვლენან მიერ.

14. რამეთუ იწრო არს ბქმ და წუ-  
ლილ გზაჲ, რომელმან მიიყვანის ცხო-  
რებად, და მცირედ არიან, რომელთა  
პოიან იგი.

15. ეკრძალებით ცრუ წინაწარ-  
მეტყუელთა მათგან, რომელნი მოვიდო-  
დიან თქვენდა სამოსლითა ცხოვართაჲ-  
თა ხოლო შინაგან არიან მგელნი მტა-  
ცებელნი.

16. ნაყოფისა მათისაგან იცნნეთ იგი-  
ნი. მო-ნუ-ისტულიან ეკალთაგან ყურძე-  
ნი ანუ კუროსთაეთაგან ლელჳ?

17. ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან  
ნაყოფი კეთილი გამოიღოს<sup>7</sup>, ხოლო ჯერ-  
კულმან ხემან ნაყოფი ჯერკული გა-  
მოიღოს.

18. ვერ ველ-ეწიფებინ ხესა კეთილსა  
ნაყოფისა ჯერკულისა გამოლებად, არ-

1 უფროს D\* (თავზე მკრთალად ჩანს მ, რომელიც არ გაუცხოველებიათ: უფროს D)-  
2 თქვენქ—E. 3 ეგრეთცა D (?). 4 იმათა D (?). 5 ესრეთ D. 6 შევიდით D. 7 ბქე D. 8 საკი-  
ველ D. 9 შეიკრიბიან E. 10 გამოიღოს E. 11 ხმან E. 12 ხსნა E.

1 თუსი C. 2 კეთილისა C. 3 თქვენთა C. 4 შემდეგ კიდევ იკითხება ორი ასო.  
თითქო „ეე“. 5 „არს“ ორჯერ არის დაწერილი. 6 ლელუ C. 7 გამოიღონ C.

სE

C

არცა ხესა<sup>1</sup> ხენეშა ნაყოფისა კეთილი-  
სა გამოღებად.

19. ყოველმან ხემან რომელმან არა  
გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკუთვოს  
და ცეცხლსა დაედვას.

20. საქმეთა მათთაგან იცნეთ იგინი.

21. არა ყოველმან რომელმან მრქუას  
მე: უფალო, უფალო! და შევიდეს იგი  
სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელ-  
მან ყოს ნებაჲ<sup>2</sup> მამისა ჩემისა ზეცათაჲ-  
საჲ<sup>3</sup>.

22. მრავალთა<sup>4</sup> მრქუან მე მას დღესა  
შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა  
შენითა ვწინაწარმეტყულებდით და  
სახელითა შენითა ეშმაკთა განვასხემ-  
დით | და სახელითა შენითა ძალთა მრავალთა  
ვიქმოდეთ?

23. და მას ეპსა შინა ვპრქუა<sup>5</sup> მათ,  
ვითარმედ: არა გიცნი, განმეშორებით  
ჩემგან ყოველნი მოქმედნი უზულოვები-  
სანი<sup>6</sup>!

24. ყოველმან რომელმან ისმინნეს სი-  
ტყუანი ესე და ყვნეს იგინი, ემსგავსოს  
იგი კაცსა მას გონიერსა, რომელმან ალა-  
შენა სახლი თვისი კლდესა ზედა.

25. და გარდამოვდეს წვმანი, და აღ-  
დგეს მდინარენი და ქროდეს<sup>7</sup> ქარნი, და  
ეკუთვნეს სახლსა მას, და არა დაეცა  
იგი, რამეთუ დაფუძნებულ<sup>8</sup> იყო იგი  
კლდესა ზედა.

26. და ყოველმან რომელმან ისმინნეს  
სიტყუანი ესე და არა ყვნეს იგინი,  
მსგავსე არს იგი კაცსა ცოფსა, რომელ-  
მან ალაშენა სახლი თვისი ქვშასა ზედა.

27. და გარდამოვდა წვმაჲ,<sup>9</sup> და მოვი-  
დეს მდინარენი, და ქროდეს ქარნი და

ცა ხესა ჯერკულსა ნაყოფისა კეთილი-  
სა გამოღებად.

19. ყოველი ხს<sup>1</sup> არა გამოღებელი ნა-  
ყოფისა კეთილისაჲ, მოიკუთვოს<sup>1</sup> და  
ცეცხლთა დაედვას.

20. აწ უკუე ნაყოფისა მათისაგან  
იცნეთ იგინი.

21. არა ყოველმან რომელმან მრქუას<sup>2</sup>  
მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი<sup>3</sup> სა-  
სუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან  
ყოს ნებაჲ მამისა ჩემისაჲ, რომელ არს  
ცათა შინა.

22. მრავალთა მრქუან მე მას დღესა  
შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა  
შენითა ვწინაწარმეტყულებდით და სა-  
ხელითა შენითა ეშმაკთა განვასხემდით<sup>4</sup>  
და სახელითა შენითა ძალსა მრავალსა  
ვიქმოდეთ?

23. მაშინ ვპრქუა<sup>5</sup> მათ, ვითარმედ:  
არასადა გიცნოდ<sup>6</sup> თქუენ, განმეშორე-  
ნით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯუ-  
ლოებისანი.

24. ყოველმან რომელმან ისმინნეს სი-  
ტყუანი ესე ჩემნი და ყვნეს<sup>7</sup> იგინი, ემს-  
გავსოს იგი კაცსა ბრძენსა, რომელმან  
ალაშენა სახლი თვისი<sup>8</sup> კლდესა ზედა.

25. და გარდამოვდა წვმაჲ<sup>9</sup>, და წარ-  
მოეცნეს მდინარენი, და ანქრევდეს ქარ-  
ნი და ეცნეს სახლსა მას, და ვერა და-  
ეცა<sup>10</sup>, რამეთუ დამყარებულ იყო იგი.  
კლდესა მას ზედა.

26. და ყოველსა რომელსა ესმენენ სი-  
ტყუანი ესე ჩემნი და არა ყვნეს იგინი,  
ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან  
ალაშენა სახლი თვისი<sup>11</sup> მქვშასა ზედა.

27. და გარდამოვდა წვმაჲ<sup>9</sup>, და აღ-  
დგეს მდინარენი, და ქრიოდეს ქარნი,

1 ხსა E. 2 ნობაჲ D. 3 ზეცათასა E. 4 მრავალთ D. 5 ვრქუა E. 6 უზულოებისანი D.  
7 ქროდეს D. 8 დაფუძნებულ D.  
1 მოიკუთვოს C. 2 მრქუა C. 3 იგინი C. 4 განუსხემდით C. 5 პრქუა C. 6 გიცნოდენ C.  
7 ყვნეს C. 8 თვისი C. 9 წვმაჲ C. 10 დაეცნეს C. 11 მქვშასა C.

DE

C

ეკუეთნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო და ცემა იგი მისი დიდ ფრიად.

28. და იყო რაჯამს დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, განუკრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი,

29. რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის აქუნ კელმწიფებაჲ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი.

და ეცნეს სახლსა მას, და დაეცა<sup>1</sup>. და იყო და ცემა იგი მისი დიდ ფრიად.

28. და იყო რაჯამს წარასრულნა იესუ სიტყუანი ესე, უკრდა<sup>2</sup> ერსა მას სწავლაჲ იგი მისი,

29. რამეთუ იყო სწავლად მათა კელმწიფე და არა ვითა<sup>3</sup> მწიგნობარნი მათნი.

X

1. და რაჯამს გარდამოკდა იგი მიერ მით, მოსდევდა მას ერი მრავალი.

2. და აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუტდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს: ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი.

3. და მიყო კელი მისი იესუ, შეახო და ჰრქუა: მნებაჲს, განწმიდნი!<sup>1</sup> და მეყსეულად განწმიდნა<sup>2</sup> იგი კეთროვნებისა მისგან.

4. და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და ურუენე<sup>4</sup> თავი შენი მლდელთა და შეწირე შესაწირავი შენი, რომელი<sup>5</sup> ბრძანა მოსე<sup>6</sup> საწამებელად მათა.

5. და შე-რა-ვიდა<sup>7</sup> იგი კაფარნაუმდ<sup>8</sup>, მოუტდა მას ასისთავი ერთი, ევედრებოდა მას

6. და ეტყოდა: უფალო, მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა გარღუეული და მნიად იგუემების იგი.

7. ჰრქუა მას იესუ: მე მღვიდე და განკურნო იგი.

8. მიუგო ასისთავმან მან და ჰრქუა: უფალო, არა ღირს ვარ, რადთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე<sup>9</sup> შემოხუედ, არა

1. და რაჯამს<sup>1</sup> დაძოვილოდა იგი ძიერ მითი, მისდევდა მას ერი მრავალი.

2. და აჰა წარღვა მის წინაშე განბოკლებული და თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, გინდეს თუ, შემძლებელ ხარ განწმედად ჩემდა.

3. და მიყო კელი, შეახო მას იესუ და ჰრქუა: მნებაჲს, განწმიდენ! და მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან.

4. ჰრქუა მას იესუ: ეკრძაღე<sup>5</sup>, ნუვის უთხრობ, არამედ მივედ და ურუენე თავი შენი მლდელსა და შეწირე მსხუეპლი შენი, რომელი ბრძანა მოსე<sup>6</sup> საწამებელად მათდა.

5. და რაჯამს შევიდა იგი კაფერნაომდ, მოუტდა მას ასისთავი, ევედრებოდა მას

6. და ეტყოდა: უფალო, ყრმაჲ ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაჯსნილი, ძკრძკრად<sup>7</sup> ტანჯული.

7. და ჰრქუა მას იესუ: მე მოვიდე და განკურნო იგი.

8. მიუგო მან ასისთავმან და ჰრქუა: უფალო, არა ღირს ვარ, რადთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე<sup>9</sup> შემოხუედ, არამედ

1 ვითარ E. 2 განწმინდი E, გწმინდი D. 3 განწმინდა D. 4 ურუენე D. 5 რომელ D. 6 მოსე E. 7 შე-რა-ვიდა E. 8 კაფარნაომდ E. 9 ქუეშე E.

1 დაეცნეს C. 2 უკრდა C. 3 ასეა C. 4 რაჯამს C. 5 ეკრძაღე C. 6 მოსე C. 7 ძერძურად C.

DE 114

C

მედ სიტყვთ ხოლო ბრძანე, და განიკურნოს ყრმა მონაჲ იგი ჩემი.

9. რამეთუ მეცა კაცი ვარ ჳელმწიფებასა ჳწღას<sup>1</sup> და მქონან ჩემ ქუეშე<sup>1</sup> ერისაგანნი; და ვჰრქვ ამას<sup>2</sup>: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ჳმენ ესე! და ჳმნის.

10. ესმა რად ესე იესუს, დაუჯრდა და ჰრქუა მას, რომელნი-იგი შეუდგეს მას<sup>3</sup>: ამენ გეტყვ თქუენ: არცა ისრაჲლსა შორის ესოდენი სარწმუნოვებაჲ ვპოვე.

11. ხოლო გეტყვ თქუენ: მრავალნი მზის აღმოსავალით და მზის დასავალით მოვიდოდნან და ინაჲ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და<sup>4</sup> ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა.

12. ხოლო ძენი იგი<sup>5</sup> სასუფეველისანი<sup>6</sup> განიღბნენ ბნელსა მას გარესენელსა. მუნ იყოს ტირილი<sup>7</sup> და ღრქენაჲ კბილთაჲ.

13. და ჰრქუა იესუ ასისტავსა მას: წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და განიკურნა მონაჲ იგი მისი მას ღღესა შინა.

14. და მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა და იხილა სიდდერი იგი მისი, და ვერდომილი მჭურვალებითა.

15. და შეახო მას ჳელი თვისი, და დაუტევა იგი მჭურვალეზამან<sup>8</sup> მან, აღდგა და ჳმსახურებდა მას.

16. და ვითარცა შემწუხრდა<sup>9</sup>, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხნა<sup>10</sup> სულები იგი უკეთური სიტყვთა<sup>11</sup> და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა.

17. რადთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაი<sup>12</sup> წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ

სიტყვთ თქუ, და განიკურნოს ყრმა იგი ჩემი.

9. რამეთუ მეცა კაცი ვარ, და საბრძანებელად ჩემდა არიან ერისა კაცნი; და ამას ვჰრქუ<sup>1</sup>: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა უბრძანი: ყავ ესე! და ყვის.

10. ხ<sup>1</sup> ესმა რად ესე იესუს, დაუჯრდა და<sup>2</sup> და ჰრქუა რომელნი-იგი შეუდგეს: მართლიად გეტყუ თქუენ: არცა ისრაჲლსა შორის ესოდენი სარწმუნოვებაჲ მიპოვნიეს.

11. ხოლო გეტყუ თქუენ: მრავალნი მოვიდენ მზის აღმოსავალით და დასავალით და ინაჲ-იდგან აბრაჰამის თანა, ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა შინა ცათასა.

12. ხოლო ნაშობნი იგი სასუფეველისანი (განიღბნიენ)<sup>3</sup> ბნელსა მას გარესენელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

13. და ჰრქუა იესუ ასისტავსა მას: ვილოდე და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და განიკურნა ყრმაჲ იგი მისი მას ღღესა შინა.

14. და მოვიდა იესუ სახიდ პეტრესა და იხილა სიდდერი მისი, და ვერდომილი მჭურვალებითა.

15. და შეახო ჳელსა მისსა, და დაუტევა იგი სიციხემან მან, და აღდგა და ჳმსახურებდა მას.

16. და ვითარ დამწუხრდა, მოართუეს მას ეშმაკეულებ მრავალ, და განასხნა სულები იგი სიტყვთ<sup>4</sup> და ყოველივე იგი სნეულები<sup>5</sup> განკურნა.

17. რადთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაჲა წინაწარმეტყუელისა თქუმული:

1 ქუეშე E. 2 მას D. 3 მათ E. 4 და—E. 5 ძწნი იგინი D. 6 სასუფეველისანი E. 7 ტრილი D. 8 მჭურვალეზამან D. 9 შემწურდა D. 10 განასხნა D. 11 სიტყვთ E. 12 ესაჲა D. 1 ჰრქუ C. 2 დაუჯრდა C. 3 განიღბნიენ—C. 4 სიტყვთ C. 5 სნეულები—C.

DE

C

თქუა: მან უძღურებანი ჩუენნი იტჯრთ-  
ნეს და სნეულებანი ჩუენნი განკურნნეს<sup>1</sup>.

18. და ვითარცა ხილა იესუ<sup>2</sup> ერი  
იგი მრავალი გარემო მისა, უბრძანა  
წიადსლვამ მიერ კრძო.

19. და მოუქდა მას ერთი მწიგნო-  
ბართაგანი და ჰრქუა მას: მოძღუარ,  
მიგდევდე<sup>3</sup> შენ, ვიდრეცა ხვდოდი<sup>4</sup>.

20. ჰრქუა მას იესუ: მეღთა ჯურელი  
უქს და მფრინველთა ცისათა საყოფელი,  
ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა  
თავი მიიდრიკოს.

21. და ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა  
მისთაგანმან: მოძღუარ, მიბრძანე პირ-  
ველად<sup>5</sup> მისლვად და დაფლვად მაშისა  
ჩემისა.

22. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ მომ-  
დევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლ-  
ვად თვსთა მკუდართა.

23. და აღვიდა იგი<sup>6</sup> ნავსა და მის-  
დევდეს მოწაფენი მისნი.

24. და ამა ესერა ძრვა იყო დიდ  
ზღუასა მას ზედა ვიდრე ნავისა დაფარ-  
ვადმდე ლელვითაგან. ხოლო თავაღსა  
ეძინა.

25. მოუქდეს მოწაფენი მისნი, აღად-  
გინეს იგი და ეტყოდეს: უფალო, მიჯს-  
ნენ ჩუენ, რამეთუ წარვეწყმდებით.

26. და თავადმან ჰრქუა მათ: რაღსა  
ესოდენ<sup>7</sup> შესძრწუნდით, მცირედ მორ-  
წმუნენო? მაშინ აღდგა და შეჰპრისხნა  
ქართა მათ და ზღუასა, და იქმნა მეყ-  
სეულად<sup>8</sup> დაყუდება დიდ.

27. ხოლო კაცთა მათ დაუკრდა და  
იტყოდეს: რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ  
ქარნიცა და ზღუაჲცა ერჩიან მას!

28. და ვითარცა წიადწდა იგი<sup>9</sup> მიერ  
კრძო სოფელსა მას გერგესიველთასა,

მან უძღურებანი ჩუენნი თავს-ისხნა და  
სნეულებანი იტჯრთნა.

18. იხილა რად იესუ მრავალი ერი  
გარემო მისა, უბრძანა მათ წიადმოსლ-  
ვამ წიად ზღუასა.

19. და მოუქდა ერთი მწიგნობარი და  
ჰრქუა მას: მოძღუარ, მიგდევდე შენ,  
ვიდრეცა ხვდოდი.

20. და ჰრქუა მას იესუ: მეღთა ჯუ-  
რელი (უქს)<sup>1</sup> და მფრინველთა ცისათა  
სადგური, ხოლო ძესა კაცისასა არა  
აქუს, სადამცა თავი მიიდრიკა.

21. ერთმან ვინმე მოწაფეთა მისთა-  
განმან ჰრქუა მას: უფალო, მიბრძანე მე  
პირველად მისლვად და დაფლვად მაშის-  
სა ჩემისა.

22. ჰრქუა მას იესუ: შენ შემომიდეგ  
მე და უტყვე მკუდართა მათ დაფლვად  
მკუდართა თვსთა<sup>2</sup>.

23. და რაჟამს<sup>3</sup> აღწდა იგი ნავსა,  
მისდევდეს მას მოწაფენი მისნი.

24. და ამა ძრვაჲ იყო დიდ ზღუასა<sup>4</sup>  
შინა ვიდრე დაფარვადმდე ნავისა მის  
ლელვითაგან. ხოლო მას თავაღსა ეძინა.

25. და მიუქდეს მას მოწაფენი თვსნი,  
განაღძეს<sup>5</sup> და ჰრქუეს მას: უფალო,  
განმარინენ ჩუენ, რამეთუ წარვეწყმდებით.

26. და ჰრქუა მათ: რად გულ-მედგარ-  
ხართ, მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღ-  
დგა, შეჰპრისხნა ქართა და ზღუასა, და  
იყო ყუდროება დიდ.

27. ხოლო კაცებსა მას უკრდა<sup>6</sup> და  
იტყოდეს: რად-მე ვინ არს ესე, რამე-  
თუ ქარნიცა და ზღუაჲცა ერჩიან მას!

28. და ვითარ წიადწდა იგი მიერ  
წიად სოფელსა მას გადერელთასა, მოე-

1 განკურნეს E; უძღურებანი.. განკურნეს უძღურებანი ჩუენნი განკურნეს და სნეუ-  
ლებანი ჩუენნი იტჯრთნეს D. 2 იესუ]-E. 3 მიგდევდევე E. 4 ხვდოდი E. 5 პირველად F;  
6 იგი] იესუ E. 7 ესოდენ]-D. 8 მეყსეულად]-D. 9 წიადწდეს იგინი D.

1 უქს]-C. 2 თვსთა C. 3 რაჟამს C. 4 ზუასა C. 5 განაღძეს C. 6 უკრდა C.

DE

C

შემთხვენს მას ორნი კაცნი<sup>1</sup> ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლაგებისა მისგან, ფრიად ბოროტნი, ვითარმედ ვერვის კელ-ეწიფებოდა წარსლვად მიერ გზით.

29. და ლალადებდეს<sup>2</sup> და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა უწინარსს ეამისა ტანჯვად ჩუენდა.

30. და იყო მათგან შორს კოლტი ღორთაჲ მძოვარი.

31. ხოლო ეშმაქნი იგი ევედრებოდეს და ეტყოდეს: უკუეთუ განგუასხამ ჩუენ, მიბრძანე მისლვად კოლტსა იმას ღორთასა.

32. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ<sup>3</sup>: მივედით! და იგინი განვიდეს<sup>4</sup> კაცთა მათგან და მივიდეს კოლტსა მას ღორთასა. და მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა ზღუასა და მოწყდეს წყალთა მათ შინა.

33. ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს ქალაქად და მიუთხრეს ყოველი და ეშმაკეულთა მათთს.

34. მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად იესუსა<sup>5</sup>. და ვითარცა იხილეს იგი, ევედრებოდეს მას, რაჲთა წარვიდეს საზღვართაგან<sup>6</sup> მათთა.

გებვოდეს მას ორნი ეშმაკეულნი, სამაგრობნით გამომაველნი, საზარელნი ფრიად, ვიდრე ვერვინ შემძლებელ იყო წარსლვად მიერ გზით.

29. და მუნქუესევე<sup>1</sup> ლალატყვის და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? მოსრულ ხარ აქა უკუემოდ გუემად<sup>2</sup> ჩუენდა.

30. და იყო შორს მათსა კოლტი ღორებისა მრავლისა მძოვარი.

31. ხოლო ეშმაქნი იგი ევედრებოდეს მას და იტყოდეს: გან-თუ-გუასხამ ჩუენ, გუბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორებისასა.

32. და 'ჰრქუა<sup>3</sup> მათ: მივედით! ხოლო იგინი<sup>4</sup> მივიდეს კოლტსა მას ღორებისასა. და მუნქუესევე მიიმართა ყოველმან მან კოლტმან კლდით კერძო ზღუად და მოწყდეს წყალთა მათ შიდა.

33. ხოლო მეღორენი იგი ივლტოდეს ქალაქად, მიუთხრეს ყოველივე და ეშმაკეულთაჲცა მათ.

34. და მუნქუესევე<sup>1</sup> ყოველი იგი ქალაქი გამოეგებოდა იესუს. და ვითარ იხილეს იგი, ევედრებოდეს მას, რაჲთა მცა წარვიდა საზღვრით მათით.

9

1. და შევიდა ნავსა და წიაღვდა და მოვიდა თჳსა<sup>7</sup> ქალაქად.

2. და მოართუეს მას განრლუეული ცხედარსა ზედა მდებარს<sup>8</sup>. და იხილა იესუ სარწმუნოებჲჲ მათი და ჰრქუა განრლუეულსა მას: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევენენ, შენ ცოლვანი შენნი!

1. და აღვდა ნავსა მას და წიაღმოვდა და მოვიდა თჳსად ქალაქად.

2. და ამა მოართუეს მას დავსნილი ერთი, რომელ იღვა ცხედარსა ზედა. და ვითარ იხილა იესუ სარწმუნოებჲჲ იგე მათი, ჰრქუა<sup>2</sup> დავსნილსა მას: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევენენ შეცოდებანი შენნი!

[1 კაცნი]—E. 2 და ლალადყვის E. 3 მათ]—E. 4 გამოვიდეს E. 5 იესუსა (ივსა) D. 6 საღვართაგან D. 7 თჳსა D. 8 მდებარე D. 1 მუნქუესევე C. 2 გუემად C. 3 ჰრქუა C. 4 იგინ C.

DE

C

3. და იყვნეს ვინმე მუნ მწიგნობარ-თავანნი და იტყოდეს გულთა შინა მათთა, ვითარმედ: ესე ჰგომბს<sup>1</sup>.

4. იცნოდა იესუ ზრახვიანი მათნი და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს თქუენ ბოროტსა ზრახვით<sup>2</sup> გულთა შინა თქუენთა?

5. რაჲ უადვილეს<sup>3</sup> არს სიტყუად: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუამდ: აღდეგ და ვილოდე?

6. არამედ რაჲთა უწყოდით, რამეთუ ველმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა || მიტევებად ცოდვათა. მაშინ ჰრქუა განრღუეულსა მას: აღდეგ, აღილე<sup>4</sup> ცხეღარი შენი და წარვედ სახილ<sup>5</sup> შენდა!

7. ხოლო იგი აღდგა მეყსეულად და წარვიდა სახილ თჳსა.

8. იხილეს რაჲ ესე ერმან მან, დაუკვრდა<sup>6</sup> და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეითარი ველმწიფებაჲ კაცთა.

9. და წარვიდა<sup>7</sup> მიერ იესუ<sup>8</sup>, იხილა კაცი, რომელი ჯდა საზურეესა ზედა, მათოზ სახელი მისი, და ჰრქუა. მას: აღდეგ და შემომიდეგ მე. და იგი აღდგა და მისდევდა მას.

10. და იყო ჯდა რაჲ იგი ინაჯით სახლსა შინა, და მრავალნი მეზურერენი და ცოდვილნი სხდეს იესუს<sup>10</sup> თანა ინაჯით და მოწაფეთა მისთა თანა<sup>11</sup>.

11. ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, | ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზურერეთა და ცოდვილთა თანა კამს და სუამს მოძღუარი თქუენი?

12. ხოლო იესუს ვითარცა ესმა ესე, ჰრქუა მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა.

13. ხოლო თქუენ წარვედით და იქი-

3. და მუნქუეს<sup>1</sup> ოდენ მწიგნობარ-თავანნი ვინმე იტყოდეს გულთა შინა თჳსთა: ესე გგომბს.

4. და ვითარ გულისჯმა-ყო იესუ ზრახვად იგი მათი, ჰრქუა მათ: რად ზრახვით ძვრსა<sup>2</sup> გულთა შინა თქუენთა?

5. რაჲ უადვილე არს თქუამდ: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუამდ: აღდეგ და ვილოდე?

6. რამეთუ ველ-მწიფე<sup>3</sup> არს ძლ<sup>4</sup> კაცი. საჲ ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა მათთა. მაშინ ჰრქუა დაჯსნილსა მას: აღდეგ, აღილე ცხეღარი შენი და წარვედ სახილ შენდა!

7. და აღდგა იგი და წარვიდა სახილ თჳსა.

8. იხილა რაჲ უკუე ერმან მან, დაუკვრდა და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეითარი ველმწიფებაჲ კაცთა.

9. და წარვილოდა იესუ მიერ, იხილა კაცი მჯღომარე საზურეესა ზედა, მატეთოს ერქუა სახელი, და ჰრქუა მას: შემომიდეგ მე. და აღდგა და მისდევდა მას.

10. და იყო რაჲჲმს ინაჯ-ედგა მას სახლსა მას შინა, მრავალნი მეზურერენი და ცოდვილნი მოსრულ იყვნეს და ინაჯ-ედგა იესუს<sup>10</sup> თანა და მოწაფეთა მისთა თანა.

11. და ვითარ იხილეს ფარისეველთა მათ, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზურერეთა თანა და ცოდვილთა კამს მოძღუარი<sup>6</sup> თქუენი?

12. ხოლო იესუს ვითარ ესმა, ჰრქუა მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა.

13. მივედით და იკითხეთ, რაჲ არს:

1 გგომბს E. 2 ზრახვითა D. 3 უადვილესი D\*. 4 და აღილე D. 5 სახედ D. 6 დაუკვრდა D. 7 წარმოვიდა D\*. 8 იესუს D\*. 9 მას + იესუ D. 10 იესუს (ი'ჯს) D\*. 11 მისთა თანა]—D  
1 მუნქუეს C. 2 ზურსა C. 3 ველმწიფე C. 4 ძელ C. 5 ი'ჯს C. 6 მოძღუარი C.

DE

C

თხეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი<sup>1</sup>. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, მოქცევად მათა.

14. მაშინ მოუტდეს მას მოწაფენი იოვანსნი<sup>2</sup> და ეტყოდეს: რაჲსათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

15. ჰრქუა მათ იესუ: გელ-მე-ეწიფე-ბისა ძეთა სიძისათა გლოვად<sup>3</sup>, ვიღრემდის სიძე იგი მათ თანა არს? არამედ მოველენან დღენი<sup>4</sup>, ოდეს აღმალდეს<sup>5</sup> მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ.

16. არაიენ დაადგის || სადგმელი<sup>6</sup> ახალი უმურკვეელი<sup>7</sup> სამოსელსა ძუელსა,<sup>8</sup> რამეთუ გამობლულიძის<sup>9</sup> სიმტკიცემან ახლისამან, და უფროდის განხეთქილებაჲ შეიქმნის.

17. არცა შთაასხიან ღვწოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რადთა არა განხეთქნეს თხიერნი იგი ღვწომან ახალმან<sup>10</sup>, ღვწოჲ დაითხიის<sup>11</sup>, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღვწოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე<sup>12</sup>, დაიმარხნიან.

18. და ვითარცა იგი ამას ეტყოდა ოდენ მათ, მაშინ მოუტდა მას მთავარი ურთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აწ-და აღესრულა; არამედ მოვედ და დასდევ კელი შენი, და ცხონდეს.

19. და აღდგა იესუ და შეუდგა<sup>13</sup> მას და მოწაფენი მისნი მის თანა.

20. და აჰა ესერა | დედაკაცი ვინმე, რომელსა დაეყო წიღოვნებასა შინა ათორმეტი წელი<sup>14</sup>, მოუტდა იგი ზურგიით

წყალობაჲ მნებავს, და არა მსხუერპლი. რამეთუ არა მოსრულ ვარ ჩინებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.

14. მაშინ მოუტდეს მოწაფენი<sup>1</sup> იოვანსნი და ჰრქუეს მას: რად ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

15. და ჰრქუა მათ იესუ: ნუთუ ეგების შეილთა საქორწინისათა გლოვაჲ, ვიღრე სიძე მათ თანა არს? არამედ მოვიდენ დღენი, რაჲმს წარვიდეს მათგან სიძე, და მაშინ იმარხვიდენ.

16. არაიენ დაადგის სადგმელი ნახევისა უმურკველისაჲ სამოსელსა ზედა ძუელსა, რამეთუ გამოიღლიძის დგმულმან მან სამოსლისა მისგან, და უძვრეს<sup>2</sup> განხეთქილება იქმნის.

17. არცა შთაასხიან ღვწოჲ<sup>3</sup> ახალს თხიერთა ძუელთა; უკუეთუ<sup>4</sup> არა, განსთქდიან თხიერნი იგი, და ღვწოჲ იგი დაითხიის, და თხიერნი იგი წარწყმდიან. არამედ შთაასხიან ღვწოჲ (ახალი თხი) ერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან<sup>5</sup>.

18. ამას რაჲ ეტყოდა მათ, აჰა მთავარი ვინმე მოუტდა, თაყუანის-სცემდა<sup>6</sup> მას და ეტყოდა, რამეთუ: ასული ჩემი აწ-და ესერა მოკულა; არამედ მოვედ და დასდევ კელი შენი მის ზედა, და ცხონდეს.

19. და აღდგა იესუ და შეუდგა მას და მოწაფენი მისნი მის თანა.

20. და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ზედა ათორმეტი წელ, მოუტდა ზურგიით კერ-

1 მსხუერპლი D. 2 იოვანსნი E. 3 გლოვაჲ D. 4 ეს სიტყვა გამოპრჩენია და ზემოთ დაუწერია წერილად D. 5 ამაღლდეს D. 6 სადგმელი სამოსელი E. 7 უმურკვეელი D, უმურკველი E. 8 ძუესა D. 9 გამოიღლიძის D. 10 რადთა არა... ახალმან რადთა არა განსთქდენ თხიერნი იგი E. 11 დაითხიის E. 12 ურნივე D. 13 შეუდა D. 14 ათორამეტი წელი D.  
1 მოწაფენი C. 2 უძვრეს C. 3 ღვწოჲ C. 4 უკუეთუ C. 5 დაიმარხნიან C. 6 თაყუანის-სცემდა C.



DE

C

კრძო იესუს და შეახო<sup>1</sup> ფესუსა სა-  
მოსლისა მისისასა<sup>2</sup>.

21. რამეთუ იტყოდა გულსა შინა<sup>3</sup> :  
თუსსა, ვითარმედ: შე- ხოლო თუ -ვახო  
ფესუსა სამოსლისა მისისასა, ვცხოვნდე<sup>4</sup>.

22. ხოლო იესუ მოექცა<sup>5</sup>, იხილა იგი  
და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო! სა-  
რწმუნოებამან<sup>6</sup> შენმან გაცხოვნა<sup>7</sup> შენ.  
და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟა-  
მითგან.

23. და მოვიდა იესუ სახლსა მის მთა-  
ვრისასა და იხილა მუნ მგონებნი<sup>8</sup> და  
ერი კრებული და შფოთი

24. და ჰრქუა მათ: განეშორენით<sup>9</sup>,  
რამეთუ არა მოკლდარ არს ყრმად ეგე,  
არამედ სძინავს. ხოლო იგინი ეკიცხე-  
დეს მას.

25. და რაჟამს გამოასხა ერი იგი,  
შევიდა და უპყრა კელი მისი და აღად-  
გინა ქალი იგი.

26. და განვდა ჰამბავი მისი || ყოველ-  
სა მას<sup>10</sup> ქუეყანასა.

27. და წარმოვიდა მიერ იესუ და  
მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, დაღადებ-  
დეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ,  
უფალო, ძეო დავითისო!

28. და ვითარცა შევიდა იესუ სახლ-  
სა, მოუტდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა  
მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც  
ესე ყოფად? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო.

29. მაშინ შეახო თუალთა მათთა და  
და ჰრქუა: სარწმუნოებისაებრ<sup>11</sup> თქუე-  
ნისა გეყავნ თქუენ!

30. და შეესუულად აღეხილნეს თულ-  
ნი მათნი. და შეჰრისხნა. მათ იესუ და  
ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის.

31. ხოლო იგინი გამოვიდეს და მი-  
მოქადაგებდეს ყოველსა მას ქუეყანასა.

ძო, შეახო ფესუსა სამოსლისა მისი-  
სასა.

21. რამეთუ იტყოდა გულსა თუსსა<sup>1</sup> :  
შე- ხოლო თუ -ვახო სამოსელსა მისსა,  
ვცხოვნდე.

22. ხოლო იესუ მოიქცა, იხილა იგი  
და ჰრქუა: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუ-  
ნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და ცხონ-  
და დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან.

23. და იესუ ვითარ მივიდა სახლსა  
მის მთავრისასა, იხილა მუნ მგონებნი  
და ერი აღშფოთებული

24. და ჰრქუა მათ: განეყენენით, რა-  
მეთუ არა მოკლდა ქალი ესე, არამედ  
სძინავს. და ეკიცხევედეს მას.

25. ხოლო ოდეს გარდაასხეს ერი იგი,  
შევიდა და უპყრა კელი მისი, და აღდგა  
ქალი იგი.

26. და განვდა ჰამბავი ესე მისი ყო-  
ველსა მას ქუეყანასა.

27. და ვითარ წარვიდოდა მიერ იესუ,  
მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, დაღადებ-  
დეს და იტყოდეს: მიწყალენ ჩუენ, ძეო  
დავითისო!

28. და რაჟამს შევიდა იგი სახიდ,  
მოუტდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ:  
იესუ: გრწამს, ვითარმედ შემძლებელ  
ვარ ყოფად. ესე? ჰრქუეს მას: ჰე,  
უფალო.

29. მაშინ შეახო თუალთა მათთა და  
ჰრქუა: მსგავსად სარწმუნოებისა თქუე-  
ნისა გეყავნ თქუენ!

30. და აღეხუნეს თუალნი<sup>4</sup> მათნი<sup>5</sup>.  
და შეჰრისხნა მათ იესუ და ჰრქუა:  
იგულეთ, ნუმცა ვინ აკრძობს.

31. ხოლო იგინი გამოვიდეს და მი-  
მოდადევს იგი ყოველსა ქუეყანასა მას.

1 შეეხო E. 2 მისისა D. 3 შინა]—E. 4 ვცხოვნდე D. 5 მოიქცა E. 6 სარწმუნოებამან E.  
7 გაცხოვნო D. 8 მგონებნი E. 9 განეშორენით E. 10 მას]—D. 11 სარწმუნოებისაებრ E.  
1 თუსსა C. 2 ჰრქეს C. 3 ჰე C. 4 თუალნი C. 5 მათნი] მათ C.

DE

C

32. და ვითარცა იგინი გამოვიდეს, მოჰკუარეს მას კაცი ყრუჲ<sup>1</sup> და ეშმაკეული.

33. და ვითარცა განქადა ეშმაკი იგი, იტყოდა მართლ ყრუჲ<sup>2</sup> იგი, და დაუჯრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: არასადა | ვინ გამოჩნდა<sup>3</sup> ესრეთ<sup>4</sup> ისრაელსა შორის.

34. ხოლო ფარისეველნი იგი იტყოდეს, ვითარმედ: მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა.

35. და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა უძლურთა და სნეულთა ერსა შორის.

36. და იხილა იესუ ერი იგი, და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს იგინი დამაშურალ და დაცვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა<sup>5</sup> არა აქუნ მწყემს<sup>6</sup>.

37. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი<sup>7</sup> — მცირედ.

38. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა მოაელინნეს<sup>8</sup> მოქმედნი სამკალსა<sup>9</sup> თჳსსა.

32. და ვითარ იგინი გამოვიდეს, ამა მოართუეს<sup>1</sup> მას კაცი ყრუჲ ეშმაკეული.

33. და ვითარ განეყენა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუჲ იგი, და დაჯრვებულ<sup>2</sup> იყო ერი იგი და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ვინ ესრეთ ისრაელსა შორის გამოჩნდა.

34. ხოლო ფარისეველნი იგი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა.

35. და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და უძლურებათა ერსა შორის.

36. და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი.

37. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი — მცირედ.

38. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა გამოაელინნეს მოქმედნი<sup>3</sup> სამკალსა თჳსსა<sup>4</sup>.

10

1. და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა || და მისცა მათ ჳელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სნეულებათა და უძლურებათა.

2. ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სიმონ,

1. და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ჳელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ<sup>5</sup> მათ და განჰკურნებდენ<sup>6</sup> ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა.

2. ხოლო ათორმეტთაჲ მათ მოციქულთაჲ არს სახელები ესე: პირველად

1 ყრუ D. 2 ყრუ D. 3 გამოჩნდა D. 4 ესრეთ D. 5 რომელ D. 6 მწყემსი E. 7 მოშაკნი D. 8. მოაელინნეს D. 9 სამკალსა D.  
1 მოართუეს C. 2 დაჯრვებულ C. 3 მოქმედნი C. 4 თჳსსა C. 5 განასხმიდეს C. 6 განჰკურნებდეს C.

DF

C

რომელსა ეწოდა პეტრე<sup>1</sup>, და ანდრეა<sup>2</sup>, ძმაჲ მისი, იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი.

3. ფილიპე და ბართლომე, თომა და მათეოზ მეზუერა<sup>3</sup>, იაკობ ალფესი და ლებეოზ, რომელსა ეწოდა თადეოზ<sup>4</sup>.

4. სიმონ კანანელი<sup>5</sup> და იუდა<sup>6</sup> ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი.

5. ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნებდა მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ და<sup>7</sup> ქალაქსა სამართელთასა ნუ შეხუალთ,

6. არამედ მივედით უფროჲს ხოლო ცხოვართა მათ | წარწყმედულთა სახლისა ისრაჲლისათა.

7. და მი-რაჲ-ხუდეთ, ქადაგებდით და ეტყოდეთ, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.

8. სხელთა განჰკურნებდით, კეთროვანთა განსწყმედდით<sup>8</sup>, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებდეს, უსასყიდლოდცა<sup>9</sup> მისცემდით.

9. ნუ მიიღებთ<sup>10</sup> ოქროსა, ნუცა ვეცხლსა<sup>11</sup>, ნუცა რვალსა<sup>12</sup> სარტყელთა თქუენთა,

10. ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ვამლსა<sup>13</sup>, ნუცა კუერთხსა<sup>14</sup>, რამეთუ ღირს არს<sup>15</sup> მუშაკი<sup>16</sup> სასყიდლისა თვისისა.

11. რომელსა ქალაქსა ანუ რომელსა დაბასა<sup>17</sup> შეხუდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვადმდე მიერ<sup>18</sup>.

12. და შე-რაჲ-ხუდეთ სახლსა მას, მოიკითხეთ იგი || და თქუთ: მშუკობაჲ სახლსა ამას!

სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმაჲ მისი, იაკობ ზებედესი და იოჰანე, ძმაჲ მისი.

3. ფილიპე და ბართლომე, თომა და მათეოზ მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოზ.

4. სიმონ კანანელი და იუდა სკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი.

5. ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ ხუალთ<sup>1</sup> და ქალაქსა სამართელთასა ნუ შეხუალთ;

6. მივედით უფროჲს ხოლო ცხოვართა წარწყმედულთა სახლისა ისრაჲლისათა.

7. და მი-რაჲ-ხუდეთ<sup>2</sup>, ქადაგებდით და ეტყოდეთ, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.

8. უძლურთა განჰკურნებდით, კეთროვანთა განსწყმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებდეს, უსასყიდლოდცა მისცემდით.

9. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა პილენძსა<sup>3</sup> სარტყელთა თქუენთა,

10. ნუცა გულაჲ<sup>4</sup> გზასა, ნუცა ორიკუართი<sup>5</sup>, ნუცა ვამლნი<sup>6</sup>, ნუცა არგანი<sup>7</sup>, რამეთუ ღირს არს მოქმედი საზრდელისა თვისისა.

11. რომელსა ქალაქსა შეხუდეთ ანუ დაბასა, გამოიკითხეთ, რომელი მას შინა ღირს იყოს, და მუნ დაიყოვნეთ ვიდრე გამოსლვამდე.

12. ხოლო რაჲმს<sup>5</sup> შეხუდოდით სახლსა, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშუკობაჲ სახლსა ამას!

1 პეტრე E. 2 ანდრეა D. 3 მეზუერე D. 4 თადეოს E. 5 კანანელი D (მაგრამ შემდეგ უკანასკნელი ა ამოუფხვიათ და სიტყვა გაწყვეტილია). 6 იოდა D. 7 და—E. 8 განსწყმედით D. 9 უსასყიდლოდ E. 10 მიიღებთ E. 11 ვეცხლისა D. 12 ნუცა რვალსა—D. (მაშასადამე, ასე იკითხება: ნუცა ვეცხლისა სარტყელთა თქუენთა D). 13 ვამლთა E. 14 კუერთხსა D. 15 ღირს არს E. 16 მოშაკი D. 17 დაბადსა D. 18 მიერ—F.

1 ხუალთ C. 2 მი-რაჲ-ხუდეთ C. 3 პილენძისა C. 4 ობიექტები მიცემითშია მოსალოდნელი, მაგრამ არ ვასწორებთ. 5 რაჲმსა C.

D:

C

13. და<sup>1</sup> უკუეთუ<sup>2</sup> იყოს სახლი იგი ღირს, მოვედინ მშვდობაჲ თქუენი მას ზედა; და უკუეთუ არა ღირს იყოს, მშვდობაჲ თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.

14. და უკუეთუ ვინმე არა შეგიწყნარნეს თქუენ, არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რაჲ-ხვდეთ<sup>3</sup> მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერკთაგან თქუენთა<sup>4</sup>.

15. ამენ გეტყუ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა მას სასჯელისასა<sup>5</sup>, ვიდრე ქალაქი იგი.

16. აჰა ესერა მე მივაგლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვენით თქუენ მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი.

17. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ<sup>6</sup> კრებულსა და შორის შესაკრებელსა მათსა გტანჯვიდენ თქუენ.

18. და წინაშე მთავართა და<sup>7</sup> მეფეთა მიგიყვანნენ თქუენ ჩემთჳს, საწამებელად მათა და წარმართთა.

19. რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ<sup>8</sup>, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი<sup>9</sup> იტყოდით.

20. რამეთუ არა თქუენ იყვენით მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ შორის.

21. რამეთუ მისცეს ძმამან ძმად სიკუდილდ<sup>10</sup>, და მამამან შჭლი; და აღდგენ შეილნი მამა-დელათა მათთა ზედა და მოჰკლვიდენ მათ.

22. და იყვენით თქუენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს. ხოლო

13. და თუ ღირს იყოს სახლი იგი, მოვედინ მშვდობაჲ იგი თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშვდობაჲ იგი თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.

14. ხოლო რომელმან არა შეგიწყნარნეს თქუენ და არცა ისმინნეს სიტყუათა თქუენთაჲ, რაჟამს<sup>1</sup> გამოხვდოდით მიერ სახლით ანუ ქალაქით, დაიყარეთ მტუერი ფერკთაგან თქუენთა.

15. მართლიად გეტყუ თქუენ: ულხინულეს იყოს ქუეყანაჲ სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.

16. აჰა ესერა მე მივაგლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვენით თქუენ მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი.

17. ხოლო ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცნენ თქუენ კრებულებსა და შორის ურაკპარაკთა მათთა გგუემდენ თქუენ.

18. და წინაშე მსაჯულთა და მეუფეთა წარგიდგინნენ<sup>2</sup> თქუენ ჩემთჳს, საწამებელად მათა და წარმართთა.

19. ხოლო რაჟამს მიგცემდენ თქუენ, ნუ ჰრუნავთ, ვითარ-მე ანუ რასა-მე იტყოდით<sup>3</sup>; რამეთუ მიგცეს თქუენ (მამამან)<sup>4</sup> მას ჟამსა შინა, რაჲ სთქუათ.

20. რამეთუ არა თქუენ ხართ, რომელი იტყოდით, არამედ სული იგი მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ თანა.

21 რამეთუ მისცეს ძმამან ძმად სიკუდილდ, და მამამან შეილი; და აღდგენ შეილნი დელა-მამათა ზედა თჳსთა და მოკლნენ იგინი.

22. და იყვენით თქუენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს. ხოლო

1. და—D. 2 უკუეთუ D. 3 გამო-რაჲ-ხვდოდეთ D. 4 ფერკთა თქუენთაჲ E. 5 სასჯელი-სასა I. 6 მიგცნენ თქუენ E. 7 მთავართა და— D. 8 ზრუნავთ D. 9 რასა D. 10 სიკუდილდ E.  
1 რაჟამს C. 2 ასეა. 3 ჯერ დაუწერია „ვიტყოდით“, მაგრამ შემდეგ „ე“ წაუშლია.  
4 მამამან—C.

DF

C

რომელმან დაითმინოს, იგი სრულიად ცხონდეს.

23. რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად. და მიერ-ლა || თუ გდევნიდენ თქუენ, ივლტოდეთ სხუად კერძო. ამენ გეტყვ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჲლისაჲ, ვიდრემდის ძმ კაცისაჲ მოვიდეს.

24. არა არს მოწაფე<sup>1</sup> უფროჲს მოძღურისა თვისისა, არცა მონაჲ უფროჲს უფლისა თვისისა.

25. კმა არს მოწფისა მის<sup>2</sup>, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თვისი, და მონაჲ იგი<sup>3</sup>, ვითარცა უფალი თვისი. უკუეთუ სახლისა უფალსა ბერზებულით ჰხადოდეს<sup>4</sup>, რაოდენ<sup>5</sup> უფროჲს სახლეულთა მისთა?

26. ნუ უკუე გეშინინ მათა, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გა-მოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ<sup>6</sup>, რომელი არა გამოცხადნეს.

27. რომელი რაჲ გრქუან თქუენ<sup>7</sup> ბნელსა შინა, თქუენ თქუთ<sup>8</sup> ნათელსა შინა, და რომელი ყურთა<sup>9</sup> გესმეს თქუენ, ქადაგეთ ერდოთა<sup>9</sup> ზედა.

28. და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდენენ ჯორცნი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ ჯელ-ეწიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჯორცთა წარწყმედად გეჭენიასა შინა.

29. ანუ არა ორი სირი ერთის დანგის განიყიდების? და ერთიცა მათგანი არა დაეარდების ქუეყანასა ზედა თუნიერ მამისა თქუენისა.

30. ხოლო თქუენი თავისა თმანიცა<sup>10</sup> ყოველნი განრაცხილ არიან.

რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.

23. ხოლო რაჟამს გდევნიდენ თქუენ ქალაქსა ამას შინა, მიივლტოდეთ სხუად. უკუეთუ<sup>1</sup> მიერცა გდევნიდენ თქუენ, წარივლტოდეთ მიერ მერმესა. მართლიად გეტყვ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჲლისაჲ მოსლვამდე ძისა კაცისაჲსა.

24. არა არს მოწაფე<sup>1</sup> უფროჲს მოძღურისა თვისისა, არცა-ლა მონაჲ უფროჲს უფლისა თვისისა.

25. კმა არს მოწაფისა, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თვისი, და მონაჲ იგი, ვითარცა უფალი თვისი. სადა მამასახლისსა ბერზებულით ხადოდეს, რადენ უფროჲს სახლეულთა მათ მისთა?

26. ნუ გეშინინ მათგან, რამეთუ არა არს დაფარულ, რომელ არა განცხადნეს, არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოჩნდეს.

27. რომელსა გეტყვ თქუენ ბნელსა შინა, თქუთ ნათელსა, და რაჟამს ყურთა გესმეს, ქადაგებდით მას ერდოებსა ზედა.

28. და ნუ გეშინინ მათგან, რომელნი იგი მოსწყუედდენ<sup>2</sup> ჯორცთა თქუენთა, ხოლო სულთა თქუენთა ვერ შემძლებელ იყვნენ მოწყუედად<sup>3</sup>. არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს, რომელსა ჯელ-ეწიფების სულთა<sup>4</sup> ჯორციითურთ წარწყმედად გეჭენიასა შიდა.

29. არა ორი სირი ერთის დანგის განიყიდის? და ერთი მათგანი არა დაეარდის ქუეყანასა ზედა თუნიერ მამისა თქუენისა.

30. ხოლო თქუენი თავისა თმანიცა ყოველნი აღრაცხილ არიან.

1 მოწაფე D. 2 მოწაფისაჲ მის D. 3 და მონაჲ, თუ იგი იყოს F. 4 ხადოდეს D. 5 რადენ D. 6 საიდუმლოჲ D. 7 თქუენი — D. 8 თქუთ E. 9 ერდოსა D. 10 თავისცა თმანი D.

1 უკუეთუ C. 2 მოსწყუედდენ C. 3 მოწყუედად C. 4 სულთა C.

DF:

C

31. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ<sup>1</sup>.

32. ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო<sup>2</sup> წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო<sup>3</sup> იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა.

33. და რომელმან უვარ-ყყო მე წინაშე კაცთა, უვარ-ყყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა<sup>4</sup>.

34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ || მოვედ მიფენად მშუღობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშუღობისა, არამედ მახვლისა.

35. რამეთუ მოვედ განყოფად კაცი<sup>5</sup> მამისაგან თვისისა და ასული დედისაგან თვისისა და ძის ცოლი დედამთილისაგან თვისისა.

36. და იყენენ მტერ მამისახლისისა სახლეულნი თჳსნი.

37. რამეთუ<sup>6</sup> რომელსა უყუარდეს მამა თჳსი ანუ დედა თჳსი ჩემსა უფროჲს, იგი არა არს ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძმ თჳსი გინა ასული თჳსი<sup>7</sup> ჩემსა უფროჲს, იგი არა არს ჩემდა ღირს.

38. და რომელმან არა აღილოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.

39. რომელმან მოიპოვოს<sup>8</sup> თავი თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოვოს<sup>9</sup> იგი.

40. რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მან მე შემეწყნაროს<sup>10</sup>; და რომელმან მე შემიწყნაროს, | შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

41. რომელმან შეიწყნაროს წინაწარ-

31. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ.

32. ყოველმან რომელმან ამიაროს<sup>1</sup> მე წინაშე კაცთა, აღვიარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა.

33. ხოლო რომელმან უვარ-ყყო მე წინაშე კაცთა, უვარ-ყყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა.

34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოყედ მე მიფენად მშუღობისა<sup>2</sup> ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშუღობისა<sup>2</sup>, არამედ მახვლისა.

35. რამეთუ მოსრულ ვარ განყოფად კაცისა მამისა თვისისაგან და ასულისა დედისა თვისისაგან და ძის ცოლისა დედამთილისაგან.

36. და იყენენ<sup>3</sup> მტერ კაცისა სახლეულნი თჳსნი.

37. რომელსა უყუარდეს მამა თჳსი გინა თუ დედა თჳსი ჩემსა უფროჲს, იგი არა არს ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე თჳსი გინა თუ ასული თჳსი ჩემსა უფროჲს, იგი არა არს ჩემდა ღირს.

38. და რომელმან არა აღილოს ჯუარი თჳსი და არა შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.

39. რომელმან პოოს თავი თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.

40. რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემეწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

41. რომელმან შეიწყნაროს წინარამე-

1 თქუენ]—D. 2 აღვიაროს ჩემდა მომართ D (E-შიც პირველად „აღვიაროს“ დაუწერიათ მაგრამ შემდეგ გადაუსწორებიათ: „აღვიაროს“). 3 აღვარო D. 4 ზეცათაჲსა D. 5 კაცისა E. 6 რამეთუ]—D. 7 თჳსი]—D. 8 მოიპოვოს D. 9 პოოს D. 10 შემეწყნაროს D.

1 ასეა. 2 მშუღობისა C. 3 იყენენ C.

DE

მეტყუელი<sup>1</sup> სახელად წინაწარმეტყუელი<sup>2</sup> სისაყიდელი<sup>3</sup> წინაწარმეტყუელისაჲ მიიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ<sup>4</sup> მიიღოს.

42. და რომელმან ასუას ერთსა ამას მცირეთაგანსა სასუმელი ერთი<sup>5</sup> წყალი გრილი სახელად მოწფისა, ამენ გეტყვ თქუნენ, არა წარუწყმდეს<sup>6</sup> სასყიდელი მისი.

C

ტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისაჲ მოიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ მიიღოს.

42. და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელ ერთ წყალი გრილი სახელად მოწფისა, მართლიად გეტყვ თქუნენ, არავე წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

## 11

1. და იყო რაჲმას დაასრულნა იესუ ბრძანებანი. ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა თჳსთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა.

2. ხოლო იოვანეს რაჲ ესმენს საპყრობილესა შინა საქმენი იესუსანი<sup>7</sup>, მიაგლინნა მისა ორნი მოწაფენი მისნი

3. და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი ანუ სხუასა მოველოდით?

4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ იოვანეს რომელი გესმის<sup>8</sup> || და ჰხედავთ<sup>9</sup>:

5. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი<sup>10</sup> აღდგებიან, და გალახაკთა ხარებულ არს.

6. და ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს<sup>11</sup> ჩემდა მომართ.

7. და ვითარცა ესენი წარვიდეს, იწყო იესუ სიტყუად ერსა მას იოვანესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოსა ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყუელისა?

8. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩვლითა სამოსლითა შემო-

1. და იყო რაჲმას დაასრულა იესუ ბრძანებაჲ ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა თჳსთა, წარიძრა მიერ სწავლად და ქადაგებად ქალაქებსა მათსა.

2. ხოლო იოჰანეს ესმა საპყრობილეს შინა საქმენი<sup>1</sup> იგი ქრისტესნი, მიაგლინნა მოწაფენი მისნი

3. და ჰრქუა მას: შენ ხარა მომავალი იგი ანუ სხუასა მოველოდით?

4. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მივედით<sup>2</sup> და უთხართ იოჰანეს რომელი გესმის და ხედავთ:

5. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, განბოკლებულნი განწმინდებიან, და ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან, და ქირვეულთა ეხარების.

6. და ნეტარ არს, რომელი არა სცთეს ჩემდა მომართ.

7. ხოლო ესენი რაჲ წარვიდეს, იწყო იესუ სიტყუად<sup>3</sup> იოჰანესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან როორინებულისა?

8. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩვლითა სამოსლითა შემო-

1 წყნტყლი D. 2 წაწმინტყლისა D. 3 სასყიდელი D. 4 მართლისა D. 5 სასუმელი ერთ E. 6 არავე წარუწყმდეს D. 7 იესუსნი (იჯანი) D. 8 გესმა D. 9 ხედავთ D. 10 და მკუდარნი D. 11 დაბრკოლდეს E.

1 „ესმა... საქმენი“ სინტაქსურად გაუმართავია. 2 შუა მარცვლი („ვე“) თითქო წაშლილიათ. 3 სიტყუად C.

DE

C

სილისა? <sup>1</sup> რამეთუ <sup>2</sup> აჰა ესერა რომელნი სამოსლითა ჩჴლითა მოსილ არიან, სახლთა შინა სამეუფოთა არიან.

9. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყვ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა.

10. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა ესერა მე <sup>3</sup> წარაველინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, \*რო-ნელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა. |

11. ამენ გეტყვ თქუენ: არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროჲს <sup>4</sup> იოვანე ნათლის-მცემელისა <sup>5</sup>; ხოლო უმცირესი იგი სასუფეველსა ცათისა უფროჲს მისა <sup>6</sup> არს.

12. რამეთუ დღითგან იოვანე <sup>7</sup> ნათლის-მცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაჲ იიძულეების <sup>8</sup>, და რომელნი იძულებდენ, მათ შოიტაცონ იგი. მიიტაცებენ მას.

13. რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და შჯული ვიდრე იოვანესამდე წინაწარმეტყუელებდეს.

14. და <sup>9</sup> უკეთეს გნებავს შეწყნარების <sup>10</sup>, იგი არს ელია, რომელი მოსლვად არს.

15. რომელსა ასხენ ყურნი სმენად <sup>11</sup>, ისმინენ!

16. აწ ვის ვამსგავსო <sup>12</sup> ნათესაჲი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა ზედა და მოუწოდედ <sup>13</sup> მოყუასთა თჳსთა

17. და ეტყუედ <sup>14</sup> მათ: გისტჴნევედით თქუენ, და არა ჰროკევედით; გიგოდებდით, და არა ეტყუებდით.

18. რამეთუ მოვიდა იოვანე ნათლის-

მკულისა? აჰა ესერა რომელნი ჩჴლითა მოსილ არიან, სახლთა შინა მეუფეთასა არიან.

9. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე<sup>1</sup>, გეტყუ თქუენ, და უფროჲს-ლა წინაწარმეტყუელისა.

10. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს იგი წერილ არს: აჰა წარველინებ ანგელოზნა ჩემსა წინაშე პირსა შენსა, და განმზადოს გზაჲ შენი წინაშე პირსა შენსა.

11. მართლიად <sup>2</sup> გეტყვ თქუენ: აოა აღდგომილ არს შობილი დედათაგანი უფროჲს იოჰანესა ნათლის-მცემელისა; ხოლო უმცირესი ჰიგი სასუფეველსა მას შინა ცათისა უფროჲს მისა არს.

12. და დღეთა მათგან იოჰანეს ნათლის-მცემელისათა მოაქამდე სასუფეველი ცათაჲ იიძულეების <sup>3</sup>, და მძლავრნი მიიტაცებენ მას.

13. რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და შჯული <sup>4</sup> იოჰანესამდე წინაწარმეტყუელებდეს.

14. და თუ გნებავს შეწყნარებად, ეგეთავადი არს ელია <sup>5</sup>, რომელ-იგი მოსლვად არს.

15. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

16. რას-ჲ ვამსგავსო ნათესაჲი ესე? მსგავს არს იგი ყრმათა, მსხდომარეთა შორის უბნებსა, რომელთა მოხადიან მოყუასთა მათთა

17. და ჰრქჳან <sup>6</sup>: გისტჴნევედით, და არა ჰროკევედით; გიგოდებდით თქუენ, და არა ეტყუებდით.

18. რამეთუ მოვიდა იოჰანე <sup>7</sup>, არცა

1 შემოსილითა D. 2 რამეთუ—D. 3 მე—D. 4 უროჲს D. 5 ნათლის-მცემელისა D. 6 მისსა D. 7 იონე D. 8 იძულეების DE. 9 და— D. 10 შეწყნარებად E. 11 სმენან E. 12 ვამსგავსო D. 13 მოუწოდედ D. 14 ეტყუედ D.

26. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებაჲ ჰურისაჲ შეილთაგან და დადებად ძაღლთა.

27. ხოლო მან ჰრქუა: ჰე, უფალო, და რამეთუ ძაღლიცა ჰამედ ნაბიჭსა, გარდამონაცვინებაჲ<sup>3</sup> ტაბლისაგან უფალოთა მათთაჲსა.

28. მაშინ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჰ დედაკაო! დიდ არს სარწმუნოებაჲ შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებაეს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ეამითაგან.

29. და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა ზღვს<sup>4</sup> კიდესა მას გალილეაჲსასა, აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ.

30. და მოუტდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყევანდა მათ თანა მკელობრები. და ბრმები, ყრუნი და ქუეწარმძრომელნი და სხუანი მრავალნი თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი, და დასხნეს იგი<sup>5</sup> ფერკთა თანა იესუსთა, და განკურნნა იგინი,

31. ვიდრე უკვრდაცა<sup>6</sup> ერსა მას, ჰხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი და უტყუენი იტყოდეს, და მკელობელნი ვი-

1 ძეო D\*. 2 არა DE. 3 მიუ D. 4 შეგვდგს D\*. 5 დადებად E. 6 ჰ D\*. 7 სარწმუნოებაჲ E. 8 კედლა D. 9 ასეა. 10 ქუეწარმძრომელნი D. 11 იესუსთა (იქსთა) D. 12 ხედვიდეს D.

1 არაა C. 2 შეგვდგს C. 3 გარდამონაცვინებაჲ C. 4 ზღვს C. 5 დასხნეს იგი ასეა. 6 უკვრდაცა C.

DE

C

დოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს და აღიდებდეს ლმერთსა.

32. ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: მეწყალის მე<sup>1</sup> ერი ესე, რამეთუ ესერა აწ სამი დღე<sup>2</sup> არს, და მელიან მე, და არარაა აქუს<sup>3</sup>, რადმცა ჰამეს; და განტევებამ მათი უზმათაჲ არა მინებავს, ნუუკუე დაცვენ გზასა ზედა.

33. ჰრქუეს მას მოწაფეთა მათ: ვინაჲ ჩუენდა უდაბნოსა ზედა პური ესოდენი, ვითარმცა განძღა ერი ესოდენი?

34. ჰრქუა მათ იესუ: რაოდენი პური გაქუს აქა? ხოლო მათ ჰრქუეს: შვიდი || პური და მცირედ თევზი.

35. და უბრძანა ერსა მას დასხდომამ ქუეყანასა ზედა.

36. და მოიღო შვიდი იგი პური და თევზი, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა, და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას.

37. ჰამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შვიდი სფურიდი საეს<sup>4</sup>.

38. ხოლო რომელთა ჰამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი<sup>5</sup> ხოლო, თჳნიერ ყრმებისა და ღედებისა.

39. და განუტევა ერი იგი და აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალასათა.

დეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს და აღიდებდეს ლმერთსა ისრაჲლისასა.

32. ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: მეწყალის ერი ესე, რამეთუ აწ ესერა სამი დღე არს, ვინაჲთგან მელიან მე და არაა აქუს<sup>1</sup>, რადმცა ჰამეს; და განტევებამ მათი უზმათაჲ არა მინებს, ნუუკუე დაცვენ გზასა ზედა.

33. ხოლო მოწაფეთა მისთა ჰრქუეს მას: ვინაჲ არს ჩუენდა უდაბნოსა ესოდენი პური, ვინაჲმცა განვაძღეთ ერი ესოდენი?

34. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: რაოდენი პური გაქუს<sup>2</sup> აქა? ხოლო მათ ჰრქუეს: შვიდი პური და მცირედ თევზი.

35. და უბრძანა ერსა მას დასხდომამ ქუეყანასა.

36. და მოიღო შვიდი<sup>3</sup> იგი პური და თევზნი და ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა, ხოლო მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას.

37. და ჰამეს ყოველთა და განძღეს; და მეტი იგი ნამუსრევი აღიღეს შვიდი<sup>4</sup> სფურიდი<sup>5</sup> საესე.

38. ხოლო რომელთა ჰამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი, თჳნიერ ყრმებისა<sup>6</sup> და ღედებისა.

39. და განუტევნა იგინი<sup>7</sup> და აღვიდა ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალასათა.

16

1. და მოუტდეს მას ფარისეველნი და საღუკეველნი, განოსციდიდეს მას და ჰკითხვიდეს, რაჲთა სასწაული ზეციით უჩუენოს მათ.

2. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა

1 მე]—E. 2 დღე D. 3 აქს E. 4 სფურიდი საესე D. 5 მამან E. 1 აქუნს C. 2 გაქუნს C. 3 შუდი C. 4 სფურიდი C. 5 ყრმებისა C. 6 იგინინი C. 7 აღვიდეს C.

1. და მოუტდეს მას ფარისეველნი და საღუკეველნი, გამოსციდიდეს, განიკითხვიდეს მას, რაჲთა სასწაული ზეციით უჩუენოს მათ.

2. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა

1 მე]—E. 2 დღე D. 3 აქს E. 4 სფურიდი საესე D. 5 მამან E. 1 აქუნს C. 2 გაქუნს C. 3 შუდი C. 4 სფურიდი C. 5 ყრმებისა C. 6 იგინინი C. 7 აღვიდეს C.

DF

მათ: შე-რამ-მწუხრდის, სთქვთ: ყულრო<sup>1</sup> იყოს, რამეთუ წითს ცაჲ.

3. და განთიად სთქვთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორ-გულნო, პირი სამე<sup>2</sup> ცისაჲ<sup>3</sup> იცით გა-მოცდად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი გერ ძალ-გიც გულისწმის-ყოფად<sup>4</sup>.

4. ნათესავი ბოროტი და მემრუშ<sup>5</sup> სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინა-წარმეტყუელისაჲ. და<sup>6</sup> დაუტევნა იგინი და წარვიდა.

5. და მოვიდეს მოწაფენი<sup>7</sup> მისნი მი-ერ წიად და დაეიწყუდა<sup>8</sup> პური მიღებად.

6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: იხილეთ და ეკრძალენით ცომისა მისგან ფარი-სეველთაჲსა და საღუკეველთაჲსა.

7. ხოლო იგინი<sup>9</sup> განიზრახვიდეს გულ-თა თჳსთა და იტყოდეს, ვითარმედ: პუ-რი არა მოვიდეთ.

8. გულისწმა-ყო<sup>10</sup> იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ<sup>11</sup> გულთა თქუენთა, მცირედ მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს?

9. არლა გიცნობიეს, არცა მოიკსენეთ ხუთთა მათ პურთაჲ და<sup>12</sup> ხუთ ათას-თაჲ<sup>13</sup> მათ?

10. არცა შვდთაჲ მათ პურთაჲ და<sup>12</sup> ოთხ ათასთაჲ<sup>13</sup> მათ, და რაოდენი<sup>14</sup> სფურიდი<sup>15</sup> აღილეთ?

11. ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ეკრძა-ლენით ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა და საღუკეველთაჲსა, რომელ არს ორ-გულეზაჲ?

12. მაშინ გულისწმა-ყვეს<sup>16</sup> მოწაფეთა მისთა, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალ-

C

მათ: შე-რამ-მწუხრდის, ჰსთქვთ: ყულ-რო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ.

3. და განთიად სთქვთ<sup>1</sup>: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორგულნო, ცისა სამე პირი იცით ცნო-ბად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ-გისხენ გულისწმის-ყოფად.

4. ნათესავი ბოროტი და მემრუშე სა-სწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა იონა წინაწარმეტყუელისაჲ. და დაუტევნა იგინი და წარვიდა.

5. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და დაეიწყუდა პურისა მოღებაჲ.

6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: იგულეთ და ეკრძალებოდეთ ცომისა მისგან ფა-რისეველთაჲსა და საღუკეველთაჲსა.

7. ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულ-თა შინა მათთა და იტყოდეს, ვითარ-მედ: პური არა გუაქუს<sup>2</sup>.

8. ვითარ გულისწმა-ყო იესუ, ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენ-თა, მცირედ მორწმუნენო, რამეთუ: პური არა გუაქუს<sup>3</sup>?

9. არლა გულისწმა-გიყოფიეს, არცა გაკსოს ხუთი იგი ტუეზაჲ ხუთ ათასთა და რაედენი გოდორი აღილეთ?

10. და არცა შვდი იგი ტუეზაჲ<sup>4</sup> ოთხ ათასთა?

11. ვითარ არა გულისწმა-ჰყავთ, რა-მეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ეკრძალენით ცომისა მისგან ფარისეველ-თაჲსა.

12. მაშინ გულისწმა-ყვეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალეზაჲ ცომისაჲ, არამედ

1 მუღროდი D. 2 სამი D. 3 ცისა D. 4 გულისწმის-ყოფად E. 5 მემრუშე D. 6 და—D (აღ-ბათ გადატანის გამო: და|უტევნა). 7 მწყლი D\*. 8 დაეიწყუდა E. 9 იგი E. 10 გულისწმა-ყო E. 11 ზრახავთ D\*. 12 და—D. 13 ათასთა D\*. 14 რაედენი E. 15 სფურიდი D\*. 16 გულისწმა-ყვეს E.

1. სთქვთ C. 2 გვაქუნს C. 3 გუაქუნს C. 4 კუეზა C.

DE

C

ვამ ცომისაგან, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთაჲსა და საღუკეველთაჲსა.

13. მო-რამე-ვიდა იესუ აღვილთა მათ კესარია ფილიპიამსათა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რამ თქჳან ჩემთჳს კაცთა, ძისა კაცისაჲ ყოფამ?

14. ხოლო მათ ჰრქუეს<sup>1</sup>: რომელთამე იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია<sup>2</sup> გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

15. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე<sup>3</sup> მე?

16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე<sup>4</sup>, ძო ღმრთისა<sup>5</sup> ცხოველისაჲ.

17. მიუგო<sup>6</sup> იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ძეო<sup>7</sup> იონაჲსო, რამეთუ ვორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან.

18. ხოლო მე გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას | კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.

19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჳსნა<sup>8</sup> ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა.

20. მაშინ ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რამეთა არავეს უთხრან, ვითარმედ იგი არს ქრისტე<sup>9</sup>.

21. მიერიოვან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ჯერ-არს მისი იერუსალმსდ აღსლვაჲ და ფრიად ენებაჲ მღდელთ მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა და მწიგნობართა, მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

მოძღურებისაგან ფარისეველთაჲსა და საღუკეველთაჲსა.

13. და მოვიდა იესუ კესარიად კერძო ფილიპსსა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რამ მრქჳან<sup>1</sup> მე კაცთა, ვითარმედ: ვინ ვარ მე, ძე კაცისაჲ?

14. ხოლო მათ თქუეს: რომელთამე თქჳან<sup>2</sup> იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია<sup>3</sup> და რომელთამე იერემია ანუ ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

15. მან ჰრქუა მათ: თქუენ რამ სთქვთ<sup>4</sup>, ვითარმედ ვინ ვარ მე?

16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა<sup>5</sup> ცხოველისაჲ.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ძეო იონაჲსო, რამეთუ ვორცთა<sup>6</sup> და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა.

18. და მეცა გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და მაგას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.

19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს ცათა შინა; და რომელი განჰჳსნა<sup>8</sup> ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა.

20. მაშინ ამცნო მოწაფეთა, რამეთა არავეს უთხრან, რამეთუ იგი არს იესუ ქრისტე<sup>7</sup>.

21. მიერიოვან იწყო იესუ ჩუენებად<sup>9</sup> მოწაფეთა თჳსთა, რამეთუ: მისლვად (იყო) იერუსალმსდ<sup>9</sup> და ფრიად ენებად იყო მღდელთ მოძღუართაგან<sup>10</sup> და მოხუცებულთაგან და მწიგნობართაგან, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

1 ჰრქუეს|—E. 2 იერემია D. 3 გგონია D. 4 ქრისტე DE. 5 ღმრთისა D. 6 მიუ D. 7 ძო D. 8 განჳსნა D.

1 მრქჳან C. 2 თქუენ C. 3 ელია C. 4 თქვთ C. 5 ღმრთისა C. 6 ვოცთა C. 7 ჰო C. 8 ჩუენენებად C. 9 იმღმდ C. 10 მოძღურთაგან C.

DE

C

22. და მოუვდა<sup>1</sup> მას პეტრე და იწყობრალლობად მისა და ჰრქუა: შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.

23. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, || რამეთუ არა ჰზრახავ<sup>2</sup> ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

24. მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთათჳსთა: რომელსა უნდეს ჩემდა შემოდგომად და მოსლვად, უვარყავნ თავი თჳსი და<sup>3</sup> აღილენ ჯუარაი თჳსი და შემომიდეგინ მე.

25. უკუეთუ ვისმე უნდეს თავი თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, ამან პოვოს<sup>4</sup> იგი.

26. რამე სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რამ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?

27. რამეთუ მოსლვად არს ძჲ კაცისა დიდებითა მამისა თჳსისადათა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

28. ამენ გეტყჳ თქუენ: არიან ვინმე აქა ჰდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე<sup>5</sup> იხილონ ძჲ კაცისაჲ მომავალი სუფევითა თჳსითა.

22. და მოუვდა მას პეტრე, იწყობრალლობად და თქუა: ლხინებამცა არს შენდა, უფალო, და ნუმცა იყოფინ<sup>1</sup>.

23. მიექცა პეტრეს და ჰრქუა: მართლუკუნ იქეც ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ დამბარკოლებელ ხარ შენ ჩემდა, რამეთუ არა ზრანავ<sup>2</sup> შენ ღმრთისასა<sup>3</sup>, არამედ კაცთასა.

24. მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთათჳსთა: რომელსა ჰნებავს კუალსა ჩემსა შედგომად, უვარყავნ თავი თჳსი, აღილენ ჯუარაი<sup>3</sup> თჳსი და შემომიდეგინ მე.

25. რამეთუ რომელსა უნდეს თავისა თჳსისა ცხორებდა, მან წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.

26. რამე სარგებელ ეყოს კაცსა, სოფელი თუ შეიძინოს და სული თჳსი<sup>4</sup> წარიწყმიდოს? ანუ რამე მისცეს კაცმან საქსარად სულისა თჳსისათჳს?

27. რამეთუ ძჲ კაცისაჲ მოსლვად არს დიდებითა მამისადათა ანგელოზთა თანა მისთა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

28. მართლიად გეტყჳ თქუენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევასა თჳსსა.

## 17

1. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა<sup>7</sup> იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმად მისი, და აღიყვანნა იგინი მათასა მალალსა თჳსაგან.

2. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და გამობრწყინდა პირი მისი, ვი-

1. და შემდგომად მეექუსისა დღისა წარიყვანა იესუ პეტრე, იაკობ და იოვანე, ძმად მისი, და აღიყვანნა იგინი მათასა მალალსა მარტოლ.

2. და იცვალა წინაშე მათსა, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზჲ, და

1 მოუვდა D. 2 ზრახავ D. 3 და—D. 4 პოოს D. 5 სიკუდილისა D. 6 ვიდრე (ვ'ე) D. 7 წარიყვანა D.

1 იყოფის C. 2 ღმრთისა C 3 ჯუა C. 4 თჳსი C.

DE

თარცა მზს. ხოლო სამოსელი მისი სპეტაკი იყო, ვითარცა თოვლი.

3. და ეჩუენნეს მათ მოსე<sup>1</sup> და ელია, თანა-ზრახვიდეს მას.

4. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა<sup>2</sup> ყოფიად. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიადსა<sup>3</sup>.

5. და ვიღრე იგი ამას იტყოდა<sup>4</sup> ოდენ, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ, და ჯმად იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძს ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ<sup>5</sup>; მაგისი ისმინეთ.

6. ესმა რაჲ ესე მოწაფეთა, დავარდეს [პირსა ზედა მათსა და შეეშინა ფრიად. ||

7. მოუჭდა მათ იესუ, შეახო კელი და ჰრქუა: აღდეგით, ნუ გეშინინ!

8. და აღიხილნეს თუალნი მათნი და არავინ იხილეს, გარნა თავადი იესუ ხოლო.

9. და გარდამო-რაჲ-ვიდეს იგინი მიერ მითთ, ამცნებდა მათ იესუ და ჰრქუა: ნუეის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძს კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

10. და ჰკითხვიდეს მას მოწაფენი თჳსნი და ეტყოდეს: ვითარ იტყჳან მწიგნობარნი იგი, ვითარმედ: ელიადსი ჯერ არს პირველად მოსლვად?

11. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს და კჳალად აგოს<sup>6</sup> ყოველი.

12. ხოლო გეტყჳ თქუენ: ელია აწვე მოვიდა და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რაოდენი უნდა. ეგრეცა ჯერ არს ძისა კაცისაჲ ვნებად მათგან.

C

სამოსელი მისი იქმნა სპეტაკი, ვითარცა ნათელი.

3. და მუნქუეს ეჩუენნეს მათ მოსე და ელია და ეტყოდეს მას.

4. მიუგო პეტრე იესუს და ჰრქუა: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფიად. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: შენდა<sup>1</sup> ერთი და მოსესა ერთი და ელიადსა ერთი.

5. და ვიღრე იგი ამას იტყოდა-ლა, აჰა ღრუბელმან ნათლისამან დააგრილა მათ, და მუნქუესვე<sup>2</sup> ჯმად იყო ღრუბლით<sup>3</sup> განო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მთნავს<sup>4</sup> მე; ისმინეთ მაგისი.

6. და ვითარ ესმა მოწაფეთა, დავარდეს [რ]დეს პირსა ზედა მათსა და შეეშინა ფრიად.

7. და მოუჭდა მათ იესუ, კელი შეახო და ჰრქუა: აღდეგით, ნუ გეშინინ!

8. და ვითარ აღიხილნეს თუალნი მათნი, არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მარტოჲ.

9. და ვითარ გარდამოვიდოდეს იგინი მიერ მითთ, ამცნო მათ იესუ და ჰრქუა: ნუეის უთხრობთ ხილვასა მას, ვიდრემდის ძს კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

10. და ჰკითხვიდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს: რაჲ-მე უყუე<sup>1</sup> მწიგნობართა თქჳან<sup>2</sup>, ვითარმედ: ელია-ლა პირველად მოსლვად არს?

11. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ელია მოსლვად არს და აღგიდ-აგოს ყოველი.

12. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია მოვიდა და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რაოდენიცა უნდა. ეგრეცა ძე კაცისაჲ ვნებად არს მათგან.

1 მოსე E. 2 ჩუენდა აქა D („ა“ აკლია აღბათ მომდევნო სიტყვის თავკიდურის გამო).

3 ელიას D. 4 ეტყოდა D. 5 რომელი მე სათნო-ვიყავ—E. 6 მოაგოს E.

1 შენდაჲ C. 2 მუნქუესვე C. 3 ღრო[ი]ბლით C. 4 უყვე C. 5 თქჳან C.



DE

C

13. მაშინ გულისწმა-ყვეს<sup>1</sup> მოწაფეთა შისთა, რამეთუ იოვანესთჳს ნათლის-მცემელისა ჰრქუა მათ.

14. და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუტდა მას კაცი ერთი, მუტლნი დაიდვნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა:

15. უფალო, შეიწყალე ძმ ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემეზბის, რამეთუ მრავალ გზის შთაეარდის იგი ცეცხლსა და მრავალ გზის წყალსა.

16. და მოვკვარე იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჰნათესავი ურწმუნოდ და გულარძნილი<sup>2</sup>, ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო, ვიდრემდის თავს-ვიდედბდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!

18. და მოვკვარეს, და შეჰრისხნა მას იესუ, და განვიდა მისგან ეშმაკი იგი. და განიკურნა ყრზაჲ იგი მიერ ჟამითგან.

19. მაშინ მოუტდეს მოწაფენი იესუს თჳსაგან და ჰრქუეს: რამსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განკურნებად მას?

20. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მცირედ მორწმუნეობითა თქუენითა. ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოვებაჲ, ვითარცა მარკულაი მდოგჳსაჲ, || ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაჲ შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ.

21.

22. და ვითარ იქცეოდეს<sup>3</sup> იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ჯერ-არს ძმ კაცისაჲ მიცემად ჳელთა კაცთასა,

23. და მოკლან იგი, და მესამესა დღე-

13. მაშინ გულისწმა-ყვეს მოწაფეთა, რამეთუ იოვანესთჳს ნათლის-მცემელისა ჰრქუა მათ.

14. და ვითარ მოვიდეს ერსა მას თანა, მო-ვინმე-უტდა მას კაცი, მუტლნი დაიდვნა და ეტყოდა:

15. უფალო, შეიწყალე ძმ<sup>1</sup> ჩემი, რამეთუ ახლის პიროვან არს და ძრძრად იგუემეზბის<sup>2</sup>, რამეთუ მრავალ გზის შთაეარდის ცეცხლსა და მრავალ გზის წყალსა.

16. და მოვართუ იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჰნათესავო<sup>3</sup> ურწმუნოო და გულარძნილო, ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო, ვიდრემდის თავს-ვიდედბდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!

18. და შეჰრისხნა მას იესუ, და განვიდა მისგან ეშმაკი იგი, და განიკურნა წული იგი მიერ ჟამითგან.

19. მაშინ მოუტდეს მოწაფენი იესუს თჳსაგან და ჰრქუეს მას: ჩუენ რად ვერ უძლეთ განჯდად მისა?

20. ხოლო მან ჰრქუა მათ: მცირედ მორწმუნეობისა თქუენისათჳს. რამეთუ მართლიად გეტყუ თქუენ: გაქუნდეს თუ სარწმუნოვებაჲ მდოგჳს<sup>4</sup> მარკულა ოდენ, ჰრქუათ მთასა ამას: იცვალე ამიერ, და მუნ იცვალოს, და არა იყოს უძლურება თქუენდა.

21.

22. და ვიდრე იქცეოდეს იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესუ: მიცემად არს ძე კაცისაჲ ჳელთა კაცთასა,

23. და მოკლან იგი, და მესამესა დღე-

1 გულისწმა-ყვეს E. 2 გულარძნილი D. 3 იქცეოდეს D.

1 ძმ C. 2 იგუემეზბის C. 3 ნათესავო C. 4 მდოგჳს C.

DF

C

სა აღდგეს. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიალ.

24. და ვითარ მოვიდეს იგინი კათარნაუმდ<sup>1</sup>, მოუტდეს მათ\* რომელნი-იგი ხარკსა შეჰკარებდეს და ჰრქუეს] პეტრეს: [მოძლუარმან] თქუენმან [არა მოგუცი]სა ხარკი?

25. [ხოლო მან ჰრქუა: ჰე<sup>2</sup>]. და ვითარცა შევიდეს ი[გინი სახილ], უსწრო იესუ და [ჰრქუა პეტრეს]: რასა ჰგონებ შენ, სი[მონ]: მეფენი ქუეყანისანი ვიეთ-გან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა მათ-სა: შეილთაგან ანუ უცხოთაგან?

26. ჰრქუა პეტრე: უცხოთაგან. და ჰრქუა მას იესუ: აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შეილნი.

27. ხოლო რაათა არა დაეაბრკოლნეთ<sup>3</sup> იგინი, წარვედ ზღუად | და შთააგდე სამკედლური, და რომელ პირველად აღმოჰკდეს თევზი, მოიღე და აღლუე პირი მისი და ჰპოო მას შინა სასწორი<sup>4</sup>, მოიღე იგი და მიეც მათ ჩემთვის და შენთვის.

სა აღდგომად<sup>1</sup>. და შეზრუნდეს იგინი ფრიალ.

24. და რაემს მოვიდეს იგინი კათარნაომდ, მოუტდეს პეტრეს რომელნი-იგი დიდრავმასა მოჰკდიდეს და ჰრქუეს მას: მოძლუარმან თქუენმან არა გამოსცის ხარკი ღრამისაჲ?

25. და მან ჰრქუა მათ: ჰე<sup>2</sup>. და ვითარ შევიდა იგი სახილ, ასწრო მათ იესუ და ჰრქუა: რასა ჰგონებ შენ, სიმონ, მეუფეთა ქუეყანისათა რომელთა<sup>3</sup> გამოიღიან ხარკი ანუ თუ ზუერი: შეილთაგან ანუ უცხოთაგან?

26. ჰრქუა მას: უცხოთაგან. ჰრქუა მას იესუ: აწ უკუე აზნაურ არიან შეილნი იგი.

27. არამედ რაათა არა დააბრკოლნეთ იგინი, მივედ ზღუასა და შთააგდე სამკედლური და რ[ომელი]<sup>4</sup> პირველად აღმოჰკდეს თევზი, მოიღე და აღლუე პირი მისი და ჰპოო მას შინა სასწორი, მოიღე იგი და მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ.

18

1. მაშინ მოუტდეს იესუს მოწაფენი თუნნი და ეტყოდეს: ვინ-მე უფროას [იყ]ოს სასუფეველსა ცათასა?

2. და მოუწოდა იესუ ყრმასა და აღდგინა იგი შორის მათსა

3. და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა მოიქცეთ (და)<sup>5</sup> იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა.

4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს

1. მას დღესა შინა მოუტდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს: ვინ-მე უფროას არს სასუფეველსა ცათასა?

2. და მოუწოდა იესუ ყრმასა და აღდგინა მათ შორის

3. [და ჰრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუენ: არა თუ იქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა.

4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს

1 კათარნაომდ E. \* აქედან მოყოლებული ტექსტი დაზიანებულია E-ში ერთი ფურცლის ფარგალში (ფ. E 40, მათ. 17,22—18,10). ამ ნაწილში ტექსტი გამართულია D-ს მიხედვით, E-ს დაკლებული სიტყვები და ასოები კაეებშია ჩასმული. 2 ჰმ D. 3 დავაბრკოლნეთ E. 4 სასწური D. 5 და]—DE.

1 აღდგომადა C. 2 ჰმ C. 3 მოსალოდნედი იყო: რომელთაგან. 4 რ[ლი] C.

DE

C

თავი [თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა.

5. და რომელმან შეიწყნაროს ყრმაჲ ერთი ესრე სახელ სახელითა ჩემითა, მან მე შემიწყნაროს.

6. ხოლო რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა დამოთუ-იკიდოს<sup>1</sup> ფქვილი ერთი ვირით საფქველი ქედსა და || დაინთქას იგი უფსკრულთა ზღუსათა.

7. ვაჲ სოფელსა საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადთა მომავალ არს საცთური მათ [ზედა; ხოლო ვაჲ მის კაცისაჲ, რომლისაგან მოვიდეს სა[ცთური] იგი.

8. [უკუეთუ] კელი შენი [ანუ ფერკი შენი გაც[თუ]ნებდეს შენ, მოიკუთუთ იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა შესლვად ცხოვრებასა მკელობელისაჲ<sup>2</sup> გინა უწელოჲსაჲ<sup>3</sup>, ვიდრე ორნი კელი და ორნი ფერკნი თუ გეხსნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა.

9. და თუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხოვრებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა<sup>4</sup> და შთავრდომად გეჰენიასა.

10. ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი [მცირე]თა<sup>5</sup> ამათგანი. გეტყჳ თქუნენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ცათა შინა ჰხედვენ<sup>7</sup> პირსა<sup>8</sup> მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა.

11.

12. ვითარ ჰგონებთ თქუნენ: კაცსა

თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, ესე არს უდიდეს სასუფეველსა ცათასა.

5. და რომელმან შეიწყნაროს ყრმაჲ ერთი ესევეთარი სახელად ჩემდა, მე შემიწყნაროს.

6. ხოლო რომელმან აცთუნოს ამათ მცირეთაგანი ერთი, რომელთა ვჰრწამ მე, უმჯობე არს მისა დამო-თუმცა-ეკი-და მას ფქვლი ვირით საფქველი ყელსა მისსა და შთა-მცა-ვარდა უფსკრულთა ზღუსათა<sup>1</sup>.

7. ვაჲ ამის სოფლისა საცთურთაგან, რამეთუ მოსლვად არს საცთუ[რი]; ხოლო ვაჲ შინ კაცისა[ჲ], რომლისაგან მოვიდეს საცთური[ი] იგი.

8. უკუეთუ კელი შენი გინა თუ ფერკი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუთუთ<sup>2</sup> და განაგდე იგ[ი] შენგან: უმჯობე არს შენდა შესლვად ცხოვრებასა მკელ[ო]ბელისაჲ ანუ უწელოჲსაჲ, ვიდრე არა ორთა კელთა ანუ ორთა ფერკთა დგმასა და შთავრდომად ცეცხლსა საუკუნესა.

9. [და] თუ თუალი<sup>3</sup> შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიკადე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხოვრებასა, ვიდრე-და არა ორთა თუალთა სხმასა და შთავრდომად გეჰენიასა ცეცხლისასა.

10. ხ<sup>4</sup> ეკრძალენით, ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ერთსა კნინაკთა<sup>5</sup> ამათგანსა. გეტყჳ თქუნენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა<sup>4</sup> მარადის ხედვენ<sup>7</sup> პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა<sup>8</sup>.

11. რამეთუ მოვიდა ძმ<sup>6</sup> კაცისაჲ ცხოვრებად წარწყმედულისა.

12. რასა ჰგონებთ თქუნენ: იყოს თუ

1 მო-თუ-იკიდოს E. 2 მკელობრძოსაჲ D\* („ი“ ზემოდან არის ჩამატებული). 3 გინა უწელოჲსაჲ—E. 4 თუალთუას|სხმასა E. 5 შეურაცხ-ყოთ D. 6 მცირეთა] მცნებათა D\*. 7 ხედვენ D. 8 პირს D\*.

1 ზღუსათა C. 2 მოიკუთუთ C. 3 თჳალი C. 5 ცა შინა C.

DE

C

თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შეს-  
ცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა  
ოთხმეოც და ათცხრამეტნი<sup>1</sup> იგი მთა-  
თა<sup>2</sup> შინა და წარვიდეს და მოიძიოს  
შეტომილი იგი?

13. და რაჟამს პოვოს<sup>3</sup> შეტომი-  
ლი<sup>4</sup> იგი, ამენ გეტყვ თქუნენ: უფროსს  
უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოც  
და ათცხრამეტთა<sup>5</sup> მათ, რომელნი არა  
შეტომილ იყვნეს.

14. ესრეთ<sup>6</sup> არს ნებაჲ მამისა ჩემი-  
სა ზეცათაჲსა<sup>7</sup>, რადთა არა წარწყმდეს  
ერთი მცირეთა ამათგანი.

15. უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან  
შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს  
შენ და იგი ხოლო ორნი იყვნეთ. უკუე-  
თუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმაჲ იგი<sup>8</sup>  
შენი.

16. უკუეთუ შენი არა ისმინოს, მი-  
ყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუად,  
რადთა პირითა ორისა ანუ<sup>9</sup> სამისა მო-  
წამისადათა დამტკიცოს ყოველი სიტ-  
ყუად. ||

17. უკუეთუ მათიცა არა ისმინოს,  
უთხარ კრებულსა; უკუეთუ კრებული-  
საჲცა არავე ისმინოს, იყავნ იგი შენდა,  
ვითარცა ხარკის მომჭდელი და მეზუე-  
რც<sup>10</sup>.

18. ამენ გეტყვ თქუნენ: რომელი შე-  
ჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი  
ცათა შინა; და რომელი განჰჰსნეთ<sup>11</sup>  
ქუეყანასა ზედა, ჰსნილ იყოს იგი ცათა  
შინა.

19. მერმე გეტყვ თქუნენ: უკუეთუ<sup>12</sup>  
ორნი თქუნეთაგანნი შეითქუნენ ქუეყა-  
ნასა ზედა ყოვლისავეთჳს საქმისა, რად-  
ცა ითხოვონ<sup>13</sup>, ეყოს მათ მამისა ჩემისა-  
გან ზეცათაჲსა.

ვინმე კაცი და ედგას ასი ცხოვარი და  
შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუ-  
ტეოს ოთხმეოც და ცხრამეტნი იგი მთა-  
სა ზედა და მივიდეს და ეძიებდეს შეც-  
თომილსა მას?

13. და იყოს თუ პოვოს იგი, მართ-  
ლიად გეტყვ თქუნენ, რანეთუ უხარინ  
მას ზედა უფროსს, ვიდრე-ლა არა<sup>1</sup>  
ოთხმეოც და აცხრამეტთა მათ, რომელ-  
ნი-იგი არა შეტომილ იყვნენ.

14. ეგრე არა ნება არს მამისა ჩემისა  
ზეცათაჲსა, რადთამცა წარწყმიდა ერ-  
თი კნინაკთა ამათგანი<sup>2</sup>.

15. უკუეთუ<sup>3</sup> შეგცოდოს შენ ძმამან  
შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს<sup>4</sup>  
შენ და იგი ხოლო მარტონი იყვნეთ.  
უკუეთუ<sup>5</sup> ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ  
იგი შენი.

16. უკუეთუ<sup>6</sup> არა ისმინოს შენი, მი-  
ყვანე შენ თანა სხუად ერთი ანუ ორი,  
რადთა პირითა მოწამეთა ორთადათა  
ანუ სამთადათა დამტკიცენს ყოველი  
სიტყუად<sup>7</sup>.

17. უკუეთუ არა ისმინოს მათიცა,  
უთხარ კრებულსა; უკუეთუ კრებული-  
საჲცა არა ისმინოს, იყავნ შენდა, ვი-  
თარცა წარმართთაგანი და მეზუერც<sup>8</sup>.

18. მართლიად გეტყვ თქუნენ: რადე-  
ნი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს  
იგი ცათა შინა; და რადენი განჰსნეთ  
ქუეყანასა ზედა, ჰსნილ იყოს იგი ცათა  
შინა.

19. მერმე მართლიად გეტყუ თქუნენ:  
ორნი თუ თქუნეთაგანნი შეითქუნენ ქუე-  
ყანასა ზედა საქმისა ამის ყოვლისათჳს,  
რადცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემი-  
საგან, რომელ არს ცათა შინა.

1 ცხრამეტნი D. 2 მთასა D. 3 პოვოს D. 4 შეტომილი E. 5 ცხრამეტთა D. 6 ეს-  
რეთ D. 7 ასეა D-მ. 8 იგი-—D. 9 ანუ და D. 10 მეზუერე D. 11 განჰსნათ E. 12 უკუე D.  
13 ითხოონ D.

1 ვიდრე-ლარა C. 2 მათგანი C (ალბათ წინამავალი ხმოვნის გამო). 3 [ო]კუეთუ C.  
4 რაჟამს C. 5 უკუეთუ C. 6 [ო]კუეთუ C. 7 სიტყუად C. 8 მეზუერც C.

DE

20. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე მათ შორის.

21. მაშინ მოუტდა იესუს პეტრე და ჰრქუა: უფალო, რაოდენ გზის შემცოდოს მე ძმამან ჩემმან, და მიუტევო<sup>1</sup> მას? ვიღრე შვდ გზისამდე?

22. ჰრქუა მას იესუ: არა გეტყვ შენ ვიღრე შვდ გზისამდე<sup>2</sup>, არამედ ვიღრე<sup>3</sup> სამეოც და ათჯერ შვდ გზის.

23. ამისთვის ემსგავსა სასუფეველი ცათად | კაცსა მეუფესა, რომელმან ინება სიტყვსა განგებად მონათა თვსთათანა<sup>4</sup>.

24. და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანა-მღები ბევრისა შანთისად.

25. და ვითარცა არარად აქუნდა მას, რადმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდად ცოლისად და შეიღთა მისთად და ყოველი, რადცა აქუნდა მას, და გარდაცდად იგი.

26. და დავარდა მონად იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა და ყოველივე მიგცე<sup>5</sup> შენ.

27. შეეწყალა<sup>6</sup> უფალსა მას მონად იგი და განუტევა იგი და ყოველი თანა-ნადები იგი<sup>7</sup> მიუტევა მას.

28. და ვითარცა გამოვიდა მიერ მონად იგი, ჰოვა ერთი მოყუასი თვისი, რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც მე რადცა თანა-გაც<sup>8</sup>.

29. დავარდა<sup>9</sup> მოყუასი იგი მისი, ევედრებოდა | მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა და მიგცე შენ.

30. ხოლო მან არა ისმინა მისი, არა-

C

20. რამეთუ სადა არიან ორნი ანუ სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მე მუნ ვარ შორის მათსა.

21. [მ]აშინ მოუტდა მას პეტრე და ჰრქუა: უფალო, რაოდენ გზის შემცოდოს მე ძმამან ჩემმან, და მიუტევო მას? შვდ გზისა?

22. ჰრქუა მას იესუ: არა გეტყვ შენ ვიღრე შვდ გზისამდე, არამედ სამეოც და ათჯერ შვდ<sup>1</sup> გზის.

23. ამისთვის ემსგავსა სასუფეველი ცათად კაცსა მეფესა, რომელსა უნდა სიტყვსა აღდინებად მონათა თვსთათანა.

24. და ვითარ იწყო სიტყუად, წარმოუდგინეს მას ერთი დანა-მღები ბევრისა ქანქრისად.

25. და ვითარ არარად აქუნდა გარდაცდად, ბრძანა მისი უფალმან მან მისმან განსყიდად, ცოლისა მისისად, შეიღთადა და ყოველი, რადცა ედვა მას, და გარდაზღუად მისა.

26. დავარდა მონად იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იყავ ჩემ ზედა, და ყოველი მიგცე შენ.

27. შეეწყალა უფალსა მონად იგი და განუტევა იგი და თანა-(ნა)დები<sup>2</sup> იგი მიუტევა მას.

28. და ვითარ გამოვიდა მონად იგი, ჰოვა ერთი მოყუასთა<sup>3</sup> მისთავანი, რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც მე, რადცა-იგი თანა-გაც.

29. დავარდა მოყუასი იგ[ი] მისი და ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ მექმენ ჩუნ ზედა და მიგცე შენ.

30. ხოლო მან არა ინება, არამედ მი-

1 მიუტევო D. 2 გზისამდე E. 3 ვიღრე]—E. 4 თვს თანა D\*. 5 მიგცი D\*. 6 შეეწყა D\*. 7 ყოველი იგი თანა-ნადები E. 8 თანა-გაც D\*. 9 შეურდა J) (ალბათ ძველადაც ასე იყო: ვ.ს. აღდილი არ მოიპოვება).

1 შუდ C. 2 თანადები C. 3 მოყუასთა C.

DE

C

მედ უფროდს-ლა აურეებდა მის და შთა-  
აგლო<sup>1</sup> იგი საპყრობილესა, ვიდრემდე  
მისცეს მას თანა-ნადები იგი.

31. იხილეს რად მოყუასთა მისთა  
საქმე<sup>2</sup> ესე, ფრიად შეწუხნეს; მივიდეს  
და აუწყეს უფალსა მას მათსა ყოველი-  
ვე იგი, რადცა ყო.

32. მაშინ მოუწოდა უფალმან თვსმან  
და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოვე-  
ლივე თანა-ნადები შენი მიგიტევე შენ,  
რამეთუ მევედრებოდე შენ<sup>3</sup>;

33. არა ჯერ-იყოა შენდაცა<sup>4</sup>, რად-  
თამცა შეიწყალე მოყუასი იგი შენი, ვი-  
თარცა მე შეგიწყალე შენ?

34. და განურისხნა მას უფალი იგი  
თვისი და მისცა იგი კელთა მტანჯველ-  
თასა<sup>5</sup>, ვიდრემდის გარდაიჯადოს ყოვე-  
ლი იგი თანა-ნადები.

35. ეგრეცა მამამან ჩემმან ზეცათამან  
გიყოს თქუენ, უკუეთუ არა მიუტევენთ  
კაცად-კაცადმან მოყუასსა თვსსა ყოვე-  
ლითა გულითა თქუენითა.

ვიდა და შესუა<sup>1</sup> იგი საპყრობილესა,  
ვიდრემდის მოსცეს თანა-ნადები იგი.

31. იხილეს რად უკუე მოყუასთა<sup>2</sup> მათ  
მისთა საქმე იგი, შეზრუნდეს ფრიად;  
მოვიდეს და მიუთხრეს საქმე იგი ყოვე-  
ლივე უფალსა მათსა.

32. მოუწოდა მას უფალმან მისმან  
და ჰრქუა მას: მონაო უკეთურო, ყოვე-  
ლივე იგი თანა-ნადები მიგიტევე, რამე-  
თუ მევედრებოდე მე;

33. არა-მე ღირდა შენდაცა შეწყა-  
ლებად მოყუასისა მის შენისა, ვითარცა  
მე შენ შეგიწყალე?

34. და განრისხნა უფალი იგი მისი  
და მისცა იგი მგუემელთა<sup>3</sup>, ვიდრემდის  
მისცეს ყოველი, რადცა თანა-ედვა მას.

35. ეგრეცა მამამან ჩემმან ზეცათამან  
გიყოს თქუენ, არა თუ მიუტეგოთ კაცთა  
კაცად-კაცადმან ძმასი თვსსა გულითა  
თქუენითა.

19

1. და იყო ვითარცა დაასრულნა | იე-  
სუ სიტყუანი ესე, წარვიდა გალილეადთ  
და მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა,  
წიად იორდანესა.

2. და მისდევდა მას ერი მრავალი და  
განკურნა იგინი მუნ<sup>6</sup>.

3. მაშინ მოუტდეს მას ფარისეველნი,  
გამოსცილდეს მას და ეტყოდეს: უკუე-  
თუ ჯერ-არს კაცისა<sup>7</sup> განტევებად ცო-  
ლისა თვისისა ყოვლისათვს ბრალისა?

4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ:  
არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელ-  
მან დაჰბადნა დასაბამსა, მამაკაცად და  
დედაკაცად შექმნა იგინი? და თქუა:

1. და იყო რაჟამს წარასრულნა იესუ  
სიტყუანი ეს(ე), აღიძრა გალილეადთ  
და მოვიდა საზღვართა ჰურიასტანისა-  
თა, წიად იორდანესა.

2. მოსდ[ე]ვდა მას ერი მრავალი, და  
განკურნა იგინი მუნ.

3. და მოუტდეს მას ფარისეველნი, გა-  
მოსცილდეს მას და ეტყოდეს: ჯერ-თუ-  
არს ვისამე განტევებად ცოლისა თვისი-  
სა ყოვლითა მიზეხითა?

4. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ:  
არა აღმოგიკითხავს, რამეთუ რომელმან  
დაჰბადნა დასაბამსა, მამალად და დედა-  
ლად შექმნა იგინი? და თქუა:

1 შეაგლო E. 2 საქმე D. 3 შენ მე E. 4 შენდა D („ცა“ მერმეა სხვა მეღნით მიწერი-  
ლი). 5 მტანჯველთასა] მტარვალთასა E. 6 მუნ]—D. 7 კაცისა D.  
1 შესვა C. 2 მოყუასთა C. 3 მგუემელთა C.

DE

5. ამისთვის დაუტევოს<sup>1</sup> კაცმან მამად თვის და დედად თვის და შეეყოს იგი<sup>2</sup> ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჯორც.

6. ვითარმედ არღარა არიან ივინი ორ, არამედ ერთ ჯორც. აწ რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.

7. ჰრქუეს მას: რაჲსათვს უკუე მოსე<sup>3</sup> ამცნო წიგნი განტევებისაჲ || მიცემაღ და განტევებად?

8. მიუგო<sup>4</sup> იესუ და ჰრქუა მათ: რამეთუ მოსე<sup>5</sup> გულ-ფიცხელობისა თქუენისათვს გიბრძანა განტევებად ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო.

9. ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელმან განუტევოს<sup>6</sup> ცოლი თვისი თვნიერად სიძვისა და სხუად შეირთოს, იმრუშოს; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშოს.

10. ჰრქუეს მას მოწაფეთა თვისთა: უკუეთუ ესოდენ ბრალი არს კაცისაჲ დედაკაცისა თანა, არა შეჰვაეს ქორწინებაჲ.

11. ჰრქუა მათ იესუ: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუად ევე, არამედ რომელთად მიცემულ არს.

12. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისადთ საჭურისნი იზუნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათვს ცათაჲსა. | რომელი შემძღებელ არს დატევენად, დაიტიენ.

13. მაშინ მოჰგუარეს მას<sup>6</sup> ყრმები, რაჲთამცა კელი დასდვა მათ და აკურთხნა ივინი, ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ.

C

5, ამისთვის დაუტევოს კაცმან მამად და დედად და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე ჯორცად ერთად.

6. ამიერითგან არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჯორც. აწ უკუე<sup>1</sup> რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაყენებნ.

7. ჰრქუეს მას: ვითარ-მე უკუე მოსე<sup>2</sup> ამცნო მიცემაღ წიგნი განსატევებელი და განტევებად?

8. ჰრქუა მათ: მოსე გულ-ფიცხელობისა თქუენისათვს გიბრძანა დატევებად ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამით-გან არა ეგრე იყო.

9. ამენ გეტყუ თქუენ: ყოველმან, რომელმან დაუტევოს ცოლი თვისი თვნიერად სიძვისა და ცოლ-იყოს სხუად, მან იმრუშოს; და რომელმან დატევებული ცოლ-იყოს, იგი იმრუშებს.

10. ჰრქუეს მას მ[ო]წაფეთა მისთა: [უ]კუეთუ ესრეთ არს ბრალი კაცი[საჲ] დედაკაცისა თ[ანა], უმჯობეს არს [არა] სუმაჲ<sup>3</sup> ცოლისაჲ.

11. ხოლო მან ჰრქუა მ[ათ]: არა ყოველთა და[ი]ტიიან სიტყუა[ჲ] ესე, არამედ რომელთა მ[ი]ცემულ არს.

12. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი დედის მუცლითგან იზუნეს ეგრეთ; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა სასუფეველისათვს ცათაჲსა. რომელი შემძღებელ არს დატევენად, დაიტიენ.

13. მაშინ მოართუეს<sup>4</sup> მას ყრმები, რაჲთამცა კელი დასდვა მათ და აკურთხნა ივინი. და მოწაფეთა<sup>5</sup> მათ შეჰრისხვნეს.

1 დაუტევოს D. 2 იგი]—D. 3 მოსე E. 4 მიუგო მიუგო D. 5 განუტევოს D. 6 მათ E.

1 უკუე C. 2 მოსე C. 3 სუმა C. 4 მოართუეს C. 5 ჯერ დაუწერია „მოწაფეთა“ და შემდეგ გადაუსწორებია: „მოწაფენი“.

DE

C

14. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართად არს სასუფეველი ცათაჲ.

15. და დასდვა მათ ზედა კელი თვისი<sup>1</sup>, და ვითარცა წარვიდა მიერ,

16. აჰა მო-ვინმე-უტდა მას კაცი ერთი და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲმე კეთილი ვქმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ?

17. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მკითხავ მე კეთილისა საქმისათჳს? ერთი არს სახიერი ღმერთი, ხოლო თუ გნებავს ცხოვრებასა შესლვაჲ, დაიმარხენ მცნებანი.

18. ჰრქუა მას: რომელნი მცნებანი? ხოლო იესუ ჰრქუა მას: ესე, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არა<sup>2</sup> იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო.

19. პატვი-ეც მამასა შენსა და დე||და-სა შენსა და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

20. ჰრქუა მას ჰაბუკმან<sup>3</sup> მან: ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან; რაჲდა მაკლს მე?

21. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ ხოლო იყო, წარვედ და განყიდე ნაყოფი შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდგე მე.

22. და ვითარცა ესმა ესე ჰაბუკსა<sup>4</sup> მას, წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.

23. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთათჳსთა: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად<sup>5</sup> შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა.

24. და მერმე გეტყვ თქუენ: უადვილეს არს მანქანის<sup>6</sup> საბელი განსლვად

14. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმები ეგე და ნუ აყენებთ მოსლვად ჩემდა, რამეთუ ეგევითართად არს სასუფეველი ცათაჲ.

15. და დასდვა მათ კელი და წარვიდა მიერ.

16. და აჰა ერთი ვინმე მოუტდა მას და ჰრქუა: მოძღუარ ქველის მოქმედ, რაჲმე კეთილი ვქმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ?

17. ხოლო მან ჰრქუა მას: რასა მკითხავ მე ქველის მოქმედებისათჳს? ერთი არს ქველის მოქმედ. უკუეთუ<sup>1</sup> გნებავს ცხოვრებასა შესლვად, დაიმარხენ მცნებანი.

18. ჰრქუა მას: რომელნი? ჰრქუა მას, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არცა ცილი სწამო.

19. თავ-უყავ<sup>2</sup> მამასა შენსა და დედასა და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

20. ჰრქუა მას ჰაბუკმან მან: ყოველი ესე დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან; მერმე რაჲ-და მაკლს მე?

21. ჰრქუა მას იესუ: გნებავ(ს)<sup>3</sup> თუ, რაჲთამცა სრულ იყავ. მივედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და მოილო საფასე ცათა შინა და მოედ და შემომიდგე მე.

22. ხოლო ესმა რაჲ უკუე<sup>4</sup> ჰაბუკსა მას სიტყუაჲ ესე, წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო იგი ფასიერ ფრიად.

23. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთათჳსთა: მართლიად<sup>5</sup> გეტყვ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.

24. მერმე გეტყვ თქუენ: უადვილესა<sup>6</sup> ზომთ საბლისაჲ ვურელსა ნემსისასა გან-

1 კელი თვისი D. 2 არცა D. 3 ჰაბუკმან E. 4 ჰაბუკსა E. 5 ძნიად D. 6 მანქანის D. (უქარაგმოდ).  
1 უკუეთუ C. 2 თავუყავ C. 3 გნებავ C. 4 უკუე C. 5 მართლიად] მართლიად მართალსა C. (ოლონდ მერმე სიტყვა ნაწილობრივ ამოფხეკილია). 6 უადვილესა] ასეა [=უადვილეს ა(რს)].



DE

C

ურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესლვად<sup>1</sup> სასუფეველსა ცათასა<sup>2</sup>.

25. ვითარცა ესმა ესე მოწაფეთა მისთა, განუკრდა ფრიად და იტყოდეს: ვისმე ზელ-ეწიფების ცხორებად?

26. მიჰხედა<sup>3</sup> იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან ესე შეუძლებელ არს, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს.

27. მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, აჰა ესერა ჩუენ ყოველივე<sup>4</sup> დაუტევით. და შეგიდგთ<sup>5</sup> შენ; რაჲმე იყოს აწ ჩუენთვის?

28. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ თქუენ,<sup>6</sup> რომელნიეგე შემომიდევით მე, მერმესა მას მოსლვასა, რაჲმს დაჯდეს ძმ კაცისაჲ საყდართა დიდებისა თვისისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განშჯად ათორმეტთა ნათესაეთა ისრაჲლისათა.

29. და ყოველმან, რომელმან დაუტევოს<sup>7</sup> სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამა ანუ დედა ანუ ცოლი ანუ შვილი ანუ ჭეუყანაჲ სახელისა ჩემისათჳს, ასი წილი მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკვდროს.

30. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა.

სლვაჲ, ვიდრე მდიდრისაჲ შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

25. ვითარცა ესმა ესე მოწაფეთა მისთა, დაუკრდა ფრიად და ეტყოდეს: ვინ-მე უკუე<sup>1</sup> შეუძლოს ცხორებად?

26. მიხედა იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან ესე ვერ შესაძლებელ არს, ხოლო ღმრთისაგან ყოველი შესაძლებელ არს.

27. მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: აჰა ესერა ჩუენ დაუტევით ყოველი და შეგიტოთ შენ; რაჲ-მე უკუე<sup>1</sup> ყოფად. არს ჩუენდა?

28. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელნიეგე შემომიდევით მე, მერმესა მას შობასა, რაჲმს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა ზედა დიდებისა მისისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტნი საყდართა ზედა და გასჯიდეთ ათორმეტთა ნათესაეთა ისრაელისათა<sup>2</sup>.

29. და ყოველსა რომელსა დაეტევოს სახლი ანუ ძმანი ანუ დანი ანუ მამა ანუ დედა ანუ ცოლი ანუ შვილი ანუ აგარაკები ჩემისა სახელისათჳს, ასი წილი მოიღოს მან და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკვდროს.

30. ხოლო მრავალნი იყვნენ წინანი უკუანა<sup>3</sup>, და უკუანანი<sup>4</sup> წინა.

20

1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაჲსა თჳსსა.

2. და აღუტუა მათ სასყიდელი თითოეულად<sup>8</sup> დრაჰკანი დღესა შინა და წაირავლენნა იგინი ვენაჲსა თჳსსა.

1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მამასახლისსა, რომელ გამოვიდა განთიადითგან დადგინებად მოქმედთა საყურძენსა თჳსსა.

2. და აღუტუა-ყო მოქმედთა მათ მართ თითოჲ სატირი დღისა<sup>8</sup> და მიავლენნა იგინი საყურძენსა თჳსსა.

1 შესლვად]—E. 2 ვიდრე... [ცათასა] ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად E. 3 მიხედა E. 4 ყოველი D. 5 შეგიტოთ D. 6 თქუენ]—D. 7 დაუტევოს D. 8 თითოეულად E. 1 უკუე C. 2 სრულად სწერია. 3 უკუანა C. 4 უკუანანი C.

DE

C

3. და გამოვიდა მესამესა ეამსა და იხილნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზე- და უქმად,

4. და ჰრქუა მათ: მივედით თქუენცა ვენაჯსა ჩემსა, და რაჲ-იგი იყოს სამარ- თალი, მიგცე<sup>1</sup> თქუენ.

5. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ეამსა და ყო ეგრევე.

6. ხოლო მეთერთმეტესა ეამსა გან- ვიდა და პოენა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს სდგათ თქუენ აქა დღე<sup>2</sup> ყოველ უქმად?

7. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არავინ დამიდგინნა ჩუენ, უფალო. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჯსა ჩემსა.

8. და ვითარცა შემწუხრდა<sup>3</sup>, ჰრქუა სახლისა უფალმან ეზოჲს მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე უკუანასკნელით- გან, ვიდრე პირველთა მათ.

9. მოვიდეს მეთერთმეტისა ეამისანი და მიიღეს თითო დრაჰკანი<sup>4</sup>.

10. მოვიდეს პირველისანიცა<sup>5</sup> იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ | უფროჲსი მიი- ლონ; და მიიღეს მათცა თითო დრაჰკა- ნი.

11. ხოლო მი-რაჲ-ილეს, დრტჯნიდეს სახლისა უფლისა მისთჳს

12. და იტყოდეს, ვითარმედ: უკუა- ნასკნელთა მათ ერთი ხოლო ეამი და- ყვეს და სწორ ჩუენდა ჰყვენ<sup>6</sup> იგინი, რომელთა ვიტჯრთეთ სიმძიმე დლისაჲ და სიცხმ.

13. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგან- სა და ჰრქუა: მოყუასო, არას გავენებ<sup>7</sup> შენ, ანუ არა დრაჰკანი ერთი აღვითქუ შენ?

3. და მოვიდა სამ ეამს ოდენ და იხი- ლა სხუანი, მდგომარენი საეაქროსა ზე- და ცალიერად,

4. და ჰქუა<sup>1</sup> მათ: მივედით თქუენ- ცა საყურძენსა მას ჩემსა, და რაჲ-იგი ღირდეს, მიგცე თქუენ.

5. და იგინი მივიდეს. მერმე გამოვი- და მეექუსესა და მეცხრესა<sup>2</sup> ეამსა და ყო ეგრევე.

6. ხოლო მეთერთმეტესა ეამსა ვი- თარ გამოვიდა, პოენა სხუანი მდგომა- რენი და ჰრქუა მათ: რასა აქა სდევით- დღე ყოელ ცუდად?

7. ჰრქუეს მას, რამეთუ: არავინ და- გვდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: მივედით თქუენცა საყურძენსა მას ჩემსა.

8. რაჲჲმ<sup>3</sup> დამწუხრდა, ჰრქუა უფალ- მან მან საყურძნისამან ეზოჲს მოძღუარ- სსა თჳსსა: მოუწოდე მოქმედთა მათ და- მიეც სასყიდელი მათი; იწყე უკუანას- კნელთაგან<sup>4</sup>, ვიდრე პირველთამდე.

9. მო-რაჲ უტუე-ვიდეს<sup>5</sup> მეთერთმე- ტისა მის ეამისანი იგი, მიიღეს თითოჲ სატირი.

10. და ვითარ მოვიდეს პირველნი იგი, ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲსი მიიღონ; და მიიღეს თითოჲვე სატირი მათცა.

11. და ვითარ მიიღეს, ტრტჯნიდეს მის მამასახლისისათჳს

12. და ჰრქუეს, ვითარმედ: ამათ უკუა- ნასკნელთა ეამ ერთ ხოლო ქმნეს და დამასწორენ ჩუენ იგი, რომელთა ვი- ტჯრთეთ სიმძიმე დლისაჲ და სიცხმ.

13. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგან- სა და ჰრქუა: მოყუასო<sup>6</sup>, არა გეცრუვე- ბი შენ, არა სატირი აღვითქუა<sup>7</sup> შენ?

1 მიეც D. 2 დლმ E. 3 შემწუხრდა D. 4 დრაჰკნი D. 5 პირველნიცა D. 6 ყვენ D\*. 7 განებ D\*.

1 ასეა C. 2 მეეცხრესა C. 3 რაჲჲმ C. 4 უკუანასკნელთაგან C. 5 უკვე C. 6 მოყუასო C. 7 აღვითქუა აქ უკანასკნელი „ა“ კითხვის ნაწილკად უნდა გავიგოთ..

DE

C

14. მიიღე შენი და ვიდოდე. ხოლო მე მნებავს უკუანაფსკენელსა მას მიცემად, ვითარცა შენ.

15. ანუ<sup>1</sup> არა ჯერ-არს ჩემდა, რადცა მინდეს ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერ ვარ.

16. ესრეთ<sup>2</sup> იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო<sup>3</sup> მცირედნი რჩეულ.

17. და ვითარცა აღვიდოდა იესუ იერუსალმად, წარიყვანა ათორმეტნი იგი მოწაფენი თუსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ:||

18. აჰა ესერა აღვალთ იერუსალმად, და ძჲ კაცისაჲ მიეცეს მღდელთ მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად.

19. და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად და ჯუარ-ცუმად, და მესამესა დღესა<sup>4</sup> აღდგეს.

20. მაშინ მოუჭდა იესუს დედაჲ იგი ძეთა ზებედესთაჲ ძეთა<sup>5</sup> თანა თუსთა, თაყუანის-სცემდა მას და ითხოვდა რასმე მისგან.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: რადგნებავს? ჰრქუა მას: თქუ, რადთა დასხდენ ორნი ესე ძენი<sup>6</sup> ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სასუფეველსა შენსა.

22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელ ჩემდა შესუმად არს, ანუ ნათლის-ღებად, რომელ მე ნათელვილო, ნათლის-ღებად? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გვც.

23. ჰრქუა მათ იესუ: სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლის-ღებად, რომელ

14. ხოლო თუ მნებავს უკუანაფსკენელსა<sup>1</sup> ამას მიცემად, ვითარცა შენ.

15. ანუ ვერ კელ-მეწიფების<sup>2</sup>, რადიგი მინდეს ყოფად ჩემსა ზედა? თუალი შენი თუ უკეთურ არს, ხოლო მე უხუ<sup>3</sup> ვარ.

16. ესრეთ იყვნენ უკუანანი<sup>4</sup> წინა, და წინანი უკუანა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ.

17. და აღვიდოდა იესუ იერუსალმად, წარიყვანა ათორმეტნი თუსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ:

18. ესერა ახუალთ<sup>5</sup> იერუსალმად, და ძჲ კაცისაჲ მიეცეს მღდელთ მოძღუართაგან და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილითა.

19. და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და გუემად<sup>6</sup> და ჯუარ-ცუმად, და მესამესა დღესა<sup>7</sup> აღდგეს.

20. მაშინ მოვიდა დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ ძითურთ თუსით<sup>8</sup>, თაყუანის-სცემდა<sup>9</sup> და ითხოვდა<sup>9</sup> რასმე მისგან.

21. ხოლო მან ჰრქუა მას: რად გნებავს? ხოლო მან ჰრქუა მას: თქუ, რადთა დასხდენ ორნი ძენი ჩემნი, ერთი მარჯუენით<sup>10</sup> შენსა და ერთი მარცხენით შენსა სუფევესა<sup>11</sup> შენსა.

22. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: არა უწყით, რასა ითხოვთ. გიძლავს შესუმად სასუმელისა მის, რომელსა მე შესუმინდე, და ნათლის-ღებასა, რომელსა მე ნათელს-ვიღებდე, ნათლის-ღებად? ჰრქუეს მას: გვძლავს.

23. ჰრქუა<sup>12</sup> მათ იესუ: სასუმელი ჩემი შესუათ და ნათლის-ღებად, რომელი

1 ანუ—E. 2 ესრით D\*. 3 ხოლო] და D\*. 4 დღესა E. 5 ძმთა D. 6 ძმნი D\*.

1 უკუანაფსკენელსა C. 2 კელ-მეწიფების C. 3 უხ C (მომდევნო ვინის გამო). 4 უკუანანი C. 5 ახუალთ C (მოსალოდნელი იყო არა II პირი, არამედ I: აღვალთ). 6 გუემად C. 7 თუსთ C. 8 თაყუანისცემდა C. 9 ითხოდა C. 10 მარჯუენით C. 11 სუფევესა C. 12 ჰრქვა C.

DE

C

ლი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ, | ხოლო დაჯდომამა მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი ჯრს მიცემად, არამედ ვიეთა<sup>1</sup> განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა.

24. ვითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს.

25. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებედ მათ ზედა, და დიდიდნი ჯელმწიფებედ მათ ზედა?

26. ხოლო თქუენ ზედა არა ეგრე იყოს,

27. არამედ რომელსა უნდეს<sup>2</sup> თქუენგანსა წინა ყოფამ, იყავნ იგი თქუენდა მონა.

28. ვითარცა ძმ კაცისამ არა მოვიდა, რადთამცა ჰმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჯსრად მრავალთა.

29. და ვითარცა გამოვიდეს იგინი იერიქოჲთ, მისდევდა მას ერი მრავალი<sup>3</sup>.

30. და აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა და ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, ჳმობდეს ჳმითა დიდითა: შემიწყალენ ჩუენ იესუ, ძეო<sup>4</sup> დავითისო!

31. ხოლო ერი იგი | ჰრისხვიდა მათ, რადთა დადუმნენ, და იგინი უფროჲს ლაღადებდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო<sup>4</sup> დავითისო!

32. დადგა იესუ, მოუწოდა მათ და ჰრქუა: რად გნებაეს, და გიყო თქუენ?

33. ხოლო მათ ჰრქუეს: უფალო, რადთა აღვიხილნეთ თუალნი<sup>5</sup> ჩუენნი.

34. შეეწყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა და მესსიელად აღეხილნეს და შეუდღეს მას.

მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ, ხოლო დაჯდომამა მარჯუენით<sup>1</sup> ჩემსა არა ჩემი არს მიცემამ, არამედ რომელთათჳს განმზადებულ არს მამისა ჩემისაგან.

24. და ვითარ ესმა ათთა მათ, გული განიწყეს ორთა მათ ძმათათჳს.

25. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყით, რამეთუ მთავარნი იგი წარმართთანი ეუფლნიან<sup>2</sup> მათ, და მდიდარნი ჳელმწიფებედ მათ ზედა?

26. ხოლო თქუენ შორის არა ეგრე არს, არამედ რომელსა ენებოს თქუენ შორის რადთამცა დიდ იყო, იყავნ იგი თქუენდა მსახურა;

27. და რომელსა უნდეს თქუენ შორის, ვითარმცა წინა იყო, იყავნ იგი თქუენდა მონა.

28. ვითარცა ძე კაცისამ არა მოვიდა, რადთამცა ჰმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად თავისა თჳსისა საჯსრად მრავალთა წილ.

29. და ვითარ გამოვიდოდეს იგინი იერიქოჲთ, შეუდგა მას ერი მრავალი.

30. და ორნი ბრმანი სხდეს გზასა თანა. ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, დაღატყვეს და თქუეს: მიწყალენ ჩუენ,<sup>3</sup> იესუ, ძეო დავითისო!

31. ხოლო ერმან მან შეჰრისხნა მათ, რადთა დადუმნენ<sup>1</sup>. მათ უფროჲს დაღატყვეს და თქუეს: უფალო, გვწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო!

32. და დადგა იესუ, ჳმა-უყო მათ და ჰრქუა: რად გნებაეს, და გიყო თქუენ?

33. ჰრქუეს მას: უფალო, რადთა აღმეხუნენ ჩუენ<sup>2</sup> თუალნი<sup>5</sup> ჩუენნი<sup>6</sup>.

34. შეეწყალნეს იესუს და შეახო თუალთა მათთა<sup>7</sup>, და მუნქუესკე აღეხილნეს და მისდევდეს მას.

1 ვითა D. 2 უნდეს—E 3 მრავალი D. 4 ძმო D. 5 თჳანი D.

1<sup>1</sup> მარჯუენით C. 2 ჰეუფლნიან C (მაგრამ შემდეგ „ჰ“ წაუშლიათ). 3 ჩვენ C. 4 დადუმნეს C. 5 თჳლნი C. 6 ჩვენნი C. 7 მათთა|მათთა C.

## 21

DE

1. და ვითარცა მიეახლნეს იერუსალმს<sup>1</sup> და მოვიდეს ბეთზაგედ და ბეთანიად<sup>2</sup>, მთასა მას ზეთის ხილთასა, მაშინ წარავლინნა იესუ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი

2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჰპოვოთ<sup>3</sup> ვირი დაბმული და კიცჳ მის თანა; აჰსენით და მომგუარეთ მე იგი.

3. და უკუეთუ ვინმე გრქუას რამე<sup>4</sup>, თქუენ არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე, და<sup>5</sup> მეყსეულად მოავლინნეს იგინი.

4. ესე ყოველი იქმნა, რადთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა:

5. არქუთ ასულსა მაგას<sup>6</sup> სიონისასა: აჰა ესერა მეუფე<sup>7</sup> შენი | მოვალს შენდა მშჳდი და ზე<sup>8</sup> ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა:

6. ხოლო მოწაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ იესუ.

7. და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცჳ მის თანა და დაასხეს სამოსელი მას ზედა, და დაჯდა იესუ მას ზედა.

8. ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდა<sup>9</sup> სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

9. და ერი იგი, რომელი<sup>10</sup> წინა-უძლოდა და რომელი<sup>11</sup> უკუანა შეუდგეს, ლაღებდეს და იტყოდეს: კურთხეულ არს მეუფე<sup>7</sup>, ძე დავეთისი! კურთხეულ არს

C

1. და რაჲამს მიეახლნეს იგინი იერუსალმდ, და მოვიდა ბეთზაგედ, მთასა მას ზეთის ხილთასა, მაშინ იესუ წარავლინნა ორნი მოწაფეთა თჳსთაგანნი

2. და ჰრქუა მათ: მივედით დაბასა იმას, რომელ არს პირსპირ თქუენსა, და მუნქუეს ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცჳ<sup>1</sup> მის თანა; აჰსენით და მომგუარეთ.

3. და თუ გრქუას რამე ვინმე, თქუენ არქუთ, ვითარმედ: უფალსა მაგისსა უჴმან ეგენი, და მუნქუესვე მოავლინნეს იგინი.

4. ხოლო ესე ყოველი იყო, რადთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისა<sup>2</sup> თქუემული:

5. არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა მეუფე<sup>7</sup> შენი მოვალს შენდა, მშჳდი არს და ზე ზის ვირსა და კიცუსა ვირსა.

6. და წარვიდეს მოწაფენი იგი და ყვეს, ვითარცა უბრძანა მათ იესუ.

7. და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცჳ და დაასხეს სამოსელი მას ზედა, და აღჯდა მას.

8. და სიმრავლე იგი ერისაჲ დაჰფენდა და სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოთა ხეთაგან და დაჰფენდეს გზასა ზედა.

9. ხოლო ერი იგი, რომელი წინა-უძლოდა და უკუანა შეუდგა, ლაღებდეს და იტყოდეს: დიდებულ<sup>3</sup> არს ძე დავეთისი! კურთხეულ არს მომავალი სახე-

1 მიახლნეს იერუსალმდ D. 2 ბეთანად D. 3 ჰპოოთ D. 4 რამე D. 5 და—D. 6 მაგას—D. 7 მეუფე D. 8 ხმ E. 9 დაუფაენდა D\* (ძველად ნაწერი „ა“ აშკარად ჩანს). 10 რომელ D. 11 რომელნი D.

1 კიცჳ C. 2 წინაწარმეტყუელისა C. 3 დიდებლ C.

DE

C

მომავალი სახელითა უფლისადათა! კურთხეულ არს მეუფე<sup>1</sup>, რომელი არს მალალთა შინა!

10. და ვითარცა შევიდა იგი იერუსალმდ, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდეს: ვინ<sup>2</sup> არს ესე?

11. ხოლო ერი იგი იტყოდა: ესე არს წინაწარმეტყუელი იესუ ნაზარეთით გალილეადათა<sup>3</sup>.

12. და შევიდა იესუ ტაძარსა მას და გამოასხა<sup>4</sup> ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდა ტაძარსა || მას შინა, და ტაბლები იგი მეკერამეთა და სასხდომელი იგი მსყიდელთა მათ ტრედისათა დაუმეჭა.

13. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს; ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა<sup>5</sup>.

14. და მოუტდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა და განკურნნა იგინი.

15. და ვითარცა იხილეს მღვდელთ მოძღუართა<sup>6</sup> მათ და მწიგნობართა, რომელ-იგი ქმნნა იესუ სასწაულნი, და ყრმები იგი, რომელ ღალადებდა ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: კურთხევაა ძესა<sup>7</sup> დავითისა,

16. განრიხსნეს და ჰრქუეს მას: გესმისა, რასა ესენი იტყვან? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ჰე; არასადა აღმოგიკითხავსა, რამეთუ პირისაგან ჩხლთა მწოვართადა დაემტკიცოს ქებაჲ?

17. და დაუტევნა იგინი და განვიდა გარე<sup>8</sup> ქალაქით ბეთანიად<sup>9</sup> და იქცეოდა მუნ.

18. და ხვალისაგან მოვიდოდა<sup>10</sup> იესუ ქალაქად და შეემშოა.

ლითა უფლისადათა! და დიდებულ მალალთა შინა!

10. და ვითარ შევიდა იგი იერუსალმდ<sup>1</sup>, შეიძრა ყოველი ქალაქი იგი და იტყოდა: ვინ არს ესე?

11. ხოლო ერმან მან ჰრქუა: ესე არს წინაწარმეტყუელი<sup>2</sup> იესუ ნაზარეთით გალილეადათა.

12. და შევიდა იესუ ტაძრად და გამოასხა ყოველი მოფარდული და მომსყიდელები ტაძარსა მას შინა და ტაბლები იგი თესლის მოფარდულთა დაამეჭა და საჯდომელები, რომელი ყიდდეს<sup>3</sup> ტრედებსა.

13. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ თავყუანის-საცემელ ეწოდოს; ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.

14. და მოუტდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა და განკურნნა იგინი.

15. იხილეს რაჲ მღვდელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა საკრველებანი იგი, რომელ ქმნნა, და ყმები<sup>4</sup> იგი, რომელ ვმობდა ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: დიდებაა ძესა დავითისა<sup>5</sup>,

16. გული განიწყეს და ჰრქუეს მას: გესმის, რასა ესენი იტყვან? [ხ] იესუ ჰრქუა მათ: არა-მე აღმოგიკითხავსა, ვითარმედ<sup>6</sup>: პირითა ჩხლთა<sup>7</sup> მწოვართადა დაამტკიცე ქებაჲ?

17. დაუტევნა იგინი და განვიდ[ა] გარეშე ქალაქ[სა] ბეთანიად[ი]<sup>8</sup> და იყო მუნ.

18. განთიად, ვითარ აღმოვიდ[ო]და ქალაქად, შე[ე]მშოა.

1 მეუფე D\*. 2 ვინა D. 3 გალილეადათ D\*. 4 გამოასხა D. 5 ავაზაკთა D. 6 მოძღუართა E. 7 ძესა D. 8 გარე E. 9 ბეთანად D. 10 მოვიდა D.  
1 იოსლმდ C. 2 წინაწარმეტყუელი C. 3 რლ | იყიდდეს C (= რომელ იყიდდეს?). 4 ასეა. 5 ძესა ღთისა C. 6 [ვ]რ C. 7 ჩხლთა C. 8 ბსთანიად C.

DE

C

19. და იხილა ლელვ ერთი გზასა ზე-  
და და მოვიდა | მისა და არარაა პოვა  
მას შინა<sup>1</sup>, გარნა ფურცელი ხოლო. და  
ჰრქუა მას: ნულარა იყოფინ ნაყოფი  
შენგან საუკუნოდ! და განვმა ლელვ იგი  
მეესეულად.

20. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მით,  
უკრდა და იტყოდეს: ვითარ მეესეუ-  
ლად განვმა ლელვ ესე!

21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ  
გეტყვ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარ-  
წმუნოებება და არა შეორგულდეთ, არა  
ხოლო ლელვსა<sup>2</sup> ამის ჰყოთ, არამედ  
ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხურ<sup>3</sup> ამი-  
ერ და შთავედ ზლულად!—იყოს ეგრე.

22. და ყოველსა რაოდენსა ითხოვ-  
დეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით,  
გაყოს თქუენ.

23. და მო-რად-ვიდა<sup>4</sup> იესუ ტაძრად,  
მოუტდეს მას მღდელთ მოძღუარნი და  
მოხუცებულნი ერისანი, ვითარ-იგი ას-  
წავებდა ერსა, და ჰრქუეს მას: რომლი-  
თა ჯელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მო-  
გცა შენ ჯელმწიფებად ესე?

24. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გვი-  
თხო მეცა თქუენ სიტყუად || ერთი: უკუე-  
თუ მითხრათ მე, მეცა ვითხრა თქუენ,  
რომლითა ჯელმწიფებითა ვიქმ ამას.

25. ნათლის-ცემად იოვანესი ვინაჲ  
იყო: ზეცით იყო ანუ კაცთაგან? ხოლო  
იგინი განიზრახვიდეს თვსაგან და იტ-  
ყოდეს: უკუეთუ-ვთქუნათ: ზეცით, გურ-  
ქუს ჩუენ: და რაჲსათვს არა გრწმენა  
მისი?

26. უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუე-  
შინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთა  
ვითარცა წინაწარმეტყუელი უპყრიეს  
იოვანე.

27. და მიუგეს იესუს<sup>5</sup> და ჰრქუეს:

19. და [იხი]ლა ლელვ ერთი გზასა  
ზედა და მოვიდა მისა და არაა პოვა,  
გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას[ს]:  
ნულარამცა შენგან ნაყოფი გამოვალს  
უკუნისამდე! და განვმა მუნქუესეე ლელვ  
იგი.

20. იხილეს რად მოწაფეთა, და უკრ-  
და<sup>1</sup> და თქუეს: ვითარ მეესეულად გან-  
ვმა ლელვ<sup>2</sup> ესე!

21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მარ-  
თლიად გეტყვ თქუენ: გაქუნდეს თუ  
სარწმუნოებება და არა შეორგულდეთ,  
არა ხოლო ამის ლელვსა[ა] ჰქმნეთ, არა-  
მედ მთასაცა თუ ამას ჰრქუათ: აღდეგ  
და შთავარდი ზლუასა!—იყოს.

22. და ყოველი, რადცა ითხოოთ თა-  
ყუანის-ცემასა სარწმუნოებით, მოგეცეს  
თქუენ.

23. და ვითარ მოვიდა იგი ტაძრად,  
მოუტდეს მას სწავლასა შინა მღდელთ  
მოძღუარნი<sup>3</sup> და მოხუცებულნი ერისანი  
და ჰრქუეს: რომლითა ჯელმწიფებითა  
ამას იქმ, და ვინ მიგცა შენ ჯელმწი-  
ფებად ესე?

24. [მი]უგო იესუ და ჰრქუა მათ:  
გვითხო მეცა თქუენ სიტყუა ერთ, და  
მითხართ მე, და მეცა ვითხრა თქუენ,  
რომლითა ჯელმწიფებითა ამას<sup>4</sup> ვიქმ.

25. ნათლის-ცემად იგი იოჰანესი ვი-  
ნაჲ იყო: ზეცით იყო ანუ კაცთაგან?  
ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულთა შინა  
მათთა და იტყოდეს: ვთქუათ თუ: ზე-  
ცით იყო, გურქუას: რად არა გრწმენა  
მისი?

26. უკუეთუ<sup>5</sup> ვთქუათ: კაცთაგან იყო,  
გუეშინის<sup>6</sup> ერისაგან, რამეთუ იოვანე  
ყოველთა წინაწარმეტყუელად<sup>7</sup> აქუს<sup>7</sup>.

27. და მიუგეს იესუს და ჰრქუეს:

1 შინა) — D. 2 ლელვსა D. 3 აღიფხურე D. 4 მო-რად-ვიდა D. 5 იესუს] — E.  
1 დაუკრდა C. 2 ლელვ C. 3 მოძღუარნი. C. 4 ჯელმწიფებითამას C. 5 უკუეთუ C.  
6 გუეშინის C. 7 წინაწარმეტყუელად C. 8 აქუს C (თუმცა შემდეგ „ნ“ წაუშლია).

DE

C

არა უწყით. ჰრქუა მათ იესუ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჳელმწიფებითა ამას ვიქმ.

28. აწ ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე<sup>1</sup>; და მოუწდა პირველსა მას და ჰრქუა: შეილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაჯსა ჩემსა.

29. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: წარვიდე, უფალო; და არა წარვიდა.

30. და მოვიდა მეორისა მის და ჰრქუა ეგრევე. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებაეს, არა წარვიდე. ხოლო უკუანაძსკნელ | შეინანა და წარვიდა.

31. ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს მას: უკუანაძსკნელმან მან. ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყუ თქუენ, რამეთუ მეზუერენი და ცოდვილნი<sup>2</sup> წინა-გიძლოდიან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა.

32. რამეთუ მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისაჲთა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა და ცოდვილთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუენ იხილეთ და არა შეიწყნარეთ უკუანაძსკნელ, რათამცა გრწმენა მისი.

33. სხუაჲ იგავი ისმინეთ: იყო ვინმე კაცი სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაჯი და ზღუდღ<sup>3</sup> გარე<sup>4</sup> მოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნეხელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა.

34. და რაჲამს მოიწოა ჟამი ნაყოფისაჲ, მიავლინნა მონანი თჳსნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა თჳსისა.

35. ხოლო მოქმედთა მათ შეიპყრნეს<sup>5</sup> მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოწყვდნეს, || რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს.

არა უწყით. ჰრქუა მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჳელმწიფებითა ამას<sup>1</sup> ჰვქმ.

28. რასა ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე<sup>2</sup>; და მიუწდა პირველსა მას და ჰრქუა: შეილო, მივედ დღეს, და იქმოდე საყურძენსა ჩემსა.

29. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: მივიდე უფალო; და არა მივიდა.

30. და მივიდა ერთისა მის და ჰრქუა ეგრევე. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მინებს. მერმე-ლა შეინანა და მივიდა.

31. რომელმან-მე ორთაგანმან ყო ნებაჲ მამისაჲ? ჰრქუეს მას: უკუანაძსკნელმან. ჰრქუა მათ იესუ: მართლიად გეტყუ თქუენ, რამეთუ მეზუერენი<sup>3</sup> და მეძაენი წინა-გიძღვან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა.

32. რამეთუ მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისაჲთა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა<sup>4</sup> და მეძაეთა<sup>5</sup> ჰრწმენა მისი<sup>6</sup>; ხოლო თქუენ იხილეთ-ლა, არა შეინანეთ უკუანაძსკნელ, რათამცა გრწმენა მისი.

33. სხუაჲ იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო მამასახლისი, რომელმან დაასხა ვენაჯი და შეზღუდა ოგი<sup>6</sup> და აღმოთხარა მას შინა ტაგარი და ქმნა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა.

34. და რაჲამს მოეზო ჟამი ნაყოფისაჲ, მოუვლინნა მონანი თჳსნი მოქმედთა მათ მიღებად ნაყოფისა მისისა.

35. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელსამე სცეს, რომელნიმე მოკლნეს, რომელსამე ქვაჲ დაჰკრიბეს.

1 ძმ DE. 2 ცოდვილნი] იეძაენი E. 3 ზღუდღ D. 4 გარმ E. 5 შეიპყრეს D.

1 მას C. 2 ძმ C. 3 მეზუერენი C. 4 მეზუერეთა C. 5 ამისი C. 6 და შეზღუდა იგი] განმეორებულთა (ოლონდ პირველად სწერია: „და შეზღუდ იგი“).



DE

C

36. და კულად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათუა ეგრევე უყვეს.

37. ხოლო უკუნადასკნელ მიავლინა<sup>1</sup> მათა ძმ თუნი და თქუა: შეიკლიმონ ძისათუს ჩემისა.

38. ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ ვითარცა იხილეს ძმ იგი მისი, თქუეს გულსა მათსა: ესე არს მკვდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკვდრებელი იგი მისი.

39. და შეიპყრეს და მოკლეს იგი და განაგდეს გარე სავენანისა<sup>2</sup> მისგან.

40. ხოლო რაჟამს მოვიდეს უფალი იგი ვენანისად მის, რაჟამ<sup>3</sup> უყოს ქუეყანის მოქმედთა მათ?

41. ჰრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმდინდეს და ვენანი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის მოქმედთა საქმედ, რომელთა მოსკენ ნაყოფი ეამსათუხსსა.

42. ჰრქუა მათ<sup>4</sup> იესუ: არასადა აღმოგიკითხავსა წიგნთა შინა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ საკიდურთა<sup>5</sup>. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

43. ამისთუს გეტყვ თქუენ: მოგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისად და მიეცეს ნათესავთა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა.

44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაჰკრიოს იგი.

45. და ესმე რაჟ<sup>6</sup> მღდელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავი ესე მისი, ცნეს, რამეთუ მათთუს თქუა.

36. მერმე მიუვლინნა სხუანი მონანი<sup>1</sup>, უმრავლესნი მათსა, და მათუა ეგრევე უყვეს.

37. უკუნადასკნელ-ლა მიუვლინა ძე თუნი და თქუა, ვითარმედ: შეიკლიმონ ძისა ჩემისაგან.

38. ხოლო მოქმედთა მათ ვითარ იხილეს ძმ იგი მისი, ზრახვა-ყვეს ურთიერთას: ესე არს მკვდრი<sup>2</sup>, მოედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკვდრებელი იგი მისი.

39. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და განაგდეს გარეშე საყურძენსა მას.

40. რაჟამს უკუე მოვიდეს უფალი იგი მის საყურძენისად, რაჟ-მე უყოს მოქმედთა მათ?

41. ჰრქუეს მას: უკეთურნი იგი უკეთურადცა წარწყმდინდეს და საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდინ მას ნაყოფი ეამთა მათთა.

42. ჰრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხავს წიგნსა: ესე ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

43. ამისთუს გეტყვ თქუენ, რამეთუ მიგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისად და მიეცეს ნათესავსა, რომელი იქმოდის ნაყოფთა მისთა.

44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას, ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაბნინოს იგი.

45. და ვითარ ესმა მღდელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავები იგი მისი, გულისწმა-ყვეს, რაჟსათუს იტყუს.

1 მ-ავლინნა D\*. 2 ვენანისა D\*. 3 რაჟმე D. 4 მათ—D. 5 საკიდურთად D\*. 6 ესმა რაჟმე ესე DE (აქ „ესე“ ზედმეტია, რადგანაც ობიექტი ქვემოთ არის: იგავი ესე მისი).

1 მო|ინანი C. 2 მკვდრი C.

DE

C

46. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ემზოდა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა იგი.

46. და ეძიებდეს მის შეპყრობად და შეეშინა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი შეერაცხა იგი.

22

1. და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და ჰრქუა:

2. ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა მეფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თვისსაჲ.

3. და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად.

4. და კულად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს, ზურაკები და უსხები ჩემი დაკლულ არს, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას.

5. ხოლო მათ უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელიმე აგარაკსა თჳსსა, რომელიმე საეკროსა თჳსსა<sup>1</sup>,

6. ხოლო სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, ავინეს და<sup>2</sup> მოწყვნეს.

7. ხოლო მეუფე<sup>3</sup> იგი გაჩრისხნა და მიავლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი მათი დაწუცეს ცხოვლითა.

8. მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს.

9. წარვედით მებოძირებსა გზათასა და რაოდენნიცა ჰპოვნეთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას.

10. და განვიდეს მონანი იგი გზათა ზედა და შეკრიბეს, რაოდენი პოვეს ბოროტი და კეთილი. და აღვისო ქორწილი იგი მენიანითა.

11. და ვითარცა შევიდა მეუფე<sup>3</sup> იგი

1. და მიუგო იესუ მერმე და ჰრქუა მათ იგავით:

2. მსგავს არს სასუფეველი<sup>1</sup> ცათაჲ კაცსა მეფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თვისსაჲ.

3. და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილ, და არა ინებეს მოსლვად.

4. მერმე მიუვლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი დამიმზადებდეს, ზურაკები ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს, და ყოველი მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას.

5. ხოლო მათ უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელიმე თჳსა აგარაკად, რომელიმე ვაჰრობად,

6. და სხუათა მათ შეიპყრეს მონანი იგი და მოსრნეს<sup>2</sup>.

7. ხოლო მეუფე<sup>3</sup> იგი განრისხნა და წარავლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი მათი დაწუცა.

8. მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იქმნეს.

9. აწ განვედით განსავალთა ზედა გზათასა და რავედენიცა ჰპოოთ, მოხადეთ ქორწილსა ამას.

10. და განვიდეს მონანი იგი გზებსა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რავედენიცა პოვეს, ბოროტნიცა და კეთილნიცა, და აღვისო ქორწილი იგი მენიანითა.

11. რაჟამს შევიდა მეუფე<sup>3</sup> იგი მოხილ-

1 თჳსსა]—E. 2 და | და D. 3 მეუფე D.

1 სასუფეველი C. 2 მოსრჩენს C. 3 მეუფე C. 4 ჩინებუნი C.

DE

C

ხილვად მენიანვეთა მათ, იხილა მუნ:კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინს<sup>1</sup>.

12. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რომელსა არა გმოსიეს სამოსელი საქორწინს? ხოლო იგი დუშნა.

13. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან | მსახურთა: შეუკრენით მაგას ველნი და ფერკნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა: მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

14. რამეთუ მრავალნი<sup>2</sup> არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.

15. მაშინ წარვიდეს ფარისეველნი იგი და ზრახვა-ყვეს მისთჳს, რათა სიტყუთა საფრეველ უგონ მას.

16. და მიაველინნეს მოწაფენი მათნი ჰეროდიანელთა თანა და ჰრქუეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ ქეშმარიტ ხარ და გზასა ღმრთისასა ქეშმარიტად ასწავებ და არას ზრუნავ არავისთჳს, რამეთუ არა თუალთ-აღებ<sup>3</sup> პირსა კაცისასა.

17. აწ მარქუ ჩუენ, რად გენბავს შენ: ჯერ-არსა ხარკისა მიცემაჲ კეისარსა ანუ არა?

18. და ვითარცა გულსნება-ყო<sup>4</sup> იესუ ხაკულეზაჲ იგი მათი, ჰრქუა მათ: რად-სა გამომცდით მე, ორგულნო?

19. მიჩუენეთ მე დრაჰკანი იგი სახარკოჲ! ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი.

20. და ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ხატი ესე ანუ ზედაწერილი? |

21. ჰრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.

22. და<sup>5</sup> ესმა რად ესე, დაუკვრა და<sup>5</sup> დაუტრევეს იგი და წარვიდეს<sup>5</sup>.

ვად მენიანვეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელი არა მოსილ იყო სამოსლითა საქორწინითა.

12. და ჰრქუა მას: მოყუასო<sup>1</sup>, ვითარ-მე შემოხუედ<sup>2</sup> აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი ქორწილისაჲ? ხოლო მან პირი დაიკრა.

13. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა: შეუკრენით მაგისნი ფერკნი და ველნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

14. რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედ არიან რჩეულნი.

15. მაშინ წარვიდეს ფარისეველნი და ზრახვა-ყვეს მისთჳს, რათამცა დაუდგეს მას მახე სიტყუთა<sup>3</sup>.

16. და მოუვლინნეს მას მოწაფენი იგი მათნი ჰეროდიანელთა თანა და ჰრქუეს: მოძღუარ, უწყით, რამეთუ ქეშმარიტ ხარ და გზასა ღმრთისასა ქეშმარიტებით ასწავებ და არად გვირს შენ არავისთჳს<sup>4</sup>, რამეთუ არა ხელდავ პირსა კაცისასა.

17. აწ მარქუ ჩუენ: ვითარ ჯერ-გინს: წეს-არს ხარკისა მიცემაჲ კეისრისა. ანუ არა?

18. ვითარ გულსნება-ყო იესუ უკეთურებაჲ იგი მათი, ჰრქუა: რასა გამომცდით მე, მხაკულვარნო?

19. მიჩუენეთ-ლა მე დრაჰკანი იგი ხარკისაჲ! ხოლო მათ მოართუეს<sup>5</sup> მას დრაჰკანი.

20. და ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ესე ხატი და გარემოჲს წერილი?

21. ჰრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ ჰრქუა მათ: მიეცით აწ კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.

22. და ვითარ ესმა ესე, დაუკვრა და დაუტრევეს იგი და წარვიდეს.

1 საქორწინე D. 2 მრავალ D. 3 თუალ-აღებ E. 4 გულსნება-ყო E. 5 და|—E. 6 წარვიდა D\*. 1 მოყუასო C. 2 შემოხუედ C. 3 სიტყუთა C. 4 არად ვისთჳს C. 5 პირათჳს C.

DF

C

23. მას ღღესა შინა მოჲედეს მას სა-  
ღუჲველი იგი და იტყოდეს, ვითარ-  
მედ: არა არს აღდგომაჲ, და ჰკითხვი-  
დეს

24. და ეტყოდეს: მოძღუარ, მოსე<sup>1</sup>  
ესრე თქუა: უჲეთუ ვინმე მოკუდეს და  
არა დაუშთეს შვილი, შეირთოს ცოლი  
მისი<sup>2</sup> მძიმან მისმან და აღუდგინოს  
მკვდრი ძმასა თჳსსა.

25. იყენეს ჩუენ შორის შჳდნი ძმანი.  
და პირველმან მან შეირთო ცოლი და  
მოკუდა და არა დაშთა შვილი და დაუ-  
ტეეა ცოლი იგი ძმასა თჳსსა.

26. ეგრევე მეორემან და მესამემან  
და ვიდრე შჳდადმედ.

27. უჲუანაჲსკენელ ყოველთასა მოკუ-  
და ღედაკაციცა იგი.

28. აწ აღდგომასა მას მკუდართასა  
ვისა შჳდაგანისა იყოს იგი ცოლად,  
რამეთუ ყოველთავე ესუა იგი ცოლად?

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ს[ცთე]-  
ბით, რამეთუ არა იცით წიგნი და<sup>3</sup> არ-  
ცა ძალი ღმრთისაჲ,

30. რამეთუ ღღესა მას აღდგომისასა  
არცა განჰქორწინებდენ<sup>4</sup>, არცა იქორ-  
წინებოდიან, არამედ ვითარცა ანგელოზ-  
ნი იყენენ ცათა შინა.

31. ხოლო აღდგომისათჳს მკუდარ-  
თაჲსა არა აღმოგიკითხხვასა თქუმული  
იგი ღმრთისა მიერ, რომელსა იტყჳს:

32. მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და  
ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი?  
არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ  
ცხოველთაჲ.

33. და ესმა რაჲ ესე ერსა მას, დაუ-  
კჳრდა<sup>5</sup> მოძღურებაჲ იგი მისი.

34. ხოლო ფარისეველთა მათ რაჲ ეს-  
მა, რამეთუ დაუყო პირი საღუჲველთა<sup>6</sup>  
მათ, შეკრბეს ერთად.

23. მას ღღესა შინა მოჲედეს საღუ-  
ჲველი, რომელთა თქჳან<sup>1</sup>, ვითარმედ:  
არა არს აღდგომაჲ. ჰკითხვიდეს მას

24. და ჰრქუეს: მოძღუარ, მოსე<sup>2</sup>  
თქუა: მო- თუ ვინმე -კუდეს უშვილოჲ,  
ესიძენ მას ძმაჲ მისი ცოლსა მას მისსა  
ზედა და აღუდგინენ თესლი ძმასა მას  
თჳსსა.

25. აწ იყენეს ჩუენ თანა შჳდ ძმა. და  
პირველი იგი ქმარი მოკუდა და არა  
ესუა<sup>3</sup> მას შვილ, დაუტეეა ცოლი თჳსი  
ძმასა თჳსსა.

26. ეგრეცა მეორემან და მესამემან  
მიმეშჳდემედ.

27. უჲუანაჲსკენელ-ლა ყოველთა მოკუ-  
და<sup>4</sup> ღედაკაცი იგი.

28. აღდგომასა მას უჲუანაჲსკენელსა  
რომლისა შჳდთა მათგანისა იყოს ცო-  
ლად, რამეთუ ყოველთა მათ ესუა იგი?

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ს[ცთე]-  
ბით და არა იცით წიგნი და არცა  
ძალი ღ[მრთისაჲ],

30. რამეთუ აღდგომასა მა[ს] არცა  
ცოლს ისხმიდენ, არცა ქმრის ვიდ[ო]-  
ლიან, არამედ ვ[ითარცა] ანგელოზნი იყ-  
ენენ ცათა შინა.

31. მკუდართა აღდგომისათჳს არა აღ-  
მოგიკითხხვას თქუმული იგი თქუენდა მრ-  
მართ ღმრთისა მიერ, რომელ თქუა:

32. [მე] ვარ ღმერთი აბრაჰამისი და  
ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი?  
[არა] არს ღმერთი—ღმერთი მკუდარ-  
თაჲ, არამედ ცხოველთაჲ.

33. და ვითარ ესმა ერსა მას, დაუ-  
კჳრდებოდა მოძღურებაჲ იგი მისი.

34. ხოლო ფარისეველთა ვითარ ესმა,  
რამეთუ პირი დაუყო საღუჲველთა, შე-  
კრბეს ერთად.

1 მოსშ E. 2 ცოლი იგი მისი D. 3 და—D. 4 განქორწინებდენ E. 5 დაუჲურდა D.  
6 საღუჲველთა D.

1 თქჳან C. 2 მოსშ C. 3 ესუა C. 4 მოჲუკუდა C.

DE

35. და ჰკითხა ერთმან მათგანმან, რა-მეთუ გამოსცდიდა მას:

36. მოძღუარ; რომელი მცნებაა უფროდს არს შჯულისა შინა?

37. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

38. || ესე არს დიდი და პირველი მცნება.

39. და მეორე<sup>1</sup>, მსგავსი<sup>2</sup> ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

40. ამათ ორთა მცნებათა<sup>3</sup> ყოველი<sup>4</sup> შჯული და წინაწარმეტყუელნი გამოკიდებულ არიან.

41. კრებულ რაა უკუე იყვნეს ფარისეველნი იგი, ჰკითხა მათ იესუ

42. და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესსთვს, ვისი ძე<sup>5</sup> არს იგი? ჰრქუეს მას<sup>6</sup>: დავითისი.

43. ჰრქუა მათ იესუ: და ვითარ უკუე დავით სულითა წმიდითა ჰხადის<sup>7</sup> მას უფლით და იტყვს:

44. ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე<sup>8</sup> ფერჯთა შენთა?

45. უკუეთუ დავით უფლით ჰხადის<sup>7</sup> მას, ვითარ ძე მისი არს?

46. და ვერვინ უძლო მას სიტყვს მიგებად, არცაღა იკადრა. ვინ მიერ დლითგან კითხვად მისა არლარა.

C

35. და ჰკითხა ერთმან მან მათგანმან შჯულის მდებელმან გამოცდიოთ:

36. მოძღუარ, რომელი მცნებაა უდიდეს არს შჯულსა შინა?

37. ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

38. ესე არს დიდი და პირველი მცნება.

39. ხოლო მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

40. ამათ ორთა მცნებათა შინა ყოველი შჯული და წინააწარმეტყუელნი გამოაბენ.

41. კრებულ იყვნეს ყოველნი იგი ფარისეველნი. ჰკითხა მათ იესუ

42. და ჰრქუა: რასა ჰგონებთ თქუენ ქრისტესსთვს? ვისი ძე არს? ჰრქუეს მას: დავითისი.

43. ჰრქუა მათ: ვითარ-მე უკუე დავით სულითა უფლით ხადის და იტყვს:

44. ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჯთა შენთა?

45. უკუეთუ დავით უფლით ხადის მას, ვითარ ძე მისი არს?

46. და ვერვინ შემძლებელ იყო მიგებად მისა, არცა იკადრა ვინ მიერთებან კითხვად მისა არლარა.

## 23

1. მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თვსთა

1. მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თვსთა

DE

2. და ჰრქუა: საყდართა მოსესთა და-  
სხდენ მწიგნობარნი და ფარისეველნი.

3. და ყოველსა რავედენსა გეტყოდიან  
თქუნ, დაიმარხეთ | და ყავთ, ხოლო  
საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ  
თქვან და არა ყვიან.

4. რამეთუ შეკრიან<sup>1</sup> ტურთი მძიმე  
და ძნიად სატურთველი და დასდვიან  
მგართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თი-  
თითაცა<sup>2</sup> ერთითა შეძრვად არა ჰნებავენ  
იგი.

5. ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ  
საჩუენებულად კაცთა: ფართო ყვნიან  
კუბასტნი მათნი და გრძელ ყვიან<sup>3</sup> ფეს-  
უები სამოსლისა მათისად.

6. უყუარს ზემოჯდომად პურსა ზედა  
და წინაჯდომად<sup>4</sup> შესაკრებელთა შორის

7. და პირველ მოკითხვად უბანთა ზე-  
და და რამთამცა ერქუა კაცთაგან: მო-  
ძღუარ!

8. ხოლო თქუნ ნუვის ჰხადით<sup>5</sup> მო-  
ძღურით, რამეთუ ერთი არს მოძღუარი  
თქუენი ქრისტე<sup>6</sup>, ხოლო თქუნ ყოველნი  
ძმანი ხართ.

9. და მამით ნუვის ჰხადით<sup>5</sup> თქუნ  
ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მა-  
მად თქუენი, რომელ არს ცათა შინა.

10. ნუცა გერქუმინ თქუნ წინამძღუ-  
არ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი  
თქუენი ქრისტე<sup>6</sup>.

11. და რომელი დიდ იყოს თქუნ  
შორის, იყოს იგი თქუნდა მსახურ.

12. || და რომელმან აღიმაღლოს თავი  
თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან  
დაიმადაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.

C

2. და ჰრქუა: საყდართა ზედა მოსეს-  
თა დასხდომილ არიან მწიგნობარნი და  
ფარისეველნი.

3. ყოველი რაჲცა გრქუან თქუნ,  
ჰყოფდით და იმარხევდით, ხოლო საქმე-  
თა მათთაებრ<sup>1</sup> ნუ იქმთ, რამეთუ თქვან  
და არა ყვიან.

4. შეკრიან ტურთები მძიმე და ძნიად  
სატურთველი და დასდვიან ბეჭთა ზედა  
კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მითითა  
არა ჰნებავენ შეძრვად იგი.

5. ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ სა-  
ხილველად კაცთა: ფართო იყვიან სა-  
მოსელნი მათნი და განიგრძვიან<sup>2</sup> ფე-  
სუები მათი.

6. უყუარნ მათ<sup>3</sup> მენისთაობად ტაძ-  
რობასა და ზეშთაჯდომად შესაკრებელ-  
თა შინა

7. და მოკითხვად უბნებსა ზედა და  
რქუმად მათდა კაცთაგან: მოძღუარ!

8. ხოლო თქუნ ნუ ჰირქუამთ თავთა  
თქუენთა მოძღუარს, რამეთუ ერთ არს  
თქუენი მოძღუარი, ხოლო თქუნ ყო-  
ველნი ძმანი ხართ.

9. და მამად თქუნდა ნუვის ხადით  
ქუეყანასა<sup>4</sup> ზედა, რამეთუ ერთ არს მა-  
მად თქუენი ზეცათაჲ.

10. და მოძღუარს<sup>5</sup> ნუ ირქუამთ თავ-  
თა თქუენთა, რამეთუ ერთ არს მო-  
ძღუარი თქუენი ქრისტე<sup>6</sup>.

11. და რომელი დიდ იყოს თქუნ  
შორის, იყვენ იგი თქუნდა მსახურ.

12. რამეთუ რომელმან აღიმაღლოს  
თავი თვისი, დამდაბლდეს, და რომელმან  
დაიმადაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.

1 შეკრიბიან D. 2 თითაცა D\*. 3 ყვიან D\*. 4 პურსა ზედა და წინაჯდომად]—E. 5 ხა-  
დით D\*. 6 ქრ DE.

1 მათაებრ C. 2 ან: განიგრძვიან (კარგად არ ჩანს). 3 მათი C. 4 ჰყვიანასა C. 5 მო-  
ძღუარ C. 6 ქრ C.

DE

C

13. ვად თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რომელნი შეშკამთ სახლებსა ქურითასა და მიზეზით განგრძობილად ილოცევიდით<sup>1</sup>. ამისთჳს მიილოთ უდიდესი საშჯელი.

14. ვად თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჰვაშთ<sup>2</sup> სასუფეველი წინაშე კაცთა; თქუენ შე- არა -ხუალთ და შემავალთა უტე- ვებთ<sup>3</sup> არა შესღვად.

15. ვად თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმო- ხუალთ ზღუასა ზედა და ჯმელსა; რად- თა ჰყოთ ვინმე ერთი მწირი; და რაჟამს არს, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიადსა ორ წილ თქუენსა.

16. ვად თქუენდა, წინამძღუარნო ბრმა- ნო, რომელთა სთქვთ, ვითარმედ: რომელმან ფუცოს ტაძარსა მას, არარად არს, ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს.

17. ცოფნო და ბრმანო, რომელი უფ- როდს არს: ოქროდ იგი ანუ ტაძარი, რომელი | განსწმედს ოქროსა მას?

18. და სთქვთ: რომელმან ფუცოს სა- კურთხეველსა, არარად არს, ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ-არს.

19. ცოფნო და ბრმანო, რომელი უფ- როდს არს: შესაწირავი იგი ანუ საკურ- თხეველი, რომელი განსწმედს შესაწი- რავსა?

20. რამეთუ რომელმან ფუცა საკურ- თხეველსა, ფუცავს მას და ყოველსა, რომელი<sup>4</sup> არს მას ზედა.

21. და რომელმან ფუცა ტაძარსა მას, ფუცავს მას და რომელი დამკვდრებულ<sup>5</sup> არს მას შინა.

22. და რომელმან ფუცა ცასა, ფუ-

13.

14. ხოლო ვად თქუენდა, მწიგნობარ- თა და თარგმანთა ორგულთა, რამეთუ დაჰვაშთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ და არცა შემავალთა უტევებთ შესღვად.

15. ვად თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მო- ჰკლით ზღუასა და ჯმელსა, რადამცა მოაქციეთ ვინმე ერთი; და რაჟამს მო- იქცის, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიადს ორ წილ თქუენსა.

16. ვად თქუენდა, მწიგნობართა ბრმა- თა, რამეთუ სთქვთ: რომელმან ფუცოს ტაძარსა, არარად არს; ხოლო რომელ- მან ფუცო[ს] ოქროსა მას, რომელ არს ტაძარსა მას შინა, ჯერ[არ]ს[.]

17. ცოფნო და ბრმანო, რად უდიდეს არს: ოქროდ ანუ ტაძარი იგი, რომელი განსწმედს ოქროსა მას?

18. და რომელმან ფუცოს საკურთხე- ველსა, არად არს; ხოლო რომელმან ფუ- ცოს შესაწი[რ]ავსა მას, რომელ არს მას ზედა, ჯერ-არს.

19. ცოფნო და ბრმანო, რად უფრო არს: შესაწირავი იგი ანუ საკურთხევე- ლი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას?

20. აწ რომელმან ფუცის<sup>1</sup> საკურთხე- ველსა, ფუცის მას და ყოველსა, რომელ არს მას ზედა.

21. და რომელმან ფუცის ტაძარსა, ფუცის მას და რომელი მყოფ არს მას შინა.

22. და რომელმან ფუცის ცასა, ფუ-

1 ილოცვიდით D<sup>o</sup>. 2 დაშვაშთ E. 3 უტეობთ D. 4 რომელ D. 5 დამკვდრებუ E.

1 ფუცოს C.

DE

C

ცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.

23. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო<sup>1</sup> ორგულნო<sup>2</sup>, რამეთუ მოიღებთ ათეულსა პიტნაისა და ცერეცოჲსასა<sup>3</sup> და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი<sup>4</sup> შჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ. ესე ჯერ-იყო საქმედ და იგი არა დატევებად.

24. წინამძღუარნო || ბრმანო, რომელნი<sup>5</sup> დასწურაეთ კურნაქსა და აქლემსა შთანსთქამთ!

25. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწუმედთ გარეშესა<sup>6</sup> სასუმელისასა<sup>7</sup> და პარაფსიდისასა, ხოლო შინაგანი თქუენი სავსე არნ ნატაცებითა და არაწმიდებითა.

26. ფარისეველნო ბრმანო, განწმიდეთ პირველად შინაგანი იგი სასუმელისაჲ<sup>8</sup>, რაჲთა იყოს გარეშეცა<sup>9</sup> მისი წმიდა.

27. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი გარეშე<sup>10</sup> ჩანედ კაცთა წინაშე შეუნიერ<sup>11</sup>, ხოლო შინაგან სავსე<sup>12</sup> არიან ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა.

28. ეგრეცა თქუენ გარეშე<sup>10</sup> ჰგონიეთ კაცთა მართლ, ხოლო შინაგან ხართ სავსე<sup>12</sup> ორგულებითა და უშჯულოებითა<sup>13</sup>.

29. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო | ორგულნო, რამეთუ აღაშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა და შეამკობთ მოსაქსენებელსა მართალთასა.

ცის საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.

23. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მოიათვესით პიტნაისაჲ, ცერეცოჲსაჲ და ძირაკისაჲ და დაგიტევებიეს უმჯობესი სჯულისაჲ: ~~სამართალი~~ და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ. ესე გიღირდა ყოფად და იგი არა დატევებად.

24. წინამძღუარნო<sup>1</sup> ბრმანო, რომელნი დასწურაეთ კურნაქსა და აქლემსა შთანსთქამთ!

25. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რამეთუ განსწუმედთ გარეშესა სასუმელისასა და პარაფსიტისასა, ხოლო შინაგან სავსე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა.

26. ფარისეველნო ბრმანო, განწმიდეთ<sup>2</sup> პირველად შინაგანი სასუმელისაჲ მის, რაჲთა იყოს გარეშეცა მისი წმიდა.

27. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ სამარეთა განგლორწნილთა, რომელნი-იგი გარეშე შეუნიერ<sup>3</sup> ჩან<sup>3</sup>, ხოლო შინაგან სავსე არიან ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა.

28. ეგრეცა თქუენ გარეშე უჩიო კაცთა მმარხველ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ზაკუევითა და უშჯულოებითა.

29. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ თქუენ საფლავებსა მას წინაწარმეტყუელთასა და განაშენებთ სამარებსა მას მართალთასა.

1 ფარისეველ D. 2 ორგულნო D. 3 ცერეცუესასა D. 4 უმძიმესი უმჯობესი E. 5 რომელნი—E. 6 გარეშესა E. 7 სასუმელისასა E. 8 სასუმელისაჲ E. 9 გარეშეცა E. 10 გარეშე E. 11 შეუნიერ D. 12 სავსე E. 13 უშჯულოებითა E.

1 წინამძღუარნო C. 2 განწმიდე C. 3 ასეა.



DE

C

30 და სთქვთ<sup>1</sup>: უკუეთუშე ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.

31. ვითარმედ ამით სწამებთ თავით თუხით, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი.

32. და აწ თქუენცა აღავსეთ სარწყული მამათა თქუენთად.

33. გუელნო და ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სატანჯველსა გეჰენიადსასა?<sup>2</sup>

34. ამისთუხ აჰა ესერა მე მოვავლინენ თქუენდა წინაწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყვდნეთ<sup>3</sup> და ჯუარს-აცუნეთ, და მათგანნი სტანჯნეთ შესაკრებელთა თქუენთა შორის და სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად.

35. რადთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელის მართლისადთ, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაძისა, ოღისა ბარუქისა, რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა.

36. ამენ გეტყვ თქუენ: მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა.

37. იერუსალმ, იერუსალმ, რომელმან მოსწყვდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ<sup>4</sup> ზედა, რაოდენ<sup>5</sup> გზის ვინებე შეკრებაჲ შეილთა შენთად, ვითარცა შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თუხნი ქუეშე<sup>6</sup> ფრთეთა, და არა ინებე!

38. აჰა ესერა დაუტევებთ თქუენ სახლთა თქუენთა ოჯრად.

30. და სთქუთ: ვიყვენით თუმცა ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ზიარ ვიყვენით<sup>1</sup> მათ თანა სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.

31. აწ თქუენვე ეწამებით თავთა: თქუენთა, რამეთუ ნაშობნი ხართ, რომელთა მოწყვდნეს წინადაწარმეტყუელნი.

32. და თქუენცა აღავსეთ სარწყული მამათა თქუენთად.

33. გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სასჯელსა გეჰენიადსასა?<sup>2</sup>

34. ამისთუხ აჰა ესერა<sup>3</sup> მივავლინენ თქუენდა წინაწარმეტყუელნი და ბრძენნი მწიგნობარნი, მათგანნი მოწყვდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, და მათგანნი ჰგუემნეთ შესაკრებელთა შინა თქუენთა და სდევნეთ ქალაქითი ქალაქად,

35. რადთა მოვიდეს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული<sup>4</sup> ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელის მართლისადთ მისისხლამდე ზაქარიაძისა, ძისა ბარუქისი, რომელი-იგი მოჰკალთ შორის ტაძრისა მის და საკურთხეველისა.

36. მართლიად გეტყუ თქუენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა.

37. იერუსალმ<sup>5</sup>, იერუსალმ<sup>5</sup>, რომელმან მოსწყვდენ<sup>6</sup> წინადაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოციქულთა შენთა, რაოდენ გზის მინდა შეკრებაჲ ნაშობთა შენთად, ვითარცა ქათამმან შეიკრიბნის მართუენი<sup>7</sup> ქუეშე ფრთეთა, და თქუენ არა ინებეთ!

38. აჰა ეგერა დაგშდების თქუენ სახლი თქუენი ოჯერი.

1 სთქვთ) — E. 2 გეჰენიადსა E. 3 მოწყვდნეთ D. 4 შენთა D. 5 რადენ F. 6 ქუეშე E.

1 ზიარ-იყვენით C. 2 გეჰენიადსასა C. 3 ესერა C. 4 დათხეული ორჯერ არის C ~ 5 იწლმ C. 6 მოსწყვდენ C. 7 მართუენი C.

DE

C

39. ხოლო გეტყვ თქვენ: არლარა მი-  
ხილოთ მე ამიერიოგან, ვიდრემდე  
სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სა-  
ხელითა უფლისაჲთა.

39. ხოლო გეტყუ თქვენ: ვერლარა  
მიხილოთ მე ამიერიოგან, ვიდრემდის  
არა სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი  
სახელითა უფლისაჲთა.

24

1. და გამოვიდა იესუ ტაძრისა მის-  
გან და წარვიდა. და მოუტდეს მას მო-  
წაფენი თჳსნი, უჩუენებდეს მას შენე-  
ბულსა მას ტაძრისასა.

2. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ:  
ჰხედავთ <sup>1</sup> სამე ამას ყოველსა? ამენ გეტყვ  
თქვენ: არა დაშთეს აქა ქვაჲ ქვასა ზე-  
და <sup>2</sup>, ვიდრემდე ყოველივე დაირლუეს <sup>3</sup>.

3. და ვითარცა ჯდა <sup>4</sup> თავადი მთასა  
მას ზეთის ხილთასა, მოუტდეს მას მოწა-  
ფენი თჳსაგან და ეტყოდეს: მითხარ  
ჩუენ: ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სა-  
სწაულ<sup>5</sup> შენისა მის მოსლვისაჲ და აღ-  
სასრული ამის სოფლისაჲ?

4. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძა-  
ლენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქვენ,

5. რამეთუ მრავალნი მოვიდოდინ  
სახელითა ჩემითა და იტყოდინ, ვითარ-  
მედ: მე ვარ ქრისტე <sup>6</sup>, და მრავალთა აც-  
თუნებდენ.

6. და გესმოდინ ბრძოლანი და ჰამ-  
ბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შეს-  
ძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყო-  
ფად <sup>7</sup>, არამედ არლა არს აღსასრული.

7. აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა,  
და მეუფებამ მეუფებასა ზედა, და იყე-  
ნენ სიყმილი და სრვანი და ძრვანი აღ-  
გილდ-აღგილდ,

8. რამეთუ ესე ყოველი დასაბამი სალ-  
მობათაჲ არს.

1. და გამოვიდა იესუ ტაძრით და  
წარვიდოდა. და მოუტდეს მას მოწაფე-  
ნი <sup>1</sup> თჳსნი ჩუენებად მისა ნაქმნევისა მის  
ტაძრისაჲსა.

2. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ:  
ხედავთა ამას ყოელსა? მართლიად  
გეტყუ თქვენ: არა დაშდეს აქა ქვაჲ  
ქვასა ზედა, რომელ არა დაირლუეს <sup>2</sup>.

3. ჯდა რაჲ იგი მთასა მას ზედა ზე-  
თის ხილთასა, მოუტდეს მას მოწაფენი  
თჳსაგან და ეტყოდეს: მარქუ ჩუენ: ოდეს  
ყოფად არს ესე, და რაჲ სასწაული იყოს  
შენისა მოსლვისაჲ და აღსასრული ამის  
სოფლისაჲ?

4. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: იგუ-  
ლეთ, ნუვინ გაცთუნნეს თქვენ,

5. რამეთუ მრავალნი მოვიდენ სახე-  
ლითა ჩემითა და იტყოდინ: მე ვარ  
ქრისტე, და მრავალნი აცთუნნენ.

6. ხოლო გესმოდინ-ლა ბრძოლანი  
და ჯმად წყობათაჲ, ეკრძალენით, ნუ აღ-  
ტყდებით <sup>3</sup>, რამეთუ ყოფად არს ესე ყო-  
ველი, ხოლო აღსასრული არლა იყოს.

7. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათე-  
სავსა ზედა, და მეუფებამ მეუფებასა ზე-  
და, და იყენენ სიყმილი და წყუედა-  
ნი <sup>4</sup> და ძრვანი აღგილ-აღგილ.

8. ხოლო ესე ყოველი რყოს დასაბა-  
მი სალმობათაჲ.

1 ხედავთ D. 2 ზედა]—E 3 ყოველი (ქი) დაირლუას D\* (ძველად ნაწერი „ა“ ნათლად ჩანს). 4 დაჯდა E. 5 ქრისტჳ (ქშ) DE. 6 ყოფად D.  
1 მოწაფენი C. 2 დაირლუეს C. 3 ასეა. 4 წყუედანი C.

DE

C

9. მაშინ მიგცენენ თქუენ ჰირსა და მოგწყვდენენ თქუენ, და იყვენთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან || წარმართთა სახელისა ჩემისათჳს.

10. და მაშინ დაბრკოლდებოდიან მრავალნი და ურთიერთას შინა-განსცემდენ<sup>1</sup> და იძულობდენ ურთიერთას.

11. და მრავალნი ცრუ წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა.

12. და განმრავლებითა უშჯულოებისათა<sup>2</sup> განვმეს სიყუარული მრავალთაჲ.

13. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს<sup>3</sup>.

14. და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული.

15. ხოლო რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოჯრებისაჲ, თქუმული დანიელ<sup>4</sup> წინაწარმეტყუელისა<sup>5</sup> მიერ, მდგომარც<sup>6</sup> აღდგისა წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს\*, გულისკმა-ყავ.

16. მაშინ რომელი ჰურიასტანს იყოს, ივლტოდენ მთად;

17. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვლენ აღებად რაჲსამე სახლისაგან თჳსისა;

18. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუნეიქცევიან | კულად აღებად სამოსლისა თჳსისა.

19. ხოლო ვაჲ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ ღღეთა<sup>7</sup> შინა!

9. მაშინ მიგცენენ<sup>1</sup> თქუენ ჰირსა და მოგწყვდენენ<sup>2</sup> თქუენ, და იყვენთ მოძულებულ ყოველთაგან ნათესავთა სახელისა ჩემისათჳს.

10. და მაშინ ცთენ მრავალნი და ურთიერთას არდაბაგებდენ და იძულებდენ ურთიერთას.

11. და მრავალნი ცრუ წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნენ<sup>3</sup> მრავალნი.

12. და განმრავლებისათჳს უსჯულოებისაჲსა განვმეს სიყუარული მრავალთაჲ.

13. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.

14. და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა ნათესავთა, და მაშინ-ღა იყოს აღსასრული.

15. ხოლო რაჟამს იხილოთ ბილწი იგი ოჯრებისაჲ, რომელ თქუმულ არს დანიელ წინამდგომარმეტყუელისაგან, მდგომარე აღდგისა მას წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისკმა-ჰყოფდინ.

16. მაშინ ჰურიასტანისანი ევლტოდენ მთად;

17. და რომელნი ერდოებსა ზედა იყვნენ, ნუ გარდამოვლენან აღლებად რაჲსამე სახლისაგან თჳსისა;

18. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუმოიქცევიან უკუმომართ აღებად სამოსლისა თჳსისა.

19. ხოლო ვაჲ მუცელ-ქმნულთა მათ და (მაწოენებლთა) მათ ღღეთა შინა!

1 გასცემდენ E. 2 უშჯულოებისათა E, უსჯულოებისათა D. 3 ცხონდეს D. 4 დანიელ E. 5 წინაწარმეტყუელისა DE. 6 მდგომარე D. 7 ღღეთა D.

\* ამაჲს ჭებმით ერთი ფურცელი აკლია E-ს და ტექსტი მართო D-ს მიხედვით არის მოყვანილი (24, 15—24, 31)

1 მიგცენ C. 2 მოგწყვდენენ C. 3 აცთუნენ C.

D

C

20. არამედ ილოცევდით, რადგან არა იყოს სივლტოლად თქუენი ზამთარსა შინა გინა დღესა შაბათსა.

21. რამეთუ იყოს მაშინ ქირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაჲთ, ვიდრე აქამომდე, არცალა ყოფად არს.

22. და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ქორციელი, ხოლო რჩეულთა<sup>1</sup> მათოჲს შემოკლდენ დღენი იგი.

23. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა, აჰა არს ქრისტე<sup>2</sup> გინა იქი, ნუ გრწამნ.

24. რამეთუ აღდგენ ქრისტე-მეტყუევარნი და ცრუ წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშნებსა, ვითარცა ცთუნებად, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთა მათცა.

25. აჰა ესერა წინადაწარ გარქუ თქუენ.

26. უკუეთუ გრქუან თქუენ: უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯესა შინა || არს, ნუ გრწამნ.

27. რამეთუ, ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის<sup>3</sup> მზის აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.

28. რამეთუ სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები.

29. ხოლო მეყსეულად შემდგომად ქირისა მის მათ დღეთაჲსა მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა<sup>4</sup> გამოსცეს ნათელი თჳსი, და ვარსკულაენი გარდამოცვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ.

30. და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ ეტ-

20. ხოლო ილოცევდით, რადგან არა იყოს სივლტოლად თქუენი ზამთარსა, ნუცა შაფათსა.

21. რამეთუ იყოს მაშინ ქირი დიდი, რომელ არა ყოფილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ მოაქამდე, არცალა იყოს.

22. და არა თუმცა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ქორციელი, ხოლო რჩეულთათჳს შემოკლდენ დღენი იგი.

23. მაშინ თუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა, ესერა არს ქრისტე ანუ ეგერა, ნუ გრწამნ.

24. რამეთუ აღდგენ ცრუ წინაწარმეტყუელნი და სცენ სასწაულებ დიდ და ნიშნებ, რადგანცა აცთუნნეს, შე-თუმცა-უძლეს, რჩეულთაცა.

25. აჰა ესერა წინადაწარ გარქუ თქუენ.

26. უკუეთუ გრქუან თქუენ: აჰა უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს, ნუ გრწამნ.

27. რამეთუ, ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსავალთა და ბრწყინან დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.

28. რამეთუ სადაცა დაეცეს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები.

29. მუნქუესვე შემდგომად ქირისა მის მათ დღეთაჲსა მზე<sup>1</sup> დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი, და ვარსკულაენი გარდამოცვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ.

30. და მაშინ გამოჩნდეს ნიში იგი ძისა კაცისაჲ ზეცას, და ეტყებდენ ყოველ-

1 რჩეულთა D. 2 ქრისტე (ქ<sup>მ</sup>) D. 3 გამობრწყინდის D. 4 არაჲ D.  
1 მზეშ C.

DE

C

ყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, და იხილონ ძმ კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

31. და წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი საყვრითა დიდითა და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცისაჲთ ვიდრე კიდემდე მისა <sup>1</sup>.

32. ხოლო ლელქსაგან ისწავეთ იგავი: ვითარცა-იგი რაჲამს. | რტონი მისნი <sup>2</sup> დაჩჩჳნ, და ფურცელი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არნ ზაფხული.

33. ეგრეცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.

34. ამენ გეტყჳ თქუენ: არა წარკდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს <sup>3</sup>.

35. ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარკდენ.

36. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა <sup>4</sup> არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა <sup>5</sup>, არცა ძემან <sup>6</sup>, გარნა მამამან მხოლომან.

37. ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოვესთა, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.

38. ვითარცა-იგი <sup>7</sup> იყვნეს დღეთა მათ პირველ წყლით რღუნისათა: კამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს <sup>8</sup> მუნ დღემდე, ვიდრემდე <sup>9</sup> შევიდა ნოვე კიღობნად <sup>10</sup>,

39. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით რღუნაჲ იგი და წარიღო ყოველი, ესრჳთ <sup>11</sup> იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.

40. მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე <sup>12</sup>: ერთი იგი <sup>13</sup> წარიყვანოს, და ერთი დაეტევოს <sup>14</sup>.

ნი ნათესავნი ქუეყანისანი, და იხილონ ძე კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ციქსათა ძალითა და დიდებითა დიდითა.

31. და წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი ნესტუთა დიდითა და შეკრიბნეს რჩეულნი თჳსნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცათაჲთ კიდემდე მათა.

32. ხოლო ლელქსაგან ცანთ იგაცეი ესე: რამეთუ რაჲამს რტონი მისნი დაჩჩიან <sup>1</sup>, და ფურცელი გამობუტკოინ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არნ არს.

33. ეგრეცა თქუენ, რაჲამს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.

34. მართლიად გეტყჳ თქუენ: არა წარკდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს.

35. ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარკდენ.

36. ხოლო დღს იგი და ჟამი არავინ უწყის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, გარნა მამამან ხოლო მართომან.

37. ვითარცა-იგი დღენი ნოესნი, ეგრე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ.

38. რამეთუ, ვითარცა იყვნეს დღეთა მათ რღუნის წინათა: კამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს მი- მუნ -დღემდე, რომელსა შევიდა ნოვე კიღობნად,

39. და არა უწყოდეს, ვიდრემდე მოიწია რღუნაჲ იგი და წარიიხუნა ყოველნი. ეგრე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ.

40. მაშინ ორნი იყვნენ <sup>2</sup> აგარაკსა შინა: ერთი წარიყვანიონ <sup>2</sup> და ერთი დაეტეონ.

1 მათა D. 2 მისნი)—D. 3 იქმნას D. 4 ეშსა D. 5 ცისათა)—E. 6 ძმან D. 7 ვითარცა E. 8 განჰქორწინებოდეს D. 9 ვიდრე (ერ) D. 10 კიღობად D. 11 ესრეთ D. 12 გარს E 13 იგი)—D. 14 დაეტევოს D.

1 ასეა. 2 იყუენენ C. 3 წარიყვანონ C.

DE

C

41. ორნი || ფქვილდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს<sup>1</sup>.

42. იღუძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს.

43. ხოლო ესემცა იცით: უკუეთუმცა უწყოდა სახლისა<sup>2</sup> უფალმან, რომელსა ეამსა მპარავი მოსლვად არს, იღუძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისაჲ.

44. ამისთჳს თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ რომელსა ეამსა არა ჰგონებდეთ, ძმ კაცისაჲ მოვიდეს.

45. ვინმე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინა უფალმან თჳსმან მსახურთა თჳსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ეამსა თჳსსა?

46. ნეტარ არს მონისაჲ მის, რომლისაჲ მოვიდეს უფალი თჳსი და პოვოს<sup>3</sup> იგი ესრეს<sup>4</sup> მოქმედი.

47. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველსა ზედა მონაგებსა თჳსსა დაადგინოს<sup>5</sup> იგი.

48. უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თჳსსა: ყოენის უფალი ჩემი მოსლვად,

49. და იწყოს გუემად მისთანათა მათ მონათა, კამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა<sup>6</sup> თანა,

50. მოვიდეს უფალი იგი<sup>7</sup> მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ეამსა, რომელსა არა უწყოდის,

51. და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

41. ორნი ფქვილდენ ფქვილთა: ერთი წარიყვანონ<sup>1</sup> და ერთი დაუტეონ.

42. მღუძარე<sup>2</sup> იყვენით<sup>3</sup>, რამეთუ არა უწყით, რომელსა დღესა უფალი იგი თქუენი მოვიდეს.

43. იგი უწყოდეთ, რამეთუ უწყოდა თემცა მამასახლი[ს]მან, რომელსა ეამსა მპარავი მოვიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თვისისა.

44. ამისთჳს თქუენცა მზა იყვენით, რამეთუ რომელსა არა ჰგონებდეთ ეამსა, ძე კაცისაჲ მოვიდეს.

45. [ვ]ინმე უკუე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და გონიერი, რომელ დაადგინა უფალმან ეზოსა თჳსსა ზედა მიცემად როკიკისა მათა ეამსა.

46. ნეტარ იყოს მონაჲ იგი, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.

47. მართლიად გეტყუ თქუენ, რამეთუ ყოველსა ზედა დაადგინოს იგი.

48. უკუეთუ თქუას უკეთურმან მან მონამან გულსა შიდა თჳსსა: ყოენოს უფალმან ჩემმან მოსლვაჲ,

49. და იწყოს გუემად მონა-მოყუასთა მათ თჳსთა, კამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა,

50. მოვიდეს უფალი იგი მის მონისაჲ დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ეამსა, რომელსა არა უწყოდის,

50. და განკუეთოს<sup>4</sup> იგი და ნაწილი მისი ორგულთა თანა დადვას. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

1 დაეტეოს D. 2 სახლის D. 3 პოოს D. 4 ესრეთ D. 5 დაადგინო D. 6 მომთრვა[ეთა] D. 7 იგი]—E.

1 წარიყვანონ C. 2 მღუძარე C. 3 იყვენით C. 4 განკუეთოს C.

## 25

## D.F.

1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათა ათთა მათ ქალწულთა, რომელთა აღინთნეს სანთელი თჳსნი და განვიდეს მიეგებებად<sup>1</sup> სიძისა და სძლისა<sup>2</sup>.

2. ხოლო ხუთნი იგი მათგანნი იყენეს სულელნი და ხუთნი ბრძენნი.

3. მოიხუნეს სულელთა მათ სანთელნი მათნი და არა მოიღეს მათ თანა ზეთი.

4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭრითა<sup>3</sup> მათითა სანთელთა მათთა თანა.

5. და იყო დაყოვნებასა<sup>4</sup> მას მის<sup>5</sup> სიძისასა მიერულან ყოველთა და დაიძინეს.

6. ხოლო შუვა ღამეს<sup>6</sup> ოდენ ღამედებად იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე<sup>7</sup> მოვალს, აღდგით და მიეგებვოდით.

7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს სანთელნი მათნი<sup>8</sup>.

8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით || ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ სანთელნი ჩუენნი<sup>9</sup> დაშრტებიან.

9. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუჟუჟვი ვერ გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა ზეთი.

10. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი<sup>10</sup>, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა მის თანა ქორწილსა მას, და დაეკმა კარი.

## C

1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათა ათთა ქალწულთა, რომელთა მოიხუნეს სანთელნი მათნი და გამოვიდეს წინა-მიეგებებად სიძისა და სძლისა<sup>1</sup>.

2. ხოლო ხუთნი იგი მათგანნი იყენეს სულელ და ხუთნი ბრძენ.

3. სულელთა მათ რა აღიხუნეს სანთელნი მათნი, არა აიღეს<sup>2</sup> მათ თანა ზეთი.

4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი საზეითთა მათითა სანთელთა მათთა თანა.

5. და ვითარ ყოვნიდა სიძე იგი, მიერულა ყოველთა და დაიძინეს.

6. შუვა ღამეს ოდენ ჯმა იყო: აჰა ესერა სიძე<sup>3</sup>, გამოედით და მიეგებვოდით მას.

7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს სანთელნი იგი მათნი:

8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: გუეცით ჩუენცა ზეთი ზეთისა მაგის თქუენისა, რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაგუშრტებიან<sup>4</sup>.

9. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუჟუჟვი<sup>5</sup> ვერ გუეყოს ჩუენ და თქუენ; მივედით მოფარდულთა და იყიდეთ თქუენდა<sup>6</sup>.

10. მი-რაჲ-ვიდოდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და მზანი იგი შევიდეს მის თანა ქორწილსა მას, და დაეკმა კარი.

1 მიეგებად D. 2 სძლისა] ეს სიტყვა D-შიც სწორია, მაგრამ ამოფხვავილია. 3 ჭურჭლითა D. 4 დაყოვნებას D. 5 მის]-E. 6 შუვა ღამესა D. 7 სიძე D. 8 მათნი]-E. 9 ჩუენ (ჩ'ნ) D. 10 იგი]-E.

1 „სძლისა“ ამოშლილია. 2 არაიღეს C. 3 სიძე C. 4 დაგუშრტებიან C. 5 ნუჟუჟვი C. 6 თქუენდად C.

DE

C

11. შემდგომად ამისა მერმე მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგვლე ჩუენცა!

12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ: არა გიცნი თქუენ.

13. ილჳებდით უკუე თქუენცა, რამეთუ არა იცით დღე<sup>1</sup> იგი, არცა ეამი.

14. ვითარცა-იგი რაჳამს წარვალნ კაცი გზას და მოუწოდა მონათა თჳსთა და მისცა მათ მონაგები თჳსი;

15. და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე ორი, და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თჳსისა, და წარვიდა.

16. და მეყსეულად წარვიდა რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნა მას ზედა და შესძინა სხუად-ლა ხუთი.

17. ეგრევე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუად-ლა ორი.

18. ხოლო რომელმან-იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთხარა და დაჰულა<sup>2</sup> ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ.

19. შემდგომად მრავლისა ეამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუა-ყო<sup>3</sup> მათ მონათა თანა.

20. და წარდგა, რომელმან იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და მოართუა მას სხუად-ლა ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჲ სხუად ხუთი ქანქარი შევსძინე.

21. ჰრქუა მას უფალმან თჳსმან: კეთილო<sup>4</sup>, მონაო სახიერო და სარწმუნო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, და მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

22. მოვიდა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიიღო, და ჰრქუა: უფალო, ორი

11 უკუანადსკნელ მოვიდეს სხუანი იგო ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგვლე<sup>1</sup> ჩუენ!

12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: მართლიად გეტყუ თქუენ: არა გიცნი თქუენ.

13. აწ მღუძარე<sup>2</sup> იყვენით<sup>3</sup>, რამეთუ არა უწყით დღე იგი, არცა ეამი.

14. ვითარცა კაცსა-ლა ეგულეები გზად სლვად, მოუწოდა თჳსთა მონათა და მისცა მათ ნაყოფი თჳსი;

15. და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე ორი, და რომელსამე ერთი, თითოეულსა მსგავსად თჳსისა ძალისა, და წარვიდა.

16. მუნქუესვე წარვიდა რომელმან ხუთი ქანქარი მიიღო, იქმოდა მას და შესძინა სხუად<sup>4</sup> ხუთი.

17. ეგრეცა, რომელმან ორი მიიღო, შესძინა სხუად ორი.

18. ხოლო რომელმან ერთი იგი მიიღო, წარვიდა და აღმოთხარა ქუეყანაჲ და დამალა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ.

19. შემდგომად მრავლისა ეამისა მოვიდა უფალი მათ მონათაჲ და ყო<sup>5</sup> სიტყუა მათ თანა.

20. და მოვიდა, რომელსა ხუთი ქანქარი მიიღო, მოართუა მას სხუად ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჲ ესერა სხუად ხუთი ქანქარი შევსძინე.

21. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

22. წარდგა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიიღო, დ(ა)<sup>6</sup> ჰრქუა: უფალო, ორი.

1 დღე D. 2 დაფლა D. 3 სიტყუა-ყო DE. 4 კეთილო D.

1 განგვლე C. 2 მღუძარე C. 3 იყვენით C. 4 სხუად C. 5 ყუ C. 6 დ C.



DE

C

ქანქარი მომეც მე, და აპა სხუად ორი ქანქარი შევსძინე.

23. ჰრქუა მას უფალმან თჳსმან: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნო! მტირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, და მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა<sup>1</sup> || უფლისა შენისასა.

24. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცელი კაცი ხარ შენ: მოიმიკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ<sup>2</sup>.

25. შემეშინა და წარვედ და დავჳჳალ<sup>3</sup> ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. და აპა ესერა შენი შენ თანა არს.

26. მიუგო მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: უკეთურო მონაო და მედგარო, უწყოდე, რამეთუ მოვიმიკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ.

27. ჯერ-იყო დადებად შენდა ვეცხლი იგი ჩემი საეპკროსა, და მო-მცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი<sup>4</sup> აღნადგინებითურთ<sup>5</sup>.

28. მოუღეთ მაგისგან ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს<sup>6</sup> ათი ქანქარი.

29. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს<sup>7</sup> და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან.

30. | და მონაჲ იგი უქმარი განჯადეთ გარე<sup>8</sup> ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

31. რაჲამს მოვიდეს ძჳ კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა;

32. და შეკრიბენ წინაშე მისა ყოველნი

ქანქარი მომეც, აპა ორი სხუად ქანქარი შევსძინე.

23. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნო! მტირედსა ზედა სარწმუნო იქმენ შენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

24. წარმოდგა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო<sup>1</sup>, და თქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელ კაც ხარ შენ: მოიმიკი, სადა არა სთესი, და შეიკრიბი, რომელ არა განგიბნევიან.

25. და შემეშინა, მივედ და დავჳჳალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აპა შენ თანა არს შენი.

26. მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: უკეთურო მონაო და მედგარო, უწყოდე, რამეთუ მოვიმიკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიან<sup>2</sup>.

27. გიღირდა ვეცხლი იგი ჩემი მიცემად ვაჳართა, და მო-მცა-ვედ მე და მო-მცა-ვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.

28. აწ მოუღეთ მას ქანქარი იგი და მიეცით, რომელსა აქუს ათი ქანქარი.

29. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელსა იგი აქუნდეს, მი-ვე-ელოს მისგან.

30. და მონაჲ იგი უქმარი განჯადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

31. რაჲამს<sup>3</sup> მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოელნი ანგელოზნი<sup>4</sup> მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა ზედა დიდებისა მისისათა;

32. და შეკრიბნენ წინაშე მისა ყო-

1 სიხარულსა D. 2 განგიბნევიედ D. 3 დავჳჳალ D. 4 იგი]—E. 5 აღნადგინებითურთ D.

6 აქუს E, აქუნდა D. 6 მიეცეს მას E. 8 გარე]—D.

1 მიმიელო C. 2 განმიბნევიენ C. 3 რაჲამს C. 4 ანგზნი C.

DE

C

ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთი-  
ერთას; ვითარცა-იგი მწყემსმან განარ-  
ჩინის<sup>1</sup> ცხოვარნი თიკანთაგან.

33. და დაადგინის<sup>2</sup> ცხოვარნი მარ-  
ჯუენით მისა და თიკანნი—მარცხენით.

34. მაშინ ჰრქუას მეუფემან მან მარ-  
ჯუენითთა მათ: მოვედით, კურთხეულ-  
ნო მამისა ჩემისანო, და<sup>3</sup> დაიმკვდრეთ  
განმზადებული თქუნთვს სასუფეველი  
დასაბამითგან სოფლისაჲთ<sup>4</sup>.

35. რამეთუ მშოიდა, და მეცთ მე ქა-  
მადი; მწყუროდა<sup>5</sup>, და მასუთ მე; უცხო  
ვიყავ, და შემიწყნარეთ მე;

36. შიშუელ ვიყავ, და შემოსეთ მე;  
სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრო-  
ბილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა.

37. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ  
და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ  
მშვიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყური-  
ელი და გასუთ შენ?

38. ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და  
შეგიწყნარეთ შენ? ანუ შიშუელი და შეგ-  
მოსეთ შენ?

39. ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ  
საპყრობილესა და მოვედით შენდა?

40. და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუ-  
ას<sup>6</sup> მათ: ამენ გეტყვ თქუნ: რაოდენი  
უყავთ<sup>8</sup> ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმა-  
თა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.

41. მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათ:  
წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა  
მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ  
არს ეშმაკისათვს და მსახურთა მისთა,

42. რამეთუ მშოიდა, და არა მეცით  
მე ქამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე;

43. უცხო ვიყავ, და არა შემიწყნა-

ველნი ნათესავნი და განარჩინეს იგინი  
ურთიერთას, ვითარცა მწყემსმან-და გა-  
ნარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან.

33. და დაადგინის ცხოვარნი იგი  
მარჯუენით მისსა, ხოლო თიკანნი—მარ-  
ცხენით.

34. მაშინ ჰრქუას მეუფემან მან მარ-  
ჯუენითთა მათ მისთა: მოვედით,  
კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაი-  
მკვდრეთ, რომელი-იგი განმზადებულ  
არს თქუნთვს სასუფეველი დაბადებით-  
გან სოფლისაჲთ.

35. რამეთუ მშოიდა, და მეცით მე  
ქამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო  
ვიყავ, და შემიწყნარეთ მე;

36. შიშუელ<sup>1</sup> ჰყავ, და შემოსეთ მე;  
სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრო-  
ბილესა ჰყავ, და მოხუედით ჩემდა.

37. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ  
და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ  
მშვიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყური-  
ელი, და გასუთ შენ?

38. ანუ ოდეს გიხილეთ შენ უცხოჲ  
და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შე-  
გმოსეთ?

39. ოდეს სადა გიხილეთ სნეული ანუ  
საპყრობილესა შინა და მოვედით შენდა?

40. მიუგოს მეუფემან<sup>2</sup> მან და ჰრქუას  
მათ: მართლიად გეტყვ თქუნ: რაოდენი-  
რაჲ უყავთ ერთსა ამას<sup>3</sup> ძმათა ჩემ-  
თა მცირედთაგანსა, მე მიყავთ.

41. მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათ-  
თაცა მათ: წარგუალეთ ჩემგან, წყეულ-  
ნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი  
განმზადებულ არს ეშმაკისა და მსახურ-  
თა მისთა,

42. რამეთუ მშოიდა, და არა მეცით  
მე ქამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე;

43. უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ;

1 განარჩინეს D. 2 დაადგინის E. 3 და]—D. 4 სოფლისაჲთ D. 5 და მწყუროდა E.  
6 ჰრქათ E. 7 რაოდენი E. 8 ჰყავთ DE (=ჰყავთ?)

1 შიშუელ C. 2 მეუფემან C. 3 მას C.

DE

C

რეთ მე; შიშულ ვიყავ, და არა შემოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუდლით ჩემდა.

44. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი ანუ წყურიელი ანუ უცხოებასა<sup>1</sup> ანუ უძლურებასა<sup>2</sup> ანუ საპყრობილესა და არა გამსახურეთ შენ?

45. მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენსა არა უყავთ ერთსა<sup>3</sup> მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ.

46. და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი—ცხორებასა საუკუნესა.

შიშულ ვიყავ, და არა შემოსეთ მე; სნეულ ვიყავ და საპყრობილეს შინა ვიყავ, და არა მოხუდლით<sup>1</sup>.

44. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი ანუ წყურიელი ანუ უცხოება ანუ შიშული<sup>2</sup> ანუ სნეული ანუ საპყრობილესა შინა და არა გამსახურეთ შენ?

45. მიუგოს მათ და ჰრქუას: მართალიად გეტყუ თქუენ: სადა არა უყავთ ერთსა ამათ მცირედთაგანსა, არცა მე მიყავთ.

46 და მივიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი—ცხორებასა საუკუნესა.

26

1. და იყო რაემს წარასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი, ჰრქუა მოწაფეთა თვსთა:

2. უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა<sup>4</sup> ვნებად იყოს, და ძჲ კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად?

3. მაშინ შეკრბეს მღდელთ მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი || ეზოსა მას კაიაფაჲს<sup>5</sup> მღდელთ მოძღურისასა,

4. და ზრახვა-ყვეს, რადთა იესუ ზაკუვით შეიპყარნ.

5. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, რადთა არა შფოთი იყოს ერსა შორის.

6. ხოლო იესუ იყო რაჲ<sup>6</sup> ბეთანიას, სახლსა სიმონის კეთროვნისასა,

7. მოუჭდა მას დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალბასტრი ნელსაცხებელისაჲ<sup>7</sup>, მრავლისა სასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა მისსა ინჯით-მჯდომარესა.

1. და იყო რაემს წარასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი, ჰრქუა მოწაფეთა თვსთა:

2. უწყით, რამეთუ ორისა დღისა შემდგომად ზატიკი ყოფად არს, და ძჲ კაცისაჲ მიეცემად არს ჯუარ-ცუმად.

3. მაშინ შეკრბეს მღდელთ მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას მღდელთ მოძღურისასა, რომელსა ერქუა კაიაფა,

4. და ზრახვა-ყვეს, რადთამცა იესუ ზაკუვით შეიპყარეს და მოკლეს.

5. და იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა შინა, რადთა არა ამხოვება იყოს შორის ერსა.

6. ხოლო იესუ ვითარ იყო ბეთანიას სახლსა სიმონისა, განბოკლებულისასა,

7. მოუჭდა მას დედაკაცი, რომელსა აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი დიდის სასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა ზედა მისსა, ვითარ ინჯ-ედგა მას.

1 უცხოებასა E. 2 ანუ უძლურებასა D („უ“ ორივეს ეკეთვნის). 3 ერთსა ერთსა D. 4 დღესა D. 5 კაიაფას D. 6 ხოლო... რაჲ| ხოლო იყო რაჲ იგი E. 7 ასეა (შდრ. შემდგომი მუხლი). 1 მოხუდლით C („უ“ დაზიანებულია). 2 შიშული C.

DE

C

8. იხილეს რაჲ მოწაფეთა, განრისხნეს და იტყოდეს: რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ნელსაცხებელისაჲ ამის?

9. შესაძლებელ იყო განსყიდად ესე დიდძალისა სასყიდლისა და მიცემად გლახაკთა.

10. გულსჩმა-ყო<sup>1</sup> იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა შრომისა შეამთხუეეთ<sup>2</sup> დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე<sup>3</sup> კეთილი ქმნა ჩემდა მომართ,

11. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

12. რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე გორცთა ჩემთა, დასაფლავად ჩემდა ყო.

13. ამენ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის<sup>4</sup>, რომელცა-ესე ყო, საქსენებელად მაგისა.

14. მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღდელთ შოძლუართა

15. და ჰრქუა მათ: რაჲ გნებაჲს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი.

16. და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ.

17. ხოლო პირველსა მას დღესა უტომოებისასა<sup>5</sup> მოუვლეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს მას: სადა გნებაჲს, და მზავიყოთ შენ ჰამად ვნებაჲ ესე?

18. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: წარვიდით ქალაქად კაცისა ვისამე და არქუთ მას: მოძლუარმან ეგრე (თქუა)<sup>6</sup>: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო ვნებაჲ ესე მოწუფითურთ<sup>7</sup> ჩემით.

19. და ყვეს ეგრე მოწაფეთა, || ვი-

8. იხილეს რაჲ მოწაფეთა, გული განუწყრა და იტყოდეს: რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ამის ნელსაცხებელისაჲ?

9. რამეთუ ღირდა განსყიდად დიდძალის და მიცემად გლახაკთა.

10. ხოლო ვითარ აგრძნა იესუ, ჰრქუა მათ: რაჲსათჳს დააშრობთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ:

11. გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

12. რამეთუ დამასხა მე ამან ნელსაცხებელი ესე გორცთა ჩემთა ზედა, საკულდროჲს შემოსისა ჩემისათჳს მიყო მე.

13. ხოლო მართლიად გეტყჳ თქუენ, რამეთუ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოელსა სოფელსა, ითქუას, რომელსე<sup>1</sup> ყო ამანცა, საქსენებელად მაგისა.

14. მაშინ მივიდა ერთი ათორმეტთაგანი, რომელსა სახელი ერქუა იუდა სკარიოტელი, მღდელთ შოძლუართა მათ

15. და ჰრქუა: რაჲ გნებაჲს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი თქუენ? და მათ მიუწონეს<sup>2</sup> მას ოც და ათი ვეცხლი.

16. და მიერითგან ეძიებდა განმარჯუებულსა ჟამსა, რაჲთამცა მისცა იგი მათ.

17. ხოლო პირველსა მას ბალარჯობასა მოუვლეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს: სადა გნებაჲს, და გიმზადლოთ<sup>3</sup> შენ ჰამად ზატყი ესე?

18. და მან ჰრქუა მათ: მივედით ვისამე ქალაქად და არქუთ მას: მოძლუარმან ეგრე (თქუა)<sup>4</sup>: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო ზატყი ესე მოწუფითურთ ჩემით.

19. და ყვეს ეგრე მოწაფეთა, ვითარ-

1 გულსჩმა-ყო E. 2 შეამთხუეთ E. 3 საქმე D. 4 ითქმოდის D. 5 უტომოებისასა E. 6 თქუა]-DE. 7 მოწუფითურთ E.

1 რ'ლ-ეს(ე) C. 2 მიუწონის C. 3 ან: დაგიზადლოთ(?). 4 თქუა]-C.

DE

C

თარცა უბრძანა მათ იესუ და მზა-უყვეს მის პასუხად იგი, რომელ არს ენებამ.

20. და ვითარცა შეწუხებდა, ინაჯით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა.

21. და ვითარცა ჰამდეს იგინი, ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყვ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე.

22. და იგინი შეწუხნეს ფრად, და იწყო კაცად-კაცადმან მათმან სიტყუად: ნუუკუე<sup>1</sup> მე ვარ, უფალო?

23. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რომელმან შთამოყოს ჩემ თანა კელი პინაც-სა ამას, ამან მიმცეს მე.

24. ძს სამე კაცისად წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვად კაცისა მის, რომლისა მიერ ძს კაცისად მიეცეს<sup>2</sup>. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი.

25. მიუგო იუდა, რომელმან მისცა იგი, და ჰრქუა: ნუუკუე მე ვარ, მოძღუარ? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ.

26. და ვითარცა ჰამდეს იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: მიიღეთ და ჰამეთ, რამეთუ ესე არს<sup>3</sup> ჯორცი<sup>4</sup> ჩემი, თქუენ მრავალთათჳს განტეხილი<sup>5</sup> მისატევებელად ცოდვათა.

27. და მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰრქუა: მიიღეთ და სუთ ამისგანი თქუენ ყოველთა,

28. რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, თქუენ მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა.

29. ხოლო გეტყვ თქუენ: არღარა ვსუა მე ამიერიითგან ნაყოფისაგან ამის ვენაკისა<sup>6</sup> ვიდრე მუნ დღემდემდე, რაჟამს ვსუა იგი თქუენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.

ცა უბრძანა მათ იესუ, და დაუმზადეს მას ზატეკი იგი.

20. და ვითარცა დამწუხებდა, ინაჯ-იდგა ათორმეტთა მოწაფეთა თანა.

21. და ვითარცა ჰამდეს იგინი, ჰრქუა მათ: მართლიად გეტყუ თქუენ, რამეთუ ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე.

22. და დაწუხნეს ფრად და იწყეს სიტყუად თითოეულად: ნუმცა მე ვარ, უფალო?

23. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: რომელმან შთამოყოს კელი ჩემ თანა პინაც-სა, ამან მიმცეს მე.

24. ძს სამე კაცისად მივიდეს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვად მას კაცსა, რომლისაგან ძე კაცისად მიეცემის. კეთილმცა ყოფილ იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი.

25. მიუგო იუდა, რომელ მიცემად ვიდოდა მას, და ჰრქუა: ნუმცა მე ვარ, მოძღუარ? ჰრქუა მას: შენ სთქუ.

26. და იგინი ვითარცა ჰამდეს, მოილო იესუ პური და აკურთხა, განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: მიიღეთ, ჰამეთ, რამეთუ ესე არს ჯორცი ჩემი.

27. და მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰრქუა: სუთ ამისგან ყოველთა,

28. რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი (ახლისა)<sup>1</sup> აღთქუმისაჲ, რომელ მრავალთათჳს დაითხევის მისატევებელად ცოდვათა.

29. ხოლო გეტყვ თქუენ: არღარა ვსუა ამიერიითგან ამის ნაყოფისაგან ვენაკისაჲ მი- მუნ -დღემდემდე, რაჟამს ვსუა ეგვე თქუენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.

1 ნუუკუე E. 2 მიეცემის E. 3 არს—D. 4 ჯორცი D. 5 განტეხელი D. 6 ვენაკისა E.  
1 ახლისა—C.

DE

C

30. და გალობად წართქუეს და განვიდეს იგინი მთასა მის ზეთის ხილთასა.

31. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ<sup>1</sup> არს: დავჰსცემ<sup>2</sup> მწყემსსა, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოვსა მისისანი.

32. ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინა-წარგიძლუე თქუენ გალილეად.

33. მიუგო პეტრე და || ჰრქუა: დაღათუ სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დავებრკოლდე.

34. ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყვ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა გამოვადმდე, სამ გზის უვარ-მყო მე.

35. ჰრქუა მას პეტრე: დაღათუ იყოს შენ თანა სიკუდილი ჩემი, არასადა უვარგყო შენ. და ეგრევე მსგავსად ყოველნი მოწაფენი იტყოდეს.

36. მაშინ მოვიდა იესუ დაბასა მას, რომელსა<sup>3</sup> ჰრქუან გესამანია, და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრემდე მე მივიდე იქი და ვილოცო.

37. და წარიყვანა პეტრე და ორნი ძენი<sup>4</sup> ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად.

38. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე<sup>5</sup>; დასხედით აქა და ილუძებდით ჩემ თანა.

39. და წარვიდა მცირედ და დავარდა ქუეყანასა<sup>6</sup> პირსა ზედა თუსსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო ჩემო, უკუეთუ შეხობდნებელ არს, თანა-წარმვედინ ნასუმელი ესე | ჩემგან<sup>7</sup>; ხოლო არა ვითარ მე<sup>8</sup> მნებავს, არამედ ვითარცა შენ.

40. და მოვიდა მოწაფეთა და პოვნა

30. და გალობით გამოვიდეს მთასა მის ზეთის ხილთასა.

31. მიუგო მაშინ იესუ და ჰრქუა მათ: ყოველნივე დაბრკოლდეთ ჩემდა მომართ ღამესა ამას, რამეთუ წერილ არს: დავცეს მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოვსანი.

32. ხოლო რაჟამს აღდგე, წარგიძლუე თქუენ გალილეად.

33. მიუგო პეტრე და ჰრქუა: ყოველნი თუ<sup>1</sup> დაბრკოლდენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დავებრკოლდე შენდა მიმართ.

34. ჰრქუა მას იესუ: მართლიად გეტყუ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმის ყვიდმდე, სამ გზის უვარ-მყო მ[ე].

35. ჰრქუა მას პეტრე<sup>2</sup>: სიკუდილი-ღათუ შემუხდეს<sup>3</sup> შენ თანა, არავე უვარგყო შენ. ეგრეცა ყოველთა მოწაფეთა თქუეს.

36. მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა დაბასა, რომელსა სახელი ერქუა გესემანი, და ჰრქუა მოწაფეთა თუსთა: დასხედით მანდა, ვიდრემდის მივიდე და თაყუანისცესცე.

37. და წარიყვანა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი, იწყო ზრუნვად და ურვად.

38. მაშინ ჰრქუა მათ: შექუენებულ არს სული ჩემი მისიკუდილდმდე; მელოდეთ მე აქა და მლუძარე<sup>4</sup> იყვენით ჩემ თანა.

39. და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თუსსა და ილოცვიდა და თქუა: მამაო ჩემო, მარჯუე თუ არს, თანა-წარმვედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ.

40. და მოვიდა მოწაფეთა და პოვნა

<sup>1</sup> წულ D. <sup>2</sup> დავსცემ E. <sup>3</sup> რომელ (რ'ლ) D. <sup>4</sup> ძმნი D. <sup>5</sup> სიკუდილდმდე D. <sup>6</sup> ქუეყანასა |—D. <sup>7</sup> ჩემგან სასუმელი ესე D. <sup>8</sup> მე |—E.   
 1 თ, C. 2 პეტრშ C. 3 შემხვედეს C. 4 მლუძარე C.

DE

C

იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ ძალ-გიც ჟამ ერთ მღვდარებად ჩემ თანა.

41. იღვძებდით და ილოცვედით, რათა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ.

42. და კუალად მეორედ წარვიდა, ილოცვიდა და თქუა: მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რაჟთამცა არა შევსვ იგი, იყავნ ნებაჲ შენი.

43. და მოვიდა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თულანი მათნი დამძიმებულ.

44. და დაუტევნა იგინი და მერმე წარვიდა მესამედ, ილოცვიდა და მასვე სიტყუასა იტყოდა.

45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითჳან და განისუენეთ. აჰა ესერა მოახლებულ არს ჟამი, და ძმ კაცისაჲ მიეტყეს: ჳელთა კაცთა || ცოდვილთასა.

46. აღდევით, წარვიდეთ<sup>1</sup> ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი.

47. და ვიდრე იგინი იტყოდეს-და, აჰა ესერა იუდა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მახვლებითა და წათებითა მღღელთ მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.

48. ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა მცნებაჲ და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი.

49. და მეყსეულად მოუტნდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-უყო მას<sup>2</sup>.

50. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო,

იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ეგოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ ღვძებად ჩემ თანა.

41. იღვძებდით და თაყუანის-სცემდით, რაჟთა არა შეხვდეთ<sup>1</sup> განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ.

42. მერმე მეორედ მივიდა, თაყუანის-სცა და თქუა: მამაო ჩემო, ვერ თუ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რაჟთამცა არა შევესუ, იყავნ ნებაჲ შენი.

43. და მოვიდა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თულანი<sup>2</sup> მათნი დამძიმებულ.

44. და დაუტევნა იგინი და მივიდა, თაყუანის-სცა მესამედ, იგივე სიტყუაჲ თქუა მერმე.

45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითჳან და განისუენეთ. აჰა ესერა მოიწია ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეტყემის ჳელთა ცოდვილთასა.

46. აღდევით და წარვიდეთ ამიერ. აჰა ესერა მოწვევულ არს მიმცემელი-იგი ჩემი.

47. და ვიდრე იგი ამას იტყოდა, აჰა ჟუდა, ერთი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მახვლოსანნი და წათოსანნი მღღელთ მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.

48. ხოლო მიმცემელმან მან მისმან მისცა მათ სასწაული და ჰრქუა: რომელსაცა ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი.

49. და მუნქუესვე მოუტნდა და ჰრქუა იესუს: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-უყო.

50. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო,

1 წარვედით D. 2 მას]—D.

1 შეხვდეთ C. 2 თჳაღნი C.

DE

C

რომლისათვისცა მოსრულ ხარ? მაშინ მო-  
უტდეს, დაასხნეს<sup>1</sup> კელნი მათნი იესუს<sup>2</sup>  
ზედა და შეიპყრეს იგი.

51. და ერთმან იესუსთანამან<sup>3</sup> მიყო  
კელი და იჯადა მახული თვისი და ჰცა<sup>4</sup>  
მონასა მლდელთ მოძღურისასა და წარ-  
ჰკუთეთა ყური მისი.

52. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე  
მახული ეგე ადგილსავე თვისსა, | რამე-  
თუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახუ-  
ლი, მახულითაცა წარწყმდენ.

53. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ვერ ძალ-  
მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარ-  
მომიღვინოს მე აქა უმრავლეს ათორ-  
მეტთა გუნდთა ანგელოზთა?

54. და<sup>5</sup> ვითარ-მე აღესრულნენ წე-  
რილნი იგი, რამეთუ ესრე ჯერ-არს  
ყოფად?

55. მას ეამსა<sup>6</sup> ჰრქუა იესუ ერსა მას:  
ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუდით  
მახულითა და წათებითა შეპყრობად ჩემ-  
და; დღითი-დღედ თქუენ თანა ტაძარ-  
სა შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა  
შემიპყართ მე.

56. ესე ყოველი იყო, რაჟთა აღეს-  
რულნენ წერილნი წინაწარმეტყუელთა-  
ნი. მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტე-  
ვეს იგი<sup>7</sup> და ივლტოდეს.

57. ხოლო მათ შეიპყრეს<sup>8</sup> იესუ და  
მიიყვანეს კაიაფასა<sup>9</sup> მლდელთ მოძღუ-  
რისა<sup>10</sup>, სადა-იგი მწიგნობარნი და მო-  
ხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს.

58. ხოლო პეტრე მისდევდა მას შო-  
რით, ვიდრე || ეხოლმდე მლდელთ მო-  
ძღურისა, და შევიდა და<sup>11</sup> დაჯდა მსა-  
ხურთა თანა ხილვად<sup>12</sup> აღსასრულისა.

რომლისათვისცა მოსრულ ხარ? მაშინ მიუ-  
ტდეს და შეასხნეს<sup>1</sup> კელნი იესუს და შე-  
იპყრეს იგი.

51. და ერთმან ვინმე იესუსთანამან  
მიყო კელი, აღმოიჯადა მახული თვისი და  
სცა მონასა მლდელთ მოძღურისასა და  
წარჰკუთეთა ყური.

52. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე  
მახული<sup>2</sup> ეგე ადგილადვე თვისა<sup>3</sup>, რამე-  
თუ ყოველმან რომელმან აღიღოს მახუ-  
ლი<sup>2</sup>, მახულითაცა<sup>4</sup> მოწყდეს.

53. ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ შე-  
მძლებელ ვარ ვედრებად მამისა ჩემისა,  
და დამიღვინოს მე აწ აქა უფროს  
ათორმეტი დასი ანგელოზთა?

54. და ვითარ-მე აღესრულოს წიგნე-  
ბი იგი, რამეთუ ესრე ჯერ-არს ყოფად?

55. მას ეამსა შინა ჰრქუა იესუ ერსა  
მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ  
ხართ მახულითა<sup>5</sup> და წათითა შეპყრო-  
ბად ჩემდა; მარადღე ტაძარსა მას შინა  
ვჯედ თქუენ თანა და გასწავებდი, და  
არა შემიპყართ მე.

56. ხოლო ესე ყოველი იყო, რაჟთა  
აღესრულოს წიგნები იგი წინაწარმე-  
ტყუელთაჲ. მაშინ მოწაფეთა ყოველთა  
დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

57. ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და  
მიიყვანეს კაიაფასს მლდელთ<sup>6</sup> მოძღუ-  
რისა, სადა მლდელთ მოძღუარნი და მო-  
ხუცებულნი შეკრებულ იყვნეს.

58. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორს  
ეხოლ მლდელთ მოძღურისა და შევი-  
და შინა, დაჯდა მსახურთა თანა ხილვად  
აღსასრულისა.

1 და დაასხნეს D. 2 იესუს (ი'ვს) D. 3 იესუსთანამან (ი'ვსთ'ნა 2'5) D. 4 სცა E. 5 და]—E. 6 ეამს D. 7 იგი]—D. 8 შეიპყრეს] წარიყვანეს D. 9 კაიაფასსა D. 10 მოძღურისასა I). 11 და]—E. 12 ხივად D.

1 შეასხნეს C. 2 მახული C. 3 თვისა C (მეორე „ს“ ჩამატებულია). 4 მახულითაცა C. 5 მახულითა C. 6 მლდელთ] მლდელთა C (პირველად დაუწერია „მლდელისა“ და შემდეგ გაუ-  
სწორებია, მაგრამ „ა“ დაჰრჩენია).



## DE

59. ხოლო მღვდელთ მოძღუარნი, იგი და ყოველი კრებული ერისაჲ<sup>1</sup> ეძიებდეს ცრუ მოწამეთა იესუსთვის<sup>2</sup>, რად-თამცა მოკლეს იგი,

60. და არა ჰპოვებდეს<sup>3</sup>, რამეთუ მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუ მოწამენი. უკუანაჲსკნელ მოვიდეს ორნი

61. და თქუეს, ვითარმედ: ამან ესრე<sup>4</sup> თქუა: ძალ-მიც<sup>5</sup> დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად.

62. მაშინ აღდგა მღვდელთ მოძღუარი იგი და ჰრქუა მას: არცაღა სიტყუასა<sup>6</sup> მიუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ?

63. ხოლო იესუ ღუმნა. მაშინ მღვდელთ მოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რადთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე<sup>7</sup>, ძე ღმრთისაჲ?

64. ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ. ხოლო გეტყვ თქუენ: ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე<sup>8</sup> მარჯუენით ძლიერებათა | და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

65. მაშინ მღვდელთ მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თვისი და თქუა: ჰგობბს; რადესა-ლა გვჳმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი.

66. რად გენბავს თქუენ? ხოლო მათ თქუეს: თანა-მდებ არს სიკუდილისა.

67. მაშინ ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა და ჳრთითა ჰსცემდეს<sup>9</sup> თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმაღსა ჰსცემდეს<sup>8</sup>

68. და ეტყოდეს: გვწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე<sup>9</sup>, ვინ არს, რომელმან გცა შენ?

69. ხოლო პეტრე ჯდა ეზოსა შინა. მიუჯდა ერთი მჯევალი და ჰრქუა მას:

## C

59. და მღვდელთ მოძღუარნი იგი და ყოველი იგი კრებული ეძიებდეს ცრუს-წამებასა იესუსთვის, რადთამცა მოაკუ-დინეს იგი,

60. და არა პოეს. და მრავალნი მოვიდეს ცრუ მოწამენი. უკუანაჲსკნელ მოვინმე-ვიდეს ორნი

61. და თქუეს: ამან თქუა: შემძლებელ-ვარ დარღუევად ტაძრისა მის ღმრთისაჲსა<sup>1</sup> და მესამესა დღესა აღშენებად.

62. აღდგა მღვდელთ მოძღუარი იგი და ჰრქუა მას: არას მიუგებ, რასა ესენი გასმენენ შენ?

63. ხოლო იესუ ღუმნა. და მღვდელთ მოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რადთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა?

64. ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ. ხოლო გეტყუ თქუენ: ამიერითგან იხილოთ თქუენ ძე კაცისაჲ მჯდომარე<sup>2</sup> მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

65. მაშინ მღვდელთ მოძღუარმან დაიპო სამოსელი თვისი და თქუა: ბასრობს; რადესა-ლა გვჳმს<sup>3</sup> მოწამე? ეგერა აწ გესმა ბასრობაჲ იგი მისი.

66. რად ჯერ-გიჩს თქუენ? ხოლო მათ მიუგეს და თქუეს: სიკუდილის თანამდებ არს.

67. მაშინ ნერწყვდეს<sup>4</sup> პირსა მისსა და ჳრთითა ჰცემდეს, და რომელნიმე ყურიმაღსა სცემდეს

68 და ეტყოდეს: გვწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?

69. ხოლო პეტრე ჯდა გარეშე<sup>5</sup> ეზოსა მას. და მიუჯდა მას ერთი მჯევალი.

1 ერისაჲ—D. 2 იესუსთვის (ი'ვსთვის) D. 3 ჰპოვებდეს D. 4 ესრე E. 5 სიტყუას E. 6 ქრისტე E. 7 მჯდომარე D. 8 სცემდეს E. 9 ქრისტე DE.

1 ღ'სა C. 2 მჯდომარე C. 3 გუჳს C. 4 ნერწყუდეს C. 5 გარეშე C.

DE

C

შენცა იყავ იესუმს<sup>1</sup> თანა, გალილევე-  
ლისა.

70. ხოლო მან უვარ-ყო წინაშე ყო-  
ველთა და თქუა: არა ვიცი, რასა იტყუ.

71. და ვითარცა გამოვიდა იგი გა-  
რემზე<sup>2</sup> ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და  
ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო  
იესუმს<sup>1</sup> თანა, ნაზარეველისა.

72. და მერმეცა უვარ-ყო პეტრე ფი-  
ციით და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი  
კაცი იგი.

73. და შემდგომად მცირედისა ქამი-  
სა<sup>3</sup> მოუტდეს მუნ მდგომარენი იგი პეტ-  
რეს და ჰრქუეს მას: ქეშმარიტად შენ-  
ცა მათგანი ხარ, რამეთუ სიტყუაჲცა  
შენი გამოგაჩინებს შენ.

74. მაშინ იწყო პეტრე შეჩუენებად  
და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი  
იგი. და მიესყულოდ ქათამი ყივა ხოლო.

75. და მოეჭენა პეტრეს სიტყუაჲ  
იგი იესუმსი<sup>4</sup>, რომელ ჰრქუა მას, ვი-  
თარმედ: ვიდრე არღა ეყივნოს ქათამსა,  
სამ გზის უვარ-მყო მე. და განვიდა გა-  
რე<sup>5</sup> და ტიროდა მწარედ.

და ჰრქუა: შენცა იყავ იესუს თანა, გა-  
ლილეველისა.

70. მან უვარ-ყო წინაშე ყოველისა და  
თქუა: არა უწყი, რასა იტყუ.

71. და ვითარ გამოვიდა იგი ბჭეთა,  
იხილა იგი სხუამან და ჰრქუა, რომელ-  
ნი მუნ ღგეს: ესე იესუს თანა იყო, ნა-  
ზარეველისა.

72. და კუალად უვარ-ყო ფიცით, ვი-  
თარმედ: არა ვიცი კაცი იგი.

73. და შემდგომად მცირედისა ქამი-  
სა მოუტდეს, რომელნი ღგეს მუნ, და  
ჰრქუეს პეტრეს: ქეშმარიტად შენცა მათ-  
განი ხარ, რამეთუ სიტყუაჲცა შენი სა-  
ცნაურ გყოფს შენ.

74. მაშინ იწყო წყევად და ფიცად,  
ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე. და მუნ-  
ქუესვე ქათამი ყივა.

75. და მოეჭენა სიტყუაჲ იგი იესუ-  
სი, რომელ ჰრქუა, ვითარმედ: ვიდრე  
ქათმის ყივილამდე სამ გზის უვარ-მყო  
მე. და გამოვიდა გარე და ტიროდა  
მწარედ.

27

1. და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს  
ყოველთა მღდელთ მოძღუართა და მო-  
ხუცებულთა ერისათა იესუმსთჲს<sup>6</sup>, რად-  
თა მოკლან იგი.

2. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და  
მისცეს იგი პილატეს მთავარსა.

3. მაშინ ვითარცა<sup>7</sup> იხილა იუდა, რო-  
მელმან მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა,  
შეინანა და მიაქცია ოც და ათი იგი  
ვეცხლი მღდელთ მოძღუართა მათ და  
მოხუცებულთა

4. და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგვეც

1. და ვითარ განთენა, ზრახვა-ყვეს  
ყოველთა მღდელთ მოძღუართა და ხუ-  
ცესთა ერისათა იესუსთჲს, რადამცა  
მოაკუდინეს იგი.

2. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და  
მისცეს პილატეს ბჭესა.

3. მაშინ იხილა იუდა, მიმცემელმან  
მისმან, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და  
უკუნსცა ვეცხლი იგი მღდელთ მო-  
ძღუართა და მოხუცებულთა

4. და ჰრქუა: ვცოდე, რამეთუ მიგვეც

1 იესუს (ი'ჯს) D. 2 გარემშ E. 3 ქამსა (ქ'მსა) D\*. 4 იესუსი (ი'ჯსი) D. 5. გარს I; 6 იესუსთჲსა (ი'ჯსთჲს) D. 7 ვითარცა—D.

DE

C

სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს მას<sup>1</sup>: ჩუენდა რაჲ არს? შენ უწყი!

5. და დააბნია<sup>2</sup> ვეცხლი იგი | ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა, შიშთვილ-იბა და მოკუდა.

6. ხოლო მღდელთ მოძღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რანეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს.

7. და ზრახვა-ყვეს და მოიღეს ვეცხლი იგი და მოიყიდეს მით აგარაკი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა.

8. ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ, ვიდრე აქა დღემდღე.

9. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყუჳ: და მოვიღე ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი განსყიდული-საჲ, რომელი მოიყიდეს ძეთაგან<sup>3</sup> ისრაჲლისთა<sup>4</sup>.

10. და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან.

11. ხოლო იესუ დგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენ ხარა<sup>5</sup> მეუფე<sup>6</sup> ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ იტყუ.

12. და შესმენასა მას მღდელთ მოძღუართასა და მოხუცებულთასა || არა რაჲ მიუგო.

13. მაშინ ჰრქუა მის პილატე: არა გესმისა, რაოდენსა-ესე<sup>7</sup> შეგწამებენ შენ?

14. და არარაჲ მიუგო მას იესუ არცალა ერთისა სიტყუსათჳს, ვიდრემდღე დაუკვრდა-ცა მთავარსა მას ფრიად.

15. ხოლო დღესასწაულთა<sup>8</sup> ჩუეულ იყო მთავარი იგი, მიუტევის ერსა მის ჰყრობილი ერთი, რომელიცა უნებნ მათ.

სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს: ჩუენდა რაჲ? შენ უწყი!

5. და დააგლო ვეცხლი იგი ტაძარსაჲს და მივიდა და შიშუდილ-იბა.

6. ხოლო მღდელთ მოძღუართა მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ღირს ესე დადებად საფასეთა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს.

7. ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მით აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა.

8. ამისთჳს ერქუა აგარაკსა მას აგარაკ სისხლის მოდღენდელად დღემდის.

9. მაშინ აღესრულა<sup>1</sup> სიტყუჲჲ იგი იერემია წინაწარმეტყუელისა თქუმული: და მოიღეს ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი პატიოსნისაჲ, რომელი იგი სასყიდლის ყვეს ძეთა ისრაჲლისათა.

10. და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა[ჲ]სა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან.

11. ხოლო იესუ წარდგა წინაშე მის ბჭისა. ჰკითხვიდა მას და ჰრქუა: შენ ხარ მეუფე<sup>6</sup> ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა: შენ იტყუ.

12. და ვითარ ამენდეს მას მღდელთ<sup>2</sup> მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი, არას მიუგებდა იგი.

13. მაშინ ჰრქუა მას პილატე<sup>2</sup>: არა გესმის, რაოდენსა ესენი შეგწამებენ შენ?

14. და არა მიუგო მას არცა ერთსა სიტყუასა, ვითარმდღე დაუკვრდებოდა<sup>4</sup> ბჭესა მასცა ფრიად.

15. ხოლო დღესასწაულად-დღესასწაულად ჩუეულ იყო ბჭე იგი მიტეგებად ერთისა ჰყრობილისა ერსა მას, რომელიცა ჰნებავენ.

1 მას]-E. 2 დაბნია E. 3 ძშთაგან D. 4 ისრაჲლისათა (იშ<sup>1</sup>ლისათა) D. 5 ხარ D. 6 მეუფე D. 7 რადენსა-ესე I. 8 დღესასწაულსა მას E.

1 აღესრულა|ა C. 2 მღდელთ C. 3 პილატე C. 4 დაუკვრდებოდა C.

DE

C

16. იყო ვინმე მაშინ ჰყრობილი შე-სწავებული, რომელსა ერქუა ისუ ბარაბასი.

17. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთაგანი, და მიგიტევო თქუენ: ისუ ბარაბასი ანუ იესუ, რომელსა ჰრქვან ქრისტი?

18. რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შუროით მისცეს იგი.

19. და ვითარცა დაჯდა პილატე საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან თჳსმან და ჰრქუა: რაჲ<sup>1</sup> ძეს შენი და მაგის კაცისა<sup>2</sup> მართლისაჲ? რამეთუ მრავალი მეგრო მე ჩუენებით დღეს მაგისთჳს.

20. ხოლო მღდელთ მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რადთა გამოითხოვონ ბარაბა<sup>3</sup>, ხოლო იესუ წარწყმიდონ.

21. |მიუგო მთავარმან მან და ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთაგანი, და მიგიტევო<sup>4</sup> თქუენ? მათ ჰრქუეს: ბარაბა<sup>5</sup>.

22. ჰრქუა მათ პილატე: და რაჲ ვყო იესუ, რომელსა ჰრქვან ქრისტი<sup>6</sup>? ჰრქუეს მას: ჯუარს-ეცუნ<sup>6</sup>.

23. ხოლო მან ჰრქუა მათ: და რაჲ ბოროტი უქმნიეს მაგას? ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ<sup>6</sup>.

24. ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არას არაგებს მას, არამედ უფრომს-ღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანა ჳელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალომცა ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ.

25. და მიუგო ყოველმან ერმან და

16. ჰყრობილ ვინმე იყო მაშინ წარჩინებული, რომელსა ერქუა ბარაბა<sup>1</sup>.

17. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე<sup>2</sup>: რომელი გნებავს ორთაგანი მიგიტევო თქუენ: ბარაბა<sup>3</sup> ანუ იესუ, რომელსა ჰრქვან<sup>4</sup> ქრისტი?

18. უწყოდა, რამეთუ შურობით მიეცა იგი.

19. და ვითარ ჯდა იგი საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან თჳსმან და ჰრქუა: რაჲ ძეს შენი და მაგის მართლისაჲ? რამეთუ მრავალი ქირი შემხუდა<sup>5</sup> მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს.

20. ხოლო მღდელთ მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რადთა მოითხოონ ბარაბა<sup>1</sup> და იესუ წარწყმიდონ.

21. მიუგო მსაჯულმან მან და ჰრქუა მათ: რომელი გნებავს ორთაგანი, და მიგიტევო თქუენ? ხოლო მათ თქუეს: ბარაბა<sup>1</sup>.

22. ხოლო ჰრქუა მათ პილატე: აწ უქუე რაჲ ვყო იესუ, რომელსა ჰრქვან<sup>4</sup> ქრისტი? ჰრქუეს მას: ჯუარს-ეცუნ<sup>6</sup>.

23. ხოლო მან ჰრქუა: რაჲ ძრო<sup>7</sup> უქმნიეს? იგინი უმეტეს ღაღადებდეს<sup>8</sup> და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ<sup>6</sup>.

24. იხილა რაჲ პილატე, რამეთუ არას არაგებდა, არამედ უფრომსი აშობი იქმნებოდა, მოილო წყალი და დაიბანა ჳელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან<sup>9</sup> ამის მართლისაჲსა, თქუენ იგულეთ.

25. და მიუგო ყოველმან ერმან და

1 ჰრქუა | არაჲ D. 2 კაცისა D. 3 ბარაბა E. 4 მიგიტევო D. 5 ქრისტი D. 6 ჯუარს-ეცუნ E.

1 ბარაბა C. 2 პილატი C. 3 ბარაბა C 4 ჰრქუან C. 5 შემხუდა C. 6 ჯურს-ეცუნ C. 7 ძრო C. 8 ღაღადებდეს C. 9 სისაგან C.

DE

C

თქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა.

26. მაშინ მიუტევა მათ ბარაბაჲ, ხოლო იესუს შოლტითა ჰსცა<sup>1</sup> და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუას.

27. მაშინ ერისაგანთა მათ მთაერისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესავეები იგი ყოველი.

28. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას.

29. და შეთხზეს გვრგვნი ეკალსაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა ევლსა მისსა და მუჭლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათათა!

30. და ჰნერწყუედეს მას და მოიღეს ლერწამი და ჰკემდეს<sup>2</sup> თავსა მისსა.

31. და ოდეს განკიცხეს იგი, განჰსძარცუეს<sup>3</sup> მას ქლამინდი<sup>4</sup> იგი და შეჰმოსეს მას თუხივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან.

32. და ვითარ გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კვრინელი, სახელით სიმონ, ესე წარიჰციეს, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი.

33. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი.

34. და მისცეს მას ძმარი ნავლითა შეზავებული. და მი-რაჲ-ილო, არა უნდა სუმის.

35. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიდგეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ, რომელსა

თქუა: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და ჩუენთა შვილთა ზედა.

26. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა<sup>1</sup>, ხოლო იესუ გუემა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუან.

27. მაშინ ერისა კაცთა მათ ბქისათა წარიყვანეს იესუ ურაკპარაკად და შეკრიბეს მის ზედა ყოველი ნათესავეი იგი.

28. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას.

29. და შეჰმნეს გვრგვნი<sup>2</sup> ეკლისაჲ და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მარჯუენესა ევლსა მისსა და მუჭლნი დაიდგნია წინაშე მისსა რა ეკიცხევედ მას და ეტყუედ<sup>3</sup>: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათათა!

30. და ჰნერწყუედეს<sup>4</sup> მას და მოიღიან ლერწამი იგი და სცემედ თავსა მისსა.

31. და რაჲმს განკიცხეს იგი, განსძარცუეს<sup>5</sup> მას ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას თუხივე სამოსელი და მიიყვანეს იგი ჯუარ-ცუმად.

32. და ვითარ გამოვიდოდეს, პოვეს კაცი კვრინელი, რომელსა სახელი ერქუა სიმონ. ესე წარიჰციეს, რაჲთა აღიკიდოს ჯუარი მისი.

33. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა სახელი ერქუა გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი.

34. და მისცეს მას სუმად ღვინო<sup>6</sup> ნავლე-რეული. და ვითარ გემოჲ იხილა, არა უნდა სუმად.

35. ხოლო ჯუარს-აცუეს<sup>7</sup> იგი, განიყვეს სამოსელი მისი წილით, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყუელისა: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა

1 სცა E. 2 სცემდეს E. 3 განსძარცუეს E. 4 ქლანდი D, ქლანიდი E.

1 ბარაბა C. 2 გვრგვნი C. 3 ეტყუედ C. 4 ჰნერწყუედს C. 5 განსძარცუეს C. 6 ღვინო C. 7 ჯუარს-აცუეს C.

DE

C

იტყვს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი.

36. და სხდეს და სციიდეს მას მუნ.

37. და დაჰსდევს<sup>1</sup> თავსა მისსა ზედა ბრალად მისა დაწერილი: ესე არს იესუ ნაზარეველი<sup>2</sup>, მეუფე<sup>3</sup> ჰურიათაჲ<sup>4</sup>.

38. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით.

39. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგომბდეს მას და ყრიდეს თავსა მათსა

40. და იტყოდეს: ეჰა რომელი დაჰჰსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა ალაშენებ<sup>5</sup>, იჰსენ აწ თავი თვისი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჰვედ მაგიერ ჯუარით!

41. ეგრევე მდღელთ მოძღუარნი იგი ემღერდეს<sup>6</sup> მწიგნობართა თანა და ხუცესთა და იტყოდეს:

42. სხუანი აცხოვნნა, თავისა თვისისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფე<sup>6</sup> ისრაელისაჲ არს, გარდამოჰვედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს ეგე.

43. უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იჰსენინ ეგე; უკუეთუ ჰსთნავს<sup>7</sup> ეგე, რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე.

44. ეგრევე ავაზაკნი იგი, მის თანა ოჯუარ-ცუმულნი, აყუედრებდეს მას.

45. ხოლო ექუს ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე მეცხრედ ჟამადღე.

46. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჳმა-ყო იესუ ჳმითა დიდითა და თქუა: ძლი, ძლი! ლამა საბაქთანნი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რახსათუს და-მიტევებ მე?

მათისა და კუართსა ჩემსა ზედა წილი-იგდეს.

36. და სხდეს მუნ და სციიდეს.

37. და დადევს თავსა ზედა მისსა ბრალად მისა დაწერილი, ვითარმედ: ესე არს მეუფე<sup>3</sup> ჰურიათაჲ.

38. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით.

39. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰბას-რობდეს მას და ხრიდეს თავსა მათსა

40. და ეტყოდეს: ჰ რომელი დაარ-ლუვედ<sup>1</sup> ტაძარსა მას და მესამესა დღესა ალაშენებ მას, განირინე თავი შენი; ძე თუ ხარ ღმრთისაჲ<sup>2</sup>, გარდამოჰვედ ჯუარით!

41. ეგრეცა მდღელთ მოძღუარნი იგი ეკიცხევედეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და იტყოდეს:

42. სხუანი აცხოვნნა, თავისა თვისისაჲ ვერ უძლოს ცხოვნებად. უკუეთუ მეუფე ჰურიათაჲ არს, გარდამოჰვედინ აწ ჯუარით, და გურწმენეს იგი.

43. რამეთუ ესვიდა ღმერთსა, აწ იჰსენინ იგი, უკუეთუ ჰნებაეს იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარ.

44. ეგრეცა ავაზაკნი იგი, რომელ ოჯუარ-ცუმულ<sup>3</sup> იყენეს მის თანა, აყუედრებდეს მას.

45. და მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა მიცხრა ჟამადღე.

46. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჳმა-ყო იესუ ჳმითა დიდითა და თქუა: ძლი, ძლი! ლამა საბაქთანნი? ესე არს: ღმერთო, ღმერთო ჩემო! რად დამაგდებ მე?

1 დასდევს E. 2 ნაზარეველი—D. 3 მეუფე ჰურიათა D. 4 აღშენებად DE. 5 ეგრევე... ემღერდეს] ემღერდეს მას ეგრევე მდღელთ მოძღუარნი იგი E. 6 მეუფე D. 7 სთნავს E.

1 დაარლუვედა C. 2 ლ'საჲ C. 3 ჯურ-ცუმულ C.

DE

C

47. და რომელთამე<sup>1</sup> მუნ მდგომარე-  
თა ესმა ესე<sup>2</sup> და იტყოდეს: ელიას უკ-  
მობს ესე.

48. და მეყსეულად მირბიოდა ერთი  
მათგანი და მოილო ღრუბელი და აღაე-  
სო ძმრითა და დაადგა ლერწამი და  
ასუმიდა<sup>3</sup> მას.

49. ხოლო სხუანი იტყოდეს: აცადეთ  
და ვიხილოთ, უკუეთუ მოვიდეს ელია  
გარდამოქსნად მაგისა.

50. ხოლო იესუ კუალად ღალად-ყო  
კმითა დიდითა და განუტევა სული.

51. და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძ-  
რისაჲ მის განიო ორად ზმთგან, ვიდ-  
რე ქუედმდე, და ქუეყანაჲ შეიძრა, და  
კლდენი განსთქდეს;

52. და საფლავნი ! აღეხუნეს, და მრავ-  
ალნი გუამნი შესუენებულთა<sup>4</sup> წმიდა-  
თანი აღდგეს,

53. და გამოვიდეს საფლავით მათით  
შემდგომად აღდგომისა მისისა და შე-  
ვიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხად-  
ნეს მრავალთა.

54. ხოლო ასისთავმან მან და მის-  
თანათა, და რომელნი ჰსცვიდეს<sup>5</sup> იესუს,  
იხილეს ძრვად იგი და რაჲ-იგი იქმნა,  
შეეშინა და იტყოდეს: ქეშმარიტად ძმ  
ღმრთისაჲ იყო ესე.

55. ხოლო იყვნეს მუნ დედანიცა მრავ-  
ალნი, რომელნი შეუდგეს იესუს გალი-  
ლეაჲთ და ჰმსახურებდეს მას,

56. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდა-  
ლენელი და მარიამ იაკობისი და იოსების  
დედაჲ და დედაჲ ძეთა მათ ზებედესთაჲ<sup>6</sup>.

57. და ვითარცა შემწუხრდა, მოვი-  
და კაცი მდიდარი არიმათიჲთ, სახე-  
ლით<sup>7</sup> იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე  
ყოფილ იყო იესუსა<sup>8</sup>.

47. და რომელთა ესმა, იტყოდეს<sup>1</sup>:  
აჰა ელიას უკმობს ესე.

48. და მეყსეულად მირბიოდა ერთი  
მათგანი და მოილო ღრუბელი, აღავსო  
ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუ-  
მიდა მას.

49. ხოლო სხუანი ეტყოდეს: აცადეთ,  
ვიხილოთ, მო-ძი-ვიდეს ელია<sup>2</sup> განრი-  
ნებად მაგისა.

50. ხოლო იესუ კმა-ყო კმითა დიდი-  
თა და აღმოუტევა სული.

51. და აჰა კრეტსაბმელი ტაძრისაჲ  
მის განიო ორგან ზენაჲთგან მიქუნე-  
მდე. და ქუეყანაჲ შეიძრა, და ლოდნი  
განსთქდეს;

52. და სამარენი აეხუნეს, და მრავ-  
ალნი ჯორცნი შესუენებულთა წმიდა-  
თანი აღდგეს,

53. და გამოვიდეს სამარით და შემ-  
დგომად აღდგომისა მისისა შევიდეს წმი-  
დასა ქალაქსა და ეჩუენნეს მრავალთა.

54. ხოლო ასისთავმან მან და რო-  
მელნი სცვიდეს მის თანა იესუს ვითარ  
იხილეს ძრვად იგი და რაჲ-იგი იქმნა,  
შეეშინა ფრიად და თქუეს: ქეშმარიტად  
ძე ღმრთისაჲ იყო ესე.

55. და იყვნეს მუნ დედანი მრავალნი,  
რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი-  
იგი მოსდევდეს იესუს გალილეაჲთ მსახუ-  
რებად მისა,

56. რომელ იყო მარიამ მაგდანელე-  
ლი და მარიამ იაკობისი და იოსების  
დედაჲ და დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ.

57. და ვითარ დამწუხრდა, მოვიდა  
კაცი მდიდარი არიმათიჲთ, რომელსა  
სახელი ერქუა იოსებ, რამეთუ იგიცა  
მოწაფე ყოფილ იყო იესუსა.

1 რომელთა D. 2 ესე—D. 3 ასუმა D. 4 შესუენებულთა D. 5 სცვიდეს E. 6 ძმთა ზმბე-  
დესთაჲ D. 7 სახელი D. 8 იესუსა (იქსა) D.

1 და იტყოდეს C. 2 თელია C.

DE

58. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუსნი<sup>1</sup>. მაშინ უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი.

59. და მოილო გუამი || იგი მისი იოსებ და შეჭვრავნა იგი ამრენაკსა წმიდასა.

60. და დადვა იგი ახალსა მას მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუთა კლდისაგან, და მოაგორვა ლოდი დიდი კარსა მის საფლავისასა და წარვიდა.

61. ხოლო იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და ერთი სხუად მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას.

62. ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთ მოძღუარნი და ფარისეველნი პილატესა<sup>2</sup>

63. და ჰრქუეს: უფალო, მოვიცსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალ-ლა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა<sup>3</sup> დღისა აღვდგეო.

64. აწ ბრძანე დაკრძალვად<sup>4</sup> საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუ-უკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა იგი მკუდრეთით. და იყოს უკუნადასკნელი საცთური უძვრეს პირველისა.

65. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასისაგანი<sup>5</sup>; წარვედით და<sup>6</sup> დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით. |

66. ხოლო იგინი მოვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეკდეს ლოდსა მას დასისა მის თანა.

C

58. ესე მიუტდა პილატეს და მოჰს-თხოვნა ჯორცნი იგი იესუსნი. მაშინ უბრძანა პილატე მიცემად მას.

59. და მოიხუნა ჯორცნი იგი იოსებ და შეგვრავნა იგი არდაგსა წმიდასა.

60. და დადვა ახალსა შინა სამარესა თუსსა, რომელი-იგი აღმოეკუთა კლდესა შინა, და მოაგორვა ლოდი დიდი კარსა მას მის საფლავისასა და წარვიდა.

61. და იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და მერმე მარიამი, სხდეს წინაშე სამარესა მას.

62. ხვალისაგან, რომელ არს პარასკევისა შემდგომად, შეკრბეს მღდელთ მოძღუარნი და ფარისეველნი პილატესა

63. და ჰრქუეს: უფალო, მოვიცსენეთ ჩუენ, რამეთუ მან მაცთუნებელმან თქუა, ვიდრე ცოცხალ-ლა იყო, ვითარმედ: მესამესა დღესა აღვდგეო.

64. ბრძანე აწ დაკრძალვად საფლავისა მის მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი ღამე და წარიპარონ იგი და ჰრქუან ერსა მას, ვითარმედ: აღდგა იგი მკუდრეთით. და იყოს უკუნადასკნელი საცთური უძვრეს<sup>1</sup> პირველისა.

65. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს<sup>2</sup> თქუენ დასი; მივედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით.

66. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეკდეს ლოდსა მას დასისა თანა.

28

1. მწუხრი შაბათსა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალენელი<sup>7</sup> და სხუად იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის.

1. მწუხრი შაფათსა, რომელი განთენებოდა ერთშაფათად, მოვიდა მარიამ მაგდალენელი და მერმე მარიამი ხილვად საფლავისა მის.

1 იესუსი (იჯსი) D. 2 პილატეს D\*. 3 სამი D. 4 დაკრძალვად D\*. 5 დასიძაგანი D\*. 6 და)—E. 7 მაგდალენი E.

1 უძვრეს C. 2 გაქუნს C.



## DE

## C

2. და აჰა ესერა<sup>1</sup> ძრვად<sup>2</sup> იყო დიდ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჲდა ზეცით და<sup>3</sup> მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა.

3. იყო ხილვაჲ მისი ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ ვითარცა თოვლი.

4. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნეს ვითარცა მკუღარნი.

5. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; ვიცი, რამეთუ იესუს ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ.

6. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოვედით და იხილეთ აღვილი, სადა დადევს<sup>4</sup> იგი.

7. და აღრე<sup>5</sup> წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა || და აჰა წინა-გიძღს<sup>6</sup> თქუენ გალილეად<sup>7</sup>, მუნ იხილოთ იგი. აჰა ეგერა გარქუ თქუენ.

8. ხოლო იგინი წარვიდეს აღრე<sup>5</sup> მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა; მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

9. და აჰა იესუ შეემთხვა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოუტლეს და შეუვრდეს<sup>8</sup> ფერკთა მისთა და თაყუანის-სცეს<sup>9</sup> მას.

10. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, წარვედით<sup>10</sup> და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეად და მუნ მიხილონ მე.

11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, და აჰა ესერა დასისა მისგანნი შევიდეს ქალაქად და უთხარეს მღდელთ მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა იქმნა.

2. და აჰა ძრვაჲ იყო დიდ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჲდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან და დაჯდა მას ზედა.

3. იყო ხილვაჲ მისი ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ იყო ვითარცა თოვლი.

4. და საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნეს ვითარცა მკუღარნი.

5. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; უწყვი, რამეთუ იესუს ჯუარ-ცუმულსა<sup>1</sup> ეძიებთ.

6. არა აქა არს, არამედ აღდგა იგი, ვითარცა<sup>2</sup> თქუა. მოვედით და იხილეთ აღვილი იგი, სადა იდვა უფალი.

7. და აღრე წარვედით და არქუთ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა და აჰა წინა-გიძღს<sup>3</sup> თქუენ გალილეას, მუნ იხილოთ იგი. აჰა ესერა გარქუ თქუენ.

8. და წარვიდეს აღრე-აღრე მიერ სმარით შიშითა და სიხარულითა დიდითა; მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

9. და აჰა იესუ შეემთხვა<sup>4</sup> მათ და ჰრქუა<sup>5</sup>: გიხაროდენ! ხოლო იგინი მიუტლეს და შეუპყრნეს ფერკნი მისნი და თაყუანის-სცეს მას.

10. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, მივედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა მივიდენ გალილეად და მუნ მიხილონ მე.

11. და ვითარ იგინი<sup>6</sup> წარვიდეს, მუნქუეს ოდენ დასისა მისგანნი ვინმე მოვიდეს ქალაქად და მიუთხარეს მღდელთ მოძღუართა მათ ყოველივე, რაჲცა-იგი იქმნა.

1 ესერა]—E. 2 ძრვა D. 3 და]—E. 4 სადადევს E (და<sup>1</sup> ორივე სიტყვას ვუთვინის: სადა დადევს) D. 5 აღრე E. 6 წინა-გიძღს D. 7 გალილეად E. 8 შეუვრდეს D. 9 თაყუანის-სცეს E. 10 წარვიდით D.

1 ჯუარ-ცუმულსა C. 2 ვითარცა]—C. 3 წინა-გიძღს C. 4 შეემთხვა C. 5 ჰრქუა C. 6 იგი C.

DE

C

12. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცე-ბულთა თანა და ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მიჰსცეს<sup>1</sup> ერისაგანთა<sup>2</sup> მათ

13. და ჰრქუეს: ესრეთ თქუთ, ვითარ-მედ: მოწაფენი მისნი ღამე<sup>3</sup> მოვიდეს და წარიპარეს იგი, | ვიდრე ჩუენ მეძინა.

14. და ლათუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყენეთ.

15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათ-გან. და განითქუა სიტყუად ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღედ-მდე.

16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფე-ნი წარვიდეს გალილეად, მთასა მას, სა-დაცა-იგი უბრძანა მათ იესუ.

17. და<sup>4</sup> იხილეს იგი და თაყუანის-სცეს<sup>5</sup> მას; ხოლო რომელნიმე<sup>6</sup> მათგან-ნი შეოჯგულდეს<sup>7</sup>.

18. და მოუკდა<sup>8</sup> მათ იესუ, ეტყოდა მათ და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი კელ-მწიფებად ცათა შინა და ქუეყანასა ზე-და.

19. წარვედით და მოიმოწაფენით ყო-ველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით<sup>9</sup> მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა,

20. და ასწავებდით მათ დამარხვად<sup>10</sup> ყოველი, რაოდენი<sup>11</sup> გამკენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველ-თა დღეთა და ვიდრე | აღსასრულად-მდე<sup>12</sup> სოფლისა.

12. და შეკრბეს მღღელთ მოძღუარნი იგი მოხუცებულებითურთ, ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ

13. და ჰრქუეს: ესრეთ თქუთ, ვითარ-მედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა.

14. და ლათუ ესმეს ესე ბქესა მას, ჩუენ ვარწმუნოთ მას და თქუენ უზრუნ-ველ-გყენეთ.

15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათ-გან. და განითქუა სიტყუად ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღე-მდის.

16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფე-ნი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, სა-დაცა უბრძანა მათ იესუ.

17. და ვითარცა იხილეს იგი, თაყუან-ის-სცეს მას; და რომელნიმე შეოჯგულ-დეს.

18. და მოუკდა მათ იესუ, ეტყოდა მათ და ჰრქუა: მოციმულ არს ჩემდა ყოველი კელმწიფებად ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.

19. წარვედით და მოიმოწაფენით ყო-ველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა,

20. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოვლისა, რაოდენი გამკენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლი-სა.

1 დიდძალი მიჰსცეს] მისცეს E. 2 ერისგანთა D. 3 ღამე E. 4 და]-E. 5 თაყუანის-  
 ჰცის D\*. 6 რომელნი D. 7 შეოჯგულდეს D\*. 8 მოუკდეს D\*. 9 ნათელ-სცემდით D\*..  
 10 დამარხვა D\*. 11 რავდენი D\*. 12 აღსასრულამდე D.

DE

C

1. დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტის<sup>2</sup>, ძისა ღმრთისაჲ.

2. ვითარცა წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელსა: აჰა ესერა მე წარვაველინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.

3. ჳმაჲ ღალადებისაჲ უდაბნოსა: განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელყვენით<sup>3</sup> ალაგნი მისნი<sup>4</sup>.

4. იყო იოვანე უდაბნოსა და ქადაგებდა ნათლის-ღებასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა.

5. და განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ჰურიასტანისაჲ და იერუსალმელინი ყოველნი და ნათელ-იღებდეს<sup>5</sup> მისგან იორდანესა მდინარესა და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა.

6. და ემოსა იოვანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისაჲ ერტყა წელთა მისთა, და<sup>6</sup> ჳამდჲ მკალსა და თაფლსა ველურსა;

7. და ქადაგებდა და იტყოდა: აჰა ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჯსნად საბელთა ჳამლთა მისთა.

1. დასასამი სახარებისა იესუ ქრისტესი.

2. ვითარცა წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელსა<sup>1</sup>: აჰა ესერა წარვაველინებ ანგელოზსა ჩემსა წინაშე პირსა შენსა, რომელმან ჳანმზადოს გზაჲ შენი წინაშე პირსა შენსა.

3. ჳმაჲ ღალადებისაჲ უდაბნოსა: განმზადეთ გზაჲ უფლისაჲ და წრფელყყოფდით ალაგთა მისთა.

4. <sup>6</sup> იყო იოვანე ნათლის-მცემელი უდაბნოსა და ქადაგებდა ნათლის-ცემისა სინანულისასა მოსატევებელად ცოდვათა.

5. და განვიდოდა მისა ყოველი ჰურიასტანი სოფელი და იერუსალმელინი<sup>2</sup>, და ყოველნი ნათელს-იღებდეს (მისგან) იორდანესა მდ[ინ]არესა და აღ[ი]არებდეს ცოდვათა მათთა.

6. ხოლო იოვანე მოსილ იყ[ო] სტევითა აქლემ(ი)ისაჲთა, და სარტყელი ტყავისაჲ ერტყა წ(ელ)თა მი[ს](თ)ა, და ჳამდა მ(კალს)ა და თაფლსა (ვე)ლურსა;

7. და ქადაგებდა და იტყოდა, ვითარ: მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა არა ღირს ვარ მე დალრეკად და განჯსნად საბელთა ჳამლთა მისთასა.

1 მარკოზისი მარკოზის თავისაჲ თავი DE. 2 ქრისტესი E. 3 წრფელ-ყვენით D\*. 4 მისი D\*. 5 ნათელს-იღებდეს D\*. 6 და]—D. 1 წინაწარმეტყუელსა C. 2 იწლე(მელნი) C.

DE

C

8. მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა.

9. და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ და ნათელ-ილო იოვანესგან იორდანესა.

10. და მეყსეულად აღმოსლვასა მისა მიერ წყლით იხილნა ცანი განხუმულნი<sup>1</sup>. და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი ვითარცა ტრედი მის ზედა.

11. და ჯმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გვიყავ.

12. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ.

13. და იყო მუნ ორმოც დღე<sup>2</sup> და გამოიციადებოდა ეშმაკისაგან. და იყო იგი მჭეტთა თანა, და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას.

14. და შემდგომად მიცემისა იოვანესისა მოვიდა იესუ გალილეად, ქადაგებდა სახარებასა ღმრთისასა

15. და იტყოდა, რამეთუ: აღსრულე-ბულ არს || ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ.

16. და<sup>3</sup> ვითარცა წარვიდოდა<sup>4</sup> იესუ ზღუს კიდესა მას გალილეაჲსაჲსა, იხილნა<sup>5</sup> სიმონ და ანდრეა<sup>6</sup>, ძმაჲ მისი, ითხველიდეს რაჲ ივინი<sup>7</sup> ზღუასა მას, რამეთუ იყენეს ივინი მესათხველე<sup>8</sup>.

17. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყენე თქუენ მესათხველე<sup>9</sup> კაცთა.

18. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევნეს ბადენი მათნი და შეუდგეს<sup>10</sup> მას.

19. და მცირედ წარვიდა და იხილა

8. მე ნათელს-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელს-გცეს თქუენ სულითა წმიდითა.

9. და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ და ნათელ-ილო იორდანესა იოვანესგან.

10. და მუნქუეს ოდენ, ვითარ აღმოვიდოდა იგი მიერ წყლით, იხილნა ცანი განხუმულნი და სული გარდამომავალი ვითარცა ტრედი მის ზედა.

11. და ჯმაჲ ცით გარდამო ესმა: შენ ხარ ძმ<sup>1</sup> ჩემი საყუარელი, შენ მთნავ.

12. და მუნქუესვე სულმან გან(ი)ყვანა იგი უდაბნოდ.

13. და იყო ი[გო]მუნ ორმოც დღე გამოცდად ეშმაკისაგან. და იყო იგი მჭეტთა თანა, და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას.

14. ხოლო შემდგომად იოვანეს საპყრობილედ მიცემისა მოვიდა იესუ გალილეად, ქადაგებდა სახარებასა მას ღმრთისასა<sup>2</sup>

15. და იტყოდა, ვითარმედ: აღსრულე-ბულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ.

16. და ვითარ წარვიდოდა ზღუს<sup>3</sup> კიდესა გალილეასაჲსა<sup>4</sup>, იხილა სიმონ და ანდრია, ძმაჲ სიმონისი, ისათხველიდეს სათხვევლითა ზღუასა, რამეთუ მთხვეარ იყენეს.

17. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გქმნე თქუენ, რაჲთა იყვნეთ თქუენ მონადირე კაცთა.

18. და მუნქუესვე დაუტევნეს ბადენი იგი და მისდედეს მას.

19. და წარ-რე-ვიდა მცირედ და იხი-

1 განხუმულნი D. 2 დღე E. 3 და[და] D. 4 წარვიდა E. 5 იხილა D. 6 ანდრია D. 7 იგი-  
ნი D. 8 მესათხველმ DE 9 მესათხველმ E. 10 შეუდგეს მისდედეს D.  
1 ძემ C. 2 ღმრთისა C. 3 ზღუს C. 4 ანა.

DE

C

იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმა მისი, და იგინიცა განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა.

20. და უწოდა მათ. ხოლო მათ მეყსულად დაუტევეს ზებედე, მამა მათი, ნავსა შინა მორეწეთა მათ მისთა თანა.

21. და შევიდეს კაფარნაუმი<sup>1</sup> დღესა<sup>2</sup> შაბათსა. შევიდა შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ.

22. და განუკრდებოდა ერსა მას მოძღურებად იგი მისი, | რამეთუ ასწავებდა მათ, ვითარცა-იგი ვის აქუნ კელმწიფებად და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი<sup>3</sup> მათნი.

23. და იყო შესაკრებელსა<sup>4</sup> მას შინა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდად, ლალად-ყო

24. და თქვა: ეჭა, რად არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოსრულ ხარ აქა წარწყმედად ჩუენდა. გიციო შენ, ვინ ხარ, წმიდად ეგე ღმრთისაჲ.

25. შეპრისხნა მას იესუ და პრქუა: დაიყავ პირი და განვედ მაგისგან!

26. და დაჰსცა<sup>5</sup> იგი სულმან მან არაწმიდამან, და ეჭა-ყო ეჭითა დიდითა და განვიდა მისგან.

27. და დაუკრდებოდა ყოველთა, ვიდრე გამოძიებადმდე<sup>6</sup> ურთიერთას, და იტყოდეს: რად არს ესე მოძღურებად ახალი? რამეთუ კელმწიფებით სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს, და ერჩინა მას.

28. და განჴდა ჰამბავი მისთჳს ყოველსა მას სოფლებსა გალილეაჲსასა.

29. და გამოვიდა მიერ შესაკრებ-

ლა მან იაკობ ზებედესი და იოჰანე<sup>1</sup>, ძმა მისი, და იგინიცა ნავსა შინა განორდენ-იგებდეს სათრომელთა.

20. და მუნქუესვე უწოდა მათ, ხოლო მათ მუნქუესვე დაუტევეს მამა მათი ზებედე<sup>2</sup> ნავსა შინა მორეწეთა თანა და მივიდეს შემდგომად მისა.

21. და შევიდეს კაფარნაომდ, და მუნქუეს(ვე) შაფათთა შინა ასწავებდა შესაკრებელთა შინა.

22. და დაკრეებულ<sup>3</sup> იყენეს მოძღურებასა მას მისსა ჴედა, რამეთუ იყო მოძღურებად მათა ვითარ კელმწიფე და არა ვითარ მწიგნობარნი იგი მათ-(6)ი.

23. და იყო შესაკრებელსა მათსა კაცი სულითა არაწმიდითა შეპკრობილი, და ლალატ-ყო

24. და თქვა: გუაცადე<sup>4</sup>, რად ძეს ჩუენი და შენი, იესუ ნაზორეველო? მოსრულ(ლ ხ)არ წარწყმედად ჩუენდ(ა). გიციო შენ, (ვ)ინ ხარ, წმიდაო ღმრთისაო<sup>5</sup>.

25. და შეპრ(ისხნ)ა მას იესუ და პრქუა: პირი დაიყავ და გამოვედ მაგისგან!

26. და დაჴეთა იგი სულმან არაწმიდამან, და ლალატ-ყო ეჭითა დიდითა<sup>6</sup> და განვიდა მისგან.

27. და დაუკრდა<sup>7</sup> ყოველთა, გემოძიებდეს ურთიერთას და იტყოდეს: რად-მე არს ესე სწავლაჲ ახალი? რამეთუ კელმწიფებით არაწმიდათა მათ სულთა უბრძანის, და დაემორჩილებიან მას.

28. და განჴდა ჰამბავი ესე მისი ყოველსა მას გარემოჲს სოფლებსა გალილეაჲსასა.

29. დ(ა მუნქ(უეს)ვე გამოვიდეს მიერ-

1 კაფარნაომდ E. 2 დღე D. 3 მწიგნობარნი D. 4 შესაკრებელსა კრებულსა D. 5 დასცა E. 6 გამოძიებადმდე E.

1 იოჰანე C. 2 ზებედემ C. 3 დაკრეებულ C. 4 გუაცადე C. 5 ლ'ხაო C. 6 დიდითა დიდითა C. 7 დაუკრდა. C.

DE

C

ლით და მოვიდა სახლსა სიმონისსა და ანდრეაშსა იოვანეს და იაკობის || თანა.

20. ხოლო სიდედრი სიმონისი დავრომილ იყო მჭურვალებითა. და უთხრეს იესუს მისთჳს.

31. და მოვიდა, უპყრა ჳელი და აღადგინა იგი; და დაუტევა იგი მჭურვალეზამან, და აღღვა და ჰმსახურებდა<sup>1</sup> მას.

32. და ვითარ შემწუხრდებოდა და მზღ დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი.

33. და ყოველი ქალაქი შეკრებულ იყო წინაშე კართა.

34. და განკურნა ყოველნი ბოროტთა სენთაგან და თითო-სახეთაგან სნეულებათა და ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტე<sup>2</sup> არს.

35. და განთიად რიყურაჲუს ოდენიად აღღვა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და მუნ ილოცვიდა.

36. და მისდევდა<sup>3</sup> მას სიმონ და მისთანანი<sup>4</sup>.

37. და პოეს იგი და ჰრქუეს მას, ვითარმედ: ყოველნი გეძიებენ შენ.

38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ; მახლობელად<sup>5</sup> დაბნებსა და ქალაქებსა, რაათა მუნცა<sup>6</sup> უქადაგო, რამეთუ ამისთჳს მოვივლინე.

39. და ქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალილეასა<sup>7</sup> და ეშმაკთა განასხმიდა.

40. მაშინ მოუტდა მას ერთი განკეორებული, ევედრებოდა მას და მუტლ-

შესაკრებელით და მოვიდეს სახედ სიმონისა და ანდრეაშსა იაკობითურთ და იოჰანეთურთ.

30. ხოლო სიდედრი სიმონისი იდვა სიციხითა. და მუნქუესვე ჰრქუეს მას მისთჳს.

31. და მოვიდა, უპყრა ჳელი და აღადგინა; და დაუტევა იგი სიციხემან მან, და ჰმსახურებდა მათ.

32. და ვითარ დამწუხრდა, რაჲამს დაჰტდა მზე, მოართუმიდეს მას ყოველსა სნეულებსა და ეშმაკეულებსა.

33. და ქალაქი იგი ყოველი შეკრებულ იყო წინაშე კართა.

34. და განკურნა მრავალნი სნეულნი პირად-პირადთაგან სენთა და ეშმაკნი მრავალნი განჴადნა; და არა უფუღეს სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტე არს.

35. და მსთუად<sup>1</sup> განთიად აღღვა, გამოვიდა და მივიდა უდაბნოსა ადგილსა და მუნ თაყუანის-სცემდა.

36. და მისდევდა მას სიმონ და მისთანანი იგი.

37. და რაჲამს<sup>2</sup> პოეს იგი, ჰრქუეს მას, ვითარმედ: ყოველნი გეძიებენ შენ.

38. და ჰრქუა მათ: მოვედით და მივიდეთ გარემო მახლობელთა მათცა დაბა-ქალაქთა, რაათა მუნცა<sup>3</sup> ვქადაგებდ(ე), რამეთუ ამისთჳს მოსრულ ვარ.

39. და ქადაგებდა შესაკრებელთა შინა მათთა ყოველსა გალილეასა და ეშმაკთა განჴდიდა.

40. და მოვიდა მისა განბოკლებული, ევედრებოდა მას და მუტლ-დაღგმით ეტ-

1 მსახურებდა E. 2 ქრისტე DE. 3 მისდევდა F. 4 მისთანანი E. 5 მახლობელთა D. 6 მუნ D. 7 გალიასასა E, გალილეასასა D. 1 მსთუად C. 2 რაჲამს C.  
ორი უძველესი რედაქცია ოთხთავისა

DE

C

ნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედად ჩემდა.

41. ხოლო იესუს შეეწყალა<sup>1</sup> იგი და მიყო კელი მისი და შეახო მას და ჰრქუა: მნებაეს, განწმიდნი!<sup>2</sup>

44. და ვითარცა ესე თქუა, მიესყუ-ლად განეყარა მისგან კეთროვნება იგი, და განწმიდნა იგი.

43. და შეჰრისხნა და მიესყუელად გამოაძო იგი

44. და ჰრქუა მას: იხილე, ნუვის რას უთხრობ, არამედ მივედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა<sup>3</sup> და შეწირე განწმედისა შენისათჳს, რომელ-იგი<sup>4</sup> ბრძანა მოსე<sup>5</sup> საწამებელად მათა.

45. ხოლო იგი გამოვიდა მიერ და იწყო ქადაგებად ფრიად და მიმოდადებად სიტყუსა მის, ვითარმედ ვერლარა [კელ-წიფთა \* ქალაქად შესლვად, არამედ გარე<sup>6</sup> უდაბნოთა ადგილთა იყოფვიდა. და მოვიდოდეს მისა ყოვლით კერძო.

ყოდა, ვითარმედ: გინდეს თუ, ძალ-გიც განწმედად ჩემდა.

41. ხოლო იესუს შეეწყალა იგი, მიყო კელი, შეახო მას და ჰრქუა: მნებაეს, განწმიდნი!

42. და ვითარცა ჰრქუა მას ესე, მუნ-ქუესვე<sup>1</sup> განეშორა მას განბოკლებად იგი, და განწმიდნა.

43. და შეჰრისხნა მას და მუნქუესვე გამოაძო იგი

44. და ჰრქუა მას: ნუვის უთხრობ, არამედ მიგულე და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათჳს, (რომელ) ბრძანა მოსე საწამებელად მათდა.

45. ხოლო იგი ვითარ გამოვიდა, იწყო ქადაგებად ფრიად და მიმოდადებად სიტყუსა<sup>2</sup> მის და ვერლარა კელ-იწიფის მან ქალაქად ცხადად შესლვად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა იყო. და მოვიდოდეს მისა ვინაჲვე.

## 2

1. და შევიდა მერმე კათარნაომდ შემდგომად მცირედთა დღეთა; და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს.

2. და შეკრბა მუნ სიმრაველჳ ერისაჲ, ვიდრემდე ვერლარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუსა.

3. და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრღუეული, რომელი ზე აქუნდა ოთხთათა.

4. და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მისგან, აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის, სადა იყო იგი,

1. და მოვიდა მერმე კათარნაომდ მცირეთა დღეთაგან; ხ' ისმა, ვითარმედ სახლსა შინა არს.

2. და შეკრბეს მრავალნი, ვითარ ვერლარა დატევნად ვერცა კართა გარეშე, და ეტყოდა მათ სიტყუსა მას.

3. და მოვიდოდეს მისა და მოაქუნდა მისა განრღუეული, რომელ ზე აქუნდა ოთხთათა.

4. და ვერ უძლეს მიახლებად ერისა მის გამო, გარდაარღვეს სართული სახლისაჲ მის, რომელსა შინა იყო, და გან-

1 შეეწყა D. 2 განწმიდნი DE (D-ში ქარაგმაც უხის). 3 მღდელთა E. 4 რომელი-იგი E. 5 მოსე E. 6 გარე E.

\* აქ D-ს აკლია ერთი ფურცელი (1,45—2,12), ტექსტი მოყვანილია E-ს მიხედვით.

1 მუნქუესვე C. 2 სიტყუსა C.

DF:

C

და აღიღეს და გარდაუტევებს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იღვა განრლუეული იგი.

5. და იხილა იესუ სარწმუნოვებამ იგი მათი და ჰრქუა განრლუეულსა მას: შეილო, მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი!

6. იყენეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს,

7. ვითარმედ: ესე გმობასა იტყუს; ვის ჯელ-წვიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?

8. ხოლო იესუ გულისჯმა-ყო<sup>1</sup> სულითა, რამეთუ ესრე<sup>2</sup> ზრახვენ გულთა მათთა, და ჰრქუა მათ: რაჲსა მგასა ჰზრახავთ გულთა თქუნთა?

9. რაჲ უადვილეს არს სიტყუად განრლუეულსა ამას: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუმად: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვილოდე?

10. ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჯელმწიფებამ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრლუეულსა მას:

11. შენ გეტყვ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!

12. და აღდგა იგი მეყსეულად და აღილო ცხედარი თჳსი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკვრდებოდა ყოველთა და აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს\*), || ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ.

13. და მერმე გამოვიდა ზღუს კიდესა, და ყოველი იგი ერი მიჰსდევდა<sup>3</sup> მას; და მუნ ასწავებდა მათ.

14. და მიერ წარმოვიდოდა და იხილა ლევი აღფესი, ჯდა რაჲ იგი საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევი მე. და აღდგა იგი<sup>4</sup> და მიჰსდევდა<sup>2</sup> მას.

თხარეს და შთაუტევებს ცხედარი იგი, რომელსა ზედა განრლუეული იგი იღვა.

5. იხილა რაჲ იესუ სარწმუნოვებამ იგი მათი, ჰრქუა განრლუეულსა მას: შეილო, მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი!

6. და იყენეს ვინმე მწიგნობარნი მუნ მსხდომართაგანნი, განიზრახვიდეს გულთა შინა მათთა:

7. რად ესე ესრეთ გმობასა იტყუს?<sup>1</sup> ვინ ჭემძლებელ არს მიტევებად ცოდვათა, გარნა-მარტოჲ ღმერთი?

8. და მუნქუესევე ცნა იესუ სულითა თჳსითა, რამეთუ ესრე ზრახვენ იგინი გულთა შინა მათთა; ჰრქუა მათ: რად ესრეთ ზრახავთ გულთა შინა თქუნთა?

9. რაჲ უადვილეს არს თქუმად განრლუეულსა: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვილოდე?

10. არამედ რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჯელმწიფე არს ძმ კაცისაჲ ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრლუეულსა მას:

11. შენ გეტყვ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!

12. და აღდგა მუნქუესევე<sup>2</sup>, აღილო ცხედარი იგი და განვიდა წინაშე ყოველთა. დაკვრებულ იყენეს და აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ.

13. და განვიდა მერმე ზღუს<sup>3</sup> კიდელ, და ყოველი იგი ერი მოვიდოდა მისა; და ასწავებდა მათ.

14. და წარვიდოდა იგი მიერ, იხილა ლევი აღფესი, მჯდომარე საზუერესა<sup>4</sup> ზედა, და ჰრქუა მას: მომდევი მე. და აღდგა და შეუდგა მას.

1 გულისჯმა-ყო E. 2 ესრე E. 3 მისდევდა L. 4 იგი] — E. \* 5. შენიშვნა წინა გვერდზე.  
1 იტყუს C. 2 მუნქუესევე C. 3 ზღუს C. 4 საზუერესა C.



DΞ

C

15. და იყო ვითარ ჯდა იგი სახლსა შინა მისსა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს<sup>1</sup> იესუს<sup>2</sup> თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყვნეს მუნ მრავალნი და მიჰსდევდეს<sup>3</sup> მას.

16. და ვითარცა<sup>4</sup> იხილეს მწიგნობართა მათ და ფარისევლთა, რამეთუ მეზუერეთა თანა და ცოდვილთა ჰქამს, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა<sup>5</sup> და ცოდვილთა თანა ჰჰქამთ<sup>6</sup> და ჰსუამთ?

17. და ვითარცა ესმა ესე იესუს, ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა, არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად.

18. და იყვნეს მოწაფენი იოვანესნი და ფარისევლთანი მარხვისა შინა. და მოვიდეს მისა და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი და ფარისევლთანი იმარხვენ და<sup>7</sup> მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

19. ჰრქუა მათ იესუ: ვერ გელ-ეწიფების ძეთა<sup>8</sup> სიძისათა, ვიდრე სიმშ იგი<sup>9</sup> მათ თანა არს, მარხვად.

20. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს აღმალდეს<sup>10</sup> მათგან სიმშ იგი, და მაშინ იმარხვიდენ მათ დღეთა შინა.

21. არაჲინ სადგმელი უმურკნველი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა; უკუეთუ არა, მოაპის ცოცხალიცა იგი მისგან ახალმან მან ძუელისაჲ მის და უფროჲსად განაპის<sup>11</sup>.

22. და არაჲინ შთაასხის ღვინოჲ ახალი თხიერსა ძუელსა, რაჲთა არა განხეთკოს ღვინომან ახალმან თხიერი ძუე-

15. და იყო ინაჯის-დგმასა<sup>1</sup> მისსა შინა სახლსა მისსა, და მრავალთა მეზუერეთა<sup>2</sup> და ცოდვილთა ინაჯ-ედღა იესუსთანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყვნეს მუნ მრავალ და მისდევდეს მას.

16. მწიგნობარნი იგი და ფარისევლნი<sup>3</sup>, იხილეს რაჲ იგი, რამეთუ ჰამდა მეზუერეთა თანა და ცოდვილთა, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა<sup>4</sup> თანა და ცოდვილთა ჰქამთ და ჰსუამთ?

17. და ვითარ ესმა იესუს, ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოსრულ ვარ ჩინებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.

18. და იმარხვიდეს მოწაფენი იოვანესნი და ფარისევლთანი და ჰრქუეს მათ: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი და ფარისევლთანი იმარხვენ, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

19. ჰრქუა მათ იესუ: შემძლებელ არიან-მე ნაშობნი ქორწილისანი, ვიდრე სიძე იგი მათ თანა-ლა არს, მარხვად? რაოდენ ჯამ სიმშ იგი მათ თანა-ლა იყოს, ვერ შემძლებელ არიან მარხვად.

20. არამედ მოვიდენ დღენი, რაჲჲმს<sup>4</sup> აღილოს მათგან სიმშ<sup>5</sup> იგი, მაშინ-ლა იმარხვიდენ მათ დღეთა შინა.

21. არაჲინ სადგმელი ნახვეისა უმურკველისაჲ დაადგის სამოსელსა ზედა ძუელსა; უკუეთუ არა, გამოიღლიძის სწორად თჳსა ახალმან მან ძუელისაჲ მის და უჭრეს განხეთკილ იქმნის.

22. და არაჲინ შთაასხის ღვინოჲ<sup>6</sup> ახალი თხიერთა ძუელთა<sup>7</sup>; უკუეთუ არა, განხეთქნის<sup>8</sup> ღვინომან<sup>9</sup> თხიერი იგი და

1 მსხდეს D. 2 ირს D. 3 მისდევდეს E. 4 ვითარ (ვ'რ) E. 5 მეზუეთა D, + თანა F. 6 ჰქამთ F. 7 და] —E. 8 ძმთა D. 9 იგი] —E. 10 ამაღლდეს D. 11 განაპის] —D.

1 ინაჯის-დგმა C. 2 მეზუერეთა C. 3 მწიგნობარნი იგი და ფარისევლნი] მწიგნობარნი იგი ფარისევლთანი C. 4 რაჲჲმს C. 5 სიმშ C. 6 ღვინო C. 7 ძუელთა C. 8 განხეთქის C. 9 ღვინომან C.

DE

C

ლი, და ღვწოჲ იგი დაითხიოს, და || თხი-  
ერნი წარწყმდენ; არამედ ღვწოჲ ახა-  
ლი თხიერთა ახალთა შთაასხიან.

23. და იყო ვითარ-იგი თანა-წარჰვი-  
დოდა ყანობირსა შაბათსა შინა, და მო-  
წაფეთა მისთა იწყეს გზასა სლვად და  
მუსრვად თავსა ქუვილისასა<sup>1</sup>.

24. ხოლო ფარისეველნი იგი ეტყო-  
დეს მას: იხილე, რასა ჰზმენ<sup>2</sup> მოწაფე-  
ნი შენნი შაბათსა შინა, რომელ არა  
ჯერ-არს ყოფად!

25. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არასადა  
აღმოიკითხეთა, რაჲ-იგი ყო დავით, რა-  
ჲამს-იგი უქმდა და შეემშოი მას და მის-  
თანათა?

26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთი-  
სასა აბიითარ მღდელთ მოძღურისა ზე<sup>3</sup>  
და პურნი იგი შესაწირავისანი შეჰამნა  
და ჰსცა<sup>4</sup> მისთანათაჲცა, რომელი არა  
ჯერ-არს ჰამად, გარნა მღდელთა<sup>5</sup> ხო-  
ლო.

27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცი-  
სათჳს დაებადა, და არა თუ კაცი შა-  
ბათისათჳს.

28. არამედ უფალცა<sup>7</sup> არს ძმ კაცი-  
საჲ შაბათისაჲცა.

ღვწოჲ იგი დაითხიოს, და თხიერნი  
იგი წარწყმდიან; არამედ ღვწოჲ ახალი-  
თხიერთა ახალთა შთაასხიან.

23. და იყო ვითარ: თანა-წარჰვიდო-  
და იგი ყანობირსა შაფათსა შინა, და  
მოწაფეთა მისთა იწყეს სლვასა შინა  
მათსა სხურტად<sup>1</sup> თავისა.

24. ხოლო ფარისეველნი ეტყოდეს  
მას: იხილე, რასა იქმან შაფათსა შინა,  
რომელ არა ჯერ-არს!

25. და მან ჰრქუა მათ: არა-მე სადა  
აღმოგიკითხავს თქუენ, რაჲ-იგი ყო და-  
ვით, ოდეს-იგი უქმდა და შეემშოი და  
მისთანათა მათ?

26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთი-  
სასა აბიითარ მღდელთ მოძღურისა ზე  
და პურნი იგი შესაწირავისანი შეჰამნა,  
რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჰამად, გარნა  
მღდელთაჲ ხოლო, და სცა მისთანათა-  
ცა, რომელნი იყვნეს.

27. და ეტყოდა მათ: შაფათი კაცი-  
სათჳს დაებადა, და არა კაცი შაფათი-  
სათჳს.

28. ხოლო უფალ არს ძმ კაცისაჲ შა-  
ფათისაჲცა<sup>2</sup>.

3

1. და მერმე შევიდა | შესაკრებელსა.  
და იყო მუნ კაცი, რომელსა ჳელი გან-  
ჳემელ ედგა.

2. და უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათ-  
სა განკურნოს იგი.

3. მის ყამსა ჰრქუა იესუ კაცსა მას,  
რომელსა-იგი ჳელი განჳემელ ედგა: აღ-  
დეგ და წარმოდეგ აქა შორის!

1. და შევიდა მერმე შესაკრებელსა.  
და იყო მუნ კაცი, რომელსა განჳემელ-  
ედგა ჳელი.

2. და უმზირდეს მას, უკუეთუმცა შა-  
ფათსა შინა განკურნა იგი, რათამცა  
შეასმინეს იგი.

3. და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა-იგი-  
ჳელი განჳემელ ედგა: წარმოდეგ შუჲა!

1 კოვილისასა D. 2 ხმენ E. 3 მოძღურისა ზე] მოძღურისასა D. 4 სცა E. 5 მღდლთა DE. 6 მათ]—D. 7 უფალ E.

1 სხურტად C. 2 ასეა.

DE

C

4. და ჰრქუა მათ იესუ: ჯერ-არსა შაბათსა კეთილისა საქმე<sup>1</sup> ანუ ბოროტისა? სულისა<sup>2</sup> ცხორებაჲ ანუ წარწყმედაჲ? ხოლო იგინი ღუმნეს.

5. და მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრძმისათჳს გულისა მათისა და ჰრქუა კაცსა მას: განირათხ<sup>3</sup> კელი შენი! და მან განირთხა კელი, და კუალად მოეგო კელი იგი, ვითარცა ერთი იგი.

6. და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი ჰეროდინელთა თანა, ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი.

7. ხოლო იესუ მოწაფითურთ განეშორა მათგან და მივიდა ზღუს კიდედ, და მრავალი ერი (შეუღდა მას)<sup>4</sup> გალილეაჲთ და ჰურიასტანიით

8. || და იერუსალმით და წიაღ იორდანით და ტჯროსითეკრძონი და სიდონით. ესმა მრავალსა სიმრავლესა, რაოდენსა-იგი იქმოდა, და მოვიდოდეს მისა.

9. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა ნავი განუშადონ მას ერისა მისთჳს, რაჲთა არა შეეახლნენ<sup>5</sup> მას და შეაიწრონ.

10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდეს მას ერი იგი, რაჲთა შე-ოდენ-ეხნენ. და რაოდენთა აქუნდა საღმრთობაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს.

11. და სულები იგი არაწმიდაჲ ჰხედვოდეს მას და შეუფრდებოდეს<sup>6</sup> და ლადებდეს და იტყოდეს: შენ ხარ ძე ღმრთისაჲ ცხოველისაჲ.

12. და ფრიად შეჰრისხნა მათ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი.

4. და ჰრქუა მათ: რაჲ წეს-არს შაფათსა შინა: ქველის საქმე ანუ ძჯრის საქმე? სულისა ცხორებაჲ ანუ წარწყმედაჲ? ხოლო იგინი ღუმნეს.

5. და მიხედა მათ მრისხანედ შექუენებულად სიბრძმესა მას ზედა გულისა მათისასა და ჰრქუა კაცსა მას: წარმოირათხ კელი შენი! და წარმოირთხა, და განცოცხლდა კელი იგი მისი.

6. და გამოვიდეს ფარისეველნი მუნქუსევე ჰეროდენათა თანა და ზრახვიდეს მისთჳს, რაჲთამცა წარწყმიდეს იგი.

7. ხოლო იესუ მოწაფითურთ თჳსიო წარვიდა ზღუად კერძო. და მრავალი ერი (შეუღდა მას)<sup>1</sup> გალილეაჲთ და ჰურიასტანიით

8. და იერუსალმით<sup>2</sup> და იღუმიაჲთ და წიაღ იორდანისაჲთ<sup>3</sup> და ტჯროსით და სიდონით კერძო ერი მრავალი. ესმოდა, რაოდენსა-იგი იქმოდა, და მოსრულ იყვნეს მისა.

9. და ჰრქუა მოწაფეთა<sup>4</sup> თჳსთა, რაჲთა ნავი მცირე დაალოდონ მას ერისა მის გამო, რაჲთა არა შეაიწრობდენ მას.

10. რამეთუ მრავალნი განკურნნა, არამედ ზედაცა დაესხმიედ მას, რაჲთამცა შე- ხოლო ვითარ-ახეს მას, რომელნი-იგი გუემულ იყვნეს.

11. და სულთა მათ არაწმიდათა ოდეს იხილიან იგი, შეურდიან მას, ლაღადებედ და იტყუედ, ვითარმედ: შენ ხარ ძე ღმრთისაჲ.

12. და ფრიად შეჰრისხნის მათ, რაჲთამცა არა გამოაცხადეს იგი.

1 საქმე D. 2 სულისა D. 3 განირათხ E. 4 ფრჩხილში ჩასმული სიტყვები არც ერთ ხელნაწერში არ მოიპოვება. 5 შეახლნენ D. 6 შეურდებოდეს D.

1 შეუღდა მას] — C. 2 იქმლთ C. 3 იორდანისა D. 4 მოწაფეთა C.

DE

C

13. და აღვიდა მთასა და მოუწოდა, რომელთაჲ უნდა მას; და მოვიდეს მისა.

14. და ყვნა ათორმეტნი იგი, რადთა იყვნენ მის თანა და რადთა წარავლინნეს იგინი ქადაგებად.

15. და აქუნდეს მათ კელმწიფებაჲ; განსხმად ეშმაკთა.

16. და დაჰსდვა<sup>1</sup> სახელი სიმონს<sup>2</sup> პეტრე<sup>3</sup>;

17. და იაკობ ზებედესი და იოჰანე, ძმაჲ იაკობისი, და დაჰსდვა<sup>1</sup> მათ სახელები: ბანერეგეს, რომელ არს: ძენი<sup>4</sup> ქუხილისანი;

18. და ანდრია<sup>5</sup> და ფილიპე და ბართლომე და მათეოზ მეზუერს<sup>6</sup> და თომა და იაკობ ალფესი და თადეოზ და სიმონ კანანელი;

19. და იუდა ისკარიოტელი<sup>7</sup>, რომელმანცა მიჰსცა<sup>8</sup> იგი.

20. და მოვიდეს სახლსა, და შეკრბა კუალად მისა ერი და ვერ კელ-ეწიფა მათ ვერცალა პურისა<sup>9</sup> ჭამად.

21. და ესმა მის კერძოთა მათ და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განკრთომილ არს.

22. და მწიგნობარნი, რომელნი-იგი<sup>10</sup> იერუსალმით შთასრულ იყვნეს, იტყოდეს, ვითარმედ: ბერზებუელი მის თანა არს, და მთავრითა ეშმაკთაჲთა განახსამს ეშმაკთა.

23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა: ვითარ კელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განსხმაჲ?

24. ო და უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განევთა, ვერ კელ-ეწიფების დამტიციებად მეუფებაჲ იგი.

13. და აღვიდა იგი მთად<sup>1</sup> და მოუწოდა, რომელნი სთნდეს მას; და იგინი მივიდეს მისა.

14. და ყვნა<sup>2</sup> იგინი ათორმეტ, რადთა იყვნენ<sup>3</sup> იგინი<sup>4</sup> მის თანა, და მოციქულ სახელი დასდვა მათ და რადთა წარავლინოდის იგინი ქადაგებად.

15. და აქუნდეს ფლობაჲ განსხმად ეშმაკთა.

16. და დასდვა სახელი სიმონს პეტრე

17. და იაკობს ზებედესსა და იოვანეს, ძმასა იაკობისსა, და დასდვა მათ სახელი ბანერეგეს, რომელ არს: ძენი ქუხილისანი;

18. და ანდრიას და ფილიპეს, ბართლომეოს<sup>5</sup> და მათეს<sup>6</sup> მეზუერესა და თომას და იაკობს ალფესსა და თადეოს<sup>7</sup> და სიმონს კანანელსა;

19. და იუდას სკარიოტელსა, რომელმანცა მისცა იგი.

20. და მოვიდეს სახედ იგინი, და შეკრბა მერმე ერი იგი, ვითარმედ ვერ სცალნ პურის ჭამადცა.

21. და ვითარ ესმა თჳსთა მათ, გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განცთა.

22. და მწიგნობარნი იგი იერუსალმით<sup>7</sup> მოსრულნი იტყოდეს, ვითარმედ: ბელზებუელი არს მის თანა, და მთავრითა მით ეშმაკთაჲთა განჰჯდის იგი ეშმაკთა.

23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა მათ: ვითარ-მე შემძლებელ არს ეშმაკი ეშმაკისა განჯდალ?

24. და თუ მეუფებაჲ თჳსა თავსა ზედა განიყოს, ვერ უძლოს დადგომად მეუფებამან<sup>8</sup> მან.

1 დასდვა E. 2 სიმონს E. 3 პეტრე D. 4 ძენი D. 5 ანდრია D. 6 მეზუერე D. 7 ისკარიოტელი D. 8 მისცა E. 9 პურის D. 10 და მწიგნობარნი იგი, რომელნი E.

1 მათთ C. 2 ყვნა C. 3 იყვნენ C. 4 იგი C. 5 ასეა. 6 მატთჳს C (მაგრამ შემდგვ „ტ“ ამოუშლია). 7 იწმომთ C. 8 მეუფემან C.

DE

C

25. და უკუეთუ სახლი სახლსა განევეთა, ვერ ჯელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად.

26. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თვსა ზედა აღდგომილ არს და განყოფილ არს, ვერ ჯელ-ეწიფების დამტკიცებად, არამედ აღსასრული აქუს.

27. და არცა ჯელ-ვის-ეწიფების<sup>1</sup> შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭერი მისი გამოტყუენეად, არა თუ პირველად შეკრას ძლიერი იგი და მაშინ სახლი მისი გამოტყუენოს.

28. ამენ გეტყვ თქუნენ, ვითარმედ ყოველი მიეტევოს<sup>2</sup> ძეთა<sup>3</sup> კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ;

29. ხოლო რომელმან თქუას გმობად სულსა წმიდისათს, არა აქუს მიტევებად, არამედ თანა-მღებ არს საუკუნოვანსა საზჯელისა.

30. რამეთუ რიტყოდეს, ვითარმედ: სული არაწმიდად თანა არს.

31. | და მოვიდეს ძმანი მისნი და დედა მისი და გარეშე<sup>4</sup> ღგეს და მიუვლინეს მას და გამოაზადოდეს<sup>5</sup>.

32. და სხდა<sup>6</sup> გარემო მისა ერი, და ვითარცა ჰრქუეს: აჰა დედად შენი და ძმანი შენი გარეშე<sup>4</sup> ღგანან და გეძიებენ შენ,

33. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: ვინ არს დედად ჩემი ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი?

34. და<sup>7</sup> მიმოდაიხილა გარემო მისა მოწაფეთა თვსთა მსხლომარეთა და თქუა: აჰა დედად ჩემი და ძმანი ჩემნი!

35. რამეთუ რომელმან ყოს ნებად ღმრთისაჲ, ესე არს ძმა ჩემი და და ჩემი და დედად ჩემი.

25. და თუ სახლი თავსა თვსა ზედა განიყოს, ვერ უძლოს სახლმან მან დადგომად.

26. და თუ ეშმაკი ეშმაკსა განჰქნდის და გაეთულ არს თავსა ზედა თვსა, ვერლარა შეუძლოს დადგომად, არამედ აღსრულებულ არს.

27. არცა უძლის ვინ შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭელი მისი ია-ვარ-ყვის, (ვიდრე) არა პირველ შეკრას ძლიერი იგი და მაშინ-და სახლი იგი მისი იავარ-ყოს.

28. მართლიად გეტყვ თქუნენ, რამეთუ: ყოველივე მიეტევოს ძეთა კაცთა<sup>1</sup> შეცოდებანი და გმობანი, რაოდენსაცა გმობდენ;

29. ხოლო რომელი ჰგმობდეს სულსა წმიდასა, არა მიეტევოს უკუნისამდე, არამედ თანა-მღებ იყოს ცოდვასა საუკუნესა.

30. რამეთუ თქუეს: სული არაწმიდად არს მის თანა.

31. და მოვიდეს ძმანი მისნი და დედა მისი და დადგეს გარე და შეავლინეს ხადად მისა.

32. და სხდა ერი გარემო მისსა და ჰრქუეს მას: აჰა ესერა დედად შენი და ძმანი შენი გეძიებენ შენ.

33. მიუგო მათ და ჰრქუა: ვინ არს დედად ჩემი ანუ ძმანი ჩემნი?

34. და მიხედა გარემო მისა მოწაფეთა თვსთა მსხლომარეთა და თქუა: აჰა დედად ჩემი და ძმანი ჩემნი!

35. რამეთუ რომელმან ყოს ნებად ღმრთისაჲ, იგი არს ძმა ჩემი და და ჩემი და დედად ჩემი.

1 არცა ჯელ-ეწიფების ვის E. 2 მიეტევოს D. 3 ძმთა D. 4 გარეშე E. 5 გამოზადოდეს D. 6 სხდა — D. 7 და — D.

1 ასეა (როგორც DE-შიც; მოსალოდნელი იყო: ძეთა კაცთას).



DE

C

1. მერმე კულად იწყო სწავლად ზღუს კიდესა ზედა; და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე აღსვლადმდე მისა ნავსა მას, და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა<sup>1</sup> შინა; და ყოველი იგი ერი დგა ზღუს<sup>2</sup> კიდესა ქუეყანასა.

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:

3. ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესყარი თესვად.

4. და იყო თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა, და მოვიდეს მფრინველნი და შეკამეს იგი.

5. და სხუად დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა-იგი არა იყო მიწად ფრიად, და<sup>3</sup> მესყულად აღმოჰსცენდა<sup>4</sup>, რამეთუ არა იყო სიღრმე<sup>5</sup> მიწისაჲ.

6. და ვითარცა მზ<sup>6</sup> აღმოჰჳდა და დაჰსცხა<sup>6</sup>, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განჳმა<sup>7</sup>.

7. და სხუად დავარდა ეკალთა შინა; და აღმოჰსცენდეს<sup>8</sup> ეკალნი და შეაშთვეს იგი, და ნაყოფი ვერ გამოიღო.

8. და სხუად დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოჰსცემდა<sup>9</sup> ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძინებოდა და მოაქუნდა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული.

9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

10. და ოდეს იყო იგი თუსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა, | ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე?

11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუნდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ

1. მერმე იწყო სწავლად ზღუს კიდესა; და შეკრბა მისა ერი მრავალი, და იგი აჳდა ნავსა და დაჯდა ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი მის თანა ზღუასა<sup>1</sup> თანა ქუეყანასა ზედა იყო.

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:

3. ისმინეთ: აჳა გამოვიდა მთესყარი თესვად.

4. და იყო თესვასა მას რომელიმე დავარდა გზასა თანა, და მოვიდეს მფრინველნი და შეკამეს იგი.

5. და სხუად დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო სისქე<sup>2</sup> მიწისაჲ ფრიად, და მუნქუესევე აღმოჰსცენდა, რამეთუ არა ედგა მას სიზრჳს.

6. ხოლო აღმობრწყინებასა მზისასა დასცხა მას, რამეთუ ძირ არა დაებნეს, და განჳმა.

7. და სხუად დავარდა ეკალთა შინა; აღმოჰსცენდეს ეკალნი და შეაშდვეს იგი, და ნაყოფი არა გამოჰჳა.

8. და სხუად დავარდა ქუეყანასა კეთილსა და გამოსცის ნაყოფი აღმოცენებული და აღორძინებული, და გამოიღის ერთმან ოც და ათი და სამეოცი და ასი.

9. და იტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

10. რაჲამს<sup>3</sup> უკუე<sup>1</sup> იყო მარტოღ, ჰკითხეს მას, რომელ იყენეს გარემოჲს მისსა ათორმეტითურთ, იგავები იგი.

11. და ჰრჳქუა მათ: თქუნდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ იგი სა-

1 ზუასა D. 2 ზუს D. 3 და] — D. 4 აღმოსცენდა E. 5 სიღრმე D. 6 დასცხა E. 7 და განჳმა E. 8 აღმოსცენდეს E. 9 მოსცემდა E. 10 ყუნი D.

1 ზღუასა C. 2 ასეა. 3 რაჲამს C. 4 უკუე C.

DE

C

სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო მათ გარეშეთა<sup>1</sup> — ყოველივე იგავით სიტყუად.

12. რადთა ხედვით<sup>2</sup> ჰხედვიდენ და არა იხილონ და<sup>3</sup> სმენით ესმოდის და ვერ გულისხმა-ყონ, ნუჟუჟე მოიქცენ და მიეტევოს<sup>4</sup> მათ.

13. და ჰრქუა მათ: არა იცითა იგავი ესე? და ვითარ უჟუჟე ყოველნი იგავნი გულისხმა-ჰყენეთ<sup>5</sup>?

14. მთესვარი იგი, რომელ ჰსთესვიდა<sup>6</sup>, და<sup>7</sup>, სიტყუასა ჰსთესვიდა<sup>8</sup>.

15. ესე არიან გზისანი იგი, რომელ დაეთესა სიტყუად, და რაჟამს ისმინიან სიტყუად იგი მისი, მოვიდის ეშმაკი და მოულის მათ სიტყუად იგი დათესული მათა<sup>9</sup> მიმართ.

16. და ესე არიან კლდოვანსა მას დათესულნი<sup>10</sup>: რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან სიტყუად, მეცსეულად სიხარულით მიიღიან;

17. და რამეთუ არა დამტკიცებულ არიედ ძირნი მისნი, არამედ საწუთრო არიედ; || და რაჟამს მოიწიის ჰირი გინა დევნულებაჲ სიტყუსა მისთჳს, მეცსეულად დაბრკოლდიან<sup>11</sup>.

18. და რომელნი-იგი ეკალთა შინა დაეთესნეს, ესენი არიან: რომელთა სიტყუად იგი ისმინიან,

19. და ზრუნვანი ამის სოფლისანი და საცთური სიმდიდრისაჲ შეუწდის და შეაშთვიან სიტყუად<sup>12</sup> იგი, და უნაყოფო იქმნის.

20. და ესენი არიან, რომელნი კეთილსა ჰუეყანასა დაეთესნეს: რომელთა ისმინიან სიტყუად იგი<sup>13</sup> და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან: ოცდაათეული და სამოცეული და ასეული.

სუფეველისა მის ღმრთისაჲსაჲ<sup>1</sup>, ხოლო მათ გარეშართა—იგავით სიტყუად.

12. რადთა ხედვით ხედვიდენ და ვერ იხილონ და სმენით ესმოდის<sup>2</sup> და ვერ გულისხმა-ყონ, ნუჟუჟე მოიქცენ და მიეტევოს მათ.

13. და ჰრქუა მათ: არავე იცით იგავი ესე და უჟუჟე ყოველნი იგავნი ვითარ-მე გულისხმა-ჰყენეთ?

14. მთესვარმან მან სიტყუად დასთესის.

15. ხოლო ესენი არიან გზისათანანი, სადა-იგი დაეთესნეს სიტყუანი, და რაჟამს ისმინიან მისი, მოვიდის ეშმაკი და მიულის სიტყუად იგი დათესული მათდა მიმართ<sup>3</sup>.

16. და ესენი არიან კლდოვანსა ზედა დათესულნი; რომელთა რაჟამს ისმინიან სიტყუად იგი, და მუნქუესევე სიხარულით შეიწყნარიან;

17. და არა უზნ მათ ძირ, არამედ საწუთრო არიედ; მერმე რაჟამს შეემთხუიის<sup>4</sup> ჰირი ანუ დევნულებაჲ სიტყუსა<sup>5</sup> მისთჳს, მუნქუესევე ცთიან.

18. და რომელნი-იგი ეკალთა შორის დაეთესნეს, ესე არიან: რომელთა სიტყუად იგი ისმინიან,

19. და ზრუნვათა ამის სოფლისათა და საცთურმან სიმდიდრისამან, რომელ შეერინიან, შეაშთვიან სიტყუად იგი, და უნაყოფო იქმნის.

20. და ესე არიან, რომელნი ჰუეყანასა მას კეთილსა დაეთესნეს: რომელთა ისმინიან სიტყუად იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან: ერთმან ოც და ათი, ერთმან სამმოცი და ერთმან ასი.

1 გარეშეთა E. 2 ჰხედვით D. 3 და | — E. 4 მიეტევოს D. 5 გულისხმა-ჰყენეთ E. 6 სთესვიდა E. 7 მათდა D. 8 დათესული D. 9 დაბრკოლდიან D. 10 სიტყუა D. 11 იგი | — D.

1 ღვსაჲ C. 2 ისმოდის C. 3 ასეა (მოსალოდნელი იყო: მათდა მიმართ). 4 შეემთხუის C. 5 სიტყუსა C.

DE

C

21. და ეტყოდა მათ: აღ- ნუ ვინ -ან- თის სანთელი და ქუეშე<sup>1</sup> შედგის გვირ- სა<sup>2</sup> ანუ ცხედარსა ქუეშე<sup>1</sup> დადგიან? ანუ არა სასანთლესა ზედა დადგიან?

22. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საი- დუმლოა, რომელი არა განცხადებულად მღვიდეს.

23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

24. და ეტყოდა მათ: იხილეთ, რა- ეხე გესმის, | რამეთუ რომლითა საწყა- ულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ და ზედა დაგერთოს თქუენ, რომელთა-ეგე გესმის.

25. რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს და რომელ- ლა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან.

26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სა- სუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაც- მან რაჲ დასთესის თესლი ქუეყანასა

27. და<sup>3</sup> დაიძინის; და აღდგის ღამე<sup>4</sup> და დღე<sup>5</sup> და თესლი იგი აღმოჰსცენ- დის<sup>6</sup> და განოჩნდებიან, ვითარ-იგი მან არა უწყინ.

28. რამეთუ თვისით თავით<sup>7</sup> ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე თავი და<sup>8</sup> მაშინ-ლა საეს<sup>9</sup> იფქლი თავსა მას შინა.

29. და რაჲამს მოჰსციქის<sup>10</sup> ნაყოფი, მეყ- სეულად მოავლინის<sup>11</sup> მანგალი, რამეთუ მოიწია<sup>12</sup> მკაჲ.

30. და ეტყოდა: რასა ვამსგავსო სა- სუფეველი ღმრთისაჲ? ანუ რომელი იგა- ვი მოვილო მისთჳს?

31. ვითარცა-იგი მღოვჯსა მარცუალი, რომელი დაეთესის ქუეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან || ქუეყანასა ზედა.

21. და ჰრქუა მათ: მო- ნუ ვინ -ილის სანთელი და ქუე შედგის გვირსა<sup>1</sup> ანუ ცხედარსა ქუეშე? არამედ რაჲთა სასანთ- ლესა ზედა დაიდგას.

22. რამეთუ არა<sup>2</sup> არს საიდუმლოა, რომელიმცა არა განცხადან, და არცა დაფარული რაჲ არს, რომელი არა გა- მოჩნდეს.

23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

24. და ეტყოდა მათ: იგულეთ, რა- ეგე გესმის, რამეთუ რომლითა საწყაუ- ლითა ჰწყვიდეთ, მითვე მოგეწყოს თქუენ და შეგემატოს თქუენ, რომელთა- ეგე<sup>3</sup> გესმის.

25. რომელსა-იგი აქუნდეს, მოეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს, რომე- ლი-იგი აქუნდეს, მიელოს მისგან.

26. და იტყოდა: ესრე<sup>4</sup> არს სასუფე- ველი ღმრთისაჲ, ვითარცა კაცმან-ლა დასთესის თესლი ქუეყანასა ზედა

27. და მან დაიძინის; და აღდგის ღა- მე და დღე, და თესლი იგი აღოჩნდე- ბინ, ვითარ არა უწყინ მან,

28. რამეთუ თავით თვისით ქუეყანამან მან გამოიღის ნაყოფი: პირველად თი- ვაჲ, მერმე თავი, მაშინ-ლა სრული იფქ- ლი თავსა მას შინა.

29. ხოლო რაჲამს დამწიფდის ნაყო- ფი იგი, მუნქუესევე მოავლინის მლული, რამეთუ მოწივენულ არნ მკაჲ მისი.

30. და ეტყოდა: ვითარ ვამსგავსოთ სასუფეველი ღმრთისაჲ? ანუ რომლისა თანა იგავისა დაუდვათ იგი?

31. ვითარცა მარცუალი მღოვჯსა<sup>5</sup>, რომელი-იგი დაეთესის ქუეყანასა ზედა, უმცირეს არს ყოველთა თესლთა, რო- მელ არს ქუეყანასა ზედა.

1 ქუეშე E. 2 გვირისა D. 3 და | — E. 4 ღამე E. 5 დღე ED. 6 აღმოსცენდის E. 7 ასეა DE. ში. 8 და | — E. 9 საეგე D. 10 მოსციქის E. 11 მოავლის DE. 12 მოიწიწია D.

1 ქუეშისა C. 2 არაჲ C. 3 რლთა-ეგე C. 4 ესრე C. 5 მღოვჯსა C.



DE

C

32. და ოდეს დაეთვისი<sup>1</sup>, აღმოვლდის და იქმნის იგი უფროდს ყოველთა მხალთა და მოიხუენის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არნ საგრილსა მისსა ქუეშე<sup>2</sup> მფრინველნი ცისანი დადგრომად.

33. და ესევეთარიოთა იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად.

34. და თვნიერ<sup>3</sup> იგავისა არას ეტყოდა მათ; ხოლო თუსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის ყოველი იგი.

35. მას დღესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა მათ: წიაღვედეთ<sup>4</sup> მიერ კერძო.

36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყვანეს იგი მოწაფეთა. და ვითარცა იყო ნავსა მას შინა, და სხუადცა ნავები, რომელი იყო მის თანა,

37. და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისად დიდი და ლელვასა მას შთაასხმიდა ნავსა მას, ვითარმედ აღ-ცა-ივსებოდა ნავი იგი.

38. და თავადი იყო პირით კერძო მის ნავისასა თავსა ზედა და ეძინა. და განაღძებდეს | მას მოწაფენი და ეტყოდეს: მოძლუარ, არას ჰზრუნავა<sup>5</sup>, რამეთუ წარეწყმდებით?

39. და აღდგა იესუ და შეჰრისხნა ქარსა მას და ზლუასა და ჰრქუა: დადუმენ და დაიყავ პირი და დასცხრა<sup>6</sup> ქარი იგი, და იქმნა დაყულება<sup>7</sup> დიდ.

40. და ჰრქუა მათ: რადსა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნოებთა?

41. და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზლუადცა ერჩიან მას?

32. და რაჟამს დაეთვისის, აღმოსცენ-დის და იქმნის იგი უფროდს ყოველთა მხალთა და აღუტევენის რტონი დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არნ აზრდილსა მისსა ქუეშე მფრინველთა ცისათა დადგრომად.

33. და ესევეთარიოთა<sup>1</sup> მით იგავებითა ეტყოდა მათ სიტყუასა, (რ)აოდენ შემძლებელ იყვნეს სმენად.

34. და იგავისა გარეშე არას ეტყოდა მათ; ხოლო თუსაგან მოწაფეთა თუსთა განუმარტებნ ყოველსა.

35. და ჰრქუა მათ მას დღესა შინა, რაჟამს შემწუხრდა: მოედით და წიაღვედეთ მიერ.

36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყვანეს<sup>2</sup> იგი, ვითარ იყო ნავსა მას შინა,

37. და იყო ნიავეპარი ქარისა დიდისა და გარდაასხმიდა ლელვათა ნავსა მას, და აღ-ოდენმცა -ივსო იგი.

38. ხოლო იგი თავადი წვა თავით კერძო სასათაულსა ზედა. და განაღძეს<sup>3</sup> და ჰრქუეს მას: მოძლუარ, არა გჰირს შენ, რამეთუ წარეწყმდებით?

39. და განიღძა<sup>4</sup> და შეჰრისხნა ქარსა და ზლუასა და ჰრქუა: დადუმენ და პირი დაიყავ! და დასცხრა ქარი იგი, და იყო დაყულება დიდ.

40. და ჰრქუა მათ: რად ეგდენ გულმედგარ ხართ და არლირა გაქუს<sup>5</sup> სარწმუნოება?<sup>6</sup>

41. და შეეშინა შიშითა დიდითა და იტყოდეს: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქარნი და ზლუადცა<sup>7</sup> ერჩიან მას?

1 დაითვისის D. 2 ქუეშე E. 3 თვნიერად D. 4 წიაღვედეთ D. 5 ზრუნავა D. 6 დასცხრა E. 7 დაყულება D.

1 ასეა. 2 წარიყვანეს C. 3 განაღძეს C. 4 განიღძა C. 5 გაქუნს C. 6 სარწმუნოება C. 7 ზლუადცა C.

წ

DE

C

1. და მოვიდა წილ ზღუასა მის, სოფელსა მის გერგესეველთასა.

2. და ვითარცა გამოვიდეს იგინი ნავით, მესყულად მოეგებვოდა მას საფლავებისაგან<sup>1</sup> კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ,

3. რომელსა საყოფლად აქუნდავე<sup>2</sup> საფლავები. და არცაღა ჯაქუებითა ვის ჰელ-ეწიფა შებორკილებად იგი.

4. რამეთუ მრავალ გზის ჯაქუთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი ო და განხეთქის და შემუსრის იგი<sup>3</sup>, და არავის ეძლო დაყენებად მისა.

5. რამეთუ მარადის ღამე და ღღე<sup>4</sup> საფლავებსა და მათაა გარე<sup>5</sup> იქცევიან და ღღადღებნ და ქვითა იცემნ თავსა თუსსა.

6. და ვითარცა იხილა მან იესუ შორით, მორბიოდა და<sup>6</sup> თაყუანის-ჰსცა<sup>7</sup> მას

7. და ღღადღებდა ჳმითა დიდითა და ეტყოდა: რაჲ არს შენი და ჩემი, იესუ, ძეო ღმრთისა მალღისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე.

8. რამეთუ ეტყოდა მას იესუ: სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მაგის-გან!

9. და ჳკითხა მას იესუ<sup>8</sup>: რაჲ არს სახელი შენი? და მან ჰრქუა მას: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ.

10. და ევედრებოდეს მას ფრიად, რაჲთა არა განასხნეს იგინი გარეშე<sup>9</sup> სოფელსა.

11. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ დიდძალი, მთასა გარე<sup>10</sup> მძოვარი.

1. და წილღდა მიერ წილ ზღუასა, სოფელსა მის გერგესეველთასა.

2. და ვითარ გამოჯდა იგი მიერ ნავით, მუნქუესვე გამოეგებვოდა მას სამარობნით კაცი სულითა არაწმიდითა,

3. რომელი მყოფ იყო სამარობანსა. და ვერცა ჯაქუთა ვერლარავინ უძლის შეკრვად მისა.

4. რამეთუ მრავალი ბორკილი და ჯაქუ, რომლითა შეკრიან იგი, განეხეთქა და დაემუსრა, და არავინ უძლო დამორჩილებად მისა.

5. და მარადის ღღე<sup>1</sup> და ღამე სამარობანსა შინა და მათაა შინა იყო, ღღადღებნ და ქვითა დაიტუნვინ.

6. და ვითარცა იხილა იესუ შორით, მირბიოდა და თაყუანის-სცა მას

7. და ღღადღ-ყო ჳმითა დიდითა და თქუა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მალღისაო? გაფუცებ შენ ღმრთისა<sup>2</sup>, ნუ მგუემ<sup>3</sup> მე.

8. რამეთუ ეტყოდა მას: განვედ, სული არაწმიდაო, მაგის კაცისაგან!

9. და ჳკითხვიდა მას: რაჲ არს სახელი შენი? და ჰრქუა მან: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ ჩუენ.

10. და ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთა არა მიავღინენეს იგინი გარეშე სოფელსა.

11. და იყო მუნ კოლტი ღორებისაჲ დიდი, მძოვარი მთასა თანა.

1 საფლავისაგან D. 2 საყოფლადვე აქუნდა E. 3 იგი—D. 4 ღამშ და ღღე E. 5 გარშ E. 6 და—E. 7 თაყუანის-სცემდა E. 8 იესუ—D. 9 გარეშე E. 10 მათაა გარშ E.

1 ღღეშ C. 2 ღისა C. 3 მგუემ C.

DE

C

12. და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიბრძანე ჩუენ ღორებსა | იმას, რაათა მათა შევიდეთ<sup>1</sup>.

13. და უბრძანა მათ. და განვიდა სულელები იგი არაწმიდად კაცისა მისგან და შევიდეს ღორებსა მას. და მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან<sup>2</sup> კბოდესა მას ზღუად, რამეთუ იყენეს ვითარ ორათას და დაიშთენეს ზღუასა მას შინა.

14. ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. და გამოვიდეს ხილვად, რაჲ-ძი არს, რომელ-იგი იქმნა.

15. და მოვიდეს იესუსა<sup>3</sup> და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარს<sup>4</sup> და შემოსილი და გონიერი, რომლისა თანა-იგი ყოფილ იყო ლეგეონი, და შეეშინა.

16. და უთხრობდეს მათ, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი იქმნა ეშმაკეულისა მისთჳს და ღორებისა მისთჳს.

17. და ევედრებოდეს მას, რაათა წარვიდეს საზღვართაგან მათთა.

18. და ვითარცა აღჳდა იესუ ნავსა, ევედრებოდა მას რომელ-იგი იყო პირველ ეშმაკეულ, რაათა მის თანა იყოს.

19. ¶ და არა უტევა იგი, არამედ ჰრქუა მას: წარვედ სახიდ შენდა თუსთა შენთა თანა და უთხარ მათ, რაოდენი რაჲ ყო შენ თანა უფალმან და შეგიწყალა შენ.

20. და წარვიდა კაცი იგი და იწყო ქადაგებად ათქალაქთა მათ, რაოდენი<sup>5</sup> რაჲ ყო იესუ მისთჳს; და ყოველთა უკრდა.

21. და ვითარცა წიაღჳდა იესუ მიერ

12. და ევედრებოდეს მას და ჰრქუეს: მიგუაველინენ ჩუენ ღორებსა იმას, რაათა შევიდეთ მათა.

13. და იესუ უბრძანა მათ. და გამოჳდა სულელები იგი არაწმიდები და შეჳდა ღორებსა მას. და მიიმართა კოლტმან მან კლდით კერძო ზღუასა; ხოლო იყო ვითარ ორათას ოდენ და დაიშთებოდეს ზღუასა<sup>1</sup> შინა.

14. ხოლო მელორენი იგი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და აგარაკებსა. და გამოვიდეს იგინი ხილვად, რაჲ-იგი ქმნულ იყო.

15. და მოვიდეს იესუსა და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარს და მოსილი გონებულად, რომლისა თანა-იგი იყო ლეგეონ, და შეეშინა მათ.

16. და მიუთხრეს მათ, რომელნი-იგი ხედვიდეს, ვითარ-იგი იყო ეშმაკეულისა<sup>2</sup> მისთჳს და ღორებისათჳს.

17. და იწყეს ვედრებად მისა<sup>3</sup> წარსლვად საზღვრით მათით.

18. და ვითარ აღვიდოდა იგი ნავსა<sup>4</sup>, ევედრებოდა მას რომელი-იგი ეშმაკეულ ყოფილ იყო.

19. და არა უფლო მას, არამედ ჰრქუა მას: წარვედ სახიდ შენდა შენთა მიმართ და მიუთხარ მათ, რაოდენი შენ უფალმან გიყო და შეგიწყალა შენ.

20. და წარვიდა, იწყო ქადაგებად ათქალაქს შინა, რაოდენი უყო მას იესუ; და ყოველთა უკრდა.

21. და ვითარ წიაღმოჳდა იესუ მერ-

1 შევიდენ D. 2 ღორებისამას E. 3 იესუსა (ი'ჯსა) D. 4 მჯდომარე D. 5 რაოდენ D.

1 ზღუასა C. 2 ეშმაკეულსა C. 3 მისსა C. 4 და ვითარ აღვიდოდა იგი ნავსა] და ვითარ იგი აღვიდოდა იგი ნავსა C [ორივე „იგი“-ს დატოვება გამოცემაში მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ პირველ მათგანს მიმართებით ნაწილაკად გავიგებდით (ვითარ-იგი). უნდა აღვნიშნოთ მაინც, რომ მეორე „იგი“ თითქო ამოშლილია].

D E

C

კერძო, შეკრბა ერი დიდძალი მისა. და იყო ზღვს კიდესა.

22. და მოვიდა მისა ერთი შესაკრებ-ლის მთავარი, სახელით იაროს; და იხი-ლა იგი და შეუერდა<sup>1</sup> ფერჯთა მისთა,

23. ევედრებოდა მას ფრიად და ეტ-ყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აღესრუ-ლების, რაჟთა მოხვდე და დაასხნე<sup>2</sup> კელ-ნი მას, და<sup>3</sup> განერეს და ცხოვნდეს<sup>4</sup>.

24. და წარვიდა იესუ მის თანა. და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურ-ვებდეს მას.

25. და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რო-მელი იყო წყაროთა<sup>5</sup> სისხლისათა გუე-მულ ათორმეტ წელ.

26. და ფრიად ვნებულ იყო იგი მრავალთა მიმართ<sup>6</sup> მკურნალთა, და ყოვე-ლი ნაყოფი მისი განუებულ იყო, და არარაჲ სარგებელ ეყო, არამედ უფრომ-სად უძვრესსა მოვიდა.

27. და ვითარცა ესმა მას იესუდის<sup>7</sup>, მოუცდა იგი ერსა შორის ზურგით კერ-ძო და შეახო სამოსელსა მისსა,

28. რამეთუ იტყოდა გულსა თვსსა: და ლათუ<sup>8</sup> სამოსელსა ოდენ მისსა შე-ეახო, ეცხოვნდე<sup>9</sup>.

29. და ვითარცა შეახო, მეყსეულად განჴმა წყაროჲ იგი წიღოვნებისა მისი-საჲ, და ცნა ჴორცთაგან, რამეთუ განი-კურნა გუემულებისაგან.

30. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო<sup>10</sup> თა-ვით თვისთი განსრული იგი ძალი მის-გან და მოიქცა ერისა მის და თქუა: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?

31. ხოლო მოწაფენი მისნი ეტყოდეს

მე წილმო კერძო, შეკრბა ერი მრავა-ლი მის თანა. და იყო იგი ზღვს<sup>1</sup> კი-დესა.

22. და აჲა მო-ვინმე-ვიდა ერთი შე-საკრებელთ მთავარი, რომელსა სახელით ერქუა იაჲროს; და ვითარ იხილა იგი, შეურდა ფერჯთა მისთა

23. და ევედრებოდა მას ფრიად და ეტყოდა, რამეთუ: ასული ჩემი აღესრუ-ლების, რაჟთა მოხვდე<sup>2</sup> და კელი დას-დვა მას, რაჟთა განერეს და ცხოვნდეს.

24. და წარვიდა მის თანა. და მის-დევდა მას ერი მრავალი და შეაიწრებ-დეს მას.

25. და დედაკაცი ვინმე იყო დაშტ-ნობასა ჴედა ათორმეტ წელ.

26. და ფრიად ვნებულ იყო იგი მრავალთაგან მკურნალთა და მოელია მას ყოველი ნაყოფი მისი და არარაჲ რგე-ბულ იყო, არამედ უფრომს-ლა უძვრეს იყო.

27. ესმა რაჲ უკუე<sup>3</sup> იესუსი, მოვიდა იგი შორის ერსა მას უკუანა<sup>4</sup> კერძო და შეახო სამოსელსა მისსა,

28. რამეთუ იტყოდა გულსა თვსსა, ვითარმედ: სამოსელსა ხოლო თუ მისსა შეეახო, ეცხოვნდე.

29. და მუნქუესვე განჴმა წყაროჲ იგი სისხლისა<sup>5</sup> მის მისისაჲ, და ეგონა ჴორც-თა მისთა, რამეთუ განკურნებულ არს გუემისა<sup>6</sup> მისგან.

30. და მუნქუესვე ცნა იესუ გულსა თვსსა მისგან ძალი გამოსრული და მი-ექცა ერსა მას და ეტყოდა: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?

31. და ეტყოდეს მოწაფენი მისნი: ხე-

1 შურდა D. 2 დასხნე E. 3 და] —D. 4 ცხოვნდეს D. 5 წყაროთა D. 6 მოსალოდნელი იყო: მრავალთაგან, ან: მრავალთა მიერ. 7 იესუსი (იჯსი) D. 8 და აღათუ D. 9 ეცხოვნდე D. 10 გულისხმა-ყო E.

1 ზღუს C. 2 მოხვდე C (ოდონდ „უ“-ს პირველი ნაწილი „ო“ მკრთალია და თითქო ამოშლილი). 3 უკუე C. 4 უკანა C. 5 სისხლისაჲ C. 6 გუემისა C.

DE

C

მას: ჰხედავ ერსა ამას, რამეთუ შეგა-  
ქირეებენ შენ და შენ იტყვ: ვინ შემახო  
მე?

32. და მიმოიხედვიდა იესუ, რადთა  
იხილოს, რომელმან-იგი ესე ყო.

33. ¶ ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და  
ძწოდა, უწყოდა რად-იგი იქმნა მის ზე-  
და, მოვიდა და შეუერდა<sup>1</sup> მას და უთხ-  
რა მას ყოველივე ბრალი.

34. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ასულო,  
სარწმუნოებამან<sup>2</sup> შენმან გაცხოვნა შენ,  
წარვედ სახიდ შენდა მშვლობით და იყავ  
შენ ცოცხალ გუემულეებისაგან შენისა.

35. და ვითარ იგი ამას იტყოდა, მო-  
ვიდეს შესაკრებლსა მის მთავრისანი და  
ეტყოდეს: ასული შენი აღესრულა, რად-  
სა-ლა მოაშრომებ მოძლუარსა?

36. ხოლო იესუს ესმნეს სიტყუანი<sup>3</sup>  
ესე, რომელსა იტყოდეს, და ჰრქუა შე-  
საკრებელთა მთავარსა მას: ნუ გეშინინ,  
გარნა გრწმენინ ხოლო.

37. და არავინ უტრევა მიდევნებად მის  
თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იო-  
ვანე, ძმაჲ იაკობისი.

38. და მოვიდა სახლსა მას შესაკრე-  
ბელთ მთავრისასა და იხილა შფოთი  
და ტირილი და დაღადებაჲ ფრიადი.

39. | და შევიდა და ჰრქუა მათ: რად-  
სა აღშფოთებულ ხართ და სტირით<sup>4</sup>?  
რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს,  
ააამედ სძინავს.

40. და იგინი ჰბასრობდეს მას. ხო-  
ლო თავდმან გამოასხა ყოველი იგი<sup>5</sup>  
შფოთი და მიიყვანა მამად მის ყრმისაჲ  
და დედაჲ და მოწაფენი მისნი და შევი-  
და, სადა-იგი იღვა ყრმაჲ იგი მკუდარი,  
იგი,

41. და უპყრა კელი ყრმისაჲ მის და

დავა ერსა ამას, რამეთუ შეგაიწრებენ<sup>1</sup>  
შენ და იტყვ: ვინ შემახო სამოსელსა  
ჩემსა?

32. და მიმოდაისტუანვიდა იესუ, რად-  
თამცა იხილა, რომელმან ესე ყო.

33. ხოლო დედაკაცი იგი შეშინდა და  
ძწოდა მისთვის, რომელი-იგი ყო მან  
იღუმალ. გულისწმანეყო მას, რომელი-  
იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეურ-  
და მას და უთხრა მას ყოველი ჰეშმა-  
რიტი.

34. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ასულო,  
სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ,  
ვიდოდე მშვლობით და იყავ შენ ცოცხ-  
ლებით გუემისა მისგან შენისა.

35. და ვიდრე იგი ამას ეტყოდა-და,  
მო-ვინმე-ვიდეს შესაკრებელთ მთავრისა-  
მისგან და თქუეს: ასული იგი შენი მო-  
კუდა, რადსა მოაშრომებ მოძლუარსა?

36. ხოლო იესუს ვითარ ესმა სიტ-  
ყუაჲ იგი თქუმული<sup>1</sup>, ჰრქუა მთავარსა-  
მას შესაკრებელისასა: ნუ გეშინინ, გარნა-  
გრწმენინ ხოლო.

37. და არავის უფლო მიდევნებად  
მის თანა, გარნა პეტრეს და იაკობს და  
იოვანეს, ძმასა იაკობისსა.

38. და მოვიდეს სახლსა მას შესაკრე-  
ბელთ მთავრისასა, და იხილა ჟღავილი  
და მტირაილნი და მკვობარნი ფრიად.

39. და შევიდა და ჰრქუა მათ: რად-  
სა შეშფოთვილ ხართ და სტირით<sup>2</sup> ყრმაჲ.  
ეგე არა მომკუდარ არს<sup>3</sup>, არამედ სძი-  
ნავს.

40. და იგინი ეკიცხევდეს მას. ხოლო  
მან გამოასხა ყოველი და მიიყვანა მა-  
მად მის ყრმისაჲ და დედაჲ მისი და  
თვსთანანი და შევიდა, სადა იღვა ყრმაჲ  
იგი,

41. და უპყრა კელი მის ყრმისაჲ და

1 შეურდა D. 2 სარწმუნოებამან E. 3 სიტყუანი D. 4 სტირით E. 5 ყოველი იგი ყვეგე D<sup>2</sup>.

1 თქუმული C. 2 მომკუდარაქარს C.

DE

C

ჰრქუა მას: ტალითა კუმი! რომელ არს გამოთარგმანებით: შენ გეტყვ, ყრმაო, აღდგე!

42. და მეყსეულად აღდგა ქალი იგი და იწყო სლვად, რამეთუ იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ. და განუკრდებოდა მათ განკვრევებითა დიდითა.

43. და ამცნებდა მათ ფრიად, რაჟთა არაჲინ აგრძნეს<sup>1</sup> ესე, და უბრძანა მათ, რაჟთა მისცენ<sup>2</sup> მას ჰამადი.

ჰრქუა მას: ტალითა კუმი! რომელ არს გამოთარგმანებით: ქალა, შენ გეტყვ, აღდგე!

42. და მუნქუესევე აღდგა ქალი იგი და ვიდოდა, რამეთუ იყო იგი ვითარ ათორმეტის წლის. და დაუკრდა<sup>3</sup> მათ საკვრველითა<sup>3</sup> დიდითა.

43. და ამცნო მათ ფრიად, რაჟთა არაჲინ აგრძნეს, და უბრძანა მათ ცემად მისა ჰური.

6

1. და გამოვიდა მიერ და მოვიდა სოფლად თჳსა, და მოჰსდევდეს<sup>3</sup> მას მოწაფენი თჳსნი.

2. და იყო შაბათი, || და იწყო შესაკრებელსა მითსა სწავლად მათა. და მრავალთა რომელთა ესმოდა, განუკრდებოდა და იტყოდეს: ვინაჲ არს ესე ამისა, ანუ რაჲ არს სიბრძნე<sup>4</sup> ესე მოცემულ ამისა, და ძალნი ესოდენნი, ჳელთაგან ამისთა რომელნი იქმნებიან?

3. ანუ არა ესე არსა ხუროჲსა მის და ძმ მარიამისი, ძმად იაკობისი და იოსებისი, იუდაჲსი და სიმონისი, და დანი მაგისნი ყოველნი ჩუენ თანა არიან? და ესრჳთ დაბრკოლდებოდეს მისა მიმართ.

4. ხოლო იესუ იტყოდა: არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა თჳსსა სოფელსა და ნათესაჲთა შორის მისთა და სახლსა შინა თჳსსა.

5. და არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა ჳელი დასდგა და განკურნა იგინი.

6. და უკვრდა ურწმუნოებაჲ<sup>5</sup> იგი მა-

1. და გამოვიდა იგი მიერ და მოვიდა და სოფლად თჳსა, და მისდევდეს მას მოწაფენი მისნი.

2. და ვითარ იყო შაბათი, იწყო სწავლად შესაკრებელსა შინა მათსა. და მრავალთა რომელთა ესმოდა, ჰმალდა მოძღურებაჲ იგი მისი და იტყოდეს: ვინაჲ არს ესე, და რაჲ არს სიბრძნე მისი, რომელ მოცემულ არს მას, და ძალნი ესე, რომელნი ჳელთა მისთაგან იქმნებიან?

3. არა იგი არს ხუროჲ, ძმ მარიამისი, და ძმად იაკობისი და იოსებისი და იუდაჲსი და სიმონისი? და დანი მისნი არა აქა ჩუენ თანა არიან? და ცთებოდეს მისა<sup>4</sup> მიმართ.

4. ხოლო იესუ იტყოდა: არა არს წინაწარმეტყუელი უპატიო, გარნა სოფელსა თჳსსა და ნათესაჲთა შორის თჳსთა.

5. და ვერ ჳელითა მას ვერცა ერთისა ძალისა ყოფად, გარნა მცირედთა სნეულთა ჳელი დასდგა და განკურნა იგინი.

6. და უკვრდა ურწმუნოებაჲ იგი მა-

1 აგრძნას D. 2 მიჰსცენ D (აღდგენილია ასე: მილკენ). 3 მოსდევდეს E. 4 სიბრძნე D. 5 ურწმუნოებაჲ E.  
1 ტალით აკუმი C. 2 დაუკურდა C. 3 საკვრველითა C. 4 მისა C.

DE

C

თი და მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა მას და ასწავებდა მათ.

7. და მოუწოდა ათორმეტა მათ და იწყო წარვლინებად მათა ორ-ორისა და მიჰსცემდა<sup>1</sup> მათ ჯელმწიფებასა სულთა ზედა არაწმიდათა.

8. და ამცნებდა მათ, რაჲთა არაჲაჲ მიიღონ გზასა ზედა, გარნა კუერთხი ხოლო: ნუცა ვაშკარანი<sup>2</sup>, ნუცა პური, ნუცა სარტყელსა რვალი.

9. და რაჲთა ესხნენ სანდალნი, და ნუცა შემოსად ორი სამოსელი.

10. და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხვდეთ სახლსა, მუნ დაადგერით ვიდრე მიერ გამოსლვადმდე.

11. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ და არცა ისმინონ თქუენი, გამო-რაჲ-ხვდოდით<sup>3</sup> მიერ, განიყარეთ მტუერი ფერჯთაგან თქუენთა საწამებელად მათა.

12. და გამოვიდეს და ქადაგებდეს, რაჲთა შეინანონ.

13. და ეშმაქნი მრავალნი განასხნეს და ჰსცებდეს<sup>4</sup> ზეთსა მრავალთა სნეულთა (და)<sup>5</sup> განჰკურნებდეს.

14. და ესმა ჰეროდეს შეფესა, რამეთუ განცხადნა სახელი მისი, და იტყოდა<sup>6</sup>, ვითარმედ: იოვანე ნათლის-მცემელი მკუდრეთით აღდგომილ არს, და მისთჳს იქმნებიან ძალნი ესე.

15. რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: ელია არს<sup>7</sup>; ხოლო სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: წინაწარმეტყუელი არს გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი პირველთაჲ.

16. ხოლო ესმა<sup>8</sup> რაჲ ჰეროდეს, თქუა, ვითარმედ: რომელსა მე თავი მოვჰკუეთე იოვანეს, იგი აღდგომილ არს.

თი და მოჰვლიდა დაბნებსა<sup>1</sup> მას გარემოჲს და ასწავებდა.

7. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად ორ-ორისაჲ და მისცა მათ ფლობაჲ სულთა ზედა არაწმიდათა.

8. და ამცნო მათ, რაჲთა არაჲ მიიღონ მათ თანა გზად, გარნა კუერთხი ხოლო: ნუ გუდაჲ, ნუ პური, ნუცა სარტყელსა შინა პილენში<sup>2</sup>.

9. არამედ სანდალნიმცა გასხენ, და ნუ შეიმოსთ მრჩობლსა კუართსა.

10. და ეტყოდა მათ: რომელსა შეხვდეთ სახლსა, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვამდე მიერ.

11. და რომელმან აღგიღმან არა შეგიწყნარნეს თქუენ და არცა ისმინონ თქუენი, რაჲჲს<sup>3</sup> გამოხვდოდით მიერ, დაიყარეთ მტუერი, რომელ იყოს ქუეშე ფერჯთა თქუენთა საწამებელად მათა.

12. და გამოვიდეს იგინი და ქადაგებდეს, რაჲთამცა შეინანეს.

13. და ეშმაქებსა მრავალსა განჰქდიდეს და სცებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა, და განიკურნებოდეს.

14. და ესმა შეფესა<sup>4</sup> ჰეროდეს, რამეთუ განცხადნა სახელი იესუსი, და იტყოდა, ვითარმედ: იოვანე ნათლის-მცემელი მკუდრეთით აღდგა, და ამისთჳს იქმნებიან ძალნი ესე მის გამო.

15. ხოლო სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: ელია არს; რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: წინაწარმეტყუელი არს ვითარცა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

16. ესმა რაჲ ჰეროდეს, თქუა, რამეთუ: რომელსა-იგი მე თავი მოვჰკუეთე იოვანეს, იგი აღდგომილ არს.

1 მისცემდა E. 2 ვაშკარანი D. 3 გამო-რაჲ-ხვდოდით E. 4 სცებდეს E. 5 და) —DE. 6 იტყოდეს DE. 7 ელიას D. 8 ესმა D.

1 დაბნებებსა C. 2 პილენსა C. 3 რაჲჲს C. 4 შეფესა C.

DE

C

17. რამეთუ ამან ჰეროდე მიაგლინა და შეიპყრა იოვანე და შემორკილა იგი და შესუა საპყრობილესა ჰეროდიამს-თჳს<sup>1</sup>, ცოლისა ფილიპესა, ძმისა მისისა, რამეთუ იგი შეერთო მას ცოლად.

18. და ეტყოდა იოვანე ჰეროდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა შენ ძმის ცოლი შენი.

19. ხოლო ჰეროდისა გულს-ეღდა მისი და უნდა მოკლავად მისი და ვერა-რად<sup>2</sup> ჯელ-იწიფა.

20. რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდად არს, და ჰსცივდა<sup>3</sup> მას, რამეთუ მრავალი ესმინა მისგან და ჰსნილად მისგან ისმენდა მისსა.

21. და ვითარცა იყო დღე მარჯულ<sup>4</sup>, ოდეს ჰეროდე<sup>5</sup> ჟამსა შობისა მისისასა შვა-უყო პური მთავართა მისთა და ასის-თავთა მისთა და აზნაურთა გალილეა-სათა,

22. და შევიდა ასული იგი ჰეროდი-ასის და როკვიდა; და ჰსთნდა<sup>6</sup> ჰეროდეს და მის თანა მენიანვეთა მათ. და ჰრქუა ჰეროდე მეფემან ქალსა მას: მთხოვე მე<sup>7</sup>, რადცა გნებავს, და მიგცე შენ

23. ვიღრე ზოგადმდე სამეუფოვსა ჩემისა.

24. ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თჳსსა, ვითარმედ: რაჲ ვითხოვო?<sup>8</sup> ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ.

25\*. და შევიდა ქალი იგი მწრაფლ მეფისა და ჰრქუა მას: მნებავს, რაჲთა აწვე მომცე მე თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ.

17. რამეთუ თავადმან ჰეროდე მიაგლინა და შეიპყრა იოვანე და კრულ-ყო იგი საპყრობილესა შინა ჰეროდიამსთჳს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თჳსისაჲსა, რამეთუ იგი ცოლ-იყო.

18. რამეთუ ეტყოდა იოვანე ჰეროდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად შენდა გესუა ძმის ცოლი.

19. ხოლო ჰეროდე ჰემტერა მას და უნდა მოკლავად მისი და ვერა-რად<sup>2</sup> უნდა.

20. რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა, რამეთუ გულითად<sup>1</sup> უწყოდა კაცი იგი მართლად და წმიდად და ეკრძალებოდა მას და ისმინის მისი და ფრიადცა ყვის და წადნიერად ერჩინ მას.

21. და იყო დღე მარჯუე<sup>2</sup>, ოდეს ჰეროდე<sup>3</sup> შობისა თჳსისასა ტაძრობას ჰყოფდა მდიდართა თანა და ათასისთავთა თანა და მთავართა თანა გალილეა-სათა.

22. და შევიდა ასული ჰეროდიასის<sup>4</sup> და როკვიდა; და სთნდა ჰეროდეს და თანა-მენიანვეთა მათ მისთა. ჰრქუა ქალსა მას: მთხოვე მე, რადცა გნებავს, და მიგცე შენ.

23. და ეფუცა მას, ვითარმედ: რადცა მთხოო, მიგცე შენ ვიღრე ზოგადმდე სამეუფოვსა ჩემისა<sup>5</sup>.

24. და გამოვიდა და ჰრქუა დედასა თჳსსა: რაჲ ვსთხოო მას? ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ.

25. და შევიდა მუნქუესევე მწრაფლ მეფისა და ჰრქუა მას: აწვე მნებავს, რაჲთა მომცე მე ლანკანას ზედა თავი იოვანესი, ნათლის-მცემელისაჲ.

1 ჰეროდიამსთჳს D. 2 ვერა E. 3 სცივდა E. 4 მარჯულ D. 5 ჰეროდე D. 6 სთნდა E. 7 მე] — E. 8 ვითხოო D. \* ეს მუხლი E-ს აკლია, ალბათ იმის გამო, რომ მას ისეთივე სიტყვები აქვს ბოლოში, როგორც წინა მუხლს, და გადაშვების თვალსაზრისით.

1 ასეა. 2 მარჯუე C. 3 ჰეროდეს C. 4 ჰეროდიასის C. 5 ჩემისა E.



DE

C

26. და შეწუხნა ჰეროდე მეფე<sup>1</sup>, ხოლო ფიცისა მისთვის და მის თანა მინაწეთა არა ინება შეწუხებდა ქალისად მის.

27. და მეყსეულად წარავლინა მეგრ-მელ<sup>2</sup> თვისი ო და უბრძანა მოღებად თავი მისი.

28. და წარვიდა და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა<sup>3</sup> შინა და მოიღო თავი მისი ფეშხუენითა და მიჰსცა<sup>4</sup> ქალსა მას, და ქალმან მან მიართუა დედისა თვისსა.

29. და ესმა მოწაფეთა მისთა და მოვიდეს და შემოსეს გუამი მისი და დაღვეს საფლავსა.

30. და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი იესუსა<sup>5</sup> და უთხრეს მას ყოველი, რაოდენი ქმნეს და რაოდენი ასწავეს.

31. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით თქვენ თვისაგან უდაბნოსა და განისუენით მცირედ. რამეთუ იყენეს მომავალნი და წარმავალნი მრავალ და არცალა ჰურისა ჰამად აცალებდეს.

32. და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თვისაგან.

33. და იხილა იგი ერმან მან, წარლადვიდეს და გულისწმაცეს<sup>6</sup> მრავალთა, და მკვრცხლ ყოველისაგან ქალაქებისა შეკრბა მუნ და მოუტდეს მათ.

34. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი იგი | მრავალი და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყენეს ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. და იწყო სწავლად მათა ფრიად.

35. და ვითარ მრავალი ეამი წარსრულ იყო, მოუტდეს მას მოწაფენი თვისნი და ჰრქუეს, ვითარმედ: უდაბნო არს ადგილი ესე, და ეამი არს-ლა ფრიად.

26. და დაწუხნა მეფე იგი, ხოლო ფიცისათვის და მეოხნეთა მათთვის არა ეცრუა მას.

27. და მუნქუესვე მიავლინა მეფემან: მებარბე<sup>1</sup> და უბრძანა მოკუეთად თავისა მისისად.

28. და წარვიდა და მოჰკუეთა მან თავი საპყრობილეს შინა და მოართუა. თავი მისი ლანკლასა ზედა და მისცა. ქალსა მას, და ქალმან მისცა დედასა თვისსა.

29. და ვითარ ესმა მოწაფეთა მისთა, მოვიდეს და შემოსეს გუამი იგი მისი და დაღვეს სამარესა შინა.

30. და შეკრბეს მოციქულნი იგი იესუსა და უთხრეს ყოველი, რავდენი ქმნეს და ასწავეს.

31. და ჰრქუა მათ: მოვედით თქვენ თვისაგან ადგილ უდაბნოდ და განისუენით მცირედ, რამეთუ მრავალ იყენეს, რომელნი-იგი მოვიდოდეს და წარვიდოდეს და ვერცა ჰურის ჰამად ჰკალნ.

32. და წარვიდეს უდაბნოდ ადგილსა ნავითა თვისაგან.

33. და იხილნეს იგინი მიმავალნი და იცნნეს იგინი მრავალთა, და მკურცხილნი<sup>2</sup> ყოველთაგან ქალაქთა მირბიოდეს. მუნ და შეკრბეს და მიუტდეს მათ მუნ.

34. და გამოვიდა, იხილა ერი მრავალი და წყალობა-ყო მათ ზედა, რამეთუ იყენეს იგინი ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემს. და იწყო სწავლად მათდა ფრიად.

35. და ვითარ ეამი მრავალი დაიყო, მოუტდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს, ვითარმედ: უდაბნო არს ადგილი, და ეამი მრავალი დაყოფილ არს.

1 მეფე D\*. 2 საპყრობელსა D. 3 მისცა E. 4 იესუსა (იესუსა) D. 5 გულისწმაცეს E.

1 მებარბე C. 2 ასეა (მოსალოდნელი იყო: მკვრცხლნი).

DE

C

36. განუტევე ერი ესე, რაათა წარ-  
ვიდენ გარემო დაბნებსა და<sup>1</sup> სანახებსა  
და იყიდონ<sup>2</sup> თავისა მათისა, რაჲ-იგი  
ჰამონ.

37\*.

38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: რაო-  
დენი გაქუს პური? მივედით და იხილეთ,  
და იხილეს და ჰრქუეს: ხუთი პური და  
ორი თევზი.

39. და უბრძანა მათ დასხდომამა მათი  
ყოველთაჲ პურისმტედ-პურისმტედ<sup>3</sup>  
მწუანვილსა ზედა თივისასა.

40. და დასხდა მწყობრად-მწყობრად  
ას-ასი და ერგასის-ერგასისი.

41. და მოილო იესუ ხუთი იგი პური  
და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად  
და აკურთხნა და დამუსრა პური იგი და  
მიჰსცემდა<sup>4</sup> მოწაფეთა თჳსთა, რაათა  
დაუგონ მათ; ო და ორი იგი თევზი ეგ-  
რევე განუყო ყოველთა.

42. და ჰამეს ყოველთა და განძღეს.

43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათ-  
ორმეტი გოდორი სავსე<sup>5</sup>; და ეგრევე  
თევზისა მისგანი.

44. და იყენეს, რაოდენთა-იგი ჰამეს,  
ვითარ ხუთ ათას მამაკაცი ხოლო.

45. და მეყსეულად აწუევდა მოწაფე-  
თა შესღვად ნავსა, რაათა წინა-წარ-  
უძღლენ მას წიად კერძო ზღუასა მას  
ბეთსაიდად, ვიდრემდე განუტევეს მან  
ერი იგი.

46. და უჯმნა მათ და აღვიდა მათასა  
ლოცვად.

36. განუტევენი იგინი, რაათა მივიდენ  
გარემოსა აგარაკებსა და დაბნებსა და  
იყიდონ თავისა თჳსისათჳს<sup>1</sup>, რაჲ ჰა-  
მონ.

37. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ:  
ეცით თქუნ მათ ჰამადი. და ჰრქუეს  
მას: წარ-თუ-ვიდეთ და ვიყიდოთ ორასის  
დრაჰმის პური და ვსცეთ მათ ჰამად?

38. მან ჰრქუა მათ: რაედენი ჯუეზაჲ<sup>2</sup>  
გაქუს? მივედით და იხილეთ, და ვითარ  
იხილეს, უთხრეს: ხუთ ჯუეზა და ორ  
თევზ.

39. და უბრძანა მათ ინაწით-დასხდო-  
მამა ყოველთაჲ მეოხნედ-მეოხნედ მწუან-  
ვილსა ზედა თივისა<sup>3</sup>.

40. და ინაწ-იდგეს პურის-მტებმან<sup>4</sup> ას-  
ასმან და ერგასის-ერგასისმან.

41. და მოილო ხუთი იგი ჯუეზაჲ პუ-  
რი და ორნი თევზნი და აღიხილა ცად,  
აკურთხა და განტეხნა პურნი იგი და  
მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რაათამცა  
დაუგეს მათ; და ორი იგი თევზი განუ-  
ყო ყოველთა.

42. და ჰამეს ყოველთა და განძღეს.

43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათ-  
ორმეტი გოდორი; და თევზთაჲ მათცა.

44. ხოლო იჯმნეს მჰამელნი იგი მის  
პურისანი ჰუზ<sup>5</sup> ათას კაც.

45. და მუნქუესევე აძღულა მოწაფეთა  
თჳსთა აღსღვად ნავსა და წარძღლუან-  
ვად<sup>6</sup> ბეთსაიდად, ვიდრე განტევებად-  
მდე ერისა მის.

46. და ვითარ იჯმნა თავადმან ერისა  
მისგან<sup>7</sup>, აღწდა მთად თავყანის-ცემად.

1 და] —D. 2 იყიდო D. 3 პურისტედ-პურისტედ D. 4 მისცემდა E. 5 სასე D.

\* შეხლი 37 ორივე ხელნაწერს აკლია (ხელნაწერები ამ ადგილას დაუზიანებელია).

1 თჳსისათჳს C. 2 ჯუეზა C. 3 ჯერ დაუწერია: „თივისასა“, მაგრამ შემდეგ საფუძვლი-  
ანად აღწერულია „ის“. 4 ასეა. 5 წარძღვანვად C. 6 მისა...გან C (უფიქრია „ერისა“ დაუწერო,  
და შემდეგ „მისგან“ მიუყვლიბია. შემდეგ შეუნიშნავს შეცდომა და „მის“ ამოუღვია, იმის წინ  
მდგომი „ა“ კი დაჰრჩენია).

DE

C

47. და ვითარცა შემწუხრდა, იყო კუალად ნავი იგი შუვა ოდენ<sup>1</sup> ზღუასა მას, და იგი თავადი მარტოა იყო ქუეყანასა.

48. და იხილნა იგინი, რამეთუ იურკოდეს სლვასა მას ნავისასა, რამეთუ იყო ქარი იგი პირით მათსა. და მეოთხესა საჯუმოდლავსა<sup>2</sup> ლამისასა მოვიდა მათა იესუ და ვიდოდა ზღუასა ზედა და უნდა თანა-წარსლვად მათგან.

49. ხოლო მათ იხილეს იგი, ვიდოდა რაა ზღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საუცარ რაამე არს<sup>3</sup>, და ლალაღვეს.

50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. მეცსეულად ეტყოდა მათ და ჰრქუა: გულ-პურობილ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!

51. და აღვიდა მათ თანა ნავსა და დასცხრა<sup>4</sup> ქარი იგი; და უმეტესად დაუკვრდებოდა<sup>5</sup> მოწაფეთა მისთა,

52. რამეთუ ვერ გულსიგმა-ყვეს<sup>6</sup> პურთა მათ ზედა, რამეთუ იყვენეს გულნი მათნი დასულგებულ.

53. და წიაღდეს და მოვიდეს ქუეყანად გენესარეთა<sup>7</sup>.

54. და ვითარ გამო-ოდენ-ვიდოდეს მიერ ნავით, მეცსეულად იცნეს იგი კაცთა მის აღგილისათა.

55. და მიმობრიდეს ყოველსა მას სოფლებსა და იწყეს მოღებად ცხდრებითა ყოველთა სნეულთა, სადაცა ესმის, ვითარმედ: მუნ არს.

56. და ვიდრეცა შევიდოდა დაბნებსა და ქალაქებსა და აგარაკებსა, უბანთა ზედა დაჰსდებდეს<sup>8</sup> ო უძღურთა მათთა და ევედრებოდეს მას, რათათა ფესუ-

47. და ვითარ შემწუხრდა, იყო ნავი საშოვალ ზღუასა, და იგი ხოლო მარტოა იყო ქუეყანასა ზედა.

48. და იხილნა იგინი საარებულნი ლელვისა მისგან ნავისა, რამეთუ ქარი წინაუკუმო იყო, და მეოთხესა ოდენ საჯუმოდლავსა ლამისასა მოვიდა მათა, ვიდოდა ზღუასა ზედა და უნდა თანა-წარსლვად მათდა.

49. ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი: მავალი ზღუასა ზედა, საუცარს რასმე: ჰგონებდეს და ლალაღ-ყვეს.

50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. და მუნქუესვე სიტყუად იწყო<sup>1</sup> მათდა მიმართ და ჰრქუა მათ: მტკიცე იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!

51. და აღვდა მათ თანა ნავსა მას და დასცხრა ქარი იგი. და უმეტეს გულთა შინა მათთა დაუკვრდებოდა<sup>2</sup>.

52. რამეთუ ვერ გულსიგმა-ყვეს პურთა მათ ზედა, რამეთუ გულნი მათნი შესულგებულ იყვენეს.

53. და წიაღდეს იგინი ქუეყანად და მოვიდეს გენესარეთა<sup>3</sup>.

54. და ვითარ გამოვდეს იგინი მიერ ნავით, მუნქუესვე იცნეს იგი კაცთა მის აღგილისათა.

55. და მირბოდეს ყოველსა გარემოხს დაბნებსა მას და იწყეს ცხდრებითა სნეულებისა მიმოდლებად, სადაცა ესმინ, ვითარმედ: მუნ არს.

56. და რომელსა შევიდის დაბნებსა ანუ ქალაქებსა ანუ აგარაკებსა, უბნებთა ზედა დასდგმიდეს სნეულებს<sup>4</sup> და ევედრებოდეს მას, რათამცა ფესუსა

1 შოვა ოდენ D. 2 საჯუმოლავსა D. 3 არს) იხილეს E (გადამწერს შემწლია და ოთხი სტრიქონის მანძილზე რალაც სხვა დაუწერია, მაგრამ შემდეგ მთლად ამოუფხვკია; ოლონდ ეს ერთი სიტყვა ამოუფხვკელი დაპრჩენია). 4 დასცხრა E. 5 დაუკვრდებოდა D. 6 გულსიგმა-ყვეს E. 7 გენესარეთა D. 8 დასდებდეს E.

1 იწყო | იწყო C. 2 დაუკვრდებოდა C. 3=გენესარეთად(?) 4 ასეა (ჩაწერილია იმავე ხელით)-

DE

C

სა ოდენ სამოსლისა მისისასა<sup>1</sup> შეახონ. და რაოდენნი შეეხებოდეს, ცხოვნდებოდეს<sup>2</sup>.

ხოლო სამოსლისა მისისასა შეახეს. და რავდენთაცა შეახეს მას, ცხოვნდებოდეს.

7

1. და შეკრბეს მისა<sup>3</sup> ფარისეველნი და რომელნიმე მწიგნობართაგანნი, რომელნი მოსრულ იყვნეს იერუსალჴმით.

2. და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი შეგინებულითა კელითა, ესე იგი არს უბანელითა კელითა ჳამდეს პურსა, და უგმობდეს,

3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ჳურიათა უკუეთუ არა იდაყვთაგან დაიბანნიან კელნი, არა ჳამიან, რამეთუ ეპყრა მათ მოცემული იგი მოძღურობაჲ ხუცესთაჲ.

4. და უბანთაგან რაჲ შევიდიან, უკუეთუ არა იბანნიან, არა ჳამიან. და სხუადცა მრავალი არს, რომელი მოელოჳყრობად: განრცხაჲ სასუმელებისაჲ<sup>4</sup> და სტამნებისაჲ და ჳუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ.

5. |მაშინ ჳკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი არა ვლენან მოძღურობისაგებრ ხუცესთაჲსა, არამედ შეგინებულითა კელითა ჳამენ პურსა?

6. ხოლო იესუ მიუგო და ჳჳრუა მათ, რამეთუ: კეთილად თჳჳა ესაია<sup>5</sup> წინაწარმეტყუელმან თჳჳენ ორგულთათჳს, ვითარმედ: ერი ესე ბაგითა მათითა პატომე-ვემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ<sup>6</sup> არიან ჩემგან.

7. ამაოდ მსახურობენ მე და ასწავებენ მოძღურობასა და მცნებასა კაცთასა.

1. და შეკრბეს მისა მწიგნობარნი და ფარისეველნი, რომელნი<sup>1</sup> მოსრულ იყვნეს იერუსალჴმით<sup>2</sup>.

2. იხილნეს ვინმე მოწეფათა მისთაგანნი, რამეთუ ურიდად, კელითა უბანელითა ჳამდეს პურსა, და იგინი ჳგმობდეს მათ,

3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ჳურიათა წუსწუთ თუ არა დაიბანნიან კელნი, არა ჳამიან პური, რამეთუ უპყრიეს მათ მღდელთ - მოძღურობაჲ მღდელთა მათთაჲ.

4. დასავაჳრობთ-და შეველენედ, ვიდრე არა განიბანნიან, არა ჳამიან. და სხუადცა მრავალი არს, რომელი უსწავიეს მარხვალ: განბანაჲ სასუმელთაჲ და სტამანთაჲ და ჳუაბთაჲ<sup>3</sup> და ცხედართაჲ.

5. მაშინ-ლა ჳკითხვიდეს მას ფარისეველნი იგი და მწიგნობარნი: რაჲსათჳს მოწაფენნი შენნი არა ვლენან მსგავსად მოძღურობისა მის მღდელთაჲსა, არამედ უბანელითა კელითა ჳამენ პურსა?

6. ხოლო მან მიუგო და ჳჳრჳუა: კეთილად სამე წინაწარმეტყუელებდა ესა-და თჳჳენთჳს ორგულთა, ვითარცა წერილ არს: ერი ესე ბაგითა ხოლო მადიდებეს მე, ხოლო გული მათი შორად განყენებულ არს ჩემგან.

7. ცუღად მსახურობენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურობასა და<sup>4</sup> მცნებასა კაცთასა.

1 მისისა D. 2 ცხოვნდებოდეს D. 3 მისა D. 4 სასუმლებისა E. 5 ესაჲ D. 6 განშოვრებულ E.

1 რომელნიმე (რნიმე) C. 2 იწლმთ C. 3 ჳუბთაჲ C. 4 და| — C.

DE

C

8. და დაგიტევებიეს მცნებად ღმრთისა და გიპყრიეს მოძღურებად კაცთაჲ.

9. და ეტყოდა მათ: კეთილად შეუ-  
რაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რაჲ-  
თა მოძღურებად თქუენი დაამტკიცოთ.

10. რამეთუ მოსე<sup>1</sup> თქუა: პატივ-ეც  
მამასა შენსა და დედასა შენსა; და რო-  
მელმან ბოროტი თქუას მამისათჳს და  
დედისათჳს, სიკუდილით || მოკუედინ.

11. ხოლო თქუენ ჰსთქვთ<sup>2</sup>: უკუეთუ  
ჰრქუეს კაცმან მამასა და დედასა კურ-  
ბან, რომელ არს ნიჭი<sup>3</sup>, რომელ რაჲ  
ჩემგან სარგებელ გეყო,

12. და არას უტევებთ მამასა და დე-  
დასა ყოფად<sup>4</sup>.

13. და<sup>5</sup> დაუმტკიცებელ გიყოფიეს  
სიტყუად ღმრთისაჲ მოძღურებითა მამ-  
გით თქუენითა, რომელსა ასწავებთ, და  
მსგავსსა ამათსა მრავალსა ჰყოფთ.

14. და მოუწოდა ყოველსა მას ერსა  
და ეტყოდა მათ: ისმინეთ ჩემი ყოველ-  
თა და გულსიჴმა-ყავთ<sup>6</sup>.

15. რამეთუ არარაჲ არს გარეშე<sup>7</sup>  
შთამავალი კაცისა<sup>8</sup>, რომელმანმცა შეა-  
გინა იგი, არამედ რომელიცა გამოვალს  
მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს  
კაცსა.

16. რომელსა ასხენ ყურნი სმენად,  
ისმინენ!

17. და ოდეს შევიდა იგი სახიდ ერი-  
სა მისგან, ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი  
იგავისა მისთჳს.

18. და ჰრქუა მათ: ეგრევე თქუენცა  
უგულსიჴმო<sup>9</sup> ხართ და არა გიცნობიეს,

8. რამეთუ დაგიტევებიეს მცნებად  
ღმრთისაჲ და გიპყრიეს სწავლაჲ კაც-  
თაჲ.

9. და ეტყოდა მათ: კეთილად ეცრუ-  
ებით მცნებასა ღმრთისასა, რაჲთა მცნე-  
ბაჲ თქუენი დაამტკიცოთ<sup>1</sup>.

10. რამეთუ მოსე<sup>2</sup> გრქუა: თავ-უყავ  
მამასა შენსა და დედასა შენსა; და რო-  
მელი ძჳრს იტყოდის მამისათჳს ანუ დე-  
დისა, სიკუდილით მოკუედინ.

11. ხოლო თქუენ ჰთქვთ: უკუეთუ ვინ-  
მე ჰრქუას კაცმან მამასა თჳსსა ანუ დე-  
დასა თჳსსა კობან, რომელ არს ნიჭ,  
რომელიცა რაჲ ჩემგან სარგებელ გე-  
ყოს,

12. და არლარა უფლით მის არარაჲს  
ყოფად მამისა გინა დედისა.

13. და შეურაცხ-გიყოფიეს სიტყუად  
ღმრთისაჲ მოძღურებდათ თქუენითა, რო-  
მელ ასწავეთ, და სხუასაცა მსგავსსა  
ესემლეენსა მრავალსა იქმთ.

14. და მოუწოდა ყოველსა ერსა და  
ეტყოდა მათ: გესმოდენ ჩემი ყოველთა  
და გულსიჴმა-ყავთ.

15. არაჲ არს გარეშე კაცისა შემავა-  
ლი, რომელმანმცა<sup>3</sup> შეუძლო მას შებილ-  
წებად, არამედ რომელ გამოვალს მის-  
გან, იგი არს შემაბილწებელი კაცისაჲ.

16.

17. და რაჲამს შევიდა იგი სახიდ ერი-  
სა მისგან, ჰკითხვიდეს მას მოწაფენი  
მისნი იგავისა მისთჳს.

18. და ჰრქუა მათ: ესრევე თქუენცა  
უგულსიჴმო-ლა ხართ და არლა გულსი-

1 მოსწ E. 2 სთქუთ E. 3 რომელ არს ნიჭი| მეორდება E-ში. 4 ყოფად მამასა და დედა-  
სა E. 5 და| —E. 6 ისმინეთ და გულსიჴმა-ყავთ ყოველთა E. 7 გარეშე E. 8 კაცსა E. 9 უგულ-  
ლისხმო E.

1 დაამტკიცეთ C (ვლბათ მც-ს გაეღენით, რომელიც რაჲთა-ს მოსდევს: რაჲთა-ჰეცა)..  
დაამტკიცეთ). 2 მოსწ C. 3 რომელმცა (რ'ღმცა) C.

DE	C
<p>რამეთუ ყოველი გარეშე შემავეალი კაც-სა არა შეაგინებს?</p>	<p>კმა-გიყოფიეს, რამეთუ ყოველი, რომელი გარეშე შეეაღს კაცისა, ვერ შემძლებელ არს მისა შებილწებად?</p>
<p>19.    რამეთუ არა შეეაღს გულსა, არამედ მუცლად, და განსავეალით განეაღს და განსწმედს ყოველსა კამადსა.</p>	<p>19. რამეთუ არა შეეაღს გულსა მისსა, არამედ მუცელსა, და განსავეაღს განეაღს და განსწმედს ყოველთა კამულთა.</p>
<p>20. და ეტყოდა, ვითარამედ: კაცისაგან გამომავეალი იგი შეგინებს კაცსა,</p>	<p>20. და ეტყოდა მათ, რამეთუ: რომელ კაცისაგან გამოეაღს, მან შეაბილწის კაცი,</p>
<p>21. რამეთუ შინაგან გულსაგან კაცთადას<sup>1</sup> გამოვლენ გულის სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი,</p>	<p>21. რამეთუ შინაგან გულისაგან ზრახვანი კაცთანი უკეთურნი გამოვლენ, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი,</p>
<p>22. ანგაპრებანი, უკეთურებანი, ზაკუვანი, არაწმიდებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავენებანი, უგუნურებანი.</p>	<p>22. ანგაპრებანი, უკეთურებანი, ზაკუვანი, ბილწებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავენებანი<sup>1</sup>, უგუნურებანი.</p>
<p>23. ყოველნი ესე ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა.</p>	<p>23. ყოველი ესე ძკრი<sup>2</sup> შინაგან გამოვალს და შეაბილწებს კაცსა.</p>
<p>24. და მიერ აღდგა და წარვიდა საზღვართა ტვრისა და სიღონისათა. და შევიდა სახლსა და არა უნდა, რაჯთამცა აგრძნა ვინმე, და ვერ ჯელ-ეწიფა დაფარვად.</p>	<p>24. და აღდგა მიერ და წარვიდა საზღვართა ტვრისისათა<sup>3</sup> და სიღონისათა. და შევიდა სახიდ და არავეისა უნდა გამოცხადების, და ვერ დაეფარა იგი.</p>
<p>25. რამეთუ ესმა ვისმე დედაკაცსა მისთჳს, რომელსა ესუა ასული სულითა არაწმიდითა ურვილი, და მოვიდა და შეუერდა<sup>2</sup> ფერჯთა მისთა.</p>	<p>25. ესმა დედაკაცსა ერთსა, რომლისადა ასული გუემულ იყო ეშმაკისაგან, შეურდა ფერჯთა მისთა.</p>
<p>26. ხოლო დედაკაცი იგი იყო    წარმართი<sup>3</sup>, ნათესავით ასური ზღვსკიდელი, და ევედრებოდა მას, რაჯთა განკადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა.</p>	<p>26. ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ასური ფვნიკელი<sup>4</sup> ნათესავით<sup>5</sup>, და ევედრებოდა მას, რაჯთამცა ეშმაკი იგი განეაღადა ასულისა მისისაგან.</p>
<p>27. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაცადე მე პირველად განძღებად შეილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებად პურისადა<sup>4</sup> შეილთაგან და დადებად ძაღლთა.</p>	<p>27. და იესუ ჰრქუა მას: აცადე პირველად განძღომად შეილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებად პური შეილთაგან და დადებად ძაღლთა.</p>
<p>28. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფა-</p>	<p>28. მან მიუგო და ჰრქუა: ჰე. უფა-</p>

1 კაცთადას D\*. 2 შეურდა D. 3 წარმართი] —E. 4. პურისა D.

1 ამპარტავენებანებანი C. 2. ძური C. 3 ტვრისისათა C. 4 ფუნიკელ C. 5 ნათესავი C.

DE

C

ლო, და ძალღნიცა ტაბლასა ქუეშე<sup>1</sup> |  
ქამედ ბიქისაგან შვილთაჲსა.

29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაგის |  
სიტყვსათჳს ვილოდე! განსრულ არს ეშ-  
მაკი ასულისაგან შენისა.

30. და წარვიდა დედაკაცი იგი სა- |  
ხიდ თჳსა და პოვა, რამეთუ ეშმაკი გან-  
სრულ იყო, და ასული იგი მისი შემო-  
სილი და მჯდომარე<sup>2</sup> ცხედარსა ზედა.

31. და მერმე გამოვიდა საზღვართა- |  
გან<sup>3</sup> ტუროსისა და სიღონისათა და მო-  
ვიდა ზღუასა მას გალილეაჲსასა, შორის  
საზღვართა ათქალაქისათა.

32. და მოჰვუარეს მას ყრუჲ და ძნი- |  
ად<sup>4</sup> | მეტყუელი და ევედრებოდეს მას,  
რადთა ჳელი დაჰსდვას<sup>5</sup> მას ზედა.

33. და განიყვანა იგი ერისა მისგან |  
თჳსაგან და დაასხნა თითნი მისნი და  
ჰნერწყუა ყურთა მისთა და შეახო ენა-  
სა მისსა

34. და აღიხილნა ზეცად და სულთ- |  
ითქუნა<sup>6</sup> და ჰრქუა მას: ეფთათა! რო-  
მელ არს: განეხუნედ.

35. და მეყსეულად განეხუნეს მას სა- |  
სმენელნი<sup>7</sup>, და განჰჳსნდა<sup>8</sup> კრულეზაჲ ენი-  
სა მისისაჲ, და იტყოდა მართლ.

36. და ამცნო მათ, რადთა არავის |  
უთხრან. და რაოდენ იგი ამცნებდა მათ,  
იგინი უფროჲს მიმოდასდებდეს<sup>9</sup>.

37. და უმეტესად<sup>10</sup> განუკრდებოდა |  
და იტყოდეს: ყოველსავე კეთილსა იქმს:  
ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს.

ლო, რამეთუ ძალღნიცა ტაბლასა ქუე- |  
შე ქამედ ნაბიჳსა ყრმათსა.

29. (ხოლო იესუ ჰრქუა მას):<sup>1</sup> და  
ამის სიტყვსათჳს გუალე! გამოჳდა<sup>2</sup> ეშ-  
მაკი იგი ასულისაგან შენისა.

30. და მივიდა სახიდ თჳსა, პოვა ეშ- |  
მაკი იგი განსრული და ასული იგი და-  
გდებული ცხედარსა ზედა.

31. და მერმე გამოვიდა საზღვრით |  
ტუროსისაჲთ<sup>3</sup> და სიღონისაჲთ, მოვიდა  
იგი ზღუასა მას გალილეაჲსასა, საშოვალ  
საზღვართა ათქალაქისათა.

32. და ევედრებოდეს, რომელთა მო- |  
ელო ყრმაჲ ერთი უტყუ, რადთამცა ჳე-  
ლი დასდვა მას.

33. და გა-რე-იყვანა იგი ერისა მის- |  
გან მარტოდ და<sup>4</sup> დაასხნა თითნი მის-  
ნი მის ზედა და ჰნერწყუა ყურთა შინა  
მისთა და შეახო ენასა მისსა

34. და აღიხილნა ცად, სულთ-ითქუ- |  
ნა და ჰრქუა მას<sup>5</sup>: ეფთათა! რომელ არს:  
განეხუნედ<sup>6</sup>.

35. და მუნქუესვე განეხუნეს მას სა- |  
სმენელნი მისნი, და განეჳსნა კრულეზაჲ  
იგი ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლ.

36. და ამცნო მათ, რადთა არავის |  
უთხრან. ხოლო იგი რაოდენ ამცნებდა  
მათ, უფროჲს უმეტესად ქადაგებდეს.

37. (და უმეტესად განუკრდებოდა |  
და იტყოდეს):<sup>7</sup> კეთილად ყო ყოველი,  
რამეთუ ყრუთა ასმენს და უტყუთა  
ატყუებს<sup>8</sup>.

§

1. მათ დღეთა შინა მერმე კუალად |  
ერი მრავალი იყო და არარაჲ აქუნდა,

1. ხოლო მათ დღეთა შინა მერმე მრავალი |  
ერი იყო და არარაჲ აქუნდა, რად-

1 ქუეშე E. 2 მჯდომარე D. 3 საზღვართა მათგან E. 4 ძინიად D\*. 5 დასდვას E. 6 სულ-  
ითქუნა D. 7 სასუმენელნი D. 8 განჰჳსნდა E. 9 მიმოჰსდებდეს D. 10 უმეტესად D.

1 ხოლო იესუ ჰრქუა მას) — C. 2 და გამოჳდა C. 3 ტუროსისაჲთ C. 4 და | და C.  
5 ჰრქუა მას) თჳთა მას C. 6 განეხუნედ C (დაუწერია „ა“, მაგრამ შემდეგ C-დ გადაუსწორებია).  
7 და უმეტესად განუკრდებოდა და იტყოდეს) — C. 8 ატყუებს C.

DE

C

რამცა კამეს; მოუწოდა მოწაფეთა თვსთა || და ჰრქუა მათ:

2. მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე<sup>1</sup> არს, ვინაფთჳან<sup>2</sup> მელიან მე და არარაჲ აქუს, რაჲ კამონ.

3. და უკუეთუ განუტევენ უზმანი ვანად მათა, დაჰქსნდენ<sup>3</sup> გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან.

4. და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქუეს: ვინაჲ ძალ-გაც<sup>4</sup> აქა განძღებად პურითა ესოდენი ერი უდაბნოსა ზედა?

5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუს პური? ხოლო მათ ჰრქუეს: შვიდი.

6. და უბრძანა ერსა მას დასხდომად ქუეყანასა და მოილო შვიდი იგი პური, ჰმადლობდა და განტეხა და მიჰსცემდა<sup>5</sup> მოწაფეთა თვსთა, რაჲთა დაუგონ; და მათ დაუგეს ერსა მას.

7. და აქუნდა თევზი<sup>6</sup> ცა მცირედ და იგიცა აკურთხა და უბრძანა დაგებად მათა.

8. და კამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი შვიდი გოდოლი<sup>7</sup>.

9. ხოლო იყვნეს, რომელთა-იგი კამეს, ვითარ ოთხ ათას ოდენ; და განუტევნა იგინი.

10. და შევიდა ნავსა მოწაფეთა მისთა თანა და წარვიდა ადგილთა მაგდალასათა.

11. და მოვიდეს ფარისეველნი და იწყეს გამოძიებად მის თანა და ითხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით და გამოჰსცდიდეს<sup>7</sup> მას.

12. და სულ-ითქუნა სულითა თვსითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე,

მცა კამეს; მოუწოდა ნოწაფეთა თვსთა და ჰრქუა მათ:

2. მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინაფთჳან ესენი ჩემ თანა დადგომილ არიან და არაჲ აქუს<sup>1</sup>, რამცა კამეს.

3. და წარ-თუ-უტევენ იგინი უზმით სახილ თვსა, შეჰგუსნეს მათ გზას, რამეთუ რომელნიმე<sup>2</sup> მათგანნი შორით მოსრულ არიან.

4. ჰრქუეს მას მოწაფეთა თვსთა: ვინაჲ შეუძლო შენ მათ აქა განძღებად პურითა უდაბნოსა ზედა?

5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუს<sup>3</sup> თქუენ პური? ხოლო მათ ჰრქუეს: შვიდი.

6. და უბრძანა ერსა მას ინაწით-დასხდომად ქუეყანასა ზედა და მოიხუნა შვიდი იგი პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თვსთა, რაჲთა დაუგონ; და დაუგეს ერსა მას.

7. და თევზი<sup>4</sup> აქონდეს მცირედ და იგინიცა<sup>5</sup> აკურთხნა და ბრძანა დაგებად.

8. და კამეს და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი შვიდი გოდორი საესე.

9. რამეთუ იყვნეს, რომელთა-იგი კამეს, ვითარ ოთხ ათას ოდენ; და განუტევნა იგინი.

10. და მუნქუესვე აღქდა ნავსა მოწაფეთურთ თვსით და მოვიდა დაღმანუთად კერძო.

11. და გამოვიდეს ფარისეველნი და იწყეს სიტყუს გამოძიებად მისგან, ეძიებდეს სასწაულს ზეცით, რამეთუ გამოსცდიდეს მას.

12. და სულ-ითქუნა სულითა თვსითა და თქუა: რაჲსათჳს ნათესავი ესე

1 დღე D. 2 ვინაფთჳან D. 3 დაჰქსნდენ D, დაქსნდენ E. 4 ძალ-გაც D. 5 მისცემდა E. 6 გოდორი სფურიდი E. 7 გამოსცდიდეს E.  
1 აქუნს C. 2 რომელნი (რ'ნი) C. 3 გაქუნს C. 4 იგიცა C. 5. და | და C.



DE

C

რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამენ გეტყვ  
თქუნენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწა-  
ული.

13. და დაუტევნა იგინი და კულად  
შევიდა ნავსა და წარვიდა წიად კერძო.

14. და დაავიწყდა მოწაფეთა მისთა  
მიღებად პური, გარნა ერთი ხოლო პუ-  
რი აქუნდა ნავსა შინა.

15. და ამცნებდა მათ იესუ და ეტ-  
ყოლა: იხილეთ და ეკრძალებით ცომი-  
საგან ფარისეველთაჲსა და ცომისაგან  
ჰეროდიაწელთაჲსა.

16. ხოლო იგინი ზრახვიდეს ურთი-  
ერთას და იტყოდეს, ვითარმედ: პური  
არა გუაქუს<sup>1</sup> ჩუნენ თანა.

17. და გულისწმა-ყო<sup>2</sup> ეგესუ და ჰრქუა  
მათ: რაჲსა ზრახავთ გულთა თქუნენთა,  
მცირედ მორწმუნენო, რამეთუ პური არა  
გაქუს<sup>3</sup> არღა გიცნობიეს, არცა მოიკსე-  
ნეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქო-  
ნან?

18. თუალ გასხენ და (არა)<sup>3</sup> ჰხედავთ,  
ყურ გასხენ და არა გესმის, არცა გი-  
ცნობიეს<sup>4</sup>, არცა მოიკსენეთ,

19. ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე  
ხუთ ათასთათჲს, რაოდენი გოდორი  
სავსე<sup>5</sup> ნამუსრევი აღიღეთ? ხოლო მათ  
ჰრქუეს: ათორმეტი.

20. და ოდეს-იგი შვიდი ოთხ ათასთა-  
თჲს<sup>6</sup>, რაოდენი<sup>7</sup> სფჯრიდი აღიღეთ ნე-  
შტი? და მათ ჰრქუეს: შვიდი.

21. ხოლო ეგესუ ჰრქუა მათ: ვითარ  
არა გულისწმა-ჰყვიით?<sup>8</sup>

22. და მოვიდეს ბეთსაიდად და მო-  
ჰგუარეს მას ბრმაჲ და ევედრებოდეს,  
რაათამცა ჯელი დაჰსდვა<sup>9</sup> მას ზედა.

23. და უპყრა ჯელი მისი და განი-  
ყვანა იგი გარეშე<sup>10</sup> დაბასა და ჰწერ-

სასწაულს ეძიებს? მართლიად გეტყვ  
თქუნენ: არასადა ეცეს ნათესავსა ამას  
სასწაულ.

13. და დაუტევნა იგინი და მერმე  
აღწდა ნავსა მას და წიაღწდა მიერ.

14. და დაავიწყდა თანა-მიღებად პუ-  
რი, გარნა ერთ ხოლო ჯუეზა აქუნდა  
მათ თანა ნავსა მას შინა.

15. და ამცნებდა მათ და ეტყოდა:  
ეკრძალებით ცომისაგან ფარისეველთაჲ-  
სა და თბისა მისგან ჰეროდიაწათაჲსა.

16. და იგინი განიზრახვიდეს გულ-  
თა შინა მათთა და ურთიერთას იტყო-  
დეს, რამეთუ: პური არა გუაქუს.

17. და გულისწმა-ყო იესუ და ჰრქუა  
მათ: რაჲსათჲს განიზრახავთ<sup>1</sup>, რამეთუ  
პური არა გუაქუს, მცირედ მორწმუნე-  
ნო? არღა გიცნობიეს, არცა გულისწმა-  
გიყოფიეს? შესულეებულევე-ღა არიან  
გულნი თქუნენი.

18. თუალ გასხენ და არა ხედავთ,  
და ყურ გადგან და არა გესმის და არა  
გავსოს,

19. ოდეს-იგი ხუთი ჯუეზაჲ განუტე-  
ხე ხუთ ათასსა, რავდენი კუელი სავსე<sup>5</sup>  
ნატეხისაჲ აღიღეთ? ჰრქუეს მას: ათორ-  
მეტი.

20. მერმე: ოდეს-იგი შვიდი ჯუეზაჲ  
ოთხ ათასსა მას, რაოდენი გოდორი სავ-  
სე<sup>6</sup> ნეშტი აღიღეთ? ხოლო მათ ჰრქუეს:  
შვიდი.

21. და ჰრქუა მათ: ვითარ არა გულის-  
წმა-გიყოფიეს?

22. და მოვიდეს იგინი ბეთსაიდად  
და მოართუეს<sup>2</sup> მას ბრმაჲ და ევედრე-  
ბოდეს მას, რაათამცა ჯელი შეახო მას.

23. და უპყრა ჯელი ბრმასა მას და  
განიყვანა გარეშე<sup>3</sup> დაბასა, ჰწერ-

1 გუაქუს E. 2 გულისწმა-ყო E. 3 არა] —DE. 4 არცა გიცნობიეს] —D. 5 სავსე D. 6 ათ-  
ასთა D. 7 რავდენი E. 8 გულისწმა-ჰყვიით E. 9 დასდვა E. 10 გარეშე E.

1: განიზრახავთ C. 2 მოართუეს C. 3 გარეშე E. C.

D:

C

წყუა თულთა მისთა და დაჰსლვა<sup>1</sup> მას კელი მისი და ჰკითხა მას: რასა ჰხედავ?

24. | და აღიხილნა და იტყოდა: ვხედავ კაცებსა, ვითარცა ხეთა მიმომავალთა.

25. და მერმე კულად დაასხნა კელნი თულთა მისთა და აღუხილნა; მან აღიხილნა<sup>2</sup> და კულად მოეგო, და ჰხედვიდა ბრწყინვალედ ყოველთა<sup>3</sup>.

26. და წარავლინა იგი სახიდ<sup>4</sup> თჳსა და ჰრქუა: წარვედ სახიდ შენდა; და დაბად რაჲ შეხვდე, ნუვის რას უთხრობ დაბასა შინა.

27. და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი დაბნებსა მას<sup>5</sup> კესარია ფილიპსასა<sup>6</sup> და მგზავრ ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა: რაჲ თქვან კაცთა ჩემთჳს ყოფიად?

28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას, ვითარმედ: იოვანე ნათლის-მცემელი, და სხუათა: ელია, და სხუათა: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

29. ჰრქუა მათ იესუ: თქუენ რაჲ სთქვთ<sup>7</sup> ჩემთჳს, ვინ ვარ მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე<sup>8</sup>.

30. და შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრან მისთჳს.

31. და იწყო სწავლად მათა || და თქუა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ვენბაჲ ფრიად და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგან და მღდელთ მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

32. და განცხადებულად სიტყუასა ამას ეტყოდა<sup>9</sup>. და გან-რე-იყვანა<sup>10</sup> იგი პეტრე და იწყო ბრალობად მისა ამის სიტყუსათჳს.

33. ხოლო თავადი მიექცა და იხილ-

თულთა<sup>1</sup> მისთა და დაასხნა კელნი მისნი და ჰკითხვიდა მას: ხედავ რას?

24. აღიხილნა და თქუა: ვხედავ კაცებსა, ვითარცა ხეებსა მავალსა.

25. მერმე კულად დაასხნა კელნი თულთა ზედა მისთა, და აღიხილნა დაწყნარებულად და იხედვიდა სრულიად ყოველსა.

26. და წარავლინა იგი სახიდ თჳსა და ჰრქუა მას: ნუცა დაბასა მას შეხუალ<sup>2</sup>.

27. და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი სოფლებსა მას კესარიასა ფილიპსასა და ჰკითხვიდა მგზავრ მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რაჲ თქვან<sup>3</sup> ჩემთჳს კაცთა, ვითარმედ: ვინ ვარ მე?

28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: იოვანე ნათლის-მცემელი, და სხუათა: ელია, და რომელთამე: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი<sup>4</sup>.

29. მან ჰრქუა მათ: თქუენ რაჲ სთქვთ<sup>5</sup>, ვინ ვარ? მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე<sup>6</sup>.

30. მან შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრობდენ მისთჳს.

31. და იწყო სწავლად მათდა, რამეთუ: ჯერ-არს ჴესა კაცისასა ფრიად ვენბად და შეურაცხებად, და მოხუცებულთაგან და მღდელთ მოძღუართაგან<sup>7</sup> და მწიგნობართაგან მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

32. და განცხადებულად სიტყუასა ამას იტყოდა. და გა-რე-იდგინა იგი პეტრე და იწყო მისა ლალვად.

33. ხოლო იგი მოიქცა და იხილნა

1 დასლვა E. 2 მან აღიხილნა —D. 3 ყოველსა E. 4 სახედ E. 5 მას —D. 6 ფილიპსასა D. 7 სთქუთ E. 8 ქრისტე DE. 9 იტყოდა E. 10 გან-რა-იყვანა D.

1 თულთა C. 2 ასეა. 3 თქუან C. 4 წინაწარმეტყუელთაგანი C. 5 თქუთ C. 6 ქ-შ C. 6 მოძღუართაგან C.

DE

C

ნა მოწაფენი თჳსნი და შეპრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას<sup>1</sup>: წარვედ მართლუქუნ ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ არა ჰზრახე ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა თჳსთა<sup>2</sup> თანა და ჰრქუა მათ: რომელსა უნდეს შემდგომად<sup>3</sup> ჩემსა მოსლვაჲ, უფარ-ყაენ თავი თჳსი და აღიღენ ჯუჳარი თჳსი და შემომიღვეინ მე.

35. რომელსა უნდეს სული თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს გინა სახარებისათჳს, მან აცხოვნოს იგი.

36. რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ყოველი და სული თჳსი წარიწყმიდოს?

37. და რაჲ მიჰსცეს<sup>4</sup> კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?

38. რომელსა-იგი სარცხენელ უჩნდე მე და სიტყუანი ესე ჩემნი, ნათესავსა ამას მემრუშესა<sup>5</sup> და ცოდვილსა, ძემან-ცა<sup>6</sup> კაცისამან არცხენოს მას, რაჲამს<sup>7</sup> მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჲთა და ანგელოზთა თანა წმიდათა.

მოწაფენი თჳსნი, შეპრისხნა პეტრეს და ჰრქუა: უკუნიქეც ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ არა ჰზრახე შენ ღმრთისასა<sup>1</sup>, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფითურთ თჳსით და ჰრქუა მათ: რომელსა ჰნებავს კუალსა ჩემსა სლვად, უფარ-ყაენ თავი თჳსი, აღიღენ ჯუჳარი თჳსი და შემომიღვეინ მე.

35. რამეთუ რომელსა უნდეს თავისა თჳსისა ცხოვრებაჲ, მან წარიწყმიდოს იგი; ხოლო რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს, მან განარინოს იგი.

36. რაჲ-მე სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და განიჭუას<sup>2</sup> სული თჳსი?

37. ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისათჳს?

38. რომელსა სარცხენელ უჩნდე მე და სიტყუანი ჩემნი, ნათესავსა ამას შორის მემრუშესა და ცოდვილსა, ძესა კაცისასა სარცხენელ უჩნდეს იგი, რაჲამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჲთა და ანგელოზთა თანა წმიდათა.

9

1. და ეტყოდა მათ: ამენ გეტყუთქუნ, რამეთუ არიან ვინმე აქა მღგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, ჲომავალი ძალითა.

2. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღიყვანნა იგინი მთასა ფრიად<sup>8</sup> მაღალსა თჳსაგან მარტონი და იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა.

1. და ჰრქუა მათ: მართლიად გეტყუთქუნ, რამეთუ: არიან ვინმე მღგომარენი აქა, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, მოსლული ძალითა.

2. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან და სხუაფერ<sup>3</sup> იქმნა წინაშე მათსა.

1 მას] — E. 2 თჳსთა] მისთა D. 3 შემოდგომად D. 4 მისცეს E. 5 მემრუშესა D. 6 ძმ-მანცა D. 7 და რაჲამს (და რ'ეს) D. 8 ფრიად] — D. 1 ღმრთისა C. 2 განიჭოვქვას C. 3 სხუაფერ C.

DE

C

3. და სამოსელი მისი იქმნა მბრწყინ-  
ვალე<sup>1</sup> და ო სპეტაკ ვითარცა თოვლი,  
რამეთუ ყოველსავე მურკნვალსა ქუეყა-  
ნისასა ვერ ველ-ეწიფების ეგრეთ გან-  
სპეტაკებად.

4. და ეჩუენა მათ ელია მოსეს თანა,  
და იყენეს იესუმს<sup>2</sup> თანა და ზრახვი-  
დეს.

5. და მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს:  
მოდღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყო-  
ფაჲ; და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერ-  
თი შენთჲს, ერთი მოსესთჲს და ერთი  
ელიაჲსთჲს.

6. რამეთუ არა იცოდა, რადმცა მიუ-  
გო, რამეთუ იყენეს იგინი შეშინებულ.

7. და იყო ღრუბელი და აგრილობ-  
და მათ, და ვმაჲ იყო ღრუბლით გამო-  
და თქუა: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი,  
ისმინეთ მაგისი.

8. და მეყსეულად მიმოიხილეს და  
არაჲინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მათ  
თანა.

9. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს<sup>3</sup> მიერ  
მითთ, ამცნო მათ, რადთა არაჲის უთხ-  
რან რაჲ-იგი იხილეს, გარნა ოდეს ძმ  
კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

10. და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს თა-  
ვისა თჲსისა თანა და გამოეძიებდეს ურ-  
თიერთას, ვითარმედ: რაჲ-მე არს იგი:  
ოდეს მკუდრეთით აღდგეს?

11. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს:  
ვითარ-მე<sup>4</sup> იტყუან მწიგნობარნი: ელიაჲ-  
სა ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ?

12. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა  
მათ: ელია მოვიდეს და კუალად მოაგოს  
ყოველი; და ვითარცა წერილ არს ძი-  
სათჲს კაცისა, რადთა ფრიად ივნოს<sup>5</sup>  
და შეურაცხ იქმნეს.

13. არამედ გეტყვ თქუენ, რამეთუ

3. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინ-  
ვალე სპეტაკ ფრიად, რომელ მურკვალ-  
მან ქუეყანასა ზედა ვერ უძლოს ესრე  
განსპეტაკებად.

4. და ეჩუენა მას ელია<sup>1</sup> მოსითურთ,  
დგეს და ეტყოდეს იესუს.

5. და მიუგო პეტრე და ჰრქუა იე-  
სუს: ჰრახბი, კეთილ არს ჩუენდა აქა ყო-  
ფაჲ; და ვქმნეთ სამი ტალავარი: ერთი  
შენდად, ერთი მოსესადა, ერთი ელიაჲ-  
სადა<sup>2</sup>.

6. რამეთუ არა უწყოდა, რადმცა მი-  
უგო, რამეთუ შეშინებულ იყენეს.

7. და იყო ღრუბელი მაგრილობელად  
მათა, და ვმაჲ იყო ღრუბლით გამო: ესე  
არს ძე ჩემი საყუარელი, ისმინეთ მისი.

8. და მეყსეულად მიმოდაიხილეს და  
არლარაჲინ იხილეს, არამედ იესუ ხოლო  
მათ თანა.

9. და გარდამოსლვასა მას მათსა მი-  
ერ მითთ ამცნო მათ, რადთა არაჲის  
უთხრან რაჲ-იგი იხილეს, გარნა რაჲამს  
ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

10. და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს და  
ურთიერთას გამოეძიებდეს, ვითარმედ:  
რაჲ არს ესე: რაჲამს მკუდრეთით აღ-  
დგეს?

11. ჰკითხვიდეს მას და ჰრქუეს: ვი-  
თარ-მე<sup>3</sup> თქუან მწიგნობართა: ელია-ლა<sup>4</sup>  
მოსულად<sup>5</sup> არს პირველად?

12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ:  
ელია<sup>6</sup> მოვიდეს პირველად და აღგიდ-  
აგოს ყოველი; და ვითარ წერილ არს  
ძესა ზედა კაცისასა, რადთა ფრიად ივ-  
ნოს და შეურაცხ იქმნეს.

13. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ

1 მბრწყინვალე E, ბრწყინვალე D. 2 იესუს (ი'ჯს) D. 3 გარდამო-რაჲ-ვიდოდეს E. 4 ვი-  
თარმედ DE. 5 ევნოს E.

1 შელია C. 2 შელიაჲსად. 3 ვითარმედ (ე'დ) C. 4 შელია-ლა. 5 ასეა. 6 შლია C.

DE

C

ელია მოვიდა, და უყვეს მას, როადენი უნდა, ვითარცა წერილ არს მისთჳს.

14. და მოვიდა მოწაფეთა მისთა და იხილა ერი გარემო მათსა, და მწიგნობარნი გამოეძიებდეს მათ თანა.

15. და მეყსეულად ყოველმან ერმან იხილეს იგი და დაუკრდა და მორბოდეს მისა და მოიკითხეს იგი.

16. და ჰკითხა მათ იესუ და ჰრქუა: რასა გამოეძიებთ ურთიერთას?

17. და მი-ვინმე-უგო ერთმან ერისაგანმან და ჰრქუა: მოძღუარ, მოვიყვანე<sup>1</sup> ძჳ ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ.

18. და სადაცა დააპყრის იგი, დააკუეთოს, და პეროვინ<sup>2</sup> და ილრქენ<sup>3</sup> კბილთა და განწმებინ. და უთხარ მოწაფეთა შენთა, რადამცა განაყენეს იგი, და ვერ შეუძლეს.

19. მიუგო იესუ და ჰრქუა: ზ ნათესავი ურწმუნოჲ! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდე თავს-ვიდებდე თქუენსა? მოიყვანეთ იგი აქა!

20. და ვითარცა მოიყვანეს იგი მისა და იხილა იგი, და მეყსეულად სულმან მან არაწმიდამან დააკუეთა იგი; და ვითარცა დაეცა იგი ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა<sup>4</sup>.

21. და ჰკითხა იესუ<sup>5</sup> მამასა მისსა: როადენი ჟამი არს, ვინადთგან ყოფილ არს ეგე<sup>6</sup> მაგის თანა? ხოლო მან თქუა: სიყრმიოვან.

22. და მრავალ გზის ცეცხლსა შთავადო ეგე და წყალსა, რადამცა წარწყმიდა ეგე, არამედ რად ძალ-გიც, შემეწიე<sup>7</sup> ჩუენ, უფალო, და წყალობა-ყავ ჩუენთჳს.

ელია<sup>1</sup> მოვიდა, და ჰუყვეს მას, როადენი ცა უნდა, ვითარცა წერილ არს მისთჳს.

14. და ვითარ მოვიდეს მოწაფეთათანა, იხილეს ერი გარემო მათსა, და მწიგნობარნი იგი სიტყუს გამოეძიებულად შედგომილ იყვნეს მათა.

15. და მეყსეულად ყოველმან მან ერმან იხილა, შეტბუნდეს და მირბოდეს და მოიკითხვიდეს მას.

16. და ჰკითხა მათ: რასა ჰვდებთ ურთიერთას?

17. და მიუგო ერისა მისგანმან ერთმან და ჰრქუა: მოძღუარ, მოვიყვანე ძე ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუ.

18. და სადაცა დააპყრის იგი, დაჰკუეთოს<sup>2</sup>, და პერონ და ილრქენ<sup>3</sup> კბილთა და განწმებინ. და ვარქუ მოწაფეთა შენთა, რადამცა განაყენეს იგი, და ვერ შეუძლეს.

19. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ზ ნათესავო ურწმუნო! ვიდრემდე თქუენ თანა ვიყო? მო-ლა-მართუთ იგი მე!

20. და მართუეს<sup>4</sup> იგი მას. და ვითარ იხილა იგი, მეყსეულად სულმან მან დაჰკუეთა<sup>5</sup> იგი; და ვითარ დაეცა ქუეყანასა ზედა, გორვიდა და პეროოდა.

21. და ჰკითხა მამასა მის მისსა: როადენ ჟამ არს, ვინადთგან ყოფილ არს ესე მაგისა? ხოლო მან ჰრქუა: სიყრმიოვან.

22. და მრავალ გზის ცეცხლსა შთავადის და წყალსა, რადამცა წარწყმიდა იგი, არამედ გიძლავს თუ რადმე, შემეწიე<sup>7</sup> ჩუენ და წყალობა-ყავ ჩუენ ზედა.

1 მოვიყვანო E. 2 პერონ D. 3 პეროდა D. 4 იესუ — E. 5 ესე D. 6 შემეწიენ D.

1 ძლია C. 2 დაჰკუეთის C. 3 მართუეს C. 4 დაჰკუეთა C. 5 შემეწიე C.

DE

C

23. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რად ძალ-  
გიცა<sup>1</sup>, | ყოველივე შესაძლებელ არს<sup>2</sup>  
მორწმუნისა.

24. და მესყიულად ჯმა-ყო მამამან<sup>3</sup> მის  
ყრმისამან და თქუა: მრწამს, შემეწიე  
ურწმუნოებასა<sup>4</sup> ჩემსა.

25. ვითარცა იხილა იესუ, რამეთუ  
შეკრებების ერი მის ზედა, შეპრისხნა სულ-  
სა მას და ჰრქუა უტყუსა და ყრუსა  
სულსა: მე გიბრძანებ შენ განსლვიად მა-  
გისგან და ნულარა შეხუალ მაგისა!

26. და ღალად-ყო და ფრიად გორ-  
ვიდა და განვიდა მისგან; და იქმნა იგი  
ვითარცა მკუდარი, ვითარმედ მრავალნი  
იტყოდესცა, ვითარმედ: მოკუდა.

27. ხოლო იესუ უპყრა ტელი მისი და  
აღადგინა იგი<sup>5</sup>, და იგი<sup>6</sup> აღდგა.

28. და<sup>7</sup> ვითარცა შევიდა იესუ სა-  
ხიდ<sup>8</sup>, მოწაფეთა მისთა თუსაგან ჰკი-  
თხეს მას: რადსათჳს ჩუენ ვერ<sup>9</sup> შეუძლეთ  
მას განძებად?

29. ხოლო თავადმან<sup>10</sup> ჰრქუა: ესე ნა-  
თესავი ვერარაფთ შესაძლებელ არს გან-  
სლვიად, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

30. და მიერ გამოვიდეს და წარმო-  
ვიდეს გალილეას<sup>11</sup>, და არა უნდა, რად-  
თამცა აგრძნა ვინ,

31. რამეთუ ასწაებდა მოწაფეთა  
თჳსთა და ეტყოდა მათ, ვითარმედ: მი-  
ეცეს ძქ კაცისად ჳელთა კაცთასა, და  
მოკლან იგი; და მო-რად-კუდეს, მესამე-  
სა დღესა აღდგეს.

32. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სი-  
ტყუასა მას და ეშინოდა კითხვად მისა.

33. და მოვიდა კათარნაომდ<sup>12</sup>. და ვი-

23. ხოლო იესუ ჰრქუა მას: გიძლავს  
თუ, ყოველი შესაძლებელ არს, რომელ-  
სა ჰრწამს.

25. და მუნქუესვე ღალატ-ყო მამამან  
მის ყრმისამან<sup>1</sup> და თქუა: მრწამს, მე-  
წიე ურწმუნოებასა.

25. იხილა რად იესუ, რამეთუ შე-  
ჰკრებოდა მას ერი იგი, შეპრისხნა  
სულსა მას და ჰრქუა: შენ გეტყჳ, უტყუ-  
სა და ყრუსა სულსა, მე გიბრძანებ შენ:  
განწედ მაგისგან და ნულარა შეხუალ<sup>2</sup>  
მაგისა!

26. და ღალატ-ყო ფრიად, ატრბანა  
და განვიდა; და იქმნა იგი ვითარცა  
მკუდარი, რამეთუ მრავალნი იტყოდეს-  
ცა, ვითარმედ მოკუდაო.

27. ხოლო იესუ უპყრა ტელი, აღად-  
გინა იგი, და აღდგა.

28. და რაემს შევიდა იგი სახედ, მო-  
წაფენი მისნი მარტოდ კითხვიდეს<sup>3</sup> მას:  
რად ჩუენ ვერ უძლეთ მას განწლად?

29. და ჰრქუა მათ: ესე ნათესავი არა-  
რადთ განვალს, გარნა ლოცვითა.

30. და ვითარ მიერ გამოვიდეს, თა-  
ნა-წარვიდოდეს გალილეასა, და არა უნ-  
და, რადთამცა იცნა ვინ,

31. რამეთუ ასწაებდა მოწაფეთა და  
ეტყოდა მათ: ძე კაცისად მიცემად არს  
ჳელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და  
ვითარცა მოკლან იგი, მესამესა  
აღდგეს.

32. და იგინი არა მეცნიერ იყვნეს  
სიტყუასა მას და ეშინოდა კითხვად მი-  
სა.

33. და მოვიდა კათარნაომდ. ვითარ-

1 ასეა. 2 შესაძლებელა D. 3 მამან E. 4 ურწმუნოებასა E. 5 იგი | —E. 6 იგი | —D. 7 და | —D. 8 სახიდ | + და DE. 9 ვე D\*. 10 იესუ თავადმან D\*. 11 გალილეასა D\*. 12 კაე-  
არნაომდ (ან: კაეარნაუმდ) D\* (ძველად „კათარნაუმდ“ უნდა ყოფილიყო).

1 ყრმისამა C. 2 შეხვალ C. 3 ჳერ დაუწერია: „იკითხვიდეს“, მაგრამ შემდეგ „ი“ ამო-  
უშლია და „ჳ“ არ ჩაუწერია.

DE

C

თარცა შევიდა სახლსა, ჰკითხვიდა მათ, რასა-იგი იცილობდეს<sup>1</sup> გზასა ზედა ურთიერთას.

34. ხოლო იგინი დუმნეს, რამეთუ ურთიერთას იტყოდეს გზასა ზედა, ვითარ-მედ: ჩუენგანი ვინ-მე უდიდეს იყოს?

35. და დაჯდა და მოუწოდა ათორ-მეტთა მათ<sup>2</sup> და ჰრქუა: ვის<sup>3</sup> თქუენგან-სა უნდეს პირველ ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.

36. და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი შორის მათსა და მკლავთა მოიქუა იგი და ჰრქუა მათ:

37. რომელმან ამათგანი ყრმაჲ შეიწყნაროს სახელისა ჩემისათჳს, მე შემიწყნაროს; | და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ ზომაველინებელი ჩემი.

38. მიუგო მას იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შეგვადგეს, და ჩუენ ვაყენებთ მას.

39. ხოლო იესუ ჰრქუა: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავენი არს, რომელმან ქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და კელიფოს ბოროტის სიტყუად ჩუენდა.

40. რამეთუ რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერძო არს.

41. რამეთუ რომელმან გასუას თქუენ სასუმელი ერთი წყალი სახელისა ჩემისათჳს, რამეთუ ქრისტესნი<sup>3</sup> ხართ, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს მას<sup>4</sup> სასყიდელი მისი.

42. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაჲ ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა, გამოთუ-ბას ქედსა მისსა ვირით საფქველი და შთავარდეს ზღუასა.

ცა შევიდა სახედ, ჰკითხვიდა მათ, რასა-იგი მგზავრ იტყოდეს<sup>1</sup> ურთიერთას.

34. ხოლო იგინი დუმნეს, რამეთუ ურთიერთას მგზავრ იტყოდეს, ვითარ-მედ: ვინ უფროჲს არს?

35. და დაჯდა და [მ]ოუწოდა ათორ-მეტთა და ჰრქუა მათ: რომელსა ჰნებავს, ვითარმცა პირველ იყო, იყავნ იგი ყოველთა უკუნა და ყოველთა მსახურ.

36. და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი შორის მათსა და შეიტყუო იგი და ჰრქუა მათ:

37. რომელმან ესევეთართ[ა] ყრმათა-განი შეიწყნაროს, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს<sup>2</sup>, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

38. მიუგო მას იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ<sup>3</sup>, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განჰჭდიდა, რომელ ჩუენ თანა არა ვალს, და ვაყენებდით მას.

39. ხოლო იესუ ჰრქუა: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავენი არს, რომელმან ყოს ძალი სახელითა ჩემითა და კელიფოს ძურის სიტყუად<sup>1</sup>.

40. რამეთუ რომელ-იგი არა არს მტერ ჩუენდა, ჩუენ კერძო არს.

41. ხოლო რომელმან გასუას<sup>5</sup> თქუენ სასუმელი წყლისაჲ სახელისათჳს, რამეთუ ქრისტესნი ხართ, მართლიად გეტყუ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

42. და რომელმან აცთუნოს ერთი მცირეთაგანი, რომელთა ეპრწამ მე, უმჯობეს არს უფროჲს მისა, დამო-თუ-მცა -ება საფქველ<sup>6</sup> ლოდი ყელსა და შთა-მცა-ვარდა იგი ზღუასა.

1 იცილობდით D\*. 2 მათ] — D. 3 ქრისტესნი (ქენსი) E. 4 მას] — D.

1 იტყოდეთ C (ასეთი წაკითხვა შესაძლებელი იქნებოდა, რომ მიმართებითი „იგი“ არ ყოფილიყო ნახმარი). 2 შემწყნაროს C. 3 მოძღვარ C. 4 სიტყუად C. 5 გასუას C. 6 საფქველ C

DE

C

43. და უკუეთუ დაგაბრკოლებდეს ჯელი შენი, || მოიკუეთე იგი შენგან: უმჯობეს არს შენდა უკელოდას<sup>1</sup> შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა ჯელთა სხმასა და შესლვად გეჰენიასა<sup>2</sup>, ცეცხლსა მას უშრეტსა.

44.

45. და უკუეთუ ფერჯი შენი დაგაბრკოლებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა მკელობლისა<sup>3</sup> შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერჯითა შესლვად გეჰენიასა.

46.

47. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი: უმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა<sup>4</sup> და შთაგდებად გეჰენიასა,

48. სადა-იგი მატლი მათი<sup>5</sup> არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების.

49. რამეთუ ყოველივე<sup>6</sup> ცეცხლითა დაიშრტილოს.

50. კეთილ არს მარილი: უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, რაჟთა დაიშრტილოს? გაქუს თავისა თქუენისა თანა მარილი, მშვდობით იყვენით ურთიერთას.

43. და თუ გაცთუნებდეს შენ ჯელი შენი, მოიკუეთე<sup>1</sup> იგი: უმჯობეს არს შენდა ერთ-ჯელისა ცხორებასა შესლვად, ვიდრე-ლა არა ორთა ჯელთა დგმასა და მისლვად ცეცხლსა მას დაუშრეტელსა.

44.

45. და თუ ფერჯი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი: უკეთეს არს შენდა ცხორებასა შესლვად მკელობელისაჲ, ვიდრე-ლა არა ორთა ფერჯთა დგმასა და მისლვად გეჰენიასა.

46.

47. და თუ თუალი<sup>2</sup> შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიჭადე იგი: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისა<sup>3</sup> შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა<sup>4</sup>, ვიდრე-ლა არა ორთა თუალთა სხმასა და მისლვად გეჰენიასა,

48. სადა მატლი იგი მათი არა აღესრულების, და ცეცხლი მათი არა დაშრტების.

49. რამეთუ ყოველი ცეცხლითა დაიშრტილოს.

50. კეთილ არს მარილი: უკუეთუ მარილი განწბილდეს, რაჲ-მე შეიშრტილოს? გაქუს თქუენ მარილი და მშვდობასა ჰყოფდით ურთიერთას.

10

1. | და აღდგა მიერ იესუ და მოვიდა | საზღვართა ჰურიასტანისათა, წიალ იორდანესა, და შეკრებოდა კუალად მისაერი, და, ვითარცა ჩუეულ იყო, კუალად ასწავებდა მათ.

1. და აღდგა მიერ და მოვიდა სა[ზ]-ღვართა ჰურიასტანისათა, წიალ იორდანესა, და თანა-უვიდოდა მას ერი მრავალი, და, ვითარ ჩუეულ იყო, ასწავებდა მათ.

1 უკელოდას E. 2 გეჰენიისა DE. 3 მკელობლისა DE. 4 სხმასა]-DE. 5 მათი]-E. 6 ყოველი (ყ'ი) D.

1 მოიკუეთე C. 2 თუალი C. 3 ერთ-თუალისა C. 4 დ'ასასა C.



DE

C

2. ხოლო ფარისევლები იგი ჰკითხვიდნენ მას: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა ცოლისა თვისისა განტევიება? და გამოსცდიდეს მას.

3. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქჳა მათ: ვითარ გამცნო თქუენ მოსე?

4. ხოლო მათ ჰრქჳეს: მოსე <sup>1</sup> ბრძანა წიგნი განტევიებისაჲ მიცემად და განტევიებად.

5. მიუგო იესუ და ჰრქჳა მათ: გულფიცხელობისა <sup>2</sup> თქუენისათჳს დაწერა მოსე <sup>1</sup> მცნებაჲ ეგე.

6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი და თქუა:

7. ამისთჳს დაუტევოს <sup>3</sup> კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა,

8. და იყვნენ ორნივე ერთ ჯორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჯორც.

9. რომელნი-იგი <sup>4</sup> ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.

10. და მერმე სახლსა შინა მაგისვე სიტყჳსათჳს ჰკითხვიდეს მას <sup>5</sup> მოწაფენი მისნი <sup>6</sup>.

11. ხოლო იესუ ჰრქჳა მათ: უკუეთუ განუტევოს <sup>7</sup> ქმარმან ცოლი თჳსი და შეირთოს სხუაჲ, ამან იმრუშა.

12. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მანცა იმრუშა.

13. და მოჰგურიდეს მას ყრმებსა, რათაჲ ჯელი დაჰსდვას <sup>8</sup> მათ; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელნი-იგი მოჰგურიდეს.

14. ვითარცა იხილა იგი იესუ, შეჰპრისხნა <sup>9</sup> მათ და ჰრქჳა: აცადეთ ყრმებ-

2. და მოუტდეს მას ფარისევლები და ჰკითხვიდეს მას: [ჯ]ერ თუ არს ქმრისა ცოლისა დატევიება? რამეთუ გამოსცდიდეს მას.

3. მან მიუგო და ჰრქჳა მათ: რაჲ გამცნო თქუენ მოსე <sup>1</sup>?

4. ხოლო მათ ჰრქჳეს: მოსე ბრძანა წიგნი განსატევიელი დაწერად და განტევიებად.

5. მიუგო იესუ და ჰრქჳა მათ: გულფიცხელობისა თქუენისათჳს დაწერა მცნებაჲ ესე.

6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამლად და დედლად შექმნა იგინი ღმერთმან და თქუა:

7. ამისთჳს დაუტეოს კაცად-კაცადმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს: ცოლსა თჳსსა,

8. და იყვნენ ორნი ერთ ჯორც. ამინ-ერთგან არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჯორც.

9. აწ რომელ ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაყენებნ.

10. და სახლსა შინა მერმე ამისთჳს მოწაფენი მისნი ჰკითხვიდეს მას.

11. და ჰრქჳა მათ: და-თუ-უტეოს დედაკაცმან ქმარი თჳსი და ცოლ-ეყოს სხუასა <sup>2</sup>, იმრუშოს.

12. და მამაკაცმან თუ დაუტეოს ცოლი თჳსი და ცოლ-იყოს სხუაჲ, იმრუშოს.

13. და მოართუმიდეს მას ყრმებსა, რათამცა ჯელი დასდვა მათ; ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მომრთუმელთა <sup>3</sup> მათ.

14. იხილა რაჲ იესუ, შეჰპრისხნა და ჰრქჳა: აცადეთ ყრმებსა მიგას მოსლვად.

1 მოსე E. 2 გულფიცხელობისა D. 3 დაუტეოს D. 4 რომელნი D. 5 მას]—E. 6 მისნი მისთჳს DE. 7 განუტეოს D. 8 დასდვას E. 9 შეპრისხ E.

1 მოსე C. 2 სხუასა C. 3 ხელნაწერში თითქო „მორთულთა“ იკითხება: (სიტყვები: „ხოლო მოწაფენი... მათ“ გამოჰრჩენია და წვრილად ჩაუწერია).

DE

C

სა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართად არს სასუფეველი ცათად.

15. ამენ გეტყვ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისად ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.

16. და შეიტყობოდა მათ და დაასხმიდა კელთა მათ ზედა და აკურთხევედა მათ.

17. და ვითარცა გამოვიდა იგი გზასა, და აჰა ესერა მდიდარი ვინმე მორბიოდა მისა და მუქლნი დაიდგნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძლუარო სახიერო, რომელი საქმე<sup>1</sup> ექმნე, რათა ცხორებამ საუკუნომ დავიმკვდრო?

18. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყვ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი.

19. მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა ჰსწამებ<sup>2</sup>, პატივ-ეც<sup>3</sup> მამასა შენსა და დედასა შენსა.

20. ხოლო მან მიუვო და ჰრქუა მას: ესე ყოველი ვყავ სიკაბუკით ჩემითგან; რაჲ-ლა მაკლს მე?

21. ხოლო იესუ მიჰხედა და შეუყუარა-და იგი და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს სრულ ყოფამ, წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუწჯე<sup>4</sup> ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.

22. ხოლო იგი შეწუნხა ამის სიტყვსათს და წარვიდა მწუხარე<sup>5</sup>, რამეთუ აქუნდა მონაგები ფრიად.

23. და მიმოიხილა იესუ და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ამენ გეტყვ თქუენ, ვითარმედ<sup>6</sup> ძნიად შევიდენ<sup>7</sup> სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასე<sup>8</sup>.

ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართად არს სასუფეველი ღმრთისად.

15. მართლიად გეტყვ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისად ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.

16. და შეიტყბნა იგინი და დასდვა კელი მათ ზედა და აკურთხნა იგინი.

17. და ვითარ გამოვიდოდა იგი გზად, მირბიოდა ვინმე ერთი, იმუქლნა, ევედრებოდა მას და ჰკითხვიდა: მოძლუარ<sup>1</sup> ქველის მოქმედ, რაჲ ექმნე, რაჲთა ცხორებამ საუკუნომ დავიმკვდრო?

18. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყვ მე ქველის მოქმედით? არავინ არს ქველის მოქმედი, გარნა მარტოდ ღმერთი.

19. მცნებანი იცნი: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა.

20. ხოლო მან მიუვო და ჰრქუა მას: მოძლუარ<sup>2</sup>, ესე ყოველი მიყოფის სიკაბუკით ჩემითგან.

21. და იესუ მიხედა მას და შეუყუარა-და იგი და ჰრქუა მას: ერთ-ლა გაკლს შენ: გულად, რაჲცა გიც, განყიდე და მიეც გლახაკთა<sup>3</sup> და მოილო შენ საფასე ცათა შინა და აღიდე ჯუარი, მოვედ და შემომიდეგ მე.

22. ხოლო იგი დაწუნხა სიტყუასა<sup>4</sup> მას ზედა და წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო იგი ნაყოფიერ ფრიად.

23. და მიხედა იესუ და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვითარ ძნელ არს ფასიერთად შესულად<sup>5</sup> სასუფეველსა ღმრთისასა!

1 საქმე D. 2 სწამებ E. 3 პატი-ეც E. 4 საუჯე D. 5 მწუხარე D. 6 ვითარ (ვ'რ) D. 7 შევიდეს E. 8 საფასე D. 1 მოძ C. 2 მოძლარ C. 3 სიტყვასა C. 4 ასეა

DE

C

24. ხოლო მოწაფეთა დაუკვრდებოდა სიტყუისას ამას ზედა, ხოლო იესუ კუალად მიუგო და ჰრქუა მათ: შეილნო, რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესენ, შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა!

25. უადვილეს არს მანქნისა საბელი ჭურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად.

26. ხოლო მათ უმეტესად განუკვრდებოდა და იტყოდეს ურთიერთას: და ვისმე კელ-ეწიფების ცხოვრებად<sup>1</sup>?

27. მიჰხედა მათ იესუ და ჰრქუა: კაცთა მიერ შეუძლებელ არს ესე, არამედ არა ღმრთისაგან, რამეთუ ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. იწყო პეტრე სიტყუად მისა და თქუა: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდგთ შენ.

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ: არავინ არს, რომელმან დაუტეგოს<sup>2</sup> სახლი გინა ძმანი გინა დანი გინა დედა გინა მამა გინა ცოლი გინა შეილნი გინა აგარაკი ჩემთს და სახარებისა ამისთს,

30. უკეთეთ არა მდღლოს ასი წილი ეამსა ამას სახლი | და ძმანი და დანი და დედა და მამა და შეილნი და აგარაკნი შემდგომად<sup>3</sup> დევნულებისა და საუკუნესა მას მომავალსა ცხოვრებად საუკუნოა.

31. ხოლო მრავალნი იყენენ პირველნი უკუნანასკნელ, და უკუნანასკნელნი პირველ.

32. და იყენეს იგინი გზასა ზედა და აღვიდოდეს იერუსალმდ; და<sup>4</sup> იესუ წინა-უძლოდა მათ, (და)<sup>5</sup> დაუკვრდებოდა

24. და მოწაფენი იგი მისნი დასულეზულ იყენეს<sup>1</sup> სიტყუისას მას მისსა ზედა. ხოლო იესუ მერმე მიუგო და ჰრქუა მათ: შეილნო, რადენ ძნელ არს ფასის მოსაფეთად სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად!

25. უადვილეს არს ზომ-საბელისა განსლვად ჭურელსა ნემსისასა, ვიდრე-ღარა მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესულად<sup>2</sup>.

26. და მათ უფროს დაუკვრდებოდა<sup>3</sup> და იტყოდეს ურთიერთას: და ვინმე უძლოს ცხოვრებად?

27. მიხედა რად იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან ვერ შესაძლებელ არს, ხოლო ღმრთისაგან არა ვერ, არამედ ყოველი შესაძლებელ არს ღმრთისაგან.

28. იწყო მისა სიტყუად პეტრე<sup>4</sup>: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდგთ შენ.

29. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: მართლიად გეტყუ თქუენ: არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამა ანუ დედა ანუ შეილნი ანუ აგარაკი<sup>5</sup> ჩემთს გინა თუ სახარებისა ამისთს,

30. ვითარცა არა მოილო ასი წილი აწ ეამსა ამას სახლები და ძმანი და დანი და დედა და შეილნი და აგარაკები დევნულებითურთ და საუკუნესა მას მომავალსა ცხოვრებად საუკუნს.

31. რამეთუ მრავალნი იყენენ წინანი უკუნა, და უკუნანი წინა.

32. და იყენეს<sup>6</sup> იგინი გზასა, აღვიდოდეს იერუსალმდ<sup>7</sup>; და წარუძლოა<sup>8</sup> მათ იესუ, და დაკვრებულ<sup>9</sup> იყენეს და იგი-

1 ცხოვრებად E. 2 დაუტეგოს D. 3 და შემდგომად E. 4 და |—D. 5 და|—DE.

1 იყენეს C. 2 ასეა. 3 დაუკვრდებოდა C. 4 პეტრე C. 5 აგარაკი C. 6 იყენეს C. 7 იძლოდა C. 8 წარუძლოა C. 9 დაკვრებულ C.

DE

C

მოწაფეთა. ხოლო ივინი მოჰსდევდეს<sup>1</sup> მას და ეშინოდა კითხვად. და წარმოიყვანნა კულად ათორმეტნი იგი და იწყო მათა თხრობად მერმისა, რომელი შემთხუვეად იყო მისა,

33. რამეთუ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალმდ, და ძმ კაცისაჲ მიეცეს მღღელთ მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილ და მიჰსცენ<sup>2</sup> იგი წარმართთა;

34. და ეციხევედენ მას და ტანჯონ იგი, ჰნერწყუვიდენ მას და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.

35. და მოუტდეს მას იაკობ და იოვანე, ძენი<sup>3</sup> ზებედესნი, და ჰრქუეს მას: მოძღუარ, გუნებავს, რაჲთა, რომელი გთხოვოთ<sup>4</sup>, მიყო ჩუენ.

36. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჲ გნებავს ჩემგან, და გიყო თქუენ?

37. ხ<sup>5</sup> მათ ჰრქუეს: მომეც ჩ<sup>6</sup>, რაჲთა დაეხსნდეთ ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დღესა<sup>7</sup> მას დიდებისასა.

38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა იციოთ, რასა ითხოვთ, ძალ-გიცა სასუმელი შესუმად, რომელი მე შევსუა, და ნათლისღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ?

39. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ძალ-გვც. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: სასუმელი სამე, რომელი მე შევსუა, შესუათ, და ნათლისღებაჲ<sup>8</sup>, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ,

40. ხოლო დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით ჩემსა არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა<sup>9</sup> განმზადებულ არს.

41. და ესმა ესე ათთა მათ და იწყეს რისხვად იაკობისა და იოვანესა.

ნი შეუდგეს მას და ეშინოდა. და წარიყვანნა მერმე ათორმეტნი იგი და იწყო მათა სიტყუად, რაჲ-იგი შემთხუვეად<sup>1</sup> იყო მერმე მისა,

33. ვითარმედ: ესერა აღხუალთ<sup>2</sup> იერუსალმდ<sup>3</sup>, და ძე კაცისაჲ მიცემად არს მღღელთ მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილითა და მისცენ იგი წარმართთა;

34. და ეციხევედენ მას და სტანჯვიდენ მას და ჰნერწყვდენ მას და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.

35. და მოუტდეს მას იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი, და ჰრქუეს: მოძღუარ, გუნებავს, რაჲთა, რაჲცა გთხოვოთ, მიყო ჩუენ.

36. ხოლო მან ჰრქუა მათ: რაჲ გნებავს ჩემგან ყოფად თქუენდა?

37. მათ ჰრქუეს მას: მოგუეც ჩუენ, რაჲთა დაეხსნდეთ მარჯულ შენსა და მარცხლ დიდებასა შენსა.

38. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა უწყით, რასა ითხოვთ. გიძლავს სასუმელისა შესუმად, რომელ ჩემდა შესუმად არს, ანუ ნათლისღებაჲ, რომელსა მე ნათლისღებად ვალ, (ნათელს-ილოთ)?<sup>4</sup>

39. მათ ჰრქუეს: გვძლავს<sup>5</sup>. ჰრქუა მათ იესუ: სასუმელი იგი, რომელ ჩემდა შესუმად არს, შესუათ, და ნათლისღებაჲ, რომელსა მე ნათლისღებად ვალ, ნათელს-ილოთ,

40. ხოლო დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი არს მიცემად, არამედ რომელთათჳს განმზადებულ არს.

41. და ვითარ ესმა ათთა მათ, იწყეს გულის წყრომად იაკობისთჳს და იოვანესთჳს.

1 მოსდევდეს E. 2 მისცენ E. 3 ძენი D. 4 გთხოვთ D. 5 დღესა E. 6 ნათლისღებაჲ E. 7 ვითა D.

1 შემთხუვეად C. 2 ასეა (მოსალოდნელი იყო: აღვალთ). 3 იმღმდ C. 4 ნათელს-ილოთ)—C. 5 გუძლავს C.

DE

C

42. ხოლო იესუ მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ჰგონებდნენ მთავრად წარმართთა, უფლებდნენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი კელმწიფებდნენ მათ ზედა?

43. ხოლო არა ეგრე იყოს თქუენ შორის, არამედ რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფად, იყოს იგი მონა ყოველთა<sup>1</sup>.

44.

45. და რამეთუ ძმცა კაცისად არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა ვისგანმე, არამედ მსახურებად და მიცემად სულისა თვისისა საჯსრად მრავალთა.

46. და მოვიდეს იერიქოდ. და ვითარცა გამოვიდოდა იესუ და მოწაფენი მისნი იერიქოვით და ერი მრავალი მათ თანა, ძმ ტიმესი ბარტიმოს, ბრმად, ჯდა მთხოველად გზასა თანა.

47. და ესმა, რამეთუ იესუ ნაზარეველი არს, იწყო ღალადებად და სიტყუად: ძეო დავითისო, შემიწყალე<sup>2</sup> მე!

48. და ჰრისხვიდეს<sup>3</sup> მას მრავალნი, რაათა დადუმნეს; ხოლო იგი უფროვს ღალადებდა: იესუ<sup>4</sup>, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

49. და დადგა იესუ და ბრძანა მოწოდება მისი. და მოუწოდეს ბრმასა მას და ეტყოდეს: ნუ || გეშინინ, აღდეგ, გიწესს შენ.

50. ხოლო მან დააბნია სამოსელი თვისი, აღდეგა და მოვიდა მისა.

51. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: რა გნებაეს, რა გიყო შენ? ხოლო ბრმამან მან ჰრქუა მას: მოძლუარ, რაათა აღვიხილნენ თუალნი ჩემნი.

52. ხოლო იესუ ჰრქუა მას: გულე

42. ხოლო მან მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწყით, რამეთუ რომელნი ჰგონებდნენ მთავრობად წარმართთა ზედა, ეუფლნენ მათ, და მდიდარნი კელმწიფებდნენ მათ ზედა?

43. ხოლო თქუენ შორის არა ეგრე იყოს, არამედ რომელსა უნდეს, რათამცა იყო დიდ თქუენ შორის, იყავნ თქუენდა მსახურ;

44. და რომელსა უნდეს თქუენგანსა, რათამცა იყო წინა, იყავნ ყოველთა მონა.

45. რამეთუ ძე კაცისადცა არა მოვიდა, რათამცა იმსახურა ვისგანმე, არამედ მსახურებად და მიცემად თავისათვისისა საჯსრად მრავალთა წილ.

46. და მოვიდეს იერიქოდ. და ვითარცა გამოვიდოდა იერიქოვით მოწაფეთურთ თვისით და ერი მრავალი, ძმ ტიმესი ბარტიმე, ბრმად, ჯდა იგი გზასა. თანა მთხოველად.

47. და ვითარესმა, რამეთუ იესუ ნაზარეველი არს, იწყო ღალადებად და სიტყუად: ძეო დავითისო, მიწყალე მე!

48. ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რათამცა დადუმნა; ხოლო იგი ჯეკმა უფროვს ღალადებდა და იტყოდა: ძეო დავითისო, მიწყალე მე!

49. და ფერვი დაიპყრა იესუ და ჰრქუა მოწოდება მისი. და მოუწოდეს ბრმასა მას და ჰრქუეს: აღდეგ, ნუ გეშინინ, გიწესს.

50. მან დაავლო ფიჩვ თვისი, აღდეგა და მივიდა იესუმსა.

51. და მიუგო მას იესუ და ჰრქუა: რა გნებაეს, და გიყო შენ? ხოლო ბრმამან მან ჰრქუა მას: ჰრამბონი, რაათა აღვიხილნენ.

52. და ჰრქუა: გულე, სარწმუნობა-

1 ყოველთა მონა E. 2 შემიწყალე D. 3 D-ს გადაწერს პირველად „რისხვიდეს“ დაუწერიო, მაგრამ შემდეგ თავზე ჰ დაუმატებია. 4 იესუ] — D.

DE

C

ვილოდე, სარწმუნოებებამან შენმან გა-  
ცხოვნა შენ<sup>1</sup>. და მეყსეულად აღიხილნა  
და მიჰსდევდა<sup>2</sup> მას გზასა ზედა.

მან შენმან გაცხოვნა შენ. და მუნქუესეგ  
აღიხილნა და მისდევდა მას.

11

1. და რაჟამს მიეახლნეს იერუსალმს,  
ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა თანა ზე-  
თის ხილთასა, წარავლინნა ორნი მოწა-  
ფეთაგანნი

2. და ჰრქუა: წარვედით დაბასა მას,  
რომელ არს წიხნაზე თქუენსა; და შე-  
რაა-ხვდოდით<sup>2</sup> მას, ჰპოვოთ<sup>3</sup> კიცჳ და-  
ბმული, რომელსა კაცი არღა დაჯდო-  
მილ არს; აღჰქსენით იგი და მომგუარეთ  
მე.

3. და უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲ  
თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა მა-  
გისსა უკმს უგე, და მეყსეულად მოა-  
ვლინოს აქა.

4. ხოლო ივინი წარვიდეს და პოვეს  
კიცჳ იგი დაბმული კართა თანა გარე-  
შე<sup>5</sup> შესავალსა და აღჰქსნეს იგი.

5. | ხოლო მუნ მდგომარენი ვინმე  
ეტყოდეს მათ: რასა ჰწამთ<sup>6</sup> და აღჰქს-  
ნით<sup>7</sup> კიცუსა მაგას?

6. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარცა-იგი  
უბრძანა მათ იესუ; (და)<sup>8</sup> დაუტევეს  
მათ.

7. და მოჰგუარეს კიცჳ იგი იესუს. და  
დაასხეს მას ზედა სამოსელი, და და-  
ჯდა მას ზედა.

8. და მრავალნი სამოსელსა მათსა  
დაუფენდეს გზასა ზედა, და სხუანი  
რტოთა მოჰკათედეს ხეთაგან და დაუ-  
ფენდეს გზასა ზედა.

9. და რომელნი წინა-უძლოდეს<sup>9</sup> და  
რომელნი უკუანა შეუდგეს, დაღადებ-  
დეს და იტყოდეს: ჰსანა<sup>10</sup> მაღალსა!

1. და რაჟამს მიეახლნეს იერუსა-  
ლმს<sup>1</sup>, ბეთბაგედ და ბეთანიად, მთა-  
სა ოდენ ზეთის ხილთასა, წარავლინნა  
ორნი მოწაფეთაგანნი

2. და ჰრქუა მათ: მივედით დაბასა  
მას, რომელ არს პირსპირ თქუენსა;  
და მუნქუეს, ვითარცა შეხვდეთ<sup>2</sup> მუნ,  
ხ<sup>3</sup> ჰპოოთ კიცჳ<sup>3</sup> დაბმული, რომელსა კაც-  
თაგანი არა დაჯდომილ არს; აღჰქსენით  
იგი და მომგუარეთ მე.

3. და გრქუას თუ რაჲ ვინმე თქუენ,  
არქუთ თქუენ, ვითარმედ: უფალსა  
მაგისსა უკმს, და აღრე მომიძღუანოს  
იგი აქა.

4. მი-რაჲ-ვიდეს, პოეს<sup>4</sup> კიცჳ<sup>3</sup> და-  
ბმული კართა თანა უბანსა ზედა და აღ-  
ქსნიდეს მას.

5. და რომელნიმე მუნ მდგომარენი  
ეტყოდეს მათ: რასა იქმთ? რად აჰქსნით  
კიცუსა მაგას?

6. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარცა უბრ-  
ძანა მათ იესუ; და მიუტევეს მათ.

7. და მოჰგუარეს კიცჳ<sup>3</sup> იგი იესუს.  
და დაასხეს მას ზედა სამოსელი მათი,  
და დაჯდა მას ზედა.

8. და მრავალნი სამოსელსა მათსა  
დაუფენდეს გზასა ზედა, და სხუანი რტო-  
ებსა მოჰკათედეს ხეთაგან და დაუფენდეს  
გზასა ზედა.

9. და რომელნი-იგი წინა-უძლოდეს  
და რომელნი უკუანა შეუდგეს, დაღა-  
დებდეს და იტყოდეს: დიდებამა მაღალ-

1 შენი D. 2 მისდევდა E. 3 შე-რაა-ხვდოდით DE. 4 ჰპოოთ D. 5 გარეშე E. 6 ზამთ D.  
7 აჰქსნით E. 8 და | —DE. 9 წინა-უძლოდეს D. 10 ოსანა E.  
1 ი<sup>1</sup>სლმდ C. 2 შეხუდეთ C. 3 კიცუ C. 4 და პოეს C.

DE

C

კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათ!

10. კურთხეულ არს მოსლვად მეუფისაჲ, დავითის, მამისა ჩუენისაჲ! მშუღობაჲ ზეცასა და დიდებაჲ მალალთა შინა!

11. და შევიდა იერუსალმდ, ტაძარსა მას და მიმოჰხედვიდა<sup>1</sup> ყოველსა, რამეთუ მწუხრი იყო ჟამი იგი. და გამოვიდა ბეთანიად ათორმეტთა თანა.

12. და ხელისაგან, ვითარ გამოვიდოდეს იგინი ბეთანიადათ, შეეშშია.

13. და იხილა || ლელჲ შორით, რომელსა ესხა ფურცელი, და მოვიდა, უკუეთუმცა პოვა რაჲ მას შინა. და ვითარცა მოვიდა მისა, არარაჲ პოვა, გარნა ფურცელი ხოლო, რამეთუ არა იყო ჟამი ლელჲსაჲ.

14. და<sup>2</sup> ჰრქუა მას: ნულარამცა ვინ ჰამს უკუნისაღმდეგ შენგან ნაყოფსა. და ესმოდა ესე მოწაფეთა მისთა.

15. და მოვიდა იესუ იერუსალმდ და შევიდა ტაძარსა მას და იწყო გამოსხმად განმსყიდელთა და მომსყიდელთა მიერ ტაძრით; და ტაბლები იგი მიეკრძმეთაჲ განუბნია და სასხლომელები იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუმჴუა.

16. და არა უტყევებდა, რადთა განვიხმე-ილოს კურპერი მიერ ტაძრით.

17. და ასწავებდა და ეტყოდა, რამეთუ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლსა ლოცველ ერქუას ყოველთაგან წარმართთა, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.

18. და ესმა ესე მღდელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, ვითარმცა წარწყმიდეს იგი; | და ეში-

სა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათ!

10. კურთხეულ არს, რომელ მოსლვად არს სუფევად მამისა ჩუენისა<sup>1</sup> დავითისი! მშუღობაჲ<sup>2</sup> ცათა შინა და დიდებაჲ მალალთა შინა!

11. და შევიდა იერუსალმდ<sup>3</sup> სამღდელოსა მას ( ) გამოვიდა ბეთანიად ათორმეტითურთ.

12. და ( ) და შეეშშია.

13. და იხი(ლა შორით ლელჲ) ფურცლოვანი (?), (მო)ვიდა რამცა პოვა და ვითარცა მოვიდა, არარაჲ პოვა, გარნა ფურცელი, ხ, რ არა იყო ჟამი ლელჲსაჲ.

14. მიუგო და ( ) შენგან ნუცამცა ვინ ( )

15. ( ) შევიდა სამღდელოსა (?) (მას )სა შინა (ტაბ)ლები იგი მე( )

საე)რძლები (?) იგი ტრედის; მოფარდელთაჲ დაამჴუა.

16. და არავის უფლობდა, ვითარმცა ვის შინა-განაქუნდა კურპელი სამღდელოდათ.

17. და ასწავებდა მათ და ეტყოდა: წერილ არს, ვითარმედ: სახლსა ჩემსა სახლსა თაყუანის[ს]-საცემელ ეწოდ(ოს) ყოველთა ნათესავთა, ხოლო თქუენ გიყოფიეს ქუაბ ავაზაკთა.

18. და ესმა მღდელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, რადთა მცა წარწყმიდეს იგი; და ეშინო-

1 მიმოხედვიდა D. 2 და] — D.

1 ჩუენისაჲ C. 2 მშუღობაჲ C. 3 იშლმდ C. [ამის შემდეგ გადაწერს შეცდომა მოჰსვლია და მთელი სვეტი (ტაბ. 89, ხ. 1ა) ამოუფხვკია და 11—16 მუხლების სიტყვები ჩაუწერია. მარჯვნივ ეს მეორე ნაწილი ბევრგან არ იკითხება. ამოკითხულთაგანც ზოგი შეიძლება საეკვო იყოს].

D E

C

ნოდა მისა, რამეთუ ყოველი ერი გან-  
კვრებულ იყო მოძღურებასა მისსა.

19. და ვითარცა იყო მწუხრი, განვი-  
დოდა<sup>1</sup> გარეშე<sup>2</sup> ქალაქსა.

20. და ვითარცა თანა-წარჰვიდოდეს  
განთიად, იხილეს ლელჳ იგი განწმელი  
ძირითგან.

21. და მოევსენა პეტრეს და ჰრქუა  
მას: მოძღუარ, აჰა ლელჳ იგი, რომელი  
ჰსწყევე<sup>3</sup>, განვმა.

22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ:

23. გაქუს სარწმუნოებდა ღმრთისაჲ.  
ამენ გეტყვ თქუნ, ვითარმედ რომელ-  
მან ჰრქუას მთასა ამას: აღიფხუერ და  
შთავარდი ზღუად! და არა შეორგულ-  
დეს გულსა თჳსსა, არამედ ჰრწმენეს,  
რამეთუ რომელი თქუას<sup>4</sup>, იქმნეს, და  
იყოს ეგრე.

24. ამისთჳს გეტყვ თქუნ: ყოველსა  
რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ,  
გრწმენინ, რამეთუ მოიღოთ, და გეყოს  
თქუნ.

25. და რაჟამს ჰსდგეთ<sup>5</sup> ლოცვასა ში-  
ნა, მიუტევეთ, უკუეთუ გაჰსოვს<sup>6</sup> რამე  
ბოროტი ვისთჳსმე, რაჟთა მამამანცა  
თქუნმან, რომელ არს ცათა შინა, მი-  
გიტევენეს<sup>7</sup> შეცოდებანი თქუნნი.

26.

27. || და მოვიდეს კუალად იერუსალმდ.  
და ვითარცა იქცეოდა იგი ტაძარსა მას  
შინა, მოვიდეს მისა მდდელთ მოძღუარნი  
იგი და მწიგნობარნი და ხუცესნი

28. და ეტყოდეს მას: რომლითა გელ-  
მწიფებითა იქმ შენ ამას, და ვინ მოგცა  
შენ გელმწიფებაჲ ესე?

და მისა, რამეთუ ყოველსა მას ერსა და-  
უკრდებოდა<sup>1</sup> მოძღურებაჲ იგი მისი.

19. და ვითარ შემწუხრდის, გამოვი-  
დიან გარე ქალაქსა.

20. და ვითარ თანა-წარჰვიდოდეს დი-  
ლითი, იხილეს ლელჳ იგი განწმელი ძი-  
რითურთ.

21. და მოევსენა პეტრეს და ჰრქუა  
მას: მოძღუარ<sup>2</sup>, აჰა ლელჳ იგი, რომელ-  
სა ჰსწყევე, განვმა.

22. მიუგო იესუ და ჰრქუა მას:

23. გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ  
ღმრთისაჲ, მართლიად გეტყვ თქუნ, რა-  
მეთუ რომელმანცა ჰრქუას მთასა ამას  
აღფხუერად და შთავადებად ზღუესა და  
არა შეორგულდეს გულსა თჳსსა, არა-  
მედ ჰრწმენეს, რამეთუ რომელსა იტყვს,  
ვითარმედ იყოს იგი, ...<sup>3</sup>

24. ამისთჳს გეტყვ თქუნ: ყოველსა  
რომელსა ლოცვასა შინა<sup>4</sup> ითხოვდეთ,  
გრწმენინ, ვითარმედ მოიღეთ, და გეყოს  
თქუნ.

25. და რაჟამს დასდგეთ თაყუანის-  
ცემად, მიუტევეთ, რაჲცა თანა-  
ვის ედვას, რაჟთა მამამანცა თქუნმან ზე-  
ცათამან მოგიტევენეს თქუნ შეცოდება-  
ნი თქუნნი.

26.

27. და მოვიდეს მერმე იერუსალმდ<sup>5</sup>.  
და სამდდელოს შინა ვითარ ვიდოდა,  
მოუტდეს მას მდდელთ მოძღუარნი და  
მწიგნობარნი და მოხუცებულნი

28. და ეტყოდეს: რომლითა გელმწი-  
ფებითა ამას იქმ, და ვინ მიგცა შენ  
გელმწიფებაჲ ესე?

1 განვიდა E. 2 გარეშე E. 3 სწყევე E. 4 თქუან (თქან) D. 5 სდგეთ E. 6 გაჰსოვს E. 7 მოგიტევენეს E.

1 დაუკრდებოდა C. 2 მოძღუარ C. 3 აზრი დაუშთავრებელია. მოსალოდნელი იყო: ეყოს მას, რასა-იგი იტყოდეს. 4 რომელსა ლოცვასა შინა რომელსა შინა ლოცვასა C. 5 ილმდ C.



DE

C

29. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გკითხო თქვენ მეცა სიტყუად ერთი, და თქვენ მომიგეთ მე, და მე გითხრა თქვენ, რომლითა ჳგელმწიფებითა ამას ვიქმ:

30. ნათლის-ცემად იოვანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან? მითხარო მე.

31. ხოლო იგინი განიზრახვიდეს თუსაგან და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: და რადასათუს არა გრწმენა მისი?

32. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა, რამეთუ ყოველთა იცოდეს იოვანე, რამეთუ წინაწარმეტყუელი იყო.

33. და მიუგეს მათ იესუს და ჰრქუეს: არა ვიცით. და იესუ მიუგო მათ და ჰრქუა: არცა მე გითხრა თქვენ, რომლითა ჳგელმწიფებითა ამას ვიქმ.

29. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გენბავს, თუ მეცა გკითხო თქვენ ერთი სიტყუად<sup>1</sup>, მომიგეთ მე, და გითხრა თქვენ მეცა, რომლითა ჳგელმწიფებითა ამას ვიქმ:

30. ნათლის-ცემად იოვანესი ცით გარდამო იყო ანუ კაცთაგან? მიზხარო მე.

31. და განიზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: ვთქუათ, თუ: ცით გარდამო იყო, გურქუას ჩუენ: რადასათუს არა გრწმენა მისი?

32. უკუეთუ ვთქუათ, თუ: კაცთაგან, ეშინოდა<sup>2</sup> ერისაგან, რამეთუ ყოველსა წინაწარმეტყუელად<sup>3</sup> აქუნდა იოვანე, რამეთუ ჳგელმწიფეა წინაწარმეტყუელი იყო.

33. და მიუგეს იესუს და ჰრქუეს: არა უწყით. და მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცა მე გითხრა თქვენ, რომლითა ჳგელმწიფებითა ვიქმ ამას.

## 12

1. | და იწყო მათა იგავით სიტყუად: კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი და ზღუდე გარე-მოჰსდვა<sup>1</sup> და ქმნა მას შინა საწინეხელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი ქუეყანის მოქმედთა და წარვიდა.

2. და მიავლინა ქუეყანის მოქმედთა მათ ეამსა ნაყოფისასა მონად, რადთა მოილოს ნაყოფი ვენაჯისად მის.

3. ხოლო მათ შეიპყრეს და გუემეს იგი და წარავლინეს იგი<sup>2</sup> ცალიერი.

4. მერმე კუალად მიავლინა მათა სხუად მონად, და მასცა კუალად გამოეწყვნეს და წარავლინეს გინებული.

5. და მერმე სხუად მიავლინა, და მოცა მოკლეს; და სხუანი მრავალნი—რომელნიმე ტანჯნეს და რომელნიმე მოწყვდნეს.

1. და იწყო იგავით სიტყუად მათა: ვენაჯი დაასხა კაცმან და გარემოას მოზღუდა და აღმოთხარა ტავარი და ქმნა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა.

2. და მიუვლინა მოქმედთა მათ ეამსა მონად, რადთა მოქმედთა მათგან მოილოს ნაყოფი ვენაჯისად მის.

3. ხოლო მათ შეიპყრეს იგი, გუემეს<sup>4</sup> და წარავლინეს იგი ცული.

4. და მერმე მიუვლინა მათ სხუად<sup>5</sup> მონად, და იგიცა წარავლინეს გინებული.

5. და მერმე სხუად მიავლინა, და მოკლეს; და მრავალნი სხუანიცა—რომელნიმე გუემნეს<sup>6</sup>, რომელნიმე მოწყვდნეს.

1 გარშ-მოსდვა E, 2 იგი] —D.

1 სიტყუად C. 2 ასეა (მოსალოდნელი იყო: გუეშინის). 3 წინაწარმეტყუელად C. 4 გვე-მეს C. 5 სხუად C. 6 გუემნეს C.

DE

C

6. უკუნადასკნელ მიავლინა მათა ძმ<sup>1</sup> თუხი საყუარელი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: შეიკდიმონ ძისა ჩემისათჳს.

7. ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ ვითარცა იხილეს იგი მიმავალი, თქუეს ურთიერთას: ესე არს მკვდრი მისი, მოვედით და მოვკლათ ესე, და ჩუენდა იყოს || სამკვდრებელი იგი.

8. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და გამოაგდეს იგი მიერ სავენაჭით.

9. აწ რად უყოს მათ უფალმან მის ვენაჭისამან? მოვიდეს და მოსრნეს ქუეყანის მოქმედნი იგი და ვენაჭი იგი მიჰსცეს<sup>1</sup> სხუათა.

10. არცა-ლა ესე წიგნი<sup>2</sup> აღმოგიკითხავს: ლოდი, რომელ შეურაცხეყეს მამენებელთა, იგი<sup>3</sup> იქმნა თავ საკიდურთა<sup>4</sup>.

11. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვრველ წინაშე თულათა ჩუენთა.

12. და ეგულეზობდა შეპყრობად მისი და ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ცნეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი იგი. და დაუტევეს იგი და წარვიდეს.

13. და მი-ვინმე-ავლინნეს მისა ფარისეველნი და ჰეროდიანნი, რადთა მონადირონ იგი სიტყუათა.

14. ხოლო ივინი მოვიდეს და ჰკითხვიდეს მას ზაკუფით და ჰრქუეს: მოძღუარ, ვიცი, რამეთუ ჰეშმარიტ<sup>5</sup> ხარ და არარად ზრუნეად გიც ვისთჳსიგე, რამეთუ არა ჰხედავ პირსა კაცისასა, არამედ ჰეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ. მარქუ ჩუენ: | ჯერ-არსა<sup>6</sup> მიცემად ხარკი კეისარსა ანუ არა? მივსცემ<sup>7</sup> ანუ არა?

15. ხოლო თავადმან იცოდა ორგულეზად მათი და ჰრქუა მათ: რადსა გა-

6. მერმე ერთ-ლა ძმ<sup>1</sup> ესუა საყუარელი, მიუვლინა უკუნადასკნელს და თქუა, ვითარმედ: შეიკდიმონ ძისა ჩემისაგან.

7. ხოლო მათ მოქმედთა იხილეს რად იგი მიმავალი მათა, თქუეს, ვითარმედ: ესე არს მკვდრი<sup>1</sup>, მოვედით და მოვკლათ იგი, და ჩუენდა იყოს სამკვდრებელი იგი.

8. და შეიპყრეს და მოკლეს და განაგდეს იგი გარეშე საყურძენსა მას.

9. რად-მე უკუე უყოს უფალმან მის ვენაჭისამან? მოვიდეს და წარწყმიდნეს მოქმედნი იგი მის ვენაჭისანი და მიჰსცეს ვენაჭი იგი სხუათა.

10. წერილიცა ესე არავე აღმოგიკითხავს: ლოდი, რომელ შეურაცხეყეს მამენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა.

11. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვრველ<sup>2</sup> წინაშე თულათა<sup>3</sup> ჩუენთა.

12. და ეძიებდეს მას შეპყრობად და შეეშინა ერისაგან, გულისგმა-ყეყეს, რამეთუ მათთჳს თქუა იგავი ესე. და დაუტევეს იგი და წარვიდეს.

13. და მოავლინეს მისა ფარისეველთაგანი ვინმე და ჰეროდიანთაგანი, რადთამცა მონადირეს იგი სიტყუათა<sup>4</sup>.

14. ხოლო ივინი ვითარ მოვიდეს, იწყეს კითხვად მისა ზაკუფით<sup>5</sup> და ჰრქუეს: მოძღუარ, უწყით, რამეთუ ჰეშმარიტ ხარ და არარად გჳირს შენ რომლისათჳსე, რამეთუ არა თულათ-ალებ<sup>6</sup> პირსა კაცისასა, არამედ ჰეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ. აწ მარქუ ჩუენ: | ჯერ-არს თუ ხარკისა კეისარსა მიცემად, ანუ არა მივსცეთ?

15. ხოლო მან უწყოდა ზაკულეზად იგი მათი და ჰრქუა მათ: რადსა გამოძღვით

1 მისცეს E. 2 წიგნი | წერილი E. 3 იგი | —D. 4 საკიდურთა D. 5 ჰეშმარიტი D<sup>6</sup>. 6 ჯერ-არსა D. 7 მივსცეთ D. 1 მეუდრი C. 2 საკურველ C. 3 თულათა C. 4 სიტყუთა C 5 ასეა. 6 თულათ-ალებ C.

DF

C

მომცდით მე, ორაგულნო? მომართუთ მე ღრაჰჰანი, და ვიხილო.

16. ხოლო მათ მოართუეს. და ჰრქჳა მათ: ვისი არს ხატი ესე და ზედაწერილო? ხოლო მათ ჰრქჳეს: კეისრისაჲ.

17. მიუგო იესუ და ჰრქჳა მათ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და დაუკრღებოდა ამას ზედა და წარვიდეს.

18. და მოვიდეს მისა საღუკეველნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: აღღგომჲჲ მკუღართჲჲ არა არს, და ჰკითხვიდეს მას და ვრტყოდეს:

19. მოძღუარ, მოსე<sup>1</sup> ესრეთ<sup>2</sup> დამიწერა ჩუენ: უკუეთუ ვისმე მოკუღდეს<sup>3</sup> ძმჲჲ და ესუას მას ცოლი, და შვილი<sup>4</sup> არა დაუშთეს, რაჲთა შეირთოს ძმამან მისმან ცოლი<sup>5</sup> იგი მისი და აღუღინოს მკღრი ძმასა თჳსსა.

20. აწ შჳდნი ძმანი იყენეს ჩუენ შორის. და || პირველმან შეირთო ცოლი და მოკუდა, და არა დაუშთა შვილი;

21. და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა, და არა დაუშთა შვილი; და მესამემან ვერევე

22. ვიდრე შჳდადმდე, და არა დაუშთა შვილი. უკუანაჲსკენელ ყოველთასა მოკუდა დედაკაციცა იგი.

23. აწ უკუე აღღგომასა მას, ოდეს აღღგენ, ვის მათგანისა<sup>6</sup> იყოს ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?

24. მიუგო იესუ და ჰრქჳა მათ: ამისთჳს უკუე ჰსცთებით<sup>7</sup> თქუენ, რამეთუ არა იცით წიგნი, არცა ძალი ღმრთისაჲ.

25. რაჲჲმს მკუღრეთით აღღგენ, არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ იყენენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა.

მე, მზაკუევიარნო? მომართუთ<sup>1</sup> მე<sup>2</sup> ღრაჰჰანი, რაჲთა ვიხილო.

16. ხოლო მათ მოართუეს<sup>3</sup>. და ჰრქჳა მათ: ვისი არს ხატი ესე ანუ ზედადაწერილო? მათ ჰრქჳეს: კეისრისაჲ.

17. და მიუგო იესუ და ჰრქჳა მათ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და დაუკრღა<sup>4</sup> მათ მას ზედა.

18. და მოვიდეს საღუკეველნი მისა, რომელთა თქჳან<sup>5</sup>, აღღგომჲჲ არა არსო, და ჰკითხეს მას და ჰრქჳეს:

19. მოძღუარ<sup>6</sup>, მოსე დაგვწერა ჩუენ: ძმჲჲ თუ ვისიმე მოკუღდეს და ესუას მას ცოლი, და შვილი არა დაშდეს, რაჲთა შეირთოს ძმამან ცოლი იგი მისი და აღუღინოს თესლი ძმასა მას თჳსსა.

20. შჳდ ძმა იყენეს. და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა და არა დაუტევა მკღრი<sup>7</sup>;

21. და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა<sup>8</sup> იგიცა[ა] და არა დაუტევა მანცა მკღრი; და მესამემან ვერევე;

22. და შჳდთავე არა დაუტევეს მკღრი. უკუანაჲსკენელ ყოველთა დედაკაცი იგი მოკუდა<sup>9</sup>.

23. აღღგომასა მას, რაჲჲმს აღღგენ, რომლისა მათგანისა იყოს ცოლად, რ<sup>10</sup> შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?

24. [მ]იუგო იესუ და ჰრქჳა მათ: არა ამისთჳს სცთებით, რამეთუ არა იცით წიგნი და არცა ძალი ღმრთისაჲ?

25. [რ] ოდეს მკუღრეთით აღღგენ, არცა იქორწინებოდიან<sup>11</sup>, არცა განჰქორწინებდენ, არამედ იყენენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა.

1 მოსე E. 2 ესრეთ D. 3 მოკუდეს D. 4 შვილი D. 5 ცოლილი D. 6 ჳდთაგანისა E. 7 სცთებით E.

1 მომართ C. 2 მე] ემ<sup>3</sup> ისეა დაწერილი, რომ უფრო „ი“-ს ჰგავს. 3 მოართუეს C. 4 დაუკრღა C. 5 თქჳან C. 6 მოძღუარ C. 7 მკუღრი C. 8 მოკუდა C. 9 მოკუდა C. 10 უშდთავე C. 11 იქორწინებოდინ C.

DE

C

26. ხოლო ამისთვის, რამეთუ აღდგენ მკუდარნი, არა აღმოგვიკითხავსა წიგნსა მოსესსა, მაყულოვანსა<sup>1</sup> ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყუას მას: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისააკისი<sup>2</sup> და ღმერთი იაკობისი?

27. არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ. ხოლო თქუენ ფრიად ჰსცთებით<sup>3</sup>.

28. და მოუტდა მწიგნობართაგანი ერთი, ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა სიტყუასა მას, იცოდა, რამეთუ კეთილად მიუფო მათ, და ჰკითხა მას მანცა, ვითარმოდ: რომელი არს პირველი მცნებაჲ?

29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ყოვლისა პირველად ესე არს: ისმინე, ისრაჲლ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს;

30. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა<sup>4</sup> შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი.

31. და მეორე<sup>5</sup>, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი თვისი. უფროჲს ამათსა სხუაჲ მცნებაჲ არა არს.

32. ჰრქუა მას მწიგნობარმან მან: კეთილად, მოძღუარ, კემშარიტად ჰსთქუ<sup>6</sup>, რამეთუ ერთ არს ღმერთი, და არავინ არს სხუაჲ მისსა<sup>7</sup> გარეშე<sup>8</sup>;

33. და შეყუარებად იგი ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გულისწმის-ყოფითა<sup>10</sup>, || და შეყუარებად მოყუასი ვითარცა თავი თვისი; უფროჲს არს<sup>11</sup> ესე ყოველთა მსხუერპლთა და შესაწირავთა.

34. და ვითარცა იხილა იესუ, რამეთუ გონიერად მიუფო<sup>12</sup>, ჰრქუა მას: არა

26. ხოლო მკუდარნი რამეთუ აღდგენ, არა აღმოგვიკითხავსა წიგნსა მოსესსა, მაყულოვანსა ზედა ვითარ ეტყუადა მას ღმერთი და ჰრქუა: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისააკისი და ღმერთი იაკობისი?

27. არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ. აწ თქუენ ფრიად სცთებით.

28. და მოუტდა მას ერთი მწიგნობართაგანი, რომელსა ესმოდა მათი ენაჲ, იხილა რაჲ მან, რამეთუ კეთილად მიუფო მათ, ჰკითხა მას: რომელი არს პირველი მცნებაჲ?

29. ჰრქუა მას იესუ: პირველად ყოვლისა: გესმოდენ ისრაჲლსა: უფალი ღმერთი ჩუენი ერთი არს;

30. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს პირველი მცნებაჲ.

31. და მეორე, მსგავსი მისი: შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი შენი. უფროჲს ამათსა სხუაჲ მცნებაჲ არა არს.

32. და ჰრქუა მას მწიგნობარმან მან[ნ]: კეთილად, მოძღუარ, კემშარიტად სთქუ, რამეთუ ერთ არს, და არა არს სხუაჲ მისა გარეშე;

33. და შეყუარებად იგი ყოვლითა გულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გულისწმითა, და შეყუარებად მოყუასი ვითარცა თავი თვისი; და უფროჲს არს ყოველთა მრგულიად<sup>1</sup> დასაწუველთა და მსხუერპლთა.

34. და იესუ ვითარ იხილა, რამეთუ გაიგნებულად მიუფო, ჰრქუა მას: არა

1 მაყულოვანსა D. 2 ისააკისი D. 3 მკდრთაჲ D. 4 სცთებით E. 5 გული (გ'ლი) D. 6 მეორე D. 7 სთქუ E. 8 მისა D. 9 გარეშე E. 10 გულისწმის-ყოფითა E. 11 არს—E. 12 მოუფო D.

1 ყოველთა მრგულიად| გადასმულია: მრგულიად ყოველთა C.

DE

C

მორს ხარ შენ სასუფეველსა ღმრთისა-  
აა. და არლარა ვინ იკადრა კითხვად მისა.

35. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ და  
ასწავებდა ტაძარსა მას შინა: ვითარ  
უკუე იტყვან მწიგნობარნი, რამეთუ: ქრი-  
სტე ძე<sup>1</sup> არს დავითისი?

36. თუთ იგი დავით იტყვს სულითა  
წმიდითა: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემ-  
სა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდე  
დაესხნე მტერნი შენნი ქუეშე<sup>2</sup> ფერჯთა  
შენთა.

37. თუთ იგი დავით უფლით ჰხადის<sup>3</sup>  
მას, ვითარ ძმ მისი არს? და მრავალი  
ერი ისმენდა მისსა ტკიბილად.

38. და იტყოდა სწავლასა მას მისსა:  
ეკრძალენით მწიგნობართა მათგან, რო-  
ჰელთა ჰნებაგს სამკაულითა სლგად და  
მოკითხვად უბანთა ზედა

39. და ზემოჯდომად კრებულსა შო-  
რის და პირველ ინჯით-ჯდომად პუ-  
რის<sup>4</sup> ქამასა;

40. რომელნი შეშჰამენ სახლებსა ქუ-  
რიეთასა და მიზეზით განგრძობილად  
ილოცვედ, რომელთა მიიღონ უმეტესი<sup>5</sup>  
საშჯელი.

41. დადგა იესუ წინაშე ფასის სა-  
ცავსა მას და<sup>6</sup> ჰხედვიდა, ვითარ-იგი ერი  
დასდებდა რუალსა ფასის საცავსა მას.  
და მრავალთა მდიდართა დადვეს ფრიად.

42. და მოვიდა ქურივი ერთი გლა-  
ხაკი და დასხნა ორნი მწულილნი.

43. და მოუწოდა იესუ მოწაფეთა  
თჳსთა და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ  
თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკ-  
მან უფროგს ყოველთა შემოწირა ფასის  
საცავსა ამას.

მორს ხარ სასუფეველისაგან ღმრთისა<sup>1</sup>.  
და არავინ არლარა იკადრა კითხვად მისა.

35. და მიუგო იესუ და ეტყოდა სწავ-  
ლასა მას სამღვდელსა შინა: ვითარ თქვ-  
ან<sup>2</sup> მწიგნობართა, ვითარმედ: ქრისტე  
ძე (არს)<sup>3</sup> დავითისი?

36. რამეთუ თავადმან დავით თქუა-  
სულითა წმიდითა: ჰრქუა უფალმან  
უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემ-  
სა, ვიდრემდე დაესხნე მტერნი შენნი<sup>4</sup>  
ქუეშე ფერჯთა შენთა.

37. თავადი დავით ეტყვს მას უფლით,  
და ვითარ ძმ მისი არს? და მრავალი  
ერი ისმენდა მისა წადიერად.

38. და ეტყოდა მათ სწავლასა მას შინა.  
მისსა: ეკრძალენით მწიგნობართაგან,  
რომელთა ჰნებაგს სამოსლითა უუენიე-  
რითა სლგად და მოკითხვას<sup>5</sup> ეძიებენ<sup>6</sup>  
უბნებსა ზედა

39. და პირველად საჯდომელსა შე-  
საკრებელთა შინა და მენისთაობასა ტა-  
ძრობასა;

40. რომელნი შეშჰამენ სახლთა ქუ-  
რიეთასა და მიზეზით განგრძობულად  
თაყუანის-სცემედ, რომელთა მოიღონ-  
უმეტესი საშჯელი.

41. დადგა იესუ წინაშე ფასის შესა-  
წირავსა და ზედვიდა, ვითარ ერი იგი  
დასდებდა კერმასა ფასის შესაწირავსა  
მას ზედა. და მრავალთა მდიდართა და-  
დვეს დიდადი.

42. და მოვიდა ერთი ქურივი გლახა-  
კი და დასხნა ორნი ფშიტნი, რომელ-  
არს დანგ<sup>7</sup> ერთ.

43. და მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა  
და ჰრქუა მათ: მართლიად გეტყვ  
თქუენ, რამეთუ ქურივმან გლახაკმან უფ-  
როგს ყოველთასა შეწირა შესაწირავსა  
ამას ზედა.

1 ძმ D. 2 ქუეშე E, 3 ხადის D. 4 პუ|პურის E. 5 უმეტესი უდიდესი E. 6 და | და D.

1 ჯერ დაუწერია „ღ“სა და შემდეგ „მ“ „ი“-დ გადაუსწორებია C. 2 თქუნ C.  
3 არს—C. 4 შენი C. 5 მოკითვას C. 6 ეძიებენ C. 7 დგ C.

DE

C

44. რამეთუ ყოველთა ნამეტნავისაგან მათისა შემოწირეს, ხოლო ამან ნაკულ-ლევეანებისაგან თვისისა ყოველი, რადცა აქუნდა, შემოწირა<sup>1</sup> საცხოვრებელად მი-სა.

44. რამეთუ ყოველთა მათ ნეშტისა-გან მათისა შემოწირეს, ხოლო ამან ნა-კულლევეანებისაგან თვისისა ყოველივე, რადცა ედვა, შეწირა ყოველივე საცხო-რებელი თვისი<sup>1</sup>.

13

1. და გამო-რად-ვიდოდა იგი ტაძრით, ჰრქუა<sup>2</sup> მას ერთმან მოწაფემან მისმან: მოძღუარ, || იხილე, რაბამი ქვეები არს და რაბამი შენებულება!

2. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჰხე-დავთა<sup>3</sup> ამათ დიდ-დიდთა შენებულთა?<sup>4</sup> ამერ გეტყვ თქუენ<sup>5</sup>: არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირლუეს.

3. და ჯდა რად იგი<sup>6</sup> მთასა მას ზეთის ხილთასა წინაშე ტაძარსა მას, ჰკითხვიდეს მას თუსაგან პეტრე და იაკობ და იოვანე და ანდრეა<sup>7</sup>:

4. მითხარ ჩუენ, ოდეს ყოფად არს ესე, და რად იყენენ სასწაულნი, ოდეს ესე აღესრულნენ?

5. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძა-ლენით, ნუვინმე გაცთუნნეს თქუენ.

6. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყუდიან, ვითარ-მედ: მე ვარ, და მრავალთა აცთუნებ-დენ.

7. რაჟამს გესმოდინ ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, ნუ შეჰსძრწუნ-დებით<sup>8</sup>, რამეთუ ჯგერ-არს ყოფად, არა-მედ არღა არს აღსასრული.

8. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათე-სავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზე-და; და იყენენ ძრვანი აღგიდ-აღგიდ, და იყენენ სიყმილინი | და სრვანი. ესე ყოველი დასაბამი საღმობათაჲ არს.

1. და ვითარ გამოვიდოდა იგი ტაძ-რით, ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა<sup>2</sup> მისთაგანმან: მოძღუარ, იხილე რაბამნი ქვანი არიან. ესე და რაბამი შენებული!

2. და მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ხედავთ ამათ დიდ-დიდთა<sup>3</sup> შენებულთა? არა დაშდეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელ არა დაირლუეს.

3. და ვითარ ჯდა იგი მთასა მას ზე-თის ხილთასა, ჰკითხვიდეს მას თუსაგან პეტრე და იაკობ და იოვანე და ანდრეა:

4. მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რად სასწაული იყოს, ოდეს ესე ყოველი აღესრულებოდის?

5. და მიუგო მათ იესუ და იწყო სი-ტყუად: იგულეთ, გაცთუნნეს ნუვინ თქუენ.

6. რამეთუ მრავალნი მოვიდენ სახე-ლითა ჩემითა და თქუან, ვითარმედ: მე ვარ, და მრავალნი აცთუნენ.

7. ხოლო რაჟამს გესმოდის თქუენ ბრძოლაჲ და გჰმაჲ წყობისაჲ, ნუ აღ-ტყუდებით<sup>4</sup>, რამეთუ ყოფად არს, ხოლო აღსასრული არღა იყოს.

8. აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა; და იყოს ძრვა აღგიდ-აღგიდ და სიყმილი და წყუედაჲ<sup>5</sup>. ხოლო ესე იყოს დასაბამ საღმობათა.

1 შეწირა E. 2 ჰრქუას (ჰრქას) E. 3 ჰხედავთ D. 4 ამას დიდ-დიდსა შენებულსა E. 5 თქუენ შენ D. 6 იგი—D. 7. ანდრია D. 8 ნუ შესძრწუნდებით E. 1 თვისი თვისი C. 2 მოწაფეთ (მწფეთ) C. 3 დიდითა C. 4 ასეა. 5 წყუედაჲ C.

DE

9. და მიგცემდენ<sup>1</sup> თქუენ შესაკრებელთა და კრებულსა შორის გტანჯვიდენ თქუენ, და წინაშე მთავართა და მეფეთა წარსდგეთ ჩემთვის საწამებელად მათა და ყოველთა წარმართთა.

10. ხოლო პირველად ჯერ-არს ქადაგებად სახარებად ესე.

11. და რაჟამს მიგიყვანენ თქუენ მიცემად მათა, ნუ წინადაწარ ჰზრახვით, რასა იტყოდით; არამედ რად-იგი მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, მას იტყოდით<sup>2</sup>, რამეთუ არა თქუენ იყენეთ მეტყუელნი, არამედ სული წმიდად.

12. რამეთუ მიჰსცეს<sup>3</sup> ძმამან ძმად სიკუდილ და მამამან შვილი, და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ.

13. და იყენეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის; ხოლო რომელმან დაითმინოს, იგი სრულიად ცხოვნდეს<sup>4</sup>.

14. და რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი ოჯრებისად<sup>5</sup> მდგომარ<sup>6</sup>, სადა-იგი არა ჯერ-არს, — რომელი აღმოიკითხვიდეს<sup>7</sup>, ჰსცნობდინ<sup>8</sup>, — მაშინ რომელნი იყენენ ჰურიასტანს, || ივლტოდენ<sup>9</sup> მთად<sup>10</sup>.

15. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ სახიდ, ნუცა შევალნ აღებად რადასამე სახლისაგან თვისისა.

16. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უჟუნიქცევინ აღებად სამოსლისა<sup>11</sup> თვისისა.

17. ხოლო ვად მიდგომილთა და რომელნი აწოვებდენ<sup>12</sup> მათ დღეთა<sup>13</sup> შინა!

18. არამედ ილოცევიდით, რადთა არა იყოს ესე ზამთარსა.

C

9. და მიგცენ თქუენ კრებულებსა და შესაკრებელთა შინა მათთა გგუემდენ<sup>1</sup> თქუენ და წინაშე მსაჯულთა და მეფეთა წარგადგინენ თქუენ საწამებელად მათა და ყოველთა ნათესავთა.

10. ხოლო პირველად იქადაგოს სახარებად ესე.

11. და რაჟამს მოჰყვანდეთ თქუენ და მიგცემდენ თქუენ, ნუ წინადაწარ ჰრუნავთ, რასა იტყოდით; არამედ რადცა მოგცეს<sup>2</sup> თქუენ მას ჟამსა შინა, მასცა იტყოდით, რამეთუ არა თქუენ ხართ მეტყუელნი იგი, არამედ სული წმიდად.

12. ხოლო მისცეს ძმამან ძმად სიკუდილ და მამამან შვილი, და აღდგენ შვილნი მამა-დედათა თვსთა ზედა და მოწყუდნენ<sup>3</sup> იგინი.

13. და იყენეთ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის; და რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს.

14. ხოლო რაჟამს იხილოთ ბილწი იგი მოჯრებისად მდგომარე, სადა არა ჯერ-იყოს, — რომელი-იგი აღმოიკითხვიდეს, გულისგმა-ჰყოფდინ, — მაშინ ჰურიასტანისანი წარივლტოდეთ მთად<sup>4</sup>.

15. და რომელ ერდოებსა ზედა იყენენ, ნუ გარდამოვლენედ სახიდ, ნუცა შევლენედ აღებად რადასამე სახლისაგან თვისისა.

16. რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უჟუმოიქცევინ კუალსა აღლებად<sup>5</sup> სამოსლისა თვისისა.

17. ხოლო ვად მუტელ-ქმნულთა მათ და მაწონებელთა მათ დღეთა შინა!

18. ხოლო ილოცევიდით, რადთა არა იყოს სივლტოლად თქუენი ზამთრისი.

1 მიგცენ E. 2 იტყოდით E. 3 მისცეს E. 4 ცხოვნდეს D. 5 მოჯრებისად E. 6 მდგომარე D. 7 აღმოიკითხვიდეთ D. 8 სცნობდინ E. 9 ვლტოდენ D. 10 მად E. 11 სამოსელი-სა D. 12 აწოვებდენ E. 13 დღეთა E.

1 და გგუემდენ C. 2 მოგცეს| აჯობებდა: „მოგცეს“. 3 მოწყუდნენ C. 3 4 მთა C (წერილად არის ჩაწერილი). 5 აღლებად C.

DE

C

19 რამეთუ იყენენ დღენი იგი ქირი-სანი, რომელი არასადა იქმნა ესევეთარი დასაბამითგან, რომელ დაჰბადა ღმერთ-მან, ვიდრე აქამომდე, არცაღა იყოს.

20. უკუეთუმცა არა უფალმან შე-მოკლნა დღენი იგი, არამცა ცხოვნა<sup>1</sup> ყოველი ჯორციელი; ხოლო რჩეულთა მათთჳს, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლ-ნა დღენი იგი.

21. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას: აჰა აქა არს ქრისტე<sup>2</sup>, გინა იქი; ნუ გრწამნ.

22. რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუ-ვარნი და ცრუ წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა და ნიშებსა, რად-თა აცთუნენ, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთაცა.

23. ხოლო თქუენ იხილეთ, აჰა ესერა წინაღსწარ გითხარ თქუენ ყოველი.

24. |არამედ მათ დღეთა შინა შემდგო-შად ქირისა მის მჴმ დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი;

25. და ვარსკულაენი ზეცით გარდა-მოცვენ, და ძალნი, რომელნი იყენენ ცათა შინა, შეიძრენ.

26. და მაშინ იხილონ ძმ კაცისაჲ, მო-მავალი ძალითა და დიდებითა დიდითა.

27. და მაშინ წარავლინნეს ანგელოზ-ნი თჳსნი და<sup>3</sup> შეკრიბნეს რჩეულნი იგი ოთხთაგან ქართა კიდითგან ქუეყანი-საჲთ ვიდრე კიდემდე ცისა.

28. ხოლო ლელუსაგან ისწავეთ იგა-ვი ესე: რაჲმს რტონი მისნი დაჩრზან, და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რა-მეთუ ახლოს არს ზაფხული.

19. რამეთუ იყენენ დღენი იგი ქირი-სანი, რომელ არა ყოფილ არს ეგევეითა-რი დასაბამითგან, ვინაჲთგან დაჰბადა ღმერთმან, მოაქამდე და მერმეცა არა იყოს.

20. და თუმცა არა შეამოკლნა დღენი იგი, ვერმცა განერა ყოველი ჯორციელი; არამედ რჩეულთათჳს, რომელნი გამო-ირჩინა<sup>1</sup>, შეამოკლნა დღენი იგი.

21. და მაშინ გრქუას თუ ვინმე თქუ-ენ: აჰა ესერა აქა არს ქრისტე<sup>2</sup>, გი-ნა თუ ეგერა, ნუ გრწამნ.

22. რამეთუ აღდგენ ცრუ ქრისტენი. და ცრუ წინაწარმეტყუელნი და ჰცენ სასწაულებ და ნიშებ საცთუნებელად, შე-თუმცა-უძლეს, რჩეულთაცა.

23. ხოლო თქუენ ეკრძაღენით, რამე-თუ ესერა წინაღსწარ გითხარ თქუენ ყოველი.

24. არამედ მათ დღეთა შინა შემ-დგომად ქირისა მის მჴე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი;

25. და მასკულაენი ზეცით დამოცვე-ნებულ<sup>3</sup> იყენენ, და ძალნი ცათანი შე-იძრენ.

26. და მაშინ იხილონ ძმ კაცისაჲ, მომავალი ღრუბლითა ძალითა დიდითა და დიდებითა.

27. და მაშინ წარავლინნეს ანგელოზ-ნი თჳსნი და შეკრიბნეს რჩეულნი იგი ოთხთა ქართაგან კიდითგან ქუეყანი-საჲთ კიდემდე ცისად<sup>4</sup>.

28. ხოლო ლელუსაგან<sup>5</sup> გულისწმა-ყავთ იგავი ესე: რაჲმს რტონი მისნი მოლ-ბიან, და გამოაქუნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს არს.

1 ცხონდა D. 2 ქრისტე (ქ<sup>წ</sup>) D. 3 და] —D.

1 გამოერჩინა C. 2 ქ<sup>წ</sup> C. 3 დამოცვენებუ C. 4 ასეა. 5 ლელუსაგან C.



DE

C

29. ეგრეთა თქუნ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს კართა ზედა.

30. ამენ გეტყვ თქუნ: არა წარვდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს.

31. ცანი<sup>1</sup> და ქუეყანად წარვდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარვდენ.

32. ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა || ძემან<sup>2</sup>, გარნა მამამან მხოლომან.

33. არამედ იხილეთ და<sup>3</sup> მღვდარე იყვნით და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს. ჟამი იგი.

34. ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თვისი და მიქსცის<sup>4</sup> მონათა თვსთა ველმწიფებად და კაცად-კაცადსა საქმე<sup>5</sup> თვისი და მეკარე-სა<sup>\*</sup> ამცნო, რადთა მღვდარე იყოს.

35. იღვძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს უფალი იგი სახლისად მოვიდეს: მწუხრი ანუ შუეა ღამეს<sup>6</sup> ანუ ქათმისა ვმასა ანუ განთიად;

36. ნუუკუე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქუნ მძინარენი.

37. რომელსა-ესე მე გეტყვ თქუნ, ყოველთა ვეტყვ: მღვდარე იყვნით.

29. ეგრეთა თქუნ<sup>1</sup>, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, გულისვმა-ყავთ, რამეთუ ახლოს არს კართა ზედა.

30. მართლიად გეტყუ თქუნ, რამეთუ არა წარვდეს ნათესავი ესე, ვიდრემდის არა ყოველი ესე იყოს.

31. ცად და ქუეყანად წარვდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარვდენ.

32. ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ უწყის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, გარნა მამამან ხოლო მარტომან.

33. ხოლო ხედევდით და იღვძებდით<sup>2</sup> და თაყუანის-სცემდით, რამეთუ არა უწყით, ოდეს იყოს ჟამი იგი.

34. ვითარცა კაცი იგი რად გზად ვალნ, დაუტევის სახლი თვისი და მიქსცის ველმწიფებად მონათა თვსთა და კაცად-კაცადსა საქმე თვისი და მეკარე-სა ამცნის, რადთამცა მღვდარე იყო.

35. აწ მღვდარე<sup>3</sup> იყვნით, რამეთუ არა უწყით, ოდეს უფალი იგი სახლისად მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შუეა ღამეს ანუ ქათმის ყვირის ანუ განთიად;

36. ნუუკუე მოვიდეს მყის და გპოვნეს თქუნ მძინარენი.

37. რომელსა-ესე თქუნ გეტყუ: (ყოველთა ვეტყუ<sup>4</sup>): მღვდარე<sup>3</sup> იყვნით.

## 14

1. და იყო პასქად იგი, რომელ არს ვნებად უცომოებისად შემდგომად ორისა დღისა. და ეძიებდეს მღდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი იესუს, ვითარმცა ზაკუევით შეიპყრეს იგი და მოკლეს.

2. ხოლო იტყოდეს<sup>7</sup>: ნუ დღესასწაულსა ამას, ნუუკუე შფოთი იქმნეს ერისად.

1. და იყო დღესასწაული იგი ვნებათად შემდგომად ორისა დღისა. ეძიებდეს მღდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, ვითარმცა ზაკუევით შეიპყრეს იგი და მოკლეს.

2. იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, ნუუკუე ამბოხებად იყოს ერისად.

1 ცად D. 2 ძმან D. 3 და] — D. 4 მისცის E. 5. საქმე D. 6 შოვა ღამეს D. 7 ეტყოდეს D.

\* აქედან მოყოლებული E-ში ამოხეულია ერთი ფურცელი და სათანადო ტექსტი (13,ა—14,ა) მარტო D-ს მიხედვით არის მოცემული.

1 თქუნ] + უ C (= უწყოდეთ?). 2 იღვძებდით C. 3 მღვდარე C. 4 ყოველთა ვეტყუ] — C

DE

C

3. | და ვითარცა იყო იესუ ბეთანიას, სახლსა სიმონის კეთროვნისასა და ინაკით-ჯდა იგი, მოვიდა დედაკაცი და აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოვსაჲ, ფრიადისა სასყიდლისაჲ, და შემუსრა ალაბასტრი იგი და დაასხა თავსა მისსა.

4. იყენეს ვინმე, რომელნი ჰრისხვიდეს თვსაგან და იტყოდეს: რაჲსათვს იქმნა წარწყმედაჲ ნელსაცხებლისაჲ ამის?

5. რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად უფროჲს სამისისა დრაჰკნისა და მიცემად გლახაკთა. და ჰრისხვიდეს მას.

6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ მაგას და ნუ შრომასა შეამთხუევთ მას, რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემ ზედა.

7. რამეთუ გლახანნი მარადის თქუენ თანა არიან. უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც კეთილისა ყოფად მათა, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ყოფად ვარ.

8. რომელი აქუნდა, ყო და უსწრო ნელსაცხებლითა ცხებად ჯორცთა ჩემთა დასაფლავად ჩემდა.

9. ხოლო ამენ გეტყვ თქუენ: || სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, და რომელცა-ესე ქმნა, ითქუმოდის საჯსენებელად მიგისა.

10. და აჰა იუდა სკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წარვიდა მღდელთ მოძღუართა მათ, რაჲთა მიჰსცეს იგი მათ.

11. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მისგან, განიხარეს და აღუთქუეს მას მიცემად ვეცხლი. და ეძიებდა, ვითარმცა ჟამსა მარჯუესა მიჰსცა იგი მათ]\*.

12. და პირველსა მას დღესა უცომოებისასა<sup>1</sup>, ოდეს პასქასა მას დაჰკლვი-

3. და ვითარ იყო იგი ბეთანიას, სახლსა სიმონის განბოკლებულისასა<sup>1</sup> (და)<sup>2</sup> ინაკ-ედგა, მოვიდა დედაკაცი ერთი, რომელსა აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი ნარდიონი პატიოსანი, დიდძალის სასყიდლისაჲ, მოიღო და დაასხა თავსა მისსა.

4. ხოლო იყენეს ვინმე მუნ, რომელთა გული უწყრებოდა და იტყოდეს ურთიერთას: რაჲსათვს იყო წარწყმედაჲ ესე?

5. რამეთუ ჯერ-იყო განსყიდად ნელსაცხებელი ესე სამისის დრაჰკნის და მიცემად გლახაკთა. და ჰრისხვიდეს მას.

6. [ხოლო] იესუ ჰრქუა: აცადეთ მაგას და ნუ დააშრობთ, რამეთუ კეთილი საქმე ქმნა მაგან ჩემთვს.

7. რამეთუ გლახანნი მარადის თქუენ თანა არიან. და რაჲმს გენებოს, ჯელმწიფე ხართ მათა კეთილის ყოფად, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

8. რომელი-იგი<sup>3</sup> აქუნდა მაგას, ყო, წარმოიძღუნა ნელსაცხებელისა ცხებაჲ ჯორცთა ჩემთა სამკუდროვსა მის შესამოსელად.

9. ხოლო მართლიად გეტყვ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, და რომელი-ესე ყო ამან, მიმოგანითქუას საჯსენებელად მიგისა.

10. და იუდა სკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, მივიდა მღდელთ მოძღუართა, რაჲთამცა მისცა იგი.

11. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად. და ეძიებდა, ვითარმცა განმარჯუებულად მისცა იგი.

12. და პირველსა მას დღესა ბალარჯობისასა, რაჲმს ვენებთასა მას და-

\* 6. შენიშვნა წინა გვერდზე. 1 უცომოებისასა D. 1 განბოკლებულისა C. 2 და]-C. 3 [რ]ლი-იგი C.

DE

C

დღეს, ჰრქუეს იესუს მოწაფეთა თჳსთა: სადა გნებავს, და განგიზადლოთ შენ, რად-თა ჰშჳამო<sup>1</sup> ენებაჲ ესე?

13. და წარაელინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენ ქალაქად და შე-რად-ჰხვდოდით ქალაქად<sup>2</sup>, შეგემთხვოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგუნითა წყალი ზე ედგას მგართა: შეუდევით მას, ვიდრეცა შევი-დღეს,

14. და არქუთ სახლისა უფალსა, ვითარმედ: მოძღუარი იტყჳს: სადა არს საყოფელი ჩემი, სადა პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჳამო?

15. და მან გიჩუენოს<sup>3</sup> თქუენ | ქორი დიდი, დაგებული; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.

16. და გამოვიდეს<sup>4</sup> მომზადებად მოწაფენი და მოვიდეს ქალაქად და პო-ვეს ეგრე<sup>5</sup>, ვითარცა ჰრქუა მათ იესუ, და მომზადეს ენებაჲ იგი.

17. და ვითარცა მწუხრი იყო, მოვი-და ათორმეტთა თანა.

18. და ვითარ დასხდეს იგინი და ქამ-დღეს, თქუა იესუ: ამენ გეტჳჲ თქუენ, ვითარმედ ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, რომელი ქამს ჩემ თანა.

19. ხოლო მათ იწყეს მწუხარებად და სიტყუად მისა თითოეულმან<sup>6</sup> ერთ-მან-ლა და ერთმან: ნუუკუე მე ვარ? და სხუამან თქჳს: ნუუკუე მე ვარ?

20. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელ-მან შთამოყოს პინაკსა ამას ჳელი ჩემ თანა, იგი მიმცემს მე.

21. ძჳ სამე<sup>7</sup> კაცისაჲ წარვალს, ვი-თარცა წერილ არს<sup>8</sup> მისთჳს; ხოლო ვაჲ არს მის კაცისა<sup>9</sup>, რომლისაგან ძჳ კა-

ჰკლვიდეს, ჰრქუეს მას მოწაფეთა მის-თა: სადა გნებავს, მივიდეთ და დაგიზა-დლოთ, რადთა ჰჳამო ზატყი იგი?

13. და წარაელინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენ ქალაქად, და შეგემთხვოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგუნითა [წყალი ზე ედგას; შეუდევით, და ვიდრეცა შევი-დღეს,

14. არქუთ მამასახლისსა მის სახლისა-სა, ვითარმედ: მოძღუარმან ეგრე (თქუა)<sup>1</sup>: სადა არს ვანი იგი ჩემი, სადა ენება-თაჲ იგი მოწაფეთა ჩემთა თანა შეეჳა-მო?

15. და მან გიჩუენოს თქუენ ქორი დი-დი, დაგებული და განმზადებული; მუნ დაგუმზადეთ<sup>2</sup> ჩუენ.

16. და წარვიდეს დამზადებად მისა მოწაფენი იგი და შევიდეს ქალაქად და პოეს, ვითარცა ჰრქუა მათ, და დამზა-დეს ენებათაჲ იგი.

17. და რაჳამს დამწუხრდა, მოვიდა ათორმეტითურთ.

18. და ვითარ ინაჳ-ედგა მათ და ქამ-დღეს, ჰრქუა მათ იესუ: მართლიად გეტჳჲ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, რომელ ქამს ჩემ თანა.

19. ხოლო მათ იწყეს ზრუნვად და სიტყუად მისა თითოეულმან: ნუმცა მე ვარ, უფალო? და სხუამან: ნუმცა მე ვარ?

20. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელმან<sup>3</sup> შთამოყოს ჩემ თანა პინაკსა, მან მიმცეს მე.

21. რამეთუ ძე კაცისაჲ მისლვად არს, ვითარცა წერილ არს მისთჳს; ხოლო ვაჲ მის კაცისაჲ, რომლისაგან ძე კაცი-

1 შჳამო E. 2 შე-რად-ჰხვდოდით ქალაქად] — E. 3 გიჩუენო E. 4 მოვიდეს D. 5 ვგა E. 6 თითოეულმან E. 7 სამშ E. 8 წერიარს E. 9 კაცისა D.

1 თქუა] — C. 2 დაგუმზადეთ C. 3 რომელ (რ)ლ C.

DE

C

ცისაჲ მიეცემის; უკეთეს იყო მისა, უკუეთუმცა არა შობილ იყო კაცი იგი.

22. და ჰამდეს რაჲ იგინი, მოილო იესუ პური, | აკურთხა და განტეხა და მიჰსცემდა<sup>1</sup> მათ და ჰრქუა: მიიღეთ, ესე არს ჯორცი ჩემი.

23. და მოილო სასუმელი<sup>2</sup>, ჰმადლობდა და მიჰსცა<sup>3</sup> მათ, და სუეს მისგანი ყოველთა<sup>4</sup>.

24. და ჰრქუა მათ<sup>5</sup>: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ, მრავალთათჳს დათხეული.

25. ამენ<sup>6</sup> გეტყვ თქუნ, რამეთუ არღარა ესუა მე ნაყოფისაგან ამის<sup>7</sup> ვენაჯისა ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ესუა ახალი სასუფეველსა ღმრთისასა.

26. და ვალობაჲ წართქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთის ხილთასა.

27. და ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავესცე<sup>8</sup> მწყემსი<sup>9</sup>, და განიბნინენ ცხოვარნი.

28. არამედ შემდგომად აღდგომისა ჩემისა წარგიძლეთ თქუნ ვალილეად<sup>10</sup>.

29. ხოლო პეტრე მიუგო და ჰრქუა მას: და ლათუ ყოველნი დაბრკოლდენ, არამედ მე არასადა დაებრკოლდე.

30. ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყვ შენ, | ვითარმედ შენ დღეს ამას ღამესა ვიდრე ქათმისა მივორედ ვმობადმდე სამ გზის უვარ-მყო მე.

31. ხ<sup>11</sup> პეტრე უმეტეს-ღა<sup>11</sup> უფროჲს იტყოდა: და ლათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო შენ. და ეგრევე მსგავსად ყოველნი იტყოდეს.

საჲ მიეცემის; უმჯობეს<sup>1</sup> იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი.

22. და ვიდრე ჰამდეს-ღა, მოილო პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და ჰრქუა: მიიღეთ, ესე არს ჯორცი ჩემი.

23. და მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ, და სუეს<sup>2</sup> მისგანი ყოველთა.

24. და ჰრქუა მათ: ესე, არს სისხლი ჩემი (ახლისა)<sup>3</sup> შჯულისაჲ, რომელ მრავალთათჳს დაითხევის.

25. მართლიად გეტყუ თქუნ, რამეთუ არღარა ესუა ნაყოფისაგანი ვენაჯისაჲ ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ესუა ახალი სასუფეველსა შინა ღმრთისასა.

26. და ჰმადლობდეს და გამოვიდეს მთასა მას ზეთის ხილთასა.

27. და ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ყოველნი თქუნ დაბრკოლდეთ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავესცე მწყემსი, და ცხოვარნი განიბნინენ.

28. არამედ რაჟამს აღედგე, წინაჲს-წარ თქუნესა მივიდე ვალილეად.

29. ხოლო პეტრე მიუგო და ჰრქუა მას: ყოველნი ლათუ დაბრკოლდენ, ხოლო მე არა.

30. ჰრქუა მას იესუ: მართლიად გეტყვ შენ, რამეთუ დღეს ღამესა ამას ვიდრე ქათმისა ორ გზის ყივიდმდე სამ გზის უვარ-მყო მე.

31. ხოლო პეტრე ფრიად უმეტესად ხ<sup>11</sup> იტყოდა, ვითარმედ: შე-ღათუ-მხუ-დეს<sup>1</sup> შენ თანა სიკუდილი, არავე უვარ-გყო შენ. ეგრეცა ყოველნი იტყოდეს.

1 მისცემდა E. 2 სასუმელი D. 3 მისცა E. 4 და სუეს... ყოველთა] E-ში გადატანილია შემდეგ მუხლში ოდნავი ცვლილებით. 5 და ჰრქუა მათ] და ჰრქუა: სუთ ამისგანი ყოველთა E. 6 ამენ] ამას E. 7 ნაყოფისა ამისგან D. 8. დავესცე E. 9 მწყემსი] +იგი D. 10 ვალილეას D. 11 უმეტ-ღა D.

1 პირველად „უმჯობეს“ დაუწერია, „მ“ მერზე მიწერილი. 2 სუეს C. 3 ახლისა]—C. 4 შე-ღათუ-მხუედეს C.

DE

C

32. და მოვიდეს დაბასა, რომლისაჲ სახელი გესამანია<sup>1</sup>, და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხედით აქა, ვიდრემდე ვილოცო.

33. და წარიყვანა პეტრე და იაკობ და იოვანე მის თანა და იწყო დასულებად და ურვად.

34. და ჰრქუა მათ: მწუხარე<sup>2</sup> არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე; დაადგერიით აქა და იღუძებდით.

35. და წარვიდა მცირედ და დავარდა ქუეყანასა და ილოცვიდა: უკეთეთ შესაძლებელ არს, რაჲთა თანა-წარმჯდეს ჟამი ესე.

36. და იტყოდა: აბა მამაო ჩემო, ყოველივე<sup>3</sup> შესაძლებელ არს შენ მიერ თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან. ხოლო არა რაჲ-იგი მე || მნებაეს, არამედ რაჲცა შენ გნებაეს<sup>4</sup>.

37. და მოვიდა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: სიმონ, გძინავსა? ვერ უძლეა ჟამი ერთი განღუძებად ჩემ თანა?

32. და მოვიდეს დაბასა, რომელსა სახელი ერქუა გესემანი, და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: დასხედით აქა, ვიდრემდის თაყუანის-ვსცე.

33. და მიიყვანნა<sup>1</sup> მის თანა პეტრე და იაკობ და იოვანე და იწყო გულის-სიტყუად<sup>2</sup> და ურვად.

34. და ჰრქუა მათ: შექუენებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე; ელოდეთ აქა და იღუძებდით.

35. და წარვიდა კნინ და დავარდა ქუეყანასა და ილოცვიდა: უკეთეთ ჯერ-არს, რაჲთამცა გარე-წარჰვდა მას ჟამი იგი.

36. და იტყოდა: აბა მამაო, ყოველი შესაძლებელ არს შენდა, გარე-წარმჯადე<sup>3</sup> მე სასუმელი ესე. ხოლო არა რაჲ-იგი მე მნებაეს, არამედ რაჲ შენ.

37. და მოვიდა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: სიმონ, გძინავსა? \* და ვერ უძლე ჟამ ერთ ღუძებად?

1 გესამანია E. 2 მწუხარე E. 3 ყოველი D. 4 არამედ რაჲცა შენ გნებაეს] —D.

1 ჯერ დაუწერია: „მიიყვანა“, შემდეგ ჩუმატებია „ნა“: მიიყვანანა“. 2 სიტყუად C. 3 გარე-წარმცოდე C.

\* იოვანეს სახარების ბოლოს C-ში (ტაბ. 198) მოთავსებულია ნაწყვეტი საკითხიდან, რომელსაც L ასოთი აღვნიშნავთ:

სტოვასა მას აღსამაღლებელისასა ევანგელჲ<sup>1</sup> მარკოზის თავისაჲ.

33. და თანა წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობი და იოვანე, ძენი იგი ზებედუნისი, და იწყო გულის სიტყუად და ურვად.

34. და ჰრქუა მათ: შეძრწუნებულ არს სული ჩემი სიკუდიდმდე. დაადგერიით აქა და იღუძებდით<sup>2</sup>.

35. და წარვიდა კნინ და დავარდა და თაყუანის-სცემდა და იტყოდა: ჯერ თუ არს, თანა-წარმჯდინ მე, უფალო, ჟამი ესე<sup>3</sup>.

36. და თქუა<sup>4</sup>: აბა მამაო ჩემო<sup>5</sup>, ყოველივე ძლიერებით არს შენ წინაშე. წარმატუნე მე სასუმელი ესე ჩემგან. ხოლო არა ვითარ მე მნებაეს, არამედ რაჲცა შენ გნებაეს.

37. და მოვიდა მათა [და პოვნა იგინი მძინარენი და [ჰრქუა პეტრეს: სუმონ, გძინავსა შენ?

<sup>1</sup> ევანგელჲ L. <sup>2</sup> იღუძებდით L. <sup>3</sup> მესე L. <sup>4</sup> თქვა L. <sup>5</sup> ჩემო] მეორდება L-ში.

DE

C

38. იღვძებდით და ილოცვედით, რაჲ-  
თა არა შეხვდეთ განსაცდელსა. სული  
გულს-მოდგინე არს, ხოლო ჳორცნი უძ-  
ლურ.

39. და მერმე წარვიდა, ილოცვიდა  
და იგივე სიტყუაჲ თქუა.

40. და მოიქცა კუალად და პოვნა  
იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალ-  
ნი მათნი დამძიმებულ, და არა იცოდეს,  
რაჲმცა სიტყუაჲ მიუგეს მას.

41. და მოვიდა მერმე მესამედ და  
ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და  
განისუენეთ. მოიწია დასასრული, და მო-  
ვიდა ჟამი. აჰა ესერა მიეცემის ძმ კა-  
ციისაჲ ჳელთა<sup>1</sup> ცოდვილთასა.

42. აღდევით და წარვედით ამიერ<sup>2</sup>.  
აჰა ესერა მიმცემელი ჩემი მოახლებულ  
არს.

43. და ვიდრე იგი იტყოდა, მოვიდა  
იულა სკარიოტელი<sup>3</sup>, ერთი ათორმეტ-  
თაგანი, და მის თანა ერი მახვლებითა  
და წათებითა მღდელთ მოძღუართაგან  
და მწიგნობართა და მოხუცებულთა.

44. რამეთუ მიეცა სასწაული მიმცე-  
მელსა მას: რომელსა მე ამბორს-უყო<sup>4</sup>,  
იგი არს, შეიპყარა იგი და წარიყვანეთ  
იგი კრძალულად.

45. და მიესყულად მოუქდა და ჰრქუა  
მას: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-  
უყო მას.

46. ხოლო მათ დაასხნეს<sup>5</sup> მას ჳელნი  
და შეიპყრეს იგი.

47. და ერთმან ვინმე წინაშე მდგო-  
მელმან იგადა მახული და ჰსცა<sup>6</sup> მონასა  
მღდელთ<sup>7</sup> მოძღურისასა და წარჰკუე-  
თა ყური.

48. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ვი-  
თარცა ავაზაკსა ზედა გამოსუედით თქუენ

38. მღვძარე<sup>1</sup> იყვენით და ილოცვე-  
დით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელ-  
სა. სული გულს-მოდგინე არს, ხოლო  
ჳორცნი უძლურ.

39. და მერმე წარვიდა, თაყუანის-სცა  
და იგივე სიტყუაჲ თქუა.

40. და მოიქცა და პოვნა იგინი მძი-  
ნარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი  
დამძიმებულ, და არა უწყოდეს, რაჲმცა  
მიუგეს მას.

41. და მოვიდა მესამედ და ჰრქუა  
მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუე-  
ნეთ<sup>2</sup>. აღესრულა და მოიწია ჟამი. აჰა  
ესერა მიეცემის (ძმ კაციისაჲ)<sup>3</sup> ჳელთა  
ცოდვილთასა.

42. აღდევით, წარვიდეთ. აჰა ესერა  
მიმცემელი იგი ჩემი მოახლებულ არს.

43. და ვიდრე იგი ამას იტყოდა-ლა, მო-  
იწია იულა, ერთი ათორმეტთაგანი, და  
მის თანა ერი მახვლოსნები<sup>4</sup> და წათოს-  
ნები მღდელთ მოძღუართაგან და მწიგ-  
ნობართა და მოხუცებულთა.

44. და მიეცა მიმცემელსა მას მისსა  
სასწაული და ჰრქუა მათ: რომელ მე  
მოვიკითხო, იგი არს, შეიპყართ იგი და  
წარიყვანეთ კრძალულად.

45. და მუნქუესვე მოუქდა მას და  
ჰრქუა: მოძღუარ! და მოვიკითხა იგი.

46. ხოლო მათ შეასხნეს ჳელნი მათნი  
და შეიპყრეს იგი.

47. და ერთმან ვინმე მის თანა მდგო-  
მარემან აღმოვიგადა მახული<sup>5</sup> და სცა მო-  
ნასა მღდელთ მოძღურისასა და წარ-  
ჰკუეთა ყური.

48. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ვი-  
თარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ

1 ჳელთათა D. 2 ამიერ] —D. 3 ისკარიოტელი E. 4 ამბორს-უყო E. 5 დასხნეს D.  
6 სცა E. 7 მღდელ D.  
1 მღვძარე C. 2 განისუენეთ C. 3 ძმ კაციისაჲ]—C. 4 მახვლოსნები C. 5 მახული G.

DE

C

მახვლითა და წათებითა შეპყრობად ჩემ-  
და.

49. დღითი-დღედ თქუენ თანა ვიყავე  
ტაძარსა შინა, გასწავებდ, და არა შემი-  
პყართ მე; არამედ<sup>1</sup> რაჟთა აღესრულენენ  
წიგნნი<sup>2</sup> წინაწარმეტყუელთანი.

50. მაშინ მოწაფეთა მისთა ყოველთა  
დაუტევეს იგი და იელტოდეს.

51. და ერთი ხოლო ვინმე ჰაბუკი<sup>3</sup>  
მიჰსდევდა<sup>4</sup> მას და შეემოსა || არდაგი  
შიშულივ. ხოლო სხუათა მათ ჰაბუკთა<sup>5</sup>  
შეიპყრეს იგი.

52. და მან დაუტევა არდაგი იგი და  
იელტოდა. შიშული<sup>6</sup> მათგან.

53. და მიიყვანეს იესუ კაიაფაისა<sup>7</sup>  
მღდელთ მოძღურისა. და შეკრბეს ყო-  
ველნი მღდელთ მოძღუარნი და მწიგ-  
ნობარნი და მოხუცებულნი.

54. ხოლო პეტრე შორით მიჰსდევ-  
და<sup>4</sup> მას ვიდრე შინა ეზოდმდე მღდელთ  
მოძღურისა და დაჯდა იგი მსახურთა თა-  
ნა და ტფებოდა ნათელსა ცეცხლსა წყ.  
55. ხოლო მღდელთ მოძღუარნი იგი  
და ყოველი კრებული ეძიებდეს იესუს-  
თს მოწამესა, რაჟთა მოკლან იგი, და  
არა ჰპოვებდეს<sup>8</sup>.

56. რამეთუ მრავალნი ცრუსა წამებ-  
დეს მისთს, და არა სწორ იყენეს წამე-  
ბანი მათნი.

57. და სხუანი ვინმე აღდგეს და ცრუ-  
სა წამებდეს მისთს და იტყოდეს,  
58. რამეთუ: ჩუენ გუესმა მაგისი სი-  
ტყუად, ვითარმედ: დავარღუო ტაძარი ესე  
ჯელით ქმნული<sup>9</sup> და მესამესა დღესა  
სხუად აღვაშენო, | ჯელით უქმნელი.

59. და არცა ესრეთ ერთ იყენეს წა-  
მებანი მათნი.

59. და არცა ესრეთ ერთ იყენეს წა-  
მებანი მათნი.

მახვლითა და წათითა შეპყრობად ჩემ-  
და.

49. მარადღე თქუენ თანა ვიყავე ტა-  
ძარსა მას შინა, გასწავებდ თქუენ, და  
არა შემიპყართ მე; ად რაჟთა აღესრუ-  
ლოს წიგნები იგი წინაწარმეტყუელთა.

50. და დაუტევეს იგი ყოველთა და  
იელტოდეს.

51. და ერთი ვინმე ჰაბუკი მისდევდა  
მას და ემოსა არდაგი შიშულივ. და ჰა-  
ბუკთა შეიპყრეს იგი.

52. ხოლო მან მიუტევა არდაგი იგი  
და შიშული იელტოდა მათგან.

53. და მიიყვანეს იგი მღდელთ მო-  
ძღურისა კაიაფაისა. და მივიდეს მის თა-  
ნა მღდელთ მოძღუარნი, მოხუცებულნი  
და მწიგნობარნი.

54. და პეტრე შორს მისდევდა მას  
ვიდრე შინა ეზოდმდე მღდელთ მოძღუ-  
რისა, დაჯდა იგი მსახურთა თანა და  
იკუსვოდა მგზებელსა მას.

55. ხოლო მღდელთ მოძღუარნი იგი  
და ყოველი კრებული ეძიებდეს იესუს-  
თს წამებას, რაჟთამცა მოკლეს იგი, და  
ვერ ჰპოვებდეს.

56. რამეთუ მრავალნი ცრუსა წამებ-  
დეს მისთს, და არა ერთ იყო წამებაჲ  
იგი მათი.

57. და რომელნიმე აღდგეს, ცრუსა  
წამებდეს მისთს და იტყოდეს,  
58. ვითარმედ: ჩუენ გუესმა მაგისგან,  
რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: მე დავა-  
რღუო ტაძარი ესე ჯელით ქმნული და მე-  
სამესა დღესა სხუად, ჯელით უქმნელი<sup>1</sup>,  
აღვაშენო.

59. და ეგრეცა არავე ერთ იყო წა-  
მებაჲ იგი მათი.

1 არამედ | — D. 2 წიგნი D, წერილნი E. 3 ჰაბუკი E. 4 მისდევდა E. 5 ჰაბუკთა L.

6 შიშული D. 7 კაიაფაისა D. 8 ჰპოვებდეს D. 9 ჯელ-ქმნული D.

1 ჯელით ქმნული C.

DE

C

60. და აღდგა მლდელთ მოძღუარი იგი შორის, ჰკითხა იესუს და ჰრქუა: არას მიუგება, რასა-ნესე შეგწამებენ შენ?

61. ხოლო იესუ ღუმნა და არარაჲ მიუგო მას. და მერმე ჰკითხვიდა მას მეორედ მლდელთ მოძღუარი იგი და ჰრქუა: შენ ხარა ქრისტე, ძე კურთხეულისაჲ?

62. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ იტყვ, ვითარმედ მე ვარ. და ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე<sup>1</sup> ძლიერებათა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

63. ხოლო მლდელთ მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თვისი. და თქუა: რაჲსა-ლა გვკმან მოწამენი?

64. გესმა ყოველთა გმობაჲ პირისაჲგან მისისა. ვითარ გენებაეს თქუენ? მაშინ ყოველთა დასაჯეს იგი თანა-მდებად სიკუდილისა.

65. და იწყეს ვიეთმე ნერწყუვად პირსა მისსა<sup>2</sup> და ჳრთითა ცემად მისა და ეტყოდეს: გვწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე<sup>3</sup>, ვინ გცა შენ? || და მსახურთა მათ მოიყვანეს<sup>4</sup> ყურიმლის ცემად იგი.

66. და ვითარცა იყო პეტრე ეზოსა მას შინა, მოვიდა ერთი მკვევალთაგანი მლდელთ მოძღურისათაჲ<sup>5</sup>.

67. და ვითარცა იხილა იგი, ტფებოდა რაჲ, მიჰხედა მას და ჰრქუა: შენცა იყავ იესუმს<sup>6</sup> თანა ნაზარეველისა.

68. ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: არა ვიცი, არცა უწყი, რასა-ნეგე იტყვ შენ. და გამოვიდა პეტრე გარეშესა<sup>7</sup> მას ეზო-მასასა<sup>8</sup>, და ჭათამმან ვმა-ყო.

69. მერმე კულად მკვევალნან მან იხი-

60. და აღდგა მლდელთ მოძღუარი იგი მათი შორის, ჰკითხა იესუს და ჰრქუა: არას მიუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ?

61. ხოლო იგი ღუმნა და არას მიუგებდა მათ. მერმე მლდელთ მოძღუარი იგი ჰკითხვიდა მას სიტყუასა მეორედ და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე<sup>1</sup>, ძე კურთხეულისაჲ?

62. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ სიტყუ, ვითარმედ მე ვარ. და იხილოთ ძე კაცისაჲ მარჯუენით მჯდომარე ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა<sup>2</sup>.

63. ხოლო მლდელთ მოძღუარმან დამოიპო კურთხი თვისი და თქუა: რასა-ლა გვკმან მოწამებ?

64. გესმა ყოველთა ბასრობაჲ იგი მისი. ვითარ გიჩს თქუენ? და ყოველთა დასაჯეს იგი: ყვეს თანა-მდებ სიკუდილისა.

65. და იწყეს რომელთამე ნერწყუვად<sup>3</sup> პირსა მისსა და ფიჩჳ დაჰბურიან პირსა მისსა, ჰრეკედ მას და ეტყუვდ: გვწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე<sup>1</sup>, ვინ არს. რომელმან გცა შენ? და მსახურნი იგი სცემდეს ღაწუსა მისსა.

66. და იყო პეტრე ეზოსა მას შინა; მოვიდა ერთი მკვევალთაგანი მლდელთ მოძღურისათაჲ.

67. და იხილა იგი მკუსოლარე, მიხედა მას და ჰრქუა: შენცა ნაზარეველისა იესუს თანა იყავ.

68. ხოლო მან უვარ-ყო და ჰრქუა მას: არცა ვიცი და არცა უწყი, რასა-ნეგე შენ იტყვ. და გამოვიდა იგი გარეშე ეზოსა.

69. და მკვევალმან მან იხილა იგი,

1 მჯდომარე D. 2 პირისა მისისა E. 3 ქრისტე E. 4 მოიყვანეს D. 5 მოძღურო სამათა D. 6 იქს D. 7 გარეშესა E. 8 ეზოსა D.

1 ქშ C. 2 ციოთა C. 3 ნერწყუვად C.



DE

C

ლა იგი და იწყო სიტყუად წინაშე მდგომელთა მათ, ვითარმედ: ესეცა მათგანი არს.

70. ხოლო მან კუალად უვარ-ყო. და მერმე შემდგომად მცირედისა ჟამისა წინაშე მდგომელნი იგი ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათთანაჲ ხარ, და რამეთუ გალილეველ ხარ.

71. ხოლო პეტრე იწყო შეზუნებულად და ფიცად. ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე, რომელსა იტყუთ.

72. და მეყსეულად მგორედ ქათამბან ჯმა-ყო. და მოეწესენა პეტრეს სიტყუად იგი, რომელ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: | პირველად ქათმისა ჯმობადმდე სამ გზის უვარ-მყო მე. და იწყო ტირიდ.

იწყო სიტყუად, რომელ<sup>1</sup> დგეს მუნ, ვითარმედ: ესე მათგანივეა.

70. ხოლო მან უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა რომელნი-იგი. გარემოჲს დგეს მისა, ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათგანი ხარ, რამეთუ ხარ-ვე გალილეველ.

71. ხოლო მან იწყო წყევად და ფიცად, ვითარმედ არა...

72.

## 15

1. და მეყსეულად, ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს მღდელთ მოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოველმან კრებულმან. და შეკრეს იესუ და წარიყვანეს და მისცეს იგი პილატეს მთავარსა.

2. ხოლო<sup>1</sup> ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეფემ<sup>2</sup> ჰურიათაჲ?<sup>3</sup> ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ ჰსთქუ<sup>1</sup>.

3. და შეასმენდეს ნღდელთ მოძღუარნი იგი ფრიად, და მან არარაჲ მიუგო.

4. ხოლო პილატე მერმე ჰკითხა მას და ჰრქუა: არას მიუგება? აჰა რაოდენსა შეგწამებენ შენ!

5. ხოლო იესუ არლარა რაჲ მიუგო, ვიდრემდე უკრდაცა პილატეს ფრიად.

6. და ყოველსა დღესასწაულსა მიუტევის მათ ერთი ჰყრობილი, რომელიცა გამოითხოვიან<sup>5</sup> მათ.

1.

2.

3.

4.

5.

6.

32. მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი მოუწყესელ<sup>1</sup> მოყუასთა თვისთა<sup>2</sup> და ეტყვიდ: გისტუნევიდით<sup>3</sup> თქუნ, და არა მოჰპოვედით; გიგოდებდით, და არა სტიროდეთ.

33. რამეთუ მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი, არცა ჰამდა და არცა სუმიდა, და იტყვთ: ეშმაკეულ არს.

34. მოვიდა ძე კაცისამ, ჰამს და სუამს, და იტყვთ: აჰა კაცი მჰამელი და ღვინის მსუმელი, მეგობარი მეზუერეთა (და ცო)-დვილთამ!

35. და განმართლდა<sup>4</sup> სიბრძნე შვილთაგან მათთა.

36. ევერებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რამათა ჰამოს პური მის თანა; და შვიდა სახლსა მას ფარისეველისასა და დაჯდა.

37. და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილი. ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა ფარისეველისასა, მოილო ალაბასტრი<sup>5</sup> ნელსაცხებლისამ

38. და დადგა ფერჯთა თანა მისთა, ტიროდა და იწყო დალტობად ცრემლითა ფერჯთა მისთა და თმითა თავისა თვისისამათა წარჰყოცდა და ამბორსუყოფდა ფერჯთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა.

39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა<sup>6</sup> ხადა მას, თქუა გულსა თვისსა: ესე თუმცა იყო წინაწარმეტყუე-

1 ესე] — E. 2 ვის არიან D. 3 მოუწოდებ E. 4 ეტყვიდ D. 5 სტიროდეთ E. 6 და] — D. 7 სიბრძნე D. 8 მას D. 9 ჰურპურითა D. 10 ფერჯთანა D. 11 იქსთა D. 12 დალტობად DE. 13 მისისამათა D. 14 წარჰყოცად D. 15 ამბორს-უყოფდა E. 16 სცხებდა E.

1 მოუწინებ C. 2 თვისთა C. 3 გისტუნევიდით C. 4 განმართლდა C. 5 ალაბასტრი C. 6 რცა C.

DE

C

თუცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი || შენების მას, რამეთუ ცოდვილ არს.

40. მიუგო იესუ და ჰრქუა: სიმონ, მაქუს რამე შენდა სიტყუად. ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იცოდე!

41. და თქუა იესუ<sup>1</sup>: ორნი თანა-მღებნი<sup>2</sup> იყენეს მავასხებელისაჲ ვისიმე: ერთსა<sup>3</sup> თანა-ედვა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას—ერგასისი<sup>4</sup>.

42. ვითარ არარაჲ აქუნდა მათ, რაჲ მიჰსცენ<sup>5</sup>, ორთავე მიუტევა. აწ თქუ: ვინ უფროჲს შეიყუაროს იგი?

43. მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე<sup>6</sup> ვჰგონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროჲს მიუტევა. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: მართლიად ჰსაჯე.

44. და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ჰხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერჯთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერჯნი ჩემნი და თმითა თჳსითა წარმოცნა<sup>7</sup>;

45. ამბორის-ყოფაჲ<sup>8</sup> არა მომეც მე, ხოლო ესე ვინაჲთჳან შემოვიდა, არა დაჰსცხრების<sup>9</sup> ამბორის-ყოფითა<sup>10</sup> ფერჯთა ჩემთაჲთა;

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო.

47. | რომლისა მადლისათჳს გეტყუ შენ: მიეტევენენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შემიყუარა მე<sup>11</sup> ფრიად. ხოლო რომელსა მცირედ მიეტევოს<sup>12</sup>, მცირედცა შეიყუაროს.

48. და ჰრქუა მას: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი!

49. და იწყეს მის თანა შეინაჯეთა<sup>13</sup> მათ

ლი, უწყოდამცა, რაბამი დედაკაცი შენების მას, რამეთუ ცოდვილ არს.

40. მიუგო იესუ და ჰრქუა: სიმონ, მაქუს რამე სიტყუად შენდა. ხოლო მან ჰრქუა: მოძღუარ, იცოდე!

41. და ჰრქუა: ორნი თანა-მღებნი იყენეს მავასხებელისა ვისიმე. ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას—ერგასისი.

42. და ვითარ არარაჲ აქუნდა მათ, რაჲ მისცენ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ: შენ, ვინ უფროჲს შეიყუაროს იგი?

43. მიუგო სიმონ და ჰრქუა: მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროჲს მიუტევა. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: მართლიად საჯე.

44. და მოექცა დედაკაცსა მას და სიმონს<sup>1</sup> ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერჯთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერჯნი ჩემნი და თმითა თჳსითა წარმოცნა;

45. ამბორის-ყოფაჲ არა მომეც მე; ხოლო ესე ვინაჲთჳან შემოვიდა, არა და-აცადლებს ამბორის-ყოფითა ფერჯთა ჩემთაჲთა;

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო მე.

47. რომლისა მადლისათჳს გეტყუ შენ: მიეტევენენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შემიყუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედ მიეტევოს, მცირედცა შეიყუაროს.

48. და ჰრქუა მას: მიგეტევენენ შენ შეცოდებანი შენნი!

49. და იწყეს მის თანა შეინაჯეთა სი-

1 იესუ —D. 2 თანა-მღები D. 3 ერთისა D. 4 ერგასი D. 5 მისცენ E. 6 ესრე E. 7 წარმოცნა E. 8 ამბორის-ყოფა E. 9 დასცხრების E. 10 ამბორის-ყოფითა. 11 შემოვიდა E. 12 მიეტევოს D. 13 შეინაჯეთა D.

1 სიმონ C. 2 მშულობით C.

DE

სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტევებს?

50. და ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გულე ვიდოდე მშუდობით!

C

ტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტევებს?

50. ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გულე ვიდოდე მშუდობით!

## S

1. და იყო ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან უკეთურთა და უძღლურებათა<sup>1</sup>, მარიამ, რომელსა<sup>2</sup> ერქუა მაგდანელი, რომლისაგან განსრულ იყვნეს შუდნი ეშმაკნი<sup>3</sup>,

3. და იოჰანა, ცოლი ქოზახსი, ეზოას მოძღურისა ჰეროდესი<sup>4</sup>, და სუსანა და სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას || ნაყოფთაგან მათთა.

4. ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და<sup>5</sup> ქალაქად-ქალაქად რომელნი მოვიდოდეს მისა, ეტყოდა მათ იგავით:

5. გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თვისისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა თანა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჭამეს იგი.

6. და სხუად დავარდა კლდესა ზედა; აღმოჰსცენდა<sup>6</sup> და განვშა, რამეთუ არა იყო სიღრმე<sup>7</sup> მიწისა.

7. და სხუად<sup>8</sup> დავარდა შორის ეკალთა; და აღმოჰსცენდეს<sup>9</sup> ეკალნი და შემოთვეს იგი<sup>10</sup>.

8. და სხუად დავარდა ქუეყანასა კე-

1. და იყო ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა<sup>2</sup> ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძღლურებათა, მარიამ, რომელსა ერქუა მაგდანელი, რომლისაგან შუდნი<sup>3</sup> ეშმაკნი განსრულ იყვნეს,

3. და იოჰანა, ცოლი ქოზახსი, ეზოას მოძღურისა ეროდესი, და სუსანა და სხუანი მრავალნი, რომელნი მსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა<sup>4</sup>.

4. ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და ქალაქად-ქალაქად რომელნი მოვიდეს მისა<sup>5</sup>, და ეტყოდა მათ იგავით:

5. გამოვიდა მთესვარი/თესვად თესლისა თვისისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჭამეს იგი.

6. და სხუად დავარდა კლდესა ზედა და აღმოჰსცენდა და განვშა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა[ქ].

7. და რომელიმე დავარდა შორის ეკალთა; და აღმოჰსცენდეს ეკალნი და შემოთვეს იგი.

8. და სხუად დავარდა ქუეყანასა კე-

1 უძღლურებათა D. 2 რომლისა D. 3 ეშმაკნი შუდნი D. 4 ჰეროდესი D. 5 და] — E. 6 აღმოჰსცენდა E. 7 სიღრმე D. 8 და სხუად] და რომელიმე D. 9 აღმოჰსცენდეს E. 10 იგი] — E. 1 მშუდობით. 2 სასუფეველსა C. 3 შუდნი C. 4 მათა C. 5 მისსა C

DF

C

თილსა და აღმოსცენდა<sup>1</sup> და<sup>2</sup> ყო ნა-  
ყოფი ასი წილი. ამას იტყოდა ვმითა:  
რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

9. ჰკითხვიდეს მას მოწაფენი, ვითარ-  
მედ: რაჲ არს იგავი ესე?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუ-  
ენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმ-  
ლოჲ<sup>3</sup> სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო  
სხუათა—იგავით, რაჲთა ჰხედვიდენ და  
ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გუ-  
ლისჴმა-ყონ<sup>4</sup>.

11. ხოლო იგავი იგი ესე არს: | თეს-  
ლი იგი<sup>5</sup> არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ.

12. ხოლო გზასა ზედა იგი არიან, რო-  
მელთა ესმის, მერმე მოვიდის ეშმაკი და  
მოულის სიტყუაჲ იგი გულისაგან მათი-  
სა, რაჲთა არა ჰრწმუნეს და ცხოვნდენ<sup>6</sup>.

13. ხოლო რომელი-იგი<sup>7</sup> კლდესა ზე-  
და,—რომელთა-იგი რაჲჲმს ისმინიან, სი-  
ხარულით შეიწყნარებენ სიტყუაჲ იგი,  
და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი  
ჲმ ერთ ჰრწმან და ჲმსა განსაცდელი-  
სასა განდგებიან.

14. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შინა  
დაეარდა, ესენი არიან, რომელთა ისმი-  
ნიან სიტყუაჲ და ზრუნვათაგან და სი-  
მდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისა-  
თა ვლენედ და<sup>8</sup> შეაშთვიან და არა ნა-  
ყოფიერ იქმნიან.

15. ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუე-  
ყანასა,—რომელთა გულითა კეთილითა  
და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ და შე-  
იკრძალიან და ნაყოფი გამოილიან მო-  
თმინებითა.

16. არავინ სანთელი აღანთის და და-  
ფარის იგი ქურკრითა<sup>9</sup>, გინა ცხედარ-  
სა ქუეშე<sup>9</sup> შედგებიან, არამედ სასანთლე-

თილსა და აღმოსცენდა და ყო ნაყოფი  
ასი წილი. ამას ეტყოდა ვმითა: რომელ-  
სა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

9. ჰკითხეს მას მოწაფეთა: რაჲ არს  
იგავი ესე?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუ-  
ენდა მოცემულ არს ცნობად<sup>1</sup> (საიდუმ-  
ლოჲ)<sup>2</sup> სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო  
სხუათა—იგავით, რაჲთა ხედვიდენ და  
ვერ იხილონ, ესმოდის და ვერ გულის-  
ჴმა-ყონ.

11. ხოლო იგავი იგი ესე არს: თეს-  
ლი იგი არს სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ.

12. ხოლო გზასა ზედა იგი არიან,  
რომელთა ესმის, და მერმე მოვიდის ეშ-  
მაკი და მოულის სიტყუაჲ იგი გული-  
საგან მათისა, რაჲთა არა ჰრწმუნეს და  
ცხოვნდენ.

13. ხოლო რომელი-იგი კლდესა ზე-  
და,—იგი, რომელთა ისმინიან, სიხარუ-  
ლით შეიწყნარებენ, და ამათ ძირი არა  
უბნ, რომელთა-იგი ჲმ ერთ ჰრწმენა  
და ჲმსა განსაცდელისასა განაგდებიან.

14. ხოლო რომელი-იგი ეკალთა ში-  
ნა დაეარდა, ესე არიან, რომელთა ის-  
მინიან სიტყუაჲ და ზრუნვისაგან და სი-  
მდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლი-  
სათა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნა-  
ყოფიერ იქმნის.

15. ხოლო რომელი-იგი კეთილსა  
ქუეყანასა,—რომელთა გულითა კეთი-  
ლითა და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ  
და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოილიან  
მოთმინებითა.

16. არავინ სანთელი აღანთის და და-  
ფარის ქურკრითა, გინა ქუეშე<sup>9</sup> ცხე-  
დარსა შედგებიან, არამედ სასანთლესა ზგ-

1 აღმოსცენდა E. 2 და) —D. 3 საიდუმლოჲ D. 4 გულისხმა-ყონ E. 5 თესლი იგი D.  
6 ცხოვნდენ D. 7 რომელი-იგი D. 8 ქურკრითა D. 9 ქუეშე E.

1 ცნობად C. 2 საიდუმლოჲ | —C. 3 ქუეშე C.

D:

სა || ზედა დადგიან<sup>1</sup>, რაათა შემავალ-  
ნი იგი ნათელსა ჰხედვიდენ.

17. რამეთუ არა არს დაფარული, რო-  
მელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმ-  
ლოვ<sup>2</sup>, რომელი არა საცნაურ იყოს და  
ცხადად მოვიდეს.

18. იხილეთ უკუე, ვითარ-ეგე ისმენთ:  
რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რო-  
მელსა არა აქუნდეს<sup>3</sup> და რომელსა-იგი  
ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს  
მას.

19. მოვიდეს მისა დედად და ძმანი  
მისნი და ვერ უძღლეს<sup>4</sup> შემთხუვევად მი-  
სა ერისა მისგან.

20. და უთხრეს მას და ეტყოდეს:  
დედად შენი და ძმანი შენნი გარეშე<sup>5</sup>  
დგანან და ხილვად შენი ჰნებაეს.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დე-  
დად ჩემი და ძმანი ჩემნი ესენი არიან,  
რომელთა სიტყუად ღმრთისად ისმინონ  
და ყონ იგი.

22. და იყო ერთსა შინა დღესა და  
თავადი შევიდა ნაესა, და მოწაფენი მის-  
ნი მის თანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ  
წიაღკერძო ტბასა მას; და აღვიდეს.

23. და მი-რაა-ვიდოდეს იგინი ნა-  
ვითა, მიეძინა. და გარდამოჴდა არმური  
ქარისად ზღუასა მას ზედა, და აღივსე-  
ბოდა<sup>6</sup> ნავი იგი, და იურვოდეს.

24. მოუტდეს და განაღძებდეს და  
ეტყოდეს: მოძღუარ, წარვეწყმდებით.  
ხოლო თავადი აღდგა და შეჰრისხნა  
ქარსა მას და ლელვათა წყალთასა; და  
დასცხრა<sup>7</sup>, და იყო დაყუდებდა დიდი.

25. და ჰრქუა მათ: სადა არს სარ-  
წმუნოებად<sup>8</sup> თქუენი? ხოლო მათ შეეში-  
ნა და დაუკრდა და იტყოდეს ურთი-  
ერთას: ვინ-შე არს ესე, რამეთუ ქართა-

C

და დადგიან, რაათა შემავალნი იგი ნა-  
თელსა ხედვიდენ.

17. რამეთუ არა არს დაფარული, რო-  
მელი არა გამოცხადნეს, და არცა საი-  
დუმლოვ, რომელი არა საცნაურ იყოს  
და ცხადად მოვიდეს.

18. იხილეთ უკუე, ვითარ ისმენთ: რო-  
მელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელ-  
სა არა აქუნდეს და რომელსა-იგი ჰგო-  
ნიეს<sup>1</sup>, ვითარმედ აქუს<sup>2</sup>, მო-ვე-ელოს  
მას.

19. მოვიდეს მისა დედად და ძმანი  
მისნი და ვერ ეძლო შემთხუვევად<sup>3</sup> მისა  
ერისა მისგან.

20. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედად  
შენი და ძმანი შენნი გარეშე დგანან და  
გეძიებენ შენ და ხილვად შენი ჰნებაეს.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დე-  
დად ჩემი და ძმანი ჩემნი ესენი არიან,  
რომელთა სიტყუად ღმრთისად ისმინონ  
და ყონ იგი.

22. და იყო ერთსა შინა დღესა და  
თავადი შევიდა ნაესა, და მოწაფენი მის  
თანა, და ჰრქუა მათ: განვედით<sup>4</sup> წიაღ-  
კერძო ტბასა მას; და აღვიდეს.

23. და მი-რაა-ვიდოდეს იგინი ნავი-  
თა, მიეძინა. და გარდამოჴდა არმური  
ქარისად ზღუასა ზედა და აღივსებოდა  
ნავი იგი, და იურვოდეს.

24. და მოუტდეს და განაღძეს<sup>5</sup> და  
ეტყოდეს: მოძღუარ, წარვეწყმდებით. ხო-  
ლო თავადი აღდგა და<sup>6</sup> შეჰრისხნა ქარ-  
სა მას და ლელვასა წყალთასა; და და-  
სცხრეს, და იყო დაყუდებდა დიდი.

25. და ჰრქუა მათ: სადა არს სარ-  
წმუნოებად თქუენი? ხოლო მათ შეეშინა  
და დაუკრდა<sup>7</sup> და იტყოდეს ურთიერ-  
თას: ვინ-შე არს ესე, რამეთუ ქართაცა

1 დაადგიან D. 2 საიდუმლოვ D. 3 აქუს E. 4 შეუძღლეს E. 5 გარეშე E. 6 აღვესებო-  
და (?) E. 7 დასცხრა E. 8 სარწმუნოებებად E.

1 ჰგონიეს<sup>1</sup> აქუნდეს C. 2 აქუნს C. 3 შემთხუვევად C. 4 ასეა C. 5 განაღძეს C. 6 და.  
და C. 7 დაუკრდა C.

DE

C

ცა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას?

26. და განვიდეს სოფელსა მას გერგესეველთასა, რომელ არს წიაღკერძო გალილეასა.

27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მოვინმე-ეგებვოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყენეს ეშმაკნი; და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა<sup>1</sup>, არამედ საფლავებსა.

28. და ვითარცა იხილა მან იესუ, ღალად-ყო<sup>1</sup>და შეუფრდა<sup>2</sup> ფერჯთა იესუს-თა<sup>3</sup> და ჳმითა დიდითა ეტყოდა: რად ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო<sup>4</sup> მადლი-საო? გვედრებეი, ნუ მტანჯავ მე.

29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არა-წმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალ ჟამ წარიტაცის იგი, და შებორკილიან იგი ჯაკუთა და საკრეველითა და ჰსცვედ<sup>5</sup>, და განხეთქის საკრეველნი და იდეენებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა.

30. ჰკითხა მას იესუ: რად არს სახელი შენი? ხოლო მან თქუა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყენეს მისა.

31. და ევედრებოდეს მას, რადთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთავრდობაჲ.

32. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ მრავალთაჲ მძოვარი მთასა ზედა; და ევედრებოდეს<sup>6</sup> მას, რადთა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვაჲ. და თავად-მან უბრძანა მათ.

33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცი-სა<sup>7</sup> მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიიმართა ყოველმან კოლტმან კბოდესა მას ზღუად | და დაიშთენეს.

უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას?

26. და განვიდეს სოფელსა მას გერგესეველთასა, რომელი არს წიაღ იორდანესა და გალილეასა.

27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მოვინმე-ეგებვოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყენეს ეშმაკნი; და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა.

28. და ვითარცა იხილა იესუ, ღალად-ყო და შეურდა ფერჯთა<sup>1</sup> მისთა და ჳმითა დიდითა იტყოდა: რად ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მადლისაო? გვედრებეი, ნუ მტანჯავ მე.

29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არა-წმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალ გზის წარიტაცის, და შებორკილიან ჯაკუთა და საკრეველითა და სცვედ, და განხეთქის საკრეველი და იდეენებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა.

30. ჰკითხა მას იესუ: რად არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყენეს მისა.

31. და ევედრებოდეს მას, რადთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვაჲ.

32. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ მრავალი, მძოვარი მთასა გარე; და ევედრებოდეს მას, რადთა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვაჲ. და თავად-მან უბრძანა მათ.

33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცი-სა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიიმართა<sup>2</sup> ყოველმან კოლტმან კბოდესა მას ზღუად და დაიშთენეს.

1 იყოფოდა E. 2 შეურდა D. 3 იჯსთა D. 4 ძეო D. 5 სცვედ E. 6 ევედრებოდა D. 7 კაცი (კ'ცი) D.  
1 ფერჯთა) ფერდთა C. 2 მიემართა C.

DE

C

34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე<sup>1</sup> ესე, ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა.

35. და გამოვიდეს ხილვად, რომელი იგი ექმნა, და მოვიდეს იესუსა<sup>2</sup> და იხილეს კაცი იგი მჯდომარე<sup>3</sup>, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყენეს, შემოსილი და გონიერი, ფერკთა თანა<sup>4</sup> იესუსთა<sup>5</sup>, და შეეშინა.

36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა<sup>6</sup> ეშმაკეული იგი.

37. და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე<sup>7</sup> გარემოას სოფლებისაჲ მის გერგესეველთაჲ, რაჲთა წარვიდეს საზღვრისაგან<sup>8</sup> მათისა, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნევე.

38. ხოლო ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსხმულ იყვნეს, რაჲთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქუა:

39. მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. და წარვიდა კაცი იგი ყოველსა მას ქალაქებსა და<sup>9</sup> ქადაგებდა, || რაჲ-იგი ყო მისთჳს იესუ.

40. და მიქცევასა მას იესუსსა<sup>10</sup> მუნევე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ მოელოდეს მას.

41. და აჰა ესერა მოვიდა კაცი და სახელი მისი იაროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებლისაჲ; დაჲვარდა ფერკთა თანა იესუსთა<sup>11</sup> და ევედრებოდა მას, რაჲთა შევიდეს სახიდ მისა,

42. რამეთუ ასული მარტოჲ<sup>12</sup> ესუა მას, რომელი იყო ათორმეტის წლის, და იგი მოკუდებოდა. და მისლვასა მას მისსა ერი იგი შეკრბებოდა მას.

34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა.

35. და მოვიდეს ხილვად, რომელი იგი ექმნა, და მოვიდეს იესუსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყენეს, შემოსილი, გონიერი ფერკთა თანა იესუსთა, და შეეშინა.

36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა ეშმაკეული იგი.

37. და ევედრებოდა მას ყოველი იგი სიმრავლე სოფლებისაჲ მის გერგესეველთაჲ, რაჲთა წარვიდეს საზღვართაგან მათთა, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნევე.

38. ხოლო ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნეს, რაჲთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქუა:

39. მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. და წარვიდა და ყოველსა მას ქალაქებსა ქადაგებდა, რაჲ-იგი ყო მისთჳს იესუ.

40. და მიქცევასა მას იესუსსა<sup>1</sup> მუნევე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ მოელოდეს მას.

41. და აჰა ესერა მოვიდა კაცი და სახელი მისი იაროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებლისაჲ; და დაჲვარდა ფერკთა თანა იესუსთა და ევედრებოდა მას, რაჲთა შევიდეს სახედ მისა,

42. რამეთუ ასული მარტოჲ ესუა მას, რომელი იყო ათორმეტ წლის, და იგი მოკუდებოდა. და მისლვასა ოდენ მისსა ერი შეკრბებოდა მისა.

1 საქმე D. 2 იჯსა D. 3 მჯდომარე D. 4 ფერკთანა D. 5 იჯსთა D. 6 ცხოვნდა D. 7 სიმრავლე D. 8 საზღვრისაგან D. 9 და — D. 10 იესუსსა (იჯსსა) D, იესუსსა (იჯსსა) E. 11 იესუსთა (იჯსთა) D. 12 მარტოჲ D.

1 იესუსსა (იჯსსა) C.

DE

C

43. და იყო ვინმე დედაკაცი წყარო-  
თა სისხლისაათა ათორმეტით წლით-  
გან, რომელი ვერვისგან განიკურნა.

44. მოუტდა ზურგიით კერძო და შე-  
ხო ფესუსა სამოსლისა მისისასა. და მეყ-  
სეულად დაჰსცხრა<sup>1</sup> წყარო იგი სისხ-  
ლისა მის.

45. და თქუა იესუ: ვინ შემახო მე?  
და ვითარცა ყოველნი უვარებდეს, ჰრქუა  
პეტრე: მოძღუარ, ერნი გარე მოგადგან  
შენ და შეგაიწრებენ შენ, და შენ იტყვ<sup>2</sup>:  
ვინ შემახო მე?

46. ხოლო იესუ თქუა: შე- ვინმე -მა-  
ხო<sup>3</sup>, რამეთუ ვცან<sup>1</sup> | ძალი განსრული  
ჩემგან.

47. და იხილა დედაკაცმან მან, რა-  
მეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწო-  
ლით<sup>5</sup> და შეუერდა<sup>6</sup> მას და, რომლისა  
ბრალისათჳს შეახო, უთხრა წინაშე ყოვ-  
ლისა ერისა, და ვითარ-იგი განიკურნა.

48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ასულო,  
სარწმუნოებამან<sup>7</sup> შენმან გაცხოვნა შენ,  
ვილოდე მშჯდობით!

49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ,  
მო-ვინმე-ვიდა<sup>8</sup> შესაკრებლისა მის მთავ-  
რისაგან და ჰრქუა<sup>9</sup> მას, ვითარმედ: ასუ-  
ლი შენი მოკუდა, ნუ დააშრობ მოძღუარ-  
სა.

50. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა  
მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხო-  
ლო, და ცხოვნდეს<sup>10</sup> იგი.

51. და ვითარცა მოვიდა სახლსა მას,  
არავის<sup>11</sup> უტევა შესღვად მის თანა, გარ-  
ნა პეტრე და იაკობ და იოვანე და მამა  
და დედა მის ყრმისაჲ.

52. ჰსტიროდეს<sup>12</sup> მას ყოველნი და  
ეტყებდეს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუ

43. და იყო ვინმე დედაკაცი წყარო-  
თა სისხლისაათა ათორმეტ წლითგან,  
რომელი ვერვისგან განიკურნა.

44. და მოუტდა ზურგიით კერძო და  
შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. და  
მეყსეულად დასცხრა წყარო იგი სისხ-  
ლისა მისისაჲ.

45. და თქუა იესუ: ვინ შემახო მე?  
ვითარ ყოველნი უვარებდეს, ჰრქუა პე-  
ტრე: მოძღუარ, ერნი გარე მოგადგან  
შენ და შეგაიწრებენ, და შენ იტყვ: ვინ  
შემახო მე?

46. ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-მა-  
ხო, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული  
ჩემგან.

47. და იხილა რაჲ დედაკაცმან მან,  
რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწო-  
ლით და შეურდა, რომლისა ბრალისა-  
თჳს შეახო მას და უთხრა წინაშე ყოვ-  
ლისა ერისა და ვითარ-იგი მეყსეულად  
განიკურნა.

48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ასულო,  
სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ,  
ვილოდე მშჯდობით!

49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მო-  
ვინმე-ვიდა შესაკრებელის მთავრისაჲ  
მის და ჰრქუა: ასული შენი მოკუდა, ნუ  
დააშრობ მოძღუარსა.

50. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა  
მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და  
ცხოვნდეს იგი.

51. და ვითარცა მოვიდა სახლსა მას,  
არავინ უტევა შესღვად მის თანა, გარ-  
ნა პეტრე, იაკობ და იოვანე და მამა  
და დედა მის ყრმისაჲ.

52. სტიროდეს მას ყოველნი და  
ეტყებდეს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუ

1 დასცხრა E. 2 შენი იტყვ D. 3 ვინ შემახო მე E. 4 მე ვცან E. 5 ძწოლით E. 6 შე-  
ურდა D. 7 სარწმუნოებამან E. 8 მო-ვინმე-ვიდეს E. 9 ჰრქუეს E. 10 ცხონდეს D. 11 ასეა DE.  
12 სტიროდეს E.

1 მშდბთ C.



DE

C

მსტირთ<sup>1</sup>, რამეთუ არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე, არამედ ჰსძინავს<sup>2</sup>.

53. ივინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო.

54. და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა ჳელი ყრმასა მას და ჳმა-ყო: || ყრმაო, აღდეგ!

55. და მოიქცა სული მისი, და მეყსეულად აღდეგა. და უბრძანა, რაათა მიჰსცენ<sup>3</sup> მას ჳამადი.

56. და განუკრდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო, რაათა არავის უთხრან საქმე<sup>4</sup> იგი.

მსტირთ, რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

53. ხოლო ივინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო.

54. და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა ჳელი ყრმისაჲ მის და ჳმა-ყო: ყრმაო, აღდეგ!

55. და მოიქცა სული ყრმისაჲ მის, და მეყსეულად აღდეგა. და უბრძანა, რაათა სცენ მის ჳამადი<sup>1</sup>.

56. და განუკრდებოდა<sup>2</sup> მამა-დედათა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რაათა არავის უთხრან საქმე იგი.

## 9

1. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და მიჰსცა<sup>5</sup> მათ ძალი და ჳელმწიფებაჲ ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა განკურნებაჲ.

2. და წარავლინნა ივინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძღლურთა.

3. და ჰრქუა მათ: ნურაჲ გაქუნ გზასა<sup>6</sup> ზედა, ნუ<sup>7</sup> ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.

4. და რომელსა სახლსა შეხვდეთ, მუნ დაადგერიით და მიერ გამოვედით.

5. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუნენ, გამო-რაჲ-ხვდოდით<sup>8</sup> მიერ ქალაქით, მტუერი ფერჳთაგან თქუნენთა განიყარეთ საწამებელად მათა.

6. და გამო-რაჲ-ვიდეს, მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს<sup>9</sup> სნეულთა ყოველთა აღგილთა.

7. ესმა ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა

1. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და მისცა მათ ძალი და ჳელმწიფებაჲ ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა განკურნებად.

2. და წარავლინნა ივინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა<sup>3</sup> და განკურნებად უძღლურთა.

3. და ჰრქუა მათ: ნურარაჲ გაქუნ გზასა ზედა: ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.

4. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ<sup>4</sup>, მუნ დაადგერიით და მიერ გამოვედით.

5. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუნენ, და გამო-რაჲ-ხვდოდით<sup>5</sup> მიერ ქალაქით, მტუერი ფერჳთაგან თქუნენთა განიყარეთ საწამებელად მათთა.

6. და გამოვიდეს და მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა აღგილთა.

7. ხ<sup>6</sup> ესმა ეროდეს მეოთხედ მთავარ-

1 სტირთ E. 2 სძინავს E. 3 მისცენ E. 4 საქმე D. 5 მისცა E. 6 გზა E. 7 ნუცა E. 8 გამო-რაჲ-ხვდოდით DE. 9 განკურნებდეს D.

1 მას ჳამადი| მიწერილია ქვეშ წერილად, მაგრამ მაინც მეორედება verso-ზე. 2 განუკრდებოდა C. 3 ლ<sup>7</sup>ასასა C. 4 შეხვდეთ C. 5 გამო-რაჲ-ხვდოდით.

DI:

საკმეშ<sup>1</sup> იგი, მის მიერ რომელნი იქმნებოდეს, და განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოვანე ნათლისმცემელი აღდგომილ არს<sup>2</sup> მკუდრეთით.

8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა; სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.

9. ხოლო პერრედ თქუა: იოვანეს მე თავი მოვჰკუეთე, ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესევითარი მესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვაჲ მისი.

10. და მიიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განეშორა თჳსაგან ადგილსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან ბეთსაიდა<sup>3</sup>.

11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას. და შეიმთხვნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და რაოდენთა უქმდა, განჰკურნებდა.

12. და ვითარცა იწყო დღემან მან<sup>4</sup> მიდრეკად, მოუკდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: განუტევე || ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დაადგრენ მუნ და პოვონ საზრდელი თავისა მათისა, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ.

13. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქვენ ეცით მაგათ ქამადი. და მათ თქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროჲს, გარნა ხუთი ჯუეზაჲ<sup>5</sup> პური და ორნი თევზნი<sup>6</sup>, გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი.

14. რამეთუ იყენეს კაცნი იგი ვითარ ხუთ ათას ოდენ. და ჰრქუა იესუ მოწა-

C

სა საკმეშ იგი, რომელ მის მიერ იქმნებოდეს, და განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოვანე ნათლისმცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით.

8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა, და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელთაგანი<sup>1</sup> პირველთაჲ აღდგომილ არს.

9. ხოლო ეროდე თქუა: იოვანეს მე თავი მოვჰკუეთე, ხოლო ესე ვინაჲ არს, რომლისათჳს ესევითარი [მ]ესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვაჲ მისი.

10. და მიიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განეშორა თჳსაგან ადგილსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან<sup>2</sup> ბეთსაიდა.

11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდა მას. და შეიმთხვნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და რაოდენთა უქმდა განკურნებაჲ, განჰკურნებდა.

12. და ვითარცა იწყო დღემან მიდრეკად, მოუკდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და დაადგრენ მუნ და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ.

13. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქვენ ეცით მაგათ ქამადი. და მათ ჰრქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროჲს ხუთ ჯუეზაჲ<sup>3</sup> პური და ორი თევზი, გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი.

14. რამეთუ იყენეს კაცნი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳს-

1 საკმენი D. 2 აღდგომი არს E. 3 ბეთსაიდა D. 4 მან] —E. 5 ხუთ ჯუეზა E. 6 ორი თევზი D (ზაგარამ შემდეგ მრავლობითად გადაუტეხებია და ასე იკითხება: ორინი თევზინი).

1 წინაწარმეტყუელთაგანი C. 2 ჰრქვან C.

D E

C

ფეთა თჳსთა: დასხით<sup>1</sup> კაცები ეგე პურისმტედ-პურისმტედ ერგასისეული<sup>2</sup>.

15. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს<sup>3</sup> ყოველი იგი.

16. ხოლო თავადმან მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა<sup>4</sup> თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მიჰსცემდა<sup>5</sup> მოწაფეთა, რათა დაუგონ ერსა მას.

17. და ჰამეს და განძღეს ყოველნი, და აღიღეს, რომელ-იგი<sup>6</sup> დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი.

18. და იყო ლოცვასა | მას მისსა თჳსაგან მის თანა იყენეს მოწაფენი. და ჰკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ვჰგონიე ერსა ამას, რაჲ თჳჯან ჩემთჳს?

19. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: იოვანე ნათლის-მცემელი; და სხუათა — ელია; და რომელნიმე იტყუან: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.

20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე<sup>7</sup>, ძმ ღმრთისაჲ.

21. ხოლო თავადი<sup>8</sup> შეჰპრისხნა მათ და ამცნო, რათა არავის უთხრან ესე<sup>9</sup>.

22. და ჰრქუა მათ, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისა<sup>10</sup> ფრიად ენებაჲ და შეურაცხ-ყოფაჲ<sup>11</sup> მოხუცებულთაგან და მღღელთ მოძღუართა და მწიგნობართა, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

23. და ეტყოდა ყოველთა: რომელთა ჰნებაჲს შემოდგომად<sup>12</sup> ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი დღითი-დღედ და მომდევდინ მე.

24. რამეთუ<sup>13</sup> რომელსა უყუარდეს

თა: დასხით კაცები ეგე პურისმტედ ერგასეული.

15. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს იგი ყოველი.

16. ხოლო თავადმან მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი<sup>1</sup> ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რათა დაუგონ ერსა მას.

17. და ჰამეს და განძღეს ყოველნი, და აღიღეს, რომელი დაუშთა მათ ნამუსრევი. ათორმეტი გოდორი<sup>2</sup>.

18. და იყო ლოცვასა მისსა<sup>3</sup> თჳსაგან, და მის თანა იყენეს მოწაფენი მისნი. ჰკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ვჰგონიე მე ერსა ამას, რაჲ თჳჯან<sup>4</sup> ჩემთჳს ყოფაჲ?

19. ხოლო მათ მიუგეს და თქუეს: იოვანე ნათლის-მცემელი; და სხუათა — ელია; და რომელნიმე იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.

20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე<sup>5</sup> მე? მიუგო პეტრე და თქუა: ცხებულთ ღმრთისაჲ.

21. ხოლო თავადი შეჰპრისხნა მათ და ამცნო, რათა არავის უთხრან ესე.

22. და ჰრქუა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისა ფრიად ენებაჲ და შეურაცხ-ყოფაჲ მოხუცებულთაგან და მღღელთ მოძღუართა და მწიგნობართა, მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

23. და ეტყოდა ყოველთა: რომელთა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი დღითი-დღედ და მომდევდინ მე.

24. რამეთუ რომელსა უნდეს თავისა

1 დასხით D. 2 ერგასეული E. 3 დასხეს D. 4 აღიხილნა D. 5 მისცემდა E. 6 რომელი-იგი E. 7 ქრისტე (ქ'შ) DE. 8 თავადმან D. 9 E-ში „ესე“ აქედან გადატანილია შემდეგ მუხლში: და ესე ჰრქუა მათ. 10 კაცისა E. 11 შეურაცხ-ყოფად E. 12 შედგომად E. 13 რამეთუ და E.

1 თჳალნი C. 2 გოდორი) გოდოლი C. 3 მისა C. 4 თჳჯან C. 5 გგონიეს C.

DE

C

თავი თვისი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი ჩემთვის, ამან აცხოვნოს იგი.

25. || რაჲმ სარგებელ არს კაცისა, შე-  
თუ-იძინოს ყოველი სოფელი და თავი  
თვისი წარიწყმიდოს, გინა იზღვია?

26. რომელსა სირცხულ უჩნდეს ჩემდა  
მომართ და სიტყუათა ამათ<sup>1</sup> ჩემთა, ამას  
ძემანცა<sup>2</sup> კაცისამან არცხვნოს, ოდეს  
მოვიდეს დიდებითა თვისითა და მამისაჲ-  
თა და წმიდათა ანგელოზთაჲთა.

27. გეტყუ თქუენ ჰეშმარიტად: არი-  
ან ვინმე მანდა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილი-  
საჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი  
ღმრთისაჲ.

28. და იყო შემდგომად სიტყუათა  
ამათ ვითარ რეა ოდენ დღე<sup>3</sup>, და წა-  
რიყვანნა პეტრე<sup>4</sup> და იაკობ და იოვანე  
და აღვიდა მთასა ლოცვად.

29. და იყო ლოცვასა მას მისსა ხილ-  
ვაჲ პირისა მისისაჲ სხუა<sup>5</sup>, და სამოსელი  
მისი სპეტაკ ვითარცა ელვაჲ.

30. და აჰა ესერა ორნი კაცნი მის  
თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მო-  
სე<sup>6</sup> და ელია,

31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა  
და იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი  
ეგულეობდა აღსრულებად იერუსალმს.

32. | ხოლო პეტრე და მისთანანი და-  
მძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-  
რაჲ-ილძქეს, იხილეს დიდებაჲ მისი და  
ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი.

33. და იყო განწორებასა მას მათსა  
მისგან ჰრქუა პეტრე იესუს: მოძლუარ,  
კეთილ არს ჩუენდა აჰა ყოფაჲ, და  
ექმნეთ სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერ-

თვისისა განრინებად, წარიწყმიდოს იგი;  
და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი  
ჩემთვის, მან პოოს იგი.

25. რაჲ-მე სარგებელ არს კაცისა, შე-  
თუ-იძინოს სოფელი ყოველი და თავი  
თვისი წარიწყმიდა, გინა<sup>1</sup> იზღვია?

26. რომელსა სირცხულ უჩნდეს. ჩემ-  
და მომართ და სიტყუათა ჩემთა, ამას  
ძემან კაცისამან არცხვნოს<sup>2</sup>, ოდეს მო-  
ვიდეს დიდებითა თვისითა და მამისაჲთა  
და წმიდათა ანგელოზთაჲთა.

27. გეტყუ თქუენ ჰეშმარიტად: არი-  
ან ვინმე მანდა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილი-  
საჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი  
ღმრთისაჲ.

28. და იყო შემდგომად სიტყუათა  
ამათ ვითარ რეა ოდენ დღე, და წარი-  
ყვანა იესუ პეტრე, იაკობ და იოვანე და  
აღვიდა მთასა ლოცვად.

29. და იყო ლოცვასა მას მისსა ხილ-  
ვაჲ პირისა მისისაჲ სხუა<sup>2</sup> სახე, და სა-  
მოსელი მისი სპეტაკ და ელვარე<sup>1</sup>.

30 და აჰა ესერა ორნი კაცნი მის  
თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მო-  
სე<sup>5</sup> და ელია,

31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა  
და იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი  
ეგულეობდა აღსრულებად იერუსალმს.

32. ხოლო პეტრე და მისთანანი და-  
მძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-  
რაჲ-ილძქეს<sup>6</sup>, იხილეს დიდებაჲ მისი და  
ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი.

33. და იყო განწორებასა მას მისსა  
მათგან ჰრქუა პეტრე<sup>7</sup> იესუს: მოძლუარ,  
კეთილ არს ჩუენდა აჰა ყოფაჲ; ექმნეთ  
აჰა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერ-

1 ამათ] — D. 2 ძმანცა D. 3 დღე DE. 4 პეტრე E. 5 სხუა D. 6 მოს E.

1 თითქო პირველად „ანუ“ დაუწერია, მაგრამ შემდეგ ა წაუშლია. 2 არცხვნოს C. 3 სხვა C. 4 ელვარე C. 5 მოს C. 6 გან-რაჲ-ილძქეს C. 7 პეტრე C.

DE

თი მოსესა და ერთი ელიაძესა, რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა.

34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა შესლვად ღრუბელსა მას.

35. და ჯმად იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ.

36. და ესე რად იყო ჯმად, იპოვა იესუ მარტო. და მათ დაიდუმეს და არა-რად ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რომელ-იგი იხილეს.

37. და იყო მეროვსა დღესა გარდამოსლვასა მას მათსა მიერ მითთ მოეგებოდა მას ერი მრავალი.

38. და აჰა კაცმან ვინმე ღაღად-ყო ერსა მას<sup>1</sup> შორის და თქუა: მოძღუარ, გვედრები შენ, მოიხილე ძესა<sup>2</sup> ზედა ჩემსა, რამეთუ იგი ხოლო მარტოა მივის.

39. და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი და მესყუელად ღაღად-ყვის და და-აკუეთის, და პეროინ<sup>3</sup>, და ძნად განე-შორის მისგან და შემუსრის იგი.

40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რადთამცა განაშორეს იგი, და ვერ შე-უძღეს.

41. ხოლო იესუ ჰრქუა<sup>4</sup>: ზ ნათესავი გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს-ვიდებდე თქუენსა? მო-მგუარე მე აჰა ძმ შენი!

42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, და-აკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძწოლებდა<sup>5</sup> მას. და შეპრისხნა იესუ სულსა მას არა-წმიდასა და განკურნა ყრმაჲ იგი და მიჰსცა<sup>6</sup> იგი მამასა თჳსსა.

43. და განუკრდებოდა ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა და ყო-ველნი დაკრვებულ იყვნეს ყოველსა მას

C

თი მოსესა და ერთი ელიაძესა<sup>1</sup>, რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა.

34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა მათ შესლვად ღრუბელსა მას.

35. და ჯმად იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძმ<sup>2</sup> ჩემი საყუარელი<sup>3</sup>, ამისი ისმინეთ.

36. და ესე რად იყო ჯმად, იესუ იპო-ვა მარტო. და მათ დაიდუმეს და არა-რად ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რად იხილეს.

37. და იყო მერმესა დღესა გარდამოსლვასა მათსა მიერ მითთ მოეგებო-და მას ერი მრავალი.

38. და აჰა კაცმან ვინმე ღაღად-ყო ერსა მას შორის და თქუა: მოძღუარ, გვედრები შენ, მოიხილე ძესა ზედა ჩემ-სა, რამეთუ ეგე ხოლო მარტოა მივის.

39. და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი და მესყუელად ღაღად-ყვის და და-აკუეთის<sup>4</sup> იგი, და პეროინ, და ძნად გან-ნეშორის მისგან და შემუსრის იგი.

40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რადთამცა განაშორეს იგი, და ვერ შე-უძღეს.

41. ხოლო იესუ ჰრქუა: ზ ნათესავი გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს-ვიდებდე თქუენსა? მო-მგუარე მე აჰა ძმ შენი!

42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, და-აკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძწოლებდა მას. შეპრისხნა იესუ სულსა არაწმიდასა, და განიკურნა ყრმაჲ იგი, და მისცა იგი მამასა თჳსსა.

43. და განუკრდებოდა<sup>5</sup> ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა და ყო-ველნი დაკრვებულ იყვნეს ყოველსა მას

1 მასი — E. 2 ძმსა D. 3 პეროინ E. 4 თქუა D. 5 აძწოლებდა E. 6 მისცა E.

1 შელიაძესა C. 2 ძმ — C. 3 საყუარელი C. 4 დაკრვების C. 5 განუკრდებოდა C.

DE

C

ზედა, რომელსა იქმოდა იესუ. | ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თვისთა:

44. დაისხენით სიტყუანი ესე ყურთა თქუენთა, რამეთუ ძმ კაცისაჲ მიცემად არს ჳელთა კაცთასა.

45. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა მას, და იყო დაფარულ მათგან, რაჲთა ვერ გულისჳმა-ყონ<sup>1</sup> იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა სიტყუსა ამის-თჳს.

46. შევიდა მათა გულის სიტყუაჲცა: ვინ-ძი იყოს უდიდეს<sup>2</sup> შორის მათსა?

47. ხოლო იესუ იცნოდა გულის ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი მის წინაშე

48. და თქუა: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს<sup>3</sup> მომავლინებელი ჩემი. უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ.

49. და მიუგო იოვანე და ჰრქუა: მოძლუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა განასხმიდა ეშმაკთა, და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შეგვდგს ჩუენ თანა.

50. || ჰრქუა მას<sup>4</sup> იესუ: ნუ აყენებთ, რამეთუ რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს.

51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა ამალღებისა მისისათა და თავადმან დაამტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალჳმდ.

52. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისსა<sup>5</sup>. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რაჲთა მო-რაჲმე-უმზადონ მას.

53. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამე-

ზედა, რომელსა იქმოდა იესუ. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თვისთა:

44. დაისხენით სიტყუანი ესე ყურთა თქუენთა, რამეთუ ძმ კაცისაჲ მიცემად არს ჳელთა კაცთასა.

45. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა მას, და იყო დაფარულ მათგან, რაჲთა ვერ გულისჳმა-ყონ იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა ამის სიტყუსათჳს<sup>1</sup>.

46. შევიდა მათდა გულის სიტყუაჲცა<sup>2</sup>: ვინ-ძი იყოს უდიდეს შორის მათსა?

47. ხოლო იესუ იცნოდა გულის ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი წინაშე მისა

48. და ჰრქუა: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარა მომავლინებელი ჩემი, რამეთუ უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ.

49. მიუგო იოვანე და ჰრქუა: მოძლუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემოგვთქს ჩუენ.

50. ჰრქუა მას იესუ: ნუ აყენებთ მას, რამეთუ რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს.

51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა<sup>3</sup> აღმალღებისა მისისათა და თავადმან დაამტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალჳმდ<sup>4</sup>.

52. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისსა. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რაჲთა მო-რაჲმე-უმზადონ მას.

53. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამე-

1 გულისხმა-ყონ E. 2 ოდიდეს I. 3 შეიწყნა D. 4 მათ D. 5 მისა E.

1 სიტყუსათჳს C. 2 სიტყუაჲცა C. 3 დღეთა] —C. 4 იწლმდ C.

DE

C

თუ პირი მისი იყო მისლვად იერუსა-  
ლმში.

54. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მის-  
თა იაკობ და იოვანე, თქუეს: უფალო,  
გნებავს, ვთქუათ, რაჟთა ცეცხლი გარ-  
დამოვდეს ზეცით და აღვცინეს იგინი,  
ვითარცა ელია ყო?

55. მიექცა იესუ, შეპრისხნა მათ და  
ჰრქუა: არა უწყითა, რომლისა სულისა-  
ნი ხართ?

56. რამეთუ არა მოვიდა ძმ კაცისაჲ  
წარწყმედად სულთა კაცთასა, არამედ  
ცხორებდად. და წარვიდეს სხუასა დაბა-  
სა.

57. და იყო სლვასა მას მათსა გზასა  
ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ,  
ვიდრეცა მიხუალ.

58. ჰრქუა მას იესუ: მელთა გურელი  
უჩნს და ფრინველთა ცისათა საყოფე-  
ლი, ხოლო ძესა<sup>1</sup> კაცისასა არა აქუს,  
სადა თავი მიიდრიკოს.

59. ხოლო სხუასა ჰრქუა: მომდევდი  
მე. და მან თქუა: უფალო, მიბრძანე მე  
პირველად დაფლვად მამისა ჩემისა.

60. ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარ-  
ნი დაფლვად თვსთა მკუდართა, ხოლო  
შენ წარვედ და მიმოჰსდევ<sup>2</sup> სასუფევე-  
ლი<sup>3</sup> ღმრთისაჲ.

61. ჰრქუა მას სხუამანცა: მიგდევდე  
შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძა-  
ნე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან.

62. ჰრქუა მას იესუ: არავინ დასდვის  
კელი საწნველსა და ხედავენ<sup>4</sup> იგი გა-  
რეუკუნ<sup>5</sup> და წარმართებულ არს.

თუ პირი მისი იყო მისლვად იერუსა-  
ლმში<sup>1</sup>.

54. ვითარცა იხილეს მოწაფეთა<sup>2</sup> მათ  
იაკობ და იოვანე, ჰრქუეს: უფალო, გუნე-  
ბავს, ვითარცა ვთქუთ, რაჟთა გარ-  
დამოვდეს ცეცხლი ზეცით და ავცინეს  
იგინი.

55. მიექცა, შეპრისხნა მათ და თქუა:  
არა უწყითა, რომლისა სულისანი ხართ  
თქუენ?

56. რამეთუ ძმ კაცისაჲ არა მოვიდა  
სულთა კაცთასა წარწყმედად<sup>3</sup>, არამედ  
ცხორებდად. და წარვიდეს სხუასა დაბა-  
სა.

57. და იყო სლვასა მათსა გზასა ზე-  
და ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ, ვიდ-  
რეცა მიხუალ<sup>4</sup>.

58. ჰრქუა მას იესუ: მელთა გურელი  
უჩნს და ფრინველთა<sup>5</sup> ცისათა საყოფე-  
ლი, ხოლო ძესა კაცისასა არა უჩნს, სა-  
და თავი მიიდრიკოს.

59. ხოლო სხუასა ჰრქუა: მომდევდი  
მე. და მან ჰრქუა: უფალო, მიბრძანე მე  
პირველად მისლვად და დაფლვად მა-  
მისა ჩემისა.

60. ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარ-  
ნი დაფლვად თვსთა მკუდართა, ხოლო  
შენ წარვედ და მიმოლევ სასუფეველი  
ღმრთისაჲ.

61. ხ<sup>6</sup> ჰრქუა მას სხუამანცა: მი-  
გდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად  
მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთა-  
გან.

62. ჰრქუა მას იესუ: არავინ დასდვის  
კელი საწნველსა და ხედავენ გარეუკუნ და  
წარმართებულ არს სასუფეველსა ღმრთი-  
სასა.

1 ძმსა D. 2 მიმოსდევ E. 3 სასუფეველ D. 4 ხედავენ D. 5 გარეუკუნ E.

1 ი"მში C. 2 მოწაფეთა C. 3 წარწყმედ C (მართალია, ჯერ დაუწერია "წარწყმედად", მაგრამ ორ უკანასკნელ ასოზე ჰარავამ დაუსვამს და "არამედ"-ისათვის გამოუყენებია). 4 მიხ-  
ვალ C. 5 ასეა.

10

DE

C

1. ამისა შემდგომად გამოაჩინნა უფალ-  
მან სხუანიცა სამეოც და ათორმეტნი და  
წარავლინნა იგინი ორ-ორი წინაშე მის-  
სა<sup>1</sup> ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა,  
ვიდრეცა ეგულებოდა მას მისლვად.

2. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად  
არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრე-  
ნით უკუე უფალსა სამკალისასა, რადთა  
გამოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თვსსა.

3. წარვედით! აჰა ესერა მე წარგავე-  
ლინებ თქუენ ვითარცა კრავთა შორის  
მგელთა.

4. ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშ-  
კარანი, ნუცა შესასხმელი ფერკთაჲ და  
გზასა ზედა ნუვის მოიკითხავთ.

5. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ<sup>2</sup>,  
პირველად თქუთ: მშვდობაჲ სახლსა ამას!

6. და უკუეთუ იყოს მუნ ძმ<sup>3</sup> მშვდო-  
ბისაჲ, განისუენოს მის ზედა მშვდობა-  
მან თქუენმან<sup>3</sup>, უკუეთუ არა, — თქუენ-  
დავე მოიქცეს.

7. მასვე სახლსა შინა იყვენით, ჳამ-  
დით და სუემდით მათ თანა, რამეთუ  
ღირს არს მუშაკი სასყიდლისა<sup>4</sup> თვისსა,  
და ნუ მიხუალთ სახლითი-სახლად.

8. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ<sup>2</sup>,  
და შეგიწყნარნენ თქუენ, ჳამდით წინა-  
დაგებულსა თქუენსა

9. და განჳკურნებდით მას შინა უძ-  
ლურთა და ეტყოდეთ მათ, რამეთუ მო-  
ახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ  
თქუენ ზედა.

10. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ<sup>2</sup>,  
და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-  
რად-ხვდოდით მიერ უბანთა მისთა, არ-  
ქუთ მათ:

1. ამისა შემდგომად გამოაჩინნა უფალ-  
მან სხუანი სამეოც და ათორმეტნი და  
წარავლინნა იგინი ორ-ორი წინაშე მის-  
სა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა,  
ვიდრეცა ეგულებოდა მათ შესლვაჲ.

2. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად  
არს და მუშაკნი მცირედ. ევედრენით  
უკუე<sup>1</sup> უფალსა სამკალისასა, რადთა მო-  
ავლინნეს მუშაკნი სამკალსა თვსსა.

3. წარვედით! აჰა ესერა მიგავლინებ  
თქუენ ვითარცა კრავთა შორის მგელ-  
თა.

4. ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშ-  
კარანი, ნუცა შესასხმელი ფერკთაჲ და  
ნუვის გზასა ზედა მოიკითხავთ.

5. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ,  
პირველად თქუთ: მშვდობაჲ სახლსა ამას!

6. და უკუეთუ იყოს მუნ ძე მშვდო-  
ბისაჲ, განისუენოს<sup>2</sup> მის ზედა მშვდობა-  
მან თქუენმან, უკუეთუ<sup>3</sup> არა, — თქუენდა-  
ვე მოიქცეინ.

7. მასვე სახლსა შინა იყვენით, ჳამ-  
დით და სუემდით<sup>4</sup> მათ თანა, რამეთუ  
ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისსა,  
ნუ მიხუალთ<sup>5</sup> სახლითი-სახლად.

8. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და  
შეგიწყნარნენ თქუენ, ჳამდით წინა-და-  
გებულსა თქუენსა

9. და განჳკურნებდით მას შინა უძ-  
ლურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ  
არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთი-  
საჲ.

10. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ,  
და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-  
რად-ხვდოდით უბანთა მისთა, არქუთ  
მათ:

1 D-ში ერთი „ს“ მერმეა ჩამატებული იმავე მწერლისაგან. 2 შეხვდეთ D. 3 თქუენ-  
მან] —D. 4 სასყიდლისა (=სასყიდელისა?) D.

1 უკუე C. 2 განისუენოს C. 3 უკუეთუ C. 4 სუემდით C. 5 მიხვალთ C.



DE

C

11. აჰა ესერა მტუერი რომელი აღ-  
გუეკრა ფერკთა ჩუნთა ქალაქისაგან  
თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა; გარ-  
ნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ  
არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

12. გეტყ თქუენ: სოდომელთა უმოლ-  
ხინე იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქა-  
ლაქისა მის.

13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენ-  
და, ბეთსაიდა<sup>1</sup>, რამეთუ ტჯროსს და  
სიდონს თუმცა ექმნნეს ძალნი, რომელნი  
იქმნნეს თქუენ შორის, პირველემცა და-  
ძაძითა ნაცართა<sup>2</sup> ზედა მსხდომარეთა შე-  
ნინანეს.

14. ხ<sup>3</sup> ტჯროსსა და სიდონსა უმოლ-  
ხინე იყოს საშუგელსა მას, ვიდრე თქუენ.

15. და შენ, კაფარნაუმ<sup>4</sup>, ნუ ცად-  
მდე<sup>5</sup> აღჰმალღებდი<sup>6</sup>, არამედ ვიდრე  
ჯოჯობეთადმდე შთაჰქდე.

16. რომელმან ისმინოს თქუენი, ჩემი  
ისმინა; და რომელმან თქუენ შეუ-  
რაცხ-გყენეს, მან მე შეურაცხ-მყოს; და  
რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-  
ყოს მომავლინებელი ჩემი.

17. და მოიქცეს სამეოც და ათორ-  
მეტნი<sup>6</sup> იგი სიხარულითა და იტყოდეს:  
უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან  
სახელითა<sup>7</sup> შენითა.

18. ჰრქუა მათ იესუ: ვხედვედ მე<sup>8</sup>  
ეშმაკსა ვითარცა ელვასა, ზეცით გარ-  
დამოერდომილსა<sup>9</sup>.

19. აჰა ესერა მიგეც თქუენ კელმწი-  
ფებაჲ დათრგუნვად<sup>10</sup> ზედა გუელთა და  
ლრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა  
მტერისასა, და არარაჲ გავნოს თქუენ.

20. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ,  
რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩი-

11. აჰა ესერა მტუერი<sup>1</sup>, რომელ აღ-  
გუეკრა<sup>2</sup> ფერკთა ჩუნთა ქალაქისაგან  
თქუენისა, განვიყარეთ თქუენ ზედა; გარ-  
ნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ  
არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

12. გეტყ თქუენ: სოდომელთა უმოლ-  
ხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქა-  
ლაქისა მის.

13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენ-  
და, ბეთსაიდა<sup>3</sup>, რამეთუ ტჯროსს და სი-  
დონს თუმცა ექმნნეს ძალნი, რომელნი  
იქმნნეს<sup>4</sup> თქუენ შორის, პირველემცა<sup>5</sup>  
ძაძითა და ნაცართა ზედა მსხდომარე-  
თა შეინანეს.

14. რამეთუ ტჯროსსა და სიდონსა.  
უმოლხინეს ეყოს, ვიდრე თქუენ.

15. და შენ, კაფარნაუმ, ნუ ცამდე-  
აჰმალღებდი, არამედ ჯოჯობეთადმდე  
შთაჰქდე.

16. რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი  
ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-  
გყენეს, მან მე შეურაცხ-მყოს; და რო-  
მელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ყოს  
მომავლინებელი ჩემი.

17. და მოიქცეს სამეოც და ათორ-  
მეტნი იგი სიხარულითა და იტყოდეს:  
უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან  
სახელითა შენითა.

18. ჰრქუა მათ იესუ: ვხედვედ ეშმაკ-  
სა ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამო-  
ერდომილსა.

19. აჰა მიგეც თქუენ კელმწიფებაჲ  
დათრგუნვად გუელთა და ლრიაკალთა  
და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და  
არარაჲ თქუენ გავნოს.

20. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ<sup>6</sup>,  
რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩი-

1 ბეთსაიდა D. 2 ნაცარსა E. 3 კაფარნაომ I. 4 ცამდე D. 5 აღმალღებდი D. 6 სამე-  
ოც და ათორმეტი D. 7 სახლითა D. 8 მე —D. 9 დადმოვრდომილსა D. 10 დათგუნვად E.

1 მტუერი C. 2 აღგუეკრა C. 3 ბეთსაიდ C. 4 ასუა: ამავე მუხლში პირველად „ექმნნეს“  
სწერია, შემდეგ კი — „იქმნეს“. 5 პირველიმცა C. 6 ან: ნუ გიხარის C.

DE

ლებიან თქვენ, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა.

21. მას ეამსა შინა იხარებდა იესუ სულითა წმიდითა და თქუა: ალგარებ<sup>1</sup> შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე იგი ჩჩვლთა | ყრმათა. ჰე, მამაო, რამეთუ ეგრე სათნო-იყო<sup>2</sup> შენ წინაშე.

22. ყოველივე<sup>3</sup> მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არაეინ იცის, ვინ არს ძმ, გარნა მამამან, და არაეინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან<sup>4</sup>; და ვისი უნდეს ძესა<sup>5</sup> გამოცხადებად, გამოუცხადოს.

23. და მიექცა მოწაფეთა მისთა თუ-საგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ჰხედვენ, რომელსა თქუენ ჰხედავთ<sup>6</sup>, და ყურთა, რომელთა ესმის, რომელი თქუენ გესმის!

24. ხოლო გეტყვ თქუენ: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვად, რომელსა თქუენ ჰხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა.

25. და აჰა ესერა შჯულის მეცნიერი ვინმე აღდგა, გამოჰსცდიდა<sup>7</sup> მას და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ექმნე, რაჲთა ცხორებჲად საუკუნოჲ დაეიმარხო?

26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შჯულსა || ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხი?

27. ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი ვითარცა თავი თუხი.

C

ლებიან თქუენ, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა.

21. მას ეამსა შინა იხარებდა იესუ სულითა წმიდითა და თქუა: აგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა ყრმათა. ჰე<sup>1</sup>, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე.

22. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არაეინ იცის, ვინ არს ძმ, გარნა მამამან, და არაეინ იცის, მამაჲ ვინ არს, გარნა ძემან; და ვისცა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს.

23. და მიექცა მოწაფეთა<sup>2</sup> თუსაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუალნი<sup>3</sup>, რომელნი ხედვენ, და ყურნი, რომელთა ესმის, რომელი თქუენ გესმის!

24. ხოლო გეტყვ თქუენ: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა<sup>4</sup> უნდა ხილვის და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა.

25. და აჰა ესერა რჩულის მეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსცდიდა მას და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ექმნე, რაჲთა ცხორებჲად საუკუნოჲ დაეიმკვდრო?

26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: რჩულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხი?

27. ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი ვითარცა თავი თუხი.

1 აგარებ E. 2 სათნო-იყვ E. 3 ყოველი D. 4 ძმან D. 5 ძსა D. 6 ხედავთ D. 7 გამოსცდიდა E.  
1 ჰმ C. 2 მოწაფეთა C. 3 თუალნი C. 4 მეფეთა C.

D<sup>E</sup>

C

28. ჰრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და ჰსცხონდე<sup>1</sup>.

29. ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თვისი და ჰრქუა იესუს: და ვინ არს მოყუას ჩემდა?

30. მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა<sup>2</sup> იერუსალმით იერიქოდ, და ავაზაქნი დაესხნეს და განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს და დაუტევეს მწყულდარი<sup>3</sup>.

31. მღღელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და მიემთხვა და იხილა იგი და თანა-წარჰქდა.

32. და<sup>4</sup> ეგრევე ლევიტელი მასვე ადგილსა მოვიდა, იხილა იგი და თანა-წარჰქდა.

33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა და მივიდა მასვე ადგილსა | და იხილა იგი და შეეწყალა.

34. და მოუქდა მას და შეუხვა წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღუნოა და აღსუა იგი თვისსა კარაულსა<sup>5</sup> და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და ილუაწა იგი.

35. და ხვალისაგან, გან-რად-ვიდოდა, მიჰსცა<sup>6</sup> ორი დრაჰკანი ყოველთა სადგურისა მის მოლუაწესა და ჰრქუა მას: ილუაწე ეგე და, სხუად თუ რადმე წარაგო უმეტსი<sup>7</sup>, მო-რად-ვიდე, მაშინ მიგცე შენ.

36. აწ ვინ ამათ სამთაგანი გგონიეს მოყუას მისა, რომელი-იგი<sup>8</sup> შევარდა ავაზაკთა<sup>9</sup>?

37. ხოლო მან თქუა: რომელმან იგი ყო წყალობად მის თანა. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და შენცა ეგრევე ჰყოფდ.

38. და ვითარცა წარვიდეს ესენი და

28. ჰრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე.

29. ხოლო მას უნდა თავი თვისი განმართლებად და ჰრქუა: და ვინ არს მოყუას ჩემდა?

30. მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალმით<sup>1</sup> იერიქოდ, და ავაზაქნი დაესხნეს, განძარცუეს<sup>2</sup> იგი, დაწყლეს და წარვიდეს და დაუტევეს იგი მწყულდარი.

31. მღღელი ვინმე შთავიდოდა მას გზასა და მიემთხვა და იხილა იგი და თანა-წარჰქდა.

32. და ეგრევე ლევიტელი მასვე ადგილსა მოვიდა, იხილა იგი და თანა-წარჰქდა.

33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა და მოვიდა მასვე ადგილსა და იხილა იგი და შეეწყალა.

34. და მოუქდა მას და შეუხვა წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღუნოა<sup>3</sup> და აღსუა იგი კარაულსა თვისსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და ილუაწა<sup>4</sup> იგი.

35. და ხვალისაგან, გამო-რად-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოლუაწესა მას და ჰრქუა: ილუაწე ეგე და, სხუად თუ რადმე წარაგო უმეტესი, მო-რად-ვიდე, მიგცე შენ.

36. ვინ ამათ სამთაგანი გგონიეს მოყუას მისა<sup>5</sup>, რომელი-იგი შევარდა კელთა ავაზაკთასა<sup>6</sup>?

37. ხოლო მან ჰრქუა: რომელმან ყო წყალობად მის თანა. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრევე და სცხონდე.

38. და ვითარცა წარვიდეს ესენი და

1 სცხონდე E. 2 გარდამოვიდო D. 3 მწყულდარი E. 4 და | —D. 5 კარაულსა D. 6 მისცა E. 7 უმეტესი D. 8 რომელი-იგი E. 9 ავაზთა D.

1 იწმობთ C. 2 განძარცუეს C. 3 ღუნოა C. 4 ილუაწა C. 5 მისა C. 6 კელთა ავაზაკთა C.

DE

C

თავადი შევიდა დაბასა რომელსამე, და იყო ვინმე დედაკაცი, რომლისაჲ სახელი მართა<sup>1</sup>, და შეიყვანა თავადი სახლსა მისსა.

39. და იყო დაჲ || მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი ჯდა ფერჯთათანა იესუჲსთა<sup>2</sup> და ისმენდა სიტყუათა მისთა.

40. ხოლო<sup>3</sup> მართა მიმოდაზრუნვიდა<sup>4</sup> მრავლისათჳს მსახურებისა, ზედა მიადგა და ჰრქუა იესუს<sup>5</sup>: უფალო, არას ილუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად<sup>6</sup>. არქუ მას, რაჲთა შემეწოდის მე.

41. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს, და<sup>7</sup> აქა მცირედი არს საცმარ.

42. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოიჩინა, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

თავადი შევიდა დაბასა რომელსამე, იყო ვინმე დედაკაცი, რომლისა სახელი მართა<sup>1</sup>, და შეიყვანა თავადი სახიდ თჳსა.

39. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი ჯდა ფერჯთათანა იესუჲსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.

4. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ჳეცით იყო ანუ კაცთაგან?

5. ხოლო იგინი შეიზრახნეს | ურთიერთას და იტყოდეს<sup>2</sup>: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ჳეცით იყო, მრქუას ჩუენ: და რაჲსათჳს არა გრწმენა მისი?

6. და უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქეაჲ დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოვანე წინაწარმეტყუელად.

7. მიუგეს და ჰრქუეს: არა ვიცით, ვინაჲ იყო.

1. და იყო მათ დღეთა ოდენ ასწავებდა ერსა მას და ახარებდა ტაძარსა მას შინა. ზედა მოუტდეს მღდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი მოხუცებულითურთ,

2. ეტყოდეს მას და ჰრქუეს: მითხარ ჩუენ, რომლითა ჳელმწიფებითა ამას იქმ, ანუ ვინ მოგცა შენ ჳელმწიფებაჲ ესე?

3. მიუგო იესუ და ჰრქუა: გკითხო თქუენ სიტყუაჲ<sup>2</sup>, და მითხარო მე:

4. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ჳეცით იყო ანუ კაცთაგან?

5. ხოლო იგინი შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ჳეცით არს, მრქუას ჩუენ: რაჲსათჳს არა გრწმენა მისი?

6. უკუეთუ ვთქუათ<sup>3</sup>: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქეაჲ დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოვანე<sup>4</sup> წინადასწარმეტყუელად<sup>5</sup>.

7. და მიუგეს და ჰრქუეს: არა ვიცით, ვინაჲ იყო.

1 ჰპოვებდეს D. 2 იტყოდეს] თქუეს E.

1 იყო C (შეიძლება მომდევნო სიტყვის თავკიდურის გამო). 2 სიტყუაჲ C. 3 ვთქოთ C.

4 იოვანე C. 5 წინაწყლად C.

DE

C

8. და იესუ ჰრქუა მათ: არცა მე გი-  
თხრა თქუნენ, რომლითა კელმწიფებითა  
ამას ვიქმ.

9. და იწყო იგავით სიტყუად მათა: კაც-  
მან ვინმე დაასხა ვენაჯი და მიჰსცა<sup>1</sup> იგი  
მოქმედთა და წარვიდა მრავალთა ჟამთა.

10. და ჟამსა თუსსა მიაველინა მო-  
ქმედთა მათ მონაჲ თუსი, რადთა ნაყოფისა  
მისგან<sup>2</sup> მოსცენ მას. ხოლო მო-  
ქმედთა მათ ჰსცეს<sup>3</sup> და ტანჯეს და წა-  
რავლინეს იგი ცალიერი.

11. და შესძინა მიეღინებად სხუად  
მონაჲ. ხოლო მათ იგიცა გუემეს და წა-  
რავლინეს ცალიერი\*.

12. მერმე კულად მოაველინა მესამე<sup>4</sup>.  
ხოლო მათ შეიპყრეს და დაჰსდვეს<sup>5</sup> მას  
წყულულებად || და გამოაძეს<sup>6</sup> იგი.

13. და თქუა უფალმან მის ვენაჯისა-  
მან: რად ვყო? მივაელინო ძმ ჩემი სა-  
ყუარელი, ვინ იცის, ამისა<sup>7</sup> შეიკდიმონ.

14. ხოლო ვითარცა იხილეს იგი ქუე-  
ყანის მოქმედთა მათ, ზრახვიდეს ურთი-  
ერთას და თქუეს: ესე არს მკვდრი, მო-  
ვედით და მოვკლათ იგი, რადთა ჩუენდა  
იყოს სამკვდრებელი ესე.

15. და განიყვანეს იგი გარეშე<sup>8</sup> სავე-  
ნაჯესა მას და მოკლეს. აწ რად უყოს  
უფალმან სავენაჯისამან?

16. მოვიდეს და წარწყმიდნეს ქუეყა-  
ნის მოქმედნი იგი და მიჰსცეს<sup>9</sup> ვენაჯი  
იგი სხუათა. ხოლო მათ ვითარცა ესმა  
ესე, თქუეს<sup>10</sup>: ნუ იყოფინ!

17. ხოლო თავადმან მიჰხედა მათ და  
ჰრქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი,  
რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი  
იქმნა თავ საკიდურთა?

8. და იესუ ჰრქუა მათ: არცა მე გი-  
თხრა თქუნენ, რომლითა კელმწიფებითა  
მე ამას ვიქმ.

9. და იწყო იგავით სიტყუად მათდა:  
კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი და მისცა მოქ-  
მედთა და წარვიდა იგი მრავილთა ჟამთა.

10. და ჟამსა თუსსა მიაველინა მოქმედ-  
თა მათ მონაჲ თუსი, რადთა ნაყოფისა  
მისგანი მოსცენ მას. ხოლო მოქმედთა  
მათ სცეს, ტანჯეს და წარავლინეს იგი,  
ცალიერი.

11. და შესძინა მიეღინებად სხუად  
მონაჲ. ხოლო მათ იგიცა გუემეს<sup>1</sup> და  
წარავლინეს ცული.

12. მერმე კულად მიაველინა მესამე.  
ხოლო მათ შეიპყრეს და დასდვეს წყულ-  
ლებად და გამოაძეს იგი.

13. და თქუა უფალმან ვენაჯისამან:  
რად ვყო? მივაელინო ძმ<sup>2</sup> ჩემი საყუა-  
რელი, ვინ იცის, ამისა შეიკდიმონ.

14. ხოლო ვითარცა იხილეს ქუეყანის  
მოქმედთა მათ, ზრახვიდეს ურთიერთას:  
ესე არს მკვდრი, მოვკლათ იგი, რადთა  
ჩუენდა იყოს სამკვდრებელი.

15. და განიყვანეს იგი გარეშე<sup>3</sup> სავე-  
ნაჯესა მას და მოკლეს. აწ რად უყოს  
მათ უფალმან სავენაჯისამან?

16. მოვიდეს და წარწყმიდნეს ქუეყა-  
ნის მოქმედნი იგი და მისცეს ვენაჯი  
იგი სხუათა. ხოლო მათ ვითარცა ესმა  
ესე, თქუეს: ნუ იყოფინ!

17. ხოლო თავადმან მიხედა (მათ და  
ჰრქუა)<sup>4</sup>: ვითარ არს წერილი ესე: ლო-  
დი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა,  
იგი იქმნა თავ საკიდურთა?

1 მისცა E. 2 მისგანი E. 3 სცეს E. 4 მესამე D. 5 დასდვეს E. 6 გამოაძეს D. 7 ამი-  
სი E (D-ს გადაშწორსაც უკარ თითქო „ი“ დაუწერია, ძაგრამ შემდეგ „ა“-დ გადაუსწორებია).  
8 გარეშე E. 9 მისცეს E. 10 და თქუეს DE.

\* E-ში მეორდება მე-11 მუხლი იმ განსხვავებით, რომ „ცალიერის“ ნაცვლად „ცული“  
იკითხება.

DE

C

18. ყოველი, რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაჰქრიოს იგი.

19. და უნდა მღდელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა<sup>1</sup> დასხმად კელთა მათთა მას ეამსა შინა, და ეშინოდა ერისა მის: გულისგმა-ყვეს<sup>2</sup>, რამეთუ მათთს თქუა იგაეი ესე.

20. და მზირ-უყვეს მას და მიავლინენ მზირნი ორგულნი, რომელნი მართალს იტყოდეს თავთა თვსთა, რადთა პოვონ რადმე სიტყუად მის თანა და მიჰსცენ<sup>3</sup> იგი მთავრობასა და კელმწიფებასა მთავრისასა.

21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ მართალსა იტყვ და ასწავებ და არაეის თუალთ-ალებ<sup>4</sup>, არამედ კეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ.

22. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად<sup>5</sup> ანუ არა?

23. და გულისგმა-ყო<sup>6</sup> იესუ ზაკულეზა იგი მათი და ჰრქუა მათ: რადსათვს გამომცდლით მე?

24. მიჩუნეთ მე დრაჰკანი! ვისი არს ხატი და ზედაწერილი? ხოლო მათ ჰრუეს: კეისრისაჲ.

25. და იესუ ჰრქუა მათ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.

26. და ვერარად უპოვეს<sup>7</sup> სიტყვს გეზაჲ<sup>8</sup> წინაშე ერისა მის. და უკვრდა სიტყვს გეზაჲ<sup>9</sup> იგი მისი და ღუმნეს<sup>10</sup>.

27. მო-ვინმე-უყდეს მას ეამსა შინა<sup>11</sup> საღუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომად არა არსო, || და ჰკითხვიდეს<sup>12</sup> მას და ეტყოდეს:

18. ყოველი, რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაჰქრიოს.

19. და უნდა მღდელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა დასხმად კელთა მათთა მას ეამსა შინა, და<sup>1</sup> ეშინოდა ერისა მის, რამეთუ გულისგმა-ყვეს, ვითარმედ მათთს თქუა იგაეი ესე.

20. და მზირ-უყვეს მას და მიავლინენ მზირნი ორგულნი, რომელნი მართალს იტყოდეს თავთა თვსთა, რადთა პოვონ რადმე სიტყუად<sup>2</sup> მის თანა და მიჰსცენ იგი მთავრობასა და კელმწიფებასა მთავრისასა.

21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ<sup>3</sup>, ვიცით, რამეთუ სამართალსა იტყვ და ასწავებ და არაეის თუალთ-ალებ<sup>4</sup>, არამედ კეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ.

22. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად ანუ არა?

23. და გულისგმა-ყო ზაკულეზა იგი მათი და ჰრქუა მათ: რადსათვს გამომცდლით მე?

24. მიჩუნეთ<sup>5</sup> მე დრაჰკანი! ვისი არს ხატი და ზედაწერილი? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს<sup>6</sup>: კეისრისაჲ.

25. და იესუ ჰრქუა მათ: აწ უკუე მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.

26. და ვერარად უპოვეს სიტყვს<sup>7</sup> გეზაჲ წინაშე ერისა მის. და უკვრდა სიტყვს გეზაჲ იგი მისი და დაღუმნეს.

27. მო-ვინმე-უყდეს მას ეამსა შინა საღუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომად არა არსო. ჰკითხეს მას და ეტყოდეს:

1 მათ და მწიგნობართა] — D. 2 გულისგმა-ყვეს E. 3 მისცენ E. 4 თუალთ-ალებ D. 5 მიცემად E. 6 გულისგმა-ყო E. 7 უპოვეს D. 8 სიტყვს მიგებაჲ E. 9 სიტყვს მიგებაჲ D. 10 და დაღუმნეს E. 11 შინა] — E. 12 ჰკითხეს D.

1 და] რამეთუ (რ) C. 2 სიტყუად C. 3 მოძღუარ C. 4 თვალთ-ალებ C. 5 მიჩუნეთ C. 6 ჰრქოს C. 7 სიტყუს C.

DE

C

28. მოძღუარ, მოსე<sup>1</sup> ესრე დამიწერა ჩუენ: უკუეთუ ვისმე ძმაჲ მოუკუდეს<sup>2</sup> და ესუას მას ცოლი და იგი უშვილო<sup>3</sup> იყოს, რაჲთა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.

29. შჳდნი ძმანი იყენეს ჩუენ შორის. და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშვილოჲ.

30. და მეორემან და მესამემან.

31. და მოწყდეს უშვილონი. ეგრევე შჳდთა მათ, და არა დაუშთა შვილი.

32. და მათსა შემდგომად მოკუდა დედაკაციცა იგი.

33. აწ უკუე აღდგომასა მკუდართასა ვისა მათგანისა იყოს ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?

34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნაშობნი<sup>4</sup> ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ;

35. ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნეს<sup>5</sup> საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მკუდრეთით, არცა იქორწინებიან<sup>6</sup>, არცა განჰქორწინებენ<sup>7</sup>,

36. არცაღა მერმე სიკუდილდ<sup>8</sup> | ჳელეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან.

37. ხოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაყულოვანსა მას ზედა, ვითარცა ეტყჳს უფალსა ღმერთსა აბრაჰამისსა და ღმერთსა ისააკისსა<sup>9</sup> და ღმერთსა იაკობისსა.

38. რამეთუ ღმერთი არა არს მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე.

39. მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართა და ჰრქუეს: მოძღუარ, კეთილად ჰსთქუ<sup>10</sup>.

40. და ვერღარა იკადრეს კითხვად

28. მოძღუარ, მოსე ესრე დამიწერა ჩუენ: უკუეთუ<sup>1</sup> ვისამე მოკუდეს ძმაჲ და ესუას ცოლი და იგი უშვილო იყოს, რაჲთა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.

29. შჳდნი ძმანი იყენეს ჩუენ შორის. პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშვილოჲ.

30. და მეორემან და მესამემან.

31. და მოწყდეს უშვილონი. ეგრევე შჳდთა მათ, და არა დაშთა შვილი.

32. და მათსა შემდგომად მოკუდა დედაკაციცა იგი.

33. აწ უკუე აღდგომასა მას მკუდართასა ვისა მათგანისა იყოს ცოლად, რამეთუ შჳდთავე ესუა იგი ცოლად?

34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ;

35. ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნეს საუკუნესა მას მიმთხუევად<sup>2</sup> და აღდგომასა მკუდრეთით, არცა იქორწინებოდნან, არცა განჰქორწინებდენ,

36. არცა სიკუდილდ მერმე ჳელეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი...

37.

38.

39.

40.

1 მოსე E. 2 მოუდეს D. 3 უშვილოჲ D. 4 ნაშობნი იგი D. 5 იქმნეს D. 6 იქორწინებიან D. 7 განიქორწინებენ D. 8 სიკუდილდ D. 9 ისააკისსა D. 10 სთქუ E.

1 უკუეთუ C. 2 მიმთხუევად C.

DI:

C

მისა მიერთვან. და ჰრქუა მათ უფალ-  
მან:

41. ვითარ უკუე იტყვან თქუენგანნი  
ვინმე ქრისტესა<sup>1</sup> ძედ<sup>2</sup> დავითისა<sup>3</sup>?

42. რამეთუ თვთ იგი დავით იტყვს  
წიგნსა ფსალმუნთასა: ჰრქუა უფალმან  
უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით<sup>4</sup>  
ჩემსა,

43. ვიდრემდე<sup>5</sup> დავსხნე მტერნი შენ-  
ნი ქუეშე ფერჯთა შენთა.

44. თვთ იგი დავით უფლით ჰხადის,  
და ვითარ ძმ მისი არს?

45. და ვითარცა ესმოდა ესე ყოველ-  
სა მას ერსა, ჰრქუა მოწაფეთა თვთა:

46. ეკრძაღენით მწიგნობართა მათ-  
გან, რომელთა ჰნებავს || სამოსლითა  
სლვაჲ და<sup>6</sup> რომელთა უყუარს უბანთა  
ზედა მოკითხვაჲ და პირველ-ჯდომაჲ<sup>7</sup>  
კრებულსა შორის და ზემოჯდომაჲ პურ-  
სა ზედა,

47. რომელნი შეჰკამენ<sup>8</sup> სახლებსა  
ქურიეთასა და მიზეზით განგრძობილად<sup>9</sup>  
ილოცვედ. ამათ მიიღონ უმეტესი სა-  
შჯელი.

41.

42.

43.

... შენნი<sup>1</sup> ქუე ფერჯთა შენთა.

44. თვთ იგი დავით უფლით ხადას,  
და ვითარ ძე მისი არს?

45. და ვითარ ესმოდა ესე ყოველსა  
მას ერსა, ჰრქუა მოწაფეთა თვთა:

46. ეკრძაღენით მწიგნობართა, რომ-  
ელთა ჰნებავს სამოსლითა სლვაჲ და  
რომელთა ჰნებავს უბანთა ზედა მოკი-  
თხვაჲ და პირველ-ჯდომაჲ კრებულსა  
შორის და ზემოჯდომაჲ პურსა ზედა,

47. რომელნი შეჰკამენ სახლსა ქურიე-  
თასა და მიზეზით შორად ილოცვენ.  
ამათ მიიღონ უმეტესი სარჩელი.

21

1. და მიჰხედა და იხილა, რომელნი-  
იგი დაჰსდებდეს<sup>10</sup> შესაწირავსა ფასის  
საცაევსა მას მდიდარნი.

2. და იხილა ვინმე ქურიევი გლახაკი,  
რომელმან დადვა ორი მწულილი.

3. და თქუა იესუ: ქეშმარიტად გეტყვ  
თქუენ, რამეთუ ქურიევან ამან გლახაკ-  
მან უმეტეს<sup>11</sup> ყოველთასა შეწირა,

4. რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტნა-  
ვისაგან მათისა შეწირეს დასადებელსა  
ამას, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან

1. მიხედა და იხილა, რომელნი და-  
სდებდეს შესაწირავსა ფასის საცაევსა მას  
მდიდარნი.

2. და იხილა ვინმე ქურიევი გლახაკი,  
რომელმან დადვა ორი მწულილი.

3. და თქუა იესუ: ქეშმარიტად გეტყვ  
თქუენ, რამეთუ ქურიევან გლახაკმან უმე-  
ტეს ყოველთასა შეწირა,

4. რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტნა-  
ვისაგან<sup>2</sup> მათისა შეწირეს დასადებელ-  
სა ამას, ხოლო ამან ნაკლულევანებისა-

1 ქრისტესა D. 2 ძედ D. 3 დავითისისა (დ'თისისა) D. 4 მარჯუენით D. 5 ვიდრემდის (ვ'დს) E. 6 და] —E. 7 პირველად ჯდომაჲ D. 8 შეჰკამენ E. 9 განგრძობილად D. 10 და-  
სდებდეს E. 11 უმეტეს D.

1 შენი C. 2 ნამეტავისასაგან C.

D:

თვისისა ყოველი, რაჲცა აქუნდა საცხო-  
რებელი, შეწირა.

5. და რომელნიმე<sup>1</sup> იტყოდეს ტაძრი-  
სა<sup>2</sup> მისთვის, ვითარმედ: ქვითა კეთილი-  
თა და პატროსნითა შენებულ არს; და  
თქუა | იესუ:

6. ჰხედავთ ამას? არამედ მოვლენან  
დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს<sup>3</sup>  
ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა და-  
ირღუეს.

7. ჰკითხეს მას მოწაფეთა: მოძღუარ,  
ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული,  
რაჲჲმს ესე ყოფად არს?

8. ხოლო თავადმან ჰრქუა: იხილეთ,  
ნუუკუე სცთეთ<sup>4</sup>, რამეთუ მრავალნი მო-  
ვიდოდნიან სახელითა ჩემითა და იტყო-  
დიან, ვითარმედ მე ვარ. ხოლო ჟამი  
მოწვევულ არს, ნუ მიხუალთ შედგომად  
მათა.

9. ოდეს გესმოდნიან ბრძოლანი და  
შფოთნი, ნუ შეჰსძრწუნდებით<sup>5</sup>, რამეთუ  
ჯერ-არს ესე პირველად ყოფად, და არ-  
ლა მეყსეულად იყოს აღსასრული.

10. მაშინ ეტყოდა მათ: აღდგენ ნა-  
თესაენი ნათესავთა ზედა და მეუფებამ  
მეუფებათა ზედა;

11. და იყვნენ ძრვანი დიდ-დიდნი  
აღგილ-აღგილ, სიყმილნი და სრვანი, სა-  
შინელეზანი ზეცით, და სასწაულნი დიდ-  
დიდნი იყვნენ.

12. ხოლო ამით ყოველთა წინა და-  
გასხნენ თქუენ ზედა || ჳელნი მათნი და  
გღვენიდენ და მიგცნენ<sup>6</sup> თქუენ შესა-  
კრებელთა და საპყრობილესა, მეფეთა  
წინაშე და მთავართა მიგიყვანენ სახე-  
ლისა ჩემისათჳს.

13. და გექმნეს თქუენ ესე საწამე-  
ბელ.

14. დაისხენით ესე გულთა თქუენთა,

C

გან თვისისა ყოველი, რაჲცა აქუნდა სა-  
ცხოვრებელი, შეწირა.

5. და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისა  
მისთვის, ვითარმედ: ქვითა კეთილითა  
და პატროსნითა შენებულ არს; და თქუა:

6. ხედავთა ამას? მოვლენან დღენი,  
რომელთა შინა არა დაშთეს ქვაჲ ქვასა  
ზედა, რომელი არა დაირღუეს.

7. ჰკითხეს მოწაფეთა: მოძღუარ, ოდეს  
იყოს, და რაჲ არს სასწაული, ოდეს ესე  
ყოფად არს?

8. ხოლო თავადმან ჰრქუა: იხილესა,  
ნუუკუე სცთეთ, რამეთუ მრავალნი მოვი-  
დოდნიან სახელითა ჩემითა და იტყოდი-  
ან, ვითარმედ მე ვარ; და ჟამი მოწვე-  
ვულ არს, ნუ მიხუალთ შედგომად მა-  
თა<sup>1</sup>.

9. ოდეს გესმოდნიან ბრძოლანი და  
შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით<sup>2</sup>, რამეთუ  
ჯერ-არს ყოფად, და არლა მეყსეულად  
იყოს აღსასრული.

10. მაშინ ეტყოდა მათ: აღდგენ ნა-  
თესაენი ნათესავსა ზედა და მეუფებამ  
მეუფებასა ზედა;

11. და იყვნენ ძრვანი დიდ-დიდნი  
აღგილ-აღგილ, სიყმილნი და სრვანი,  
საშინელეზანი ზეცით, სასწაულნი დიდ-  
დიდნი იყვნენ.

12. ხოლო ამით ყოველთა წინა და-  
გასხნენ თქუენ ზედა ჳელნი მათნი და  
გღვენიდენ და მიგცნენ თქუენ შესაკრე-  
ბელთა და საპყრობილესა, მეფეთა წი-  
ნაშე და მთავართა მიგიყვანებდენ თქუენ  
სახელისა<sup>3</sup> ჩემისათჳს.

13. და გექმნეს თქუენ ესე საწამე-  
ბელ.

14. დაისხენით ესენი გულთა თქუენ-

1 რომელნი D. 2 ტაძრისა D. 3 დაშთეს D. 4 სცთეთ E. 5 შესძრწუნდებით E. 6 მიგცნენ D.

1 მათდა C. 2 შესრწუნდებით C. 3 სახე|სახელისა C.

DE

C

რადათა არა წინადასწარ იწურთიდეთ, რად სიტყუად<sup>1</sup> მიუგოთ,

15. რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე<sup>2</sup>, რომელსა ვერ უძღონ წინააღმდეგომად და სიტყუს გებად ყოველთა წინააღმდეგომთა<sup>3</sup> თქუენთა.

16. რამეთუ მიეცნეთ თქუენ მამა-დედათაგან<sup>4</sup> და ძმათა და მეგობართა და ნათესავთაგან, და მოკლვიდენ თქუენგანთა;

17. და იყენეთ თქუენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათუს.

18. და თმად თავისა თქუენისად არა წარწყმდეს.

19. და მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.

20. რაჟამს იხილოთ გარე-მოდგომილი იერუსალმში ერისაგან, მაშინ გულისგმა-ყავთ<sup>5</sup>, რამეთუ მოახლებულ არს მოოჯრებად მისი.

21. მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყენენ, ივლტოდედ<sup>1</sup> მთად; და რომელნი იყენენ შორის მისა, განივლტოდედ; და რომელნი ველსა გარე<sup>6</sup> იყენენ, ნუ შეველენდ მუნ.

22. რამეთუ დღენი შურის-გებისანი მისანი ესე<sup>7</sup> არიან, რადათა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.

23. ხოლო ვად მუცელ-ქმულთა და რომელნი აწოებდენ<sup>8</sup> მათ დღეთა შინა, რამეთუ იყოს მაშინ ქირი დიდი ქუეყანასა ზედა და რისხვად ერსა მას ზედა.

24. და დაეცნენ პირითა მახჯლისადთა და<sup>9</sup> წარიტყუენნენ ყოველთა მიერ წარმართთა<sup>10</sup>; და იერუსალმში დათრგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი.

25. და იყოს სასწაული მზესა<sup>11</sup> და

თა, რადათა არა წინადასწარ იწურთიდეთ, რად სიტყუად მიუგოთ,

15. რამეთუ მოგცეს თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძღონ წინააღმდეგომად და სიტყუს გებად ყოველთა წინააღმდეგომთა თქუენთა.

16. რამეთუ მიეცნენ თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა და ნათესავთა, და მოკლვიდენ თქუენგანთა;

17. და იყენეთ თქუენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათუს.

18. და თმად თავისა თქუენისად (ყუ-დად არა წარწყმდეს;

19. მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.

20. რაჟამს იხილოთ იერუსალმში გარე-მოდგომილი ერისაგან, მაშინ გულისგმა-ყავთ, რამეთუ მოახლებულ არს მოოჯრებად მისი.

21. მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყენენ, ივლტოდედ<sup>1</sup> მთად კერძო; და რომელნი იყენენ შუვა მისა, განივლტოდედ; და რომელნი ველსა იყენენ<sup>2</sup>, ნუ შეველენდ მუნ.

22. რამეთუ დღენი შურის-გებისანი არიან, რადათა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.

23. ხოლო ვად მუცელ-ქმულთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა, რამეთუ იყოს ქირი დიდი მაშინ ქუეყანასა ზედა და რისხვად ერსა მას.

24. და დაეცნენ პირითა მახჯლისადთა, და წარიტყუენნენ<sup>3</sup> ყოველთა მიმართ წარმართთა; და იერუსალმში დათრგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი.

25. [და] იყოს სასწაული მზესა და

1 სიტყუად D. 2 სიბრძნე D. 3 წინააღმდეგომთა D. 4 მამა-დედაგან E. 5 გულისგმა-ყავთ E. 6 გარე E. 7 ესენი D. 8 აწოებდენ E. 9 და — E. 10 წარმართთა D. 11 მზესა E.

1 ივლტოდედ C. 2 იყენდ C. 3 წარიტყუენნენ C.



DE

C

და მთოვარესა და ვარსკულავთა<sup>1</sup>, და ქუეყანასა ზედა შეკრებაჲ თესლებისაჲ განკვრებიითა ოხრისაჲთა, ვითარცა ზღუსაგან<sup>2</sup> და ძრვისა;

26. სულითა კაცთაჲთა<sup>3</sup> შიშისაგან და მოლოდებისა მომავალსა<sup>4</sup> ზედა სოფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ.

27. || და მაშინ იხილონ<sup>5</sup> ძმ კაცისაჲ, ნომავალი ღრუბლითა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

28. და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი, აღიპყრენით თავნი თქუენნი, რამეთუ მოწვეულ არს გამოჯსნაჲ თქუენი.

29. და ეტყოდა მათ იგაგსა: იხილეთ ლელჲ და ყოველნი ხენი.

30. რაჟამს გამოვალნ ფურცელი, თუთ უწყოდით, რამეთუ ახლოს არს ზათხუელი.

31. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

32. ამენ გეტყჲ თქუენ: არა წარჯდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს.

33. ცანი და ქუეყანაჲ წარჯდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჯდენ.

34. ეკრძალებით თავთა თქუენთა, ნუჟუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისაჲთა, და მეყსეთლად მოიწიოს დღე<sup>6</sup> იგი თქუენ ზედა,

35. რამეთუ ვითარცა საფრკჲ<sup>7</sup> მოუტდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა<sup>8</sup> ქუეყანისასა.

36. იღჲძებდით უკუე ყოველსა ეამსა და ევედრებოდეთ, | რაჲთა ღირს იქმნეთ<sup>9</sup> განრინებად ამის ყოვლისაგან, რო-

მთოვარესა და ვარსკულავთა<sup>1</sup>, შეკრებაჲ თესლებისაჲ განკვრებიითა ოხრისაჲთა, ვითარცა ზღუსაგან<sup>2</sup> და ძრვისა;

26. სულითა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალისა ზედა სოფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ<sup>3</sup>.

27. და მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ, ნომავალი ღრუბელთა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

28. და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი<sup>4</sup> და აღიპყრენით კელნი, რამეთუ მოწვეულ არს გამოჯსნაჲ თქუენი.

29.

30.

31.

32.

33.

34.

35.

36.

1 ვარსკულავთა D. 2 ზღუსაგან D. 2 სულისა კაცთაჲთა E. 4 მომავალისა E. 5 იხილოთ D. 6 დღე E. 7 საფრკე D. 8 ყოველი (ყლი) D. 9 იქმნეთ D.

1 ვარსკულავთა C. 2 ზღუსაგან C. 3 შეირნენ C. 4 თვალნი C.

DE

C

შელი ყოფად არს, და დადგრომად<sup>1</sup> წინაშე ძისა კაცისა.

37. და იყოფოდა<sup>2</sup> თავადი ტაძარსა მას შინა დღისი და ასწავებდა; ხოლო ლამე<sup>3</sup> განვიდის<sup>4</sup> და იქცევიან მთასა მას, რომელსა ჰრქვან ზეთის ხილთაჲ.

38. და ყოველმან ერმან აღიმსთეს მისა<sup>5</sup> ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა მათ მისთა.

22

1. და მოახლებულ იყო დღესასწაული<sup>6</sup> იგი უცომოებისაჲ, რომელსა ჰრქვან პასქაჲ.

2. და ეძიებდეს მას მღდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, ვითარმცა მოკლეს იგი, ხოლო ეშინოდა ერისა მის.

3. და შეუჴდა ეშმაკი იუდას, რომელსა<sup>7</sup> ერქუა ისკარიოტელ. და იყო იგი რიცხვსაგან ათორმეტთაჲ.

4. და შევიდა იგი, ეზრახა მღდელთ მოძღუართა და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა მიჰსცა<sup>8</sup> იგი მათ.

5. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად.

6. || და აღუვარა<sup>9</sup> მათ და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მიჰსცეს<sup>10</sup> იგი მათ თვნიერ ერისა.

7. მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქაჲ იგი დაკლვად.

8. და წარაელინნა პეტრე და იოვანე და ჰრქუა მათ: წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასქაჲ, რაჲთა ვჭამოთ.

9. ხოლო მათ ჰრქუეს: სადა გნებავს, და მოვიმზადოთ?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: აჰა

1 დადგომად E. 2 იყოფოდა E. 3 ლამე E. 4 განვიდით E. 5 მისა D. 6 დღესასწაული E 7 რომელ (რლ) D. 8 მისცა E. 9 აუვარა D. 10 მისცეს E.

ეგერა შესლვასა ოდენ თქუნსა ქალაქად შეგემთხვოს თქუნ კაცი, რომელსა ლაგზნი წყლითა ზე<sup>1</sup> ედგას; შეუდევით მას სახიდ, ვიდრეცა შევიდეს,

11. და არქუთ უფალსა მას სახლისასა: გეტყვს შენ მოძღუარი: სადა არს სავანე, რომელსა პასქად ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვკამო?

12. და მან გიჩუენოს თქუნ ქორი დაგებული დიდი; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.

13. და წარვიდეს და პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ, და მომზადეს პასქად იგი.

14. და ოდეს იყო ეამი, დაჯდა, და ათორმეტნი<sup>2</sup> მოწაფენი მის თანა.

15. და ჰრქუა მათ: გულის სიტყვთ გული მითქუმიდა | პასქასა ამას<sup>3</sup> ჰამად თქუნ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა.

16. ხოლო გეტყვს თქუნ: არღარა ვკამო ამიერითგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა.

17. და მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ ესე და განიყავთ თავისა თქუნისა.

18. ხოლო გეტყვს თქუნ: ამიერითგან არღარა ესუა ნაყოფისაგან ამის<sup>4</sup> ვენანჯისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს.

19. და მოილო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მიჰსცა<sup>5</sup> მათ და თქუა<sup>6</sup>: ესე არს ჯორცი ჩემი თქუნთჳს მიცემული, ამას ჰყოფდით მოსავსენებელად ჩემდა.

20. ეგრევე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა მოილო და თქუა: ესე სასუმელი—ახალი შუჯული სისხლისა ჩემისაჲ თქუნთჳს დათხეული.

21. ხოლო აჰა კელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ თანა ტაბლასა ზედა.

11.

12.

13.

14.

15.

... [გული მით]ქუმიდა პასქასა ამას ჰამად თქუნ თანა, ვე ვნებადმდე ჩემდა.

16. ხოლო გეტყვს თქუნ: არღარა ვკამო ამისგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა ღმრთისასა.

17. და მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ ესე და განიყავთ<sup>1</sup> თავისა თქუნისა.

18. ხოლო გეტყვს თქუნ: ამიერითგან არღარა ესუა ნაყოფისაგან ვენანჯისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს..

19. და მოილო პური, ჰმადლობდა და განტეხა, მისცა მათ და ჰრქუა: ესე არს ჯორცი ჩემი თქუნთჳს[ს] მიცემული; ამას ჰყოფდით ჩემდა მოსავსენებელად.

20. ეგრევე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი—ახალი რჩული სისხლისა ჩემისაჲ თქუნთჳს დათხეული.

21. ხოლო აჰა კელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ თანა ტაბლასა ზედა.

1 ზმ E. 2 ათორმენი D. 3 მას E. 4 ამის] — D. 5 მისცა E. 6 ჰრქუა (ჰქა) E.

1 განუყავთ C (ან არა და სახელის ფორმა უნდა შესწორდეს ამგვარად: განუყავთ თავსა თქუნსა).

DE

C

22. ძმ სამე<sup>1</sup> კაცისაჲ მსგავსად განჩინებულისა მისისა წარვალს, ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, || ვის მიერ მიეცემის იგი!

23 და მათ იწყეს გამოძიებად ურთიერთას: ვინმე არს მათგანი, რომელსა ეგულების ესე ყოფად?

24. და იყო ცილობაჲცა მათ შორის, ვითარმედ ვინ-მე იყოს დიდ მათგანი?

25. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებედ მათ ზედა, და რომელთა ჯელმწიფებაჲ აქუს მათ ზედა, ქველის მოქმედ ჰრქვან.

26. ხოლო თქუენ არა ეგრეთ<sup>2</sup> იყენეთ, არამედ უდიდესი<sup>3</sup> იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი—ვითარცა მსახური.

27. ვინ არს უფროჲს: რომელი ინაჯით-ზის ანუ რომელი ჰმსახურებს? ანუ არა რომელი-იგი ინაჯით-ზის? ხოლო მე ვარ თქუენ შორის ვითარცა მსახური.

28. და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერიტ ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა.

29. და მე აღვითქუამ თქუენ. ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემმან სასუფეველი,

30. რაჲთა ჰჰკამდეთ<sup>4</sup> და ჰსუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა სასუფეველსა შინა ჩემსა და დასხდეთ თქუენ ათორმეტთა საყდართა | და შჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაჲლისათა.

31. (და თქუა უფალმან)<sup>5</sup>: სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან<sup>6</sup> გამოგითხოვნა თქუენ<sup>7</sup> აღცრად ვითარცა იფქლი.

32. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჲს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებებაჲ შენი, და შენ ოდესმე მიიქცე<sup>8</sup> და განამტკიცენ ძმანი შენნი.

22. ძმ სამე კაცისაჲ მსგავსად განჩინებულისა მისისა წარვალს, ხოლო ვაჲ არს კაცისაჲ მის, ვის მიერ მიეცემის იგი!

23. [და] მათ იწყეს ძიებად ურთიერთას: ვინ-მე არს მათგანი, რომელსა ეგულების ესე ყოფად?

24. და იყო ცილობაჲცა მათ შორის, ვითარმედ ვინ-მე იყოს დიდ მათგანი?

25. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებდენ მათ ზედა, და რომელთა ჯელმწიფებაჲ აქუს<sup>1</sup> მათ ზედა, ქველის მოქმედ ჰრქვან<sup>2</sup>.

26. ხოლო თქუენ არა ეგრე იყენეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ<sup>3</sup>, და წინამძღუარი იგი—ვითარცა მსახური.

27. ვინ არს უფალი: რომელი ინაჯით-ზის ანუ რომელი მსახურებს? ანუ არა რომელი ინაჯით-ზის? ხოლო მე ვარ თქუენ შორის ვითარცა მსახური.

28. თქუენ ხართ, რომელნი დაადგერიტ ჩემ თანა განსაცდელთა<sup>4</sup> შინა ჩემთა.

29. და მე აღვითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემმან სასუფეველი,

30. რაჲთა სკამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ჩემსა ზედა სასუფეველსა შინა ჩემსა და დასხდეთ ათორმეტნი საყდართა და სჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაჲლისათა.

31. სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად ვითარცა იფქლი.

32. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჲს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და შენ ოდესმე მიიქცე და განამტკიცენ<sup>5</sup> ძმანი შენნი.

1 სამშ E. 2 ვგრ I. 3 უდიდეს D. 4 ჰკამდეთ E. 5 და თქუა უფალმან — DE. 6 ეშმაკმან D. 7 გამოგითხოვნა თქუენ ეშმაკმან E. 8 მიიქცე E.

1 აქუნს C. 2 ჰრქვან C. 3 მრწემ C. 4 განსაცდელთა C. 5 განამტკიცენ C.

DE

C

33. ხოლო მან ჰრქუა: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილდ<sup>1</sup> მისლვად.

34. ხოლო თავადმან ჰრქუა: გეტყვ შენ, პეტრე: არღარა ეყივნოს ქათამსა დღეს<sup>2</sup>, ვიდრემდე სამ გზის უვარ-მყო მე, ვითარმედ არა მიცი მე.

35. და ჰრქუა მათ: ოდეს-იგი წარგავლინენ<sup>1</sup> თქუენ თვნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერჯთა შესასხმელთა<sup>3</sup>, ნუ გაკლდა რაჲ თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არარაჲ გუაკლდა.

36. და მერმე ჰრქუა: არამედ აწ<sup>4</sup> რომელსა აქუნდეს საქუთთმ<sup>5</sup>, აღიღენ; ეგრევე მსგავსად ვაშკარანიცა; და რომელსა არა<sup>6</sup> აქუნდეს, განციდენ სამოსელი თვისი და იყიდენ მახული.

37. გეტყვ თქუენ: ესე ხოლო-და წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა || აღსრულებად, ვითარმედ: უშუალოთა თანა შეირაცხა, და რამეთუ ჩემთვს აღსასრული იყოს.

38. ხოლო მათ ჰრქუეს: უფალო, აჰა ესერა არიან აქა<sup>7</sup> ორ დანაკ. ხოლო თავადმან ჰრქუა: ჯემა არს.

39. და გამოვიდა მიერ და წარვიდბა ვითარცა ჩუეულეზაჲ აქუნდა, მთასა მას ზეთის ხილთასა, და მიჰსდევდეს<sup>8</sup> მას მოწათფინიცა მისნი.

40. და მი-რა-ვიდა აღვილსა მას, ჰრქუა მათ: ილოცვიდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა.

41. და თავადი განეშორა მათგან ვითარ ქვის სატყორცებელ ოდენ, დაიდგნა მუჭლნი, ილოცვიდა

42. და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს სასუმელი ესე თანაწარსლვად ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!

33. ხოლო მან ჰრქუა: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და მოსიკუდილდ.

34. ხოლო თავადმან ჰრქუა: გეტყვ შენ, პეტრე: არღა ეყივლოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ გზის უვარ-მყო მე, ვითარმედ არა მიცი მე.

35. და ჰრქუა მათ: ოდეს წარგავლინენ<sup>1</sup> თქუენ თვნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერჯთა შესასხმელისა<sup>2</sup>, ნუ<sup>3</sup> გაკლდა რაჲ თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არაჲ გუაკდა<sup>4</sup>.

36. და მერმე თქუა: არამედ აწ რომელსა აქუნდეს ბალანტი, აღიღენ; ეგრევე მსგავსად ვაშკარანიცა<sup>5</sup>; და რომელსა არა აქუნდეს, განციდენ სამოსელი თვისი და იყიდენ მახული.

37. გეტყვ თქუენ: ესე ხოლო წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, ვითარმედ: ურჩულოთა თანა შეირაცხა, და რამეთუ ჩემთვს აღსასრული იყოს.

38. ხოლო მათ რქუეს<sup>6</sup>: უფალო, აჰა ესერა არიან ორ დანაკ. ხოლო თავადმან ჰრქუა: კმა არს.

39. და გამოვიდა მიერ და წარვიდა ვითარცა ჩუეულეზაჲ აქუნდა, მთასა ზეთის ხილთასა, და მისდევდეს მას მოწათფინი მისნი.

40. და მი-რა-ვიდა აღვილსა მას, და ჰრქუა მათ: ილოცვიდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა.

41. და თავადი განეშორა მათგან ვითარ ქვის სატყორცებელ ოდენ, დაიდგნა მუჭლნი, ილოცვიდა

42. და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!

1 სიკუდილდ D. 2 დღეს] — E. 3 ფერჯთ შესასხმელისა E. 4 აწ] — D. 5 საქუთთმ D. 6 არა] — E. 7 აქა] ჩუენ თანა E. 8 მისდევდეს E.

1 წარგავლინენ C. 2 შესასხმელისა C. 3 ნუ] ანუ C. 4 ასეა. 5 ვაშკარანისა C. 6 ასეა.

DE

C

43.

43.

44.

44.

45. და აღდგა მიერ ლოცვით და მოვიდა მოწაფეთა თვსთა და<sup>1</sup> პოვნა იგინი<sup>2</sup> მძინარენი მწუხარებისა მისგან

46. და ჰრქუა მათ: რაჟსა გძინავს? აღდეგით და ილოცევდით, რაჟთა არა შეხვდეთ განსაცდელსა.

47. და ვიდრე იგი ამას იტყოდა, აჰა ერი და რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, წინა-უძლოდა მათ და მიეახლა იესუს ამბორის-ყოფად<sup>3</sup> მისა, რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათა<sup>4</sup> და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო<sup>5</sup>, იგი არს.

48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: იუდა, ამბორის-ყოფითა<sup>6</sup> მისცემი ძესა<sup>7</sup> კაცი-სასა?

49. იხილეს რაჟ მისთანათა მათ საქმე<sup>8</sup> ესე, ჰრქუეს მას<sup>9</sup>: უფალო, უკუეთუ გნებავს, მოვსრნეთ ესენი მახვლითა.

50. და ჰსცა<sup>10</sup> ვინმე ერთმან მათგანმან მონასა მღდელთ მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მარჯუენ<sup>11</sup>.

51. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ<sup>12</sup>: აცადეთ აჰამომდე! და შეახო კელი ყურსა მისსა და განკურნა იგი.

52. ჰრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთ მოძღუართა და ერისთავთა ტაძრისათა<sup>13</sup> და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახვლითა და წათებითა.

53. დლითი-დღედ ვიყავ მე<sup>14</sup> თქვენ

45. და აღდგა მიერ ლოცვით და მოვიდა მოწაფეთა თვსთა და პოვნა იგინი მძინარენი მწუხარებისა მისგან

46. და ჰრქუა მათ: რაჟსა გძინავს? აღდეგით და ილოცევდით, რაჟთა არა შეხვდით<sup>1</sup> განსაცდელსა.

47. და ვიდრე იგი ამას იტყოდა, აჰა ერი და რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წინა-უძლოდა მათ და მიეახლა იესუს ამბორის-ყოფად მისა, რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათა<sup>2</sup> და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს.

48. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: იუდა ამბორის-ყოფითა მისცემს ძესა კაცისასა.

49. იხილეს რაჟ მისთანათა საქმე ესე, ჰრქუეს მას: უფალო, უკუეთუ (გნებავს)<sup>3</sup>, მოვსრნეთ ესენი მახვლითა<sup>4</sup>.

50. და სცა ვინმე ერთმან მათგანმან მონასა მღდელთ მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი მარჯუენ<sup>5</sup>.

51. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: აცადეთ აჰამომდე! და შეახო კელი ყურსა მისსა და განკურნა იგი.

52. ჰრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთ მოძღუართა და ერისთავთა მის ტაძრისათა და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა მოსრულ ხართ მახვლითა<sup>6</sup> და წათებითა.

53. დლითი დღედ თქვენ თანა ვიყავ

1 და] —D. 2 იგინი] იგი D. 2 ამბორის-ყოფად E. 4 მათ D. 5 ამბორ-უყო E. 6 ამბორის-ყოფითა E. 7 ძესა D. 8 საქმე D. 9 მისას E. 10 სცა E. 11 მარჯუენ D. 12 მათ] —F. 13 ტაძრისათა D. 14 მე] —E.

1 შეხვდეთ C. მათ C. 3 გნებავს]—C. 4 მახვლითა C. 5 მარჯუენ C.

DE

თანა ტაძარსა შინა, და არა განჰყავთ ჳელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს || ჟამი თქუენი და ჳელმწიფებამ<sup>1</sup> ბნელისაჲ.

54. და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს იგი სახლსა მღდელთ მოძღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.

55. და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა და გარე<sup>2</sup> მოასხდეს იგინი; დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.

56. და იხილა იგი მჳეველმან ვინმე მჯდომარე<sup>3</sup> ნათელსა მას და თქუა: ესეცა მის თანა იყო.

57. ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: დედაკაცო, არა ვიცი იგი.

58. და მცირედ-რე შემდგომად იხილა იგი სხუამან და თქუა: შენცა მათთანაჲ ხარ. ხოლო პეტრე თქუა: კაცო, არა ვარ მათთანაჲ.

59. და ვითარცა წარჳდა ჟამი ერთი, სხუაჲ ვინმე დაამტკიცებდა<sup>4</sup> და იტყოდა: ჳეშმარიტად ესეცა მის თანა იყო, და რამეთუ გალილეველ არს.

60. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: კაცო, არა ვიცი, რასა იტყვ. და მეყსეულად<sup>5</sup>, ვიდრე იტყოდა-ლა იგი ამას, ქათამი ყიჳა.

61. და მოიქცა უფალი და მიჰხედა<sup>6</sup> პეტრეს. და მოეჳსენა პეტრეს; სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელ<sup>7</sup> ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჳმობადმდე<sup>8</sup> სამ გზის უვარ-ყო მე, ვითარმედ არა მიცი მე.

62. და განვიდა გარე<sup>2</sup> და ტიროდა მწარედ.

63. ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა<sup>9</sup> იესუ, ეკიცხევდეს მას და ჰსცემდეს<sup>10</sup>

C

ტაძარსა შინა. და არა გაჰყავთ ჳელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ჟამი თქუენი და ჳელმწიფებამ ბნელისაჲ.

54. და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს იგი სახლსა მღდელთ მოძღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.

55. და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა და გარე მოასხდეს იგინი, და დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.

56. და იხილა იგი მჳეველმან ვინმე მჯდომარე ნათელსა მას და თქუა: ესეცა მის თანავე იყო.

57. ხოლო მან უარ-ყო და თქუა: დედაკაცო, არა ვიცი იგი.

58. და მცირედ-რე იხილა იგი სხუამან და ჰრქუა: შენცა მათთანაჲ ხარ. ხოლო პეტრე თქუა: კაცო, არა ვარ მათთანაჲ.

59. და ვითარ წარჳდა ჟამი ერთი, სხუაჲ<sup>1</sup> ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ჳეშმარიტად ესეცა მათთანაჲვე იყო, და რამეთუ გალილეველ არს.

60. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: კაცო<sup>2</sup>, არა ვიცი რასა იტყვ. და მეყსეულად, ვიდრე იტყოდა-ლა იგი ამას, ქათამი ყიჳა.

61. და მოექცა უფალი და მიხედა პეტრეს. და მოეჳსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელ ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჳმობადმდე უვარ-ყო მე სამ გზის, ვითარმედ: არა ვიცი მე.

62. და გავიდა გარე, ტიროდა მწარედ.

63. ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეკიცხევდეს მას და სცემდეს

1 ჳელმწიფებამა D. 2 გარე E. 3 მჯდომარე D. 4 დაამტკიცებდა D. 5 მეყსეულად D. 6 მიხედა E. 7 რომელი E. 8 ჳმობადმდე E. 9 შეიპყრეს E. 10 სცემდეს E.

1 სხვაჲ C. 2 ჰრქუა მას: კაცო | ჰრქუა მათ: კაცო C (ოლონდ შემდეგ „ნა წაუშლია და „კაცო“ იკითხება).

DE

C

64. და დაჰბურეს თავსა და ჰგუმდეს<sup>1</sup> მას, ჰკითხვიდეს და ეტყოდეს: წინაწარმეტყუელებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ?

65. და სხუასა მრავალსა გმობასა ჰგმობდეს მას და ეტყოდეს.

66. და ვითარცა განთენა დღე<sup>2</sup>, შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი<sup>3</sup> და მღდელთ მოძღუარნი და მწიგნობარნი და ალიყვანეს იგი საკრებულოსა მას მათსა

67. და ეტყოდეს: უკუეთუ შენ ხარ ქრისტე<sup>4</sup>, მითხარ ჩუენ. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ ვითხრა, არავე გრწმენეს;

68. და უკუეთუ გკითხო თქუენ, ვერარაჲ<sup>5</sup> მომიგოთ გინა განმითევით<sup>6</sup>.

69. ამიერითგან იყოს ძმ კაცისაჲ მჯდომარე<sup>7</sup> მარჯუენით ძლიერებასა<sup>8</sup> ღმრთისასა.

70. და ჰრქუეს მას ყოველთა: || შენ უკუე<sup>9</sup> ხარ ძმ ღმრთისაჲ? და ჰრქუა მათ იესუ: თქუენ იტყვთ, ვითარმედ მე ვარ.

71. და მათ თქუეს: რაჲ-ლა გვჰმს წამებაჲ? ჩუენ თვთ გუესმის პირისაგან მისისა.

64. და ეტყოდეს: წინაწარმეტყუელებდ<sup>1</sup>, ვინ არს, რომელმან გცა შენ?

65. და სხუასა მრავალსა ჰგმობდეს და იტყოდეს<sup>2</sup> მისთს.

66. და ვითარცა განთენა დღე, შეკრბეს მოხუცებულნი და მღდელთ მოძღუარნი და მწიგნობარნი და ალიყვანეს იგი შესაკრებელსა მათსა

67. და ეტყოდეს: უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ. ხ<sup>3</sup> ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ<sup>3</sup> ვითხრა, არა გრწმენეს;

68. და უკუეთუ<sup>3</sup> გკითხო თქუენ, ვერაჲ მომიგოთ გინა განმითევით.

69. ამიერითგან იყოს ძმ კაცისაჲ მჯდომარძ მარჯუენით<sup>4</sup> ძლიერებასა ღმრთისასა.

70. და ჰრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე<sup>5</sup> ხარა ძე ღმრთისაჲ? ჰრქუა მათ: თქუენ იტყვთ, რამეთუ მე ვარ.

71. და მათ თქუეს: რაჲ-ლა გვჰმს წამებაჲ? ჩუენ თვთ გუესმა<sup>6</sup> პირისაგან მისისა.

23

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლ<sup>10</sup> მათი და მოიყვანეს<sup>11</sup> იგი პილატესა.

2. და იწყეს შესმენად მისა<sup>12</sup> და იტყოდეს<sup>13</sup>: ესე ეპოვეთ, რომელი<sup>14</sup> გარდა-აქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებს ხარკისა მიცემად კეისარსა და იტყოდა თავსა თჳსსა ქრისტედ<sup>15</sup> და მეუფე ყოფად<sup>16</sup>.

3. და ჰკითხა მას პილატე<sup>17</sup> და ჰრქუა:

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი და მოიყვანეს იგი პილატესა.

2. და იწყეს შესმენად მისა და იტყოდეს: ესე ეპოვეთ, რომელი გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა ხარკისა მიცემად კეისარისა და იტყოდა თავსა თჳსსა, ვითარმედ ქრისტე იგი არს მეუფე.

3. ხოლო პილატე ჰკითხვიდა მას და

1 ჰგუმდეს | ჰგმობდეს E. 2 დღე E. 3 ერისანი | — D. 4 ქრისტე (ქ'შ) D. 5 ვერარაჲ D. 6 განმითევით D. 7 მჯდომარძ E. 8 ძლიერებათა D. 9 უკუე E. 10 სიმრავლე D. 11 მოიყვანეს D. 12 მისსა D. 13 ეტყოდეს D. 14 რომელი | რამეთუ (რ') D. 15 ქრისტედ (ქ'შდ) D. 16 მეუფედ ყოფად E. 17 პილატე E.

1 წინაწარმეტყუებდ C. 2 ეტყოდეს C. 3 უკუეთუ C. 4 მარჯუენით C. 5 უკუე C. 6 გვეს-  
მა C.



D:

C:

შენ ხარა მეუფე<sup>1</sup> ჰურიათაჲ? ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შენ იტყვ.

4. ხოლო პილატე ჰრქუა მლდელთ მოძღუართა და ყოველსა<sup>2</sup> ერსა მას<sup>3</sup>: არარას ბრალსა ვჰპოვებ<sup>4</sup> კაცისა ამის თანა.

5. ხოლო იგინი უფროჲს განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღაშფოთებეს ერსა და ასწაივებს ყოველსა ჰურიასტანსა, უწყიეს გალილეაჲთ ვიდრე აქამომდე.

6. ხოლო პილატეს რაჲ ესმა | გალილეაჲ, ჰკითხა მათ: უკუეთუ გალილეველ არს კაცი ესე?

7. და გულისგმა-ყო<sup>5</sup>, რამეთუ კელმწიფებისაგან ჰეროდესისა<sup>6</sup> არს; მიუძღუნა იგი ჰეროდეს, რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალმს ამათ დღეთა<sup>7</sup> შინა.

8. ხოლო ჰეროდე<sup>8</sup> ვითარცა იხილა იესუ, განიხარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვად მრავლით ჟამითგან ამისთვის, რამეთუ ესმოდა მისთვის და ჰსწადოდა<sup>9</sup> ხილვად რაჲსამე სასწაულისა ყოფად<sup>10</sup> მისგან.

9. და ჰკითხვიდა მას სიტყუათა მრავლითა, ხოლო თავადმან არარაჲ მიუგო მას<sup>2</sup>.

10. დგეს მლდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და განკრძალულად შეასმენდეს მას.

11. ხოლო ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი და ერმან მისმან, და განკიცხეს იგი და შეჰპოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე<sup>11</sup>, და მიუძღუნა იგი პილატეს.

12. და იქმნენ<sup>12</sup> მეგობარ პილატე და ჰეროდე ურთიერთას მას დღესა<sup>13</sup> შინა, რამეთუ პირველ მტერ იყვნეს იგინი.

ჰრქუა: შენ ხარ მეუფე ჰურიათაჲ? მან მიუგო და ჰრქუა: შენ სიტყუ.

4. ჰრქუა პილატე მლდელთ მოძღუართა მათ და სიმრავლესა მას: არას ვპოვებ ბრალსა კაცისა ამის თანა.

5. და იგინი განკრძალულ იყვნეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღძრავს ერსა და ასწაივებს ყოველსა ჰურიასტანსა; იწყო გალილეაჲთ და მოაქამდე.

6. ხოლო პილატეს ვითარცა ესმა გალილეაჲსაჲ, ჰკითხა, ვითარმედ: გალილეველ არს კაცი ესე?

7. და ვითარცა აგრძნა, ვითარმედ საბრძანებელისაგან ჰეროდესი არს, მიუძღუნა იგი ჰეროდეს, რამეთუ იგიცა იერუსალმს იყო მათ დღეთა შინა.

8. და ჰეროდე ვითარცა იხილა იესუ, განიხარა დიდად, რამეთუ სწადოდა მრავლით ჟამითგან ხილვად მისი, რამეთუ მრავლით ჟამითგან სწადოდა მისთვის სასწაულის ხილვად მისგან.

9. ჰკითხვიდა მას<sup>1</sup> სიტყუათა<sup>2</sup> მრავალთა, და მან არარაჲ მიუგო მას.

10. დგეს მლდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, განკრძალულად ძვრსა იტყოდეს მისთვის.

11. შეურაცხ-ყო იგი ჰეროდეცა ერთურთ თვისით, განბასრა იგი და შეჰპოსესა სამოსელი სპეტაკი და მიუძღუნა მუნვე პილატეს.

12. და იმოყურნეს ჰეროდე და პილატე მას დღესა შინა, რამეთუ წინა მტერ იყვნეს ურთიერთას.

1 მეუფე D. 2 ყოველსა — D. 3 მას — E. 4 ვპოვებ D. 5 გულისგმა-ყო I. 6 ჰეროდესი E. 7 დღშთა D. 8 ჰეროდე D. 9 სწადოდა E. 10 ყოფათა D. 11 ბრწყინვალე D. 12 იქმნეს D. 13 დღშსა D.

1 მათ C. 2 სიტყუათა C.

DE

C

13. ჩხოლო პილატე მოუწოდა მღღელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა და ერსა მას

14. და ჰრქუა მათ: მომგუარეთ მე კაცი ესე ვითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ, და მე წინაშე თქუენსა განვიკითხე და არარას ვჰპოვებ კაცისა ამის თანა, რასა-იგი შეასმენთ მას.

15. და არცა ჰეროდე, რამეთუ მიუძღუნან მას, და არარაჲ ღირსი სიკუდილისა<sup>1</sup> საქმე<sup>2</sup> არს მის თანა.

16. ესწავლო იგი და განუტევო<sup>3</sup>.

17. რამეთუ უნებელად ეღებოდა მას განტევებად დღესასწაულსა<sup>4</sup> მას ერთი პყრობილი.

18. ღალად-ყვეს ყოველმან სიმრავლემან და იტყოდეს: ალიღე ეგე და მომიტევე ჩუენ<sup>5</sup> ბარაბა<sup>6</sup>,

19. რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათჳს შეგდემბულ იყო საპყრობილესა.

20. კუალად პილატე მოუწოდა მათ, რამეთუ უნდა განტევებაჲ იესუსი<sup>7</sup>.

21. ხოლო იგინი ღალადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე!

22. ხოლო მან შესამედ ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოვე ამის თანა. ესწავლო და განუტევო<sup>3</sup> ეგე<sup>8</sup>.

23. ხოლო იგინი ზედა დაესხმოდეს ჳმითა დიდითა და გამოითხოვდეს მას ჯუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს ჳმანი მათნი და მღღელთ მოძღუართანი.

24. მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ მათისა

25. და მიუტევა მათ ბარაბა, რომე-

13. მოუწოდა პილატე<sup>1</sup> მღღელთ მოძღუართა მათ და მთავართა და ერსა მას

14. და ჰრქუა მათ: მოიყვანეთ, წარმოადგინეთ ჩემ წინაშე კაცი ესე ვითარცა განმდრეკელი ქერისაჲ მაგის, და აჰა ესერა თქუენ წინაშე ვიკითხე და ბრალ არაჲ ვპოვე კაცისა მაგის თანა, რომელსა თქუენ ძვრსა იტყვთ მაგის-თჳს.

15. არამედ არცა ჰეროდე, რამეთუ მიუძღუნან ეგე მას, და აწ არაჲ სიკუდილის საქმე<sup>2</sup> უქმნიეს მაგას.

16. განესწავლო ეგე და განუტეო.

17. რამეთუ თანა-ელვა დღესასწაულად-დღესასწაულად ერთი შიტევენად მათდა.

18. და ღალადებდა ყოველი იგი სიმრავლე და იტყოდეს: ალიღე ეგე და განუტევე ჩუენდა ბარაბა,

19. რომელ-იგი აღძრვისათჳს რაჲს-მე ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათჳს შეყენებულ იყო საპყრობილესა შინა.

20. მერმე პილატე იწყო სიტყუად<sup>3</sup>, რამეთუ უნდა განტევებაჲ მისი.

21. და იგინი უფროჲს ღალადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე!

22. და მან სამ გზის ჰრქუა მათ: რაჲ ძვრ უქმნიეს ამას? არაჲ ბრალი ვპოვე ამის თანა. ესწავლო ეგე და განუტეო.

23. და იგინი აწუევედეს ჳმითა და დიდითა და გამოითხოვდეს ჯუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს ჳმანი მათნი და მღღელთ მოძღუართანი მათ.

24. და პილატე განაჩინა აღსრულებად თხოვაჲ იგი მათი,

25. განუტევა მათდა ბარაბა<sup>4</sup> იგი,

1 სიკუდილისაჲ E. 2 საქმე D. 3 განუტეო D. 4 დღესასწაულსა E. 5 ჩუენ] — D. 6 ბარაბა DE. 7 იესუსი (ივსი) D. 8 ეგე] იგი D.

1 პილა C. 2 საქმე C. 3 სიტყუად C. 4 ბარაბაჲ C.

DE

C

ლი შფოთისათჳს და კაცის-კლეისა შე-  
გდებულ იყო საპყრობილესა, ხოლო იე-  
სუ მიჰსცა<sup>1</sup> ნებასა მათსა.

რომელი აღძრვისათჳს და კაცის-კლეი-  
სათჳს შეეყენა საპყრობილესა, რომელ-  
საცა-იგი ითხოვდეს, და იესუ მიუტევეა  
ნებასა მათსა.

26. და ვითარცა წარიყვანეს იგი  
ჯუარ-ცუმად, შეიპყრეს სჳმონ<sup>2</sup> ვინმე  
კვრინელი, მომავალი ველით, და და-  
ჰსდევს<sup>3</sup> მას ჯუარი იგი, და მიაქუნდა  
შემდგომად იესუსა<sup>1</sup>.

26. ვითარცა წარიყვანეს იგი, შეი-  
პყრეს ვინმე სიმონ კვრინელი<sup>1</sup>, რომელი  
მოვიდოდა აგარაკით, და დასდევს ჯუა-  
რი იგი მას ზედა მიღებად კუალსა იუ-  
სუსა.

27. და შეუდგა მას სიმრაელ<sup>5</sup> ერი-  
სა და დედათაჲ, რომელნი ეტყებდეს  
და ჰგოდებდეს მას.

27. და მისდევდა მას სიმრაელე ერი-  
საჲ მის და დედებისაჲ, რომელნი რი-  
როდეს და ეტყებდეს მას.

28. მიექცა მათ იესუ და ეტყოდა:  
ასულნო იერუსალმისანო<sup>6</sup>, ნუ სტირთ  
ჩემ ზედა. არამედ თავთა თქუენთა ჰსტი-  
როდეთ<sup>7</sup> და შეილთა თქუენთა,

28. მიექცა იესუ და ჰრქუა მათ: ასულ-  
ნო იერუსალმისანო<sup>2</sup>, ნუ სტირთ ჩემდა  
არამედ სტიროდეთ თავთა თქუენთა და  
ზედა ნაშობთა თქუენთა,

29. რამეთუ მოვლენან || დღენი, რო-  
მელთა შინა თქუან: ნეტარ არიან ბერწ-  
ნი<sup>4</sup> და მუტელნი, რომელთა არა შენეს,  
და ძუძუნე, რომელთა არა განზარდნეს!

29. რამეთუ მოვიდენ დღენი, რომელ-  
თა შინა იტყოდიან, ვითარმედ: ნეტარ  
ბერწთა და მუტელთა, რომელთა არა  
შვეს, და ძუძუნთა, რომელთა არა აწოეს!

30. მაშინ იწყონ<sup>9</sup> სიტყუად მათთა:  
დამეცენით ჩუენ! და ბორცუთა: დამფა-  
რენით ჩუენ!

30. მას ჟამსა იწყონ სიტყუად მათთა  
მიმართ: დამეცენით ჩუენ ზედა! და ბორ-  
ცუთა, ვითარმედ: დამფარენით<sup>3</sup> ჩუენ!

31. უკუეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყო-  
ფენ, ჯმელსა მას რაჲ-მე<sup>10</sup> ეყოს?

31. უკუეთუ ძელსა ნედლსა ამას უყო-  
ფენ, ჯმელსა მას რაჲ-მელა უყონ?

32. მოჰყვანდეს სხუანიცა<sup>11</sup> ორნი ძე-  
რის მოქმედნი<sup>11</sup> მოკლვად მის თანა.

32. მოჰყვანდეს სხუანიცა<sup>4</sup> ორნი ძე-  
რის მოქმედნი მის თანა.

33. და ვითარცა მოვიდეს ადგილსა  
მას, რომელსა ჰრქვან თხემისა ადგილი,  
მუნ ჯუარს-აცუნეს იგი და ძერის მოქ-  
მედნი<sup>12</sup> იგი, რომელიმე მარჯუენით მი-  
სა და რომელიმე მარცხენით მისა ჯუარს-  
აცუნეს.

33. ვითარცა მიეახლნეს ადგილსა მას,  
რომელსა<sup>5</sup> ერქუმის თხემ, და მუნ ჯუარს-  
აცუნეს იგი და ძერის<sup>6</sup> მოქმედნი იგი,  
რომელიმე<sup>7</sup> მარჯუენით და რომელიმე<sup>7</sup>  
მარცხენით ჯუარს-აცუნეს.

34. ხოლო იესუ იტყოდა: მიუტევე<sup>13</sup>  
ამათ, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა  
იქმან. ხოლო განიყვეს სამოსელი მისი  
და განიგდეს წილი.

34. და იესუ თქუა: მამაო, მიუტევე  
მაგათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.  
განიყვეს სამოსელი მისი და წილ-იგდეს.

1 მისცა E. 2 სიმონ E. 3 დასდევს E. 4 იესუსა (იჯსა) D. 5 სიმრ: ვლე D. 6 იშმისა-  
ნო E, იშმსნო D. 7 სტიროდეთ E. 8 ბრწნი D. 9 იწყო E. 10 რაჲდა-მე J. 11 მოქმედნი] — E.  
12 ძერი მოქმედნი D. 13 მიუტევენ D.

1 კვრინელი C. 2 იშმსნო C. 3 დამფარენი C („დამფარენინ“ სუბიექტს მხოლოდით  
ში გულისხმობს). 4 სხუანიცა C. 5 რლ C. 6 ძერის C. 7 რომელნიმე C.

DE

C

35. და და ერი იგი და ჰედვიდა<sup>1</sup>.  
შეურაცხ-ჰყოფდეს მთავარნიცა იგი მათ  
თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნა,  
იცხოვნენ თავიცა<sup>2</sup> | თჳსი, უკუეთუ ეგე  
არს ქრისტე<sup>3</sup>, რჩეული ღმრთისაჲ.

36. ემღერდეს მას ერისა კაცნიცა იგი,  
მოუვლიან<sup>4</sup> მას და ძმარი მიუპყრიან

37. და ეტყვიდ<sup>5</sup> მას: შენ თუ ხარ მე-  
უფელ<sup>6</sup> ჰურიათაჲ, ივსენ თავი შენი<sup>7</sup>.

38. ხოლო იყო დაწერილიცა, რომე-  
ლი წერილ იყო<sup>8</sup> მას ზედა წიგნითა  
ბერძულითა და პრომელებრითა და  
ებრაელებრითა, ვითარმედ: მეუფელ<sup>9</sup> ჰუ-  
რიათაჲ არს ესე.

39. ხოლო ერთი დამოკიდებულთაგა-  
ნი ძკრის მოქმედთაჲ ჰგმობდა მას და  
ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე<sup>3</sup>, ივსენ  
თავი შენი და ჩუენცა.

40. მიუგო ერთმან მან მოყუასმან,  
შეპრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გე-  
შინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სა-  
შჯელსა შინა ხარ?

41. რამეთუ ჩუენ სამართლად ღირსი,  
რომელი ვქმენით, მოგუეგების, ხოლო  
ამან უშჯულოებაჲ<sup>9</sup> არარაჲ ქმნა.

42. და ეტყოდა იესუს: მომივსენე მე,  
ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა.

43. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ || გე-  
ტყვ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხე-  
სა.

44. და იყო ჟამი მეექუსელ<sup>10</sup>, და ბნე-  
ლი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მე-  
ცხრედ ჟამადმდე.

45. დაბნელდა მზელ, და განიპო კრეტ-  
საბმელი იგი ტაძრისაჲ<sup>11</sup> მის ჴორის.

46. და ჳმა-ყო ჳმითა დიდითა იესულ

35. და და ერი და ხედვიდა. ხ<sup>1</sup> ეკი-  
ცხედდეს მთავარნი იგი მათ თანა და  
იტყოდეს: სხუანი<sup>1</sup> განარინნა. განირი-  
ნენ თავიცა თჳსი, უკუეთუ არს ძმ<sup>2</sup> ღმრთი-  
საჲ რჩეული.

36. ხ<sup>1</sup> ეკიცხედდეს მას ერისა კაცი-  
ცა იგი, წარდვიან წინაშე, მიუპყრიან  
მას ძმარი

37. და ეტყვიდ: უკუეთუ შენ ხარ მე-  
უფელ ჰურიათაჲ, ივსენ თავი შენი.

38. და იყო წიგნი წერილი მას ზედა  
ბერძულითა<sup>2</sup> და ფრომინებრითა და  
ებრაელებრითა, ვითარმედ: ესე არს  
მეუფე ჰურიათაჲ.

39. ხოლო ერთი დამოკიდებულთა  
მათგანი ძკრის<sup>3</sup> მოქმედთაჲ ჰგმობდა  
მას და ეტყოდა: არა შენ ხარ ქრისტე<sup>4</sup>  
იგი? ივსენ თავი შენი და ჩუენცა.

40. მიუგო მოყუასმან მან რისხვის,  
და ჰრქუა: არა გეშინის შენ ღმრთისა,  
რამეთუ მასვე ტანჯვასა შინა ხარ?

41. რამეთუ ჩუენდა მართლ ღირსად  
საქმეთა ჩუენთაებ<sup>5</sup> მომეგების ჩუენ, ხო-  
ლო ამან უწესოჲ არაჲ უქმნიეს.

42. და ჰრქუა იესუს: მომივსენე მე,  
უფალო, რაჲამს მოხვდოდი სუფევითა  
მით შენითა.

43. და ჰრქუა მას იესუ: მართლიად  
გეტყვ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამო-  
თხესა მას.

44. და იყო ვითარ ექუს ჟამ ოდენ,  
და ბნელ იქმნა ყოველსა ქუეყანასა ვი-  
დრე ცხრა ჟამადმდე.

45. დაბნელდა მზელ<sup>6</sup>, და განიპო ეზოჲ  
ტაძრისაჲ მის ორგან.

46. და ჳმა-ყო იესუ ჳმითა დიდითა

1 ჰედვიდეს E. 2 თავი E. 3 ქრისტელ D. 4 მუვლიან D. 5 ეტყვიდ D. 6 მეუფე D. 7 ივსენ თავი შენი | ივსენინ თავი თჳსი D. 8 წერ იყო E. 9 უშჯულოებაჲ E. 10 მეექუსე D. 11 ტაძრისა D.

1 სხვანი C. 2 ბერძლითა C. 3 ძურის C. 4 კელ C. 5 ასეა. 6 მზელ C.

DE

C

და თქუა: მამაო, ჳელთა შენთა შე-  
კვედრებ სულსა ჩემსა. და განუტევა  
სული.

47. და ვითარცა იხილა ასისთავმან  
მან საქმე<sup>1</sup> ესე<sup>2</sup>, ადიდებდა ღმერთსა  
და იტყოდა: ეგშმარიტად კაცი ესე მარ-  
თალი იყო.

48. და ყოველნი მათ თანა მოსრულ-  
ნი და რომელთა იხილეს ხილვად ესე და  
საქმე<sup>1</sup> ესე<sup>2</sup>, იცემდეს მკერდსა მათსა  
და წარვიდოდეს.

49. და დგეს ყოველნი მეცნიერნი მის-  
ნი შორით, და დედანი, რომელნი მო-  
სდევდეს გალილეაჲთ, ჰხედვიდეს ამას.

50. და აჰა ესერა კაცი, სახელით იო-  
სებ, მზრახვალი, იყო კაცი სახიერი და  
მართალი,

51. ესე არა | თანა-შერთულ იყო  
ზრახვასა მათსა და საქმესა. და იყო იგი  
არიმათიაჲთ, ქალაქისაგან ჰურიათაჲსა,  
რომელ იგიცა მოელოდა სასუფეველსა  
ღმრთისასა.

52. ესე მოუჭდა პილატეს და გამოი-  
თხოვა გუამი იესუმსი<sup>3</sup>

53. და გარდამოჰჳნა იგი და შეჰმო-  
სა მას არდაგი და დადვა იგი საფლავ-  
სა გამოკოდოილსა, სადა არავინ დადე-  
ბულ იყო.

54. და დღე<sup>4</sup> იგი იყო პარასკევი, შა-  
ბათად განთენებოდა.

55. შეუდგეს მას დედანიცა, რომელ-  
ნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილე-  
აჲთ, და იხილეს საფლავი იგი და ვი-  
თარ დასდებდეს გუამსა მისსა.

56. და წარვიდეს და მოიშადეს სულ-  
ნელი<sup>5</sup> და ნელსაცხებელი და შაბათი  
იგი და-ლა-იდუმეს მცნებისა მისთჳს.

და თქუა: მამაო, ჳელთა შენთა შეგვედ-  
რებ სულსა ჩემსა. ესე ვითარცა თქუა,  
აღმოუტევა სული.

47. ვითარცა იხილა ასისთავმან, რაჲ-  
იგი იქმნა, ადიდებდა ღმერთსა და თქუა:  
ნანდვლვე კაცი ესე მართალ იყო.

48. და ყოველნი, რომელნი მოსრულ  
იყვნეს ხილვასა მას და რაჲ-იგი იქმნა,  
იცემდეს მკერდსა და გარე-უკუნიქყო-  
დეს.

49. დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი  
შორსგან-რე, და დედანი იგი, რომელნი  
მოსდევდეს მას გალილეაჲთ, ხედვიდეს  
მას.

50. და აჰა კაცი ერთი, რომელსა ერ-  
ქუა იოსეფ, რომელი-იგი იყო მთავარ  
მზრახვალთაგანი, კაცი კეთილ და მარ-  
თალ,

51. ესე არა შერთულ იყო ზრახვასა  
და საქმესა მათსა, რომელი-იგი იყო  
არიმათიაჲთ, ქალაქით ჰურიასტანით<sup>1</sup>,  
რომელ იგიცა მოელოდა [სასუ]ფეველსა  
ღმრთისასა.

52. [ე]სე წარდგა წინაშე პილატესა  
და მოითხოვნა ჳორცინი იესუმსნი

53. [დ]ა გარდამოიხუნა და წარგრაგნა  
არდაგსა და დადვა იგი გამოკუეთოილსა-  
მას სამარესა, რომელსა არავინ დადე-  
ბულ იყო.

54. და დღე იგი იყო პარასკევე და  
განთენებოდა შაფათა[დ].

55. [და მ]ისდევდეს მას დედანი იგი,  
რომელნი მოსრულ იყვნეს მის თანა  
გალილეაჲთ; ხედვიდეს სამარესა მას  
და ვითარ დასხნეს ჳორცინი მისნი.

56. წარვიდეს და დამზადეს საკუმე-  
ველი და ნელსაცხებელი და შაფათსა  
მას დადუმნეს მცნებისა მისთჳს.

1 საქმე D. 2 ესე] — E. 3 იესუსი (ი<sup>1</sup>ჳსი) D. 4 დღე E. 5 სურნელი D.

1 ასეა (მოსალოდნელი იყო: ჰურიასტანისაჲთ).

24

DE

C

1. ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა რაჲ-იგი მოემზადა<sup>1</sup> || სულნელე-ბი<sup>2</sup>, და სხუანი ვინმე მათ თანა.

2. და პოვეს ლოდი იგი გარდაგორე-ბული საფლავისა მისგან.

3. შე-რაჲ-ვიდეს შინა, არა პოვეს გუა-მი იგი უფლისა იესუსის<sup>3</sup>.

4. და იყო განზრახვასა მას<sup>4</sup> მათსა ამისთჳს, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა.

5. და ვითარ შეშინებულ იყენეს იგი-ნი და დაედრიკენეს<sup>5</sup> პირნი მათნი ქუე-ყანად, ჰრქუეს მათ: რაჲსა<sup>6</sup> ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა?<sup>7</sup>

6. არა არს აქა, არამედ აღდგა. მო-ივსენეთ, ვითარ-იგი გეტყოდა თქუნენ, ვიდრე იყო-ლა იგი გალილეას,

7. და თქუა, რამეთუ: ჯერ-არს ძისა კაცისა მიცემად ველთა კაცთა ცოდვილ-თასა ჯუარ-ცუმად და მესამესა დღესა აღდგომად<sup>8</sup>.

8. და მათ<sup>9</sup> მოივსენენს სიტყუანი მისნი

9. და მიიქცეს და უთხრენს სიტყუ-ანი ესე ათერთმეტთა მათ და სხუათა ყოველთა.

10. ხოლო იყენეს მაგდალენელი მა-რიამ | და იოჰანა და მარიამ იაკობისი და სხუანი ვინმე<sup>10</sup> მათ თანა, უთხრობ-დეს მოციქულთა ამას.

11. და უჩნდეს მათ<sup>11</sup> სიტყუანი მათ-ნი ვითარცა სიჩქურისანი მათ წინაშე და არა ჰრწმენა მათი.

12. ხოლო პეტრე აღდგა და მირბიო-და საფლავად და<sup>12</sup> შთაჰხედა<sup>13</sup> საფლავ-

1. ხოლო ერთშაფათსა მას, მსთუად<sup>1</sup> განითად მო(ვი)დეს<sup>2</sup> სამარესა მას, მო-ილეს საკუმეველი იგი, რომელ დამზა-დეს, და სხუანიცა დედანი მათ თანა.

2. და პოეს ლოდი იგი გარდაგორე-ბული სამარისა მისგან.

3. და შევიდეს შინა, არა პოენეს ქორცი იგი უფლისა იესუსისნი.

48. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა  
იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა  
გრწმენენს.

49. ||ჰრქუა მას სამეუფოჲსა კაცმან  
მან: უფალო, მოვედ პირველ მოსიკუ-  
დილმდე ყრმისა მის.

50. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე, ცო-  
ცხალ არს ძმ შენი. და ჰრწმენა კაცსა მას

41. და უფროს დი უმეტეს მრავალ-  
თა<sup>1</sup> ჰრწმენა მისი სიტყუთა მისთათჳს.

42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას: არა-  
ამიერიტოგან სიტყუთა შენითა გურწამს,  
რამეთუ ჩუენ თვთ გუესმის<sup>2</sup> მაგისგან  
და უწყით, რამეთუ ეგე არს ჰეშმარი-  
ტად მესნელი სოფლისაჲ.

43. და ორისა დღისა შემდგომად მო-  
ვიდა მიერ დი წარვიდა გალილეად.

44. რამეთუ თვთ თავადმან წამა, ვი-  
თარმედ: წინაწარმეტყუელი<sup>3</sup> თვისსა სო-  
ფელსა შეურაცხ არ.

45. ხოლო რაჲმას-იგი მივიდა გალი-  
ლეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა  
მათ, რამეთუ ეხილვაცა მრავალი სას-  
წაული, რომელ ქმნა იერუსალმს<sup>4</sup> დღე-  
სასწაულსა მას, რამეთუ იგინიცა მი-  
სრულ იყვნეს დღესასწაულსა მას.

46. მივიდა მერმე კანას<sup>5</sup> გალილეა-  
სა(სა)<sup>6</sup>, სადა-იგი გარდააქცია წყალი  
ღვნოდ. და მუნ იყო სეფეწულ ერთ,  
რომლისა ძმ თვისი იღვა სნეული კათერ-  
ნაომს.

47. მას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ  
მოსლულ არს ჰურიასტანით გალილეად,  
მოვიდა მისა და ევედრებოდა, რაჲთა  
გარდავიდეს და განკურნოს ძმ<sup>7</sup> იგი მი-  
სი, რამეთუ მიახნდა სიკუდილად.

48. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ ნიშ და  
სასწაულ არა<sup>8</sup> იხილოთ, არა გრწმენენს.

49. ჰრქუა მას სეფეწულმან მან: უფა-  
ლო, გარდამოვედ, ვიდრე არღა მომკუ-  
დარ არს ყრმაჲ იგი ჩემი.

50. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე, ძე იგი  
შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა კაცსა მას

1 უფროსთა D\*. 2 სიტყუთა მისითა D\*. 3 გალილეაჲსა E. 4 რომლისა D. 5 კათარ-  
ნაომს E.

1 „მრავალთა“ ორჯერ დაუწვრია, მაგრამ პირველი მათგანი რამდენადმე წაშლილია.  
2 გუესმის C. 3 წინაწარმეტყუელი C. 4 იმლმს C. 5 კანას C. 6 გალილეაჲსა C. 7 ძემ C.  
8 არაჲ C.

DE

სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, და წარვიდა.

51. და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდა იგი, მონანი მისნი მოეგებოდეს მას, უთხრეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ძმ შენი ცოცხალ არს.

52. ჰკითხვიდა მათ, ვ'დ: რ'ლსა ქამსა უმოლხინი იქმნა იგი? <sup>1</sup> ჰრქუეს მას: გუშინ მეშვდესა ქამსა დაუტევა იგი სიცხემან.

53. და მოეგონა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ქამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ცოცხალ არს ძმ შენი. და ჰრწმენა მას და ყ'ლთა სახლეულთა მისთა.

54. ესე ეჟალად მეორე <sup>2</sup> სასწაული ქმნა იესუ, მო-რამე-ვიდა ჰურიასტანით <sup>3</sup> გალილეად.

C

სიტყუაჲ <sup>1</sup> მისი, რომელ ჰრქუა, და წარვიდა.

51. და ვითარ გარდავიდოდა, მოეგებოდეს მას მონანი მისნი სიხარულით და თქუეს <sup>2</sup>, ვითარმედ: ყრმაჲ იგი შენი ცოცხალ არს.

52. ჰკითხვიდა მათ ქამისა მისთუ: რომელსა მოჰქარდა? ჰქუეს <sup>3</sup> მას: გუშინ მეშვდესა ქამსა დაუტევა იგი სიცხემან.

53. მოეგონა მამასა მისსა ქამი იგი, რომელსა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს. და <sup>4</sup> ჰრწმენა მას თავადსა და ყოველსა სახლსა მისსა.

54. ესე მეორე მეორე სასწაული ყო იესუ, მოსრულ <sup>5</sup> ჰურიასტანით გალილეად.

## 5

1. ამისა შემდგომად იყო დღესასწაული <sup>1</sup> ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალმად.

2. | და არს იერუსალმს ცხოვართა <sup>2</sup> საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქვან გბრაელებრ ბეთესდა <sup>3</sup>, ხუთ სტოვა იყო.

3. და მას შინა ისხა სიმრაველ <sup>4</sup> უძლურთაჲ, ბრმეები, მკელობელები <sup>5</sup>, განწმელები, რომელნი ელიედ წყლისა მის აღძრვასა <sup>6</sup>.

4.

5. იყო ვინმე მუნ კაცი, რ'ლსა ოც და ათ-რამეტი წელი დაეყო უძლურებასა შა.

6. ესე იხილა იესუ მდებარე <sup>10</sup> და გუ-ლისკმა-ყო <sup>11</sup>, რამეთუ მრავალი წელი

1. ამისა შემდგომად დღესასწაული იყო ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალმად.

2. და იყო იერუსალმს <sup>6</sup> ცხოვართ საბანელსა მას, რომელსა ერქუმის ჰებრაელებრ ბეთესდა, ხუთ ეზოდ იყო,

3. რომელსა დაერდომილი ისხა სიმრაველ(ღ) ფრიად სნეულთაჲ, ბრმათაჲ, განწმელთაჲ, მკელობელთაჲ, რომელნი მოელოდეს წყლისა მის აღმრლუევასა <sup>7</sup>.

4.

5. და მუნ იყო კაცი ერთი, რ'ლსა ათურამეტი წელი დაეყო სნეულებასა შინა.

6. იგი ვითარცა იხილა იესუ, რამეთუ დაერდომილი იღვა, უწყოდა, რამეთუ

1 იგი] — E. 2 მეორე D. 3 ჰურიასტანით E. 4 დღესასწაული E. 5 ცხოვართ E. 6 ბეთელ-და D, ბეთელ|და E (შეცდომა უთუოდ გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოდგარი). 7 სიმრავლე D. 8 მკელობრები D. 9 აღძვასა E. 10 მდებარე E. 11 გულისხმა-ყო E.

1 სიტყუაჲ C. 2. მოსალოდნელი იყო: ჰრქუეს. 3 ასეა. 4. „და“ ორჯერაა დაწერილი (შე-ჰლია, ტექტი ამოუფხვკია, ახალი ჩაუწერია წვრილად და კავშირი „და“ უნებლიედ გაუშეო რები). 5 ასეა. 6 იმ'ლმს C. 7 აღმრლუევასა C.

DE

C

აქუს უძღურებასა შინა, და ჰრქუა მას: გნებავსა<sup>1</sup>, რაფთა განიკურნო?

7. მიუგო უძღურმან მან: უფალო, კაცი არა მაქუს, რაფთა, რაჟამს წყალი ესე აღირღუეს, შთა-მცა-მაგდო<sup>2</sup> საბანელსა ამას. ვიდრე მე მციდოდი, სხუანი უწინარს<sup>3</sup>: ჩემსა შთავდიან და განიკურნიან.

8. ჰრქუა მას იესუ: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და ვილოდე!

9. და<sup>4</sup> განცოცხლდა კაცი იგი და აღილო ცხედარი თუხი და წარვიდა. ხოლო იყო დღე იგი შაბათი.

10. ეტყოდეს მას ჰურიანი: შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი.

11. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა, მან მრქუა მე: აღილე ცხედარი შენი და ვილოდე.

12. ჰკითხვიდეს მას ჰურიანი იგი და ჰრქუეს: ვინ არს, რომელმან გრქუა შენ: აღილე ცხედარი შენი და ვილოდე?

13. ხოლო განკურნებულმან მან არა იცოდა, ვინ არს, რამეთუ იესუ მიეფარა, რამეთუ ერი იყო აღვილსა მას.

14. ამისა შემდგომად პოვა იგი იესუ ტაძარსა<sup>5</sup> მას შინა და ჰრქუა მას: აჰა ეგერა ცოცხალ იქმენ, ნულარა ჰსცოდავ<sup>6</sup>, რაფთა არა უძრესი რაფხე გეყოს შენ.

15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ჰურიანთა მათ, ვითარმედ: იესუ არს, რომელმან განმკურნა მე.

16. და ამისთჳს ჰსდევნიდეს<sup>7</sup> ჰურიანი იგი იესუს, რამეთუ ამას იქმოდა შაბათსა შინა.

17. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მამაჲ ჩემი მოაქამდე<sup>8</sup> იქმს, და მეცა ვიქმ.

მრავალი ჟამი დაეყო მუნმდე, ჰრქუა მას: გნებავს, ვითარმცა ცოცხალ იქმენ?

7. ჰრქუა მას სნეულმან მან: უფალო, კაცი არავინ მაქუს, რაფთა, რაჟამს წყალი ესე აღირღუეს<sup>1</sup>, შთა-მცა-მაგდო საბანელსა მას. ვიდრე მე მიეტონტმანებდი, სხუაჲ ჩემსა უადრეს შთავდის.

8. ჰრქუა მას იესუ: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და წარვედ!

9. და განიკურნა კაცი იგი და აღდეგა, აღილო ცხედარი თუხი და იქცეოდა. და იყო შუაფთი დღე იგი.

10. ჰრქუეს<sup>2</sup> ჰურიანთა მათ განკურნებულსა მას: შუაფთი არს, და არა წესიყო შენდა აღკიდებად ცხედრისა მავის.

11. მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა, მან მრქუა<sup>3</sup> მე: აღილე ცხედარი შენი და ვილოდე.

12. ჰკითხვიდეს მას: ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ: აღილე ცხედარი შენი და იქცეოდე?

13. ხოლო განკურნებულმან მან არა უწყოდა, ვინ იყო, რამეთუ იესუ მიპრიდა ამბოხისა მისგან მოადვილსა<sup>4</sup> მას.

14. ამისა შემდგომად პოვა იგი იესუ ტაძარსა მას და ჰრქუა მას: აჰა ეგერა განკურნებულ ხარ, ნულარა სცოდავ, რაფთა არა უძრესი გეყოს.

15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ჰურიანთა მათ, ვითარმედ: იესუ იყო, რომელმან-იგი განმკურნა მე.

16. და ამისთჳს სდევნიდეს იესუს ჰურიანი იგი, რამეთუ ამას იქმოდა შუაფთსა შინა.

17. მიუგო მათ<sup>5</sup> იესუ: მამაჲ ჩემი მოაქამდამდემდე იქმს, და მეცა ვიქმ.

1 გნებავს D. 2 და შთა-მცა-მაგდო DE (ორში ერთი: ან „რაფთა“, ან „და“). 3 უწინარეს D. 4 და—E. 5 ტარსა D. 6 სცოდავ E. 7 სდევნიდეს E. 8 მოაქამდამდე D.

1 აღირღუეს და C. 2 ჰრქუეს+მას C (ირიბი ობიექტი შემდეგ იკითხება: „განკურნებულსა მას“). 3 მრქუ C. 4 ასეა. 5 მათ] ამის წინ „თ“ იკითხება: მიუგოთ მათ.

DE

C

18. ამისთვის უფროას ეძიებდეს | ჰუ-  
რიანი იგი მოკლვად იესუს, რამეთუ არა  
ხოლო შაბათსა დაჰქსნიდა, არამედ  
ღმერთსაცა მამად თჳსა იტყოდა და  
სწორ-ჰყოფდა თავსა თჳსსა ღმრთისა.

19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ,  
ამენ გეტყვ თქუენ: არა გელ-ეწიფების  
ძესა<sup>1</sup> კაცისასა საქმედ არცა ერთ რას  
თავით თჳსით, უკუეთუ არა იხილოს,  
რადმე<sup>2</sup> მამისაგან<sup>3</sup> საქმე<sup>4</sup>, რამეთუ რაე-  
დენსა-იგი მამად იქმს, მას ძმ ეგრევე  
მსგავსად იქმს.

20. რამეთუ მამასა უყუარს ძმ და ყო-  
ველსავე უზუნებს მას, რაოდენსაცა-იგი  
იქმს, და უფროდს-ღა ამისა უზუნებს  
მას საქმე<sup>5</sup>, რადთა თქუენ გიკვრდეს.

21. რამეთუ ვითარცა-იგი მამად აღა-  
დგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგ-  
რეცა ძმ, რომელთაჲ ჰნებაეს, აცხოვ-  
ნებს.

22. არცაღა მამად შჯის არაეის, არა-  
მედ ყოველი საშჯელი მოსცა ძესა<sup>1</sup>.

23. რადთა ყოველნი პატივ-ჰსცემდენ<sup>2</sup>  
ძესა<sup>1</sup>, ვითარცა-იგი პატივ-ჰსცემენ<sup>3</sup> მამასა,  
რამეთუ რომელმან პატივ-ჰსცეს<sup>4</sup>  
ძესა<sup>1</sup>, მან პატივ-სცეს || მამასა, რომელმან  
მოავლინა იგი.

24. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ  
რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინეს<sup>5</sup>  
და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნ-  
დეს მას<sup>9</sup> ცხოვრებაჲ<sup>10</sup> საუკუნოჲ; და  
საშჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ  
გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხო-  
რებად.

25. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ  
მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუ-  
დართა ისმინენ სიტყუანი ძისა ღმრთი-  
სანი; და რომელთა ისმინენ, ცხონდენ.

18. ამისთვის უფროას ეძიებდეს მას  
ჰურიანი იგი მოკლვად, რამეთუ არა ხო-  
ლო შაფათთა დაჰქსნისათჳს, არამედ რა-  
მეთუ მამად თჳსა იჩემებდა ღმერთსა და  
თავსა თჳსსა ასწარობდა<sup>1</sup> ღმერთსა.

19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მარ-  
თლიად მართალსა გეტყვ თქუენ: ეერ  
გელ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ თა-  
ვით თჳსით არარაჲ, არა თუ იხილის,  
რასა მამად იქმნ, რამეთუ რასაცა<sup>2</sup> იგი  
იქმს, მისა მსგავსადცა ძმ იქმს.

20. რამეთუ მამასა უყუარს ძე და  
ყოველსავე უზუნებს მას, რასაცა-იგი  
იქმს, და უდიდეს-ღა ამისსა უზუნენს  
მას საქმენი, რადთა თქუენ გიკვრდეს.

21. რამეთუ ვითარცა მამამან<sup>3</sup> აღა-  
დგინენს მკუდარნი და ცხოელ ყვნეს, ეგ-  
რეცა ძემან, რომელთაჲ უნდეს, ცხოელ  
ყვნეს.

22. და არცა მამად შჯიდეს ვის, არა-  
მედ სასჯელი ყოველი მისცა ძესა,

23. რადთა ყოველნი პატივისა-უყოფ-  
დენ<sup>4</sup> ძესა, ვითარცა პატივისა-უყოფენ  
მამასა. რომელმან აღიღოს ძე, აღიღოს  
მამაცა, მომავლინებელი მისი.

24. მართლიად მართალსა გეტყვ  
თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუაჲ ჩე-  
მი ისმინოს და ჰრწმენეს იგი, რომელ-  
მან მომავლინა მე, მიიღოს ცხოვრებაჲ  
იგი საუკუნოჲ, და სასჯელსა არა შევი-  
დეს, არამედ გარდაიცვალოს სიკუდი-  
ლისაგან ცხოვრებად.

25. მართლიად მართალსა გეტყვ  
თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს,  
ოდეს მკუდართა ესმოდის ჳმაჲ ძისა მის  
ღმრთისაჲ; და რომელთა ესმოდის,  
ცხონდენ.

1 ძესა D. 2 რადე D. 3 მამისგნ D. 4 საქმე D. 5 პატივ-სცემდენ E. 6 პატივ-სცემენ E.  
7 პატივ-სცეს E. 8 ისმინეს| დაიმარხნეს E. 9 მას|—D. 10 ცხოვრებაჲ E.  
1 = ასწარობდა? 2 რასაც C. 3 მამან C. 4 პატივისა-უყოფდეს C.

DE

C

26. რამეთუ ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხორებდა თავისა თვისისა თანა, ეგრეცა ძესა<sup>1</sup> მოსცა, რაათა აქუნდეს ცხორებდა თავისა თვისისა თანა<sup>2</sup>.

27. და ველმწიფებდა მოსცა მას სა-შჯელისა ცა ყოფად, რამეთუ ძს კაცისაა არს.

28. ნუ გიკვრნ ესე, რამეთუ მოვალს ეამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჳმისა მისისაა.

29. და გამოვიდოდინ კეთილისა მოქმედნი, აღდგომოდინ ცხორებასა საუკუნესა, ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა საშჯელისასა.

30. იარა ველ-მეწიფეების მე საქმელთავით თვისით არარაა, არამედ ვითარცა მესმის, ვშჯი, და საშჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა.

31. უკუეთუ მე ვწამებდე თავისა ჩემისათვის, წამებდა ჩემი არა არს ჳეშმარიტ.

32. სხუად არს, რომელი წამებს ჩემთვის, და ვიცი, რამეთუ ჳეშმარიტ არს წამებდა მისი, რომელსა წამებს ჩემთვის.

33. თქუენ მივლინეთ იოვანესა, და წამა ჳეშმარიტი.

34. ხოლო მე წამებდა კაცისაგან არა მოვილო, არამედ ამას ვიტყვ, რაათა თქუენ ჳსცხონდეთ<sup>3</sup>.

35. რამეთუ იგი იყო სანთელი აღნთებული საჩინოდ, ხოლო თქუენ ინებეთ ეამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა.

36. ხოლო მე მაქუს წამებდა უფროდს იოვანესა, რამეთუ საქმს<sup>4</sup>, რომელი მო-

26. რამეთუ ვითარცა მამასა აქუს ცხორებდა თავისა თვისისა თანა, ეგრეცე მისცა ძესა, რაათა აქუნდეს ცხორებდა თავისა თვისისა თანა.

27. და ველმწიფებდა მოჰსცა მას, რაათა შჯიდეს, და რამეთუ ძე კაცისაა არს.

28. ესე<sup>1</sup> რადასა გიკვრნ? რამეთუ მოვიდეს ეამი<sup>2</sup>, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ<sup>3</sup> სამარებებსა<sup>4</sup>, ისმინონ ჳმისა მისისაა.

29. და გამოვიდოდინ კეთილისა მოქმედნი აღდგომად ცხორებისად, და ძკრისა მოქმედნი აღდგომად სასჯელისად.

30. არა ველ-მეწიფეების მე თავით ჩემით არარაა, არამედ ვითარცა მესმის, ვსჯი, და სასჯელი ჩე(მი)<sup>5</sup> მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა.

31. უკუეთუ მე ვწამო ჩემთვის, და წამებდა ჩემი არა (ჳე)შმარიტ არს.

32. სხუად<sup>6</sup> არს, რომელი წამებს ჩემთვის, და თქუენ იცით, რამეთუ ჳეშმარიტ არს წამებდა მისი, რომელ წამა ჩემთვის.

33. თქუენ მიუვლინეთ იოვანესა, და წამა ჳეშმარიტებისა მისთვის.

34. ხოლო მე არა კაცისაგან მოვილემ წამებასა, არამედ ამას ვიტყვ, რაათა თქუენ განერნეთ.

35. იგი იყო სანთელი, რომელი აღნთებული ნათობდა, და თქუენ ინებეთ ეამ ერთ მხიარულ-ყოფად ნათელსა მისსა.

36. ხოლო მე მაქუს წამებდა უფროდს იოვანესა, რაათა საქმენი იგი, რომელ

1 ძსსა D. 2 თვისი თანა D. 3 სცხონდეთ E. 4 საქმე D.

1 ზელნაწერის პუნქტუაციის თანახმად, „ესე“ წინა წინადადებას ამთავრებს: „რამეთუ ძე კაცისაა არს ესე“. 2 ეამნი C. 3 ისნენ C. 4 სამარებებსა C (შდრ. სამარებას მ. 23, 29). 5 ჩე C (დაუწერია „ჩემ“ და უნებლიედ შემდეგ სიტყვაზე გადასულა, რომელიც მანით იწყება). 6 სხვადა C.

DE

C

მტა მე მამამან, რადთა აღვასრულო იგი, ესევე საქმენი წამებენ ჩემოვს, რამეთუ მამამან მომავლინა მე.

37. და რომელმან მომავლინა მე მამამან, მან წამა ჩემოვს. თქუენ არცა ვმად მისი || გესმა სადამე და არცა ხატი მისი ეხილეთ.

38. და სიტყუად მისი არა არს თქუენ თანა დაღვრომილ, რამეთუ რომელი-იგი მან მოავლინა, ესე თქუენ არა გრწამს.

39. გამოიძიეთ წიგნთაგან, რამეთუ თქუენ ჰგონებთ თავთა შინა თქუენთა, ვითარმედ გაქუს<sup>1</sup> ცხორებად საუკუნს; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემოვს.

40. და თქუენ არა გნებავს მოსლევად ჩემდა, რადთა ცხორებად გაქუნდეს.

41. მე დიდებად კაცთაგან არა მოვილო.

42. არამედ გიცი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისად არა გაქუს. თავისა თქუენისა თანა.

43. მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისადათა, და არა შემიწყნარეთ. უკუეთუ სხუად მოვიდეს სახელითა თვისთა, იგი შეიწყნაროთ.

44. ვითარ-მე უკუე ველ-გეწიფების თქუენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ღმრთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებთ?

45. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე თქუენ მამასა; არს შემასმენელი თქუენი მოსე<sup>2</sup>, რომელსა თქუენ ესავთ.

46. უკუეთუმცა გრწმენა | მოსისი<sup>3</sup>, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემოვს დაწერა.

მო(მ)ცნა<sup>1</sup> მამამან, რადთა აღვასრულნე იგინი, იგივე საქმენი, რომელთა ვიქმ, წამებენ ჩემოვს, რამეთუ მამამან მომავლინა მე.

37. და რომელმან მომავლინა მე მამამან<sup>2</sup>, იგი წამებს ჩემოვს. თქუენ არასადა ვმად მისი გესმა და არცა ელვად მისი გიხილავს.

38. და არცა სიტყუანი მისნი არიან თქუენ შორის დაძკვდრებულ, რამეთუ რომელი მან მოავლინა, თქუენ არა გრწამს.

39. გამოიძიეთ წიგნები, რამეთუ თქუენ ჰგონებთ მათ გამო დაპყრობად ცხორებისა მის საუკუნოდას; და იგი არიან, რომელნი წამებენ ჩემოვს, რომლითა ჰგონებთ ჩემოვს დაპყრობად ცხორებისა.

40. და თქუენ არა გნებავს მოსლევად ჩემდა, რადთა ცხორებად გაქუნდეს<sup>3</sup>.

41. მე დიდებასა კაცთაგან არა მოვილებ.

42. არამედ გიცი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისად არა გაქუს.

43. მოვედ სახელითა მამისა ჩემისადათა, და არა შემიწყნარებთ მე. სხუად თუ ვინმე მოვიდეს თვისთა სახელითა, იგი შეიწყნაროთ.

44. ვითარ შეუძლოთ სარწმუნოებად, რამეთუ დიდებასა ღმრთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებთ?

45. ნუ ჰგონებთ, ვითარმცა მე ძვრის მეტყუელ რამე ვყავ თქუენთვის წინაშე ღმრთისა; არს, რომელი ძვრის მეტყუელ არს თქუენთვის, მოსე, რომელსა-იგი თქუენ ესავთ.

46. უკუეთუმცა თქუენ გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემოვს დაწერა.

1 გუაქუს E. 2 მოსი E. 3 მოსესი D.

1 მოცნა C. 2 მამამან C. 3 გაქუნეს C.

DE

C

47. უკუეთუ წიგნთა მისთაჲ არა გრწამს, ვითარ-მე<sup>1</sup> სიტყუათა ჩემთაჲ გრწმენეს?

47. უკუეთუ მისთაჲ მათ დაწერილ-თაჲ არა გრწამს, ვითარ ჩემთა ამათ სიტყუათაჲ გრწმენეს?

6

1. ამისა შემდგომად წიაღჲდა იესუ წიაღ ზლუასა მას გალილეაჲსასა, რომელ არს ტიბერიასაჲ<sup>2</sup>.

2. და მიჰსდევდა<sup>3</sup> მას ერი მრავალი, რამეთუ ჰხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იჰმოდა უძღურთა ზედა<sup>4</sup>.

3. და აღვიდა მთასა იესუ და მუნ დაჯდა მოწაფეთა მისთა თანა.

4. და იყო მახლობელ პასქაჲ, დღე-სასწაული იგი ჰურიათაჲ.

5. აღიხილნა თუალნი თჳსნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერი მოვალს მისა. ჰრქუა ფილიპეს: ვინაჲ ვიციდოთ პური, რაჲთა ჰამონ ამათ?

6. ხოლო ამას იტყოდა და გამო-ჰსციდიდა<sup>5</sup> მას, ხოლო თუთ უწყოდა, რაჲ ეგულებოდა ყოფად.

7. ჰრქუა ფილიპე<sup>6</sup>: ორასისა დრაჰ-ჰინისა პური ვერ კმა არს ამათ<sup>7</sup>, რაჲთა კაცად-კაცადმან მცირედ რაჲმე მიილოს.

8. || ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა მის-თაგანმან, ანდრეა<sup>8</sup>, ძმამან სიმონ-პეტ-რესმან:

9. არს ყრმაჲ აქა, რომელსა აქუს ხუ-თი პური ჰრთილისაჲ და ორი თევზი, არამედ ესე რაჲ არს ესოდენტა წინა?

10. ჰრქუა მათ იესუ: დასხით<sup>9</sup> კაცე-ბი ესე. იყო თიგაჲ ფრიად აღგილსა მას, და დასხნა კაცები იგი რიცხუთ ვითარ ხუთ ათას ოდენ.

11. და მოიხუნა პურნი იგი იესუ და

1. ამისა შემდგომად წარვიდა იესუ წიაღ ზლუასა<sup>1</sup> მას გალილეაჲთ კერძო ტიბერიასასა<sup>2</sup>.

2. და შეუდგა მას ერი მრავალი, რა-მეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა ჰყოფდა სწეულთა ზედა.

3. აჯდა მთასა იესუ და მუნ დაჯდა მოწაფითურთ.

4. და იყო მოახლებულ დღესასწაული იგი ჰურიათაჲ.

5. აღიხილნა თუალნი თჳსნი იესუ და იხილა ერი მრავალი, რომელ მოვიდო-და მისა. რქუა<sup>3</sup> ფილიპეს: ვინაჲ უყი-დოთ პური, რაჲთა ჰამონ?

6. ამას ეტყოდა გამოცდით, ხოლო თუთ უწყოდა, რაჲ-იგი ეგულებოდა<sup>4</sup> ყოფად.

7. მიუგო მას ფილიპე<sup>5</sup>: ორასისა დრაჰჰინისაჲ პური ვერ ეყოს მათ, და ლათუ თითოეულად<sup>6</sup> მცირედ რაჲ მიი-ლონ.

8. რქუა<sup>7</sup> მას ერთმან მოწაფეთაგან-მან, ანდრია, (ძმამან)<sup>8</sup> სკუმონ-კლდისამან:

9. არს აქა ყრმაჲ ერთი, რომელსა აქუს ხუთ ცუეზა ჰრთილის და ორ თევზ, ხოლო ესე რაჲ მყოფ არს ესდენსა ამას?

10. ჰრქუა იესუ: ინაჯ-უდგოთ კაცებსა მავას. და იყო დიდად თივლოვან ად-გილი იგი, და ინაჯ-იდგა კაცებმან<sup>9</sup> მან, რიცხუთ ხუთ ათასმან.

11. და მოილო პური იგი იესუ, ჰმად-

1 ვითარ უკუეთუ E. 2 ტიბერიასა D. 3 მისდევდა E. 4 უძღურთა ზედა| ჰურიათა ზედა D. 5 გამოსციდიდა E. 6 ფილიპე E. 7 ამათ D. 8 ანდრია D. 9 დასხით D. 1 ზლასა C. 2 ასეა. 3 ასეა. 4 ეგულებუდა C. 5 ფილიპე C. 6 თითოეულად C. 7 ძმა-მან]-C. 8 კაცებმა C.



DE

ჰმადლობდა და მიჰსცემდა<sup>1</sup>, რომელნი-  
იგი დასხდეს. ეგრეცა თევზთა მათგანი,  
რაოდენ უნდა მათ.

12. და ვითარცა<sup>2</sup> განძღეს, ჰრქუა  
იესუ მოწაფეთა თჳსთა: შეკრიბეთ ნე-  
შტი ეგე ნამუსრევი, რაჲთა ნუმცა რაჲ  
წარწყმდების.

13. ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს  
ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთ-  
თა მათგან პურთა ქრთილისათა, რომელ-  
იგი დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჰამეს.

14. ხოლო კაცთა მათ ვითარცა იხი-  
ლეს, რომელ-იგი<sup>3</sup> ჰქნა სასწაული, იტ-  
ყოდეს: ესე არს ჰეშმარიტად წინაწარ-  
მეტყუელი, რომელი მოსრულ არს<sup>4</sup>  
სოფლად.

15. ხოლო იესუ გულისხმა-ყო<sup>5</sup>, რამე-  
თუ მოვიდოდეს წარტაცებად მისა, რაჲ-  
თამცა ყვეს იგი მეფე<sup>6</sup>, და განეშორა  
და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ.

16. და ვითარცა შემწუხბრდა, შთავი-  
დეს მოწაფენი მისნი ზღუად

17. და შევიდეს ნავსა და მივიდოდეს  
წიალ ზღუასა მას კაჲარნაუმდ<sup>7</sup>. და შე-  
ოდენ-რიკუნებოდა, და არლა მოსრულ  
იყო მათა იესუ.

18. ხოლო ზღუად იგი ქარისაგან დი-  
ლისა აღიძრვოდა.

19. და შეოდენ-სრულ იყენეს ვითარ  
ოც და ხუთ შტევან გინა ოც და ათ, და  
იხილეს იესუ, ვიდოდა რაჲ ზღუასა  
ზედა, და ახლოს იყო ნავსა მას. ხოლო  
მათ შეეშინა.

20. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე  
ვარ, ნუ გეშინინ!

21. და<sup>8</sup> უნდა მათ<sup>9</sup>, რაჲთამცა შე-  
იყვანეს იგი ნავსა მას. და მეყსეულად

C

ლობდა და განუყო მენიჯეთა მათ. ეგ-  
რეცა თევზთა მათგან, რავედენცა უნდა.

12. და ვითარცა განძღეს, ჰრქუა მო-  
წაფეთა მათ თჳსთა: შეკრიბეთ ნეშტი  
ნამუსრევისაჲ მაგის, რაჲთა არაჲ წარ-  
წყმდეს.

13. შეკრიბეს და აღავსეს ნამუსრევი-  
თა მით ათორმეტი კუელი ხუთთა მათ-  
ქრთილისა პურთაგან, რომელ დაშთა  
მჰამელთა მათგან.

14. ხოლო კაცებმან მან ვითარცა იხი-  
ლა სასწაული იგი, რომელ ჰქნა, იტყო-  
დეს: ჰეშმარიტად ესე არს წინაწარ-  
მეტყუელი, რომელი მოსლვად იყო  
სოფლად.

15. იესუ ვითარცა გულისხმა-ყო<sup>1</sup>, რა-  
მეთუ ეგულეზოდა წარტაცებაჲ მისი,  
რაჲთამცა ყუეს<sup>2</sup> მეფეჲ, მიჰრიდა მერ-  
მე მთად კერძო მარტომან.

16. და ვითარცა დამწუხბრდა, გარ-  
დამოჯდეს<sup>3</sup> მოწაფენი მისნი ზღს<sup>4</sup> კი-  
დესა მას

17. და შესხდეს ნავსა, წიალვიდოდეს  
ზღუასა მას კაჲარნაუმდ კერძო. და აჰა  
დაბნელდა, და ვიდრე არლა მოწევეულ  
იყო მათა<sup>5</sup> იესუ,

18. და ზღუად იგი ძლიერთა ქართა-  
გან აღირლოდა.

19. და შესლულ იყენეს ვითარ ოც და  
ხუთოდენ ასპარეზ ანუ ოც და ათ, ხედ-  
ვიდეს იესუს, რამეთუ ვიდოდა ზღუასა  
მას და მოეახლა ნავსა მას. შეძრწუნ-  
დეს დიდად.

20 და ჰრქუა მათ: მე ვარ, ნუ გეშინ-  
ნინ!

21. და უნდა აღსლვად მისი ნავსა  
მას. და მეყსეულად მიიწია ნაფი იგი

1 მისცემდა E. 2 ვითარცა] —D. 3 რომელი D. 4 მოსრულა D. 5 გულისხმა-ყო I. 6 მე-  
ფე E. 7 კაჲარნაომდ E. 8 და] —D. 9 მათ] —E.

1 ასეა. 2 ასეა. 3 გარდაოჯდეს C. 4 ზღს C. 5 მათ C.

DE

C

იპოვა ნავი იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა ვიდოდეს.

22. ხელისაგან ერი იგი რომელ დგა წიად ზღუასა მას, უწყოდეს, რამეთუ სხუად ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი იგი ხოლო, რომელსა შესრულ იყენეს<sup>1</sup> მოწაფენი იესუსანი<sup>2</sup>, და რამეთუ არა შევიდა იესუ მოწაფეთა თანა<sup>3</sup> ნავისა მას, არამედ მოწაფენი ხოლო მისნი შევიდეს.

23. მოვიდეს სხუანიცა ნავნი ტიბერიადთ, მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი ქამეს პური, რომელ აკურთხა უფალმან და კმადლობდა.

24. ოდეს-იგი<sup>3</sup> იხილა ერმან მან, ვითარმედ იესუ არა მუნ არს, არცა მოწაფენი მისნი, მოადგინეს მათ ნავები და<sup>4</sup> მოვიდეს კაფარნაუმდ<sup>5</sup> და ეძიებდეს იესუს.

25. და პოვის იგი<sup>6</sup> წიად ზღუასა მას და ჰრქუეს მას: რაბი, ოდეს მოხუედ აქა?

26. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქუნენ: მეძიებთ მე, არა თუ რაათა იხილნეთ სასწაულნი, არამედ რამეთუ<sup>7</sup> შეჰამეთ<sup>8</sup> პურთა მათგან და განსძელით.

27. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგვის ცხორებად საუკუნოდ, რომელი ძემან<sup>9</sup> კაცისამან მოგცეს თქუნენ, რამეთუ ამის მამამან დაჰბეჭდა ღმერთმან.

28. ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაათა ვიქმოდით საქმესა ღმერთისასა?

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე<sup>10</sup> ღმერთისაჲ, რაათა გრწმენეს, რომელი-იგი<sup>11</sup> მან მოაველინა.

ქუეყანასა მას, რომელსა მივიდოდეს.

22. ხელისაგან ერი იგი, რომელ დგა წიად ზღუასა მას, ხედვიდა, რამეთუ სხუად ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი ხოლო, რომელსა შინა იყენეს მოწაფენი იგი იესუსნი, რამეთუ არა შესრულ იყო იესუ მოწაფეთა მათ თუსთა თანა ნავისა მას, გარნა მოწაფენი იგი ხოლო მისნი წარვიდეს.

23. სხუანი ნავნი მოვიდოდეს ტიბერიადთ მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი პური ქამეს.

24. და ვითარ იხილა ერმან მან, რამეთუ იესუ არა მუნ<sup>1</sup> შინა არს და არცა მოწაფენი მისნი, მიიქციეს ნავი იგი და მივიდეს კაპარნაუმდ<sup>2</sup> მოძიებად იესუსა.

25. და ვითარცა პოვის იგი წიად ზღუასა<sup>3</sup> მას, ჰქუეს<sup>4</sup> მას: ჰრაბი, ოდეს მოხუედ აქა?

26. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: მართლიად მართალსა გეტყვ თქუნენ<sup>5</sup>: მეძიებდით მე არა თუ სასწაულისა ხილვისათუს, არამედ რამეთუ ჰჰამეთ პურისა მისგან და განსძელით.

27. წარვედით, იქმოდეთ ნუ წარსაწყმედელსა მას კამადსა, არამედ საქმელსა მას, რომელი დაშთეს ცხორებასა მას საუკუნესა, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუნენ, რამეთუ ესე მამამან<sup>6</sup> დაჰბეჭდა ღმერთმან.

28. ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაათა საქმეთა ღმერთისათა ვიქმოდით?

29. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: ესე არიან საქმენი ღმერთისანი, რაათა გრწმენეს იგი, რომელმან მოაველინა მე.

1 იყოვნეს D\* (როგორც ჩანს, ჯერ „იყო“ დაწერა და შემდეგ გადაასწორა). 2 იესუსნი (იკუნნი) D. 3 ოდეს E. 4 და|და D. 5 კაფარნაომდ E. 6 იგი —D. 7 რამეთუ —E. 8 ჰამეთ I). 9 ძემან D. 10 საქმე D. 11 რომელი E.

1 მუნ (მოქუნ) C. 2 კაპარნაუმდ C. 3 ზღასა C. 4 ასეა. 5 თქუნ C. 6 მამან C.

D E

C

30. და მათ ჰრქუენს<sup>1</sup>: რასა სასწაულ-სა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენენს შენი? რასა იქმ?

31. მამანი ჩუენნი კამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ კანად.

32. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: არა მოსე<sup>2</sup> მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამიან ჩემან მოგცა თქუენ პური ქეშმარიტი ზეცით.

33. რამეთუ პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდამოჲდა ზეცით და მოჰსცა<sup>3</sup> ცხორებდა სოფელსა.

34. ჰრქუეს მას: უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე.

35. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა ჰშვიოდის, და რომელსა ჰრწმენენს ჩემი, არასადა ჰსწყუროდის<sup>4</sup>.

36. არამედ გარქუ<sup>5</sup> თქუენ: მიხილეთ მე და არა გრწამს.

37. ყოველი რომელი მომცეს მე მამან ჩემან<sup>6</sup>, ჩემდა<sup>7</sup> მოვიდეს; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე<sup>8</sup>.

38. რამეთუ გარდამოჲგედ ზეცით, არა რაჲთა<sup>9</sup> ყუო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ.

39. რამეთუ ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მომცეს მე, არა წარვწყმიდო მათგან<sup>10</sup>, არამედ აღვადგინო იგი უკუანაჲსკენელსა მას დღესა.

40. რამეთუ ესე არს ნებაჲ მამისა ჩემისაჲ, რაჲთა რომელი ჰხედვიდეს ძესა და ჰრწმენენს იგი, აქუნდეს ცხორებდა

30. ჰქუეს<sup>1</sup> მას: რაჲ სასწაულ ჰყო, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენენს? რაჲ ჰქმნე?

31. მამათა<sup>2</sup> მათ (ჩუენთა)<sup>3</sup> კამეს მანანაჲ იგი უდაბნოსა მას, ვითარცა წერილ არს: პური ცათაჲ მოსცა მათ კანად.

32. ჰრქუა მათ იესუ: მართლიად მართლსა გეტყვ თქუენ: არა თუ მოსე მოგცა თქუენ პური იგი ზეცით, არამედ მამამან<sup>4</sup> ჩემან მოგცეს თქუენ პური ზეცით ქეშმარიტი.

33. რამეთუ პური ღმრთისა მიერ არს, რომელი გარდამოჲვალს ზეცით და ცხორებასა მისცემს სოფელსა.

34. ჰრქუეს<sup>5</sup>: უფალო, გუეც ჩუენ პური იგი ყოველსა ვამსა.

35. ხოლო ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შვიოდის, და რომელსა ვრწმენენ მე, არასადა ჰსწყუროდის.

36. არამედ რამეთუ გარქუ თქუენ, რამეთუ: მიხილეთ მე და არა გრწამს.

37. ყოველი, რომელი მომცეს მე მამან, ჩემდა მოვიდენ; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე.

38. რამეთუ გარდამოჲგედ ზეცით, არა თუ ვითარმცა ნებაჲ ჩემი ვყავ, არამედ ნებაჲ მისი, რომელმან მომავლინა მე.

39. ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ, რამეთუ ყოველი, რომელი მომცა მე მამამან, არა წარვწყმიდო მათგანი, არამედ აღვადგინო იგი დღესა მას უკუანაჲსკენელსა.

40. ესე არს ნებაჲ მამისა ჩემისაჲ, რაჲთა ყოველმან, რომელმან იხილოს ძე და ჰრწმენენს იგი, მიიღოს ცხორე-

1 თქუენ E. 2 მოსე E. 3 მოსცა E. 4 სწყუროდის E. 5 გარქუთ F. 6 ჩემან] — E. 7 ჩემდა] — D (D-შია „ჩემან“, E-ში კი „ჩემდა“). 8 გარე E. 9 რაჲთა] — E. 10 მათგანი E.

1 ჰქეს C. 2 ამის წინ წაშლილია „მამათ“. 3 ჩუენთა] — C (გამოჰრჩენია „მათ ჩუენთა“ და „მათ“ ჩაუმატებია, „ჩუენთა“ კი დაჰვიწყებია). 4 მამან C. 5 ჰქეს C.

DE

C

საუკუნოა, და მე აღვიდგინო იგი დღესა მას უკუანადასკენელსა.

41. დრტვნივდეს მისთჳს პურიანი იგი, რამეთუ თქუა: მე ვარ პური, რომელი ზეცით გარდამოვკვდ,

42. და იტყოდეს: არა ესე არსა იესუ, ძმ იოსებისი, რომლისა<sup>1</sup> მამა ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე იტყვს აწ ესე, ვითარმედ: ზეცით გარდამოვკვდ?

43. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნუ ჰსდრტვნავთ<sup>2</sup> ურთიერთას.

44. ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მომავლინებელმან ჩემმან მამამან მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანადასკენელსა დღესა.

45. წერილ არს წინაწარმეტყუელთა<sup>3</sup>, ვითარმედ: იყვენე ყოველნი ღმრთით სწავლულ. ყოველსა რომელსა ესმა მამისაგან<sup>4</sup> და ისწავა, მოვიდეს ჩემდა.

46. არა თუ მამა ვისმე უხილავს, გარნა რომელი იყო ღმრთისა თანა, ამან იხილა მამა.

47. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს მას ცხორება და საუკუნოა.

48. მე ვარ პური ცხორებისა.

49. მამათა თქუენთა ჰამეს მანანა უდაბნოსა ზედა და მოწყდეს.

50. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოვკდა, რათა, უკუეთუ ვინმე ჰამოს მისგანი, არა მოკუდეს.

51. მე ვარ პური ცხორებისა, რომელი ზეცით გარდამოვკვდ. უკუეთუ ვინმე ჰამოს ამის პურისაგანი, ცხოვდეს<sup>5</sup> უკუნისადმდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჳორცი ჩემი არს, რომელი მე მივსცე ცხორებისათჳს სოფლისა.

ბა და საუკუნოა, და მე აღვადგინო იგი დღესა მას უკუანადასკენელსა.

41. დრტვნივდეს მისთჳს პურიანი იგი, რამეთუ თქუა: მე ვარ პური იგი გარდამოსრული ზეცით,

42. და იტყოდეს: არა ესე არს იესუ, ძმ იოსეფისი, რომლისა ვიცით დედა და მამა? აწ ვითარ იტყვს, ვითარმედ: მე ცით გარდამოვკვდ?

43. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: რასა სდრტვნავთ ურთიერთას?

44. ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, არა თუ მამამან, რომელმან მომავლინა, მიიზიდოს იგი, და მე აღვადგინო იგი დღესა მას უკუანადასკენელსა.

45. წერილ არს წინაწარმეტყუელთა: და იყვენე ყოველნი განსწავლულ ღმრთისა მიერ. ყოველსა რომელსა ესმეს მამისაგან და ისწავოს, მოვიდეს ჩემდა.

46. არა თუ მამა ვის უხილავს, გარნა რომელი-იგი არს ღმრთისაგან, მან იხილა მამა.

47. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს, მოიღოს ცხორება იგი საუკუნს.

48. მე ვარ პური ცხორებისა.

49. მამათა<sup>1</sup> თქუენთა ჰამეს მანანა უდაბნოსა და მოწყდეს.

50. ესე არს პური იგი ზეცით გარდამოსრული, რამეთუ რომელმან ჰამოს ამისგან, არა მოკუდეს.

51. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით<sup>3</sup> გარდამოვკვდ. რომელმან ჰამოს პურისა ამისგან, ცხოვდეს<sup>5</sup> უკუნისამდე<sup>4</sup>. და პური იგი, რომელი მე მივსცე, ჳორცი ჩემი არს, რომელი მე მივსცე ცხორებისათჳს სოფლისა.

1 რომლისა E. 2 სდრტვნავთ E. 3 წწყლსა E. 4 ესმა მისაგან D (წინა სიტყვის „მამა“-ს გამო). 5 ცხოვდეს D.

1 მამათა C. 2 ზეცთ C („თ“ მგრმეა ზემოთ ჩაწერილი). 3 ცხოვნეს C. 4 უჳარაგმოლ სწერია.

DE

C

52. ილაღვიდეს ურთიერთას<sup>1</sup> ჰურია-ნი იგი და იტყოდეს: ვითარ-მე ჳელ-ეწი-ფების ამას მოცემად || ჩუენდა ჳორცი იგი თჳსი საჳმალად?

53. ჳრჳუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ-თქუნენ: უჳუეთუ არა ჳჳჳამოთ<sup>2</sup> ჳორცი ძისა კაცისადა და ჳსუათ სისხლი მისი, არა გაჳუნდეს ცხორებდა თავისა თქუე-ნისადა.

54. ხოლო რომელი ჳამდეს ჳორცსა ჩემსა და ჳსუმიდეს<sup>3</sup> სისხლსა ჩემსა, აჳუნ-დეს ცხორებდა საუჳუნოდა, და მე აღვად-გინო იგი უჳუნადსკენელსა დღესა.

55. რამეთუ ჳორცი ჩემი ჳეშმარი-ტი საჳმელი არს, და სისხლი ჩემი ჳეშ-მარიტი სასუშელი არს.

56. და რომელი ჳამდეს ჳორცსა ჩემ-სა და ჳსუმიდეს<sup>3</sup> სისხლსა ჩემსა, ჩემ თა-ნა დადგრომილ არს, და მე მის თანა.

57. ვითარცა მომავლინა მე ცხოველ-მან მამამან, და მეცა ცხოველ ვარ მა-მისა მიერ; და რომელი ჳამდეს ჩემგან, იგიცა ცხონდეს ჩემ მიერ.

58. რამეთუ ესე არს პური, რომელი ჳეკით გარდამოჳდა. არა ეგრეთ<sup>4</sup>, ვითარ-იგი ჳამეს მამათა თქუენთა მანანად იგი და მოწყდეს. | ხოლო რომელი ჳამდეს ამას პურსა, ცხონდეს უჳუნისადმდე<sup>5</sup>.

59. ესე თქუა შესაკრებელსა შორის და ასწავებდა კათარნაუმს<sup>6</sup>.

60. მრავალთა მოწაფეთა მისთაგანთა რომელთა ესმა ესე, იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუადა ესე. ვის ჳელ-ეწიფების სმენად მისა?

61. იცოდა იესუ სულითა თჳსითა, რამეთუ დრტუნვენ მოწაფენი მისნი ამის-თჳს; ჳრჳუა მათ: ესე დაგაბრკოლებს თქუენა?

52. ჳედებოდეს ურთიერთას ჳურიანი-იგი და იტყოდეს: ვითარ ჳემძღებელ-არს ესე მოცემად ჩუენდა ჳორცი იგი თჳსი ჳამად?

53. ჳრჳუა მათ იესუ: მართლიად<sup>1</sup> მარ-თალსა (გეტყვ)<sup>2</sup> თქუენ: არა თუ ჳჳამოთ ჳორცი ძისა კაცისადა და სუათ სისხლი მისი, არა გაჳუნდეს ცხორებდა თავთა თქუენთადა.

54. რომელმან ჳამოს ჳორცი ჩემი და სუას სისხლი ჩემი, აჳუნდეს ცხორებდა<sup>3</sup> საუჳუნოდა, მე აღვადგინო იგი დღესა მას უჳუნადსკენელსა.

55. რამეთუ ჳორცი ჩემი ჳეშმარიტი არს საჳმელი, და სისხლი ჩემი ჳეშმარი-ტი არს სასუშელი.

56. რომელმან ჳამოს ჳორცი ჩემი და სუას სისხლი ჩემი, ჩემ თანა დაიმკვლ-როს, და მე მის თანა.

57. ვითარცა მომავლინა მე მამამან ცხოველმან, და მე ცხოველ ვარ მამისა თანა; და რომელმან ჳამოს ჳორცი ჩემი, იგი ცხონდეს ჩემ ვამო.

58. ესე არს პური ჳეკით გარდამო-სრული. არა ეგრე, ვითარ-იგი ჳამეს მა-მათა თქუენთა მანანად იგი და მოწყდეს<sup>4</sup>. რომელმან ჳამოს პური ესე, ცხონდეს უჳუნისამდე<sup>5</sup>.

59. ამას ეტყოდა<sup>6</sup> ერსა მას სწავლა-სა მას შინა კათარნაუმს.

60. და მრავალთა მოწაფეთა მისთა-განთა ვითარცა ესმა, იტყოდეს და თქუეს: ფიცხელ არს (სი)ტყუადა ეგე. ვინ უძღოს სმენად მაგის?

61. ვითარცა გულისხმა-ყო იესუ თა-ვით თჳსით, ვითარმედ დრტუნვენ მის-თჳს მოწაფენი<sup>7</sup> იგი მისნი, ჳრჳუა: ეგე დაგაბრკოლებს თქუენ?

1 ურთიერთას D. 2 ჳჳამოთ E. 3 სუმიდეს E. 4 ეგრე E. 5 ოჳე DE. 6 კათარ-ნაუმს E.

1 მართლიად C. 2 გეტ C. 3 ცხორებდა C. 4 მოწყდეს C. 5 უჳარაგმოდ სწურია. 6 ეტყუ-და C. 7 მოწაფენი C.

DE

C

62. უკუეთუ იხილოთ ძმ კაცისაჲ აღ-  
მავალი, სადაცა იყო პირველ?

63. სული არს განმაცხოველებელ,  
ხოლო ჯორცი არად სავმარ არიან;  
სიტყუათა რომელთა გეტყვ თქუნ, სულ  
არიან და ცხორება<sup>1</sup>.

64. არამედ არიან<sup>2</sup> ვინმე თქუნთა-  
განნი, რომელთა არა ჰრწამს. რამეთუ  
იცოდა იესუ პირველითგან, რომელნი  
არიან იგინი, რომელთა არა ჰრწამს, და  
ვინ არს მიმცემელი მისი.

65. და ეტყოდა: ამისთვის გარქუ  
თქუნ, ვითარმედ<sup>3</sup>: ვერვის კელ-ეწიფე-  
ბის მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა არს  
მისა მოცემულ მამისაგან ჩემისა.

66. || ამის გამო მრავალნი მოწაფეთა  
მისთაგანნი უკუნძეცეს და არღარა მის  
თანა ვიდოდეს.

67. ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ:  
ნუუკუე თქუნცა გნებავს წარსლვის?

68. მიუგო მას სიმონ-პეტრე და ჰრქუა:  
უფალო, ვისა მივიდეთ? სიტყუაჲ ცხო-  
რებისა<sup>4</sup> საუკუნოჲსაჲ გაქუს შენ.

69. და ჩნ გურწმენა და გცნობიეს, რ  
შენ ხარ ქე, ძმ ღმრთისა<sup>5</sup> ცხოველისაჲ.

70. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა-  
მე ათორმეტნი თქუნ<sup>6</sup> გამოგირჩიენა?  
და ერთი თქუნგანი ეშმაკი არს.

71. ხოლო იტყოდა იუდას<sup>7</sup> სიმონის-  
სა<sup>8</sup>, ისკარიოტელსა, რამეთუ ამას ეგუ-  
ლებოდა მიცემაჲ მისი, რომელ ერთი  
იყო ათორმეტთაგანი.

62. ან უკუეთუ იხილოთ ძმ კაცისაჲ,  
რამეთუ აღვიდოდის, სადა იყო პირველ?

63. სული არს განმაცხოველებელი,  
ჯორცი არას არგებს. სიტყუასა, რომელ-  
სა გეტყოდ<sup>1</sup> მე თქუნ, სული არს და  
ცხორება არს.

64. რამეთუ უწყოდა იესუ დასაბამით-  
გან ვინ არიან, რომელთა არა ჰრწმენეს,  
და ვინ არს, რომელმან მისცეს იგი.

65. და თქუა: ამისთვის გეტყოდ  
თქუნ, ვითარმედ: ვერვინ მოვიდეს<sup>2</sup> ჩემ-  
და, არა თუ მიცემულ იყოს მისა მამისა  
მიერ ჩემისა.

66. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა  
მისთაგანნი უკუნდგეს და არა იქცოდეს  
მის თანა.

67. ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ მო-  
წაფეთა: ნუუკუე თქუნცა გნებავს წარ-  
სლვად?

68. მიუგო სუმონ-პეტრე და ჰრქუა:  
უფალო, ვიდრე ვიდეთ? სიტყუაჲ ცხო-  
რებისა საუკუნოჲსაჲ გაქუს.

69. და ჩუნ გურწმენა და გიცანთ,  
რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ.

70. მიუგო მათ<sup>3</sup> იესუ: არა თქუნ  
ათორმეტნი გამოგირჩიენ? და ერთი  
თქუნგანი ეშმაკი არს.

71. და იტყოდა იუდა<sup>4</sup> სუმონის სკა-  
რიოტელისათვის, რამეთუ მას ეგულებო-  
და მიცემაჲ მისი და იგი იყო ერთი  
ათორმეტთაგანი.

7

1. ამისა შემდგომად იქცეოდა<sup>9</sup> იესუ  
გალილეას და არა უნდა მისლვად ჰუ-

1. და ამისა შემდგომად იქცეოდა იე-  
სუ გალილეას, რამეთუ არა უნდა, ვი-

1 ცხორებაჲ D. 2 არიან] — D. 3 ვითარ (ერ) D. 4 ცხორებისა D. 5 ღმრთისაჲ (ღ-ღ) D. 6 თქუნ] — E. 7 იოდას D. 8 სიმონის D. 9 იქცეოდა D.

1 გეტყოდ C. 2 მოვიდ C. 3 მათ ამის ადგილას პირველად „იკ“ დაუწერია და შემდგმ გადაუსწორებია. 4 იუდაჲ C. 5 უერ დაუწერია: „იო“ და შემდგმ „ჰ“ ბოლოში მიუწერია („იოჲ“).

DE

C

რიასტანად<sup>1</sup>, რამეთუ ეძიებდეს ჰურიანი მოკლვად მას.

2. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული<sup>2</sup> იგი ჰურიათაჲ, რომელ იყო კარვობისაჲ.

3. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: გარდაგულად ამიერ და წარვიდეთ ჰურიასტანად<sup>1</sup>, რაჲთა მოწაფეთაჲ<sup>3</sup> შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა შენ იქმ.

4. რამეთუ არაჲ ვინ ფარულად რასმე იქმნ და ჰნებავენ, ვითარმცა განცხადებულ იყო. უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადებთავი შენი სოფელსა.

5. რამეთუ არცალა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი.

6. ჰრქუა მათ იესუ: ეამი ჩემი არლა მოწევენულ არს, ხოლო თქუენი ეამი ოდესგე განმზადებულ არს.

7. რამეთუ ვერ ჰელ-ეწიფეების სოფელსა მოძულებად თქუენდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ მე<sup>4</sup> ეწამებ მისთჲს, რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ არიან.

8. თქუენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვად დღესასწაულსა ამას, რამეთუ ეამი ჩემი არლა აღსრულებულ არს.

9. ესე ჰრქუა მათ და დაადგრა გალილეას.

10. და ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულსა მას, მაშინ თავადიცა იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ფარულად.

11. ხოლო ჰურიანი ეძიებდეს დღესასწაულსა მას და იტყოდეს: სადა-მე არს იგი?

12. და იყო დრტუნვაჲ მისთჲს || ერსა შორის. რომელნიმე<sup>5</sup> იტყოდეს: კეთილ

თარმცა ჰურიასტანს<sup>1</sup> იქცეოდა, რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად.

2. და იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათა ტალავრობისაჲ.

3. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: წარვედ ამიერ და მივედ ჰურიასტანდ<sup>2</sup>, რაჲთა მოწაფეთა მათ იხილნენ საქმენი ეგე, რომელთა იქმ.

4. რამეთუ არა არს, რომელი დაფარულად რას ვინ იქმნ და გამოაჩინებნ თავსა თჲსსა კადნიერ ყოფად. უკუეთუ მაგას იქმ, გამოუცხადებთავი შენი სოფელსა.

5. რამეთუ ძმათა მისთაჲცა არავე ჰრწმენა მისი.

6. ჰრქუა მათ იესუ: ეამი ჩემი არლა მოწევენულ არს, ხოლო თქუენი ეამი ყოველსა ეამსა განმზადებულ არს.

7. ვერ ჰელ-ეწიფეების სოფელსა ამას მოძულებაჲ თქუენი, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვამხილებ მას, რამეთუ საქმენი მისნი<sup>3</sup> ბოროტ არიან.

8. თქუენ აღვედით, მე არა აღვიდე დღესასწაულსა ამას, რამეთუ ჩემი ეამი არლა აღვსებულ არს.

9. ესე ვითარცა თქუა, თავადი დადგა მუნვე გალილეას.

10. ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი, მაშინ თვთცა აღვიდა დღესასწაულსა მას არა ცხადად, არამედ ფარულად.

11. და ჰურიანი იგი ეძიებდეს დღესასწაულსა მას და იტყოდეს: სადა-მე არს იგი?

12. და დრტუნვაჲ იყო შორის ერსა მას მისთჲს. რომელნიმე იტყოდეს, ვი-

1 ჰურიასტანად E. 2 დღესასწაული E. 3 მოწაფეთა D. 4 მე—E. 5 რომელნი D.

1 ჰურიასტანს C. 2 ჰურიასტანდ C. 3 მისნი თჲსნი C.

DE

C

არს იგი; და სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აცთუნებს ერსა.

13. და არავენი განცხადებულად იტყოდა მისთვის შიშისათჳს ჰურიათაჲსა.

14. და ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოღენ-ზოგებულ<sup>1</sup> იყო, აღვიდა იესუ ტაძარად და ასწავებდა.

15. უკრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე ამან წიგნი იცის უსწავლელად?

16. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: ჩემი ესე მოძღურებდა არა არს ჩემი, არამედ მომავლინებელისა ჩემისაჲ.

17. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მოძღურებისაჲ მის, ვითარ რაჲ არს: ღმრთისაგან, ანუ მე თავით ჩემით ვიტყვ.

18. რომელი თავით თჳსით იტყუნ, დიდებასა თავისა თჳსისასა<sup>2</sup> ეძიებნ; ხოლო რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თჳსისასა<sup>3</sup>, იგი ქეშმარიტ არს, და სიცრუეჲ<sup>4</sup> არა არს მის თანა.

19. ანუ არა მოსე<sup>5</sup> მოგცა თქუენ შჯული? და არავენი თქუენგანი ჰყოფს შჯულსა მისსა<sup>6</sup>. რადესათჳს მეძიებთ მე მოკლვად?

20. მიუგო ერმან მან და ჰრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?

21. მიუგო<sup>7</sup> იესუ და ჰრქუა მათ: ერთი საქმე<sup>8</sup> ვქმენ და ყოველთა გიკვრს.

22. ამისთვის მოსე<sup>9</sup> მოგცა თქუენ წინადაცუეთაჲ. არა თუ მოსესგან არს, არამედ მამათაგან, და შაბათსა წინადაიცუთის კაცმან.

23. უკუეთუ წინადაცუეთილებდა მიიღის კაცმან შაბათსა, რადთა არა განქარდეს შჯული მოსტნი<sup>10</sup>, მე მებრალე-

თარმედ: კეთილ არს; სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აცთუნებს ერსა ამას.

13. და ვერვინ განცხადებულად იტყოდა მისთვის შიშისათჳს ჰურიათაჲსა.

14. განზოგებასა ოღენ მის დღესასწაულისასა აღვიდოდა იესუ ტაძარსა მას და ასწავებდა.

15. და დაუკრდებოდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ-მე წიგნი იცის ამან, რამეთუ უსწავიეს მებრ არა?

16. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: ჩემი ესე მოძღურებდა არა არს ჩემი, არამედ მისი არს, რომელმან მომავლინა მე.

17. უკუეთუ უნდეს ვისმე ნებისა მისისა ყოფად, გულისხმა-ყვენ მოძღურებისაჲ ამის: ღმრთისაგან თუ არს, ანუ მე თავით ჩემით ვიტყვ.

18. რომელი თავით თჳსით იტყუნ, დიდებასა თავისა თჳსისასა ეძიებნ: რამეთუ რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა<sup>1</sup> თჳსისასა, იგი ქეშმარიტ არს, და ზაკუეა არა არს მის თანა.

19. არა მოსე მოგცა<sup>2</sup> თქუენ შჯული, და არავენი თქუენგანი ჰყოფს შჯულსა, მას. რადესა მეძიებთ მე მოკლვად?

20. მიუგეს ერმან მან და ჰრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?

21. მიუგო<sup>3</sup> იესუ და ჰრქუა მათ: ერთ საქმე ვქმენ, და გიკვრს ამისთვის.

22. მოსე მოგცა თქუენ წინადაცუეთაჲ, რამეთუ არა მოსესგან იყო, არამედ მამათა მათგან. და დღესა შაფათსა წინადაცუთით კაცსა.

23. უკუეთუ წინადაცუთის კაცსა დღესა შაფათსა, რადთა შჯული იგი მოსესი ნუმცა დაჰქსნდების, ჩემდა გული

1 განზოგებულ D. 2 თსისა D. 3 სიცრუე D. 4 მოსტ E. 5 მისსა]-D. 6 მიუ D. 7 საქმე D. 8 მოსესი D.

1 მომავლინებელის C. 2 მოცა C. 3 მიუგუ C.



DE

C

თა, რამეთუ ყოვლადე განვაცოცხლე  
კაცი შაბათსა?

24. ნუ ჰშვიოთ<sup>1</sup> თუალთ-ღებით, არა-  
მედ მართალი საშჯელი საჯეთ.

25. იტყოდეს ვინმე იერუსალმელთა-  
განნი: არა ესე არსა, რომელსა-იგი ეძი-  
ებდეს მოკლვად?

26. და აჰა ესერა განცხადებულად  
იტყვს, და არარას ეტყვან მას. ნუუკუე  
ჰეშმარითად ცნეს ესე მთავართა მათ,  
ვითარმედ ესე არს ქრისტე<sup>2</sup>?

27. არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს.  
ხოლო ქრისტე<sup>3</sup> ოდეს მოვიდეს, არავენ  
უწყოდის, ვინაჲ არს.

28. || ლალად-ყო იესუ ტაძარსა მას ში-  
ნა, ასწავებდა და ეტყოდა: მეცა მიცი-  
თ და იციოთ, ვინაჲ ვარ; და თავით ჩემით  
არა მოსრულ ვარ, არამედ არს ჰეშმა-  
რიტ, რომელმან-იგი მომავლინა მე, რო-  
მელი თქუენ არა იციოთ.

29. ხოლო მე ვიცი იგი, რამეთუ მის  
მიერ ვარ, და მან მომავლინა მე.

30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არა-  
ვინ დაასხნა მას ჰელნი, რამეთუ არლა  
მოწევნულ იყო ჟამი მისი.

31. და მრავალთა ერისა მისგანთა  
ჰრწმენა იგი და იტყოდეს: ქრისტე<sup>3</sup>  
ოდეს მოვიდეს, ნუუკუე<sup>4</sup> უმრავლესი  
სასწაული ქმნეს, რომელი ამან ქმნა?

32. და ესმა ფარისეველთა მათ ერი-  
სა მის ღრტჯნვად მისთჳს. და მიავლი-  
ნეს მღდელთ მოძღუართა მათ და ფა-  
რისეველთა მსახურნი, რადთა შეიპყრან  
იგი.

33. და თქუა იესუ: მცირედ ჟამ თქუენ  
თანა ვარ და წარვალ მომავლინებელი-  
სა ჩემისა.

34. მეძიებდეთ და | არა მპოვოთ<sup>5</sup> მე;

გიწყრების, რამეთუ სრულიად კაცი გან-  
ვაცხოველე შაფათსა შინა?

24. ნუ თუალთ-ხუმით შჯით, არამედ  
მართალი საშჯელი შაჯეთ.

25. იტყოდეს ვინმე იერუსალმელთა-  
განნი<sup>1</sup>: არა ესე იგი არს, რომელსა-  
ეძიებდეს მოკლვად<sup>2</sup>?

26. აჰა ესერა განცხადებულად იტყვს-  
და არას ეტყვს მაგას. ნუთუ ჰეშმარი-  
ტად უცნობიეს მთავართა მათ, ვითარ-  
მედ ესე არს ქრისტე<sup>3</sup> იგი?

27. არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს-  
ხოლო ქრისტე<sup>3</sup> იგი რაჟამს მოვიდეს,  
არავენ უწყის, ვინაჲ იყოს.

28. ლალად-ყო იესუ ტაძარსა მას ში-  
ნა, ასწავებდა<sup>4</sup> და ეტყოდა: მეცა მი-  
ციოთ და უწყით, ვინაჲ ვარ; და თავით  
ჩემით არა მოსრულ ვარ, არამედ ჰეშ-  
მარიტ არს, რომელმან მომავლინა მე,  
რომელი-იგი თქუენ არა იციოთ.

29. მე ვიცი იგი, რამეთუ მისგან ვარ,  
და მან მომავლინა<sup>5</sup> მე.

30. და ეგულა მისი შეპყრობად, და  
გამოვიდა ჰელთა მათთაგან, და არავინ  
ნიყო მისა ჰელი, რამეთუ არლა მოწე-  
ნულ იყო ჟამი მისი.

31. და მრავალთა მის ერისაგანთა  
ჰრწმენა მისი და იტყოდეს: ქრისტე<sup>3</sup> იგი  
რაჟამს მოვიდეს, ნუთუ უმეტესსა სასწა-  
ულსა რას<sup>6</sup> ჰყოფდეს, რომელ ესე იქმს?

32. და ესმა ფარისეველთა მათ  
ღრტჯნვად ერისაჲ მის მისთჳს. წარავლი-  
ნეს მღდელთ მოძღუართა<sup>7</sup> მათ და ფა-  
რისეველთა მსახურნი, რადთამცა<sup>8</sup> შე-  
იპყრეს იგი.

33. ჰრქუა იესუ: მცირედ ჟამ თქუენ-  
თანა ვარი და მივალ მომავლინებელი-  
სა ჩემისა.

34. მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ;

1 შჯით E. 2 ქრისტე DE. 3 ქრისტე D. 4 ნუუკუე D. 5 მპოვოთ D.

1 იწმომთავანნი C. 2 მკლვად C. 3 ჰეშ C. 4 ასწავება C. 5 მომვლინა C. 6 რასმ C (= რასმე? ოლონდ ეს „მ“ თითქო წაშლილია). 7 მოღუართა C. 8 რაცა („ცა“ ჩამატებულია).

DE

C

და სადა-იგი მე ვიყო, თქვენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად.

35. იტყოდეს ურთიერთას<sup>1</sup> ჰურიანი იგი: ვიდრე-მე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუნ არა ეპოვოთ<sup>2</sup> იგი? ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთა ეგულების მისლვად და სწავლად მუნ წარმართთა?

36. რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს: მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ, და სადა მე ვიყო, თქვენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად?

37. და უკუანაჲკენელსა მას დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესუ, ღალად-ყო და თქუა: უკუეთუ ვის-მე ჰსწყუროდის<sup>3</sup>, მოვედინ ჩემდა და სუმედინ.

38. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისაჲ.

39. ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მოღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ<sup>4</sup>, რამეთუ არღა იყო სული წმიდაჲ მოცემულ, რამეთუ იესუ არღა იყო დიდებულ.

40. მრავალთა ერისა||განთა ისმინეს სიტყუაჲ ესე და იტყოდეს: ესე არს ჰეშმარიტად წინაწარმეტყუელი;

41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ჰრისტე<sup>5</sup>; და სხუანი იტყოდეს: ნუუკუე გალილეაჲთ მოსლვად არს ჰრისტე<sup>5</sup>?

42. არა წიგნი იტყვსა, ვითარმედ თესლისაგან დავეითისა და ბეთლემით დაბით, სადა იყო დავეით, მიერვე ჰრისტე<sup>5</sup> მოვიდეს?

43. და იყო განწვალებაჲ<sup>6</sup> მისთჳს ერსა შორის.

44. და რომელთამე მათგანთა უნდა

და სადა-იგი ვარ მე, თქვენ ვერ მოხვდეთ.

35. იტყოდეს ჰურიანი იგი ურთიერთას: ვიდრე-მე ეგულების მისლვად, და ჩუნ ვერ ეპოვოთ ეგე? ნუუკუე მიმოგანბნეულთა მათ წარმართთა მივიდეს და ასწავებდეს წარმართთა მათ?

36. რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა თქუა: მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ, და სადა-იგი ვარ მე, თქვენ ვერ მოხვდეთ?

37. დასასრულსა მას დღესა დიდისა<sup>1</sup> მის დღესასწაულისასა დგა იესუ, ღალადებდა და იტყოდა: ჰწყურის თუ ვისმე, მოვედინ ჩემდა, სუნ.

38. რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო, ვითარცა იტყვს წიგნი, მდინარენი მუცლისა მისისაგან გამოდიოდინ წყალთა ცხოველთანი.

39. ამას იტყოდა სულისა მისთჳს, რომელ მოღებად იყო, რომელთა ჰრწმენა იგი, რამეთუ არღა იყო სული, რამეთუ იესუ არღა დიდებულ იყო.

40. რომელთამე<sup>2</sup> ერისა მისგანთა ვითარცა ესმოდა სიტყუაჲ ესე, იტყოდეს: ესე არს ჰეშმარიტი წინაწარმეტყუელი<sup>3</sup>;

41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ჰრისტე<sup>4</sup> იგი; ხოლო ზოგნი იტყოდეს: ნუ გალილეაჲთ მოსლვად არს ჰრისტე<sup>4</sup>?

42. არა წიგნი იტყვან, ვითარმედ ნათესავისაგან დავეითისი და ბეთლემით დაბით, სადა-იგი დავეით იყო, მიერ მოსლვად არს ჰრისტე<sup>4</sup>?

43. და იყო წვალება შორის ერსა მას მისთჳს.

44. და რომელთამე უნდა შეპყრობაჲ

1 ურთიერთთარს D. 2 ეპოვოთ D. 3 სწყუროდის E. 4 მისა მიმართთა E. 5 ჰრისტე D. 6 განწვალება E.  
1 დიდის C. 2 [რ]ლთამე C. 3 წინაწარმეტყუელი C. 4 ჰეშ C.

D1:

C

შეპყრობად მისი, და არავინ მიყენა<sup>1</sup> ჳელი მის ჳელად.

45. მოვიდეს მსახურნი იგი<sup>2</sup> მღღელთ მოძღუართანი და ფარისეველთანი და ჳრქუეს მათ: რად არა მოიყვანეთ იგი?

46. მიუგეს მსახურთა მათ და ჳრქუეს: არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ<sup>3</sup>, ვითარ ესე კაცი.

47. მიუგეს ფარისეველთა და ჳრქუეს: და თქუენცა უკუე შე-ვე-ცთომილ ხართა?

48. ნუ მთავართავანთა<sup>4</sup> ვიეთმე ჳრწმენა მისი ანუ ფარისეველთა?

49. არამედ ერსა მას, რომელმან არა იცის ჳჯული, წყეულ არიან.

50. ჳრქუა მათ ნიკოდემოს,<sup>5</sup> რომელი იგი მოსრულ იყო მისა პირველ, იყო ერთი მათგანი:

51. ნუთუ<sup>6</sup> ჳჯული ჩუენი დაჳჯის<sup>6</sup> კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას, რასა იქმს?

52. მიუგეს მათ და ჳრქუეს მას: ნუ შენცა გალილეათ ხარა? გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილეათ წინაწარმეტყუელი არა აღდგომილ არს.

53.

მისი, ხოლო ვერვინ მიყო მისა ჳელი-

45. და მოვიდეს მუნვე მსახურნი იგი მღღელთანი და ფარისეველთანი და ჳრქუეს მათ ამათ: რად არა მოიყვანეთ იგი?

46. მიუგეს მსახურთა მათ და ჳრქუეს: არასადა ვერე ვის უთქუამს კაცსა, ვითარ მას კაცსა.

47. მიუგეს ფარისეველთა მათ და ჳრქუეს: ნუთუ თქუენცა შესცეთით?

48. ნუთუ მთავართა<sup>1</sup> მათგანსა ვის ჳრწმენა მისი ანუ თუ ფარისეველთაგანსა?

49. ხოლო იგი ამბობებდა აღრეული, რომელთა არა იციან ჳჯული, შეჩუენებულ არიან.

50. ჳრქუა ნიკოდემოს მათ, რომელი იგი მოსრულ იყო მისა ღამე<sup>2</sup> წინადაწარ, და იგი იყო ერთი მათგანი:

51. ნუთუ ჳჯული ჩუენი დაჳჯის<sup>3</sup> კაცსა, არა თუ ესმეს პირველ მისგან, ანუ თუ გულისხმა-ყონ, რასა იქმს?

52. მიუგეს მას და ჳრქუეს: ნუთუ შენცა გალილეველ ხარა? გამოიძიე და იხილე, რამეთუ წინაწარმეტყუელი გალილეათ არა აღდგეს.

53.

## S

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

1 მიყენა D. 2 იგი—D. 3 ესრეთ D. 4 მთავართავან D. 5 ნუთუ E. 6 დაჳჯის E.

1 მთართა C. 2 ღამე C. 3 დაჳჯისის C.

DE

C

7.

8.

9.

10.

11.

12. მერმე კულად ეტყოდავე იესუ და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ.

13. ჰრქუეს მას ფარისეველთა მათ: შენ თავისა შენისათჳს თუთ ჰსწამებ<sup>1</sup>, და წამებჲაჲ შენი არა არს ჰეშმარით.

14. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაღათუ მე ეწამო თავისა ჩემისათჳს, ჰეშმარით არს წამებჲაჲ ჩემი, რამეთუ ვიცო, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ; ხოლო თქუნენ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვალ.

15. თქუნენ ჯორცთაებრ შჯით, ხოლო მე არავის ვშჯი.

16. და უკუეთუ ვშჯიდე მე, საშჯელი ჩემი ჰეშმარით არს, რამეთუ არა მარტოჲ ვარ<sup>2</sup>, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

17. რამეთუ შჯულსაჲცა თქუნესა წერილ არს, ვითარმედ: ორისა კაცისა წამებჲაჲ ჰეშმარით არს.

18. მე ვარ, რომელი ეწამებ ჩემთჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

19. ჰრქუეს მას ჰურიათა: სადა არს მამაჲ შენი? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცა მე მიციო, არცა მამაჲ ჩემი. უკუეთუმცა მე მიცოდეთ<sup>3</sup>, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ.

20. ამათ სიტყუათა ეტყოდა ფასის საცავესა მას თანა და ასწავებდა ტაძარ-

7.

8.

9.

10.

11.

12. მერმე ეტყოდა იესუ და ჰრქუა: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი მომდევედეს მე, ბნელსა არა ვიდოდის, არამედ მიილოს ნათელი ცხორებისაჲ.

13. ჰრქუეს ფარისეველთა მათ: შენ თავისა შენისათჳს სწამებ, და წამებჲაჲ შენი არა არს ჰეშმარით.

14. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაღათუ ეწამებ თავისა ჩემისათჳს, ჰეშმარით არს წამებჲაჲ ჩემი, რამეთუ უწყი, ვინაჲ მოსულ<sup>2</sup>, ანუ ვიდრე ვალ.

15. თქუნენ ჯორცთაებრ<sup>3</sup> შჯით, ხოლო მე არავის ვშჯი.

16. და თუ ვშჯი, საშჯელი ჩემი ჰეშმარით არს, რამეთუ არა ვარ მარტოჲ. არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

17. და შჯულსაჲცა თქუნესა წერილ არს, ვითარმედ: ორთა კაცთა წამებჲაჲ ჰეშმარით არს.

18. მე ვარ, რომელი ეწამებ ჩემთჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

19. ჰრქუეს<sup>1</sup> მას: სადა არს მამაჲ შენი? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცა მე მიციო, არცა მამაჲ ჩემი. უკუეთუმცა მე მიცოდეთ, ვინ უწყის, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ.

20. ამას სიტყუასა ეტყოდა სახლსა მას შინა საფასისასა, რაჲჲმს ასწავებდა

1 სწამებ E. 2 რამეთუ მარტოჲ არა ვარ მე E. 3 მიცოდეთ მე E.

1 ჯერ დაუწერია „ვინაჲ“, მაგრამ შემდეგ გაუსწორებია. 2 ასეა. 3 ჯორცთა C. 4 ჰქვს C.

DF

C

სა მას შინა. და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არლა მოწვეულ იყო ეამი მისი.

ტაძარსა მას შინა, და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არლა მოწვეულ იყო ეამი მისი.

21. ჰრქუა მათ მერმეცა იესუ: მე წარვალ, და მეძიებდეთ მე და ცოდვათა შინა თქუენტა მოსწყდეთ და ვიდრე მე მივალ, თქუენ ვერ ჰელ-გეწიფების მოსლვად.

21. ჰრქუა მათ: მე ვარ იესუ. მე წარვალ, და მეძიებდეთ მე და არა მპოოთ, და ცოდვათა შინა თქუენტა მოსწყდეთ, რამეთუ მე ვიდრე-იგი მივალ, თქუენ ვერ მოხვდეთ<sup>1</sup>.

22. იტყოდეს ჰურიანი იგი ურთიერთას: ნუჟუე მოიკლავს თავსა თვსსა, რამეთუ იტყვს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჰელ-გეწიფების მოსლვად?

22. იტყოდეს ჰურიანი იგი: ნუთუ მოიკლავს თავსა თვსსა, რამეთუ იტყვს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ მოხვდეთ?

23. და ეტყოდა მათ: თქუენ ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ.

23. და ჰრქუა მათ: თქუენ ქუესკნელისა მისგანნი ხართ, და მე ზესკნელისა მისგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, მე არა ვარ ამის სოფლისაგანი.

24. გარქუ თქუენ, ვითარმედ: მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენტა; უკუეთუ არა გრწმენეს, ვითარმედ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენტა.

ხული, აღმოიჭადა იგი და ჰსცა<sup>5</sup> მონა-  
სა<sup>6</sup> მლდელთ მოძღურისასა და წარჰკუე-  
თა ყური მისი მარჯუენმ<sup>7</sup>. ხოლო იყო  
სახელი მონისაჲ მის მალქოს<sup>7</sup>.

11. ჰრქუა იესუ პეტრეს: დადევ მა-  
ხული ქარქაშსა! სასუმელი, რომელი მო-  
მცა მე<sup>8</sup> მამამან, არა შევსუა?

2. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მის-  
მან, ადგილი იგი, რამეთუ მრავალ გზის  
მისრულ იყო მუნ იესუ მოწაფითურთ  
თჳსით.

3. და იუდა წარიყვანა მის თანა გუნ-  
დი ერთი და მლდელთ მოძღუართა მათ  
და თარისეველთაგანნი მსახურნი, მო-  
ვალს მუნ ლამპრებითა და სანთლებითა  
და მახულებითა.

4. ხოლო იესუ ვითარცა იხილა ყო-  
ველი იგი მომავალი მისა<sup>1</sup>, გამოვიდა და  
ჰრქუა მათ: რასა<sup>2</sup> ეძიებთ?

5. მიუგეს მას: იესუს ნაზორეველსა.  
ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა  
მათ თანა, რომელი მისცემდა მას.

6. ვითარცა ჰრქუა მათ: მე ვარ, უკუ-  
მართ ვილოდეს და დაეცნეს ქუეყანასა.

7. მერმე ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ?  
და მათ ჰრქუეს<sup>3</sup>: იესუს ნაზორეველსა.

8. მიუგო მათ იესუ: გარქუ თქვენ,  
ვითარმედ: მე ვარ. უკეთეთ მე მიეძიებთ,  
აცადეთ მაგათ წარსლვად.

9. რაჟთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი,  
რომელ თქუა, ვითარმედ: რომელნი  
მომცენ მე, არავეინ წარავწყმიდო მათ-  
განი.

10. ხოლო სიმონ-პეტრეს რამეთუ  
აქუნდა მახული, აღმოიჭადა იგი და სცა  
მლდელთ მოძღურისა მონასა და წარ-  
ჰკუეთა ყური მარჯუენაჲ. და იყო სახე-  
ლი მონისაჲ მის მალქოს.

11. ჰრქუა იესუ პეტრეს: მიაქციე მა-  
ხული ეგე მუნვე ქარქაშსა თჳსსა! სასუ-  
მელი იგი, რომელ მომეც, მამაო, არა  
ესუა მე იგი?

1 გარმ E. 2 გარქუთ E. 3 წარედენ D. 4 იგი| —D. 5 სცა E. 6 მონასა მონასა D.  
7 მალქოზ E. 8 მე| —D.

1 მისა] შემდეგ ჩამატებულია „ხ“ (ან: ს?), ასე რომ შეიძლება ასე წავიკითხოთ: მის ზა  
(ან: მისსა?). 2 რაჟსა C. 3 ჰრქუს C.

DE

C

12. ხოლო კრებულმან მან<sup>1</sup> და ათასისათემან და მსახურთა ჭურითამან შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი.

13. და მიიყვანეს იგი ანაჲსა<sup>2</sup> პირველად, რამეთუ იყო იგი სიმამრი კაიჲფაჲსი<sup>3</sup>, რომელი იყო მღღელთ<sup>4</sup> მოძღუარი || მის წელიწადისაჲ.

14. ხოლო იყო კაიჲფა<sup>5</sup>, რომელმან აზრახა ჭურითა, ვითარმედ: უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი<sup>6</sup> ერთსათს.

15. ხოლო მიჰსდევდა<sup>7</sup> იესუს სიმონ-პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფე<sup>8</sup>. ხოლო მოწაფე<sup>8</sup> იგი ერთი მეცნიერი იყო მღღელთ მოძღურისაჲ და შევიდა იესუსჲს<sup>9</sup> თანა ეზოსა მას მღღელთ მოძღურისაჲ.

16. ხოლო პეტრე დგა კართა თანა გარეშე<sup>10</sup>. განვიდა მოწაფე<sup>8</sup> იგი სხუაჲ, რომელი იყო მეცნიერ მღღელთ მოძღურისა, და ჰრქუა მეკარესა მას დედაკაცსა და შეიყვანა პეტრე.

17. ჰრქუა მკვევალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუჟუჲ შენცა მოწაფეთაგანი ხარ ამის კაცისათაჲ? ხოლო პეტრე ჰრქუა: არა ვარ.

18. დგეს მონანი იგი და მსახურნი მღღელთ მოძღუართანი, ნაკურცხალი აღგზნა, რამეთუ ყინელი იყო<sup>11</sup>, და ტფებოდეს. და იყო მათ თანა პეტრეცა, და და<sup>12</sup> ტფებოდა.

19. ხოლო მღღელთ მოძღუარმან მან<sup>13</sup> ჰკითხა იესუს<sup>14</sup> მოწაფეთა მისთათს და მოძღურებისა მისისათს.

20. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა და მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა ყოველნი ჰუ-

12. ხოლო გუნდმან მან და ათასისათემან მან და მსახურთა მათ ჭურითა შეიპყრეს იესუ და შეკრეს.

13. და მიიყვანეს იგი პირველ ანნაჲსა, და იგი იყო სიმამრი კაიჲფაჲსა<sup>1</sup>, რომელი-იგი იყო მღღელთ მოძღუარ წელიწადისა მის.

14. ესე იგი კაიჲფა იყო, რომელმან აზრახა ჭურითა, ვითარმედ: უმჯობეს არს ერთისა კაცისა სიკუდილი ერთსა ამას ზედა.

15. შეუდგეს სიმონ-პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფე. და მოწაფე იგი, რამეთუ მეცნიერ იყო მღღელთ მოძღურისა მის, შევიდა იესუს თანა, შევიდა ეზოსა მას მღღელთ მოძღურისაჲ.

16. და პეტრე დგა გარეშე ბჭეთა მათ. გამოვიდა სხუაჲ იგი მოწაფე, რომელი-იგი იყო მეცნიერ მღღელთ მოძღურისა მის, და ჰრქუა ქალსა მას მეკარესა და შეიყვანა პეტრე.

17. ჰრქუა მეკარემან მან მკვევალმან პეტრეს: ნუთუ შენცა მის კაცისა მოწაფეთაგანი<sup>2</sup> ხარ? და მან ჰრქუა: არა.

18. დგეს მუნ მსახურნი იგი და მონანი, და ეგზნა, რამეთუ ყინელ იყო, და ჰიკუსოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და ჰიკუსოდა.

19. და მღღელთ მოძღუარმან მან ჰკითხა იესუს მოწაფეთა მისთათს და მოძღურებისა მისისათს.

20. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა, მე მარადის ვასწავებდ ერსა მას ტაძარსა მას შინა, სადა ყოველნი იგი ჭურითანი

1 მან] —D. 2 ანაჲს D. 3 კაიჲფაჲსი D. 4 მღღელთ D. 5 კაიჲფა D. 6 სიკუდრა D. 7 მის. დედა E. 8 მოწაფე D. 9 იესუს (იჯს) D. 10 გარეშე E. 11 ყინელ იყო D. 12 და] —D. 13 მან] —E-14 იესუს] —D.

1 ასეა. 2 მოწაფეთაგანი C. 3 მიუგო C.

DF

C

რინი შეკრბიან, ხოლო ფარულად არა-  
რას ვეტყოდ.

21. რადას მკითხავ მე? ჰკითხე მათ,  
რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდ მათ.  
აჰა ამათ იციან, რასა-იგი ვეტყოდე მათ.

22. და ვითარცა ესე თქუა მან, ერთ-  
მან წინაშე მდგომელმან მსახურმან ჰსცა<sup>1</sup>  
ყურიმალსა იესუს და ჰრქუა: ესრცთ<sup>2</sup>  
სიტყუას უგება მლდელო მოძღუარსა?

23. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ ბოროტ-  
სა ვიტყოდე, წამე ბოროტისათჳს; უკუე-  
თუ კეთილსა, რადასათჳს მცემ მე?

24. და მიაველინა იგი ანა კრული კა-  
იაფადას<sup>3</sup>, მლდელო მოძღურისა.

25. ხოლო სიმონ-პეტრე დგა და ტყე-  
ბოდა. ჰრქუეს || მას მუნ მდგომარეთა  
მათ: ნუუკუე<sup>4</sup> შენცა მოწაფეთა მისთა-  
განი ხარ? უვარ-ყო მან და თქუა: არა  
ვარ.

26. ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან  
მლდელო მოძღურისამან—ნათესავი იყო  
მისი<sup>5</sup>, რომელსა წარეკუეთა ყური—არა  
მე გიხილეა მტილსა მას შინა მის თანა?

27. და მერმე კუალად უვარ-ყო  
პეტრე. და მეყსეულად ქათამი ყივა.

28. და მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით<sup>6</sup>  
ტაძრად. და იყო განთიადი. და იგინი  
არა შევიდეს ტაძრად, რადათა არა შეი-  
გინენ, არამედ რადათა შეჰამონ პასექი<sup>7</sup>  
იგი.

29. გამოვიდა პილატე<sup>8</sup> მათა გარე<sup>9</sup>  
და ჰრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღებთ  
კაცსა ამას ზედა?

30. მიუგეს და ჰრქუეს მას: უკუეთუ-  
მცა არა იყო<sup>10</sup> ბოროტის მოქმედი, არა-  
მცა მიგეცით შენ ეგე.

31. ჰრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ  
თქუენ ეგე<sup>11</sup> და შჯულისაებრ თქუენისა

შეკრბიან, და დაფარულად არას ვი-  
ტყოდ.

21. რადას მკითხავთ მე? ჰკითხეთ მათ,  
რომელთა ესმა, რასა ვეტყოდე მათ. აჰა  
მათ უწყიან, რადა ვარქუე მათ.

22. ვითარცა ესე რქუა<sup>1</sup> მათ, ერთ-  
მან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან  
ჰსცა ლაწუსა იესუს და ჰრქუა: ესრე სი-  
ტყუას უგებ მლდელო მოძღუარსა მაგას?

23. და იესუ ჰრქუა მას: ბოროტი თუ  
რაამე ვთქუე, წამე ბოროტისა მისთჳს;  
უკუეთუ კეთილი, რადასა მცემ მე?

24. და მიუძღუანა იგი კრული ანა  
კაიაფას მლდელო მოძღურისა.

25. და სიმონ-პეტრე დგა მუნ და იკუ-  
სოდა. ჰრქუეს მას: ნუთუ შენცა მოწა-  
ფეთა მისთაგანი ხარ? მან უვარ-ყო და  
თქუა: არა.

26. და ჰრქუა ერთმან ვინმე მლდელო  
მოძღურისა მონამან—ნათესავი იყო მი-  
სი, რომელსა წარჰკუეთა პეტრე ყური—  
არა მე გიხილე მტილსა მას მის თანა?

27. მერმე უვარ-ყო პეტრე. და მუნ-  
ქუესვე ქათამი ყივა ხოლო.

28. და მოჰყვანდა იესუ სახლით კადა-  
ფაჲსით ტაძრად მსაჯულისა მის. და  
იყო განთიად ოდენ. და იგინი არა შე-  
ვიდეს ტაძარსა მას, რადათა არა შეიგინ-  
ნენ, არამედ რადათა შეჰამონ ზატკი იგი.

29. გამოვიდა მათდა პილატეცა და  
ჰრქუა: რას ძჳრის<sup>2</sup> საქმესა შესწამებთ  
კაცსა მაგას?

30. მიუგეს და ჰრქუეს მას: არა თუ-  
მცა ძჳრის მოქმედ იყო კაცი იგი, არა-  
მცა მიგეცით იგი შენ.

31. ჰრქუა მათ პილატე: თქუენ მიი-  
ყვანეთ ეგე და მსაგასად შჯულისა თქუე-

1 სცა E. 2 ესრეთ D. 3 კაიაფაჲსა D. 4 ნუუკუე D. 5 მისი იყო E. 6 კაიაფაჲსით D.  
7 პასექე D. 8 პილატე D. 9 გარჲ E. 10 იყოს D. 11 ეგე თქუენ E.

1 თ. ითქო „რ“ გადაკეთებულა „თ“-საგან (თქუა). 2 ძჳრის C.

DE

C

განიკითხეთ. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: ჩუენდა არაიისი | ჯერ-არს მოკლვად.

32. რაათა აღესრულოს სიტყუად იგი იესუსი<sup>1</sup>, რომელ თქუა და აუწყა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდილ.

33. შევიდა პილატე კულად<sup>2</sup> ტად-რად და შეზხადა მუნ იესუს და ჰრქუა მას: შენ ხარა მეუფე<sup>3</sup> ჰურიათაჲ?

34. ჰრქუა მას იესუ: თავით თვისით შენ მაგას იტყვ, ანუ სხუათა გითხრეს ჩემოვს?

35. მიუგო მას პილატე და ჰრქუა: ნუუკუე მე ჰურიად ვარა? ნათესავთა შენთა და მლდელოთ მოძღუართა მომცეს მე შენ. რაჲ გიქმნიეს?

36. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: მეუფეებაჲ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფეებაჲ ჩემი, მსახურნიცა ჩემნი ილუწიდეს ჩემოვს, რაათა არა მივეცი<sup>4</sup> ჰურიათა. ხოლო აწ მეუფეებაჲ ჩემი არა არს ამიერ სოფლით.

37. ჰრქუა მას პილატე: უკუეთუ მეუფე<sup>5</sup> ხარი შენა? || ჰრქუა მას იესუ: შენ იტყვ, ვითარმედ<sup>6</sup> მეუფე<sup>3</sup> ვარი მე. მე ამისთვს შობილ ვარ და ამისთვს მოვიელინე სოფლად, რაათა ვწამო კეშმარიტი. ყოველი რომელი იყოს კეშმარიტიისაგანი, ისმინოს წმისა ჩემისაჲ.

38. ჰრქუა მას პილატე: რაჲ არს კეშმარიტებაჲ? და ვითარცა ესე თქუა, კულად გამოვიდა ჰურიათა და ჰრქუა მათ: მე არცა ერთი ბრალი ვპოვე ამის თანა.

39. ხოლო არს ჩუეულეებაჲ თქუენი, რაათა ერთი მიგიტეგო თქუენ პასქასა ამას. გნებაესა, მიგიტიეო<sup>7</sup> თქუენ მეუფე<sup>3</sup> ჰურიათაჲ?

ინის დასაჯეთ. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: ჩუენდა არა წეს-არს მოკლვად არაიისა.

32. რაათა აღესრულოს სიტყუად იგი იესუსი, რომელ თქუა მოსწავებით, რომლითა სიკუდილითა მოსიკუდილ იყო.

33. შევიდა მეორედ ტადართა მათ პილატე<sup>1</sup>, მიუწოდა იესუს და ჰრქუა: შენ ხარ მეუფე იგი ჰურიათაჲ?

34. მიუგო იესუ: შენით თავით იტყვ, მაგას, ანუ სხუათა ვით გრქუეს შენ ჩემოვს?

35. ჰრქუა პილატე: ნუთუ მე ჰურიად ვარ? ნათესავთა შენთა და მლდელოთ მოძღუართა მომცეს შენ ჳელთა ჩემთა. რაჲ საქმე გიქმნიეს შენ?

36. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჩემი მეუფეებაჲ არა ამის სოფლისაგანი არს. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფეებაჲ ჩემი, მსახურნი იგიცა ჩემნი ჰბრძოდეს, რაათამცა არა მივეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფეებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს.

37. ჰრქუა მას პილატე: უკუეთუ ვერე არს, მეუფე<sup>4</sup> ხარ შენ? მიუგო იესუ: შენ სიტუ, ვითარმედ მეუფე<sup>3</sup> ვარ. ხოლო მე ამისთვს ვიშვე და ამისთვსცა მოვედ სოფლად, რაათა ვწამო კეშმარიტებისათვს. ყოველი რომელი კეშმარიტებისაგან არს, ესმის წმისა ჩემისაჲ.

38. ჰრქუა მას პილატე: რაჲ არს კეშმარიტებაჲ? და ესე ვითარ თქუა, მერმე გამოვიდა გარე და ჰრქუა ჰურიათა მათ: მე არცა ერთსა რას ბრალსა ვპოვებ მაგის თანა.

39. ხოლო არს თქუენი ჩუეულეებაჲ, რაათა ერთი მიგიტეო თქუენ დღესასწაულსა ამას. ინებეთ, რაათა მიგიტეო თქუენ მეუფე<sup>3</sup> იგი ჰურიათაჲ.

1 იესუსი (იქსი) D. 2 კულად] —E. 3 მეუფე D. 4 მივეცი DE. 5 ვითარმედ] რამეთუ D.

6 ვარ D. 7 მიგიტეო D.

1 პილატეს C. 2 პილატეს C. 3 მეუფეებაჲ C. 4 მეუფე C. 5 მეუფე C.

DE

C

40. ღალად-ყვეს ყოველთა და თქუეს: ნუ ეგე, არამედ ბარაბა<sup>1</sup>. და იყო ბარაბა<sup>1</sup> ესე ავაზაკი.

40. ღალატ-ყვეს ყოველთავე და იტყოდეს: ნუ ეგე, არამედ ბარაბა<sup>1</sup>. და ბარაბა<sup>2</sup> იგი იყო ავაზაკი.

## 19

1. მაშინ მიიყვანა<sup>3</sup> პილატე იესუ და ტანჯა იგი.

2. და ერისაგანთა მათ შეთხზეს გვრგვნი<sup>3</sup> ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი ძოწეული შეჰმოსეს მას.

3. და მოვიდიან მისა და ეტყუედ<sup>4</sup>: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და ჰსცემდეს<sup>5</sup> მას ყურიმალსა<sup>6</sup>.

4. | გამოვიდა კულად პილატე<sup>7</sup> გარე<sup>8</sup> და ჰრქუა მათ: აჰა გამოვიყვანო იგი თქუენდა გარე<sup>8</sup>, რადთა ჰსცნათ<sup>9</sup>, რამეთუ მის თანა არცა ერთი ბრალი ვპოვე.

5. გამოვიდა იესუ გარე, და ედგა ეკლისა გვრგვნი<sup>10</sup> და ძოწეული სამოსელი, და ჰრქუა მათ პილატე: აჰა კაცი იგი!

6. და ვითარცა იხილეს კაცი იგი მღდელთ მოძღუართა და მსახურთა, ღალად-ყვეს და იტყუეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე და ჯუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალსა არას ვპოვებ<sup>11</sup>.

7. მიუგეს მას ჰურიათა და ჰრქუეს: ჩუენ შჯული გუაქუს, და შჯულისა ჩუენისაებრ თანა-აც სიკუდილი, რამეთუ თავი თვისი ძედ<sup>12</sup> ღმრთისა ყო.

8. ოდეს ესმნეს<sup>13</sup> პილატეს<sup>14</sup> სიტყუანი ესე, უფროჲს შეეშინა.

9. და შევიდა კულად და ჰრქუა იესუს: ვინაჲ ხარ შენ? ხოლო იესუ სიტყუაჲ არა მიუგო მას.

10. ჰრქუა მას პილატე: მე არას მე-

1. მას ეამსა მიიყვანა იესუ პილატე<sup>3</sup> და გუემა იგი.

2. და ერისა კაცთა მათ ქმნეს გვრგვნი<sup>4</sup> ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და შეჰმოსეს მას ძოწეული.

3. და მოვიდიან მის წინაშე და ეტყუედ<sup>5</sup>: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და ღაწუსა სცემდეს მას.

4. გამოვიდა მერმე პილატე<sup>7</sup> და ჰრქუა მათ: აჰა გამოგუარო იგი გარე, რადთა გულსენმა-ჰყოთ, რამეთუ მე ბრალსა მის თანა არას ვპოვებ.

5. გამოვიდა იესუ, და ედგა გვრგვნი<sup>10</sup> ეკლისაჲ და ემოსა სამოსელი ძოწეული. ჰრქუა პილატე: აჰა კაცი იგი!

6. ვითარცა იხილეს იგი მღდელთ მოძღუართა მათ და მსახურთა, ღალატ-ყვეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუთ, ჯუარს-აცუთ ეგე! ჰრქუა პილატე<sup>7</sup>: მიიყვანეთ მაგის თანა ბრალსა<sup>7</sup> არას ვპოვებ.

7. მიუგეს მას ჰურიათა მათ: ჩუენ შჯული გუაქუს, და მსგავსად შჯულისა ჩუენისა თანა-აც მაგას სიკუდილი, რამეთუ თავი თვისი ძე ღმრთის ყო.

8. ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე პილატეს, უფროჲს შეეშინა.

9. შევიდა მუნვე ტაძართა მათ და ჰრქუა იესუს: ვინაჲ ხარ? ხოლო იესუ არაჲ მიუგო.

10. ჰრქუა პილატე: არას მომიგებ მე?

1 ბარაბა DE. 2 შეიყვანა D. 3 გვრგვნი D. 4 ეტყუედ D. 5 სცემდეს E. 6 ყურმალსა D. 7 პილატე E, პიტე D. 8 გარე E. 9 სცნათ E. 10 გვრგვნი D, იგი გვრგვნი E. 11 ვპოვებ D. 12 ძედ D. 13 ესმეს E. 14 პალატეს E.

1 ბარაბა C. 2 ბარაბა C. 3 პილატე C. 4 გვრგვნი C. 5 მეუფეო C. 6 ეგე C. 7 ბრალ C.

DE

C

ტყვა? არა იცია, || რამეთუ ჯელმწიფე-  
ბამ მაქუს ჯუარ-აცუმაღ შენდა და ჯელ-  
მწიფეებამა მაქუს<sup>1</sup> განტევებად შენდა?

11. ჰრქუა მას იესუ: არა გაქუს ჯელ-  
მწიფეებამ ჩემი არცა ერთ, უკუეთუმცა  
(არა)<sup>2</sup> იყო შენდა მოცემულ ზეგარდამო.  
ამისთჳს მიმცემელსა მას ჩემსა შენდა  
უღიდესი ცოდვამ აქუს.

12. ამის გამო უნდა პილატეს განტე-  
ვებამ მისი, ხოლო ჰურიანი ლალადებ-  
დეს და იტყოდეს: უკუეთუ ესე განუტე-  
ვო, არა ხარ მოყუარე კეისრისამ, რა-  
მეთუ ყოველი, რომელი მეუფედ იტყუნ  
თავსა თჳსსა, სიტყუას უგებნ კეისარსა.

13. ხოლო პილატეს რამ ესმეს სი-  
ტყუანი ესე, გამოიყვანა იესუ გარე<sup>3</sup> და  
დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა  
მას, რომელსა ჰრქვან ქვაფენილ, ხოლო  
ებრაელეზრ კაპპათა.

14. და იყო პარასკევი, პასქამ; ჟამი  
იყო ვითარ მეექუს<sup>4</sup>. და ჰრქუა ჰურიანი-  
თა მათ: აჰა მეუფე<sup>5</sup> თქუენი!

15. ხოლო იგინი ლალადებდეს | და  
იტყოდეს: ალილე ეგე და ჯუარს-აცუ<sup>6</sup>!  
ჰრქუა მათ პილატე: მეუფე<sup>5</sup> თქუენი მე<sup>7</sup>  
ჯუარს-აცუამა? მიუგეს მღდელთ მო-  
ძღუართა მათ და ჰრქუეს: არა გკვის  
ჩუენ მეუფე<sup>5</sup> გარნა კეისარი.

16. მაშინ მიჰსცა<sup>8</sup> იგი მათ, რამათა  
ჯუარს-აცუან<sup>9</sup>. ხოლო მათ მიჰსცა<sup>7</sup> იე-  
სუ, და წარიყვანეს.

17. და ეციდა მას თვთ ჯუარი თჳსი,  
და განვიდა ადგილსა მას თხემისასა,  
რომელსა ჰრქვან ებრაელეზრ გოლგო-  
თა,

18. სადა-იგი ჯუარს-აცუეს, და მის

არა უწყი, რამეთუ ფლობა მაქუს ჯუარს-  
ცუმაღ შენი და ჯელ-მეწიფეების<sup>1</sup> გან-  
ტევებამა შენი?

11. მიუგო იესუ: არამცა გაქუნდა  
ჯელმწიფეებამ ჩემ ზედა არცა ერთ, არა  
თუმცა მოცემულ იყო შენდა ზეგარდა-  
მო. ამისთჳს რომელმან მიმცა მე შენ,  
უფროდსი ბრალი აქუს.

12. ამისთჳს უნდა პილატეს განტევე-  
ბამ მისი, და ჰურიანი იგი ლალადებდეს  
და იტყოდეს: ეგე თუ განუტევეო, არა  
მიყუარ ხარ კეისრისა: ყოველი, რომე-  
ლი მეუფედ გამოაჩინებნ თავსა თჳსსა,  
მვდომ არნ იგი კეისრისა.

13. ხოლო პილატეს ვითარცა ესმა  
სიტყუამ ესე, გამოჰჯუარა იესუ გარე<sup>2</sup>  
და დაჯდა საყდარსა მას ზედა, ადგილ-  
სა მას, რომელსა ერქუმის ქვაფენილ,  
რომელ არს ებრაელეზრ კაპპათა.

14. და იყო პარასკევი ზატიკისამ მის;  
და იყო ვითარ ექუს ჟამ ოდენ. და ჰრქუა  
ჰურიანთა მათ: აჰა მეუფე<sup>5</sup> თქუენი-  
და!

15. და იგინი ლალადებდეს: ალილე,  
ალილე<sup>3</sup> და ჯუარს-აცუ<sup>4</sup>! ჰრქუამათ პი-  
ლატე<sup>5</sup>: მეუფე<sup>5</sup> ეგე თქუენი მე<sup>7</sup> ჯუარს-  
აცუამა? მიუგეს მღდელთ მოძღუართა  
მათ და ჰრქუეს: არა გკვის<sup>7</sup> ჩუენ მეუ-  
ფე<sup>5</sup> გარნა კეისარი.

16. მაშინ მისცა იგი ჯელთა მათთა,  
რამათა ჯუარს-აცუას. და მათ წარიყვან-  
ნეს იგი.

17. და მიჰყვანდა, და ეციდა მას თჳსი  
იგი ჯუარი, და აღვიდოდა ადგილსა  
მას, რომელსა ჰრქვან<sup>8</sup> თხემი, რომელსა  
ერქუმის ებრაელეზრ გოლგოთა<sup>9</sup>,

18. სადა ჯუარს-აცუეს იგი, და მის

1 მაქუს E. 2 არა] — DE. 3 გარძ D. 4 მეექუსე D. 5 მეუფე D. 6 რსჯარს-აცუ D. 7 მე] — E.  
8 მისცა E. 9 ჯუარს-აცუას D.

1 ჯელმწიფეების C. 2 გარძ C. 3 ალილე C. 4 ჯუარს-აცუ C. 5 პილიტ C. 6 ჯუარს-ვა-  
ცუა C. 7 გუგის C. 8 ჰრქვან C. 9 გოლგოთა C.



DE

C

თანა სხუანი ორნი იმიერ და ამიერ და შორის იესუ.

19. და დაწერა ფიცარი პილატე და დაჰსდვა<sup>1</sup> ჯუარსა მას ზედა. და იყო წერილი ესრე<sup>2</sup>: იესუ ნაზარეველი, მეუფე<sup>3</sup> ჰურიათაჲ.

20. ესე ფიცარი მრავალთა აღმოიკითხეს ჰურიათა, რამეთუ მახლობელ იყო ადგილი იგი ქალაქსა, სადა-იგი ჯუარს-აკუეს იესუ. და იყო წერილი ებრაელებრ, პრომაველებრ<sup>4</sup> და ბერძლ.

21. ეტყოდეს პილატეს მღდელთ მოძღუქარნი ჰურიათანი: ნუ დასწერ მეუფედ ჰურიათა, არამედ მან თქუა: მეუფე<sup>5</sup> ვარ ჰურიათაჲ.

22. ჰრქუა მათ პილატე<sup>6</sup>: რომელი დაეწერე, დაეწერე.

23. ხოლო ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აკუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულად<sup>7</sup> ერისაგანმან ნაწილი<sup>8</sup>, და კუართი იგი. ხოლო იყო კუართი იგი<sup>9</sup> უკერველ, ზმთ<sup>9</sup> მოქსოვილ ყოვლად.

24. და თქუეს ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილს-ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი<sup>10</sup> იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს.

25. ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა დედაჲ მისი და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ მაგდალენელი<sup>11</sup>.

26. ხოლო იესუ ვითარცა იხილა დე-

თანა ორნი სხუანი, იმიერ და ამიერ და საშოვალ იესუ.

19. დაწერა ფიცარსა პილატე<sup>1</sup> და დადვა ზედა ჯუარსა მას. და წერილი იყო: იესუ ნაზარეველი, მეუფე<sup>2</sup> ჰურიათაჲ.

20. იგი ფიცარი წარიკითხეს ჰურიათა მრავალთა, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა მას ადგილი იგი, სადა ჯუარს-აკუა იესუ. და წერილ იყო ებრაელებრ, ფრომინებრ და ბერძლ.

21. ჰრქუეს პილატეს მღდელთ მოძღუართა<sup>2</sup> მათ ჰურიათა: ნუ დასწერ, ვითარმედ: მეუფე ჰურიათაჲ, არამედ რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: მე ვარ მეუფე<sup>3</sup> ჰურიათაჲ.

22. მიუგო პილატე: რაჲ დაეწერე, დაეწერე.

23. და ერისა კაცთა მათ, ვითარცა ჯუარს-აკუეს იესუ, წარმოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულად ერისა კაცთა მათ ნაწილად. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, მიერვე გამოქსოილ ყოვლად-მე<sup>3</sup>,

24. თქუეს ურთიერთას: არა განვაპოთ ეგე, არამედ წილ-ვიგდოთ მაგას ზედა, ვისაცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი მათად და ზედა კუართსა ჩემსა წილ-იგდეს. და ერისა კაცთა მათ ესე ყვეს.

25. და დგეს ჯუარსა მას თანა იესუს-სა დედაჲ მისი<sup>4</sup> და დედის დაჲ მისი, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ მაგდალენელი<sup>5</sup>.

26. იესუ ვითარცა იხილა დედაჲ იგი-

1 დასდვა E. 2 ესრე E. 3 მეუფე D. 4 პრომაველებრ D. 5 პილატე E. 6 თითოეულად D, თითოეულად E. 7 ნაწილად D. 8 კუართი იგი — D. 9 ზეთ D. 10 წერი D. 11 მაგდალენელი E. მაგდალენი D.

1 პილატე C. 2 მოძღუართა C. 3 ყ'ლდე. 4 მისისი C. 5 მაგდალენელი C.

D.F.

C

დაჲ თჳსი და მოწაფჳ<sup>1</sup> იგი წინაშე მდგომარჳ<sup>2</sup>, რომელი უყუარდა, ჰრქუა დედასა: დედაკაცო, აჰა ძჳ შენი!

27. და<sup>3</sup> მერმე ჰრქუა მოწაფესა მას: აჰა დედაჲ შენი! მიერ დლითგან წარიყვანა იგი<sup>4</sup> მოწაფემან მან თჳსთა თანა.

28. ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს. რაჲთა აღსრულოს წერილი იგი, თქუა: მწყურის.

29. ჰურჳკერი<sup>5</sup> დგამუნ ძმრითა საესჳ. და ღრუბელი აღავსეს ძმრითა<sup>6</sup> მით უსუჰსა თანა და დაადგეს ლერწამი და მოართუეს პირსა მისსა.

30. და ოდეს მიიღო ძმარი იგი იესუ, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს<sup>7</sup>. და მიიდრიკა თავი და განუტევა სული.

31. ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათადმდე, რამეთუ იყო დიდ დღჳ<sup>8</sup> იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს, რაჲთა განუტეხნენ<sup>9</sup> წვენი მათნი და აღიხუნენ.

32. მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისაჲ მის განუტეხნეს წვენი, და ერთისაჲ ეგრევე, რომელ ჯუარს-ცუმულ<sup>10</sup> იყენეს მის თანა.

33. ხოლო იესუჲსა-ლა<sup>11</sup> მოვიდეს და იხილეს იგი<sup>12</sup>, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წვენი მისნი,

34. არამედ ერთმან ერისაგანმან ლახური<sup>13</sup> თუგომირა გუერდსა მისსა, და მექსეულად გამოჳდა სისხლი და წყალი.

35. და რომელმან იხილა, წამა, და ჰემშარიტ არს წამებაჲ მისი, და მან

და მოწაფჳ, რომელი უყუარდა, რამეთუ დგა მახლობელად: ჰრქუა დედასა: დედაკაცო<sup>1</sup>, აჰა ძჳ შენი!

27. და მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! მიერ ეამითგან წარიყვანა იგი სახედ თჳს(ა).

28. ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს. თქუა: მწყურის.

29. და მუნ დგა ჰურჳკერი ერთი საქესე ძმრითა. დ[ა] მათ აღავსეს ღ[რ]უბელი ერთი ძ[მ]რითა და ნავლითა და ყუ[ვილი]<sup>2</sup> დადგეს დ[ა] მიუჰყრეს პ[ირ]-სა მისსა.

30. ვითარცა მიიღო იესუ ძმარი იგი ნავლითურთ, თქუა: ყოველივე აღსრულებულ არს. და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული.

31. ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა მუნვე დაადგრენ ჳორცნი იგი, შაფათისა მისთჳს, რამეთუ იყო დიდ დღე იგი მის შაფათისაჲ, ჰვეედრებოდეს პილატეს, რაჲთა დამუსრნენ<sup>2</sup> წვენი მათნი და აღიხუნენ.

32. მოვიდეს ერისა<sup>4</sup> კაცნი იგი და პირველსა მას დაუმუსრნეს წვენი<sup>5</sup>; ეგრეცა ერთსა მას, რომელ მის თანა ჯუარ-ცუმულ იყენეს.

33. ხოლო ვითარცა მოვიდეს იესუსა და იხილეს, რამეთუ მუნჳუეს ოდენ მომკუდარ იყო, არა დაუმუსრნეს წვენი მისნი.

34. ხოლო ერთმან ვინმე ერისაგანმან ლახური<sup>6</sup> თუგომირა გუერდსა<sup>6</sup> მისსა, და გამოჳდა ადრე-ადრე სისხლი და წყალი.

35. და რომელმან იხილა, წამა, და ჰემშარიტ არს წამებაჲ მისი, და მან

1 მოწაფე D. 2 მდგომარე D. 3 და] —D. 4 იგი] —D. 5 ჰურჳკელი D. 6 ძმრითა D. 7 აღსრულ არს D. 8 დღე D. 9 განუტეხნენ D. 10 ჳ'რ-ცუმულ E. 11 იესუსა (ი'ჯსა) D. 12 იგი]—D. 13 ლახური<sup>13</sup> D.

1 დედაკაცო C. 2 ყუ[ა]ვილი (?) C. 3 დამოსრნენ C. 4 ერთისა C. 5 წვენი C. გუერდსა C.

DE

იცის, რამეთუ ქეშმარიტსა იტყვს, რად-  
თა თქუენცა გრწმენეს.

36. რამეთუ იყო ესე, რადთა წერილი  
აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი  
არა შეიმუხროს.

37. და სხუად წიგნი იტყვს: იხილონ,  
რომელსაცა უგუმირეს.

38. ამისა შემდგომად ჰკითხა პილა-  
ტეს იოსებ, რომელი იყო არიმათიადთ,  
რომელი იყო მოწაფე<sup>1</sup> იესუსა<sup>2</sup> ფარუ-  
ლად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რადთა  
აღილოს გუამი იესუსი<sup>3</sup>. და უბრძანა  
მას პილატე. მოვიდეს და აღიღეს გუამი  
იგი მისი.

39. მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელი-  
იგი მოვიდა იესუსა<sup>2</sup> ღამე<sup>4</sup> პირველ,  
და მოიღო აღრეული მურისა და ალომ-  
სად ვითარ ასი ლიტრაჲ.

40. და მოიღეს გუამი იესუსი<sup>3</sup> და  
შეჰგრაგნეს იგი ტილოებითა, არდაგე-  
ბითა სულნელთა<sup>5</sup> მათ თანა, ვითარცა  
არს ჩუეულებაჲ ჰურიათაჲ დაფლევასა.

41. | იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-  
ეცუა, მტილი, და მტილსა მას შინა სა-  
ფლაჲი ახალი, სადა არავინ დადებულ  
იყო.

42. მუნ დადვეს გუამი იგი იესუსი<sup>3</sup>  
პარასკევისათჳს ჰურიათაჲსა, რამეთუ  
მანლობელ იყო საფლაჲი იგი.

C

უწყის, რამეთუ ქეშმარიტსა[ა] იტყვს, რად-  
თა თქუენცა გრწმენეს.

36. ესე იყო, რადთა აღესრულოს წე-  
რილი<sup>1</sup> იგი, ვითარმედ: ძუალი მისი  
არა შეიმუხ[ს]როს.

37. და მერმე სხუად წიგნი [იტ]ყვს:  
ჰხედვიდენ [მ]ას, რომელსა-იგი უ[გ]მი-  
რეს.

38. ამისა შემდგომ[ა]დ ევედრებოდ[ა]  
პილატეს იოსებ[ბ] არიმათიელი, რომე-  
ლი მოწაფე ყოფილ იყო იესუსა ფა-  
რულად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რადთა  
გარდამოიხუნეს ჯორცნი იგი იესუსნი.  
და ბრძანა პილატე.

39. მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელი  
მოსრულ იყო ღამე იესუსა პირველ,  
და მოიღო მური, შეზავებული ჰალომთ-  
ურთ ვითარ ას ლიტრა.

40. გარდამოიხუნეს ჯორცნი იგი  
იესუსნი და შეგრაგნეს იგი მჩუართა  
საკუმეველითურთ, ვითარცა ჩუეულებაჲ  
აქუნდა ჰურიათა და ლუწოლად სამკუღ-  
რომთა.

41. და იყო ადგილსა მას, რომელსა  
ჯუარს-აცუეს, მტილი, და მტილსა მას  
შინა სამარე ახალი, რომელ არავინ და-  
დებულ იყო მუნ.

42. და პარასკევისა მისთჳს<sup>2</sup> ჰურია-  
თაჲსა, რამეთუ ახლოს იყო სამარე იგი,  
სადა დადვეს იესუ.

## 20

1. ერთსა მას შაბათსა<sup>6</sup> მარიამ მგ-  
დალენელი<sup>7</sup> მოვიდა განთიად<sup>8</sup>, ვიდრე  
ბნელ-ლა იყო<sup>9</sup>, საფლაგსა მას და იხი-

1. და ერთშაფათსა მას მარიამ მგ-  
დანელი მოვალს<sup>3</sup> განთიად რიყურაჲუ  
ოდენ სამარესა მას და იხილა ლოდი

1 მოწაფე E. 2 იესუსა (ი'ჯსა) D. 3 იესუსი (ი'ჯსი) D. 4 ღამე E. 5 სურნელთა D. 6 შა-  
ბათსა E. 7 მადანელი D. 8 განთიად—E. 9 იყოს E.

1 წმრილი C. 2 მისთვის C. 3 მოვალს] + რ (თითქო „რიყურაჲუ“ უნდა დაეწყო).

DE

C

ლა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა.

2. რბიოდა და მოვიდა სიმონ-პეტრესა და სხვა მის მოწაფისა, რომელი უყუარდა იესუს, და ჰრქუა მათ: აღიღეს უფალი საფლავით და არა უწყვი, სადა დადევს იგი.

3. გამოვიდა პეტრე და სხუად იგი მოწაფე<sup>1</sup> და მივიდოდეს საფლავად.

4. რბიოდეს ორნივე ზოგად. ხოლო ერთი იგი მოწაფე<sup>1</sup> წინა რბიოდა უადრეს პეტრესა და მოვიდა პირველად საფლავად.

5. და შთაჰხედა<sup>2</sup> საფლავსა მას და იხილნა ტილონი იგი მდებარენი და შინა არა შევიდა.

6. || მოვიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად მისა და შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი იგი მდებარენი<sup>3</sup>,

7. და სუდარი იგი, რომელ<sup>4</sup> იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თუსაგან შეკეცილი ერთსა<sup>5</sup> ადგილსა.

8. მაშინ შევიდა სხუადცა იგი მოწაფე<sup>1</sup>, რომელი მოვიდა პირველად პეტრესა საფლავად. და იხილეს და ჰრწმენა.

9. რამეთუ არა იცოდეს წერილისა, ვითარმედ: ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომა.

10. წარვიდეს კულად თუსაგან მოწაფენი იგი<sup>6</sup>.

11. ხოლო მარიამ დეა გარეშე<sup>7</sup> საფლავსა მას თანა და ტიროდა. და ვითარ ტიროდა, შთაჰხედა<sup>2</sup> საფლავსა მას

12. და იხილნა ორნი ანგელოზნი სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერკით, სადა-იგი იღვა გუამი უფლისა იესუსისი<sup>8</sup>.

იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა.

2. მაშინ-ლა სრბით მივიდა სიმონ-პეტრესა და ერთისა მის მოწაფისა<sup>1</sup>, რომელი უყუარდა იესუს, და ჰრქუა მათ: აღიღეს<sup>2</sup> უფალი სამარისა მისგან და არა უწყვი, სადა დადევს იგი.

3. გამოვიდა პეტრე და ერთი იგი მოწაფე<sup>1</sup> და მივიდოდეს სამარესა მას.

4. რბიოდეს ორნივე ერთად. და ერთი იგი მოწაფე<sup>1</sup> წინა წაჰტოქა უადრეს პეტრესა და მიიწია პირველ სამარესა მას.

5. შთახედა და იხილნა მჩუარნი იგი, ხოლო შინა არა შევიდა.

6. მივიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად მისა და შევიდა სამარესა მას და იხილნა მჩუარნი იგი, რამეთუ იხსნეს<sup>4</sup>.

7. და (ე)არშამავი იგი, რომელ იყო თავსა მისსა, არა სხუათა მათ მჩუართა თანა იღვა, არამედ თუსა<sup>5</sup> შეკეცილი ერთსა ადგილსა.

8. მაშინ მოვიდა ერთი იგიცა მოწაფე<sup>1</sup>, რომელ მოსრულ იყო წინაჲსწარ სამარესა მას, იხილა და ჰრწმენა.

9. რამეთუ არა მეცნიერ იყო წიგნთა, ვითარმედ: ჯერ-არს მისა მკუდრეთით აღდგომა.

10. შეკრბეს ერთად მერმე მოწაფენი იგი.

11. ხოლო მარიამ დეა გარეშე<sup>6</sup> სამარესა მას თანა და ტიროდა. და ვიდრე იგი ტიროდა, შთახედნა სამარესა მას

12. და იხილნა ორნი ანგელოზნი მოსილნი სპეტაკითა<sup>7</sup>, რამეთუ ხსდეს ერთი თავით და ერთი ფერკით, სადა იხსნეს ჯორცნი იგი იესუსანი.

1 მოწაფე D. 2 შთახედა E. 3 მდებარე D. 4 რომელი E. 5 ართსა D. 6 იგი — D. 7 გარეშე E. 8 იესუსი (იჴსი) D.

1 ასეა. 2 ჯერ აღეს დაუწერია, შემდეგ თავზე „ი“ დაუმატებია (=აღიღეს?). 3 ასეა. 4 ისინეს C. 5 ასეა. 6 გარეშე C. 7 სპეტაკითა C.

D.F.

C

13. დაჰრქუეს მას ანგელოზთა მათ: დედაკაცო, რა ხსენებ? ხოლო მან ჰრქუა მათ, რამეთუ: აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არა უწყვი, სადა დადევს იგი.

14. ესე რაა თქუა, მიიქცა კარე<sup>2</sup> და იხილა იესუ მდგომარე<sup>3</sup> და არა უწყოდა, რამეთუ იესუ არს.

15. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, რა ხსენებ? ვის ეძიებ? მას ეგონა, ვითარმედ მეგმტილ<sup>4</sup> იგი არს, და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, რაჟთა მე წარმოვილო იგი.

16. ჰრქუა მას იესუ: მარიამ! მიიხილა მან გარე<sup>2</sup> და ჰრქუა მას ებრაელებრ: რაბი, რომელსა ჰრქვან მოძღუარ, და მირბოდა შემთხუევად მისა.

17. ჰრქუა მას იესუ: ნუ შემომეხეები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამრსა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.

18. მოვიდა მარიამ მაგდალენელი<sup>5</sup> თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრტ<sup>6</sup> ჰრქუა მას<sup>7</sup>.

19. და ვითარცა შემწუხრდა<sup>8</sup> დღე<sup>8</sup> იგი ერთ შაბათთაჲ მათ, და კარნი დაკრულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი დამალულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ, დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშუდობაჲ თქუენ თანა!

20. და ვითარცა ესე თქუა, უჩუენნა მათ კელნი მისნი და გუერდი, და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი.

21. ჰრქუა მათ იესუ მერმე: მშუდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.

13. და მათ ჰრქუეს მას: დედაკაცო, რად სტირ? ჰრქუა მათ: რამეთუ აღღეს უფალი ჩემი სამარისაგან, და არა უწყვი, სადა დადევს იგი.

14. და ესე ვითარცა თქუა, მიიქცა გარე და იხილა იესუ მდგომარე<sup>3</sup> და არა<sup>2</sup> უწყოდა, რამეთუ იესუ ა[რს].

15. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, რად სტირ? ვის ეძიებ? იგი ესრე ჰგონებდა, ვითარმედ მეგმტილე იგი არს. ჰრქუა მას(ს)<sup>3</sup>: უფალო, შენ თუ აღიღე იგი, მითხარ, სადა დასდევ<sup>4</sup>, და მე აღვილო იგი.

16. ჰრქუა მას იესუ: მარიამ! და იგი მოექცა და ჰრქუა მას ებრაელებრ: ჰრაბბუნი, რომელ ითარგმანების: მოძღუარ.

17. ჰრქუა მას იესუ: ნუ მომეხეები, რამეთუ არღა ასრულ ვარ მამისა ჩემისა; არამედ მივედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.

18. მოვალს მარიამ მაგდალენელი<sup>5</sup> და ახარებს მოწაფეთა მათ, ვითარმედ იხილა მან უფალი, და ესე ჰრქუა მას.

19. და მწუხრი დღესა მას ერთშაფათისასა შევიდა იესუ ბქეთა<sup>6</sup> ვშულთა, სადა-იგი შეკრებულ იყვნეს მოწაფენი შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ, დადგა შორის მათსა და ჰრქუა<sup>7</sup> მათ: მშუდობაჲ<sup>8</sup> თქუენ თანა!

20. ვითარცა ესე თქუა, უჩუენნა კელნი და გუერდნი, და განიხარეს მოწაფეთა მათ, ვითარცა იხილეს უფალი.

21. ჰრქუა მათ მერმე: მშუდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, და მეცა წარგავლინებ თქუენ.

1 სტირ E. 2 გარე E. 3 მდგომარე D. 4 მეგმტილე D. 5 მაგდალენელი E, მაგდანელი D. 6 ესრეთ D. 7 მათ D\*. 8 დღე D.

1 მდგომარი (!) C. 2 არა—C. 3 მა(ს) ან: მა(ნ) C. 4 დასდეს C. 5 მაგდალენელი C. 6 ბქეთათა C. 7 ჰქუა C. 8 მშუდობაჲ C.

DE

C

22. და ვითარცა ესე თქუა, შთაპბე-  
რა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმი-  
დაჲ.

23. უკუეთუ ვიეთინიმი მიუტევენთ ცო-  
დვანი, მიეტევენნ მათ; უკუეთუ ვიეთინიმი  
შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყენნ.

24. ხოლო თომა, ერთი იგი ათორ-  
შეტავანი, რომელსა ერქუა მარჩბივ,  
არა იყო მათ თანა, ოდეს-იგი მოვიდა  
იესუ.

25. უთხრობდეს მას სხუანი იგი მო-  
წაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ ჩუენ უფა-  
ლი. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა  
ვიხილო კელთა მისთა სახს იგი სა-  
მშუალთაჲ და დავასხნე თითინი ჩემნი  
ადგილსა | მას სამშუალთასა და დავსდ-  
ვა კელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა  
მრწმენეს.

26. და შემდგომად რვისა დღისა კუა-  
ლად შეკრებულ იყენეს მოწაფენი შინა-  
გან, და თომაცა მათ თანა. და შევიდა  
იესუ კართა დაჯშულთა, დადგა შორის  
მათსა და ჰრქუა მათ: მშუდობაჲ თქუენ  
თანა!

27. მერმე ჰრქუა თომას: მოყვენ თით-  
ნი შენნი და იხილენ კელნი ჩემნი და  
დამდეგ კელი შენი გუერდსა ჩემსა და  
ნუ იყოფი <sup>1</sup> ურწმუნო, არამედ გრწმენინ.

28. მიუგო თომა და ჰრქუა მას: უფა-  
ლი ჩემი და ღმერთი ჩემი!

29. ჰრქუა მას იესუ: რამეთუ მიხილე  
და გრწამ; ნეტარ არიან, რომელთა არა  
უხილავ და ვგრწმენენ <sup>2</sup>.

30. მრავალნი სასწაულნი სხუანიცა  
ქმნნა იესუ წინაშე მოწაფეთა თჳსთა,  
რომელ არა წერილ არიან წიგნსა ამას.

31. ხოლო ესე წერილ არს, რაჲთა  
გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე <sup>3</sup>,

22. და ესე ვითარცა თქუა, შთაპბე-  
რა და თქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ.

23. მი-თუ ვისმე-უტევენთ ცოდვანი,  
მიეტევენნ ცოდვანი მათნი; და რომელთა-  
ნი პყრობილ ჰყენეთ, პყრობილ იყენედ.

24. ხოლო თომა, ერთი ათორშეტოთა  
მათვანი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა  
მათ თანა იყო, რაჲმს მოვიდა იესუ.

25. უთხრობდეს სხუანი იგი მოწაფე-  
ნი, ვითარმედ: ვიხილეთ უფალი. და მან  
ჰრქუა მათ: არა თუ ვიხილო კელთა  
მისთა სასწაული სამსკუალთაჲ მათ  
და შთავადო თითი ჩემი ადგილსა მას  
სამსკუალთასა და შევახო კელი ჩემი  
გუერდთა მისთა, არა მრწმენეს.

26. და შემდგომად (რ)ვისა დღისა  
შეკრებს კულად მოწაფენი მისნი, და  
თომაცა მათ თანა. შევიდა იესუ მათ თა-  
ნა ბქეთა <sup>1</sup>. ვშულთა და დადგა შორის  
მათსა და ჰრქუა: მშუდობაჲ თქუენ თანა!

27. მაშინ ჰრქუა თომას: მოყვენ თით-  
ნი შენნი და შემახე აქა და იხილენ  
კელნი ჩემნი და მოყავ კელი შენი და  
შთავადე გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი  
ურწმუნო, არამედ გრწმენინ.

28. მიუგო და ჰრქუა თომა: უფალი  
ჩემი და ღმერთი ჩემი!

29. ჰრქუა მას იესუ <sup>2</sup>: რამეთუ მიხილე  
და გრწმენა; ნეტარ, რომელთა არა უხი-  
ლავ და ვგრწმენეს.

30. მრავალ სხუაცა <sup>3</sup> სასწაულ ყო  
იესუ წინაშე მოწაფეთა მათ თჳსთა, რო-  
მელ არა წერილ არს წიგნსა ამას.

31. ხოლო რაჲდენი დაიწერა, რაჲთა  
გრწმენეს, რამეთუ იესუ ქრისტე არს ძმ

1 ნუ იყოფი E. 2 ვწმენე D. 3 ქრისტე D.

1 ბქეთა C. 2 ეს სიტყვა (რ) თითქო სხვა ხელით არის ჩამატებული. 3 სხუაცა აუა ჯგუფი ამოღებვილის ადგილასაა ჩაწერილი და გარკვევით არა ჩანს.

DE

C

dM ღმრთისაჲ და რაჲთა<sup>1</sup> გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა.

ღმრთისაჲ, და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ საუკუნოჲ მოიღოთ სახელითა მისითა.

## 21

1. ამისა შემდგომად || კუალად გამოუცხადა თავი თვისი იესუ მოწაფეთა თვისთა ზღუასა მას ზედა ტიბერიანასასა. ხოლო გამო- ესრძთ -უცხადა<sup>2</sup>:

2. იყენეს ზოგად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსა ერქუა<sup>3</sup> მარჩბივ, და ნათანაელ, რომელი იყო კანაჲთ გალილეაჲსაჲთ, და ძენი<sup>4</sup> ზებედესნი და სხუანი მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.

3. ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: წარვიდეთ სათხევლობად. ჰრქუეს მას: მოვიდეთ ჩუენცა შენ თანა. განვიდეს და შევიდეს<sup>5</sup> ნავსა. მას ღამესა არაარაჲ იპყრეს.

4. და ვითარცა განთენებოდა, დადგა იესუ კიდესა ზედა, და არა უწყოდეს მოწაფეთა, რამეთუ იესუ არს.

5. ჰრქუა მათ იესუ: ყრმანო, საკმელ გაქუს რაჲა? მიუგეს და ჰრქუეს: არა.

6. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ჰსდევით<sup>6</sup> ბადღ<sup>7</sup> ეგე მარჯუენით კერძო ნავისა მის და ჰპოვოთ<sup>8</sup>. ხოლო მათ ჰსდვეს<sup>9</sup> და ვერღარა ეძლო გამოთრევეად მისა სიმრავლისაგან თევზთაჲსა.

7. ჰრქუა პეტრეს მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს, ვითარმედ: უფალი არს. ხოლო სიმონ-პეტრეს ვითარცა ესმა, რამეთუ უფალი არს, შესამოსელი მოირტყა, რამეთუ შიშუელ იყო, და შთაიგლო თავი თვისი ზღუად.

8. ხოლო სხუანი მოწაფენი ნავითა მოვიდოდეს<sup>10</sup>, რამეთუ არა შორს იყენეს ქუეყანასა, არამედ ორას წყრთა ოდენ,

1. ამისა შემდგომად მერმე განუცხადა იესუ თავი თვისი მოწაფეთა თვისთა ზღუასა მას ზედა ტიბერიანასასა, და განეცხადა ესრე:

2. იყენეს ერთად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, და ნათანაელ, რომელ იყო კანა<sup>1</sup> გალილეაჲსაჲთ, და ძენი ზებედესნი და სხუანი მოწაფეთა მათგანნი ორნი.

3. ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: მივიდეთ თევზობად. ჰრქუეს მას: მივიდეთ ჩუენცა შენ თანა: და გამოვიდეს და აღვდეს ნავსა. მას ღამესა არცა ერთ იპყრეს.

4. ვითარცა განთენა, დგა იესუ ზღუს<sup>2</sup> კიდესა მას, ხოლო არა იცნეს იესუ მოწაფეთა მათ, ვითარმედ იესუ არს.

5. ჰრქუა მათ იესუ: ყრმანო, გაქუს რაჲა ქანალი? მიუგეს და ჰრქუეს: არა.

6. ჰრქუა მათ: სდევით-ლა მარჯულ კერძო ნავისა მაგის სათრომელი ეგე და ჰპოოთ, სდვეს და ვერ უძლებდეს გამოზიდვად სიმრავლითა მით თევზთაჲთა.

7. ჰრქუა მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს, პეტრეს: უფალი არს. სიმონ-პეტრეს ვითარცა ესმა, ვითარმედ უფალი არს, მოირტყა საბრადნელი, რამეთუ შიშუელ იყო, და შთავარდა ზღუასა.

8. და სხუანი იგი მოწაფენი მოვიდოდეს ნავითა, რამეთუ არა შორს იყენეს კმელად, არამედ ვითარ ორას წყრთა

1 რაჲთა]—D. 2 გამო- ესრეთ -უცხადა D. 3 ჰრქვან D. 4 ძენი D. 5 მივიდეს D. 6 სდევით E. 7 ბადე D. 8 ჰპოოთ D. 9 სდვეს E. 10 მოვიდეს D.

1 ასეა. 2 ზღუს C.

DE

C

და გამოითრევდეს ბადესა მას თევზითა საესესა<sup>1</sup>.

9. და ვითარცა გამოვდეს ქუეყანად, იხილეს ნაკურცხალი მღებარე<sup>2</sup> და თევზი მას ზედა და პური.

10. ჰრქუა მათ იესუ: მოიღეთ თევზთა მათგანი, რომელ იპყართ აწ.

11. გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოითრევდა ბადესა მას ქუეყანად, საესესა დიდ-დიდითა თევზითა, რომელი იყო ას ერგასის და სამ. და ესოდენ იყო, და არა განსქდა ბადე<sup>3</sup> იგი.

12. ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და ისადილენით. და არღარავინ იკადრა მოწაფეთაგანმან კითხვად მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? იცოდეს, რამეთუ უფალი თვთ იგი არს.

13. მოვიდა იესუ<sup>4</sup> და მოილო პური იგი და მისცა მათ, და თევზი იგი ეგრევე.

14. ესე სამ გზის გამოუცხადა იესუ თავი თვისი<sup>5</sup> მოწაფეთა თვსთა, აღ-რაადღა მკუდრეთით.

15. და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაფსო, გიყუარ მეა უფროდს ამათსა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დააძოვენ კრავნი ჩემნი.

16. მერმე ჰრქუა მას იესუ მეორედ: სიმონ იონაფსო, გიყუარა მე<sup>6</sup> ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დააძოვენ ცხოვარნი ჩემნი.

17. ჰრქუა მას იესუ<sup>7</sup> მესამედ: სიმონ იონაფსო, გიყუარ მეა? შეწუხნა პეტრე, რამეთუ ჰრქუა მას მესამედ, ვითარმედ: გიყუარ? ჰრქუა მას პეტრე<sup>8</sup>: უფალო,

ოდენ, მოეთრია ბადე იგი თევზებითურთ.

9. ვითარცა გამოვიდეს ვმელად, ჰხედვენ: ნაკურცხალი იდუა და თევზი ერთი მის ზედა და პური.

10. ჰრქუა მათ იესუ: მომართეთ თევზითა მათგან, რომელ თქუნ იპყართ აწ.

11. შევიდა სიმონ-პეტრე და გამოიხილვიდა სათრომელსა მას ვმელად საესესა დიდ-დიდითა თევზებითა, ას ერგასის და სამითა. ესთენითა საესე იყო და არა განსთქდა ბადე იგი.

12. ჰრქუა იესუ: მოვ(ი)თ, ვისადილენით. და ვერვინ მოწაფეთაგანი იკადრებდა კითხვად მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? უწყოდეს, რამეთუ უფალი არს.

13. მოილო პური იგი იესუ და მისცემდა მათ, ეგრეცა თევზსა მას.

14. ესე სამ გზის განეცხადა იესუ მოწაფეთა მათ; ვინაფთგან აღღა მკუდრეთით.

15. და ვითარ ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაფსო, გიყუარ მე უმეტეს ამათსა? ჰრქუა მას: ჰე<sup>1</sup>, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას: დამწყსენ კრავნი ჩემნი.

16. მერმე ჰრქუა მას: სიმონ იონაფსო, გიყუარ მე? ჰრქუა მას: ჰე<sup>1</sup>, უფალო, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას: დამწყსენ საცხოვარნი ჩემნი.

17. ჰრქუა მას სამ გზის: სიმონ იონაფსო, გიყუარ მე? დაწუხნა პეტრე, რამეთუ ჰრქუა მას სამ გზის: გიყუარ მე, და ჰრქუა მას: უფალო, შენ ყოველი უწყი

1 საესესა E. 2 მღებარე D. 3 ბადე D. 4 იესუ უფალი E. 5 თავი თვისი — D. 6 გიყუარ მე E. 7 იქს (იესუს) D. 8 ვითარმედ გიყუარ? ჰრქუა მას პეტრე — E.



DE

C

პოველი შენ იცი და შენ ყოველი უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.

18. ამენ, ამენ გეტყვ შენ: ოდეს იყავ ჰაბუჟ, შეირტყი თავით თვისით და ხვლოდი<sup>1</sup>, ვიდრეცა გნებავენ. ხოლო რაეამს დაჰბერდე, განგაპყრნენ ჯელნი შენნი და სხუათა შეგარტყან შენ და წარგიყვანონ შენ, ვიდრე შენ არა გინდეს.

19. ხოლო ესე თქუა და აღუწყა, რომლითა სიკუდილითა ადიდოს ღმერთი. და ესე ვითარცა თქუა, მერმე ჰრქუა მას: | შემომიდეგ მე.

20. მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე<sup>2</sup> იგი, რომელი უყუარდა იესუს, რომელიცა-იგი მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა მისსა და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?

21. ესე იგი<sup>2</sup> იხილა პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, ამისთვის რაჲ ჰსთქუ<sup>3</sup>?

22. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ მინდეს ყოფაჲ მაგისი, ვიდრე<sup>5</sup> მოვიდე. შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ.

23. და განჯდა სიტყუაჲ ესე ძმათა შორის, ვდ მოწაფე<sup>2</sup> იგი არა მოკუდეს. და არა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: არა მოკუდეს, არამედ: უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფაჲ, ვიდრე მოსლვად ჩემდამდე.

24. ესე არს მოწაფე<sup>2</sup> იგი, რომელი წამებს ამისთვის და რომელმან დაწერა ესე. და ვიცით, რამეთუ ჰეშმარიტ არს წამებჲა მისი.

25. და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნა იესუ, რომელნი, თუმცა აღწერებოდეს თითოეულად<sup>6</sup>, არცა-ლაკვონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.

და შენ ყოველი სცნი და რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.

18. მართლიად მართალსა გეტყვ შენ, რ ვე ყრმა იყავ, თავით შეირტყი სარტყელი და მიხუედი<sup>1</sup>, ვცეცა გნებავენ. ხოლო რაეამს დაჰბერდე, ალგაპყრნენ ჯელნი და სხუანი შეგარტყმიდენ და მიგიყვანებდენ, სადაჲთ შენ არა გინდეს.

19. ესე თქუა, რამეთუ მოასწავებდა, რომლითა სიკუდილითა ადიდოს ღმერთი. და ესე ვითარცა თქუა, ჰრქუა მას: მომდევი მე.

20. მიექცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი, რომელ უყუარდა იესუს<sup>2</sup>, რამეთუ მისდედა, რომელცა მიეყრდნა მკერდსა და ჰკითხა: უფალო, ვინ არს მიმცემელი შენი?

21. ესე ვითარ იხილა პეტრე, ჰრქუა იესუს: უფალო, ამისა რაჲ?

22. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ მინდეს, რაჲთა დგეს ეგე ჩემდა მოსლვადმდე. შენდა რაჲ? შენ მომდევი მე.

23. და განჯდა სიტყუაჲ (იგი) ძმათა მიმართ, ვითარმედ მოწაფე<sup>2</sup> იგი არა მოკუდეს. და არა ჰრქუა მას იესუ: არა მოკუდეს, არამედ: თუ მინდეს, ვითარმედ თუ დგეს ჩემდა მოსლვადმდე.

24. ესე არს მოწაფე<sup>2</sup> იგი, რომელი წამებს მისთვის, რომელმანცა აღწერა ესე, და უწყით, რამეთუ ჰეშმარიტ არს წამებჲა მისი.

25. ხოლო არს სხუაცა მრავალ, რადენი ქმნა იესუ, რომელი, თუმცა აღწერილ იყო თითოეულად, ვერმცა სოფელმან ამან დაიტია დაწერილი იგი წიგნები.

1 ჰხვლოდი DE. 2 მოწაფე D. 3 ასეა [(ვითარ)-იგი?]. 4 სთქუ E. 5 ვიდრემდე E. 6 და-იწერებოდეს თითოეულად E. კავებში ჩასმული ასოების სტრაქონი ჩამოტკრილია E-ში.

1 მიხული C. 2 იქვს C.

ჯრუჰის ოთხთავის ფურცელთა საძიებელი ნაბჯალ ტექსტში<sup>1</sup>

ბელნ.	ნაბ.	ბელნ.	ნაბ.	ბელნ.	ნაბ.	ბელნ.	ნაბ.
	მ ა თ ე	41	12, 27	76	24, 26	109	6, 14
		42	38	77	41	110	27
8	1, 17	43	47	78	25, 8	111	41
9(10)	2, 2	44	13, 12	79	23	112	56
10(9)	11	45	22	80	36	113	7, 10
11(12)	19	46	33	81	26, 3	114	26
12(11)	3, 6	47	44	82	19	115	8, 1
13	15	48	58	83	33	116	16
14	4, 10	49	14, 15	84	45	117	31
15	21	50	28	85	58	118	9, 3
16	5, 9	51	15, 7	86	73	119	17
17	19	52	23	87	27, 12	120	30
18	29	53	34	88	29	121	43
19	40	54	16, 11	89	44	122	10, 10
20	6, 2	55	23	90	59	123	24
21	11	56	17, 7	91	28, 7	124	35
22	20	57	20	92	20	125	49
23	29	58	18, 6			126	11, 13
24	7, 6	59	17	მ ა რ კ თ ზ		127	27
25	17	60	29			128	12, 7
26	27	61	19, 7			129	20
27	8, 9	62	19	94	1, 1	130	33
28	19	63	20, 2	95	15	131	13, 1
29	29	64	18	96	29	132	14
30	9, 6	65	31	98	2, 12	133	32
31	16	66	21, 12	99	22	134	14, 9,
32	26	67	24	100	3, 8	135	22
33	10, 1	68	35	101	24	136	36
34	12	69	22, 5	102	4, 3	137	51
35	23	70	21	103	17	138	65
36	34	71	38	104	31	139	15, 8
37	11, 4	72	23, 12	105	5, 4	140	24
38	19	73	24	106	19	141	39
39	28	74	35	107	33	142	16, 5
40	12, 12	75	24, 9	108	6, 2	143	18

<sup>1</sup> პირველ სვეტში ნაჩვენებია ბელნაწერის ფურცლის პირველი. გვერდი (recto), ხოლო მეორეში—ნაბეჭდი ტექსტის თავი და მუხლი (გამოცემაში ფურცლის დასაწყისი ორი პარალელური ვერტიკალური ხაზით არის აღნიშნული, ვერსოები კი—ცალი ხაზით, მაგრამ ვერსოების აღნიშვნა აქ არ შემოგვიტანია).

ფურცლები აღენიშნეთ მართო ჯრუჰის ბელნაწერისა (D), რადგანაც ადიშის ოთხთავის ფოტოტიპიურ გამოცემაში თვითველ ტაბულაზე აღნიშნულია ზედ მოთავსებული ტექსტის მოცულობა და სათანადო ადგილის მონახვა ადვილია. რაც შეეხება პარხლის ოთხთავს, მასში თავებდა და მუხლებდა დაყოფა უკვე მე-18 საუკუნეში გაუტარებიათ და კიდევ უფრო ადვილია სათანადო ადგილის პოვნა

[საძიებელი შეადგინა დოც. ი. იმნაიშვილმა. რედ.]

ხელნ.	ნაბ.	ხელ.	ნაბ.	ხელნ.	ნაბ.	ხელნ.	ნაბ.
	ლ კ ა	181	10, 26	219	22, 53	255	8, 44
		182	39	220	70	256	59
145	1, 1	183	11, 8	221	23, 13	257	9, 16
146	14	184	22	222	29	258	32
147	27	185	32	223	43	259	10, 10
148	44	186	45	224	24, 1	260	25
149	64	187	12, 2	225	18	261	11, 1
150	2, 1	188	15	226	32	262	20
151	16	189	29	227	46	263	38
152	33	190	42			264	49
153	46	191	54		ი ო ვ ა ნ ე	265	12, 2
154	3, 5	192	13, 7			266	14
155	19	193	18	230	1, 1	267	26
156	4, 2	194	30	231	18	268	41
157	17	195	14, 8	232	33	269	13, 4
158	30	196	19	233	47	270	18
159	43	197	31	234	2, 11	271	33
160	5, 12	198	15, 8	235	25	272	14, 9
161	25	199	21	236	3, 14	273	23
162	38	200	16, 2	237	27	274	15, 4
163	6, 12	201	14	238	4, 8	275	16
164	26	202	25	239	21	276	16, 2
165	39	203	17, 8	240	36	277	18
166	7, 1	204	25	241	49	278	31
167	13	205	18, 6	242	5, 10	279	17, 11
168	26	206	22	243	23	280	26
169	39	207	41	244	37	281	18, 13
170	8, 3	208	19, 14	245	6, 8	282	25
171	16	209	30	246	22	283	37
172	28	210	46	247	38	284	19, 10
173	39	211	20, 12	248	52	285	21
174	54	212	27	249	66	286	34
175	9, 12	213	46	250	7, 12	287	20, 6
176	25	214	21, 12	251	28	288	19
177	38	215	27	252	40	289	21, 1
178	50	216	22, 6	253	8, 16	290	14
179	10, 2	217	22	254	31		
180	16	218	37				

შემჩნეული ბავშვებითი შეცდომები

ტექსტი 1

დაბეჭდილია	უნდა იყოს
მით. 8, 27 (2) DE ვინმე	ვინ-მე
„ 19, 24 (3) DE (ზოგ ცალში) ურელსა	ტურელსა
„ 19, 25 (3) DE ვისმე	ვის-მე
მარკ. 6, 19 (1) C ჰეროდე	ჰეროდია (სამაგიეროდ „ჰეროდე“ შენიშვნაშია ჩამოსატანი: ჰეროდე C)
ლუკ. 19, 23 (1) C რამსათვის	რამსათვის
„ 1, 78 (2) C რომელთა	რომლითა

შენიშვნებში 1

გვერდი

11 (2) O-ში	C-ში
17 (1) ვითაცა D	ვითარცა D
18 (3) სთავს სთესავს D	სთავს  სთესავს D
68 (1) შესლვად) —D	(ეს შენიშვნა სულ წაიშალოს)
186 (1) რომელი სხენან	რომელნი სხენან
189 (3) დღე და ღამეშ C	დღეშ და ღამეშ C
246 (1) ჩუნცა C	ჩუნცა D.
257 (3) + თუნ C	+ თუ C

<sup>1</sup> ტექსტის შეცდომები თავების და მუხლების მიხედვით არის აღნიშნული, შენიშვნებშია კი—გვერდების მიხედვით. ფრჩხილებში ჩასმულია მუხლის ან შენიშვნის სტრიქონი.

რედაქტორი ა. შანიძე

---

ბელმოწერილია დასაბეჭდად 1.3.1945.  
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 30  
შეკვ. 117

ანაწყოების ზომა 7×11  
ტირაჟი 600  
უფ 00Q44

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, ა. წერეთლის ქ., № 7  
(სურათები დაიბეჭდა სახელგამის ცინკოგრაფიაში, კლუხანოვის ქროსპ., 50)